ირაკლი ამირანაშვილი

ფრაგმენტები

გაუთრგნელი ლექციებიდან ცხოვრებაზე

42

«ნაკადული»
თბილისი
1967

ბ Г 1
899.962.1.092 [ორბელიანი გრ.]
მ 404

7-—2—2

წ ი ნ ა თ ქ მ ა

გრიგოლ ორბელიანი ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა ქართული ეროვნული გენიისა, იგი განუყოფელი ხალასი ზოდია, რომელსაც საუკუნეთა ქანგი ვერ მოედება და ყოველ შეხებაზე ელვარება მოემატება. უკვდავი აკაკის სიტყვით, ორბელიანი საუკუნეების შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება და ამაღლდება, მომავალი დრო და თაობა „გონების თვალით“ შეხედავს გრიგოლ ორბელიანს, როგორც ღირსეულ მამულიშვილს, რომლის სამარე ქაშვეთის ეკლესიის ცივი მიწა კი არ არის, არამედ ქართველი კაცის ნათელი და მხურვალე გულია. დიდმა ილიამ გრიგოლ ორბელიანი ჩვენი ქართული ენის მეუფედ და თვითმპყრობელად შერაცხა და მას სასიქადულო მამულიშვილი, სახელოვანი ქართველი და დიდებული მწერალი უწოდა.

მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ ადამიანთა ცის კაბადონზე აღმობრწყინებულმა გრიგოლ ორბელიანის კოლორიტულმა პიროვნებამ იმთავითვე მოხიბლა და დაატყვევა თანამედროვენი თავისი: მხედრული სიქველით, დინჯი და შორსმჭვრეტი დიპლომატიური ნიჭით, სამოქალაქო საქმეების ღრმა ცოდნით, სხვადასხვა ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და რელიგიური რწმენის ჩაწვდომის ტაქტით, მათი სულიერი მეობის პატივისცემით და, რაც მთავარია, თავისი მღელვარე, თერგივით დაუდგრომელი, მშფოთვარე პოეტური სიტყვის ეშხითა და ლაზათით.

გრიგოლ ორბელიანის ძალუმი პოეტური სიტყვა მყარია და

კლდიდან მორღვეულ ლოდს ემსგავსება. ერთი შეხედვით რამდენი დაუდევრობა, უსწორმასწორობა, გაუმართავი რითმა, პროზაიზმი, არქაიზმი, დაუმუშავებელი, მძიმედ საკითხავი სტრიქონი შეგვხვდება მასთან, მაგრამ ყველაფერს მაინც დინჯი, დარბაისლური კილო, ღრმააზროვანი სიბრძნისა და სიდიადის ბეჭედი აზის. იგი გვატყვევებს ხალასი ბუნებრივობით, გვხიბლავს ჭეშმარიტი პოეტური სიტყვით, ეშხით და გამორჩეულ ადგილს ისაკუთრებს პოეტური სიტყვის ისტორიაში.

სადავო არ არის ჩვენს კრიტიკაში დამკვიდრებული აზრი — გრიგოლ ორბელიანის შეხედულებათა გასაღები მის პოეზიაში უნდა ვეძიოთო. ერთი ცნობილი შემთხვევითი ფრაგმენტის გარდა არაფერი ამტკიცებს, რომ გრიგოლ ორბელიანი, როგორც პოეტი, აღტაცებულია მონარქიული რეჟიმით. მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებსა და წერილებში ვხვდებით მეფისა და მის მოხელეთა ქებას. იგი არც ლექსებში, არც პოემაში ქედს არ უხრის მეფის მოხელეებს, არც კი ახსენებს მეფისნაცვალთ, თავის უფროსებსა და თანამებრძოლთ, მხოლოდ თანამემამულე გმირთა დიდების მეხოტბეა, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს.

მხოლოდ ოფიციალური აუცილებლობითაა ნაკარნახევი პოეტის სიტყვები:

ხელმწიფეე ჩვენო,
ძლიერო ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელობითა...

გრ. ორბელიანს თავისი პოეზიის საგნად არ გაუხდია ვორონცოვი და ბარიატინსკი, არც პასკევიჩის სუსხიანი სახელი. სამაგიეროდ ასეთი პატივის ღირსად ცნო ყარაჩოღელები, მუშა ბოქულაძე, ლოპიანა, ბეჟანა მკერვალი... თუ ცხოვრებაში მახვილით იმპერატორს უკაფავდა გზას მთასა და ბარში, კალმით სავსებით თავის სამშობლოს დიდების ტაძარს ემსახურებოდა და სძენდა მშობლიური სიტყვის ფასდაუდებელ სიმდიდრეს.

როგორც აღნიშნავენ, „ტოლუბაში“, ეს ისტორიულ-პატრიოტული პოემა-ჰიმნი, მიბაძვაა ჟუკოვსკის პოემისა „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მიბაძვაა ინგლი-

სელი თომას გრეის ოდისა „ბარდი“ (Thomas Gray, „The Bard“), სადაც მებრძოლთა ბანაკში მყოფი მომღერალი, ბარდი, მგოსანი, ადიდებს წარსულისა თუ თანამედროვე გმირებს.

მაგრამ გრ. ორბელიანის პოემა ჩანაფიქრითაც, შინაარსითაც და მხატვრული აქსესუარითაც მკვეთრად გამოირჩევა ჟუკოვსკის პოემისაგან.

ორბელიანის პოეზიაში ამქვეყნიური სიამის, შექცევისა და ეპიკურეიზმის ნაკადი იმდენად დიდია, რომ თუ მას პესიმისტური სულისკვეთებისა და რეაქციული იდეების ქადაგებას დავწამებთ, მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა. ხანდაზმული მგოსნის შემოქმედებაში ბოლო დროს უიმედობის, გოდებისა და სასოწარკვეთილების მოტივი უფრო პირადი ტრაგედიისა და სამშობლოს უბედობით გამოწვეული მიუსაფარი სულის ტანჯვაა, ვიდრე წუთისოფლის ამაოების ფილოსოფიური დასაბუთების ცდა.

გრ. ორბელიანის რომანტიზმი დაწვრილებით აქვთ შესწავლილი ჩვენს მკვლევარებს. აქ მხოლოდ ერთხელ კიდევ შევნიშნავთ ზოგადად, რომ მისთვის უცხოა სამშობლოს საზღვრებს მიღმა ლტოლვა, ოკეანეებსა, ჯუნგლებსა და უდაბნოებში რაღაც მიუწვდომელი სიამისა თუ სიმშვიდის ძიება. გრ. ორბელიანისათვის არაა უცნობი არც ფრიდრიხ შლეგელი, არც ბაირონი და გერმანელი თუ ფრანგი რომანტიკოსები, მაგრამ მისთვის სრულიად მიუღებელია მათი სინამდვილიდან გაქცევის, მოვლენათა და გრძნობათა რაღაც ავადმყოფური აღქმისა და მისტიციზმის ფილოსოფია.

ჯანსაღი ჰედონიზმი, ცხოვრების სიამეთა მიღება, ღვინით და სიყვარულით ტკბობის ქადაგება გრიგოლ ორბელიანს აყენებს იმ ბრძენ აღმოსავლეთელ რეალისტ პოეტთა შორის, რომელთაც იცოდნენ სიტყვის ფასიც და ცხოვრების აზრიც. თავის ჭაბუკ მეგობარ ანტონ ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსით დაწყებული, ვიდრე სიცოცხლის ბოლო წლებამდე, არ უქცევია ზურგი დარბაისელ პოეტს დარდიმანდული სამყაროსათვის და ცხოვრებას ისე უყურებდა, როგორც მებაღე უყურებს თავისი ნიჟის ნაყოფს, სურნელოვან ყვავილნარს.

გრ. ორბელიანისათვის ყველაფერზე ძვირფასი საკუთარი სამშობლოა. მისთვის კოჯრის ნიავი უფრო საამოა, ვიდრე თვალუწვდენი

ტრამალების პატრონობა და მფლობელობა. ეს ჩანს თუნდაც მისი ერთ-ერთი წერილიდან, სადაც ეკატერინე ჭავჭავაძეს სთხოვს, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, მშობლიურ კუთხეში დააბრუნე შენი შვილიო.

გრიგოლს მუდამ აღელვებს ქართველთა ბედი, სადაც უნდა იყვნენ ისინი. 1855 წლის 7 ივნისს სვიმონ შალიკაშვილს სთხოვს: ჩვენი ინგილოების — ახალი ქრისტიანების ამბავი მომწერე, როგორ არიან, შიში ნურაფრისა ექნებათ, არავის დავაჩაგვრინებთო.

ვინ არ მოუხიბლავს გრიგოლ ორბელიანის „იარალის“, მის შესანიშნავ ლირიკულ ქმნილებებს: „ჩემს დას ეფემიას“, უმშვენიერესს „საღამო გამოსალმებისა“, მის მუხამბაზებს?..

„მუშა ბოქულაძე“ უკვდავი პოეზიის გამარჯვებაა არისტოკრატიულ გულზვიადობაზე. თუნდაც ეს არ იყოს გულწრფელი, საქმის ცოდნით დაწერილი ნაწარმოები, თუნდაც მუშის ძონძებში ჩანდეს გენერლის მუნდირი, მაინც ფაქტია, რომ მეფეთა შთამომავალმა, დიდმა მებატონემ თანაგრძნობის ლექსი უძღვნა უბრალო მაშვრალს, ყურადღება მიაქცია მის უუფლებობას და ერთგვარი ხარკი გაიღო დაჩაგრული და დაბეჩავებული თანამოძმისადმი. ხოლო სულ სხვაა საკითხი, თუ როგორ გამოიყურება ამ მუშის კოლორიტული ფიგურა XIX საუკ. მეორე ნახევრის სინამდვილეში თავისი სულიერი მდგომარეობით, ქედდრეკილობითა და რელიგიური მრწამსით.

ცნობილ პოემაში „სადღეგრძელო“ მრავალი მშვენიერი სტრიქონია, საერთოდ კი იგი საკმაოდ მძიმე და გაჭიანურებული ლექსია, რიტმი და მარცვალთა რაოდენობაც კი არაა ყველგან დაცული, და მაინც ეს არის მძლავრი ორბელიანისეული პოეტური ლოდი, დიდი მისი ზემოქმედებითი ძალა:

> ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
> არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
> ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თვისი სისხლი,
> არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!

მართებულად შენიშნავს პროფ. აკაკი გაწერელია, რომ „სადღეგრძელოს“ პოეტური ღეროდობა:

ვაი თუ ჩემმან, გლახ შავმან ბედმან, აქ განმისაზღვრა მეც
აღსასრული!
ვაი თუ მოვჰკვდე ესრეთ ყარიბად, გულს არ დამეცეს
სატრფოის ცრემლი, —

რაღაცნაირად გვაგონებს ნ. ბარათაშვილის „მერნის“ ცნობილ სტროფს: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში“.

ეს სწორია, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერ გავიზიარებთ პროფ. აკაკი გაწერელიას მოსაზრებას*, თითქოს „ნ. ბარათაშვილის განთქმული სტროფი... „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში“...— წინამორბედს პოულობს სწორედ „ტოლუბაშის“ ვარიანტებში:

„ვაი თუ ჩემმან, გლახ შავმან ბედმან, აქ განმისაზღვრა მეც აღსასრული!
ვაი თუ მოვჰკვდე ესრეთ ყარიბად, გულს არ დამეცეს სატრფოის ცრემლი“...
და სხვ.“...

ამ შემთხვევაში ნ. ბარათაშვილიცა და გრიგოლ ორბელიანიც ქართული აზრის, სიტყვისა და ლექსის მეუფეს რუსთაველს ხვდებიან. ორივე პოეტის ამდაგვარი სახეების საერთო სათავის ძკვებავი წყარო, როგორც თვითონ ა. გაწერელიაც აღნიშნავდა 1951 წელს იმავე „საბჭოთა მწერლის“ მიერ გამოცემულ წიგნში, შოთას უკვდავი სტრიქონები უნდა იყოს:

თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტირის მშობელმან,
ვერღა შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან, —
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე-მლმობელმან.

ბუნების აღწერაში, ვაჟას შემდეგ, გრიგოლ ორბელიანს ტოლი არ ჰყავს ქართველ პოეტებს შორის. მან სულ რამდენიმე სურათი მოგვცა ბუნებისა, მაგრამ ეს რამდენიმეც საკმარისია ასეთი გაბედული დასკვნის გამოსატანად. და ეს იმიტომ, რომ ორბელიანი ხალხია, უშუალო, დიდოსტატი. თუ ჩვენი ქართული სიტყვის ზოგიერთი მესვეური ინტელექტუალურად განიცდის ბუნებას, შორით ჰვრეტს ან გონების თვალით სწვდება, გრიგოლ ორბელიანისთვის

* აკაკი გაწერელია, თხზულებათა სრული კრებული, „საბჭოთა მწერალი“, 1959, გვ. 017.

ბუნება პოეტურ სტრიქონებში გადასული და გადამდნარი, ჭეშმარიტი მხატვრის საღებავებით ცოცხალქმნილი საოცრებაა.

ა. ლაისტის ენით რომ ვთქვათ, „გრიგოლ ორბელიანის როგორც ლირიკულ, ისე ეპიკურ პოეზიას აღტაცებაში მოჰყავს ადამიანი თავისი მაღალი აზრით, კეთილშობილური ენითა და მშვენიერების ღრმა გრძნობით“*.

ა. ლაისტი გრ. ორბელიანს, როგორც ბუნების მხატვარს, ვაჟას ადარებს: „ვაჟა-ფშაველას მხატვრული ნიჭი გასაოცარია. გარდა გრიგოლ ორბელიანისა არც ერთ ქართველ პოეტს არ შეუქმნია ბუნების ასეთი დიდებული მხატვრული სურათებიო“, — ამბობს ჩვენი ხალხის უანგარო მეგობარი. შემდეგაც ლაისტი გრიგოლ ორბელიანს ილიას, ვაჟას, აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით აყენებს და მათთან ერთად „საქართველოს დიდების გამახსივოსნებელს“ უწოდებს, თვლის პირველხარისხოვან, თვითმყოფ პოეტად, ლირიკული პოეზიის დიდოსტატად, რომლის ლექსი „ღრმად მორწმუნე კაცის ლოცვას ჰგავს“.

„პეტეფის მსგავსად დააქვს თან თავისი ქვეყნის მიწის სუნთქვა და თავისი ხალხის ყველა თავისებურება, და მისი ლექსებიდანაც იგრძნობა, რომ წიგნების მტვრისაგან არ შექმნილან. ის იყო ბუნებრივი, ხალასი პოეტი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მუზის წყალობით მომღერალი, რომელიც თხზავდა მხოლოდ მაშინ, როცა გული კარნახობდა“**.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ჩნდებიან ახალი იდეები, ახალი ადამიანები, ახალი ურთიერთობანი. ასეთი გარდაქმნის ჟამს რომ ერს ღირსეული მგოსანნი და ხელოვანნი მოევლინებიან, ეს ნამდვილი ციური წყალობაა. ამიტომაც გამორჩეული მადლიერების გრძნობით გვმართებს ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის და სხვა მათს თანამოკალმეთა სახელების გახსენება. უცხოელი მეგობრის არტურ ლაისტის მახვილი თვალიც კარგად შენიშნავდა ამ გარემოებას:

„ჯერ კიდევ თვლემდა ქართველობა ახალ დროში. იმ ეპოქაში

---

* არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1963, გვ. 190—191.

** Artur Leist, Das georgische Volk, Dresden, seite 252.

ორი მგოსანი გამოჩნდა, მათ კვლავ გამოაცოცხლეს ქართული პოეზია და მშობლიური ენისადმი სიყვარული იმდროინდელ ქართველობაში. ესენი იყვნენ გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები. ამ ორი მგოსნის ნაწარმოებებმა დიდი როლი შეასრულეს, ბარათაშვილთან ერთად მათ ქვეყანას დაუმტკიცეს, რომ ქართველ ერში შემოქმედების უდიდესი ძალაა ჩამარხული, რომელიც ძლიერებით გადმოსკდა და მშვენების ნათელი მოჰფინა მთელ საქართველოს... ეს პოეტური ნაწარმოებები ქართველი ერის სიცოცხლის ერთ-ერთი სხივი იყო. ქართველებისათვის ამ სამ მგოსანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა"*.

გრ. ორბელიანის დარდიმანდული მეინახობის გამო სწორად შენიშნავს აკაკი გაწერელია: „გრ. ორბელიანს გულწრფელ ჰუმანიზმთან ერთად არ აკლდა ერთგვარი ირონიაც თავისი ლექსების პერსონაჟების მიმართ, იგი მათ დაჰყურებდა ზემოდან, იმ დარდიმანდული ქედმაღლობით, რომელიც ხელს არ უშლიდა პოეტს იმავე დროს დემოკრატი და მათთან ტრაპეზის გამზიარებელი დარჩენილიყო"**.

გრიგოლ ორბელიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელს თავის ლირიკაში იგი ადიდებს მხოლოდ იმას, რასაც უნდა ადიდებდეს — მამულს, სახელოვან გმირებს, ქალს, სიყვარულს, და არა მეფის ყოვლისშემძლე მოხელეებს, რომელთაც მხოლოდ ოფიციალურ მიმოწერაში უხდის უცილობელ ხარკს. ამრიგად, დიდი საფრთხის მიუხედავად, პოეტი დარჩა პოეტურ სიმაღლეზე, და მისი ოფიციალური ბიოგრაფია არავითარ ზიანს არ აყენებს იმას, რაც ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურში შევიდა.

„დროება" გრ. ორბელიანს მუდამ „კლასიკურ პოეტს", „საოცარი ბუნების" პოეტს ეძახდა, იცავდა მის ღირსებას „უგვანო წერილთა მჯღაბნელ", „უმეცარი გონების პატრონ" დილეტანტებისაგან.

„მეფე სიტყვისა, ლექსთა მეფეო", — ასე უწოდა ვახტანგ ორბელიანმა დიდ ნათესავს.

---

* არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1963, გვ. 145.

** გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, „საბჭოთა მწერალი", 1952, გვ. 060.

ვახტანგ ორბელიანი გრიგოლზე მაღლა ახალ პოეტებში მხოლოდ ბარათაშვილს აყენებდა.

კიტა აბაშიძე ამოუსებელ უფსკრულს ხედავს გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებასა და მის პოეზიას შორის. ზედმეტადაც კი თვლის მწერლის ბიოგრაფიის მოთხრობას, რაც, საერთოდ, კურიოზების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. ჯერ ერთი, ორბელიანს არ შეუქმნია თავის მმართველობაში „დრაკონული კანონები“, როგორც ჩვენი ცნობილი კრიტიკოსი ამბობს, და ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც ფაქტებს უფრო ახლოს გაეცნობა; მეორეც, არავითარი ასეთი უფსკრული არ არსებობს რომანტიკოს ორბელიანის ლექსებსა და თავისი გვარის მზის ჩასვენებით გამოწვეულ მის კაეშანს შორის. აქ ადამიანური, ისტორიული და პოეტური ამბებია ერთმანეთში გადახლართული, და ეს სულაც არ გვაძლევს პოეტის ბიოგრაფიის „უარყოფის“ უფლებას.

უცნაურია, რომ პოეტის ბიოგრაფიით ეგზომ აღშფოთებული კრიტიკოსი თავისი წიგნის მომდევნო გვერდზე აღიარებს იმ საყოველთაო სიყვარულს, რაც „უმაღლესი სიყვარულის გრძნობის“ მგოსანმა გრიგოლ ორბელიანმა მოიპოვა საქართველოში. დრაკონის კანონთა დამკვიდრებით საყოველთაო სიყვარულს ადამიანი ვერ მოიპოვებდა, თუნდაც ზეციური ლექსები დაეწერა. აქ საქმე გვაქვს თავისებურ პიროვნულ და პოეტურ ჰარმონიულ მთლიანობასთან, რასაც ჩრდილს აყენებს მხოლოდ დროის ხარკი, შექმნილი ვითარება, უშუალო მოვალეობა, რაც პოეტ-სარდალს ეკისრებოდა.

კიტა აბაშიძე მაღალ შეფასებას აძლევს გრ. ორბელიანს, როგორც პოეტს, რომელმაც „პირველად... შემოიტანა ჩვენს სალირიკო პოეზიაში ბუნების აღწერილობა, ბუნების სურათთა განცხოველება, ამ სურათისათვის სულის ჩადგმა... ახალი აზრი სიყვარულზე, მიაქცია ყურადღება ამ გრძნობის იდეალურ მხარეს... ქართველი ერის დარდსა და მწუხარებას...“*, მაგრამ კიტა აბაშიძე სასტიკია ორბელიანის პიროვნების მიმართ, და ამტკიცებს, რომ „ჩვენის ერის ძველი, დახავსებული და ნიადაგ აშმორებული აზრების მქადაგებელი შეიქმნაო“.

---

* კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1963, გვ. 60—61.

ეს ცალმხრივი დახასიათება საჭიროებს გადასინჯვას.

გრიგოლს, დიდების მწვერვალზე მყოფსაც კი, უთუოდ გულს უდაგავდა „სიმძიმე ვაებისა, მწუხარებისა და უნუგეშო მდგომარეობისა“, „სიგლახაკე და უიმედობა“ (1881 წლის 16 აპრილის წერილი ლორის-მელიქოვისადმი), რაც მხოლოდ თავადაზნაურობას არ აწვა ტვირთად. ოღონდ ესაა, ჩვენი გენერალი-პოეტი უფრო ზოგადი, არისტოკრატული, საერთო-საკაცობრიო ფიქრთა მწვერვალიდან დასცქეროდა ამ ძნელბედობას და არ უცდია დაკავშირება მასებთან, რომელთაც შეეძლოთ ამ უღლის დამსხვრევა. გრიგოლ ორბელიანს ამას ვერც მოვთხოვდით.

გრიგოლ ორბელიანი საქმიან მონაწილეობას იღებს ყველა კულტურულ ღონისძიებაში, რაც მისი სამშობლოში ყოფნის დროს გატარებულა: ვეფხისტყაოსნის რედაქციაში, პოლიტექნიკური სკოლის დაარსების საქმეში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში, ბანკის შექმნაში, ახალ ნაწარმოებთა შეფასებაში. გატაცებით კითხულობდა ილიას, აკაკის, ყაზბეგის ნაწერებს. გრიგოლი არქაისტია ენის საკითხში, შეხედულებებში, მაგრამ ხშირად კომპრომისზეც მიდის და მთლიანად არ უარყოფს ენობრივი სიახლის ტალღას, ლამაზ, ნაკადულისებრ მდინარე სამწერლო ენის მომხრეა და ასეთია მისი დარბაისლური ლექსიც.

პირველი ქართული ბიბლიოთეკის დამაარსებელთა შორის დიმიტრი ყიფიანი, ბუნებრივია, ასახელებს გრიგოლ ორბელიანსაც*.

გრიგოლი თვალყურს ადევნებს ყოველ კონფლიქტს ევროპასა თუ აზიაში და მეომარი გენერლებისაგან განსხვავებით მუდამ ნატრობს, „ღმერთმა ინებოს, რომ არ მოხდეს ომიანობაო!“

ჩვენ მხოლოდ ცალკეულ მომენტებს აღვნიშნავთ იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ძლიერი, მრავალფეროვანი, კეთილშობილი და თავისებური იყო გრ. ორბელიანი, როგორც პოეტი, მოქალაქე, მოღვაწე, ნათესავი, მეომარი, პატრიოტი.

პრინცესა სალომე მიურატს, აშილ მიურატის ცოლს, დავით დადიანის ასულს, გრიგოლისათვის ისე ესიამოვნებინა ქართულ ენაზე დაწერილი წერილით, რომ გულაჩუყებული პოეტი ქართული ენის

---

* დ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 105.

და საერთოდ ენის ნამდვილ აპოთეოზს იძლევა საპასუხო წერილში, 1877 წლის 12 აგვისტოს:

„მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა, ჩემო მშვენიერო სალომე... განა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალებისაგან?“

რაკი ყოველი ქართველი ქალისაგან მოითხოვდა ენისა და მწერლობის ცოდნას, რა დღე დაადგებოდათ მწერლებსა და რედაქციებს, რომელნიც, გენერალ-პოეტის აზრით, ქართულ ენას ამახინჯებდნენ? არავინ რჩებოდა გაუკენწლავი. უწინ ენის სიწმინდეს მონასტრებში იცავდნენ, „ახლა რედაქციის მეტი ვინღა დაგვრჩა ენის მფარველად, რომ ესეცა ასე დაუდევნელად, გულ-შეუტკივრად ბეჭდავს ყოველსა არეულად დაწერილსა? ჩვენის ჰაზრით, რედაქციას აწევს მოვალეობა, რომ სასტიკი ყურადღება მიაქციოს ჩვენს მართლწერაზედ და კანონიერად ენის ხმარებაზედაც“*.

გრიგოლ ორბელიანის ფერადი ფანქრის წვერი მოხვედრიათ: გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის, ეკატერინე გაბაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, თვით ილიას ნაწერებს, მაგრამ ყველაზე მეტად სერგი მესხისას, რომელიც მიაჩნდა გაუნათლებლად და რედაქტორობის არა ღირსად. „უჰ, რა უბედური ენა შეიქმნა საწყალი ქართული ენა! — წაიწერა ერთგან. — ეს ცოდვა იყოს შენს კისერზე, მესხი“. სხვაგან კიდევ: „უბადრუკო მესხი, აქამდე ვერ ისწავლე ქართული და ვერც ისწავლი შენს სიცოცხლეში“**. ცნობილი ლექსი კი, რომელიც მხოლოდ 1933 წლის „დროშის“ მეათე ნომერში გამოქვეყნდა, ასე იწყებოდა:

ვერ ისწავლა მესხმა წერა,
ვერა, ვერა!

მართალია, არც გრიგოლ ორბელიანია უცოდველი ენის საკითხში, მეტადრე პროზაში, წერილებში, რუსიციზმებით რომ აქვს გადატვირთული, მაგრამ მისი შენიშვნების უმრავლესობა თავის თა-

---

* „ცისკარი“, 1874, № 9—10

** „დროება“, 1875, № 32.

ნამედროვე მწერალთა ენობრივ კურიოზებზე ნამდვილად სწორი და საგულისხმოა.

გრიგოლ ორბელიანი არა მარტო ნიჭიერი პოეტი და გონიერი სარდალი იყო, არამედ ჭკვიანი და გამოცდილი მმართველიც. თვითონ ხომ უტაქტოდ და განუსჯელად ნაბიჯს არ გადადგამდა, მაგრამ შთავრობასაც ხშირად აფრთხილებდა, არც ერთ მხარეში მოუმზადებლად და შეუჩვევლად ახალი კანონ-წესები არ შეეტანათ: „ახალი რჯული და ძველის დარღვევა არ ვარგა ქვეყანაშიო“, — ურჩევდა უგნურ მოხელეებს, რომელთაც თვითონვე ატყდებოდათ თავს ძალადობის მძიმე შედეგები.

გრიგოლი აღშფოთებულია იმ მბრძანებელთა უგნურობით, კავკასიის გამოყოფასაც კი ზედმეტად რომ თვლიდნენ და საქართველოს ჩრდილოეთის გუბერნიებს უთანაბრებდნენ.

„მინისტრების შეხედულება, კავკასიის მხარის თავისებურებებს რომ არ ცნობენ, უდიდესი უბედურებაა აქაური მოსახლეობისათვის, რომლებიც რელიგიების, ენების, ჩვეულებების და ცნებების სხვადასხვაობით ხასიათდებიან... აბა, რა არის საერთო პეტერბურგსა და ზანგეზურს შორის, არაქსის ნაპირას რომ მდებარეობს?“ — ასე სწერდა მირსკის 1865 წ. 26 მაისს.

ჩვენს სასიქადულო პოეტს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზის ახალი საუღელტეხილო უბნის (სოფელ ქვეშეთიდან კობამდე, მლეთზე გავლით) მშენებლობის საქმეში*.

. თუ რა დიდი და სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის დარიალის ხეობით მიმავალ გზას, ჩრდილო კავკასიისა და მერე კი ცენტრალური რუსეთისაკენ, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მაგრამ ამ გზის როლი და მნიშვნელობა 1801 წლიდან კიდევ უფრო გაიზარდა. ამ გზის პირველი საამშენებლო უბანი ქვეშეთიდან ჭუმლისციხემდე გახსნა მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა ორბელიანმა. საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულია გრიგოლ ორბელიანის ბრძანებები, განკარგულებანი და მითითებანი საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის

---

* ამის თაობაზე საინტერესო მასალაზე მიგვითითა ღვაწლმოსილმა ინჟინერმა ნ. კვეზერელმა-კოპაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

საქმეების გამო. საბუთებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი მონდომებითა და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა გრიგოლ ორბელიანი ამ გზის მშენებლობის საქმეს და როგორი დაუნდობელი იყო იგი გზის მშენებელ მომხვეჭელთა მიმართ. როცა 1866 წელს თბილისში დაარსდა რუსული ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება, ამ საზოგადოების საპატიო წევრად ყველამ ერთხმად გრიგოლ ორბელიანი აირჩია. ამჟამად მლეთის აღმართის მეორე მოსახვევში მოქმედებს 1862 წელს გრიგოლ ორბელიანის უშუალო ხელმძღვანელობით აშენებული შადრევანი, სადაც მგზავრები ხშირად ისვენებენ, დროს ატარებენ, მაგრამ ბევრმა მათგანმა შეიძლება არც იცოდეს, რომ ამ სიამოვნების მომნიჭებელი ადამიანი დიდი ხანია, რაც ქაშვეთის ეკლესიის თაღქვეშაა დავანებული. კარგი იქნება, თუ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო ამ ადგილას მემორიალურ დაფას გააკეთებს და ამითაც მოაგონებს გამვლელთ ღირსეული წინაპრის ღვაწლს.

არც ერთი დარგი არა რჩება უყურადღებოდ გრიგოლს. პოეტი ვერ შერიგებია საქმის წარმოებას ადგილობრივი ხალხისათვის გაუგებარ ენაზე. „რას იტყოდა რუსი ხალხი მოსკოვში, რომ ინგლისურ ენაზე გაემართათ სასამართლოები?“ — ეკითხებოდა თავის მეგობარს მირსკის.

როცა თბილისში გენერალი კორსაკოვი ჩამოვიდა სამხედრო გიმნაზიის გასახსნელად, გრიგოლი ერთ კერძო წერილში ამბობს, ეს კარგია, მაგრამ აქაურ მხარეს და მთელს რუსეთს ამჟამად უფრო პოლიტექნიკური სკოლა ესაჭიროება, ვიდრე სამხედრო გიმნაზიებიო.

გონებანათელი მწერლის ეს შორსმჭვრეტელური თვალსაზრისი იმავე დროს მოწმობს იმასაც, რომ გრიგოლ ორბელიანი არ ყოფილა არც მხოლოდ სამხედრო მოღვაწე და არც ისეთი კონსერვატორი, რომელიც მხოლოდ დაცემულ სამშობლოს ოდინდელ დიდებას მისტიროდა. მას აწუხებს ის, რომ სახალხო განათლების საქმე ზანტად მიდის, არა გვაქვს უნივერსიტეტი, ქვეყნის სიმდიდრე გამოუყენებელია, 70 წლის განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა, ისევ სახნისით ხნავენ, ურემზე შორს ვერ წასულან... (1875 წ. 4 მარ-

ტიც წერილი მანანას ვაჟის, ივანე ორბელიანისადმი). საქართველოსაც შეჰქონდა წვლილი მსოფლიო ისტორიის ჩარხის ტრიალში, ისიც ებრძოდა შავ ბედს, ბარბაროსობას, მანაც უნდა მიიღოს თავისი წილი.

მაგრამ გავიხსენოთ გრიგოლის უკვდავი სიტყვები თვით რუსეთზე, „დიდებულ იმპერიაზე“, მის ძლიერებაზე, მის „დიდ მომავალზე“, მისი პროგრესის დიდ მესიტყვეზე, გერცენზე... ჩვენი რომანტიკოსის ეს თვალსაზრისი, გამოთქმული თუნდაც ლორის-მელიქოვზე თავდასხმის გამო, ჯეროვნად კიდევ არაა დაფასებული. აქ საქმე გვაქვს არა ფეოდალიზმის მოტრფიალე რომანტიკოსთან, არამედ დიდ მსოფლიო მოაზროვნესთან. რომლის ნათელი, ამაღლებული აზრის მომხიბლავობა დროთა მანძილზე კიდევ უფრო გაიზრდება.

გრიგოლ ორბელიანმაც გაიზიარა მრავალი გამოჩენილი პოეტის ბედი. სიცოცხლეში ვერ მიიღო ჯეროვანი აღიარება, როგორც შემოქმედმა.

ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი იცნობს ინფანტერიის გენერალს თავად გრიგოლ ორბელიანს, მაგრამ არა პოეტ გრიგოლ ორბელიანს, სამაგიეროდ გამოჩენილ პოეტად თვლის ვახტანგ ორბელიანს.

ჩვენი ნაშრომის მიზანია შეძლებისამებრ შეაჯამოს და შეკრას ჩვენი დიდი ლირიკოსის ხანგრძლივი ცხოვრების ამბავი. ხალხს უყვარს რაღაც განსაკუთრებული, ამაღლებული, ის, რითაც ერთი ადამიანი ათასებისაგან გამოირჩევა. ასეთი გამორჩეული თვისებით აღჭურვილი ადამიანია ორბელიანიც, როგორც პოეტი, მოქალაქე, მოღვაწე და სარდალი.

იმ დროის გამოჩენილ ქართველ მწერალთა ცხოვრების სრული სურათის აღდგენა საერთოდ ძნელია, რადგან მაშინ არ იყო ან თითქმის არ იყო ბეჭდვა, რომ ჟურნალ-გაზეთებში ან წიგნებში „გამოეჩხრიკა“ ადამიანს მრავალი საყურადღებო, აწ დავიწყებას მიცემული ცნობა, არ არსებობდა მწერლობა, როგორც ცალკე სფერო, როგორც „პროფესია“, მოწოდება, სულიერი და მატერიალური საარსებო წყარო.

მით უფრო ძვირფასია ცალკეულ მოღვაწეთა, პირველ რიგში

იონა მეუნარგიას გულისხმიერება, რამაც შემოგვინახა ან აღადგინა ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვათა ცხოვრებიდან.

გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიის საქმე შედარებით უკეთ არის. საუკუნის ამ ერთ-ერთი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების შესახებ პირდაპირ ზღვა მასალაა გაბნეული მის პირად წერილებში, მაშინდელ აქტებში, გამოცემებში, კერძო თუ ოფიციალურ მიმოწერებში. მაგრამ ხალხს სურს იცოდეს მეტი, სურს იცოდეს ყველაფერი თავის საყვარელ შვილებზე. ჩვენც მოვალე ვართ აღვადგინოთ ყველაფერი, რისი აღდგენაც შეიძლება. ბოლოს-და-ბოლოს, სრული წარმოდგენა შევქმნათ ჩვენი კულტურული წარსულის ამ ერთ-ერთი ბუმბერაზის მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა მხარეზე.

გრიგოლ ორბელიანი მისდა შეუმჩნევლად ადგენდა თავის ავტობიოგრაფიას — პირადი წერილებით და სხვათა შორის — ათასში ერთხელ დაწერილი ლექსებით.

გრ. ორბელიანი თავის თხზულებებს ჩვეულებრივ ფრაგმენტებად წერდა. დროის, შთაგონების, ლირიკული მომენტებისა და გარემოების მიხედვით ჩაწერდა ლექსის ან პოემის ნაწილს, სტროფებს, სტრიქონებს, და მერე შეაერთებდა, შეკრავდა ხოლმე. ასე, მრავალი წლის შემდეგ შეიკრა საბოლოოდ „ტოლუბაშის“ ნაწილები და ათეული წლები გავიდა, ვიდრე ის დასრულებულ პოემად, „სადღეგრძელოდ“ იქცეოდა. ასევე დაწერილია „ჰე, ივერიავ“, „აღსარება“ და მრავალი სხვა.

პოეტის პირველმა ბიოგრაფმა და ქართველი მწერლების პლუტარქემ იონა მეუნარგიამ თავისი შინაარსიანი ლექციებით დააინტერესა საზოგადოებრიობა, უფრო ღრმად ჩააფიქრა და ათქმევინა: მართლაც, დიდი ბუნებისა და სიბრძნის ადამიანი ყოფილაო! ბიოგრაფის მთავარი დამსახურება მაინც ისაა, რომ პირადი დაკვირვების გარდა პოეტის ცხოვრების ამბავი გაამდიდრა მისივე მდიდარი წერილების გამოტანითა და ანალიზით, ამ წერილებში კი სწორედ ზღვა მასალაა გრიგოლ ორბელიანის ბუნების, მისი ფიქრებისა და გრძნობების შესწავლისათვის.

გრ. ორბელიანი გულწრფელია თავის ლექსებში, დღიურებში,

აღწერებში, პირად წერილებში — საერთოდ, გრ. ორბელიანი გულწრფელია და მეტად ამაყი, რომ იარტისტოს. ეს მეტ ფასს აძლევს მის ლექსებსაც, წერილებსაც და დღიურებსაც, როგორც ეჭვმიუტანელ ბიოგრაფიულ დოკუმენტებს. იგი არ ეკუთვნის იმ მწერლების რიცხვს, რომლებიც ცდილობენ შეთხზან, შეალამაზონ თავიანთი ბიოგრაფია.

ამ წერილებში უხვადაა ყოველდღიური, პირადული, უმნიშვნელო წვრილმანებიც და ღრმააზროვანი, მახვილგონივრული სტრიქონებიც. პირველი მოწმობს, რომ წერილებს გამოსაქვეყნებლად არ წერდა და არ ალამაზებდა, მეორე კი იმაზე მიუთითებს, რომ იყო დიდი აზრისა და გაქანების შემოქმედი, რომლის უბრალო პირადი წერილიც კი საგულისხმო აზრთა საგანძურია.

როგორც ჩვენი ლიტერატურის მკვლევარებმა შენიშნეს, „არავის ჩვენში იმდენი წერილი არ უწერია, რამდენიც გრიგოლ ორბელიანს“, და ესაა ერთგვარი მატიანე, „უაღრესად საქმიანი, მრავალი ფაქტითა და ამბით დატვირთული, ხშირად საგაზეთო ქრონიკებითა და წვრილმანი ცნობებით აღსავსე, მაგრამ ყოველთვის ეპოქის დამახასიათებელი, თვით პოეტის მდიდარი და ხანგრძლივი ცხოვრების დამსურათხატებელი, სულიერი სამყაროს ღელვისა და განცდების ლამაზ ფერებში გადმომცემი*. პროფ. აკ. გაწერელიას თქმით: „ეს წერილები ცხოვრების დოკუმენტებია, ძვირფასი წყაროა პოეტის ბიოგრაფიისათვის, მემუარების მაგიერი, სანდო, ცოცხალი და ამოუწურავი“.

ამ წერილებში საყურადღებოა არა მარტო პოეტის პირადი განცდების ისტორია ან მაშინდელი ისტორიული მოვლენების ფართო სურათი, არამედ ის ბრძოლაც, რასაც პოეტი ეწეოდა მშობლიური ენისა და კულტურის სასარგებლოდ. პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობა მეფის მოხელეებთან თუ სხვა არაკეთილმსურველებთან შეტაკებების ისტორიაცაა. ქართული ენის უფლებებისათვის ბრძოლის ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ წერილები სალომე მიურატთან, ლევან მელიქიშვილთან, იაკინთე ალექსი-მესხიშვილთან და სხვ.

* ს. ცაიშვილი, ზუგდიდის მუზეუმის შრომები, 1947, წინასიტყვაობა (იხ. ხსენებული „შრომები“, გვ. 207).

გრიგოლი არ ერიდებოდა საჭირო შემთხვევაში მიემართა „შვიდი იყლიმის მპყრობელი“ ხელმწიფის ძმისა და ნაცვლისათვის — მიხეილისათვის, რომ დაეცვა ჩვენი ეროვნული ღირსებები, რომ არ დაეჩაგრათ „სიტყვა ქართული, რუსთაველისა“.

ბიოგრაფიის ძირითადი წყარო დოკუმენტური მასალებია. ცხადია, ანგარიშს ვუწევთ და ნაწილობრივ ვიმოწმებთ ჩვენი მწერლების და მკვლევარების შრომებსაც, რადგან საისტორიო ანალები სათანადო სისტემაში მოყვანისა და გარკვეული მსოფლგაგების გარეშე მხოლოდ საშენი მასალაა და ამას გრძნობს ყოველი ბიოგრაფი, ყოველი ისტორიკოსი.

ამ წიგნის სახით მკითხველს გვინდა მივაწოდოთ ფართო და ყოველმხრივი სურათი გრ. ორბელიანის ცხოვრებისა, მეტადრე მისი სამხედრო მოღვაწეობისა, რასაც დღემდე დაწერილ მონოგრაფიებში შედარებით მოკლედ ეხებოდნენ. სამაგიეროდ, ავტორი შედარებით მოკლედ შეეხება პოეტის შემოქმედებას, რაც ასე ყოველმხრივ აქვთ განხილული ჩვენს მკვლევარებს — მიხ. ზანდუკელს, აკ. გაწერელიას, შ. რადიანს, აპ. მახარაძეს, ჯ. ჭუმბურიძეს და სხვებს.

როგორც გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესანიშნავმა მკვლევარმა და მცოდნემ აკ. გაწერელიამ აღნიშნა, „კავკასიურ ომზე არსებულ ლიტერატურაში გვხვდება ბევრი საყურადღებო ცნობა, რომელთა შესახებ გრ. ორბელიანის კერძო წერილებში არაფერია თქმული“. ბიოგრაფიული რომანის ავტორს დასჭირდა ამ ლიტერატურის საფუძვლიანი გაცნობა-შესწავლა, მისი ანალიზი და მოპოვებული მასალის შეპირისპირების საფუძველზე იმის აღდგენა, რაც „წერილებში“ გამოტოვებულია ან გაკვრითაა ნახსენები, ფონი — კავკასიის დიდებული მთები და ამ მთებში დატრიალებული დიდი ბრძოლებია.

ჩვენ აღვწერთ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებას და არა მარტო მის პოეტურ თავგადასავალს, თუმცა ეს ნაწილობრივ ერთი და იგივეა. აღვწერთ პოეტის, სამხედრო მოღვაწის, სამოქალაქო მოხელის ცხოვრების ამბავს. ამიტომ, ბუნებრივია, ზედმეტი დეტალებით გადატვირთვად ვერ ჩავთვლით მისი სამხედრო კარიერის დაწვრილებით გადმოცემას.

ჩვენი მიზანი იყო, მიგვეცა მკითხველისათვის ამ ბუმბერაზი მწერლის გრ. ორბელიანის ცხოვრების სრული, შეუფერავი, თანმიმდევრული სურათი, თანაც ვცდილობდით, რომ ეს არ ყოფილიყო ფაქტების მშრალი აღნუსხვა, არამედ შეძლებისამებრ მათი გააზრება, ანალიზი, განზოგადება და მხატვრული სიტყვის მოშველიებით იმისი აღდგენა, რაც დოკუმენტებში არ მოხვედრილა. რამდენად შევძელით დასახული ამოცანის შესრულება, ამას პირუთვნელნი მსაჯულნი — მკითხველნი და დრონი განსჯიან.

ბავშვობა, ყრმობა, ახალგაზრდობა

დაუჯერებელი ჩანს, მაგრამ ორბელიანთა წინაპრები ბარათაშვილები არიან. ღვიძლი ძმებივით მოდის ეს ორი ძლიერი გვარი საუკუნეების ქარცეცხლში, ბურჯებად უდგანან ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი ძლიერების სიმაგრეს, ხმლითა და კალმით ასახელებენ „ქედმოუხრელ ივერიას“.

გრიგოლი თავმომწონედ უწოდებს თავს „ყაფლანიშვილს“ და არც თუ უსაფუძვლოდ: სახელოვან სულხან-საბა ორბელიანის პაპა ყაფლან ორბელიშვილი მეთექვსმეტე საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალია, ორბელ ბარათაშვილის შთამომავალი.

პოეტის გარდაცვალების გამო კაეშნით მოცული „ვინმე მესხი“ „დროებაში“ წერს, რომ გრიგოლ ორბელიანის წინაპრები საქართველოში 2500 წლის წინათ სკვითებთან ერთად შემოსულანო... მათ მეფის შთამომავალი ჯამბაკური, თავისი სახლობით დაახლოებია ქართველთა მეფეს, ამ უკანასკნელს სადგომად ჯამბაკურისათვის ორბეთი მიუცია, აქედანვე მიიღესო სახელწოდება ორბელიანნი, ამ დროიდანვე დაიწყო მათი აღზევება ქართველ მეფეთა კარზე: აქედან მოყოლებული განუწყვეტლივ ყოფილან ორბელიანნი დიდ წარჩინებულ მოხელეებად, ეზოსმოძღვრებად, სარდლებად, და ყველაფერში დიდი ნიჭი გამოუჩენიათ. აქედანვე გადასულა ორბელიანთა ერთი შტო სომხითს.

ორბელიანთა გვარის სახელოვან შვილთაგან პირველ რიგში იხ-

სენიებენ ლიპარიტ ორბელიანს, ლომგულ სარდალს, რომელიც 1047 წ. მეფე გიორგის სომეხ-ბერძენთა დასახმარებლად გაუგზავნია. პირველი გამარჯვების შემდეგ ლიპარიტისათვის უღალატნიათ და შეუპოვარ ბრძოლაში ძლეული, სპარსელებს ტყვედ წაუყვანიათ. ლიპარიტს სპარსეთში ორი წელი დაუყვია და მერე საქართველოში დაბრუნებულა.

გრიგოლს თანამედროვენი იმ განთქმულ ლიპარიტს ადარებდნენ.

ჩვენს სასიქადულო პოეტს თავისი დიდი წინაპარი იდეალად ესახება. შვილი რომ ჰყოლოდა, ალბათ, ლიპარიტს შეარქმევდა, მაგრამ რაკი არ ჰყავდა, თავის ძმას, ზაქარიას, ემუდარებოდა, თუ ვაჟი გეყოლა, ლიპარიტი უწოდეო. არც ძმამ შეუსრულა თხოვნა: შვილს სანდრიკო დაარქვა და პოეტის სურვილს ფრთები შეაკვეცა.

პოეტის პაპა, ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, მისი დიდედის, ელენე ბატონიშვილის მეორე ქმარი გახლდათ. ელენე პირველად ერეკლე მეფეს იმერეთის მეფე სოლომონ დიდის ძმისთვის, არჩილისათვის, მიუთხოვებია, დაქვრივებული კი მეორედ მეფეს ზაქარიაზე გაუთხოვებია. ზაქარია შეუპოვარი ვაჟკაცი ყოფილა, შემთხვევით არ უწოდებიათ მისთვის ლეკებს „მიწის მგელი". სადაც იელვა მახვილმა მისმა, მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლადო! — ამბობს სახელოვან პაპაზე პოეტი „სადღეგრძელოში". აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს ზაქარიას 600 კაცი მოუშველებია მეფისათვის.

ელენესათვის მეორე ქორწინებაც უიღბლო გამომდგარა. ხორეშანი შესძენია და თვითონ კი მალე გარდაცვლილა. ობოლი შვილიშვილი ერეკლე მეფეს სასახლეში მიუყვანია და ცამეტი წლისა ერთგული ზურაბისათვის მიუთხოვებია. ეს ქორწინება ბედნიერი გამოდგა.

პოეტის მამა ზურაბი, იგივე დიმიტრი, ერეკლე მეფის კარზე ძალიან დაახლოებული პირი ყოფილა. ზვიადსა და ენამახვილ ფეოდალს მერე რუსეთის სამსახურშიც გამოუჩენია სიქველე და ვაჟკაცობა. თავგანწირული და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ იგი ტყვედაც ჩავარდნია ირანის გულქვა მბრძანებელ აბას მირზას... შემდეგი

მისი ცხოვრება უფრო ბურუსითაა მოცული. ზაქარია ჭიქინაძე გვიმოწმებს, იმისი დაწერილი ლექსები მეც მინახავსო*.

ხორეშანი ძალიან ნაზი, მზრუნველი, ჰკვიანი, სათნო დედა ყოფილა. პოეტის ბიოგრაფი ამბობს, რომ გრიგოლის პატივისცემა მშობლებისადმი შვილობრივ სიყვარულს აღემატებოდაო.

გრიგოლის ძმები ზაქარია და ილია ცნობილნი არიან რუსეთის მიერ კავკასიაში წარმოებულ ომებში გამოჩენილი გმირობით, ხოლო მისი უსაყვარლესი და — ეფემია იმითაა ცნობილი, რომ ქართული პოეზიის დიდების — ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა შეიქნა.

გრიგოლი, ზაქარია და ილია თავისთავად შესანიშნავი ადამიანები იყვნენ, მამაცნი, განათლებულნი, კეთილშობილნი და დიდსულოვანნი.

ლიტონი სიტყვა არ არის იონა მეუნარგიას განცხადება: „იშვიათს ქართველ ქალს გაუზრდია ამდენი წარჩინებული ქართველებიო".

მომავალ პოეტს დედამ ჩაუნერგა „ერთგულება მამულისა, განუზომელი პატივისცემა მშობელთა და ნათესავთა. გზა სიკეთისა ასწავლა მას და სული აღუვსო მარადჟამ გამოულეველი სიყვარულითა და სათნოებით"**.

გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღზე მკვლევარები ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე ვერ შეთანხმდნენ. ამის თაობაზე ორბელიანის მემატიანე და ქართველი პლუტარქე იონა მეუნარგია წერდა: „ნამდვილად არავინ არ იცის, რა დროს დაიბადა გრიგოლ ორბელიანი. სრულ მის ნამსახურობის სიაში ის არის დანიშნული დაბადებულად 1800-ში, მის თანამედროვეთაგან კი რამდენიმე ამბობენ, რომ ის არის დაბადებული 1804 წელშიო... ცოტა ქვევით ი. მეუნარგია განაგრძობს: „ამრიგად, გრიგოლ ორბელიანი უნდა იყოს დაბადებული 1800-ს (იხ. „მოამბე", 1904 წ., № 2, გვ. 58). გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღად „ლეტოპის გრუზიის" შემდგენელმა ბ. ესაძემ 1799 წელი მიიჩნია. პოეტის ნამსახურობის ნუს-

---

* ზ. მთაწმინდელი, „ბესიკი, აღ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი", თბილისი, 1886, გვ. 40.

** ი. მეუნარგია, გრ. ორბელიანი, თბილისი, 1904.

ხაში აღნიშნულია, რომ: „გრიგოლ ორბელიანს 1821 წლის 7 ივნისს შეუსრულდა 22 წელი“. ალბათ, ეს გახდა საბაბი იმისა, რომ ბ. ესაძემ პოეტის დაბადების თარიღად 1799 წელი გამოაცხადა. კიტა აბაშიძეს გრიგოლ ორბელიანის დაბადების წლად 1801 წელი მიაჩნდა („ეტიუდები“, 1, გვ. 33). ალ. ხახანაშვილი პოეტის დაბადებას ხან 1800 წელს ვარაუდობდა („ქართული სიტყვიერების ისტორია“, II, გვ. 24), ხან 1804 წელს („Очерки“, IV, გვ. 24). 1910 წელს „ნაკადულის“ მეათე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ა. ხახანაშვილი წერს: „წელიწადი, რომელსაც აკუთვნებენ გრიგოლ ორბელიანის დაბადებას, აქამდის არ არის გამორკვეული, სამხედრო სამსახურის მოწმობით იგი დაიბადა 1800 წელს, ხოლო თანამედროვეთა მოსაზრებით, 1804 წელს“. ამ საკითხზე ი. ეკალაძეც ამავე აზრისაა: „გრ. ორბელიანის დაბადების წელი ნამდვილად არ არის გამორკვეული, მაგრამ მკვლევარების აზრით, იგი დაბადებულა ან 1800, ან 1804 წლებში“. მ. ზანდუკელს, კ. კაპანელს, ზ. ჭიჭინაძეს, ა. შანიძეს, ა. ბარამიძეს და ი. აბულაძეს გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღად 1800 წელი მიაჩნიათ (იხ. პირველის — „ახალი ქართული ლიტერატურა“, გვ. 174; მეორესი — „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“, გვ. 255; მესამის — „ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი“, 1886, გვ. 40; ბოლო სამისა კი — „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, 1966, გვ. 275).

ამრიგად, გრიგოლ ორბელიანი 1800 წელს დაიბადაო, ეს პირველად ფორმულარების, დოკუმენტების, ნამსახურობის სიისა და მოწმობების საფუძველზე დაასკვნა პოეტის პირველმა ბიოგრაფმა იონა მეუნარგიამ და მანვე დაუდო სათავე ამ თარიღს, რომელმაც თითქმის ერთ საუკუნეს იბოგინა. 1933 წელს აწ განსვენებული სახალხო პოეტი და მკვლევარი იოსებ გრიშაშვილი მუზეუმებსა და არქივებში სხვა მასალების ძიების დროს წააწყდომია გრიგოლ ორბელიანის ბიძების იოსებისა და გიორგი ორბელიანების წერილებს, რომლებსაც ლაშქრად მყოფ ძმებს ზურაბს (იგივე დიმიტრის, პოეტის მამას), ასლანს და სოლომონს სწერენ: „...ჩვენ ანბავს მოიხსენებ, მშვიდობით გახლავართ. ჩემი რძალი ღვთით მშვიდობით მორჩა და ვაჟი ჰყავს და გრიგოლ დავარქვით. დღეს რომ ამ თვის ცხრა არის, დღეის სწორია, რომ დაწვა და მოგილოცამ, ღმერთმა მშვიდობით და

ადრე გვაჩვენოს თქვენი თავი... ღვინობისთვის თ. ქკს უჟბ“ (ე. ი. 1804 წლის 9 ოქტომბერი).

მეორე ძმის, გიორგის ბარათში ზურაბისადმი ვკითხულობთ: „ზურაბ, მომილოცავს ჩემი რძლის მორჩენა. შენმა გაზდამ ასეთი ბიჭი გვყავს, რომ ეხლავ გჯობს. ღმერთმან გაზარდოს. სახელათაც გრიგოლ დავარქვით... ოქტომბრის ია, ქკს უჟბ“ (1804 წლის 11 ოქტომბერი). ამ საბუთებს მკვლევარი ი. გრიშაშვილი საქართველოს ცენტრალურ არქივში წასწყდომია, მაგრამ პუბლიკაციის დროს არ მიუთითებია ფონდი, საქმე, განყოფილება და მათი ნომრები.

ამ საბუთებს ხელმეორედ მიაკვლია აწ განსვენებულმა მკვლევარმა სოლომონ ცაიშვილმა, კვლავ გამოაქვეყნა ისინი და მიუთითა კიდეც, რომ წერილები ინახება საქართველოს ცენტრალური ს. ს. არქივის ძველი საბუთების განყოფილებაში: იოსებ ორბელიანის წერილის № 9284, გიორგი ორბელიანის წერილის — № 6292. ორივეს აქვს ოთხკუთხიანი ტვიფრული ხელრთვა ბარათების ავტორებისა.

გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღი თვითონ იოსებ გრიშაშვილსაც შეცდომით ჰქონდა მითითებული (იხ. მისი „საიათნოვა“, გვ. 52).

1947 წლის № 130 ზუგდიდის გაზეთ „მებრძოლში“ დაიბეჭდა შ. მესხიას წერილი, რომელშიაც ავტორი მხარს უჭერს ი. გრიშაშვილის მიერ უტყუარი დოკუმენტებით დადგენილ თარიღს.

ამრიგად, ი. გრიშაშვილის მიერ აღმოჩენილი და ს. ცაიშვილის მიერ ხელმეორედ მიგნებული და მითითებული დოკუმენტების პუბლიკაცის შემდეგ უდავოდ დადგენილ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომ გრიგოლ ორბელიანი დაბადებულია 1804 წლის 2 ოქტომბერს.

დიდი ქართველი პოეტის გრ. ორბელიანის დაბადების ზუსტი თარიღის დადგენას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორიოდე წელს თვით პოეტის ცხოვრების ისტორიის შესწავლასათვის მაინცადამაინც ისეთი დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. წელთა ცვლა საუკუნეთა ცვლას ემსგავსება. ტრადიციით დადგენილ ახალ წელს იცვლება წელი, მაგრამ ერთბაშად არ იცვლება ისტორიული ამინდი.

საქართველოს ცხოვრებაში კი მოხდა ისეთი დამთხვევა, რაც იშვიათად ხდება: ახალი საუკუნის დადგომასთან ერთად გადაწყდა მისი ათასწლოვანი ტრაგედია. ოსმალ-სპარსეთთან უთანასწორო ბრძოლაში სისხლისაგან დაცლილმა, ლეკების თარეშით დაქანცულმა საქართველომ თავის ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ერთმორწმუნე რუსეთს. მოხუცებულმა და ილაჯგაწყვეტილმა ერეკლემ ქართვლის ბედი ერთმორწმუნე რუსეთს ჩააბარა. საქართველოს უკანასკნელი მეფე „პოლიტიკაში მეტად საწყალი“ გიორგი XIII სამეფო ტახტს ყოველნაირად ებღაუჭებოდა, მაგრამ ტახტის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორმა პავლე პირველმა ხელი მოაწერა რუსეთთან საქართველოს „საუკუნოდ და სამარადისოდ შეერთების“ ტრაქტატს. 1802 წლის 7 მაისს პირველი მეფისნაცვალი კნორინგი საქმით შეუდგა საქართველოში იმ რეჟიმის დამკვიდრებას, რომელსაც რუსეთის იმპერია თანდათანობითა და დაჟინებით განამტკიცებდა თავის ქვეშევრდომთა შორის.

ხალხის ცხოვრება ამ რეჟიმს არ შეუმსუბუქებია. თუ ვახტანგის კანონით, გლეხისა, სულის გარდა, ყველაფერი ბატონს ეკუთვნოდა, ახლა სულიც მოხელეებმა და მებატონეებმა მიისაკუთრეს, და მშრომელი, შემოქმედი, მებრძოლი ხალხი ორმაგი ჩაგვრის უღელქვეშ უფრო მოიხარა.

მაგრამ აშკარა იყო რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობაც. საქართველო გადარჩა გასრესას, მაჰმადიანთა თვითნებურ თარეშს, ტყვევნასა და აოხრებას. ქართლს მფარველი კალთა გადაეფარა.

ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ქართველი ხალხი გულხელდაკრეფილი დადგა და შეჰხაროდა მოვლენილ სიკეთეს. არა: კიდევ მრავალი თაობის სისხლი დაიღვრება, ვიდრე საბოლოოდ დაცხრებიან ლეკები, უკუიქცევიან თურქები, თარეშის ხალისს დაკარგავენ ყიზილბაშები. არზრუმი, ერევანი, დაღესტნის მთები მოწმენი არიან ქართველ გმირთა, ჯარისკაცთა, გენერალთა თავგამოდებული ბრძოლისა — უკვე რუსეთის დროშის ქვეშ — მთელი ათეული წლების მანძილზე, ვიდრე სიმშვიდეს მოიპოვებდნენ.

ამ ბრძოლების გმირია გრიგოლ ორბელიანიც.

ხალხი იოლად როდი ეგუებოდა ახალი წესის, ჩვეულების, ჩაცმულობის შემოღებას. გრ. ორბელიანის ბიოგრაფმა შემოგვინახა პოეტის ნაამბობი, რაც კოლორიტულად ასახავს დროის ვითარებას:

„მახსოვს, ერეკლე ივანე მალხაზიჩის (ანდრონიკოვის) დედასთან, მარიამთან, შევედი და ბატონიშვილი დიდად და დიდად გაჯავრებული დამხვდა.

— რაო, ბატონიშვილო, რამ გაგაჯავრა ასე, ვინ რა გაწყენინა?

— როგორ რამ გამაჯავრა, უი, სირცხვილო! შვილო, გაგონილა, ოთარის ცოლსა ქოშები ეაუხდია და ბაშმაკები ჩაუცვამს!

— მერე, ბატონო, რაო, რომ ბაშმაკები ჩაუცვამს?

— ისა, შვილო, რომ დღეს რომ ქოშები გაიხადა, ხვალ სხვასაც გაიხდის“.

გრიგოლ ორბელიანი დაბალი ტანისა ყოფილა და ბავშვობაშივე „კურკა“ შეურქმევიათ. ეს მეტსახელი ჩვენი პოეზიის ბუმბერაზს ბოლომდე შერჩა.

იგი მშობლებს ხშირად უტარებიათ ანჩისხატის ეკლესიაში, სადაც დიაკონი დავითი თურმე სახარებას კითხულობდა, ხოლო პოეტის მამა ადგილიდან უსწორებდა: ასე კი არა, ასეა, რა ღმერთი გაგიწყრა, კითხვა ვერ ისწავლე, დიაკონო!

პატარა გრიგოლს, მართალია, ცით არა, მაგრამ ღირსეული მასწავლებლები მოვლენია. მისთვის წერა-კითხვა უსწავლებია და ქართული მწერლობის სიყვარული ჩაუნერგავს ცნობილ მწიგნობარსა და ანჩისხატის დეკანოზს დიმიტრი ალექსი-მესხიშვილს. ეს დეკანოზი სახითაც ისეთი მშვენიერი ყოფილა, რომ ვიღაც მხატვარს მისი სახება ეკლესიის გუმბათზე ქრისტე-ღმერთის ნატურადაც კი გამოუყენებია. ასე რომ, გრიგოლის პირველი მასწავლებელი სასულიერო პირი და თითქმის განსახიერებული ღმერთი ყოფილა და იმხანად საქმე ისე წარმართულა, როგორც დედა ხორეშანის აღთქმას შეეფერებოდა. ანჩისხატი — ეს იყო ძველისძველი არქიტექტურული ძეგლი, მოძველებული, ფართო აივნიანი, უზარო, ყვავილნარს მოკლებული და დიდი გალავნით შემოზღუდული. მის გვერდით ჰქონიათ ორბელიანებს ძველი საჯინიბოს შენობა და ძველისძველი სამლოცველო.

დიდი, ორსართულიანი, ფართო მოაჯირით შემოვლებული სახ-

ლი, აღამისდროინდელი არქიტექტურით, ფართო, ყოველს მცენარეს მოკლებული ეზოთი, შეულესავი, უშნო გალავნით და ალაყაფის კარებით; გალავნის ერთ ყურეში, წვიმისა და მზისაგან გახუნებული ფიცრული საჯინიბოთი და სახლის გვერდზე მიდგმული ეკლესიით, აი, ასეთი ყოფილა ორბელიანთა საგვარეულო სასახლე თბილისში. პოეტმა შემდგომშიაც არ მოინდომა ძველი დიდების ნაშთის შეცვლა-გადაკეთება. „მისი განახლება ჩემთვის აუტანელი იქნებოდაო“, — სწერდა იგი 1875 წლის თერთმეტ სექტემბერს გრიგოლ ბატონიშვილს.

ორბელიანთა ჯერ კიდევ ძლიერ ოჯახში იზრდებოდნენ მაჩაბლები, ანდრონიკაშვილები, ჩოლოყაშვილები, თარხანიანნი, მუხრანიანნი... ყველა შენატროდა ორბელიანთა ქუჩას, და ამას კარგად ხედავდა ყრმა გრიგოლი. მაგრამ გრიგოლი იმასაც მოესწრო, როცა ძველი დიდებით გაცისკროვნებულ ორბელიანთა სასახლეს ჩამავალმა მზემ უკანასკნელი სხივები სტყორცნა და სასახლის გვედრით პოლოსოვები და აბოვიანცები ჩამოეთესლნენ და გრიგოლის მამა-პაპათა საფლავი ცხვრის ფარეხად გადააქციეს.

ორბელიანთა უბნის მუდმივი სტუმარი პლატონ იოსელიანი რამდენიმე წლით უმცროსი იყო გრიგოლზე. აზრები კი თითქმის ერთნაირი ჰქონდათ.

პლატონ იოსელიანი მეცხრამეტე საუკუნის ნამდვილი ანაქრონიზმია. ისტორიას ის ჰვრეტდა ანტიკურ, კლასიკურ სიძველეთა სარკეში. ი. მეუნარგიას მოხდენილი თქმით, მისთვის ალექსანდრე ბატონიშვილი იყო მითრიდატე, სოლომონ ლიონიძე—კატონი, დავით გარეჯის უდაბნო — თებაიდა.

გრიგოლს კეთილშობილთა სასწავლებელშიც მღვდელი ასწავლიდა ქართულს, გვარად ხელაშვილი, ესეც ზედმიწევნით მცოდნე ყოფილა ქართული მწერლობისა. შემდეგაც სიამოვნებით ებაასებოდა მღვდელი ხელაშვილი ოფიცერ ორბელიანს.

სასწავლებლის უფროსი ბუკრინსკიც კარგი ადამიანი ყოფილა, თუმცა გულფიცხი. დამახასიათებელია მისი ერთი ფრაზა, დამტვრეული ქართულით რომ ეტყოდა თურმე გაჯავრებულ გულზე მოწაფეებს:

— შეკარცხვინოს ღმერთმა და კვალად შეკაარცხვინოს!

ბედმა გრიგოლი იმთავითვე მხედრული ცხოვრების ეკლიან გზაზე დააყენა. კეთილშობილთა სასწავლებელი გრიგოლს არ დაუსრულებია, ისე შევიდა ახლად გახსნილ საარტილერიო სასწავლებელში. ამიერიდან თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის დასასრულამდე გრ. ორბელიანი სამხედრო პირია, თითქოს ეს იყო მისი ერთადერთი მოწოდება.

გრიგოლი სამხედრო სკოლაშიც წარმატებით სწავლობდა. გენერალ-მაიორი ხოვენი თავის სახელს უკვდავყოფს მისი ქებით, რაც გამოცდების წარმატებით ჩაბარების აღსანიშნავად ჩაუწერია ერთერთ წიგნში 1818 წლის 19 ნოემბერს.

გრიგოლმა საბრძოლო ნათლობაც ადრევე მიიღო. 1822 წელს შამილის მომავალი მრისხანე მოწინააღმდეგე ალაზანზეა და ჭარელი ლეკების დამარცხებაში ეხმარება გენერალ-ლეიტენანტ ერისთავს. ამ დროს შამილი ჯერ კიდევ ცხვარშია და ყაზი-მოლას ქადაგებას ისმენს.

მაშინ კავკასიას განაგებდა მთავარმართებელი ერმოლოვი.

იგი სუვოროვული აღზრდის მეთოდების მომხრე ყოფილა. მას თავი გამოუჩენია ბოროდინოს ბრძოლაში. შეუსრულებია კუტუზოვის საპასუხისმგებლო დავალებები: კონტრიერიშის დროს მისთვის ავანგარდის წინამძღოლობა მიუნდვიათ, თავი უსახელებია ბაუცენის, კულმისა და ლაიპციგის ბრძოლებში. 1819 წლიდან საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო გამგებელად გადმოუყვანიათ. ირანში ელჩად კი ადრევე დაუნიშნავთ. აქტიური კოლონიური პოლიტიკის ცხოვრებაში გამტარებელი ამავე დროს მფარველობდა დეკაბრისტებს და კრიჭაში ედგა არაკჩეევის რეჟიმს, რისთვისაც 1827 წელს ნიკოლოზ I-მა აიძულა გადამდგარიყო*.

მისი ცხოვრებიდან საგულისხმოა ერთი ასეთი მომენტი. ერთხელ, ნიკოლოზ პირველი ჯარების იმ ნაწილის დათვალიერებას აპირებდა, რომელთაც ერმოლოვი მეთაურობდა. მეფის პირველმა სატრაპმა — არაკჩეევმა აღლუმის წინ ერმოლოვი გააფრთხილა: „ალექსი პეტრეს ძევ, ძალიან უნდა იმარჯვო, აღლუმზე ცხენებიც წესი-

---

* Сов. ист. энц., V, стр. 510—511.

ერად უნდა გამოიყურებოდნენ! თორემ, ხომ იცი, შენი ბედი ამაზეა დამოკიდებული!“

— ვიცი, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ბედი ხშირად ცხოველებისაგან არის დამოკიდებული, — მოუჭრა ერმოლოვმა.

გრიგოლ ორბელიანი რუსეთ-სპარსეთის 1826—1828 წლების ომის მონაწილეა. იბრძოდა გრაფ სიმონიჩის, მადათოვის, პასკევიჩის დროშის ქვეშ; შამქორთან, განჯაში და არაქსის გალმა სპარსელთა დამარცხებას მომავალი პოეტიც ზეიმობდა რუს მხედრობასთან ერთად.

1827 წელს იგი გრაფ კონსტანტინე ბენკენდორფს ახლდა, ეჩმიაძინის ტაძრის ახლო დამარცხებულ ჰასან-ხანის ჭურთების გაქცეულ ჯარს მისდევდა გრაფთან ერთად. ეს ბენკენდორფი, რუსეთ-სპარსეთის ომში გამოჩენილი სარდალი, რომელიც აქ გახდა გენერალ-ლეიტენანტი, ძმა იყო ცნობილი ალექსანდრე ბენკენდორფისა, ნაპოლეონთან ომების მონაწილისა და პუშკინის ჯალათისა.

გრიგოლი მამაცურად იბრძვის ჯარის იმ ნაწილში, რომელმაც აიღო ირაკლი-თაფა, აბას-აბადი, სარდარ-აბადი და ერევანი, რომლის აღებამ შთააგონა უკვდავი პოემა „სადღეგრძელო“. ორბელიანმაც მიიღო მეფის მადლობა პრინც აბას-მირზას დამარცხებისათვის, როგორც ჯარის ნაწილების ერთ-ერთმა „ბელადმა“.

თვით ერმოლოვი აძლევს მებრძოლ პოეტს შესანიშნავ დახასიათებას, გადაყენებული მთავარსარდალი გვიანაც გულთბილად იგონებს: „მიყვარდა ეს ბელადი, გრიშას სახელით ვიცნობდი პოლკშიო“.

მიუხედავად იმისა, რომ სიყრმიდანვე ხმალს მოჰკიდა ხელი და ერთთავად ბრძოლებშია, გრიგოლს ანაღელებს საქართველოს ბედი. აღა-მაჰმად-ხანის ურდოების შავი კვალი დრომ წაშალა კრწანისის ვიწროებში, მაგრამ დარჩენილია ქვეყნის გულში, ხალხის გულში. დაიქცა, გავერანდა ქვეყანა, და ურჯულოს კვალის აღმოფხვრის ნაცვლად ისევ ომებია, ისევ ლეკობა და ორმაგი ჩაგვრა.

საგურამოს, ღართისკარს, გომბორს ლეკების სადგომად იტყვიან დღემდე.

გავერანებულია მანგლისი, აღბულაღი და ახალციხე.
დენთის სუნი მოდის სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან.
აოხრებული ატენი ჯერაც გმინავს.

იავარქმნილია ბორჯომის მშვენიერი ხეობა.

დაქცეულ ტაძრებს, აღდგენის ნაცვლად, ჩამოთესლებული უჯიშონი კიდევ უფრო ატიალებენ.

ქვეშის სოფელი დაუსახლებიათ ორბელიანებს, ჯავახები გადმოუყვანიათ.

აშენება უნდა ქვეყანას, ტაძრებს, სასწავლებლებს. მაგრამ ჯერაც შფოთია, ტაძრის ჩამონაქცევი ქვებისაგან სიმაგრეებს აშენებენ მეომრები.

ერმოლოვს ახალ-ახალი რჩეული მოხელენი ჩამოჰყავს რუსეთიდან, მაგრამ საქმეს ეს არ შველის.

კახეთში სიმშვიდე არ არის. გაღმა კახეთში ყოველდღე ბრძოლაა ლეკებთან—ყანებში, ბაღებში და თვითონ სოფლებში. ჭარი და ქიზიყი ერთმანეთს აწყდებიან.

კახეთს არ დავიწყებია აჯანყების ხანძარი, ჯერაც ღაღადებს მართალთა სისხლი.

ოფიცრები და მოხელეები ლოთობდნენ და ლოთობენ. კომისიონერები, ჯარისკაცები და ოფიცრები შეურაცხყოფენ მოსახლეობას, ხალხი წყევლა-კრულვას უთვლის მოძალადეებს, რომელნიც არც თავისი ტომის მაშვრალთ ინდობენ, არც უცხო ხალხს.

ერეკლეს შვილიშვილი შუბლს იკრავს, როცა ამბობენ „ერმოლოვი და მისგან დაჩაგვრა თავადებისა“.

ერთხელ ერმოლოვს ეკითხა ასლან ორბელიანისათვის, ყაზახის პრისტავისათვის: „სიმართლე მითხარი, ასლან, გიყვარვარ თუ არაო?“ „სარდალო, არც მიყვარხარ და არც ოდეს მყვარებიხარო“,— მიუგო თურმე ასლანმა.

მთავარმართებელ ერმოლოვს კარგი განწყობილება თურმე არც პოეტის მამა ზურაბ ორბელიანთან ჰქონია. პოეტის ბიოგრაფი იონა მეუნარგია იხსენებს ივანე მუხრან-ბატონისაგან განაგონ ამბავს. ზურაბ ორბელიანი არც მალავდაო თავის უკმაყოფილებას ერმოლოვისადმი და არა ერთგზის ამბობდა მთავარმართებლის ძვირს საზოგადოებაში. ეს რომ ერმოლოვს შეუტყვია, ზურაბისათვის გრიბოედოლ მუხრან-ბატონი მიუგზავნია, რას მერჩის, რას მაგინებსო?! —

— აბა როდის ვაგინებდი, მაგის დედაო?!. — და აქ ერთ მაგარ სიტყვას გაუკვეთავს ჰაერი.

ერმოლოვის მთავარმართებლობის წლებში (1816—1827) გადადგა გრიგოლ ორბელიანმა პირველი ნაბიჯები სამხედრო დიდების გზაზე, რაც დაღესტნის მთებში მოპოვებული შარვანდედით დააგვირგვინა. იგი წარმატებით იბრძვის მთავარმართებელ პასკევიჩის მბრძანებლობის დროსაც.

1828 წელსვე ბრძოლის ველმა თურქეთში გადაინაცვლა. პორუჩიკი ორბელიანიც თურქეთშია და, როცა პასკევიჩმა „ძლევის ყიჟინით ძირს დასცა ყარსი", ჩვენი პოეტი ერთი პირველთაგანი შეიჭრა მტრის სანგრებში. იმავე წელს მურავიოვის წინამძღოლობით რუსეთის ჯარები ზედიზედ იღებენ ახალქალაქს, ხერთვისს, ახალციხეს. პორუჩიკი ორბელიანი აქაც ბრძოლის ქარცეცხლშია და რაღაც სასწაულით ყოველთვის უვნებელი რჩება. მისი სიმამაცე და საზრიანობა არაერთხელ აღნიშნულა სარდლობის მიერ.

1829 წელს ორბელიანი საგანგებო მინდობილობით აახლეს კახეთის სამხედრო საზღვრების უფროსს ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ჭავჭავაძის ადიუტანტიც ვყოფილვარო, იგონებს ხანდაზმული პოეტი-გენერალი.

1829 წლის ზამთარში ომგადახდილი პოეტი ნინოწმინდაშია, ბუნების სურათების დიდოსტატი მხატვარი ღრმად ჩაუფიქრებია სასტიკ ზამთარს, რამაც სიბერე შეახსენა.

„ზამთრის ქარი გრიალებს საშინლად და ფრთენი მისნი ჰბერავენ სიცივესა და ყინვას".

ყვითლად ცვიოდნენ შემოდგომის ფოთლები, აღარ სტვენდა ბულბული, გაშიშვლდნენ ხეები, ზამთრის ხელმა მოსპო ყოველი სიტურფე ზაფხულისა „და დაასო მათ ზედა ბეჭედი სიკვდილისა". ზამთრის ქარი გრიალებდა საშინლად, სუსხი და ყინვა მოჰქონდა მისი ფრთების ქროლას, თითქოს ბორეასი მოფრენილიყო, ქარების სასტიკი ღმერთი. ღრუბელთა დაჰფარეს შავად მშვენიერი ცა... თოვდა და ქარი სტვენით ეხლებოდა ფანჯრებს...

დაფიქრებული იჯდა ჭაბუკი პოეტი თავის ოთახში, ანთებულ ბუხარს შესცქეროდა მდუმარე და მჭმუნვარე, სამწუხარო აზრნი ურყევდნენ გონებას: არ ემსგავსებაო სიჭაბუკის ტკბილ დღეთა დენა ცივ ზამთარს, შეჭმუხვნილ სიბერეს ემსგავსებაო ცივი ზამთარი, თან რომ მიაქვს ჩვენი სურვილი, სიხარული და აუხდენელი

იმედები. შეუმჩნევლად ჩაივლის სიჭაბუკის გაზაფხული და მწუხარებით ვხედავთ, რომ „ანაზდეულად სიბერემან, ვითარცა ზამთარმან, დათოვა თავი ჩვენი“, გაყინული ხელი შეგვახო და „განგვიგრილა გული“, დააზრო მშვენიერი სიცოცხლის ყვავილი — სიყვარული. „ახ! სიბერისა დროსა სიცოცხლე ჩვენი არს მხოლოდ თვლემა“, და ორიოდე დღეც სიხარულისა სიზმარი გვგონია წამიერი...

ასე ფიქრობდა ნინოწმინდას მყოფი ჭაბუკი პოეტი მოგიზგიზე ბუხართან, ზამთრის ქარის სისინში, და მსჯელობა მისი სიღრმითა და მაღალი გემოვნებით მოგვაგონებს ბრძენი ინგლისელის ფიქრებს ყოფნა-არყოფნის ურთულეს საკითხებზე.

„ჰე, გაზაფხულო! — შესძახა გამორკვეულმა, — ჰე, სიჭაბუკევ!.. დამატკბეთ, დამატკბეთ, ვიდრემდის ჰსცხოვრებთ ჩემთანა, ესოდენ, რაოდენცა იყოს ჩემთვის საკმაოდ სამარემდის, ანუ სიცოცხლეცა ჩემი შეჰსწყვიტეთ მაშინ, ოდეს მოვიდეს დღე იგი განყრისა ჩვენისა, რათა ვჰსთქვა უკანასკნელსა ჟამსა: „თუმცაღა ვკვდები, მარამა სიცოცხლე ჩემი იყო ესრეთ ნათელ, ვითარცა მშვენიერი განთიადი გაზაფხულისა“.

ასე თავდება მშვენიერი ეტიუდი „ზამთრისა ქარი გრიალებს“, ეს ნამდვილი ჰიმნი წარმავალი სიჭაბუკის ყვავილისადმი, რომელსაც დაჭკნობა ელის, თუ დროზე არ გაახარა ადამიანმა.

1830 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა მანანა ორბელიანის ქმარი — დავითი, რომელმაც სახელოვან მეუღლეს სამი ობოლი დაუტოვა: ივანე, ტასო და ალექსანდრე. მანანამ აღთქმა დადო, აღარ გავთხოვდებიო, და აასრულა კიდეც წმინდა აღთქმა.

გრიგოლი და დავითი მეგობრები იყვნენ, მიწერ-მოწერაც ჰქონდათ, და ჩვენი პოეტი დიდად შეაწუხა მეგობრის სიკვდილმა, რაც ლექსით გამოიგლოვა: „მახსოვს და ვსტირი მეგობარსა, უდროდ გამქრალსა“, — სწერდა სევდამორეული და დანაღვლიანებული პოეტი.

1830 წელს ორბელიანი ისევ პასკევიჩს ახლავს და მეორედ ხვდება თავის მომავალ მტერ-მოყვარე ლეკებს. ჯერ მონაწილეობს ჭარ-ბელაქნის ლეკების დამორჩილებაში, მერე კი სტრეკალოვთან ერთად — ზაქათალის აღებაში.

1831 წელს პოეტის ცხოვრებაში გადამწყვეტი, საბედისწერო როლი ენიჭება. ამ წელს დაიწყეს ცთომილი ციალი მისმა და ყველა

მისი ნათესავ-მეგობრის ბედის ვარსკვლავებმა, ზოგიერთი მათგანი კი ერთი წლის შემდეგ ცას მოსწყდა და მიწას დაენარცხა.

ამ წელს, გენერალ პანკრატიევის ბრძანებით, არჩევენ კავკასიის კორპუსში იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ნოვგოროდს უნდა „წაასხან“.

ორბელიანს ევალება ამ ჯარისკაცთა ჩაყვანა ნოვგოროდს. ეს მოგზაურობა უკვდავყოფილია პოეტის ხელნაწერში, რომლის სახელია: „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“.

მგზავრობა პოეტისა თბილისიდან პეტერბურგამდე

1831 წლის 9 ივნისის დილა თენდება. პოეტი უკვე ფეხზეა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ათასი ფიქრი ურყევს გონებას, უფრთხობს ძილს. ხუმრობა ხომ არ არის ეტლების საუკუნეში ათასობით კილომეტრის სიშორეზე გამგზავრება და ისიც, ვინ იცის, რამდენი ხნით!

სულის სიმშვიდე დაუკარგავს ღამენატეხ პოეტს.

დადგა განშორების ჟამიც. ნათესავები და მეგობრები გამოსამშვიდობებლად შემოკრებილან. ყრუ დუმილი სუფევს ორბელიანთა უბანში. უახლოეს ადამიანებს ენა ჰუცელში ჩავარდნიათ და თვით პოეტს ყელში ბურთი აქვს გაჩრილი. ავბედითი წინათგრძნობის ანგელოზი დაფარფატებს ღარბაზებში. ორიოდე საალერსო სიტყვა, ოხვრა და ფუჭი დარიგება თუ დაარღვევს მძიმე დუმილს.

ეტლი მზად არის.

ვერამდე მიჰყვებიან. მაგრამ რაღა საჭიროა შორს გაცილება? ზედმეტი ოხვრა, ვიში და გულისმომწყვლელი ცრემლებისა და კაეშნის ჩვენება. მაგრამ ყველაზე ტრაგიკული მაინც საყვარელ არსებასთან განშორება აღმოჩნდა.

პოეტი წინდაწინ გამოემშვიდობა თავის მიუწვდომელ მუზას, ნინო ჭავჭავაძეს, რომელიც ამ დროს სამი წლის დაქვრივებული იყო. გამოსამშვიდობებლად მისულმა მოულოდნელად ნახა, რომ ნინო, ეკატერინე და მანანა ერთად არიან, „ვითარცა მშვენიერნი გრაციანი, მჯდომარენი მოაჯირზე ფანჯარასთანა“; სხედან და უმზე-

რენ საავდროდ ამღვრეულ ღრუბლებს. ქალები ისხდნენ და ისე დამშვიდებით უსმენდნენ საშინელ ჭექა-ქუხილს, რომლის გამოძახილიც მთებს არყევდა, თითქოს ზევსის ასულები ყოფილიყვნენ და მამის მეხთა გრგვინვისა არ ეშინოდათ.

„რა იციან ამ მშვენიერმა გრაციებმა, — ფიქრობდა ახალგაზრდა პოეტი, — რომ „უსაშინელეს ამა ღრუბელთა არიან ღრუბელნი ვნებათანი, ცხოვრებისა ჩვენისა დამამწარებელ და დამაბნელებელნი, რომელნიცა ჯერეთ არ შეხებიან გულთა თქვენთა... უმანკოთ... და ნათელთ“.

გრაციებმა გაიხარეს, ღიმილით შეეგებნენ თავიანთ მგოსანს, ცდილობდნენ გაცინებული სახე ეჩვენებინათ, რომ ნუგეში ეცათ მისთვის. მჭმუნვარე პოეტი ხმას ვერ იღებდა, ცრემლი აბრჭობდა. ბოლოს წამოდგა და ყრუდ თქვა:

— მშვიდობით, მშვენიერნო!

თვალთაგან ცრემლი გადმოსკდა დარბაისელ მანანას; წყნარად ატირდა ჰაეროვანი ეკატერინე; ჩუმად აქვითინდა ცრემლთან შეფიცული ნინო. სამივე მარგალიტის ცრემლს აფრქვევდა და სამივე ღიმილით ლამობდა დარდის დაფარვას.

„არა გიხილავსთა მშვენიერსა გაზაფხულისა დილასა ვარდი ახლად გაშლილი, რომელსა ზედაცა ბრწყინვალებს ზეცისა ნამი, ანუ არა გახსოვთა მზიანსა დღესა მოწმენდილი ცა, გადმომცრეველი წვიმისა, რომლისა თვითოეულნი მარცვალნი, მზისა სხივითა განბრწყინვალებულნი, ჰსცვივიან მარგარიტებრ და ასიამოვნებენ თვალთა. ესრეთ იყვნენ ცრემლნი თქვენნი“.

ჩინებულად არის აღწერილი ცნობილ ეტიუდში ეს გულისმომწყვლელი განშორება ქართველ გრაციებთან.

— მშვიდობით, გრაციანო! — გაიმეორა ჭაბუკმა ოფიცერმა. — დრო მოვა, დაგავიწყდებით. მაგრამ დღე ესე არაოდეს არ აღიხოცების ჩემის გონებისაგან, ოდეს მეწვევა მწუხარება და უბედურება, მაშინ მომაგონდება ცრემლნი თქვენნი, ჩემთვის გადმოცვივნულნი, და ვიქმნები ნუგეშცემული.

— მშვიდობით, გრიგოლ, არც შენ დაგვივიწყო, — თქვა ოხვრით მანანამ და დასძინა: — სოფიოსათვის კი მე ვიზრუნებ, თვალს დავიჭერ და ამბავს მოგაწვდენ. შენც მოგვწერე.

განშორება ისეთი სევდიანი იყო, თითქოს წინათგრძნობა ჰქონოდათ, მწუხარება და უბედურება გვეწვევაო.

— მშვიდობით! — გაისმა მეგობართა სიტყვა და პოეტის გული შეევიწროვდა, თვალი ცრემლით აეევსო: ამიერიდან ყოველი ნაბიჯი სულ უფრო დააშორებს „საამო-სატრფიალო“ ადამიანებს, მშობლიურ ადგილს, სადაც აღენთო ლამპარი მისი სიცოცხლისა და წყაროსავით მიედინებოდა მისი სიყმაწვილე. ამ წუთებში ინანა მეგობართა მიტოვება და ბედნიერების ძიება სადღაც ჩრდილოეთში, „იმიერ მთათა“.

რუსეთს მიემგზავრება თავადი გრიგოლ ორბელიანი!

უკან რჩება საქართველო, საორბელიანო, კოჯრის ნიავი, უკან რჩებიან მეგობრები, ნათესავები, „გმირთ ნაკვეთი“ ტაძრები...

გაწყდა მეგობრების ჯაჭვი. ეტლი ერთფეროვანი გრიალით მიჰყვებოდა შორეულ გზას. მერე, ეს თავშესაქცევი მოგზაურობა ხომ არ არის, სამასი კაცი მიჰყავთ შორეულ ნოვგოროდში.

აგერ, მცხეთაც გამოჩნდა.

დღე იყო მოღრუბლული, „ვითარცა გული“ პოეტისა, რომელიც გამოფხიზლდა და იხილა მცხეთის მონასტერი. უწმიდესი ძეგლი ივერიისა, ნაშთი და მოწამე წარსულისა ივერიისა დიდებისა, შემცველი მეფეთა საფლავთა და მხილველი მრავალთა საუკუნეთა, ივერიის დამხობისა და კვალად აღდგინებისა მხილველი.

განა გასაკვირია, რომ თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდა ქართველ რომანტიკოსს, როცა იხილა საფლავი მეფის ირაკლისა, „რომელსა თანა არს დამარხულ დიდება და ყოვლი კეთილი ივერიისა?..“

ეს ცრემლები იყო უკანასკნელი ხარკი საქართველოს განმადიდებლის მიმართ.

ეტლი ისევ დაიძრა და თან გაიტაცა პოეტი, დარწმუნებული იმაში, რომ დრო ვერ შემუსრავს ერეკლეს დიდებულ საქმეებს, მნათობთა მსგავსად რომ გაანათებენ მომავალ საუკუნეებს.

გზად დააწიეს უმცროსი ძმის ზაქარიას წერილი. ზაქარია ამ დროს ამბოხებულ პოლონელთა „დაწყნარებაში“ იღებს მონაწილეობას, და ეს თვით გრიგოლს არ დარჩენია უსაყვედუროდ: „ჩემსავით მოსიარულობს ამაოდ, შორს ნათესავთა და მამულისაგანო“.

კითხულობდა ძმის წერილს და დროს ამით კლავდა.

მწუხრის ჟამს შევიდნენ ღართისკარში.

მეორე დღეს ხეობას აჰყვა, არაგვს ჩაუარა და დუშეთს გადავიდა. დიდხანს შესცქეროდა ჯიმშერ არაგვის ერისთვისშვილისაგან აშენებულ ოთხკუთხოვან ქვითკირის კოშკებიან გალავანს, აწ ლაზარეთად ქცეულს, და ფიქრობდა თავისი მხცოვანი პაპის ერეკლეს მწარე სიტყვებზე, აღა-მაჰმად-ხანის ურდოებისაგან უაზროდ ძლეულმა და დარეჯან დედოფალთან ერთად დუშეთს გამოხიზნულმა რომ თქვა:

— გმადლობ, უფალო! ვითარცა მოველ შიშველი ამა სოფლად, ეგრეცა მივიქცევი ამიერ.

აქ მიართვა ერეკლეს ქიზიყის მოურავმა და სიძემ ზაქარია ანდრონიკაშვილმა ახალი სამოსი, არ დატოვა შიშველი. მაგრამ დამარცხებით გამოწვეულმა მწუხარებამ დიდხანს აღარ აცოცხლა პატარა კახი.

ანანურის ციხესთან პოეტი შეჰხარის ღვთისმშობლის მშვენიერ ტაძარს, არაგვის ზვიადი ერისთავის ბარძიმ მდივანბეგის დროს აშენებულს. მდივანბეგი ბრძოლაში მოკვდა, მაგრამ დარჩა ტაძარი და ნიკოლოზ აფხაზის მარჯვენით მოხატული ჭერიდან სულიერი მამანი ჰირთა თმენის ფასად მოპოვებულ პატივსა და დიდებას უწინასწარმეტყველებენ „მთების იმიერ“ მიმავალ პოეტს.

ანანურის იქით ისევ შემოაღამდათ. შორს მიმობნეული სოფლები და მთვარით გაცისკროვნებული მთათა მწვერვალები, ჰაღარა კავკასიონის უსაზღვრო მოლოდინი და არაგვის მრისხანება, ტყეთა მდუმარება, უფსკრულთა წყვდიადი — ყოველივე ეს ქმნიდა რომანტიკოსისათვის იდეალურ სამეფოს, და გრიგოლ ორბელიანმა, როგორც ჩვენი რომანტიკოსების ერთ-ერთმა უგვირგვინო მეფემ, პირველად განიცადა ის ციური აღმაფრენა, რამაც ათი წლის შემდეგ უკვე დაღვინებულ პოეტს ვლადიკავკაზში ათქმევინა:

> წყალნი, მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ჰცვივიან,
> თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან.

ფასანაურში ფეხით ჩავიდნენ. კაიშაურის გზაზე პოეტს ისევ მოსტაცა თვალი მთათა მშვენებამ, და მის დღიურში კავკასიის ბუნების მხატვრული სიტყვის ჯადოქართა შესაგვან აღწერას ვკითხულობთ:

„საღამო იყო მშვენიერი. მზე მიეფარა მთათა და უკანასკნელნი სხივნი მისნი ცეცხლებრ აღანთებდნენ თოვლიანთა მთათა ათასფრად. წმინდასა ჰაერსა მოჰქონდა სუნნელება ყვავილთა, ქვეშე ფერხთა ჩემთა არაგვი შორს უფსკრულსა შინა მიმოიკლაკნებოდა თეთრად ძაფსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. საშინელნი მთანი, ერთმანერთზედა აღყუანილნი ცათამდის, დიდებულებით მდუმარებდენ. ვიჯექ კლდესა ზედა, უფსკრულსა ზედა გადაკიდებულსა, და ვსჭვრეტდი მდინარეთა—მთათაგან გარდმოქანებულთა და უფსკრულთა შინა დაკარგულთა... აღმოსავლეთით... აღმოდიოდა მთვარე ბრწყინვალებით... მშვენიერი საღამოს ვარსკვლავი სიამით ჰფენდა ნათელსა ლომისა საყდარსა ზედა დასავლეთით. — კაცისა ხელი ფრიად სუსტ არს აღსაწერელად დიდებულებითსა ბუნების მშვენიერებისა. ყოვლადშემძლებლობა შემოქმედისა აღბეჭდილ არს ამა მთათა ზედა, რომლისა ხილვითა განცვიფრდების, ჰკრთების და იკარგების გონება კაცისა...“

პოეტი მუხლს იყრის და ცად ლოცვას აღავლენს. სახელოვანი რომანტიკოსი ლოცულობს ბუნების მშვენიერების წინაშე, და არა მოსაჩვენებლად, მიბაძვით, არამედ ისევე ბუნებრივად, როგორიც თვით ბუნების მშვენიერებაა.

კაიშაურიდან მიმავალ პოეტს მთიულნი გზა მშვიდობისას უსურვებენ, ორბელიანი და მისი თანამგზავრები ღუტისა და ჯვარის მთის ბილიკებზე ჯერ კიდევ მწვანით მოსილ, დაუთქერავ გზას მიჰყვებიან.

უღელტეხილიდან უკანასკნელად გადმოხედა თვალისათვის დაკარგულ სამშობლოს, რასაც ამიერიდან გულით ატარებს ჩრდილოეთის ცის ქვეშ. იდუმალ ოხრავს და იგონებს მახლობელთ. ასე გაიარა კობი, სოფელი სივანი. ვიწრო ბილიკს გაჰყვა ტაძრისაკენ, რომლის აღმაშენებლად თამარს იტყვიან, მაგრამ პოეტი დასძენს, ყოველი ასეთი ტაძრის აშენებას თამარს მიაწერენ, თუმცა სხვა მბრძანებელთაც ბევრი უშენებიათო.

დაბოლოს, ყაზბეგი, პოეტის საყვარელი თერგი, მდუღარე და მრისხანე, ვითარცა გაცოფებული, მრისხანებითა რომ ჰყრის ქაფსა და ჰრბის გრიალითა. ვერაფერი დაუდგება წინ მის გიჟურ სიჩქარეს,

ლოდიდან ლოდზე რომ ხტება და ალმასებრ იფრქვევა უფსკრულში. „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“.

ლარსსა და დარიალზე თერგი უმეტეს გიჟდება, და პოეტი შენიშნავს, აქ ცხოვრებით ორი ოფიცერი გადასულა ჭკუიდან, რაც სრულიადაც არ მიკვირსო.

ვლადიკავკაზისაკენ მიმავალ გზაზე თერგი უკლებს გიჟურ სრბოლას და პოეტიც თავისუფლად ამოისუნთქავს. თერთმეტი დღე მთების მეტი არაფერი უნახავთ, დაქანცულნი ჩადიან 18 ივნისს საღამოს ვლადიკავკაზში, ახლანდელ ორჯონიკიძეში. დასრულდა სახიფათო გზა, სადაც ზამთარ-ზაფხულ მუშაობაა: ხან ზვავს წმენდენ, ხან ჩამოქცეულ ღორღსა და ლოდებს.

რამდენიმე დღის შესვენების შემდეგ გზას განაგრძობენ და შედიან არდონის პატარა ციხეში. წვიმდა. ხიდები წყალდიდობას წაეხდინა, მგზავრებს ეტლით მოუხდათ აქაფებული მდინარის გადალახვა. შუა მდინარეში გრიგოლს ეტლი გადაუბრუნდა.

ხიფათს გადარჩენილი პოეტი ურუხში ჩადის. აქ ხვდება გენერალ აფხაზოვს, რომელსაც ის იყო პასკევიჩის მეუღლე გაეცილებინა.

აფხაზოვი და ახალგაზრდა თავადი მთვარიან ღამეში სასეირნოდ გავიდნენ. საუბარი ასტრონომიაზე დაიწყო და საქართველოს სვესაც გადასწვდა.

მეორე დღეს გზა განაგრძეს. ურუხის ხიდი წყალს წაეღო და პოეტის ეტლი მეორედ გადაბრუნდა მდინარეში — მაინცა და მაინც პოეტის ეტლი, თითქოს ბედის ეტლი ყოფილიყო. კვლავ წვიმდა და ის ღამე თეთრად გაათენეს.

ეკატერინოგრადში ორბელიანი და მისი მხლებელნი ხოლერიანებად მიიღეს, წითელცხვირა ჯარისკაცი რკინის მაშით ართმევდა ბილეთებს და ბევრი აცინა ყველანი თავისი ამაო სიფრთხილით.

ყაბარდოეთში პოეტი მოუხიბლავს სტუმართმოყვარეობის წმინდა ჩვეულებას, წუხს ბრძოლაში გაღარიბებულ ხალხის ბედზე, აქებს კოხტად გამოწყობილ მეომართა სიმამაცეს, პურადობას, სიმკვირცხლეს.

ეკატერინოგრადში შვიდ დღეს დარჩნენ და ისევ გაუდგნენ მოსაწყენ გზას შიშველ ველზე, „რომლისაცა არა ჰსჩანს დასასრული“...

სტავროპოლი პოეტს მოეწონა. 11 ივლისს თავისი უფროსის, მაიორის თანხლებით წირვაზე წავიდა, მერე იმავე მაიორმა სადილად დაპატიჟა. ზანდუკიდან მაიორმა აზარფეშა ამოიღო და თანამგზავრს მიმართა:

— საყვარელო გრიგოლ! მოდი, ამით მოვიგონოთ საქართველო და დავლიოთ უკანასკნელი ბოთლი კახური ღვინო.

გრიგოლი დიდად გაახარა კახურმა ღვინომ და უმეტეს ესიამოვნა თავისი მაიორის ეგზომ გულთბილი სიტყვები, საქართველოზე თქმული.

— მერწმუნეთ, მაიორო, ამჟამად უმეტეს შემიყვარდით, რადგან სხვები წყევით ტოვებენ საქართველოს, თუმცა საქართველოში მიიღეს ბედნიერება, სიმდიდრე და უმაღლესი ხარისხი, რომლისაცა არ არიან ღირსნი, თქვენ კი საქართველოს იგონებთ ასეთი სიამოვნებით.

მაიორმა გაიღიმა, ჩაფიქრდა და დაიწყო:

— თოთხმეტი წელი გამიტარებია საქართველოში და ჩემთვის ეს იყო საუკუნე. შევეჩვიე საქართველოს ჰავას, წესებს, ვნახე ყოველივე კარგი, რაც გამაჩნია, იქვე მიპოვნია საყვარელი მეუღლეც,— და აქ ცოლს აკოცა. — კმაყოფილი ვიყავ ჩემი ცხოვრებით ჩემს მშვენიერ იტალიაში. ო, საქართველოს ყველა როდი იცნობს! მაშ გაუმარჯოს საქართველოს!

ჭიქა ჭიქას მოუჯახუნეს, მაგრამ დაიცალა უკანასკნელი ბოთლი. სადღა იყო კახური, სუფრის უშრეტი სისავსე!

საღამოს სასეირნოდ წავიდნენ. ეს იყო უკეთესი დღე მთელს გზაზე. გამოუცდელმა რა იცის, რა სიამოვნებასა და აღტაცებას ჰგვრის თუნდაც მცირე ხნით სამშობლოს მოკლებულ კაცს მცირე რამის ხილვა, მამულს რომ მოაგონებს.

იმავე საღამოს, ოფიცერ ფრიდრიკსთან, გაზეთში წაიკითხეს პოლონეთის ჯალათთა — დიდ მთავარ კონსტანტინეს და ფელდმარშალ დიბიჩის სიკვდილის ამბავი. კონსტანტინე პავლეს ძემ, მეფისნაცვალმა, პოლონეთის აჯანყების შემდეგ არმია მიატოვა, ვიტებსკში ჩამოვიდა და იქ ხოლერასთან ჭიდილში დამარცხდა, ივანე დიბიჩი-ზაბალკანოვი უფრო მეტი წარმატებით ებრძოდა პოლონელებს, მაგრამ ბედმა უმუხთლა და ისიც ხოლერამ იმსხვერპლა.

საშინელი სენი პეტერბურგსაც მოედო. სიკვდილის აჩრდილი ულმობლად დაძრწოდა იმ მხარეში, საითაც პოეტი მიეშურებოდა. სტავროპოლს დარჩენის ბრძანება მიიღეს, მაგრამ ხოლერა აქაც ვამოჩნდა.

სამ აგვისტოს სტავროპოლს ჩამოდის გენერალი ივანე აფხაზოვი, იგივე თავადი ივანე აფხაზი, თავგამოდებული ქართველი პატრიოტი, რომელიც ის იყო დანიშნეს პასკევიჩის არმიაში. პასკევიჩმა, ერევნის გრაფმა, დიბიჩის სიკვდილის შემდეგ მთავარსარდლობა და პოლონეთის სამეფოს მთავარმართებლობა მიიღო. ნიკოლოზ პირველის პირველმა კაცმა მეფის ნდობა გაამართლა, პოლონეთი „დააწყნარა“, ვარშავა იერიშით აიღო და მიიღო „ვარშავის უბრწყინვალესი თავადის“ წოდება, გახდა „პოლონეთის სამეფოს“ მეფისნაცვალი და შეინარჩუნა ეს წოდება სიკვდილამდე. მაგრამ ეს გვიანდელი ამბებია. პასკევიჩის ცხოვრების გზაზე არც ადრე ყოფილა უცხო მჭუხარე წარმატებანი. უბრძოლია ფრანგებთან, თურქებთან, სპარსელებთან, მონაწილეობდა ლაიპციგის ბრძოლაში; 1826—1828 წლებში სპარსეთი დაამარცხა, ელიზავეტოპოლთან აბას-მირზა დაამარცხა. 1828—1829 წლებში თურქებს წაართვა რამდენიმე სიმაგრე, და 1831 წლამდე კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას ასრულებდა.

პასკევიჩის დროშის ქვეშ ბრძოლა დიდ პატივად ითვლებოდა, მაგრამ ასეთ პატივს არ შეუცვლია ივანე აფხაზის შეხედულებანი, არ გაუტეხია მისი სიამაყე და არ ჩაუკლავს მასში მამულის სიყვარული.

ერთობ საგულისხმო იყო ახალგაზრდა პოეტისა და დინჯი გენერლის საუბარი.

მას შემდეგ, რაც „ძლიერად და მართლად აღწერა საქართველოს აწინდელი მდგომარეობა“, აფხაზმა ამოიოხრა და შესძახა:

— ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევებად საქართველოისა! მყისვე შეიქმნების ჩვენი ქვეყანა მსხვერპლად უწესოებისა, განხეთქილებისა და მტრის თავდასხმისა.

— არა მგონია, — მიუგო გრიგოლმა. — რუსთა წასვლის შემდგომ საქართველო ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა. ამ ოცდაათს წელიწადს, რუსთა შემოსვლის დღიდან, საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი,

ვგონებ არ დაჰკლებოდეს. სპარსეთი კიდევ აღარ შემოიჭრას, ვგონებ, რადგან აღა-მაჰმად-ხანისაგან ტფილისის წახდენა იყო შეცდომა ყიზილბაშთათვის, რომელ ამა მიზეზითა მოხდა ჩვენი დაძმობილება მათთვის ეგზომ საშიშ მეზობელთან, როგორიც რუსეთია. უკეთუ მაინც განიმეოროს შეცდომა იგი, ივერიას კვლავ ძალუძს...

— არა ძალუძს! — შეაწყვეტინა გენერალმა. — პოლიტიკური ვითარება აზიაში ფრიად იცვალა. ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალოს ესრეთი გაწყობილი ჯარი და თოფხანა. საქართველო, თუ რუსთაგან იქნების დატევებულ, ვითარ წინააღუდგების მათ! ერეკლე ჰკვიანი იყო. ქართველთ შეეძლოთ ბრძოლა პირისპირ ველურ ოსმალთა, ან ჯარი გააწყვეს, ჩვენ ვეღარ აღვუდგებით ურწმუნოთა ჯარსა, თუ არ რუსეთის ჯარი და რეღული. გარდა ამისა, აღარ არის ჩვენს შორის იგი მხნეობის სული.

— რეღულის გაწყობა ადვილად მოხდება, — მიუგო გრიგოლმა. — თვით დავინახავთ წყობის საჭიროებას. თვით ერეკლემ გააჩინა მორიგი ჯარი. მერე, ქართველმა იცის მამულის სიყვარული, თორემ ისე ვერც დაიცავდა ენასა და სარწმუნოებასა ძნელბედობის ჟამს. ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვალად აღდგინებულს არარაისგან... გარდა ამისა, მოგახსენე, ყიზილბაში და ოსმალოცა ხედვენ შეცდომილებათა თვისთა, არღა ინდომებენ, საქართველომ კვლავ მოსთხოვოს მფარველობა ძლიერსა რუსეთსა. ყიზილბაშნი სწყევენ აღა-მაჰმად-ხანსა ტფილისის აოხრებისათვის. ოსმალოსაც ეშინია ევროპის.

— სიმამაცე მართალი ბრძანებაა, მაგრამ რეღულის გაწყობა ადვილად ითქმის! აბა, ჩემო გრიგოლ, ვინ ნახე მდიდართაგან, თვინიერ განათლებულთა და ჯათნოთა, რომ ხარჯი გაიღოს საზოგადო საჭიროებისათვის? ამიტომ პირველად უნდა ისწავლოთ, გონება განინათლოთ ახალგაზრდებმა და მერე გამართავთ მრუდესა. მაშინ აღარ მეშინის, საქართველო შეიცვლება და ყოველი სასურველი ადვილად აღსრულდების, ანგარება აღარ დაგვღუპავს, ავთა და მორჩილთა თაყვანსაცემი კერპი, რაიც არაა ქართველთა ბუნებითი თვისება, არამედ ამ ოცდაათის წლის მორჩილების ნაყოფი.

— მას ადვილად აღხოცენ გონიერნი მმართველნი, ძალა იქნება მათს ხელში, მორსმხედველნი იქნებიან, სწავლასა და ხელოსნობას დათესვენ, მით უმეტეს, რომ ქართველს აქვს ნიჭი და გონება.

გრიგოლი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე, ჰარმაგი გენერალი კი იშვნეული თავის ქნევით იღიმებოდა.

— ეგე ყოველი შესაძლო არს, გარნა ჯარისა და სკოლისათვის საჭირო არს ხაზინა. საქართველო ღარიბი სახელმწიფოა და სხვა ქვეყნები არც სესხს გვანდობენ. გარდა ამისა, ალექსანდრე მეფის შემდეგ საქართველო დაგლეჯილია და დანაწილებული... დრომან უნდა განგვანათლოს, აღადგინოს ძველი ღირსება და თვითეულმა აღირჩიოს გზა ბერძენი ლეონიდისა... ნეტავ, ჩემი სიკვდილი შეცვლიდეს მამულისა ბედს, ახლავე გადავვარდებოდი ფანჯრიდან... კვალად ვამბობ: დრომ, დრომ უნდა აღადგინოს საქართველო!

ამ სიტყვებზე პოდპოლკოვნიკი ილინსკი შემოვიდა, საქართველოს ბედის მსაჯულნი ჩაიზე მიიწვია და საუბარიც შეწყდა. ვახშამად პოლკოვნიკ ფლიგესთან დარჩნენ, მეორე დღეს კი გრიგოლმა პოლონეთს მიმავალ ივანე აფხაზს ზაქარიასთან წერილი გაატანა და ძმასავით დაემშვ~დობა.

იმ დღეებში ერთხელ კიდევ ეღირსა კახურის დალევა — გრაფ სიმონიჩთან, რუსეთის მომავალ ელჩთან სპარსეთში. სიმონიჩი პეტერბურგს მიემგზავრებოდა. გრიგოლის ნახვა დიდად ეამა და დაშვიდობებისას მეგობრულად გადაეხვია. ვინ მოთვლის, რამდენი მეგობარი ჰყავს უკვე ქართველ ოფიცერს რუსეთის არისტოკრატიულ საზოგადოებაში! სასიამოვნოდ გაატარა დრო რუსეთის არმიის ოფიცრებთან: ზაქარია სულხანიშვილთან, თავად შერვაშიძესთან, რომელსაც თბილისს წერილები გაატანა, მხოლოდ ერთ რომელიღაც სოფელში ყველაფერი ჩაამწარა მთვრალმა მღვდელმა, რომელიც არაყს აძალებდა და როცა არაფერი გაუვიდა, წაეჩხუბა: ალბათ ქრისტიანი არა ხარ, არაყს რომ არ სვამო!

ერთ სხვა სოფელში, დონის კაზაკების მხარეში მიმავალ გზაზე პოეტის ყურადღება მიიქცია ტალახში მდგომმა ქვის კაცების ძველმა ქანდაკებებმა. ხალხი ამბობდა, ცოცხლები იყვნენ და ცოდვამ გააქვავაო.

ასე, ხან ეტლით, ხან ცხენით, ხან ფეხით, ხანაც ურმით ჩავიდნენ დონის როსტოვში, დონის ნახიჩევანში და ჩერკასკში, საოლქო ქალაქ ნოვოჩერკასკში.

1832 წლის 10 სექტემბერს ქართველი პოეტი კაზაკთა ატამანის,

გრაფ პლატოვის საფლავზეა, სამამულო ომის გმირის სამარეს მარმარილოს ძეგლი ამშვენებს, გვერდით დამწუხრებული შვილის სახეა, ამ ძეგლის ამგებისა, ძეგლს ამოტვიფრული ოქროს ასოებით აწერია: „მამას მადლიერი შვილისაგან“.

გზა გრძელდებოდა, პოეტს ეჩვენებოდა, რომ მას დასასრული არ ექნებოდა. სოფელ შიჩოვთან ახალი საფრთხე ელოდა: მესამედ გადაუბრუნდა ეტლი, ფეხები თოკებში გაებლანდა და დიდხანს ათრიეს ცხენებმა, ვიდრე ჯარისკაცები შესძლებდნენ ცხენების დაოკებას. კიდევ კარგი, უბედური შემთხვევა ქვიშიან ადგილზე მოხდა, თორემ განშორების დროს დაღვრილი ცრემლები კაეშნით ზღვად ექცეოდათ მომჯადოებელ გრაციებსა და პოეტის ახლობელთ. მკლავის ტკივილით გაწამებული გრიგოლი ღმერთს მაინც მადლობას სწირავდა, რომ ცოცხალი გადარჩა.

18 სექტემბერს პავლოვსკში ჩადიან, მეორე დღეს კი სოფელ ლოსევაში, სადაც შეიტყვეს ვარშავის დაცემისა და პასკევიჩისათვის „ვარშავის უბრწყინვალესი თავადის“ წოდების მინიჭების ამბავი. რამდენი კაცის სიცოცხლედ ჯდება ერთი გენერლის ბედკეთილობაო, ფიქრობს პოეტი. ორი დღის შემდეგ უკვე ვორონეჟში არიან, ტრაქტირში სადილობენ და მეტრაქტირესთან კომისიონერის ჩხუბზე იცინიან, თუმცა პირქუში ჩრდილოეთის წვიმიანი ცა სიცილისათვის ცოტა საფუძველს აძლევდათ.

ქალაქ ელეცში გრიგოლი და მისი უფროსი მაიორი ჩაიზე მიიპატიჟა პოლიცმეისტერმა. მასპინძლის მშვენიერმა მეუღლემ მშვენივრად შეასრულა გიტარაზე „ახალ აღნაგო სულო და“, მისმა ქმარმა კი, ყოფილმა ჰუსარმა, უფრო „ჩაყლაპვით“ იჩინა თავი.

პოლიცმეისტერის ცოლის ხმაზე უფრო, ეტყობა, მისმა სხეულმა მიიპყრო პოეტის ყურადღება. ეს ჩანს იმ ლექსიდან, ალბომში რომ ჩაუწერია:

როს გარდაშლიდე,
მეც დამხედავდე,
განიღიმებდე,
მომიგონებდე.
მარამა ვა თუ მე ესრეთ ვარ შესაბრალო ბედისა,
რომ არღა მოგაგონდები შორიდე გარდაშლამდისა?

ქალაქები და სოფლები ერთიმეორეს მოსდევენ და ერთიმეორეს ემსგავსებიან, როგორც ურმები, რომელთაც სადგურებზე იცვლიან.

ტულაში სამი დღე დარჩა, აქედან სერპუხოვოში ჩავიდა, საიდანაც ურმებისათვის სოფელ ლოპოსს მოუხდა ჩასვლა და იქ ერთ დუქანში ნახა ქალამნიანი გლეხები, რომელთაგან თითო ოცდაათ ჭიქა ჩაის სვამდა.

— ვიდრე მუცელი არ გაებერებათ, არ მოეშვებიანო, — აუხსნა მეტრაქტირემ.

გვიანი შემოდგომა იყო და პირველი თოვლი წამოვიდა — ნამდვილი, მძიმე, ჩრდილოური თოვლი. ცხენები დადგნენ, თოვლში ეფლობოდა ეტლი და ურემი. საშინელი ქარი სახეში აყრიდა ადამიანებს ცივ ფანტელებს. წინსვლა გაჭირდა. ჯარისკაცები ლამის დაეხოცათ.

ბოლოს ტულის ტალახიც დასძლიეს, თოვა შეწყდა, ქარი დაცხრა და 8 ოქტომბერს მოსკოვს ჩავიდნენ. ორბელიანმა ნახა კრემლი, ნახა დიდი თეატრი და წარმოდგენა „თავისუფალი მსაჯულნი ანუ ბარბაროსობის დრონი“, აგრეთვე ვოდევილი და ბალეტი. „არ შეიძლება აღწერა თეატრისა“, კაცმა უთუოდ უნდა იხილოს თვით, რომ იგრძნოს ყოველივე სიამოვნებაო, — შენიშნავს კმაყოფილი პოეტი.

მოსკოვში პოეტმა ინახულა ოქროპირ ბატონიშვილი, რომელმაც დაპატიჟა, მერე ირაკლი ბატონიშვილი, აგრეთვე ესტატე თარხნიშვილი, დავით ჭავჭავაძე და სხვა დიდებულნი. რაზე საუბრობდნენ შეთქმულების მზადების დღეებში მისი სულის ჩამდგმელი ბატონიშვილები და მშფოთვარე სულის პოეტი? გრიგოლ ორბელიანი ამაზე დუმს. არ შეიძლებოდა მათ გვერდი აევლოთ საქართველოს ბედისათვის. მაგრამ „მოგზაურობაში“ ლაპარაკია უფრო თეატრზე, რამაც მოხიბლა ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი, მეტადრე აღაფრთოვანა მოჩალოვმა, „ასე რომ დასწყევლა ყოველი მოთამაშე“.

როგორც ვხედავთ, და როგორც მოსალოდნელია, გრიგოლ ორბელიანს აინტერესებდა გზაც, ბუნებაც, ადამიანებიც, ხალხის ზნეც, ტაძრებიც და თეატრებიც, თანაც არჩევდა ავსა და კარგს. ამას მოწმობს მის მიერ თუნდაც გადმოჩენილი ტრაგიკოსის, შექსპირის ტრაგედიების გმირთა უბადლო შემსრულებლის მოჩალოვის მაღალი შეფასება.

თორმეტ ოქტომბერს კრემლში მეფე გამოჩნდა. ხალხს წინასწარ დროშით ეუწყა ეს „ისტორიული მოვლენა“. ჩრდილოეთის მესიის გამოჩენაზე მთელი მოსკოვი მოზღვავდა, ხელმწიფეს გზას არ აძლევდნენ.

— ხელმწიფევ, ძალიან გვიყვარხარო! — ჭუხდა ბრბო.

— დარწმუნებული ვარ, დარწმუნებულიო, — პასუხობდა თავის ქნევით ნიკოლოზი, შენიშნავს ირონიულად პოეტი.

ეს იყო და ეს.

უფრო ვრცლად აღწერს გრიგოლი მორიგ შეხვედრებს ნათლია არქიმანდრიტ ანთაძესთან, ოქროპირ ბატონიშვილთან და მერე ავალოვთან. საუბრობდნენ მეფე ერეკლეზე, ქართლის ცხოვრებაზე, ქართულ ლექსებზე...

„მგზავრობა“ პოეტის შეხედულებათა საგულისხმო ძეგლია. თუნდაც მარტო ის ადგილი ავიღოთ, სადაც ლაპარაკია ნიჭიერ და მამაც ყაბარდოელთა გაჭირვებაზე, თავისუფლების სიყვარულზე, რუსებთან ბრძოლაზე და გაუტეხელობაზე, რასაც ეს ხალხი გადაშენების პირას მიუყვანია, სამართლიანად ჩერდება ამ დეტალზე პროფ. აპოლონ მახარაძე და დაასკვნის, რომ პოეტის მიზანია მეფის რუსეთის მიერ დამონებულ ხალხთა შეკავშირება*.

გრიგოლი გულდასმით ათვალიერებს კრემლს, უსპენსკის ტაძარს, წითელ მოედანს, საჭურვლის პალატას, სამეფო ტახტებს...

მაგრამ ორბელიანის გზა აქ არ დასრულებულა. წინ პეტერბურგია და ნოვგოროდი, მისი მისიის ბოლო პუნქტი. მოსკოვიდან პეტერბურგამდე რვაადგილიანი დილიჟანსები მიმოდიან, სამი დღე-ღამის გზაა და ასი მანეთი ჯდება.

გონებამახვილი პოეტი საგულისხმო ეპიზოდებს გადმოგვცემს. ტვერში თითქმის უკუდო ცხვრები ნახა, მერე კი მაიორი კოროტკოვი; საუბრობენ ერმოლოვზე, პასკევიჩზე, პოლონეთის ომზე, მერე კი... მთვრალ დათვზე და ურიაზე. ბოლოს, როგორც იქნა, ენადაუყენებელმა მაიორმა ოქროს სიტყვა გამოურია: „ღამე მშვიდობისაო!“ — და. ორბელიანმა პირჯვრის წერით მიუგო: „დიდება ღმერთსო!“.

---

* აპ. მახარაძე, გრ. ორბელიანი, 1944, გვ. 89—90.

დაღლილი პოეტი შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს ღირსშესანიშნაობებს, რომლებითაც უხვია ყოველი მხარე, ინტერესით შესცქერის ვიშნი ვოლოჩეკის ხის საყდარს, მდინარე სნათის წყალსაცავს, ედროვოს გზაზე აღმართულ ორ პირამიდისებურ სვეტს, რომლებზედაც გამოსახულია გვირგვინი, ნოვგოროდის ღერბი, ვალდაის ტბის შუაგულში კუნძულზე მოციმციმე ტაძარს და მის გარშემო მომხიბლავად მსრბოლ ნავებს, ქალაქ კრესტცის, უფრო სოფელს რომ ჰგავდა, და ბოლოს, 24 ოქტომბერს, 140 დღის მომქანცველი მგზავრობის შემდეგ მწუხრის ჟამს პოეტი შედის სახელგანთქმულ ნოვგოროდში.

ღამით სადგომი ვეღარ მოითხოვა, ტრაქტირში გაჩერდა და მთელი ღამე არ დააძინა ნოვგოროდზე ფიქრმა. გონებას უფორიაქებდა ფიქრი ძველი ნოვგოროდის რესპუბლიკურ წყობილებაზე, მის სიმდიდრესა და ძლიერებაზე, ვეჩეს ზარის ხმაზე რომ შეიყრებოდა თავისუფალი ხალხი და ქვეყნის ბედს თავყრილობაზე წყვეტდა. პოეტი წერს:

„ვიდრე იყო რესპუბლიკად, ნოვღოროდი ყვავილობდა ვაჭრობითა, მხნეობითა, სიმდიდრითა, და იყო სხვა რუსებზე უმეტეს განათლებულიცა და თვით თათართა მონებასაცა გადურჩა; გარნა აწ აღარც აჩრდილი ჰსჩანს უწინდელისა მის შემძლებლობისა. — რკინის ხელმან შეიპყრო და განაქარვა ყოველი დიდება მისი“. ნოვგოროდის რესპუბლიკაზე ოცნება იმ დროს, როცა პოლონელ პატრიოტთა ამბოხება სისხლში ჩაახრჩეს, ქართველ პატრიოტთა შეთქმულება კი სადაცაა საქმეს გაუჩენს მეფის დუნე მოხელეებს — გასაგები და საგულისხმოა.

ნოვგოროდიდან პეტერბურგისაკენ მშვენიერი ხომალდით განაგრძობენ გზას. პოეტს ისე მოსწონს გემი, რომ ღამით მდინარის პირა სოფელში არ გადადის და გემზე რჩება.

გემის ოფიცერმა გრიგოლს უამბო ზარდამცემი ამბავი, თუ როგორ ამოჟლიტეს ას ექვსი ოფიცერი და სამი გენერალი ამბოხებულმა ავსტრიელმა და პრუსიელმა ჯარისკაცებმა, რომელთაც ხოლერის ეპიდემია თავისებურად აუხსნათ: ოფიცრები გვწამლავენო. აჯანყება, რაც მთელი ათი დღე გრძელდებოდა, 27 ივლისს ჩაქრო

გენერალ ალექსი ორლოვს, დეკაბრისტებისა და პოლონელების „დამშვიდებაში“ გამობრძმედილ ჟანდარმს.

* * *

რუსეთს ჩასული ახალგაზრდა პოეტი ზედმიწევნით ეუფლება რუსულ ენას, ლიტერატურას, თარგმნის პუშკინს, ჟუკოვსკის, კრილოვს, რილეევის „ნალივაიკოს აღსარებას“, რაც შემდეგში რამდენიმე წლით სამშობლოდან იძულებითი დაშორების ფასად უჯდება.

პეტერბურგში გრიგოლმა ახლო გაიცნო თავისი ნათესავები. საქართველოს ძველი დიდების ნამუსრევნი, „გემის დაღუპვის დროს გადარჩენილი“ ბატონიშვილები და იმერეთის დედოფალი მარიამი.

ძალიან დაუახლოვდა მიხეილ ბატონიშვილს, რომელსაც ბინა იატაკიდან ჭერამდე ხატებით ჰქონდა გაჭედილი, აგრეთვე თეთრუაზს, რომელიც საუბარში მოულოდნელად გაჩუმდებოდა, ფიქრებს მიეცემოდა და უეცრად იკითხავდა: „მერე, მერე, ჩემო გრიგოლ?“

მიხეილის ახირებაზე პოეტი სხვა ამბებსაც გვატყობინებს. ექიმს არ იკარებდა, რითაც ნაღრძობი ფეხი გაიფუჭა; ერთხელ თორმეტი რუსი ჯალეხკაცი შემოესხა სუფრაზე და საიდუმლო სეროზის ინსცენირება გაემართა...

პოეტი გვაუწყებს ამ მოგზაურობის საგულისხმო დეტალებს. მარიამ დედოფალს შეხვედრია, ფარნაოზ და დიმიტრი ბატონიშვილებთან უსაუბრია, მოჩალოვის თამაში უნახავს მცირე თეატრში. პეტერბურგისა და ცარსკოე სელოს სასახლეებით მოხიბლულა, კუნსტკამერა და ერმიტაჟი დაუთვალიერებია, გრუზინოში გრაფ პასკევიჩს გაცნობია, ნიკოლოზ I უნახავს...

1831 წლის 11 ოქტომბერს მოსკოვს მყოფი პოეტი დონის მონასტერში წავიდა თავისი ნათლიის, არქიმანდრიტ ათანასეს სანახავად. არქიმანდრიტს იმ დღეს წირვა ჰქონდა და ვერ ინახულა. სამაგიეროდ ახლად გაცნობილ თავადს გიორგი ავალიშვილს გადაეყარა, ეს გახლდათ გარსევან ჭავჭავაძის ცოლის ძმა, მოგზაური, მთარგმნელი და ქართული თეატრის დაარსების ერთი პირველი ინიციატორი. მათ ერთად ინახულეს ოქროპირ ბატონიშვილი და მარიამ დედოფალი, „რომელიცა ბრძანებოდა ავათ და იწვა ქვეშაგებში“.

ორი დღის შემდეგ ისევ შეხვდა ავალიშვილს. ის ღამე ერთ

ჰერქვეშ გაატარებს და საგულისხმო საუბარიც ჰქონდათ „მეფე ირაკლიზე, ქართლის ცხოვრებაზე, ქართულს ლექსებზე“...

მოგვიანებით ახლად შეძენილ ღირსპატივსაცემ მეგობარს სწერს პეტერბურგის ამბებს. ამ დიდებულ ქალაქში, რომლის „ყოველივე აღწერა იქმნებაის სუსტ“, პოეტს უნახავს ცნობილი კუნსტკამერა, სამთო კორპუსი, ყაზანის ტაძარი, დასწრებია წარმოდგენებს, დაუთვალიერებია გრაფ არაკჩეევის სასახლე გრუზინოში, მისი ტაძარი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, და ოხერით წამოსცდენია: „ნეტავი მეც ასე ვიყო მიგდებულიო!“ ამის მიუხედავად პეტერბურგის „ბუნება არის მკვდარ, მარამ ხელოვნებითა გაღვიძებულად“. ჩრდილოეთის ჯანღი, წვიმა და ღიის სიმოკლე პოეტისათვის „ფრიად შემაწუხებელია“.

1831 წლის 15 ნოემბერს გრიგოლი ესტუმრა იმერეთის დედოფალს მარიამს, რომელთანაც გვიან მიმოწერა აქვს. დედოფალთან გაიცნო საკმაოდ ცნობილი პირი, ქვაბთა ხევის მონასტრის ბერი იონა ხელაშვილი, რომელიც ბატონიშვილებს გაჰყვა რუსეთში და დაამთავრა პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის აკადემია ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებ..ს განხრით. ამ იონამ დაუახლოვა თავის დროზე სოლომონ დიდაშვილი ბატონიშვილებს.

მგზავრობით გაწამებული, სამშობლოს მოცილებული პოეტი მარიამ დედოფალს — იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მეუღლეს — შესჩივის, ამ ზამთარსაც რუსეთში მტოვებენო, რითაც ძლიერ შეწუხებულია: ჩრდილოეთის ჰავა არ მოუხდა, ერთთავად ავადმყოფობდა, ახველებდა, სისხლიც კი გამოუშვეს.

თბილისში შვებულებით ჩამოსული ძმა — ზაქარია აიმედებს. შენს თავს საქართველოში გადმოვაყვანინებო.

მართლაც, 1831 წლის ზამთარში ჩრდილოეთს ყოფნით გულგალეული გრიგოლი ლოგინად ჩავარდა. ახველებდა და სული ეხუთებოდა. მოდიოდნენ ბატონიშვილები და დასცქეროდნენ, ის კი იწვა და ფიქრობდა: „თქვენ ვინ? მე ვინ და ჩვენი ყოფა სად!“

გენერალმა პანკრატიევმა საკუთარი ექიმი გაუგზავნა. გულმოდგინე მკურნალობამ შედეგი გამოიღო. გრიგოლი ფეხზე დადგა, თუმცა ჭრილობა ისევ აწუხებდა. მარტოობით შეწუხებული, ბალზე წასვლის სიამოვნებასაც კი მოაკლდა.

1831 წლის ნოემბერს გრიგოლი ჩადის ნოვგოროდში, სადაც

ერთი წელი რჩება. ამრიგად, 1832 წლის შეთქმულთა შორის მხოლოდ მას აქვს საიმედო ალიბი. მონაწილე არ არის, სამშობლოდან მოშორებით იყო იმ მძიმე დღეებში. მაშ რისთვის აპატიმრებენ? რისთვის ისჯება ასე სასტიკად მოვალეობის შესრულების ჟამს შეპყრობილი მეფის მსახური ორბელიანი? საქმე ისაა, რომ ამ დროს უკვე დაწერილი აქვს „იარალის“.

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით
უსულოდ ეშაპს მიწად დაჰსცემდეს?

ამ აუხდენელ ოცნებას, მაგრამ მრისხანე სიტყვებსა და გმირთა ძიებას ტირანულ სახელმწიფოში არავინ აპატიებდა თავისუფლებისმოყვარე პოეტს. ვიდრე სიწყნარე იყო, კიდევ შეიძლებოდა, ამას მშვიდობიანად ჩაევლო, მაგრამ ამინდი წახდა, შეთქმულება გაამჟღავნეს და ორთავეიანმა არწივმა რკინის კლანჭები შემოაჭდო უმწეო მსხვერპლს.

ოქტომბრის ბოლოს, გრაფი სიმონიჩი ცარსკოე სელოში ეპატიჟება გრიგოლს, თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად. რამდენიმე დღის შემდეგ პოეტი უკვე პეტერბურგშია გრაფ სიმონიჩთან. იქვე მოდის ლუარსაბ ბატონიშვილი. შემდეგ ყველანი ფარნაოზთან გაეშურებიან.

ზრდილი, ჭკვიანი, განათლებული ფარნაოზ ბატონიშვილი თავაზიანად იღებს ძვირფას სტუმრებს. პოეტი მიჰყავთ თეატრში, სადაც მოხიბლა იტალიელმა მომღერალმა მორიკონიმ. ვიოლინოზე ბემი უკრავდა.

ჯადოსავით შემოეკლო იტალიური მუსიკა პოეტის გულს, გონება წარუღო, ქვეყნიერება დაავიწყა, უცხო სამეფოში შეიყვანა და მზიური სამხრეთის მომხიბლავ ყვავილნარებში მოფარფატე სამოთხის ფრინველები აჩვენა... თვალწინ დაუდგა საყვარელი დისწული, ტატო ბარათაშვილი, მისი ლეკური, წრეში მონავარდე ქუდჩაკეცილი კატინა, ალექსანდრე ჭავჭავაძის თავნება ასული... ანაზდეულად გამოერკვა. ხალხი აშლილიყო. ყველა გასასვლელისაკენ მიეშურებოდა. გრიგოლიც წამოდგა.

„ბემო და მორიკონო! არ დაგივიწყებთ, ვიდრე ვარ ცოცხალ!“ — თქვა და ხალხის მდინარებას გაჰყვა.

შეორე დღეს გრიგოლმა ნევის პროსპექტზე გაისეირნა, საღამოს კი ნახა პიესა „კარლოს მეთორმეტე“, მაგრამ არ მოეწონა.

დიდად ასიამოვნა ფარნაოზ ბატონიშვილის ნახვამ. ერეკლე მეფის ძე გრიგოლს, ცხადია, ნათესავად მოხვდებოდა. ამას ემატებოდა სულიერი ნათესაობა, ისიც სამშობლოს გარეთ, ამიტომ ეს შეხვედრები ხშირი და გულთბილი იყო.

ფარნაოზმა გააცნო თავისი მეუღლე ანა, ელიზბარ ერისთავის ასული, და ბატონიშვილები — ანასტასია და რიფსიმე.

იმ დღეებში ნახა იმერეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამი, კაცია დადიანის პირმშვენიერი და ტკბილმოუბარი ასული. სახელოვან სოლომონ მეორის მეუღლემ გრიგოლს უსაყვედურა, რატომ პირველად მე არა მნახეო. გრიგოლმა თავი დახარა, მომავალში გამოვისყიდიო დანაშაულს და, მართლაც, ხშირად ნახულობდა მერე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმოწერაც ჰქონდა, ვიდრე 1841 წელს დედოფალი მიიცვლებოდა.

იმავე დღეებში „ნახა ანაზდეულად“ სერგი ჭილაშვილი, შემდეგში გენერალ-მაიორი და შემახიის გუბერნატორი, კარგად გაიცნო გამოჩენილი მწიგნობარი ბერი იონა ხელაშვილი, ანა დედოფლის კარისმოძღვარი, საეკლესიო წიგნების ავტორი და მთარგმნელი.

ამრიგად, ახალგაზრდა პოეტი პეტერბურგში ერთბაშად სამხედრო დიდკაცობისა და ქართველი ბატონიშვილებისა თუ დიდებულების წრეში მოხვდა, გაიზარდა მისი ნაცნობ-მეგობრების წრე. ყველაფერი მოწმობდა, რომ იგი მალე დაწინაურდებოდა. მაგრამ ეს საქმე შეფერხდა.

პეტერბურგის სიდიადით მოხიბლული პოეტი განსაკუთრებით ვრცლად აღწერს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

მთელი ორი თვე და ერთი კვირა დარჩა პოეტი პეტერბურგს, ბოლოს ნოვგოროდს გაბრუნების დროც დადგა, გულთბილად დაემშვიდობა მარიამ დედოფალს, ფარნაოზ ბატონიშვილს და გრაფ სიმონიჩს, რომელიც საქართველოში მოემგზავრებოდა.

1832 წლის 14 ივლისს პოეტი პეტერჰოფის შადრევნებს შეჰ-

ხარის. ეს განთქმული ქალაქი პეტრე პირველმა გააშენა 1711 წელს პეტერბურგის სამხრეთ-დასავლეთით, ფინეთის ყურის სამხრეთ ნაპირზე, სადაც კლდე ფრიალოდ ეშვება ზღვისაკენ, და ძლიერ უყვარდა აქ ყოფნა. ქალაქი განთქმულია სასახლით, აგარაკებით, უფრო კი შადრევნებით: ტბაზე დაცურავენ იხვები, ვეშაპი, ნიანგები, რომელნიც პირიდან წყლის ნაკადს აფრქვევენ.

პოეტი შეუძლებლად თვლის ყველა სანახაობის აღწერას და დაასკვნის: ღირსი არს პეტერღოფი, რომ რამდენიმე ათასი ვერსი გამოვლო განგებ ამის სანახავადო.

15 აგვისტოს გრიგოლი ისევ ფარნაოზ ბატონიშვილთანაა. ბევრ რამეზე ისაუბრეს, მაგრამ სხვა საგნებზე პოეტი დუმს. გვიმხელს მხოლოდ უწყინარ საუბარს მოცარტზე, ვებერზე, როსინზე და ქერუბინზე, „საკვირველი მუსიკის“ ჯადოქრებზე. ორი დღის შემდეგ ისევ ხვდება ფარნაოზსა და დიმიტრი ბატონიშვილს. ამჯერად უკვე მხატვრებზე საუბრობენ: მიქელანჯელოს, რაფაელის, კორეჯოს ხელოვნებაზე.

22 აგვისტოს საუბრის თემა ხდება გეოგრაფია და გაკვრით — საქართველოში ფაბრიკების აშენების საკითხი...

ჩვენ გვჯერა, რომ პოეტი ღრმად დაინტერესებულია მუსიკით, მხატვრობით, ხუროთმოძღვრებითა და გეოგრაფიით, მაგრამ გვჯერა ისიც, რომ ბატონიშვილებთან მისი საუბრის მთავარი თემა მაინც სამშობლოს ბედი იქნებოდა, მისი აწმყო და მომავალი, საერთოდ ის პრობლემები, რომელთა გადაჭრაც ასე გულუბრყვილოდ სცადეს 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებმა.

დანარჩენ დროს ოფიცერი ორბელიანი ატარებს ჯარის წვრთნაზე, დიდი მთავრის მიერ ბატალიონის დათვალიერებაზე, მეფე-დედოფლის საპატიო გამოსვლებზე, ძეგლის გახსნაზე და ცხოვრებისეულ სხვა ამაო ამბებზე.

ამის შემდეგ პოეტის დღიური რამდენიმე წლით წყდება.

უ ა ზ ა რ მ ო ბ ა

1833 წლის მარტის ერთ სუსხიან საღამოს გრიგოლ ორბელიანმა ნოვგოროდის მახლობლად გამართულ ბანაკში მეგობრები შეჰყარა და ქართული მაპინძლობის ჩვენება ეწადა. ის-ის იყო,

ღვინო მოატანინა და სადილობის დაწყებამდე ბანქოს თამაშში გაერთო, რომ მოულოდნელად თავს ჟანდარმთა პოლკოვნიკი წამოადგა. თვით გრიგოლის მოგონებით, მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, ბატონო. რა გნებავთ ჩემგან?

— მთავრობის ბრძანებით, ბინა უნდა გაგიჩხრიკოთ და გავიგო, რა წიგნები გაქვთ.

— ჩემი ბიბლიოთეკა ისე ღარიბია, რომ ამისათვის ბევრი დრო არ დაგეკარგებათ, — მიუგო პოეტმა.

— ვნახოთ.

ამის შემდეგ დაიწყო ჩხრეკა. ჟანდარმმა მთელი ბიბლიოთეკა და ხელნაწერები თან წაიღო.

ერთი კვირის შემდეგ პრაპორშჩიკი ორბელიანი პეტერბურგში დაიბარეს. დაკითხვას აწარმოებდა გენერალ-ადიუტანტი ორლოვი. ამ სცენას თვით პოეტი აღადგენს:

— თავადო ორბელიანო, ელიზბარ ერისთავს იცნობ?

— ვიცნობ.

— ალექსანდრე ორბელიანს? გიორგი ერისთავს?

— ვიცნობ.

— ბატონიშვილებს: ოქროპირს, დიმიტრის?

— ვიცნობ.

— საიდან იცნობ ყველა ამათ?

— ყველანი ჩემი ნათესავები და ამხანაგებია.

— რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენ თარგმნეთ ქართულად?

— დიახ, მე.

— „იარალი“ თქვენ დაწერეთ?

— დიახ.

— რა გინდოდათ გამოგეხატათ ამ ლექსში?

— ის, რაც გამოხატულია: ქართული ლხინი და დროსტარება.

— გვითხარით: რა მოიწერა საქართველოში ეგვიპტის ფაშამ?

— ეგ აღარ ვიცი და ვერც გამიგია, რა უნდა მოეწერა საქართველოში ეგვიპტის ფაშას.

დაკითხვა დასრულდა. ძოშავალი გაბუნდოვნდა და ვეებერთელა კითხვის ნიშანი დაესვა

ორლოვის მიერ ჩატარებულმა ძიებამ და დაკითხვებმა ფარდა ახადა არა მარტო „იარალის“, არამედ სხვა სახიფათო საქმეებსა და ნაწერებსაც. ფიცმიღებული ოფიცერი და ტახტისათვის ერთგული მებრძოლი უეცრად საეჭვო შეთქმულად შერაცხეს.

ყოფილ პრაპორშჩიკს ბრალდება კავშირი გადასახლებულ ბატონიშვილებთან, მას სერიოზული საუბრები ჰქონია შეთქმულების მონაწილეებთან და, რაც მთავარია, უთარგმნია დეკაბრისტი პოეტის კონდრატი რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“ — „ფრიად საშიში“ ნაწარმოები.

გაჩხრეკის დროს უპოვნეს სწორედ „ნალივაიკოს აღსარების“ ხელნაწერი და „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“. ნოვგოროდშივე დაუწერია „იარალის“... ყოველივე ეს საშიშ ხელნაწერებად ჩაუთვალეს.

1832 წლის შეთქმულებასთან პოეტის სულიერი კავშირის ისტორიის დასადგენად, მართლაც, საგულისხმოა რილეევის „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმანი (ჩხრეკვისას ერთი ცალი სოლ. დოდაშვილის ბინაზეც იპოვეს). თარგმანი ერთობ თავისუფალია.

ადგილთა და პირთა სახელები შეცვლილია. ვარშავას ცვლის მცხეთა, უკრაინელ პატრიოტს ნალივაიკოს — თვითონ მთარგმნელი, ნალივაიკოს მშობელ ქვეყანას — ივერია, ხოლო „ურიას, უნიატს, ლიტველსა და პოლონელს“ — „ლეკი, ოსმალი და სპარსი“.

შემთხვევით არ უკითხავს ორლოვს პოეტისათვის, „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენ თარგმნეთო?“ თარგმნა ლექსისა, რომლის ავტორსაც „თავისუფლებისათვის სული მარადის უკვნესის“, ტირანიის ბატონობის ჟამს დაუსჯელად ვერ ჩაივლიდა, მით უმეტეს, რომ 1825 წ. პეტერბურგს მომხდარი შეთქმულების ჩავარდნაც ახალი ამბავი იყო და მეფეს ჯერაც ახსოვდა თოთხმეტი დეკემბრის სუსხი.

„ნალივაიკოს“ მებრძოლი სულისკვეთების გამოძახილივით ისმის პოეტის გვიანდელი ლექსიც „ჰე, ივერიავ“.

... წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!
.. ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას!
ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!

კიდევ უფრო მძაფრია პოეტის სულიერი ღელვა, გამოხატული ლექსში „მისი სახელი კიცხვითა“. ესაა მრისხანე პოლიტიკური იერიში იმ წყობილების წინააღმდეგ, „სად მხოლოდ ძალა მსაჯულოვნობს“.

მრისხანე სოციალური პროტესტის ხმა ისმის ოცდაათიანი წლების ჯერაც ჭაბუკი პოეტის პოეზიასა თუ პროზაში. ამ სულისკვეთების უკვდავი ძეგლია თუნდაც „იარალის“.

ეს ლექსი ნოვგოროდში დაიწერა.

იარალი შანშიაშვილი, ძველ საქართველოს მგოსანთა დასის ერთი უკანასკნელი მოჰიკანი, ერეკლე მეორის კარის მომღერალთა წარმომადგენელი, ფარნაოზ ბატონიშვილს ახლდა პეტერბურგში, იქვე გაიცნო გრ. ორბელიანმა 1831 წელს. ჭაბუკი პოეტი ნატვრით იგონებს ბრძენ მოხუცთან გატარებულ წუთებს, ოცნებობს მასთან ერთად „ლხინით აღვსილი“ იჯდეს „ველსა მწვანეს“, რომ კოჯრის ნიავი განუგრილებდეთ „გაცხელებულთა ღვინისგან შუბლთა“. მერე უფრო სერიოზულ საგანზე გადადის:

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით
ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?

ამ მრისხანე ქადილს ცელის უიმედო დაღმასვლა:

მაგრამ ამაო, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!

გმირებს ეძახდნენ ყოველი დროის დიდი პოეტები, სოციალური თუ ეროვნული ჩაგვრის უღლის გადაგდებაზე ოცნებობდნენ ხალხთა რჩეული შვილები, და ის, რაც. გაბატონებულ ერთა რჩეული პოეტებისათვის არასოდეს პრობლემა არ ყოფილა, და-

მონებული ერების შვილთათვის დარდის უშრეტ წყაროდ იქცა ყველა ქვეყანაში. ასევე უმძიმებდა გულს ეს საჭირბოროტო საკითხი გრიგოლ ორბელიანს, მაგრამ იგი მელანქოლიასა და პესიმისტურ უფსკრულში მაინც არ გადაშვებულა. მართალია, „გვეკარგება პატიოსნება, ადამიანები უგზოდ დაეხეტებიან, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა, ანგარება გახდა მათი კერპი, მცხეთას არის დამარხული ერეკლესთან ერთად „ყოვლი კეთილი ივერიისა“, „წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოვლი კეთილი თანა წარიღეს“, მძინარე ბედს ვერავინ აღვიძებს და ამაოდ ოხრავენ „უცხო ცის ქვეშ“ მამულიშვილნი... მაგრამ ხე ცხოვრებისა ჯერ კიდევ არ გამხმარა, რჩება რაღაც იმედი, სიცოცხლის აღიარების, რაღაც ღრმა იდუმალი შინაგანი ძალა.

„მოგზაურობა“ მრავალმხრივ საგულისხმო დოკუმენტია, მეტადრე მისი ის ნაწილი, სადაც ავტორი გენერალ ივანე აფხაზთან საუბრის შინაარსს გადმოგვცემს. ივანე აფხაზს პოეტი არდონის ციხეში გაცნობია და მერე სტავროპოლშიც უნახავს.

გრ. ორბელიანი საქართველოს განთავისუფლების მომხრე და მოიმედეა, ივანე აფხაზს კი არა აქვს იმედი, რომ მათი ამშობლო დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს და ოსმალ-სპარსნი არ შთანთქავენ. ლაპარაკია რეგულარულ ჯარზე, რომლის შექმნის იმედიც აფხაზს არა აქვს, საშინელ მეზობლებზე და საშინელ დაცემულობაზე, რაც მოჰყოლია ოცდაათი წლის „ცუდს მონებას“. მართალია, პოეტი თითქოს ედავება გენერალს, მაგრამ აფხაზის მრავალი აზრი მისი გულისნადები ჩანს და ეს აზრები პარალელს პოულობენ თვით გრ. ორბელიანის ლექსებში*.

შფოთიანი სტრიქონების გარდა ნოვგოროდში პოეტს ჩამოართვეს ერთი წინდახედულად დაწერილი ლექსიც, ნიკოლოზისადმი მიძღვნილი: „გულნი ივერთა აქვთ მსხვერპლად მზადა...“

დაკითხვაზე პოეტმა გენერალ ვოლხოვსკის აუხსნა, ეს ლექსი მეფისადმი მიძღვნილ პოემაში უნდა ჩამერთოო, და შემდგომში მართლაც დაურთო „სადღეგრძელოს“, ისევე როგორც ჟუკოვსკის

---

* პ. ინგოროყვა, „მნათობი“, 1940, № 2, გვ. 85—94. იხ. აგრეთვე აკ. გაწერელია, გრ. ორბელიანი.

ჰქონდა მიმართვა იმპერატორ ალექსანდრესადმი. აქ უდავოდ იყო ერთგვარი წინააღმდეგობა, რამაც ზოგი მკვლევარი დააეჭვა, მაგრამ აქ საეჭვო არა არის რა. დრო თავისას ითხოვდა. არც ჩანდა სხვა გზა, და პოეტი შეთქმულების წლებშიც კი ინახავდა გულში იმედს, რომ რუსეთის მეფე სწავლა-განათლებით აღადგენდა „თამარის დღეთა, დიდების დღეთა“.

მეფის ოფიციალური ხოტბა, ერთგვარ ხარკად ნასროლი ქება იმპერატორისა — ვალი იყო მეფის მოხელისა და ერთგვარი გამართლება თავისი თავისა, სრული მორჩილების მოყვარული იმპერატორის წინაშე. ასეთი რამ პუშკინსაც დასცდენია. რაც შეეხება პოეტის პოზიციას, ეს კარგად არის გამოხატული როგორც ადრინდელ ლექსებსა და წერილებში, ასევე გვიანდელ ნაწერებშიც, თუნდაც წერილში გენერალ ნიკო ჭავჭავაძისადმი, 1881 წლის 7 აგვისტოს: „ოთხმოცი წლის განმავლობაში ხომ ვნახეთ, რაც ბრძანდებიან ღუბერნატორები და ვიგემეთ მამობრივი მათი მზრუნველობა ჩვენზე... შორიდამ მოსული ჩინოვნიკი, რომელიცა არ იცნობს ჩვენს ხალხსა, რომელმანცა არ იცის მისი ენა, ჩვეულება, ცხოვრება, ისტორია, აბა რისთვის გაიხეთქს თავსა?.. რომ იფიქროს, გული დაეწოს ხალხის ბედნიერებისა და გულმოსვენებით ყოფაცხოვრებისათვის! სამი ათასის ვერსტიდამ მოსულა აქა ჩინოვნიკი მხოლოდ იმისათვის, რომ მიიღოს ჩინები, იშოვნოს აქედამ-იქიდამ ფულები და გაჰსწიოს მშვიდობიანად თავისივე ქვეყანაში! მე ბევრი მინახავს დიდროანი სახახლეები რუსეთში აქაურის ფულით აშენებული. ქართულს ენას აღარ ასწავლიან ღიმნაზიაში და აღარცა სემინარიაში...“*

ერთი კვირის შემდეგ ორბელიანი საქართველოში გამოისტუმრეს. ცხადია, საორბელიანოში კი არა, რუსულ ყაზარმებში უკრეს თავი და აქ იყო პყრობილი პოეტი რამდენიმე თვის განმავლობაში. გვერდით საკნებში ისხდნენ ალექსანდრე ორბელიანი, სიმონ მაჩაბელი, გიორგი ერისთავი. ასე რომ, საქართველოს პარნასმა ყაზარმებში გადაინაცვლა. „ჩემზე საცოდავი და საბრალო არა იყო რა დედამიწაზე“, — იგონებდა შემდეგ პოეტი „ყაზარმობის“ შავბნელ

* გრ. ორბელიანი, წერილები (ციტირებულია აკ. გაწერელიას შრომის მიხედვით), გვ. 030.

დღეებს. ნათესავ-მეგობრების მაგიერ ტლანქ სალდათებსა და ხიშტიან თოფებს უყურებდა თვეების მანძილზე. მხოლოდ ერთ საღამოს გაახარეს მოქეიფე ახალგაზრდებმა, ციხის ფანჯრის პირდაპირ გამართეს ქეიფი და სიმღერით ანუგეშებდნენ, ვიდრე მოქეიფენი ჟანდარმებმა არ გარეკეს.

თბილისის ყაზარმა სწორედ „ვაების ბჭედ“ ექცა გრიგოლს. თავისუფლების დაკარგვა, დამცირება, ციხის უჩვეულო სინესტე თითქოს ბედმა არ აკმარა და უარესი უბედურება და ჭირი მოუსართა: სწორედ იმ დღეებში გარდაეცვალა თავისი სათაყვანებელი დედა. ციხის სარკმლიდან შესცქეროდა მშობლის კუბოს. მთელს მამისეულ სასახლეში იმდენი ფული არ აღმოჩნდა, რომ ოცდაათი თუმანი სასესხებელი არ ჰქონოდათ. ვალს ვალი დაემატა, და მთელს სიცოცხლეში ვალებში იყვნენ ერეკლეს სიძის შთამომავალნი.

არავის ანაღვლებდა როზენის შტაბში პოეტის დედა, განსვენებული ხორეშანი. მოხელეები შეთქმულების საქმის ძიებით იყვნენ გართული. თუმცა გრიგოლ ორბელიანს შეთქმულებაში აშკარა მონაწილეობა არაფრით უმტკიცდებოდა, მაგრამ იყო ზოგიერთი დამაჯერებელი გარემოება, რამაც მეფის მოხელეებს საფუძველი მისცა, სხვა შეთქმულებთან ერთად ისიც ჩაესვათ ავლაბრის ყაზარმაში.

პატიმრობისდროინდელ მწუხარე ამბებს გადმოგვცემს პოეტი ერთ რუსულ ბარათში, რაც მეგობარ გერშელტისადმია მიმართული: „სწრაფად მივფრინდი თბილისს, მაგრამ უფრო სწრაფად ავლაბრის ყაზარმებში ამოვყავი თავი, სადაც სამი თვე ვიჯექ, დერვიშივით დუმილსა და ამ ქვეყნიური ამაოების შესახებ ფილოსოფიურს მსჯელობაში გართული. სწორედ ამ დროს დედაც მომიკვდა. ვხედავდი ჩემი ფანჯრის პატარა ჭუჭრუტანიდან, როგორ გაასვენეს მისი კუბო. მტერსაც კი არ ვუსურვებ გამოსცადოს ჩემი ტანჯვა. ქვად ვიქეც, ყველა დავივიწყე, დედის სიკვდილიც კი, და რამდენსამე დღეს უჰმელ-უსმელი, უძილო და უტყვი ვიყავი, ცრემლი არ გაღმომიგდია. რამდენსამე დღის შემდეგ გამიშვეს კიდეც, თითქოს დედის სიკვდილით მეყიდოს ეს თავისუფლება. მამის სახლი დაცარიელებული და დამწუხრებული დამხვდა, სადაც 28 დღე

დავყავი, ვითომ აწეწილი საქმეების გასარიგებლად, მაგრამ ნამდვილად კი, ვგონებ, სულ არა გამიკეთებია-რა. ღამე, მთვარის შუქზედ, თვალცრემლიანი ვეამბორე დედის საფლავს და წაველ — კავკასიას ნავაგინსკის რაზმში სამსახურად, სადაც დროებით ვიქმენ გამწესებული"*.

სურათი სრული და გულსაკლავია. ეს გრიგოლ ორბელიანის ხანგრძლივი ცხოვრების ყველაზე უფრო სევდიანი დღეებია.

გამოძიება 1833 წლის ოქტომბერში დასრულდა. დამნაშავეები ჯგუფებად დაიყო. სულ ათი ჯგუფი დაადგინეს.

ბარონი როზენი სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი 1833 წ. 2 ოქტომბერს წარდგენილ მოხსენებაში გრიგოლ ორბელიანს მიათვლის მეშვიდე თანრიგის დამნაშავეებს, რომელთა მიმართ საკმარისად მიაჩნია „პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა"

„პორუჩიკი გრიგოლი, რომელმაც ქართულ ენაზე თარგმნა რილეევის თხზულება **„ნალივაიკოს აღსარება"**, ჩემს მიერ კავკასიის ხაზზე სამსახურში გაგზავნილი, ყველაზე უფრო სასარგებლოდ მიმაჩნია გადაყვანილ იქნას პოლკებში, რომლებიც რუსეთში არიან განლაგებული და აეკრძალოს საქართველოში ჩამოსვლა რამდენიმე წლით" (ამავე „თანრიგში" ახვედრებს ბარონი როზენი თეკლე ბატონიშვილსა და ალექსანდრე ჭავჭავაძეს)**.

ჩერნიშოვი როზენს ატყობინებს, რომ მეფემ მიზანშეწონილად ჩათვალა ბარონის მოსაზრებანი და კერძოდ, გრ. ორბელიანის მიმართ გადაწყდა მისი გაგზავნა პირველ ფეხოსანთა კორპუსის ერთერთ პოლკში.

„ნევის საზღვაო პოლკი", რომელშიაც გრიგოლი გაამწესეს, ვილნოს გუბერნიაში იდგა და მსჯავრდებულიც იქით გაეშურა.

„უბედურება ჩემი იყო მოულოდნელი და ჩემი გამოუცდელობის გამო", — სწერს 1835 წლის 25 დეკემბერს გრიგოლი საქართველოს დედოფალს. ცხადია, ვაჟკაცური შემართების პოეტი, უკვე შეთქმულების დამარცხების შემდეგ, ჩქმალავს იმასაც,

---

* წერილი გერშელტისადმი (რუსულ ენაზე), ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1954, გვ. 48.

** Акты, т. VIII, стр. 410.

რაც იყო, თუმცა სერიოზული მონაწილეობა შეთქმულებაში მას ნამდვილად არ მიუღია.

ვიდრე ვილნოს გაეშურებოდა, ოჯახური საქმეების მოგვარებას შეუდგა. საამისო დრო მისცა მთავარმართებელმა, გენერალ-ადიუტანტმა როზენმა, „რომელიც ფრიად კეთილი და მზრუნველია საქართველოსათვის“ (პირველი ერთგულქვეშევრდომული ცრაზა შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ, რაც დასაწყისია ორბელიანის ხანგრძლივი უანგარო სამსახურისა რუსეთის მეფის საკეთილდღეოდ!).

კავკასიის შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ვოლხოვსკიც უდასტურებს მეფისნაცვლის კეთილგანწყობილებას. ეს ის ვოლხოვსკია, რომელმაც გრიგოლი დაჰკითხა და რომლის ადგილსაც — შტაბის უფროსის ადგილს — მრავალი წლის შემდეგ დაიკავებს იმხანად მსჯავრდებული თავადი ორბელიანი.

ვილნოს გასამგზავრებლად გამზადებული გრიგოლი 1833 წლის სექტემბერში ზაქარიას სთხოვს, საქართველოში გადმოსვლას შეეცადე, როზენს და ვოლხოვსკის სთხოვე და აოხრებულ სახლსაც მიხედავო. როზენმა მართლაც აღუთქვა ზაქარიას, თბილისში გადაგიყვანო.

მომდევნო წლის მაისში გრიგოლის ოცნება ასრულდა. ზაქარია უკვე თბილისიდან სწერს, დაქცევაზე მიმდგარ ოჯახს პატრონი დაუბრუნდა. ფილოსოფოსთა მტკიცების დარად, ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და იქნება ორბელიანთა ვაივაგლახსაც ბოლო მიეცესო.

ძოსაგვარებელი კი ბევრი რამ არის. ნელა, მაგრამ უსაშველოდ ინგრევა ჯამბაკურიანთა, ამ უძლიერეს ქართველ ფეოდალთა ძველი ოჯახი. ვალებში ჩავარდნილა დიმიტრის სახლობა. წლების მანძილზე ვერ გაუსტუმრებიათ გრიგოლსა და ზაქარიას ვინმე მირზოევისა და კახეთის მდივანბეგის შვილის, „ძაღლ“ ოთარ ქობულაშვილის ქვრივის ბარბარეს ვალი. სიკვდილის წინ პოეტის დედას ხაზინიდან სამასი თუმანი გამოეტანა და დაერიგებინა ძევალეები სათვის, მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში.

კავკასიის ხაზზე პოეტი, როგორც ითქვა, დროებით გაამწესეს; არც ისურვებდა აქ დიდხანს დარჩენას. სულ ავადმყოფობდა.

ამიტომ, როგორც კი რუსეთს გამწესების ბრძანება მიიღო, მაშინვე გზას გაუდგა. პოეტს ვრცლად აქვს აღწერილი თავისი ეს მეორე უნებური მგზავრობა შორეულ ბალტიისპირეთში.

ნევის პოლკის გზა სტავროპოლზე გადიოდა.

მძიმე იყო ეს გზა და მომჭანცველი. თოთხმეტი დღე იარეს მარტო ყაზახების მამულზე. დონზე გადასვლისას საზარელი ქარი ავარდა. აქსაის რომ მიუახლოვდნენ, ნავი გაღაუბრუნდათ და ყველანი აქაფებულ ტალღებში გადაცვივდნენ. წყალს მიჰქონდა ჩვენი პოეტი, ის კი ფიქრობდა: „სად არის ახლა ჩემი ყაფლანი, რომ დაჰყვეს და გამიყვანოსო!“

ბედზე ყაზახთა ნავები ადგილზე აღმოჩნდა, შეცურდნენ და დახრჩობას გადაარჩინეს ქართული პოეზიის ბუმბერაზი, მასთან მისი თანამგზავრებიც, რომელთა შორის იყო პოეტის განუყრელი მსახური მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ნინიკა ბაქრაძე.

ცოცხალ-მკვდარი ბატონი და მსახური ნაპირზე გამოიყვანეს, მოასულიერეს, გაათბეს, მხოლოდ ზაქარია მოურავისეული ხმალი წაიღო დონმა და ზღვაში ჩაიტანა, როგორც საამაყო ნადავლი. „მიწის მგლად“ წოდებული ზაქარია ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავი, პოეტის პაპა დედის მხრით, გამოჩენილი ვაჟკაცი ყოფილა და მისეული ხმლის დაკარგვამ გრიგოლს გული დასწყვიტა.

„იქნებ იკითხო, — სწერს გულახდილი პოეტი მეგობარს, გერშელტს, — შემეშინდა თუ არა? რა თქმა უნდა, შემეშინდა. პეტრე დიდი ხომ არა ვარ! სამაგიეროდ სამი დღე დავყავი აქსაიში და უწყალოდ ვნთქავდი ტარაღანებს, შური ვიძიე დონზე, რასაც არ დავივიწყებ“.

სველი, დაქანცული პოეტი გზას განაგრძობს საძაგელ წვიმაში, ტალახსა და თოვლ-ჭყაპში ცხენები დაეხოცათ და რის ვაი-ვაგლახით ჩავიდნენ ყაზანის სტანიცაში. 2 აპრილს გზიდან სწერს ზაქარიას, მოიკითხავს ეფემიას და მელიტონს, მათს შვილებს, მანანას. და თვით გეუა ოჰანაშვილს, თავის უცვლელ მოურავს, რომელიც უწყალოდ ატყუებდა. ტატოს მოკითხვას კი მუდამ ილიას ავალებს, როგორც მის უახლოეს მეგობარს.

მრავალი განსაცდელის შემდეგ, 1834 წლის 2 მაისს, აღდგომა

დღეს, პოეტი რიგაში ჩავიდა. მას ჩააბარეს პირველი არმიის პირველი კორპუსის პირველი დივიზიის პირველი ბრიგადის პირველი პოლკის ასეული... ასე რომ, ვილნოში გრიგოლი პირველია! დაიწყო ჩვეულებრივი პოლკური ცხოვრება: მომქანცველი მეცადინეობა, ვარჯიში, ქეიფი, მანევრები...

16 მაისს ძალიან საყურადღებო წერილს უგზავნის ქალაქ ვალკიდან უმცროს ძმას ილია ორბელიანს. წერილში პოეტი ეხება მეცნიერებისა და ლიტერატურის ისეთ საკითხებს, რომელთაც. ჩვეულებრივ, გვერდს უვლის ხოლმე. ილიას ურჩევს ისწავლოს გერმანული ენა, გეოგრაფია, ისტორია, გამოჩენილ ადამიანთა, მეტადრე სარდალთა ცხოვრებანი, იკითხოს რომანები უოლტერ სკოტისა და მისი მომდევნო რომანისტებისა, ადრეულნი კი წაკითხვის ღირსად არ მიაჩნია.

წიგნების კითხვაზე გრიგოლს ძალიან სწორი შეხედულება აქვს: მისი აზრით, ყმაწვილთა უმეტესობა თავშესაქცევად კითხულობს და ეს ცუდია. კაცმა უნდა წაიკითხოს რამდენიმე ფურცელი და თავს ჰკითხოს, თუ რა წაიკითხა, ანალიზი გაუკეთოს წაკითხულს და სათანადო დასკვნა გააკეთოს, გამოცდაზე დააყენოს საკუთარი თავი. მხოლოდ ასეთი გონივრული კითხვა მიაჩნია გრიგოლს სასარგებლოდ და საგულისხმოდ.

პოლკში გრიგოლი კარგად მიიღეს. ერთი გაუწვრთნელი ასეული ჩააბარეს. მაგრამ სამხედრო ცხოვრება მყუდრო თავშესაფარი რომ არ იყო, თვითონაც კარგად იცოდა. ბანაკად რიგაში უხდება წასვლა, იქიდან ვილნოს. თან ამ მიმოსვლაშია, თან ვალების საქმე აწუხებს. ზაქარიას სთხოვს, იზრუნე რამე, ჯოხაძეების საქმე გადაწყვიტეო: ჯოხაძეები ორბელიანთა ყმები იყვნენ. ჩანს, მათი გაყიდვა განუზრახავთ ვალების დასაფარავად. ანდრონიკოვები ევაჭრებიან, მაგრამ გრიგოლი ამჯობინებს, ყმებმა თვითონვე გამოისყიდონ თავი 3000 მანეთად.

თუ ვალების გადაწყვეტით გამახარებ, „აღთქმას დავდებ, რომ ის დღე ყოველწლიურად ვიდღესასწაულო“, — სწერს ძმას და მის ჭკუას ანდობს საქმის გადაწყვეტას.

ვაჭრობა 1835 წელსაც გრძელდება. იასე ანდრონიკაშვილი. (გურული გლეხების მომავალი ამკლები) 3500 მანეთს იძლევა, ზაქარია კი ხუთი ათასს სთხოვს.

უცხო ცის ქვეშ მყოფი პოეტის ბედი ვერაფერი სახარბიელო აღმოჩნდა. მას მათხოვრული გასამრჯელო — წელიწადში თხუთმეტი მანეთი ეძლეოდა და ამიტომ ნახევარი წელიც არ გადის, რომ სამხედრო სამსახურის მიტოვებაზე ფიქრობს, შინ, კაკლის ხეების ჩრდილში დასვენებაზე ოცნებობს, მაგრამ ვინ შეიწყნარებდა მის თხოვნას? ის ხომ სასჯელს იხდიდა!

პატარა ქალაქ ვენდენში გრიგოლს პატარა რომანიც ჰქონდა, თვითონვე წერს საკმაოდ პიკანტურად. ბარონ შტორხის ბინაზე გაიცნო ერთი მისი ნათესავი ლამაზი ქალი. მართალია, გრიგოლს თავი „ცოტა ბებრად" მიაჩნია, მაგრამ 30 წლის „ბებერს" ეპატიება დაკეტილი კარის შეღება და ფორტეპიანოს დამკვრელ ქალთან ფარულად შესვლა. მშვენიერი სქესისადმი ლტოლვაა ის ერთადერთი სხივი, რაც მისი უსიხარულო მხედრული ცხოვრების ყაზარმაში იჭრება დროგამოშვებით, რადგან „ცუდია უეშყოდ ცხოვრება, ესრეთი კაცი ემსგავსება ფუტუროს ხესა". ვალკაში სოფიო კრუზე ჰყავს, ვილნოში პეტრონელა. ამ უკანასკნელს ლოყაზე ხალი აქვს. ევროპაში არ იციან ხალის ფასი. გრიგოლი აზიელია, ხალს უქებს და იპყრობს ქალის გულს.

პოეტის ფხიზელი თვალი ყოველ საგულისხმო წვრილმანს აკვირდება. რიგაში მას აკვირვებს ორი რამ: „აქაურს გლეხკაცებს ჩვეულებრივი ქალამნები აცვიათ" და „საყდრებზე ჯვარის მაგიერ მამალი ზის". ბევრს ჰკითხა, მაგრამ „ეს იგავი ვერავინ აუხსნა".

1834 წლის ივლისში გრიგოლმა უკვე იცის, რომ შინ დაბრუნებული ზაქარია ცოლის შერთვას აპირებს და ფულსა და მზითევზე აქვს მოლაპარაკება ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილთან, რომლის ასული ქეთევანი უკვე ზაქარიას საცოლედ ითვლება. მზითევს შვიდას თუმანს ვარაუდობენ.

გრიგოლი არ უარყოფს, რომ შვიდასი თუმანი კარგი ფულია, მაგრამ ქალის რწმენა კი დაუკარგავს მას შემდეგ, რაც თავის დროზე ალექსანდრე ჭავჭავაძის მშვენიერმა ასულმა ნინომ გული მოუკლა, გამოცდილებით იცის, „რომ არცა ერთი დედაკაცი მრთელს ქვეყანაზე არა ღირს, რომ ნახევარი ნეკი მოიჭრას მისთვის". და ძმას აყვედრის, რომ სული მისდის, რომ ასე სუსტია, რომ ასე იოლად უხრის ქედს ადამიანის გულის სისუსტეს, სიყვარულად წოდებულს.

სიყვარულის მიმართ ასე სკეპტიკურად განწყობილი პოეტი ძმას ურჩევს, რაკი მაინც ირთავ ცოლს, ცოტა ევროპულად განათლებული ქალი უნდა შეგერჩია, რამდენადმე ჭკვიანი, სათნო, კეთილი, „მოსაბეზრებელი ქართული მანჭვისაგან თავისუფალი“.

ასეთად გრიგოლს მიაჩნია ნინო, ალექსანდრე ჭავჭავაძის უზადო ასული. თვითონ ოდესღაც უიმედოდ ჰყვარებია ეს ქალი და რაკი ეს საქმე ჩაიშალა, იქნებ ძმას მაინც გამოსვლოდა რაიმე, თუმცა მისთვის ზაქარიას ცოლი, „ვინც უნდა იყოს, საყვარელი რძალი იქნება“.

ზაქარია გრიგოლისადმი გაგზავნილ ბარათში* უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ შემგონებელთა, ერთგვარად ძალისდამტანებელთა და არამკითხე რჩევის მიმცემთა მიმართ, რომლებიც გადაჰკიდებიან, გინდა თუ არა დეკანოზის ქალი ქეთევანი შეირთეო: „ქალი სრულებით არ მინახავს და ამათ ქართულად უნდათ, რომ შევირთო და როგორ გაუძლებ, თუ არ მეცოდინება, ვის ვირთავ. ჩემი გულის დარდი კი არ იციან და მელაპარაკებიან, რომ ილაჯი არა მაქუს — შენმა გაზდამ, გრიგოლ! რომ სიცოცხლე აღარა მაქუს, შენ იცი, ვისთვისაც Н... и это обособное. — მოდი, მიშველე რამე, თორემ ძალიან გასაჭირში ვარ... ბრ გეხუმრები. — Не знаю, что мне предпринять!“

ამის პასუხი მომწერეო, — ევედრება ზაქარია ძმას და მერე ვის, იმას, ვისაც ზაქარიაზე უფრო სწვავდა ნინოს სიყვარულის ცეცხლის ალი, იმას, ვინც „Н“-ის დანახვაზე წითლდებოდა, ჰკრთებოდა, შიშობდა, ენა უდუმდებოდა, სიტყვათა ნაცვლად მხოლოდ ოხრავდა და კვნესოდა. იგი, ვინც თავის გულში, ყოველ წამს, ფიცსა სდებდა, აღარ ეხილა გულისა და გონების დამატყვევებელი მაცთუნებელი ვარსკვლავი, მაგრამ ათასჯერ და ათიათასჯერ დადებულ ფიცს ამდენჯერვე და უფრო მეტჯერაც ტეხდა, ყოველ ჟამს სატრფოს ეძიებდა, გაშმაგებული ყოველივეს ივიწყებდა, თავდავიწყებამდე მისული სწყევლიდა სატრფოს მშვენებას, მაგრამ რა წამს გონს მოეგებოდა, ისევ მასვე აღმერთებდა. გრიგოლს, ვისი სიყვარულით ანთებული ცხელი გულიც ეურჩებოდა მისსავე გო-

* საქ. ც. არქივი, 176.

ნებას, თრგუნავდა მას და გულის მორჩილად შექმნილ გონებასაც სატრფოს მონად აქცევდა. მოდი ამის მერე ლაზათი გასწიე და სხვას, თუნდაც ღვიძლ ძმას, ურჩიე, დინჯად მოიქცეს, გრძნობები დაიოკოს და აღელვებული სული დაიმშვიდოს.

ნინოსადმი რომ არც ზაქარია ყოფილა გულგრილი, ეს მოგვიანებით 1835 წლის 12 მარტს ძმისადმი მიწერილი უსტარიდანაც ჩანს:

„გეტყვი სწორედ, რომ H დაამწარა ჩემი სიცოცხლე. ბიჭო! არა გრცხვენიან? რათ მატყუებდი, შენ ჩემზე მეტად გყვარებია და ჩემ წინ მალაყებს რათ თამაშობდი, ახლა შენ დაგრჩა ბურთი და მოედანი!“

გრიგოლი თავისი 4 ივნისის პასუხში შორს იჭერს ასეთ ამბავს.

„ბიჭო! ვინ გითხრა, რომ მე ვკვდებოდი H. — შენმა გაზდამ სიცრუეა —... თუმცა ის ღირსია... მაგრამ, ჩემის აზრით, არც ერთი ქალი არაა ღირსი ჩვენი სიყვარულის ერთი ოხვრისა. — ახლა მგონია დაბერდებოდა, გასქელდებოდა“*.

მოგვიანებით ნინომ გრიგოლს მოკლე ბარათი მისწერა, „სიამოვნებით გიგონებთო“, და ნატრობდა, „პირისპირ მალე გვეღირსოს შენი ნახვაო“. ეს წერილი შტაბში მიუტანეს ზაქარიას და იმანაც ნიშნისმოგებით წააწერა: „შე კურკავ, მაშ რა არის, თუ არ უყვარხარ და არ გიყვარს? — კარგია!“

სულ ესაა დოკუმენტურად, რაც ვიცით გრიგოლისა და ნინოს უტყვ რომანზე. მაგრამ რა იფარებოდა ამის უკან, ეს უთქმელმა ადამიანებმა საიმედოდ დამალეს საკუთარ გულში, უთქმელადვე ჩაიტანეს სამარეს და სამუდამოდ ბურუსში გაჰხვიეს ქალთა შორის ულამაზესისა და ვაჟთა შორის უმამაცესის ერთმანეთისადმი შენამსჭვალებ გულთა საიდუმლო ლტოლვა, უიმედო სიყვარული, ოხვრა, შორით დაგვა და ამ სიშორით გამოწვეული ვაება, ურვა და კაეშანი.

დიდი ნუგეში არ აღმოჩნდა ქართველი კაცისათვის ვილნოს ბაღებში ხეტიალი და რიგის თეატრში სიარული, ფორტეპიანოს დამკვრელთა შორის ჯდომა, ცეკვა, სეირნობა... თითქოს ერთობა,

---

* გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, გვ. 31.

დროს ატარებს, მაგრამ „მომეწყინა ამდენი ხანი ტანტალი შორს ყოველთა ჩემთა ნათესავთა და გულისა საყვარელთაგანო“. — ჩივის პოეტი და მოუთმენლად ელის შინ დაბრუნებას, სამოთხესავით ქვეყანაში. თორემ რა არის ჩრდილოეთში სახარბიელო? მაისში, ამ უმშვენიერეს თვეში, თოვლია, და პოეტს უკვირს, „აქაურს ლექსებში რათ აქებენ მაისის ვარდსა“.

ბევრი ბუკი დაიკრა გრიგოლის თავზე.

უცხო ცის ქვეშ მყოფი პოეტი ოხვრით იგონებს მამულს, მეგობრებს, ნათესავებს, მეტადრე ძმებს, სიძეს, დისშვილს ტატოს, ყაფლანს და ანტონ ორბელიანს, რომელთანაც აკავშირებდა „ძმობა და მეგობრობა სიყრმითგან დამტკიცებული ბომბებითა და საყვირით“. ეს ის ანტონია, რომელსაც უძღვნა ცნობილი ლექსი „ანტონს“.

მძიმედ მიდის ეს წელიწადი გულისათვის და სწრაფად — ცხოვრებისათვის. „წავიდეს და აღარ მოვიდეს ასრეთი წელიწადიო!“ — სწერს მანანა ორბელიანს გულმოკლული პოეტი. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა, მერე თითქოს მიეჩვია სხვადასხვა მწუხარებას, დერვიშივითა თუ ფილოსოფოსივით დადინჯდა და ყრუ იმედით შესცქერის მომავალს.

აბა „რა არის მისი ყოფა-წუთისოფელი?“ დაბებსა და ქალაქებს შორის „ქვეითად დაეხეტება დიდი კნიაზი“, საშინელი წვიმა კისერში ჩასდის, ფეხით ტალახში ეფლობა... აი, „გააფთრებული“ მივიდა შუაღამისას ერთ სოფელში, და უცებ დამშვიდდა: ვაშლივით ღაჟღაჟა გოგომ მოუტანა რძე, კრძალვით დაუკრა თავი. ლამის გაგიჟდა პორუჩიკი ორბელიანი, გოგონას გაეხუმრა, გეგმები გააწყო, მაგრამ ამ განწყობაში არაადამიანური ყოფით დაღლილსა და დაქანცულს ჩაეძინა და მეორე დღეს თერთმეტ საათზე ძლივს გააღვიძა პატარა ნინიკამ.

ასე ჩაიფუშა მორიგი რომანი უშალ, ვიდრე ჩაისახებოდა. მერე, რომელიღაც მემამულე ქალი მიიპატიჟებს სადილად. ისევ ქალებში ყოფნა თუ ესალბუნება მის დაძწუხრებულ გულს და ეფონება მის დასევდიანებულ გუნებაგანწყობას. მალე ვიღაც კონსტანცია გაიცნო, მაგრამ საყვარელი ქალის ალერსიანი ხმის ნაცვლად სამგლოვიარო ზარი დარეკეს და პოეტმა ისევ ამოიოხრა: ნუთუ

ამ უცხო მხარეს გამითხრიან სამარეს მეც, უთვისტომოს, გაუხარელს? გულის ტკივილი დასჩემდა ზამთრობით. ახველებს, წევს და „ვირის მოთმინებით“ უცდის ხოლმე გამოზაფხულებას. ექიმები ამბობენ, ჭლექიაო, მაგრამ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ბევრი ბუკი იქუხებს, ვიდრე ეს „ჭლექი“ გრიგოლს მოერევა და სამარეში ჩააწვენს.

უცხო ცის ქვეშ

გრიგოლ ორბელიანის აქტიური მონაწილეობა შეთქმულებაში არაფრით არ დამტკიცდა. ხშირი მიმოსვლა იყო მიზეზი თუ სხვა რაიმე, სულ ერთია, დანაშაულის უქონლობის გამო, პოეტს ავლაბრის ყაზარმებში სამი თვის მძიმე პატიმრობის შემდეგ „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჯარში აგზავნიან, საიდანაც უმაღლესი ბრძანებით ნევის საზღვაო პოლკში უკრეს თავი.

ამრიგად, მეშვიდე კატეგორიის დამნაშავე ორბელიანი 1833 წლის ბოლოს გაემგზავრა ვილნოში, სადაც 1834 წლის 2 მაისს ჩააღწია.

აქედანვე იწყება გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების მეორე, მშფოთვარე პერიოდი, რაც მთელი ოცდახუთი წელი გრძელდება: გადასახლებიდან შამილის ომების ეპილოგამდე. ოფიცერი, მეომარი, სარდალი, გენერალი — ასეთია ეს გზა და ამ გზაზე რუსეთის ტახტის ერთგულებით გამსჭვალულ, დიდებით მავალ ორბელიანს არაფრის წინაშე არ დაუხევია უკან. ქართველთა სისხლშიაც ამოუვლია ბაირაღი, რაც მის ბრწყინვალე სამხედრო კარიერას წინ უძღოდა. ეს ფაქტია და ამაზე ისტორია ვერ დადუმდება.

ვილნოს მყოფი პოეტი ოხვრით იგონებს თბილისს, ნაცნობ-მეგობრებს, მანანასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონებს.

პოეტის უახლოესი მეგობარი დავით ყორღანაშვილი ჩრდილოეთს გადახვეწილ ყოფილ თანამეინახეს თბილის-ქალაქის ამბებს აუწყებს, რათა შორს მყოფობით გრიგოლს გული არ დაეჩაგროს და ცინგლიანი, ტიკჭორიანი ქალაქის სასიამოვნო ავან-ჩავანი იქაც იცოდეს. დავითმა კარგად უწყის, რომ გრიგოლის გულს ეს ამბავი დიდად აამებს და ამიტომ შაბათ-კვირას ვახშმად თავისთან

დაპატიჟებული სტუმრების სიას ისეთი სიზუსტით ატყობინებს, თითქოს თითოეული მათგანის ნადიმზე მისაწვევად გრიგოლის დასტური სჭირდებოდეს. ამ სტუმრებში ყველაზე საპატიო ადგილას დავითი „ჩვენს დედას ხორეშანს“ ასახელებს. იცის დავითმა, რომ გრიგოლის გულს ასეთი რამ მალამოსავით მტლედ დაედება, მოესალბუნება, გაახარებს, სევდას გადაუყრის და ოცნებით სამშობლოში დააბრუნებს. იცის და აკი მეგობრის საამოდ მელანსა და დროს არ იშურებს.

გადასახლებულის პოეტურ სუნთქვაზე, უცხო ცის ქვეშ, საკმარისია ვთქვათ, რომ ვილნოში დაიწერა „ჩემს დას ეფემიას“ (1835 წ.).

აქვე დაწერა მოგონებანი. ეს მოგონება არ გასცილებია „რაყიფ კაცთა“ ძნელბედობაზე ყრუ ოხვრას. სიტყვაც არ დასცდენია შეთქმულებაზე, უახლოეს ადამიანებზე, რომლებიც „ავისა ენის გესლით“ მიმოფანტეს უკიდეგანო იმპერიის შორეულ კუთხეებში.

1836 წლის 5 ივლისის ერთ სისხამ დილით გრიგოლ ორბელიანი სოფელ კლაუსცუციდან მიაქროლებს ეტლს, თან სტარიკოვი ახლავს. ოფიცრებმა ეტლი ებრაელ მარკუზის ტრაქტირთან გააჩერეს...

გაშლილი სუფრა. მეტრაქტირის ლამაზი ქალი. მხიარული ოფიცრები. შუშხუნა შამპანურით სავსე ჭიქები. თავადის სადღეგრძელოები. ლაღი საუბრები. და ისევ გზა, ისევ წვიმა, ტალახი, და ჯარისკაცთა სიმღერა.

სამხედრო სამსახურში ხომ ყველაფერს იხილავს კაცი და ყველაფერს გამოსცდის! წვიმა კისერში ჩადის, ძვალსა და რბილში ჯდება ცივი, უსიამო სისველე, და მაინც კმაყოფილი ხარ, თბილ სადგომს რომ მიაღწევ ასობით ვერსის გავლის შემდეგ, ერთ-ორ ჭიქას გადაჰკრავ და განაგრძობ შეწყვეტილ საუბარს. გრიგოლს უყვარს ჭკვიან, ყმაწვილ ოფიცრებთან ყოფნა, მათი უზრუნველობა, სიჭაბუკე, დაუდევრობა და მარადის მხიარულებისათვის მზად ყოფნა. უნებურად ავიწყდება სევდა, მწუხარება, სამშობლოს დარდიც კი!

გვიან ღამით მიაღწიეს სოფელ მელუნის, სადაც ჭიქა ჩაი ორი

მანეთი ღირს. მაგრამ გრიგოლს ყველგან ჰყავს მასპინძელი. ჩაი უფასოდ მოაქვთ და არწმუნებენ, წვიმა ბედნიერების ნიშანიაო ლაშქრობაში. გრიგოლს, დიახაც, ესაჭიროება ბედის გამოცვლა.

მართლაც, ოთხი დღის სალაშქრო სვლის შემდეგ ისეთ ლამაზ მხარეში მოხვდება, რომ უნებურად საქართველო ახსენდება. მაგრამ ნუთუ მხოლოდ მოგონებებით უნდა იკვებოს და ინუგეშოს? ნუთუ აღარ ეღირსება ყოფნა იქ, საითაც ისწრაფვის მისი ფიქრი და ოცნება? რა მოიმოქმედოს? რა ჰქმნას? თავს ზევით ძალა არ არის. რიგა, ვილნო, კოვნო, პოლკი, კორპუსი, ცერემონიები... და მხოლოდ ზოგჯერ ამ ერთფეროვნული სამხედრო ცხოვრების ოკეანეში შეხვდება ნათელი კუნძული, სამშობლოს რომ მოაგონებს. აი, 14 ივლისს კოვნოს ტყეში მოუტანეს საყვარელი დისშვილის — ტატოს მამის მელიტონის წერილი. როგორც ყოველთვის, გაჭირვებაშია, ჩივის, ბედს ემდურის. ახლობელთა ავი სვე გულს უკლავს გრიგოლს, მაგრამ რა შეუძლია, თვითონ მის ნავსაც ხომ უმოწყალოდ აქანავებენ წუთისოფლის მღელვარე ზვირთები!

იმავე საღამოს გიორგი ერისთავი ესტუმრა. გიორგი მასთან ერთად ჩარიცხეს გეისმარის I ფეხოსანთა კორპუსში, ორივე პოეტი ვილნოშია, ხშირად აწვდენენ ხმას ერთიმეორეს, უხმობენ, ხვდებიან ერთმანეთს და შესჩივიან ურთიერთს თავიანთ ძაღლურ ბედს.

რაღა სათქმელია, რომ ეამათ ურთიერთის ნახვა. ჟამთ ვითარებით გადაკარგული მამულიშვილნი იმ ღამეს საუბარში ატარებენ.

მაგრამ გრიგოლს ყველაფერი ჩამწარდა. ერთი კვირის შემდეგ მას ელოდა შეხვედრა, რაც სამუდამო დაღად დარჩა ამაყი პოეტის გულში. 24 ივლისს ჯარების დათვალიერება იყო. თვით ჩერნიშოვს ელოდნენ. გრაფი ჩერნიშოვი, სამხედრო მინისტრი, უცნობი არ არის რუსეთის ისტორიაში. ეს ზვიადი, ქალების მუსუსი, ხარბი და პატივმოყვარე მოხელე, არ იყო მოკლებული სამხედრო ნიჭსა და უნარს. აუსტერლიცის, ფრიდლანდისა და ბოროდინოს ბრძოლების მონაწილე გენერალ-ადიუტანტს დეკაბრისტების საქმის გამოძიებისათვის ნიკოლოზმა გრაფის წოდება უბოძა. 1832 წლიდან ჩერნიშოვი სამხედრო მინისტრია და მოგვიანებით, 1840 წელს, კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ხდება.

ჩერნიშოვის ჩამოსვლა შავი ღრუბლების მოზღვავებით აღინიშნა. კოკისპირულ წვიმაში ამაყი მინისტრი ომის ღმერთივით უვლიდა სააღლუმოდ დაწყობილ ჯარს. აი, გაუსწორდა ორბელიანს... მაგრამ სჯობს პოეტს მოვუსმინოთ:

„მე ვიყავ დეჟურნი. გამოვიჭიმე მის წინ, მაგრამ არც კი მაღირსა შემოხედვა. ახ! ვითარ მცირედ მეჩვენა მაშინ თავი ჩემი!“ შეურაცხყოფილი პოეტის ამ სიტყვებში ყველაფერია ნათქვამი. სამუდამოდ ჩარჩა გულში გრიგოლს ეს ხეპრული წყენა, ეს ბატონკაცური ამპარტავნობა, ადამიანის არად ჩაგდების აღმოსავლური ჟესტი, რაც რუსეთის იმპერიაში უკიდურეს საზღვრებს აღწევდა.

— ამ შეურაცხყოფის ატანა ძალმიძს მხოლოდ იმის შეგნებით, რომ, ციციანოვისა არ იყოს, ყოველივე სამსახურის მოვალეობათა და მეფის ერთგულების გამო ხდება, — ეუბნებოდა შემდეგ პოეტი მეგობარ ოფიცერს. — არც კი შემომხედა!

— გულთან ნუ მიიტანთ, თავადო, — მიუგო ღიმილით ოფიცერმა. — იფიქრეთ იმაზე, რომ ნაპოლეონი ან სუვოროვი მის ადგილზე შემოგხედავდათ. აჰ, ბატონო ჩემო, ამ მინისტრებსა და გენერლებს პოეზიის გრძნობა სულ არ გააჩნიათ! შეიძლება მხოლოდ ქალებთან...

მეგობრები ნუგეშს შამპანურის ქაფში ეძებენ და დარდსა და ვარამს ღვინით იქარვებენ.

ორიოდე კვირის შემდეგ იგივე მეორდება, მცირე განსხვავებით: ამჯერად ჯარებს კორპუსის უფროსი, თავადი მიხეილ გორჩაკოვი ათვალიერებს, მენშიკოვისა და პასკევიჩის მომავალი შემცვლელი. ისევ წყობა, კოლონები, ვარჯიში, არტილერია, კავალერია, დისტანციები... და ყველაზე მეტად გრიგოლს ის დისტანცია ეშორება, სამხედრო დიდკაცობის თვალსა და გულს შორის რომ არის.

24 აგვისტოს გენერალ-ფელდმარშალი და უბრწყინვალესი თავადი ივანე პასკევიჩი ჩამოდის. მეორე დღეს ჯარებს ათვალიერებს. ისევ როტები, ხაზები, ქვემეხთა ქუხილი. თოფებითა და ხმლებით გაკეთებულ მრისხანე პირამიდებს ჩაუვლის ახალი ძლევამოსილი ფარაონი, მხედრული მუსიკის ქუხილში, გაჭიმული,

პოლკის სიმღერაში, ქვემეხთა გრიალში, „ვაშას“ ძახილში... სუვოროვის პატივს იშნოვებდა პასკევიჩი.

დაღამდა. ბანაკში მწუხრი ჩამოწვა, ცაში კი ჩირაღდნები აენთო. ფელდმარშლის გადახლართული ვენზელი — „ი. პ.“ შუქურად ელავდა სივრცეში, მთის მწვერვალზე, ახალი ვარსკვლავის მსგავსად, ნიშნად იმისა, რომ პასკევიჩის სახელი ცასა და მიწას შუა ჰკიდია.

შეხედა პოეტმა და უნებლიეთ გაჰკრა გონებაში საწუთროს ამაოების ფიქრმა:

„ორმოც, სამოც წელს შემდეგ სახელნი ჩვენნი განჰქრებიან ამა ჩირაღდანივით, მარამა სახელი ვარშავსკისა მომავალთ საუკუნეში აღენთება, ფრთა ნათელი და ცათა სწორი“...

პარადს მოჰყვა კორპუსის მანევრი. ბანაკი მოიხსნა. გრიგოლი კოვნოშია. წირვას ესწრება, ჰოსპიტალს ნახულობს და დიდხანს ათვალიერებს ოთახს, რომელშიაც ოცდაოთხი წლის წინ საშინელ ჭექა-ქუხილში შეფარებულ ნაპოლეონს ღამე გაუთევია. ადგილობრივმა მკვიდრმა, რომელსაც პირადად ენახა საფრანგეთის იმპერატორი, ყოველი წვრილმანი აუხსნა, მაგრამ მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემა კი გაუძნელდა:

— ისიც ჩვენსავით კაცი იყო? — ჰკითხა პოეტმა.

— ჰო, ჩვენსავით იყო... მაგრამ ცოტა სხვანაირი, ფიქრიანი... ერთთავად ფიქრობდა...

მხოლოდ სამხედრო სამყარო როდი აინტერესებს უცხო ცის ქვეშ მოხვედრილ პოეტს. უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ სამხედრო სამსახური და განდევნილობა აწვება ტვირთად, მხოლოდ მოვალეობას იხდის, თავისუფალ დროს კი პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების შესწავლითაა გართული. როგორც კი საქმიდან მოიცალა, ვამენდელის მონასტერში წავიდა. ეს მონასტერი ძეგლია საშინელი დანაშაულისა: ერთ პოლონელ თავადს შეჰყვარებია ღვიძლი და. ისე ძლიერი ყოფილა ეს სოდომური გრძნობა, რომ ორივე ცოდვაში ჩავარდნილა, მერე კი ცოდვის მოსანანიებლად ეს მონასტერი აუგიათ. მონასტერში მისულმა გრიგოლმა გამძლე კუბოში შენახული ძვლები საკუთარი თვალით იხილა და მძიმე ფიქრები აეშალა:

„ვნახე მათი კუბო, რომელთა შინა მხოლოდ ძვლები იყვნენ დაშთომილნი. სად არის სიმშვენიერე ქალისა, რომელმანცა დააბრმავა გონება ძმისა? სადა არს გრძნობა და ძალა სიყვარულისა, რომელთაცა დაავიწყეს და ძმასა? აწ მხოლოდ რაოდენნიმე ძვლები და რამდენიმე ნაგლეჯი ტანისამოსისა მოუთხრობენ ამაოებასა ამა სოფლისასა! ნუთუ მართლად ამით დასრულდება ცხოვრება ჩვენი? ნუთუ იმედი, სინიდისი, ესე საიდუმლო ხმა განგებისა, ესე საიდუმლო მსაჯული ჩვენი, ნუთუ სიყვარული და სურვილი კეთილისა საქმისა მოცემულ არს ჩვენდა მხოლოდ მისთვის, რათამცა განჰქრნენ, დალპნენ ხორცთა თანა ჩვენთა? — არა! მრწამს სიტყვა ღვთაებრივისა კაცისა: „არა მოვჰკვდები, არამედ გარდავიქცევი სიკვდილისაგან ცხოვრებად“. — ღმერთო, მიუტევე ამათ შეცოდებანი მათნი!“ — ვსთქვი და გამოველ გარეთ დაფიქრებული“.

ბუნებრივია, ამ სანახაობას რომ მძიმე ფიქრები აღეძრა მგოსნისათვის, მაგრამ დასკვნა მისი, რომ—არა! მრწამს სიტყვა ღვთაებრივისა კაცისა: „არა მოვჰკვდები, არამედ გარდავიქცევი სიკვდილისაგან ცხოვრებად“ მხოლოდ ღრმა ფილოსოფიურ, ათეისტურ აზრთა დინებით შეიძლება აიხსნას.

ვამენდელის მონასტერშივე უხილავს პოეტს მლოცველი ყრმა იესოს ფერწერული ძვირფასი ტილო. იმპერატორ ალექსანდრეს ისე მოსწონებია ეს სურათი, რომ ბერებისთვის ხუთი ათასი ოქრო შეუძლევია, მაგრამ ბერებს მოხერხებული პასუხი მიუციათ: „სურათიც შენია და ჩვენც შენი ვართო“. იმპერატორი უსიტყვოდ გაბრუნებულა.

იმ ხანებში კორპუსში მეფეს ელოდნენ. ოფიცრებს „სწყუროდათ დიდად ხილვა ესრეთ დიდებულისა ხელმწიფისა“, უფრო კი ჯილდოების მიღება, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და მეგობრები ისევ გრიგოლთან შეიკრიბნენ დარდის გასაქარვებლად. წვიმდა. ერთი დაუპატიჟებელი უხასიათო ოფიცერი შემოესწროთ. გრიგოლმა თავაზიანობისათვის მიიპატიჟა. არავის ეამა მისი მოსვლა.

— ასეთ წვიმაში ყოველთვის ამისთანა კაცი გამოჩნდებაო! —

შესძახა ერთმა და ატყდა გულიანი სიცილი. შემოსწრებული თითქოს დამუნჯდა, მხოლოდ სულელურად იღიმებოდა.

— არ გეწყინოთ, მეგობარო, — ანუგეშა ისევ გრიგოლმა. — ეს დეკემბრის სუსხი შემოგყვათ და იმაზე ამბობენო.

იმ ნაწილში, სადაც გრიგოლი მსახურობს, ზედიზედ ჩამოდიან გენერლები, ზოგჯერ ფელდმარშალიც, მეორდება ჯარის დათვალიერება, მანევრი, და ისევ ათასში ერთხელ — სასურველი სტუმარი. 16 დეკემბერს ისევ გიორგი ერისთავი ესტუმრა. ისე დაემშვიდობნენ ერთიმეორეს, თითქოს საუკუნოდ შორდებიანო.

საბანაკო ცხოვრება კი გრძელდებოდა. კვლავ სევდანარევი სიცილი, ხუმრობა, საღამოები. წვიმა, სუსხი, გაქცეული რეკრუტი: ისედაც პატარა ქალაქი კოვნო სრულიად დაპატარავებული შემორჩათ ხელში კორპუსის წასვლის შემდეგ. ბაზარი, სადაც არაფერი იშოვება. ანგრეული ოთახები. ჭუჭყიანი ქვეშაგები. დაცემული შანდალი. უსირცხვილო მეძავები, რომლებიც თავს ორ შაურად ყიდიან. სინდისის ნაპერწკალიც არ ჩანს მათს ჩაღამებულ თვალებსა და უტიფრულ გამოხედვაში.

— შემდეგ რაღას იზამენ, რომ დაბერდებიან და ეს ხელობა აღარ გავა? — ჰკითხა პოეტმა მეგობარ ოფიცერს სვეჩნიკოვს.

— თუ საშინელი სენი არ დაშლის მათ საბრალოთა სახსრებს, ბევრ სამსალა და მდინარეა მათი მეგობარი, — მიუგო სვეჩნიკოვმა. — ბუნება ყველასათვის გამონახავს შესაფერის აღსასრულს. ერთი გოგო ბატონს ემსახურებოდა, მესამე სართულიდან გადმოვარდა. მოარჩინეს. მეორედ წყალში ჩავარდა, მეთევზეებმა იხსნეს. მესამედ მთა ჩამოიქცა, მიწაში ჩაიმარხა. ახლაც იხსნეს. რისთვის გადაარჩინეს? განა საკვდილი არ ერჩია ასეთ ცხოვრებას, დაუსრულებელ დამცირებასა და გარყვნილებაში გატარებულს?

გულდამძიმებული პოეტი ოთახიდან გამოიძურწება, სტეფანოვთან მიდის, მერე მეგობრები სასეირნოდ გადიან, მუსიკოსებს უსმენენ, სიჭაბუკის სიამესა და ბედის უკუღმართობაზე საუბრობენ.

გვიან ღამით ბრუნდებიან შინ, სოფელ ლობში. განუყრელი მსახური ბიჭი ნინიკა ბაქრაძე მხიარული გამოეგება, ოფიცერ იორდანის წერილი დაახვედრა და შტაბსკაპიტნობა მიულოცა.

— მადლობა ღმერთს! — შესძახა ღიმილით გრიგოლმა. —არა ვსწუხვარ, ჩემს ბედსა, თუმცა სხვანი ჩემნი მეგობარნი მაიორებიც არიან, ლოცვა და მოთმინება მმართებს და უნუგეშოდ არც მე დამაგდებს ღმერთი, რომელმანცა დამიხსნა თვრამეტის ძლიერის ომისაგან, საპყრობილესაგან, წყალში დაღუპვისაგან და სნეულებისაგან, რომელმანცა მიმიყვანა თითქმის სამარემდის. წყალობით მომხედავს მეც ხელმწიფე იმპერატორი. ხომ, ჩემო ნინიკა?

— ჰო, კნიაზო, ისეთი სიზმარი ვნახე, რომ უთუოდ მოგხედავს.

— სიზმარი? ეჰ, ნინიკა! სასიზმროდაც გამიხდა საქმე? მაინც რა გესიზმრა?

— ვითომ ღრუბელივით მოდგა რიცხვმრავალი ყიზილბაში, წმინდა ტაძარს მოაშურეს ურწმუნოებმა. შენ კი, კნიაზო, გენერალი იყავი, თეთრ ცხენზე ამხედრებული, წმინდა გიორგისავით გაუძეხი ჩვენს წყობას, სათელ, დიდ, დიდებულ, ერეკლეს დროშას მიაფრიალებდი, შუქის სვეტი გადგა თავზე და ისეთი ორდენები გიბრწყვიალებდა მკერდზე, თავადიშვილო, რომ ყიზილბაშების წინამძღოლს თვალი მოჰკვეთა, პირდაღებულ უფსკრულში გადავარდა, მისი ჯარი კი მთებში გაიფანტა და, ჰოი, უფალო! — ჭიანჭველებად იქცა!

გრიგოლი უკვე გულიანად იცინოდა:

— ჩემო ნინიკა! შენ საგულისხმო სიზმარი გინახავს! ღმერთმა ჰქმნას, მე გენერალი გავხდე, შენ კი — მგოსანი!

— გენერლობაც შენთვის დამითმია, კნიაზო, და მგოსნობაც. მე კი ისევ ისე ნინიკა ბიჭი ვიქნები. ეგრე ემჯობინება, თორემ ყველა რომ ბატონი გახდეს, უქმელი დავრჩებით.

მეორე დღეს, 26 დეკემბერს შტაბსკაპიტნობის მოსალოცავად მოვიდნენ ტროფიმოვსკი, სვეჩნიკოვი, ტუფიაევი, სტეფანოვი... მთელი დღე მხიარულებაში გაატარეს, მომდევნო დღეს კი საყდრის დღეობაზე წავიდნენ... გრიგოლი უკვე იცლის იმისათვის, რომ დღეობაში ლამაზ გოგონებთან ვალსი იცეკვოს, კოცნისათვის მოგონილი „პოდუშეჩკი“ შეისწავლოს და მერე ისე დაუახლოვდეს ამ უბირ გოგონებს, რომ „როცა მოუნდება, ჰკოცნიდეს“.

ამ დროს ხდება პატარა უსიამოვნება. სამი პოლონელი რეკრუტი

გაიქცა. გრიგოლი მთელი ღამე შფოთავს, მეორე დღეს როზგით აცემინა ის ჯარისკაცები, რომელთაც ახალწვეულები ებარათ. შესცქეროდა პოეტი, როგორ ასრულებდნენ ოფიცრის ბრძანებას და გული უკვდებოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

მოკლედ და ცოცხლად გადმოგვცემს გრიგოლი სცენებს, რომელთაც თავისი მხედრული ცხოვრების გზაზე ხედავს: საღამოებს, ებრაელთა ქორწილს, გზაზე გამართულ ცეკვა-თამაშს და ერთ შორიგ მარცხს, რაც სიყვარულში უიღბლო პოეტს ვილკომირში შეემთხვა. მისი პირდაპირობა, გულახდილობა და მართალი სიტყვა სასიყვარულო ამბების თხრობისას, მეტი რომ არა ვთქვათ, განსაცვიფრებელია. იქ, სადაც სხვა მოიგონებდა ზღაპარს იმაზე, თუ როგორ გადავარდა მისი გულისათვის სამი ქალი მდინარეში, მეოთხემ კი თავი მოიწამლა, — გრიგოლი შეუფერავად გადმოგვცემს თავისი პატარა რომანის სამწუხარო დეტალებს.

5 ოქტომბერს ქალაქ ვილკომირში დანიშნული იყო რაუტი. ამ საერთო სეირნობაზე გრიგოლი ვერ წავიდა. ყელი სტკიოდა, თუმცა ამაზე დიდი მიზეზიც ჰქონდა: მეტად ლამაზი სახლის პატრონი ჰყავდა, სახელად დუნია. ვნახოთ, როგორ დაიწყო და რით დასრულდა მათი რომანი:

„მიხაროდა, რომ ჩემნი ამხანაგნი წავიდნენ რაუტზე. დავრჩი მე მარტო სახლის პატრონთან. ბევრი ვეკურკურე, მაგრამ ვერა გავხდი რა. ბოლოს წავეჩხუბე, გავებუტე და წაველ დასაძინებლად. რა უყო! ძალათ სიყვარული არ შეიძლება!“

მეორე დღესვე დილით პოეტმა ტროფიმოვსკის ასეთი ბარათი დაუტოვა, რუსულად დაწერილი.

„ვერაფერს იტყვი, ბინა კარგია, დიასახლისი — კიდევ უკეთესი, მაგრამ დე, ჯოჯოხეთში წაშავდეს, ან უმჯობესია ბოროტმა სნებამ დაასვას დაღი მის ეგზომ მიმზიდველ სახეს! უკეთური! ორი ღამე არ მეძინა, ორი დღე ვეხვეწე, ვევედრე, არ დამიზოგავს მთელი ჩემი მჭევრმეტყველება და სისულელე, რაც კი აწყვეტილ ვნებას გააჩნია. რა გაეწყობა! მე ვნახე, გავიგონე, როგორ ნელ-ნელა იღებოდა მისი ოთახის კარი და როგორ უჩუმრად შედიოდა რომელიღაც მეტოქე! ხუთასი ბომბი და ხელყუმბარა! ჯოჯოხეთში ვიყავი! ორმოცდაათი ათასი რწყილი დამესია. თქვენ გაიგებთ ჩემს უძილობას,

ჩემს ტანჯვას. აღარ შემიძლია წერა, ბრაზი და წყენა მეუფლება. მშვიდობით! გისურვებთ ჩემზე ბედნიერი ყოფილიყავით".

მოტეხილი, სნეული, ქანცგაწყვეტილი ადგა დილით. გულის ტკივილმა გაუხსენა. ნაღველმა მოიცვა: როგორ მივალწევო დინაბურგს! „ახ! რა ძვირფას არს სიმრთელე კაცისთვის!"

ეს ერთი ეპიზოდიც ნათელჰყოფს, რომ გრიგოლ ორბელიანისათვის უცხო არ ყოფილა შმაგი სიყვარული და აწყვეტილი, ვნებიანი გრძნობა, მაგრამ სადაც არა სჯობდა, გაცლაც ვაჟკაცური სცოდნია, ისეთი, როგორიც მის მწერლურ ღირსებას ეკადრებოდა.

დინაბურგთან არსებითად წყდება პოეტის დღიურები. მოსწყინდა ამ ჰანგზე წერა, თორემ ზღვა მასალას მოგვცემდა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზის აღსადგენად.

ვილნოში გრიგოლი, მისივე სიტყვით, „მკვდრეთით აღადგინა" ექიმმა პონომარევმა. გვიან გრიგოლი მარიამ დედოფალს რიგიდან სთხოვს ამ მკურნალის შემწეობას.

ვილნოში ისევ ისე მიმდინარეობს მხედრული წვრთნა.

საქართველოში კი ისევ ისე იბადებიან მშვენიერი ასულნი... მხოლოდ გრიგოლისთვის კი არა! ჯერაც იფურჩქნებიან ნინო და ეკატერინე, უდარდელად კისკისებს სოფიო ორბელიანი, გრიგოლის საცოლე, და 1834 წელს იბადება მეორე სოფიო, ალექსანდრე ჭავჭავაძის მესამე ასული. გრიბოედოვის ქვრივი გამდელად იქცევა. საოცარი ინტუიციით, თითქოს წინასწარმეტყველური ალღოთი სწერს გულნაკლული გრიგოლი 1835 წლის 23 მარტს სალომე ორბელიანს — ჭავჭავაძისას, ალექსანდრეს მეუღლეს:

„ეს მესამე დღეა, რა მოველ რიღიდამ აქა, სადაცა დამხვდა წერილი თქვენი, რომელშიაც მწერთ მესამე ქალის ყოლას, ესე იგი მესამე გრაციას. — მოგილოცავთ, მაგრამ, რა გინდა, სალომევ! აქამდის ორი ქალი გყვანდა და თითქმის პეტერბურღითგან ისპაანამდის გაგიყებულნი იყვნენ ხალხნი, ახლა ეგ მესამეც"...

პოლონეთი პოეტს საქართველოსავით შეუყვარდა. პოლონელ თავადებთან მეგობრობაში, რომანტიკოს პოლონელ ქალებთან ალერსსა და შექცევაში განვლო სამმა წელიწადმა. ამან აატანინა „ბუნების განმაცხოველებელ" საქართველოს ჰაერის ნაკლებობა, გაუადვილა ნინოს, სოფიოსა და ეკატერინესაგან შორით ყოფნა.

საქართველოში კი ქორწილი ქორწილს მოსდევს. ეკატერინეც გათხოვდა, გრიგოლი კი ქორწილსაც ვერ ეწვრება! რამდენჯერაც შინ ჩავა, იმდენჯერ უნდა ტირილი და ვაივაგლახი დახვდეს! ახლობლების ალერსს მოკლებული, შორეულ რიგაში მყოფი პოეტი ზაქარია ორბელიანს სწერს:

„ჩემს საყვარელ დას ეფემიას თავის შვილებით დავჰკოცნი“... „ახა, ანგელოზო ჩემო! რათ დამივიწყეს, რომ ერთის წიგნით აღარ მახსენეს. რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს, თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს სახელმწიფოს ხარჯზე იმის გაგზავნას რომელსამე უნივერსიტეტში... დასანანი იქნება, დიდად დასანანი, რომ მისი ნიჭი და უნარი განუვითარებლად დარჩეს“.

1835 წლის გაზაფხულზე მანანა წინანდალშია, ჩინებულად ატარებს დროს და სხვათა შორის უსმენს დიდი პუშკინის ძმას, ლევ პუშკინს, რომელმაც „წინანდლელ ქალებს“ „რუსლანი და ლიუდმილა“ წაუკითხა. მანანა არ დაკმაყოფილდა პოემის შინაარსის რუსულ ენაზე გაცნობით და გადასახლებაში მყოფ გრიგოლს სთხოვა, მითარგმნეო, მერე ისევ შეახსენებს, მაგრამ თარგმანის ნაცვლად ცნობილია მხოლოდ გრიგოლის ბუზღუნი: მანანა გაგიგიჟებიათ, თარგმნასა მთხოვსო.

1835 წლის 10 თებერვალს ზაქარიამ ანჩისხატის ეკლესიაში დაიწერა ჯვარი დეკანოზის ქალზე ქეთევანზე (მზითევი ხუთასი თუმანი აღმოჩნდა, ნაცვლად შვიდასისა). და გრიგოლს ისღა დარჩენია, მიულოცოს გაბედნიერება ძმას, რომელმაც იმ ხანებში პოდპორუჩიკობაც მიიღო:

„იყვენით მარადის გულწრფელად და ნურარაი იქმნების თქვენ შორის საიდუმლოდ, უკეთუ გჰსურთ ბედნიერად ცხოვრებაო“, — ურჩევს „მოხუცი“ ახლადდაქორწინებულთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წერილში (1835 წ. 11 აპრილს) უცოლო კაცის მიერ გამოთქმული ღრმააზროვანი პრაქტიკული რჩევა, ცოლ-ქმრული ცხოვრების სიამტკბილობის თაობაზე ხანგრძლივი დაკვირვების, ჭვრეტის, აღქმისა და ფილოსოფიური განსჯის შედეგი უნდა იყოს.

„განჰხსენით გული თქვენი და მასზედა წაიკითხეთ ხასიათი ურთიერთისა. იყვენით ურთიერთისა პატივისმცემელნი; ვინაითგან საცა

არა არს პატივისცემა, არცა არს სიყვარული. — არ დაგავიწყდესთ ნემენცური ანგარიში, ესე იგი, რომ ხარჯი არ გარდამეტებდეს შემოსავალსა. ამა ქანონისა დარღვევა ჰყოფს ესოდენ მრავალთა უბედურად, — მეუღლეობითსა ცხოვრებასა შინა, ოდესმე უმცირესი მიზეზი ჰშობს უსიამოვნებასა; ამისთვის ერიდენით და ძალიან ერიდენით, რომ არცა მეგობარი, არცა ნათესავი და თვით ძმაცა თქვენი არ იყვნენ მოწამედ თქვენ შორის უსიამოვნებისა, რომელიცა უიმისოდაც განჰქრების მსწრაფლვე. — დაიცევით ესე და მერწმუნეთ, რომ ცხოვრება თქვენი განჰვლის ბედნიერად“.

ეს ამონაწერი აქ იმ მიზნითაც დავიმოწმეთ, რომ დავუპირისპიროთ თვით პოეტის მიერ არაერთხელ შემთხვევით ან პირადი უბედურების გამო თქმულ სკეპტიკურ მოსაზრებებს ცოლ-ქმრობასა და ქალის სიყვარულზე. ძმა და რძლისადმი შემდგომი „დავალება“ ასეთია: პირველად გააჩინონ ვაჟი და უწოდონ ლიპარიტი, ორბელიანთა გვარის მამამთავრის სახელი.

ჰირი და ოჯახური უსიამოვნებანი კი კვლავ ერთმანეთს ესარ. თებიან და გრიგოლის სადარდელი გოლგოთას აღმართივით იზრდება. მელიტონი ლოგინად ჩავარდნილა. ზაქარია ისეთ წერილებს წერს, თითქოს კიდევაც მომკვდარა ტატოს მამა. გრიგოლი დარდით აღარაა:

„...ცრემლნი მდიან თვალთაგან ამ წერაში... ჩვენც ასეთს სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგთენი არა შეგვიძლიან რა, ახ! ღმერთო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახლი ჩვენი. — ო! რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულის საყვარელს დას უკანასკნელ განწირულებაში და არა შეეძლოს შემწეობა“.

საქმე იქამდე მიდის, რომ გრიგოლი ზაქარიას ეკითხება, ხომ არ შეიძლება ეფემია ჩვენს სახლში გადავიყვანოთ, თუნდაც დროებითო?

ამჯერად ყველაფერი კეთილად ჩაივლის. მელიტონი მორჩება, 1832 წელს თავის გამოჩენისათვის სტანისლავს მიიღებს, და გრიგოლი ჩვეული ირონიით შენიშნავს: „მოულოცე ჩემმაგიერ და უთხარ, რომ მურთუზალიშვილს რომ ხმალი შემოჰკარ ყბაში-თქო, იმისთვის მოგვივიდა ჯილდო-თქო“.

ამდენ დარდიანობაში თმაში ჭაღარაც გამოერია, „მაგრამ აგინებს და იგლეჯს“. ჯერ დაღისტანში არ წასულა, თავზე კი ათოვს!

მხოლოდ დავით ყორღანაშვილის წერილები ავიწყებენ ვილნოს ტალახის ზელვით გართულ პოეტს წუთისოფლის სიავეს. აღდგომა დღეს რომ დავითის წერილს მიიღებს, მომტანს ულვაშებში სამჯერ აკოცებს, დაჯდება, იკითხავს, იცინებს, უბეში ჩაიდებს და ხშირ-ხშირად ამოიღებს ხოლმე.

ოღონდაც! დავით ყორღანაშვილი — ესაა ორთაჭალა, ყანწები, მირზაჯანა მადათაშვილთან — ამ „ლხინის პაპასთან“ — და გერასიმე ყორღანაშვილთან გატარებული დარდიმანდული დღეები... ახლა უმცროსი ძმები დაქორწინდნენ, თვითონ კი დარჩნენ რიყეზე. დაღესტნის მთები ელიან მოქეიფე მეგობრებს.

რიგასა და ვილნოს მყოფი გრიგოლი არ ივიწყებს ჭავჭავაძეებს, ხშირად სწერს სალომეს, ისევ და ისევ აქებს მის ასულებს, უხარია, რომ ალექსანდრე საქართველოს სენატის წევრი უნდა იყოსო და მადლიერია, რომ მისი დიდი ორეული პეტერბურგში ცდილობს მისი მდგომარეობის შემსუბუქებას. ერთ-ერთი წერილის პასუხში (1835 წ. 25 ივლისს) ლაპარაკობს რიგის კომენდანტის გენერალ დრიზენის ქალზე, რომელიც სილამაზით განთქმული ყოფილა და განაგრძობს:

„მერწმუნეთ, თქვენი დარეჯანი და თალალა (მოახლენი.—ე. მ.) უმჯობესნი არიან. — დასწყევლოს აქაურის კრასავიცების სახეები, შემწვარს კარტოფილებს ჰგვანან... ვინც არ ყოფილა საქართველოში, იმან არ იცის, თუ რა არის კრასავიცა“.

1835 წლის ზაფხულში გრიგოლი შეხვდა ბარონ როზენს, — არა მთავარმართებელს, არამედ გენერალ-ლეიტენანტ რომან როზენს, რომელიც 1830 წელს დივიზიის უფროსად იყო საქართველოში. ბარონმა კარგად მიიღო და საქართველოს ამბებით გაახარა პოეტი.

* * *

შორეული ცის ქვეშ მყოფი პოეტი არ ივიწყებს არც ქართულ ზნეობას და არც ქართული ხუროთმოძღვრების, მწერლობის, მატერიალური კულტურის ძეგლების ბედს. ყოველ შესაფერის შემთხვევაში ის გვევლინება მრჩევლად, დამრიგებლად, სიკეთის გზის მაჩვენებლად.

გრიგოლი წესიერებას, სიღრმესა და გულმოდგინებას მოითხოვს ყოველ საქმეში, რასაც ადამიანი ხელს მოჰკიდებს. თავის მრავალრიცხოვან წერილებში ხშირად ვხვდებით საყვედურებს, დარიგებას, რჩევას სწავლისა თუ სამსახურის საქმეებზე. 1835 წლის ზაფხულში ილიას სწერს:

„როგორა ხარ მიღებული საზოგადოებისაგან. ვინძლო, ჩემო ილიკოჯან, რომ ჭკვიანურის ყოფაქცევითა მოიპოვო პატივისცემა და სიყვარული აფიცრებთაგან. რადგანაც აღირჩიე სამხედრო სამსახური, ამისათვის უნდა ეცადო ყოვლის შენის ძალითა და გონებითა, რომ ჰსცნა სრულებით ხელობა შენი“.

შემდეგ ურჩევს აწარმოოს დღიური, რათა რამდენიმე წლის შემდეგ გადახედოს და წარმოიდგინოს, რამდენი დღე ფუჭად გაუტარებია, რამდენი საქმიანად.

„მე არაოდეს არ დაგიშლი მხიარულად დროს გატარებასა, — განაგრძობს გრიგოლი, — მაგრამ უნდა იცოდე, რომ მხიარულება არ მდგომარეობს არცა ლოთობაში და არცა ქაღალდის თამაშობაში. ესე წყეულნი ვნებანი ესრეთ ძლიერ არიან მიმზიდველნი ყმაწვილის კაცისა, რომ თუ ძალიან მაგრად არ წინააღუდგა მათ, სრულებით წურბლებსავით ჩაეკვრებიან გულში და დაღუპვენ საუკუნოდ... ერიდე, ერიდე, მანამ ყმაწვილი ხარ და როდესაც ჩემი ხნისა შეიქმნები, მაშინ თუნდ ქვევრი დასცალო, არ შეიცვლები ხასიათით, რომელიცა ეხლა შენს ხანში არის რბილ, ჩვილ წმინდა სანთელსავით, რომლისა ზედა ის გამოისახება, რასაც დაასომ ბეჭედად“.

ეს ბრძნული და საქმიანი დარიგება სრულებითაც არ კარგავს თავის აღმზრდელობით მნიშვნელობას არც დღეს, თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ.

მომდევნო წელს ილიას გულმოდგინებით კმაყოფილი პოეტი ისევ მოაგონებს:

„აგრე უნდა შენმა გაზდამ. კაცმა რა გზაც აღირჩიოს თავის ცხოვრებისათვის, უნდა მედგრად ვიდოდეს მასზედ. ყველა ხელოვნება, ყველა ცოდნა კარგია და სასარგებლო კაცისათვის, მაგრამ ერთი უნდა ამოირჩიოს მთავარ მიზნად, ყველა დანარჩენი, ასე ვთქვათ, დამხმარე საშუალება უნდა იყოს“.

იმავე წერილში ილიასაგან მოითხოვს გულდასმით დააკვირდეს

აფხაზეთსა და ქუთაისში ყოფნის დროს ადამიანთა ჩვეულებასა და ხასიათს, აღუწეროს ისტორიული ნანგრევები, ძველი მონასტრები, მათი არქიტექტურა და მისთანები, სად ინახებიან ძველი ქართული წიგნები, „ერთის სიტყვით, ყოველივე წვრილად და წვრილად. — სამხედრო სამსახური ამით არის კარგი, რომ საცა არ გგონია, იქ მიხვალ, ამისათვის ყოველივე უნდა ყურადღებით გასინჯო, გამოიკითხო და დასახსომებლად ჩასწერო ჟურნალში“.

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, გრიგოლი ერთგვარ მეცნიერულ დავალებას აძლევს ძმას და კორესპონდენტად ნიშნავს. სხვა საქმეა, რომ ილიას წერა ეზარება და დავალებას ვერ ასრულებს. დაჟინებით ურჩევს აგრეთვე ისწავლოს ფრანგული და გერმანული ენები, „ფრიად განათლებული და სწავლული ხალხის ენები“.

ცოტა გვიან ისევ ილიას ავალებს — შენ და მიხაკოს (ორბელიანს) ერთმანეთი გიყვარდეთ გულწრფელად, როგორც მე და ტატოს გვიყვარდა ურთიერთიო.

გადის დრო და უკვე გორიდან აფრთხილებს: სძლიე სიზარმაცეს, მოეშვი ქაღალდს, სიკეთის გზას დაადექი მტკიცედ, ხოლო თუ არ შეგიძლია, ისევ შინ ჩამოდი და როგორც გვიწირავს, ისევე ვწიროთო.

გადასახლებაში ღებულობს გრიგოლი 1835 წელს მანანა ორბელიანის მაზლის, მშვენიერი ანა ორბელიანის ქმრის, მაიორ ლუარსაბ ორბელიანის გარდაცვალების ცნობას და, ღრმად დამწუხრებული, ნუგეშის წერილს სწერს ორივეს — მანანასაც და ანასაც. ამ წერილებში მეტი ძალით იგრძნობა, რა გულშემატკივარი, გულჩვილი და ერთგული ყოფილა ჩვენი დიდი რომანტიკოსი ნათესავ-მეგობრებისათვის. დავითის და ლუარსაბის სიკვდილმა დაამწარა ჩემი ცხოვრებაო, არწმუნებს ქვრივებს, რომლებიც, მისივე მოწმობით, ანათებდნენ საქართველოს (დავითი გარდაიცვალა ხუთი წლით ადრე, 1830 წელს).

* * *

1836 წლის 14—15 სექტემბერი ჯარების დათვალიერების დღეები იყო. ფელდმარშალი პასკევიჩი კოკისპირულ წვიმაში შუბლშეკრული შესცქეროდა მწყობრად მიმავალ კოლონებს, რო-

მელთაც „წვიმა კისერში ჩასდიოდათ“, ბოლოს მადლობა უთხრა წინამძღოლებს და თავისი გზით წავიდა.

განა დრო არ არის პორუჩიკი გრიგოლიც თავისი გზით წავიდეს? უფრო მძიმე დამნაშაულები უკვე შინ სხედან. გრიგოლიც გაშვებას ითხოვს. თუ გაუშვეს, ხომ კარგი, თუ არადა, თავს მაინც არ გაუტეხენ.

თუმცა გრიგოლი უკვე შტაბსკაპიტანია და არა პორუჩიკი. ძლივს, ჩხირი კედელს! ილიაც კვალდაკვალ მოსდევს. მასა და მიხაკოს, ქაიხოსრო ორბელიანის ვაჟს, ერთდროულად უბოძეს პორუჩიკობა და, სიღარიბე რომ არ უშლიდეს, გრიგოლი ფულს გაუგზავნიდა ჭკვიან ძმას.

სხვა სასიხარულო ამბავიც ხდება ორბელიანთა ოჯახში. დინაბურგის ჰოსპიტალში გებულობს გრიგოლი, რომ ზაქარიას ცოლს პირველი ვაჟი ეყოლა, სანდრიკო, „და ახლა ნახონ ქეთევანის ბერვა“! სამაგიეროდ მელიტონს კიდევ ერთი პატარა ვაჟი უკვდება, ტატოს ძმა. სამეგრელოში კი ლევან დადიანის ქალს თხოულობს გენერალ-ლეიტენანტი ივანე მუხრან-ბატონი, რომელიც ერთ დროს იმავე ლევანის სარძლოს, ეკატერინე ჭავჭავაძის საქმროდ ითვლებოდა, პეტერბურგშიც კი ჩავიდა ალექსანდრესთან, მაგრამ ცოტი უარი მიიღო... ასეთია ცხოვრება.

ნათესავ-მეგობართა დარდი მოკლე ლექსში უკვდავჰყო პოეტის დისწულმა.

ლექსში „ძია გრიგოლს“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ნაღვლობს პოეტის გადაკარგვას უცხო მხარეში:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან.
სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!

რას ხედავს ამოს ჩრდილოეთში ძია გრიგოლი? აქ მშვენიერი მანდილოსნები ალამაზებენ მის ყაბახს ამოს.

ჯერ კიდევ წინა წელს მოითხოვა შვებულება, მაგრამ „ყოველივე მისი საქმე ჯანჯალია“. ოთხი თვის ამაო ლოდინის შემდეგ ავად-

მყოფს არზა დაუბრუნეს: თხოვნის შემოტანის დროს ის პორუჩიკი იყო, ახლა კი შტაბსკაპიტანია, ამრიგად დაწინაურებული, თითქოს სხვა პირი შეიქმნა. დაე, ხელახლა შემოიტანოს თხოვნა, როგორც შტაბსკაპიტანმა, და მერე ვნახოთო, — ასეთია ბიუროკრატიული ზედაფენის პასუხი.

ჯავრით აღარ იყო პოეტი. ისევ უნდა ჩაებარებინა ნაწილი და ეცადა თვეობით. მხოლოდ 1837 წლის 15 იანვარს მიდის პოლკის შტაბში მეორე არზის მისართმევად და ამ ცნობით თავდება გადასახლებული პოეტის უკანასკნელი წერილი. მხოლოდ ორი წლისა და ორი თვის შემდეგ გორიდან ილიასადმი მიწერილი ბარათით ახლდება მახვილგონივრული წერილების სერია, რაც მალე ნიაღვარივით დაეშვება დაღესტნის მთებიდან.

მეორე არზამ გაჭრა.

1837 წელს პოეტი შვებულებას იღებს და საქართველოში მოემგზავრება.

ამიერიდან მთელი მისი სიცოცხლე რუსეთის ტახტის ერთგულ ნებაყოფლობით სამსახურს ეძღვნება.

ჩაშლილი რომანი

რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს
ეშყის ბეჭედსა,
დრო იმას ვეღარ შეჰმუსრავს, თუ არ
შეჰმუსრავს თვით კლდესა.

„გამოსალმება“.

რომანი? არავითარი რომანი არ ყოფილაო, ამისი თქმის უფლება არა გვაქვს, მაგრამ გრიგოლ ორბელიანის თავზე საქორწინო გვირგვინი არ დადგმულა. გრიგოლი მარტოა, როგორც ქანდაკი. სხვებს აქორწინებს, ურჩევს, ამზითვებს, არიგებს, თვითონ კი თანამეცხედრეზე თითქოს არც ფიქრობს. თორემ საქართველოში განა სწორედ მისი ჰაბუკობის ჟამს გაწყდნენ გასათხოვარი ქალები? 54 წლის გრიგოლი დიმიტრი ჯორჯაძეს სწერს: მამუკას ქალი გვესტუმრა, სახით მშვენიერი, წელით სარო... „შე წყეულო, ეს მაინც

შეირთე!“ — ურჩევს მეგობარს. თვითონ? ათასში ერთხელ თუ გაიელვებს რომელიმე უცნობი რუსი ქალის სახელი, შემთხვევით გაცნობილი და უმნიშვნელო, თორემ ნამდვილი რომანი არცა ჰქონია. სატრფოსთან მიწერილ წერილებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

თვით მის საკუთარ მოსამსახურე გოგოს სხვა ეუფლება. როცა პოეტი გონს მოდის, გვიანღაა და მხოლოდ ჯავრის გადასაყოლებლად სწერს ტაბახმელიდან ჩვეული ირონიით „ანანურის დედოფალს“ — ბაბალე საგინაშვილს, 1858 წლის 11 ივლისს:

„ამ თქვენს იასამანს როგორღაც მუცელი უსივდება. მე აქამდის წყალმანკი მეგონა, მაგრამ სხვა რაღაც დამართვია; ათასი რომ გაუწყრე და გაჯავრდე, ბუნებითს ჰსჯულს ვერ ვინ გადავა, ვერ ვინ ასცდება და შენის გაჯავრებით ეს აღარ გაქალწულდება. დამიჯერე, ისევ გაიცინ-გაიხარე! — ვაი, რომ სხვამ დამასწრო ამის კრაოტზე მიბმა; რაღას უშველი! შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“.

ამბობენ... გრიგოლ ორბელიანის „ბერად აღკვეცის“ მიზეზი დედის აღთქმა კი არა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული იყოო... ნინო უნდა შეერთო და რაკი გრიბოედოვმა დაასწრო, აღთქმა დადო, ცოლს აღარ შევირთავ, რადგან ასე ლამაზს ვეღარ ვიპოვნიო.

მართალია ისიც, რომ გამოჩენილმა რუსმა პოეტმა ნინოსადმი სიყვარულის გამჟღავნებასა და მიზნის მიღწევაში აკრძალული ილეთი გამოიყენა. ის ხომ ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ახვერდოვას პანსიონში მიბარებულ ჯერ კიდევ მოუმწიფებელ ქართველ ქალწულებს. ი. ანდრონიკაშვილის წიგნში „საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში“* მოთხრობილია დარია ხარლამოვას ნაამბობი:

„ალექსანდრე სერგეევიჩის მთავარი ყურადღება ნინოსადმი იყო მიპყრობილი, რომელიც მაშინ, მართალია, 14 წლისა იყო, მაგრამ როგორც ყველა სამხრეთელი, უკვე სავსებით დაქალებული. იგი ნინოს მუსიკას ასწავლიდა, ფრანგულად ელაპარაკებოდა და მაშინაც კი, როცა ნინოს ხელი მოჰკიდა და ჩვენს ბაღში მოიყვანა, რათა

---

* ი. ანდრონიკაშვილი, „საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში“, 1953, გვ. 242. ციტირებულია რ. საყვარელიძის წიგნიდან „ქართული თეატრის ისტორიიდან“, „ხელოვნება“, 1956.

ცოლობა ეთხოვნა, ნინოს ეგონა, რომ როიალთან მიყვანა სწადიაო".

1828 წლის 22 აგვისტოს გრიბოედოვმა სიონში ჯვარი დაიწერა ალექსანდრე ჭავჭავაძის მომხიბლავ ასულზე.

ჭაბუკმა პოეტმა თავისი განცდები საუცხოოდ გამოხატა ესკიზში „ან...დმი".

ამ აღსარებაში გრიგოლ ორბელიანის მსჯელობა სიყვარულსა და მეგობრობაზე, მისი „რვა წლის" ამაო ოხვრაზე და „წარსულისა ბედნიერებისა" გაქრობაზე იმდენად ზოგადია, რომ ერთხანს ისიც ვერ გაეგოთ, ქალია მისი ადრესატი თუ კაცი. ამ ესკიზის ადრესატად ერთმა მკვლევარმა ნინო ჭავჭავაძე მიიჩნია, მერე კი ცნობილი გახდა, რომ ესკიზი მიმართული ყოფილა იმავე ანტონ ორბელიანისადმი, რომელსაც პოეტმა ცნობილი ლექსი უძღვნა.

გრიგოლის მეორე მუზა ივანე ორბელიანის ასული სოფიოა, იგი მშობლებმა აკვანშივე დაწინდეს გრიგოლისათვის. მაგრამ ამ სასიყვარულო ამბავს დაგვირგვინება არ ეწერა. სოფიო ძალზე სუსტი აღმოჩნდა, რომ ჭეშმარიტი სიყვარულის ტვირთი ეზიდნა და „უძლურთ გულთ ტრფობა" მსწრაფლწარმავალი გამოდგა.

1835 წელს გრიგოლისადმი გაგზავნილ ბარათში მანანა ორბელიანი წერს: „სასიამოვნო შენი სოფიკო აქ არის და ენახე; კიდეც დაველაპარაკეთ მე და ეკატერინე შენზედ. ის უარს არ ამბობს. კიდეც შევირთამო, ოღონდ ვნახოთო. აბა სადა ხარ, ჩემო სიცოცხლე, რომ ერთ საათს ჯვარს გადაგწერდით და იქნებოდი ბედნიერი". მაგრამ „არ საქნელი საქმე არ იქნების" და აკი არც მოხდა.

პოეტი მზად იყო გულში ჩაემარხა სატრფოს სიშორით გამოწვეული ნაღველი, დარდი და კაეშანი. ოღონდ კი სატრფოს ერთგულება ეხილა. იგი მზად იყო სატრფოს განშორებით გამოწვეული გულისმოწყვლელი სევდა უდრტვინველად გადაეტანა, თუმცა მისთვის „შორით დაგვის და ოხვრის" ფილოსოფია უცხო რამ ხილი გახლდათ. იგი მზად იყო სიყვარულშიაც შემომწყრალ ბედს, გარს მოჯარულ უბედურებასთან ერთად შერკინებოდა, მაგრამ მარტოდ შთენილმა სოფიომ უმუხთლა და თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა კავკასიის მთავარმართებლის ვიღაც მოხელე ბეზაკს.

1835 წლიდან გრიგოლ ორბელიანი საერთოდ წყვეტს სოფი-

ოზე ფიქრსა და ოხვრას და კვლავ ჭაბუკობისდროინდელ ცთომილ ვარსკვლავს აედევნება.

ვარდი ხარ? — არა!
ზამბახი? — არა!
მაგრამ შენ ღაწვთზე აღყვავებულნი
არიან ორნივ შეზავებულნი.

მართალია, აღმოსავლური ყაიდის ეს ლექსი მხატვრული თვალსაზრისით ძალიან კარგია, მაგრამ ნამდვილი სიყვარულის ჰიმნად ვერ ჩაითვლება. არც იყო მოსალოდნელი ღრმა სიყვარული სოფიო სადმი, რადგან ჭეშმარიტი გრძნობა გრიგოლ ორბელიანის გულს ერთხელ დაეუფლა და მისი გულიცა და გონებაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ტურფა ასულმა მიიტაცა. 1835 წლის 13 დეკემბერს ნინო ჭავჭავაძისადმი შენამსჭვალები პოეტი წერს:

ჰე, საყვარელო, ვის მიერ ძვირფასად მიღირს
კვალად სიცოცხლე...
...მიკვირს, ესდენ სიყვარულსა ვითარ იპყრობს
გული ერთი?

გრ. ორბელიანი არ ყოფილა გრძნობის ღრმა მორევში ჩათრეული თავდავიწყებული მიჯნური. მისთვის სიყვარული მაინცა და მაინც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი არც არასოდეს ყოფილა. თვით სოფიო ორბელიანისა და გვიან გრაფის ქალ ოპერმანისადმი მიძღვნილ ლექსებში ნაცნობი ეპითეტები, ფილოსოფიური განზოგადებანი და რიტორიკა მეტია, ვიდრე ბუნებრივი გრძნობა, და თუ 1835 წელს სოფიოს „წელს კვიპაროზს“ უმღერის, 1840 წელს იგივე განცდა გადააქვს ოპერმანის მეუღლის „წელ-კვიპაროსზე“.

იცის პოეტმა, „უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა!“ იცის, ჰმუნვის ცრემლი არ შეაშრება ადამიანს, „თუ სიყვარული, ზეგარდმო მადლი, ღვთის კურთხევა არ მოევლინა“. ეს აზრი ჟონავს მისი შემოქმედების ერთ-ერთ მარგალიტშიც. „სადღეგრძელო“ ჰიმნია არა მარტო გმირობისა, არამედ აგრეთვე სიყვარულისა, რაც ადამიანს აღამაღლებს, ღმერთს უსწორებს. ტკბობა — ესაა უკვდავება, რასაც დასასრული არ ექნება.

ძმანო, ივიწყეთ მცირეს ქამს მტერი, ომი და დიდება,
მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება,
რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება.

პოეტი მოგვიანებითაც კვლავ ამ აზრისაა.

სულს უკვდავება აღარა რჩება, თუ მასში გაქრა სიყვარული, წყარო უკვდავებისა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრიგოლ ორბელიანს ბრძოლის ველზე გონება მიუძღვის, პოეზიაში — გული. სიყვარულსა და ცხოვრებაში პოეტი-სარდალი მუდამ გრძნობას აძლევს უპირატესობას.

უცხო ქვეყნიდან სწერს 1835 წელს სალომეს, ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლეს: „ახ! ჩემი სოფიკო! სად არის ნეტავ, ვახსოვარ თუ შარშანდელს თოვლსავით არღა ვმჰყოფობ იმისთვის? — ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს, ის აღმოსავლეთს, როდისღა უნდა შევიყარნეთ!“

იმავე წლის 25 ივლისს წინანდლის ვარდს კეკელა-ეკატერინეს სწერს წერილს და სოფიო კი „აგონდება“.

„ახ! ჩემი სოფიკო მომაგონდა, სად არის? როდის უნდა ვნახო და ხილვის დროს მიცნობს, თუ ლორნეტით შემომხედავს, ვითარცა უცნობსა. გეთაყვანეთ მომწერეთ, რასა გწერს და უფრო უმჯობესი იქნება, რომ გამომიგზავნოთ იმის წიგნი“.

მართლაც, უმჯობესი იქნებოდა და ბუნებრივიც, რომ მიჯნურებს ეწერათ ერთიმეორისათვის წერილები, მაგრამ ეს არ მოხდა, არავითარი დამაკავშირებელი ძაფი არ დარჩა და აკვანში დაწყებული რომანი თანდათან ჩაიფერფლა.

იმავე წლის 16 აგვისტოს პოეტი უკვე მარიამ დედოფალს შესჩივის:

„მე კი, დედოფალო! რიყეზე დავრჩი, ჩემი სოფიკო თავრიზშია, მე რიღაში, როდის უნდა შევხვდეთ, თმებიც ყოველდღე მითეთრდება უმეტეს და უმეტეს. ვაი! ვაი! ესე არა მცირედ მაწუხებს. ძნელია, დედოფალო, სახით და გულით უდროოდ დაბერება. და ამისათვის მეშინიან, ვა თუ ბოლოს ჭოჭოლა მომაყაროს და მითხრას: მეხი კი დაგეცაო!“

ეს წინასწარმეტყველური სიტყვები მართლაც ახდება. კეკელა სოფიოს პენელოპეს ერთგულება და მოთმინება არ აღმოაჩნდა, რომ თავის ოდისევსს დალოდებოდა. იგი კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრს, ვინმე ნიკოლოზ ბეზაკს უღიმოდა და სწორედ იგი გააბედნიერა. მოუღლელი მოაშიკე პოეტი კი თან თავის სოფიკოზე ოცნებობდა და თან სიამოვნებით იგონებდა „დღესა მას, როდესაც ეკატერინა ქუდჩაკეცილი დაღესტნელ ლეკსავით ლეკურს თამაშობდა, თან იმღერიდა: „ბროლის ფიცარი, აფიცარი, გულს დაგეკონოს“.

1835 წლის 28 დეკემბერს გრიგოლი მარიამ დედოფალს სწერს: „ჩემი სოფიკო გაზაფხულს წამოვა პეტერბურღს თავისი დედით და, მგონია, მამისნაცვლითა და მაშინ იხილავთ, თუ რარიგად გააბრწყინვალებს პეტერბურგს თავის სილამაზით და მერცხლის თვალებით და ჩემის ბედით, მეცა ვიქნები მხოლოდ ხუთასს ვერსზე დაახლოებული. მაგრამ მეშინიან კი ძალიან, ვაი თუ მანდ გამიფრინდეს საუკუნოდ და ამდენის წლის იმედები ერთს წამს გამიქარვოს. წყეულნი ღვარდიის აფიცრები ამ შემთხვევაში ძალიან საშიშნი არიან“.

ავი სიზმარივით აუხდა გრიგოლს თავისი ნათქვამი. მერცხლის-თვალა სოფიკო გაუფრინდა. დიდი ხნის ნალოლიავები იმედი, მართლაც, განუქარდა და დაემსხვრა. ვინ გაზომავდა ვნებული პოეტის ტანჯვას! ან თუნდაც გაეზომა ვინმეს, ასეთი უკურნებელი სენის მალამოს ვინ გამონახავდა.

იმედის სხივი ჩაუქრა, მაგრამ მიტოვებული და ობლად შთენილი პოეტი თავს ასე ინუგეშებს:

,არ შევინანებ,
ოღონდ კი შენს გულს
ზოგჯერ ვახსოვდე...

მაგრამ 1835 წლიდან სოფიოს სახელი თვითონვე მისცა დავიწყების მდინარეს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დიდებით მოსილი თავადის, მეფეთა საგვარეულო შტოს შთამომავლის, გენერლისა და სარდლის, ცხოვრების სიამეთა დიდი ტრფიალისა და სიყვარულის უზენაეს

მადლად გამომცხადებლის ხანგრძლივი ცხოვრების ამბავში ვერ აღმოაჩენთ რაიმე ისეთ სასიყვარულო თავგადასავალს, რომელშიც შესაძლებელი იქნება ჭეშმარიტი გრძნობა, სახმილივით წვა, ქალისადმი ღრმად შენამსჭვალები გულის კვნესა, ნამდვილი მიჯნურობა და სიყვარულით ანთებული ვაჟკაცის აღტაცება ეწოდოს. გ. ორბელიანმა, ეტყობა, გულში ჩაიკლა საკუთარი განცდები, იდუმალების ბურუსში გაახვია ნამდვილი გრძნობა, არც თანამედროვეთ ანდო გულისნადები, არც ეტრატზე გადაიტანა იგი, რომ შთამომავლობას მაინც შეეტყო, რა ცეცხლი და გენია სწვავდა ამ ბუმბერაზული შემართებისა და ღრმა პოეტური სულის ადამიანს. აკვანშივე დაწინდული სოფიო, ნინო და ეკატერინე, მათდამი მოკრძალებულად გამჟღავნებული ტრფობა, ჩუმი ოხვრა და კაეშანი, აი, რა შეიძლება შეიცნოთ მისი სატრფიალო ლირიკისა და წერილების ღრმად შესწავლის შედეგად. ამ დიდებული პოეტის ძალუმი სატრფიალო სტრიქონები თითქოს უმისამართოა და მისასადაგებელი ტრფობის საგანი არ გააჩნია.

ჩვენის ღრმა რწმენით, ქართველი პოეტი შეგნებულად დუმდა იმ შემთხვევებზე, რომელთაც ევროპელი რომანად აქცევდა. ქალისადმი რაინდული მოწიწებით აღსავსე, საყვარელ ქალთა სახელების გახმიანებაში ასე ძუნწი და თავშეკავებული პოეტი ნამდვილად გაურბის ამ საგანზე ლაპარაკს. საერთოდ, რატომ არა გვაქვს გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაში ნამდვილი რომანი? ამ მოვლენის ახსნას არც შევეცდებით და არც არის შესაძლებელი. ადამიანი რთული ფენომენია და იმდენადვე იდუმალი, რამდენადაც ინდივიდუალური. სიყვარულიც ყველამ თავისებური და მიუწვდომელი იცის.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოეტს არ ჰქონდა ფარული თუ აშკარა, უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვანი სასიყვარულო გატაცებანი და გრძნობის მოზღვავებანიც კი.

პირველ რიგში აქ სოფიო და ნინო უნდა დავასახელოთ. სოფიოსთან რომანი არ არის გვიანდელი გაცნობისა და მოწონების შედეგი. აკვნიდანვე დაწინდულ ქალთან, რომელიც სხვას მისთხოვდა, არც იყო მოსალოდნელი ღრმა გრძნობა, მაგრამ პოეტი უდავოდ პატივსა სცემს დანიშნულს, უძღვნის ლექსებს, მოიკითხავს და ესიყვარულება წერილებში...

სიყვარული გრიგოლ ორბელიანს როგორღაც მიუწვდომელ იდეალად ესახება და ამ სარბიელზე თავისი წარმატებების თაობაზე დუმს. ასე მოხდა 1840 წელსაც გორში, სადაც გრენადერთა პოლკის უფროსის ცოლი მოეწონა. ამ ქალის ღირსებებით მოხიბლულა შექმნა ლექსი „ალბომში ღრაფინია ოპერმანისას“...

რაც შეეხება სოფიოსთან ურთიერთობას, ამ შემთხვევაში პოეტმა გაუძლო გამოცდას, სიშორემ ვერ გაანელა მისი ტრფობა, სიზმარეულ ხილვაში გარდასული ვარდის ღაწვები ელანდება, იგონებს ნეტარების წამს, როცა „გრძნობით დამთვრალთ“, სულით შედუღებულთ აღარაფერი ახსოვდათ სიყვარულის მეტი. მაგრამ წავიდა „სამოთხის წამი“, პოეტი უცხო მხარეშია, სოფიოც უფრო მიწიერი არსება გამოდგა, ვიდრე ლექსებში ჩანდა, ვინმე ბეზაკმა დაისაკუთრა ის, ვისაც ბედმა აკვანშივე განუჩინა მუზების სამეფოში ნავარდი.

შეებულების უაზრო დაყოვნებამ სამუდამოდ გაუმრუდა გრიგოლს ბედი.

„შენი საყვარელი სოფიკო გაგითხოვდა!“ — ატყობინებს მანანა და იქვე ცდილობს ანუგეშოს: შენ უკეთესის ღირსი ხარ, მე და ნინო გრიბოედოვისას შენთვის გულბაათის ძმისწული ლიზინკა გვყავსო: თუ მოგწონს, მოგვწერე, დაგიცდიანო.

ზაქარია უფრო პრაქტიკულ წინადადებებს აძლევს: ნუ ატირდები, თორემ ფულს არ გამოგიგზავნიო, და ეკითხება: უკანვე ხომ არ გამოყართვათ სოფიოს საჩუქრები, როგორც წესია და კანონი?

უყვარდა თუ არ უყვარდა, მაინც მამაკაცისათვის მძიმე ლახვარი უნდა ყოფილიყო დანიშნული, დაწინდული ქალის გათხოვება. თავის უნუგეშო მდგომარეობას მუდამ გულახდილი გრიგოლი არც ფარავს. 1836 წლის 1 ოქტომბერს მარიამ დედოფალს სწერს:

„ვაპირებ საქართველოში წასვლას, მაგრამ სოფიო გამითხოვდა, ბეზაკმა შეირთო, რომელიც არის პრაივიტელი კანცელარიისა, რაი ვჰყო? მეც ვანუგეშებ თავსა ჩემსა მით, რომ არა მარტო მე ვარ ამ სოფელში მოტყუებული“.

მოტყუებული, მიტოვებული პოეტი „სახით და გულით უდროოდ დაბერებაზე“ იწყებს ლაპარაკს და მეგობრებს არწმუნებს: აქა-იქ თმაში ჭაღარაც გამომერია, ვაგინებ და ვიგლეჯო.

მთელი მისი ახალგაზრდობა და სიჭარმაგე ასე წავიდა: ჯერ სოფიოს შერთვას აპირებდა, მერე ნინო უნდოდა, გრიბოედოვია ქვრივი, ხოლო მისი დის ეკატერინეს შერთვაზე კი ადრევე ოცნებობდა; შემდეგ ამავე ეკატერინეს უნდოდა მისთვის გაერიგებინა ნიკოლოზ დადიანის ქალი, რომელიც გრიგოლივით სამუდამოდ კენტად დარჩა (ჩაიშალა დადიანის ტურფა ასულის ქორწინება აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძესთანაც. ამ უკანასკნელმა გიორგი დადიანის ქალი ალექსანდრა შეირთო).

შ ა მ ი ლ ი

1837 წლიდან 1842 წლამდე კავკასიის ბედს გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი ევგენი გოლოვინი განაგებდა.

ამ წლებში ორბელიანი საქართველოში იმყოფება, ისვენებს და „ლეკებზე შურის საძიებლად“ ემზადება. ერთი წლის შესვენების შემდეგ შტაბსკაპიტანი გრ. ორბელიანი (1838 წ. 28 აგვისტოს) გორში მდგარ „საქართველოს გრენადერთა პოლკში“ იწყებს სამსახურს. აქ მან ხუთი წელი დაჰყო. აქედან მიიმართება მისი გზა დაღესტნისაკენ, სადაც იმამი შამილი არა მარტო შეუპოვრად ებრძვის რუსეთის ძლევამოსილ მხედრობას, არამედ შეტევაზეც გადადის და სასტიკად ამარცხებს ბრძოლებში სახელმოხვეჭილ რუს გენერლებს.

რუსეთის ტახტის ერთგულ ქვეშევრდომ ორბელიანს აღარ აღელვებდა დარღვევა ქართველ თავადთა ფორმალური თანასწორობისა რუსეთის თავადებთან, რაც ფიქსირებული იყო ერეკლეს და ეკატერინეს შორის დადებულ შეთანხმებაში, რასაც სიტყვიერად აღიარებდა ბარიატინსკი და რომელსაც დროდადრო დიდ მოხელეებს დიმიტრი ყიფიანი შეახსენებდა ხოლმე.

1839 წელს გრიგოლი უკვე დაღესტანშია, იგი სამურის ოლქში იბრძვის გენერალ-მაიორ ანდრია სიმბორსკის რაზმში, რომლის მიზანი იყო დივერსიული რეიდის განხორციელება შეკესა და რუთულს შუა და შამილის ჯარებისაგან სამურის გაწმენდა. იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ბრძანებით, კავკასიის ჯარებს ამ დროისათვის უნდა აეღოთ შამილის რეზიდენცია ახულგო. სწორედ ამ მიზნით მოუყარა

თავი რუსთა მხედრობამ გრაბეს, რაევსკისა და სიმბორსკის ჯარებს.

სიმბორსკი შამილის ჯარებს თავს შეკეს მხრიდან ესხმოდა და მის განკარგულებაში მყოფი მცირე რაზმით მტერს ქანცავდა. მთავარი ძალები კი შამილს ყუბიდან უტევდნენ.

აქ, სამურის გასწვრივ, ბრძოლაში ისახელა პირველად თავი ჩვენმა პოეტმა, რომელმაც გვიან დაღესტანი შეაზანზარა.

სიმბორსკის გრიგოლი ადრევე იცნობდა. „ჩინებულიაო", ათქმევინა თურმე ერთხელ გენერალს, რომელსაც ძნელად თუ დასცდებოდა ქების სიტყვა.

როგორც შემდგომი წერილებიდან ჩანს, ეს სიმბორსკი ვერც ნიჭით ყოფილა გამორჩეული, ვერც ხასიათით და ვერც ზნეობით. მას რომელიღაც უნტერ-ოფიცრისთვის ცოლი წაურთმევია. ეს ამბავი ჩერნიშოვის ყურამდე მისულა და საქმე მისი მოხსნით დამთავრებულა. 1843 წელს მას ნეიდჰარდტის წყრომაც დაუმსახურებია.

ჯერ კი გრიგოლის უფროსია და თავის ნებაზე დაარბენინებს.

აქ მოკლედ უნდა გავიხსენოთ საქმის ვითარება დაღესტანში, სადაც ათეული წლების მანძილზე წარმოებული კავკასიური ომების შუაგულში მთელი 25 წლის მანძილზე იდგა ჩვენი სახელოვანი პოეტი, როგორც მეფის კოლონიური რეჟიმის განუხრელი დამცველი.

ჯერ კიდევ სტრაბონი ახსენებს ლეკებს (leghi), ამ მამაცსა და შეუპოვარ, „კაცთა მოდგმის ოჯახისაგან მოწყვეტილ ხალხს, რომელიც კავკასიის მთებში განუდევნიათ ან ბიბლიურ ბუმბერაზებს, ან სახალხო დარდს, ან კაცთა ტომის შემმუსვრელ ეპიდემიას თუ თავისუფლებისაკენ მისწრაფებას..."*

კავკასია, მარადიული თოვლით დაფარული, ყინულოვანი მთების, პიტალო კლდეებიდან ძირს ზათქით დაშვებული თეთრი ჩანჩქერების, უღრანი ტყეების, ადამიანის ფეხდაუდგმელი უბიწო მწვერვალების, მომხიბლავი ქალებისა და რაინდული სულისკვეთებით აღსავსე მამაკაცთა, რუსი ხალხისათვის უცნობი მხარე, რუსმა რომანტიკოსმა მწერლებმა ზღაპრული ოცნების სამოსელში გაჰხვიეს.

---

* Пл. Иоселиани, «Путевые записки по Дагестану в 1861 г.», Тиф., 1862, стр. 9.

სწორედ ამ გარემოების წყალობით მოხდა, რომ მეფის რუსეთის დიდმპყრობელური ომიც რომანტიკული იდუმალების ბურუსმა დაფარა და ომის ჰეშმარიტი მტაცებლური ბუნება მიიჩქმალა.

პლატონ იოსელიანი, რომელმაც მშვენიერი რუსული ხატოვანი ენით დაწერილი წიგნი უძღვნა თავის მოგზაურობას დაღესტანში (1861 წელს), ამ დაუმორჩილებელ მხარეს „აზიის შვეიცარიას“ უწოდებს და მოითხოვს „კავკასიის ილიადის“ გმირთა უკვდავყოფას.

მართლაც, ამ ომების ისტორიას მრავალი გმირის სახელი შემოუნახავს.

დაღესტანი მამაც და ქედუხრელ ვაჟკაცთა სამშობლოა.

მას არაერთხელ შებმიან თურქები, სპარსელები, მაგრამ სამშობლოს დამცველთ მომხდურნი უძლევიათ და განუდევნიათ. თვით მძვინვარე ნადირ-შაჰი დაამარცხეს 1734—41 წლებში და ყიზილბაშებს კუდით ქვა ასროლინეს. რუსებთან ურთიერთობა ჯერ კიდევ ივანე მესამის დროს ჰქონიათ. 1772 წელს დერბენდში პატივით მიიღეს პეტრე I... შემდეგ მდგომარეობა გამწვავდა. მართალია, 1813 წელს რუსეთთან დადებული გულისტანის ხელშეკრულების ძალით დაღესტანი რუსეთს შეუერთდა, მაგრამ ინგლისი და თურქეთი ვერ ურიგდებოდნენ კავკასიის დაკარგვას. ვერც მთის ხალხი ურიგდებოდა მეფის მოხელეთა ახალ წესებს. დაღესტანში წლების მანძილზე ღვივდებოდა მიურიდიზმის საშიში ცეცხლი. ბოლოს ის აგიზგიზდა ერთიან ხანძრად, რაც მთელს დაღესტანს მოედო. რუსებს ადგილობრივმა მკვიდრებმა გამოუცხადეს ჰაზავათი — საღმრთო ომი. დაღესტანსა და ჩაჩნეთს სათავეში ჩაუდგნენ იმამები ყაზი-მუჰამედი (1830—1832), ჰამზათ-ბეგი (1832—1834), ბოლოს კი შამილი (1834—1859), რომელიც მთელი 25 წლის განმავლობაში ებრძოდა რუსეთის ძლევამოსილ მხედრობას, თვითონვე გადადიოდა მათ წინააღმდეგ შეტევაზე და სახელგანთქმულ გენერლებს მთებიდან კუდამოძუებულთ მიერეკებოდა.

ჩვენს სასიქადულო პოეტს ბედმა არგუნა ხვედრი, რაც იმ დროს გმირობისა და თავის გამოჩენის მთავარ იმედად იყო ცნობილი — შამილის წინააღმდეგ ბრძოლა.

ადრე, როცა ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანი ჯერ კიდევ ნოვგოროდს მიემგზავრებოდა, ლეკების ბრძოლას რუსების წინააღმდეგ

სათავეში ედგა დაღესტნის პირველი იმამი და შეუპოვარი ფანატიკოსი ყაზი-მოლა. ის გიმრში დაიბადა და მრავალი წარმატებით ჩატარებული და მარცხიანი ბრძოლის შემდეგ გიმრშივე მოკლეს 1832 წელს.

1827—1829 წლებში ყაზი-მოლამ ენერგიული მოქმედებით შეკრა დაღესტნის დიდი ნაწილი, სამოთხის ჩვენებათა ნისლით დაბურა ფანატიკოს მთიელთა გონება, გააერთიანა ავარიისა და ყოისუს აულები, ტარკის საშამხალოს დიდი ნაწილი და გამოაცხადა ჰაზავათი — საღმრთო ომი რუსების წინააღმდეგ. გონიერმა იმამმა იცოდა, რომ ვიდრე ცენტრალურ დაღესტანს — ავარიას და მის მთავარ ქალაქ ხუნძახს არ დაეპატრონებოდა, შთამაგონებელ მბრძანებლად არავინ ჩათვლიდა. ამიტომ თავისი მხედრობა (ექვსი ათასი კაცი) ხუნძახის სახანოში გაბატონებული ხანის ქალის პახუ-ბიქეს წინააღმდეგ დასძრა.

1830 წლის 12 თებერვალს ყაზი-მოლამ ხუნძახს შეუტია, მისი ლაშქრის ერთ ნახევარს მომავალი იმამი ჰამზათ-ბეგი მიუძღოდა, მეორეს კი — მომავალი მესამე იმამი — შამილი. იერიშს წარმატება არ მოჰყოლია.

ენამჭევრ ყაზი-მოლაზე ამბობდნენ: ერთი ამოსუნთქვით აღვიძებდა ადამიანის გულში ქარიშხალსო. მაგრამ ბრძოლაში ბედი არა ჰქონდა.

1831 წელს მრავალი მარცხის შემდეგ პანკრატიევის მიერ შეეიწროებული, ჩირქეიდან და მერე გიმრიდან განდევნილი ყაზი-მოლა გამაგრდა ჩუმკესენტის საიმედო ციხეში. აქ 1 დეკემბერს მამაცმა პოლკოვნიკმა მიკლაშევსკიმ შეუტია და დაამარცხა. ბრძოლაში დაეცა მიკლაშევსკი (ის შეცვალა კლუკი-ფონ-კლუგენაუმ). ყაზი-მოლაც მკვდარი ეგონათ, მაგრამ „ალაჰმა გააცოცხლა“ და ახლა ელსუეტიდან შეუტია რუსებს, მაგრამ გიმრში მოიბუდეს. აქ 17 ოქტომბერს ბრძოლაში დაიღუპა.

1834 წელს ჰამზათ-ბეგი იმდენად გაძლიერდა, რომ ავარიაში შეიჭრა და იგი თითქმის მთლიანად დაიპყრო. საგულისხმოა, რომ მან ავარიის მბრძანებელ ხანის ქალზე პახუ-ბიქეზე არასაკადრისი ხმები გაავრცელა. ჰამზათ-ბეგმა ხუნძახის აღება მაინც ვერ შესძლო, არც იარაღმა გაჭრა და არც მუქარამ. მაშინ ჰამზათ-ბეგმა ვერაგუ-

ლად გამოიტყუა ხანის ქალის შვილები და დაახოცვინა. მერე კი პახუ-ბიქეც იგდო ხელთ და სიკვდილით დასაჯა. ასე გამაგრდა ავარიაში ჰამზათ-ბეგი და დაიწყო ყუბასა და დერბენდში სალაშქროდ მზადება.

17 სექტემბერს მის გეგმებს ბოლო შეთქმულმა მკვლელებმა მოუღეს.

მას შემდეგ, რაც მეჩეთში სალოცავად მისული ხანთა მჭლეტელი ჰამზათ-ბეგი კარს უკან მიმალულმა შეთქმულებმა დამბაჩებით განგმირეს, არენაზე გამოდის დაღესტნის მესამე იმამი, დიდი მებრძოლი და მოაზროვნე შამილი, რომელიც მთელი 25 წელი განაგებს დაღესტანს (ამდენივე წელი გაატარა დაღესტნის ომში მისმა მრისხანე მოწინააღმდეგემ — გრიგოლ ორბელიანმა).

1832 წელს ყაზი-მოლას და შამილს გიმრში ალყა შემოარტყა ბარონმა როზენმა და ხუნძახის მარცხს უარესი დაემატა: ყაზი-მოლა ხიშტებზე ააგეს, შამილი მძიმედ დაჭრეს, გიმრი აიღეს და დააქციეს.

ბრძოლაში დაღუპულ ყაზი-მოლას ნაცვლად თავი იმამად გამოაცხადა ჰამზათ-ბეგმა. შამილი ისევ ჩრდილში დარჩა და ისევ სხვის ბრძანებებს ასრულებდა, ვიდრე 1834 წლის 7 თუ 19 სექტემბერს მეორე იმამიც იმქვეყნად არ გაისტუმრეს.

ახლა კი დადგა შამილის დრო.

იგი დაიბადა ავარიაში, სოფელ გიმრში, 1797 თუ 1798 წელს. პირველი მისი მასწავლებელი, ისტორიკოს ესაძის თქმით, იყო ბუნება და ყაზი-მოლა, სულ ოთხი წლით მასზე უფროსი და მისი განუყრელი მეგობარი.

შამილი არაბულად „ყოვლისმომცველს“ ნიშნავს. მომავალი დიდი იმამი, ყაზი-მოლას საყვარელი მოწაფე, თორმეტი წლისა შევიდა სკოლაში, ღრმად შეისწავლა არაბული გრამატიკა, ლოგიკა, რიტორიკა. 27 წლისა უკვე ისმენდა ჯემალ-ედ-დინ ყაზი-ყუმუხელის მოძღვრებას. ღრმა და პატივმოყვარე შამილი მომავალი იმამის ყაზი-მოლას ხელში სწავლობს იმ ხელოვნებას, რაც შემდეგში ძალზე გამოადგა.

შამილი თავისი მშობლების ერთადერთი ვაჟი იყო (ერთი და ჰყავდა, მაგრამ მთაში ქალი მემკვიდრედ არ ითვლებოდა). პირველი მისი სახელია ალი. სუნიტებშიც და შიიტებშიც ეს სახელი დიდი

პატივითაა გარემოსილი, აღმოსავლეთელ მეცნიერთა ნახევარი ხომ ამ სახელითაა ცნობილი!

როცა იგი შეუძლოდ შეიქმნა და ვერაფერმა წამალმა უშველა, აღმოსავლური ადათის თანახმად სახელი გამოუცვალეს, შამილი უწოდეს და მთელ ქვეყნიერებას მოჰფინეს ეს სახელი, რაც უწინ არავის სმენია. გვიან, როცა ბიოგრაფმა ჰკითხა, გიშველა თუ არა სახელის გამოცვლამო, შამილმა საღი პასუხი მისცა: „მალე კი მოვრჩი, ოღონდ არ ვიცი, სახელმა მიშველა თუ სხვა რამემო“.

შამილის სიმარჯვე საარაკო იყო. „თორმეტი წლისა ხტებოდა თოკზე, რაც მასზე მაღალ ორ მთიელს ეჭირა ზეაწეულ ხელებში. ხტებოდა თორმეტსაჟენიან თხრილებზე და მის გვერდით ფეხზე მდგარი კაცის თავზე. არაჩვეულებრივ ღონიერი და მამაცი იყო. ვერავინ დაეწეოდა სირბილში, ვერავინ მოერეოდა ჭიდაობაში. მისი სხეული იყო მოქნილი, როგორც ყმაწვილი ჯამბაზისა... ზამთარ-ზაფხულ ხმალ-ხანჯლით შეიარაღებული, ფეხშიშველა და მკერდგაღეღილი დადიოდა“*.

ყაზი-მუჰამედის (ყაზი-მოლას) სიკვდილის დღეს კოშკში შემწუყდეულ მის მოწაფესაც იგივე ბედი ელოდა. მაგრამ შამილმა სიმამაცის სასწაული მოახდინა.

შესანიშნავი მოფარიკავე, მსროლელი, ღონიერი, შეუდრეკელი ახალგაზრდა ვაჟკაცი იმ დღეს უქუდოდ გამოვარდა ალყაშემორტყმული კოშკიდან, ელვის სისწრაფით გაარღვია ალყა და გაიქცა. ასობით ადამიანი სახტად დატოვა, მოახლოებულ მდევარს მარცხენა ხელით ხმალი აუკრა (შამილი ცაცია იყო) და არავინ გაიკარა.

ბრძოლის ქარცეცხლში მოხდა შამილის სამხედრო ნათლობა. როცა პირველ იმამს ემსახურებოდა, პირველსავე ბრძოლაში სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, დაუსხლტა ხუნძახელებს და ყაზი-მუჰამედისკენ გაეშურა, გზაში ხელთ ჩაიგდეს გუმბათელებმა, რომელნიც ავარიის ხანების მხარეზე გადავიდნენ, მას ჩალმა მოხადეს და უმოწყალოდ ცემა დაუწყეს. მაგრამ მალე რამდენიმე მთიელი გამოესარჩლა და მომავალი იმამი ისევ სასწაულებრივად გადარჩა.

როგორც კი ჰამზათის სიკვდილი გაიგო, შამილმა ორასი მიურიდი იახლა, ახალ გოცატელს დაეცა, ხელთ იგდო ავართა უკანასკ-

* М. Н. Чичагова, Шамиль на Кавказе и в России, СПБ, 1889, стр. 13.

ნელი ხანი ბულაჩი, მოაკვლევინა იგი და თავი იმამად გამოაცხადა.

ყოისუს უფსკრულში გადასროლილი ბულაჩ-ხანის გვამი მდინარის ფსკერამდე არც კი იქნებოდა ჩასული, როცა პოლკოვნიკი კლუგენაუ გოცატლისაკენ დაიძრა, დაამარცხა იმამი და გოცატელი მიწასთან გაასწორა.

შამილი გაიქცა. ავარიის მმართველად დაინიშნა ასლან-ხან ყაზი-ყუმუხელი.

შამილის ავტორიტეტი ლეკთა შორის მაინც იზრდებოდა. გენერალ-მაიორმა ფეზემ შამილის დათრგუნვა იკისრა. 1837 წლის 28 მაისს ახმედ-ხან მეხთულელის თხოვნით ფეზე ხუნძახში შევიდა. ავარიის ხანებს ეშინოდათ შამილის გაძლიერებისა და რუსებს უთანხმდებოდნენ.

შამილი ტილიტლში იყო გამაგრებული, სხვადასხვა მხრიდან ესხმოდა თავს რუსებს და ამით აშორებდა მათს ყურადღებას აულ აშილტას კლდოვან მწვერვალზე აღმართულ მიუვალ სიმაგრეს, სადაც ჰყავდა ოჯახი და გადამალული ჰქონდა მთელი სიმდიდრე. ფეზე დაჟინებით უტევდა არწივთა ბუდეს. 9 ივნისს ბუჰყიევმა იერიშით აიღო აშილტა. ორი ათასი ქედმოუხრელი მიურიდი დაწვა ბრძოლის ველზე. მალე ახულგოც აიღეს და დაანგრიეს. ფეზე ტილიტლისაკენ დაიძრა და იქაც იგივე ხოცვა-ჟლეტა განმეორდა. შამილმა ქედი მოიხარა. ყურანზე დაიფიცა, რომ თავის ბრბოებს დაშლიდა*. ფეზეც მოტყუვდა, ზავი ჩამოუგდო, როგორც თანასწორს, ხელიდან გაუშვა შემთხვევა შამილის დატყვევებისა, რითაც ოცდაორი წლით გააგრძელა ომი.

ამ ზავმა უფრო აამაღლა მთაში შამილის ავტორიტეტი. მან ახალი ახულგო ააშენა და ბრძოლა განაგრძო; დაღესტანი აიშალა და შამილი დიდების შარვანდედით შეიმოსა.

ყაზი-მოლას მოწაფე და ფანატიკოსი შამილი სათავეში ჩაუდგა „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ ადრევე ატეხილ ომს და მტკიცედ სწამდა, რომ ალაჰის ნებას ასრულებდა.

„ო, წინასწარმეტყველო! — ეუბნება ალაჰი მუჰამედს. — გაი-

* Акты, т. VIII, стр. V—IX.

ლაშქრე ურწმუნოთა დასათრგუნავად და იყავ მათ წინაშე სასტიკი: მათი საცხოვრებელი იქნება ჯოჯოხეთი“.

ჯოჯოხეთისა და სამოთხის საქმეებსაც განაგებს შამილი, სწამს მუჰამედი და ცოდვების ისე ეშინია, ნახევარ დროს ლოცვაში ატარებს.

კვირაში ერთხელ მაინც ეწვევა რომელსამე ცოლს და მერე მთელი დღე და ღამე ლოცულობს.

შამილი ხშირად მიმართავდა სიკვდილით დასჯას, თუმცა შარიათი ამის ნებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იძლევა. კიდევ უფრო ხშირად მარხავდა ადამიანებს ცოცხლად თავის განთქმულ ორმოებში. საშინელება რამ იყო ეს ორმოები: ღრმა, ბნელი, ბინძური, დახუთული, ნამდვილი შუასაუკუნეთა დილეგები, სადაც ადამიანები „სენისა და ველურთა სისასტიკისაგან იღუპებოდნენ“*.

„მთიელთა ბრძოლამ ცარიზმთან შამილის ხელმძღვანელობით არნახული გაქანება მიიღო. კავკასია იქცა საშინელ, ათეული წლობით შეუხორცებელ ჭრილობად რუსეთის იმპერიის ტანზე“**.

1837 წელს შამილის დროშის ქვეშ აღმოჩნდა თავმოყრილი ჩაჩნეთი და დაღესტანი, თითქმის მთელი ავარია. ხალხი ამ გამოჩენილ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეში ხედავდა ქომაგს, რომელიც დაიცავდა მეფის კოლონიური უღლისა და აგრეთვე საკუთარი ფეოდალებისაგან.

1839 წელს რუსეთის დიდძალი ჯარი ორ ნაკადად დაიძრა. ერთ ნაწილს უნდა დაეჩოქებინა სამხრეთი დაღესტანი, მეორეს კი ალყა შემოერტყა შამილის რეზიდენციის — ახულგოსათვის.

შამილი დაიჭრა, ჩაჩნეთს გაიხიზნა, იქ მომჯობინდა, ამხედრა ხალხი და 1840 წელს ახალი ძალით იფეთქა დაღესტნის ამბოხებამ.

რუსებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაიკავეს მცირე საჩაჩნო. შამილმა კი 12 000 მეომარი შეკრიბა და საშამხალოში შეიჭრა.

მაგრამ იშკარტსა და გიმრისთან გამართულ ბრძოლებში დამარცხდა და უკან დაიხია (1840 წ. სექტემბერი). რუსეთის ჯარებიც დაღლილი იყვნენ და ბრძოლა აღარ გაუგრძელებიათ.

---

* Военный сборник, 1859, № 9 («Шамиль и Чечня»), стр. 138.

** Н. Кровяков, Шамиль, Грозный, 1941, стр. 5.

1841—43 წლებში შამილმა ახალი გამარჯვებები მოიპოვა. იგი 20 000-იანი ჯარით უტევდა მოწინააღმდეგეს და რუსი გენერლები თავდაცვაზე გადავიდნენ. 1843 წლის დამსჯელი ექსპედიციაც თვითონვე დაისაჯა და შამილი გამარჯვებას ზეიმობდა. სწორედ ამიტომ მიიღო 1844 წლიდან ვორონცოვმა უზენაესი ძალაუფლება კავკასიაში... მაგრამ მისი მარცხი ცნობილია. შამილმა ალყა შემოარტყა და ფრეიტაგი რომ არ მიშველებოდა, მისი საქმე წასული იყო.

1846 წლიდან ვორონცოვი თავს ანებებს იერიშით სასწაულის მოხდენის ცდებს და ერმოლოვის ტაქტიკაზე გადადის: თანდათან ავიწროებს სიმაგრეების რკალს იმამის გარშემო.

1848 წელს შამილი დამარცხდა გერგებილთან.

1849 წელს რუსთა მხედრობამ უკუაგდო შამილი, რომელიც თემირ-ხან-შურის (ახლანდელი ბუინაკსკის) აღებას და კახეთის ხაზის გარღვევას ცდილობდა.

1850 წლიდან ტყეების გაკაფვით და სიმაგრეების აშენებით შევიწროვდა შამილის სამფლობელოების წრე. შამილის უდიდესი გამოხდომა ამის შემდეგ იყო ლეკის ხაზის გარღვევა და წინანდლის აოხრება 1854 წელს*.

1856 წლის პარიზის საზავო ხელშეკრულებამ რუსეთის იმპერიას ხელფეხი გაუხსნა. თურქეთის დამარცხებამ რუსეთს საშუალება მისცა შამილის წინააღმდეგ 200 000-იანი ჯარი დაეძრა. ჯარებს ჯერ მურავიოვი და მერე ბარიატინსკი სარდლობდნენ.

შამილის დღეები დათვლილი იყო და მაინც თავისსავე ბუნაგში გამომწყვდეულმა ლომმა სამი წელიწადი კიდევ იქნია დასისხლიანებული ტორები.

ზოგჯერ გვიკვირს ხოლმე, როგორ უძლებდნენ ლეკები საქართველოს სამეფოს ძლიერებას და როგორ შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა, მაგრამ ვინც შამილის ოცდაათწლიანი ომის ისტორიას თუნდაც ზერელედ გაეცნობა, პირიქით, ის გაუკვირდება, თუ როგორ უძლებდა ერთი მუჭა საქართველო ლეკებს, როცა რუსეთის იმპერიის მამაცმა, შესანიშნავმა რეგულარულმა ჯარებმა ათეული

---

* Сов. ист. энц., VI, стр. 759—764.

წლების განმავლობაში არა თუ ვერ სძლიეს ლეკებს, თვითონაც მრავალი მძიმე დამარცხება იწვნიეს.

შამილის სამხედრო და ადმინისტრაციული ნიჭი საყოველთაოდ არის აღიარებული.

„შამილი ეკუთვნის იმ შესანიშნავ ადამიანთა რიცხვს, რომელთა სახელები მუდამ ღრმა პატივისცემით იხსენიება"*.

ცხადია, მარტო ბუნების პირობებით ვერ აიხსნება ის, რომ „მის წინააღმდეგ რუსეთის გენერლების მიერ მოწყობილი დიდი სამხედრო ექსპედიციები სრული მარცხით თავდებოდა"**.

მამაცურად იბრძვის გრიგოლი დაღესტანში. ზედიზედ იღუპებიან ვალოვი, გრენგამერი, პრაპორშჩიკი ვაშკლევიჩი, პოდპოლკოვნიკი ტიზენჰაუზენი... საზარელი ომი ჰქონდათ ექვსი დღე და ღამე განუწყვეტლივ, იჭრებიან და იხოცებიან მეომრები, ზურგში კი ისევ ისე ქორწინდებიან და ქეიფობენ. გრიგოლსაც ეუბნებიან, შეირთე ცოლიო, მაგრამ ისეთი პიკანტური მასხრობით იცილებს თავიდან მეგობრებს, რომ ქაღალდზე არ დაიწერება, თუმცა თვითონ არც დაწერას ერიდება.

პოეზია განზეა. ორბელიანი მთელი არსებით გადაშვებულა ბრძოლის ქარცეცხლში. თავისუფალ დროს ოფიცრები შეიყრებიან გრაფ ოპერმანთან, პოლკის უფროსთან და არის ერთი თამაში, სიცილი, სმა და ღრიანცელი.

ოპერმანი მეგობრულადაა განწყობილი გრიგოლისადმი, რომელიც სავსებით იმსახურებს ამას ყველასაგან, ვისთანაც ურთიერთობა აქვს.

დაღესტანში სუფთა ჰაერზე მყოფი გრიგოლი თან იბრძოდა, თან ჯანს იკაჟებდა. მას მუდამ ახსოვდა თავისი ენამჭევრი მასწავლებლის, მღვდელ ხელაშვილის „გაისეირნ-ქალწულ-ჰაერე", — ცნება, რაც იმჟამად კლასიკურად აღასრულა.

ლაშქრად მყოფი პოეტი საწერად ვერ იცლის. იშვიათად წერს საქართველოს ამბებს: ყაფლან ორბელიანი ისევ ისე ქვრივადაა, ლევან დადიანის მეუღლე მიიცვალა, მისი რძალი ეკატერინე კი ფეხმძი-

---

* Сов. ист. энц., VI, стр. 759—764.

** Всемирная история, 1959, т. VI, стр. 245.

ძედ ბრძანდება; რამაზ ანდრონიკაშვილსა და დავით მუხრან-ბატონს შორის დავაა მამულის გამო და ა. შ.

1839 წლის ლაშქრობის შემდეგ გრიგოლი ავად გახდა, ნუხაში იწვა და, რაკი იმ ხანებში ილიას სიკვდილის ხმაც დააგდეს, ძმები ერთმანეთს გადარჩენას ულოცავენ. კონსტანტინე თარხნიშვილი რომ არა, ამ წერილს საქიოდან მიიღებდიო, სწერს გრიგოლი ილია ორბელიანს 1839 წლის 23 დეკემბერს. თარხნიშვილი ორბელიანის მეგობარია და ნუხის მხარის გამგებელი.

დაღესტანში ბრძოლები. ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობს. შამილი ხშირად განიცდიდა მარცხს. 1839 წელს აული ახულგო დაეცა. მტრის, და ისიც ურწმუნო მტრის, ხელში რომ არ ჩავარდნილიყო, შამილის ბრძანებით, ყოისუში გადავარდა და თავი დაიხრჩო მისმა დამ ფატიმათმა.

1841 და 1842 წლები შედარებით წყნარი დროა პოეტის ცხოვრებაში.

1841 წელს პოეტი მონაწილეობს გურიის ჯანყის ჩაქრობაში. მოსე არღუთინსკის წინამძღოლობით თავადი ორბელიანი ანგარიშს უსწორებს გურულ გლეხებს.

გურიის „აფეთქებას" გრიგოლი კაპიტნის წოდებით ებრძოდა. აქვე დააწინაურა არღუთინსკიმ მომავალი ინფანტერიის გენერალი. თუ ლეკებთან ბრძოლაში თავს მამაპაპათა სისხლის აღებით იმართლებდა, აქ თავის მართლებაზე ლაპარაკი ზედმეტია და გენიალური დისშვილი სრულიად სამართლიანად საყვედურობს ბიძას უდანაშაულო გურული გლეხების სისხლის დაქცევას.

ვერავინ იტყვის, რომ გრიგოლ ორბელიანმა არ იცოდა ხალხის ძნელბედობის ამბავი, არ გაეგებოდა გურულ გლეხთა ჯანყის მიზეზები. „ნალივაიკოს აღსარების" მთარგმნელმა და ავტორმა ლექსებისა: „ჰე, ივერიავ" და „მისი სახელი კიცხვითა" — ყველაფერი მშვენივრად იცოდა, მაგრამ პოეტმა ორბელიანმა ადრევე დაგმო ის მდგომარეობა, რამაც გვიან გენერალი ორბელიანი აიძულა, მეფის მოხელეთა ბრძანებით, ტყვია დაეშინა მეამბოხე ქართველი გლეხებისათვის. შეთქმულების წინ დაწერილ პროზაულ შრომაში „საქართველო ჩემის დროისა" დაწვრილებით ჩამოთვლის ყველა მთავარ ბოროტებას, ამბოხებათა გამომწვევ მიზეზებს: სასამართლო, გარ-

ყვნილი მოხელენი და მათი უსამართლობა და ქრთამობა, ლოთობა და ცემა-ტყეპა ჩინოვნიკებისა და ხალხისაგან ღაღადისი წყევისა... ბუნტი კახეთში, და მისი უმთავრესი მიზეზი: კომისიონერები, აფიცრებისა და სალდათებისაგან შეურაცხყოფა ცოლ-შვილებისა სოფლებში... ერმოლოვი და მისგან დაჩაგვრა...

ეს ყველაფერი მისთვის გასაგებია გვიანაც. მაგრამ შეთქმულება დამარცხდა. დამარცხდა უიმედოდ, ჩანასახშივე. მამულის გამოხსნის იმედი განქარდა. ორბელიანმაც იწვნია დამარცხების სუსხი. პატიმრობა, ყაზარმობა, სამშობლოს საზღვრებს გარეთ გაგდება, სატრფოს დაკარგვა, ნაცნობ-მეგობართა, ნათესავთა და რაყიფთა ტანჯვა იყო ამ ამაო მცდელობის შედეგი. ახლა კმარა! ორბელიანი ბედს ურიგდება, ძალაუფლებისა და ერის ბედის მპყრობელთა ყოველ ბრძანებას მხედრული უდრტვინველობით შეასრულებს და ამიერიდან ერთგულ ქვეშევრდომ ორბელიანის ბაგეს სინანულის სიტყვა აღარ დასცდება სამარის კარამდე.

ამრიგად, ასეა თუ ისე, 1841 წლის სექტემბერში გრიგოლ ორბელიანი პოლკოვნიკ მოსე არღუთინსკის, შომავალი გენერალ-ადიუტანტისა და შამილის წინააღმდეგ მებრძოლი სარდლის, დროშის ქვეშ დგას. ამჯერად ეს დროშა გურული გლეხების სისხლით იღებება.

სულ სხვაა წმინდა ეროვნული ინტერესები დიდი ფეოდალისა, რომელიც თვითონაც მზად იყო მამულისათვის სისხლი დაეთხია, მაგრამ კლასობრივი ინტერესები მაინც ყველაფერზე მაღლა დგას. აკი ნაპოლეონმაც არ იკადრა რუს მუჟიკებთან ლაპარაკი და ამგვარ „დამამცირებელ“ საქციელს დამარცხება არჩია. მაგრამ ფაქტია, რომ გურული გლეხების წინააღმდეგ ბრძოლა გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ქრონიკის ყველაზე უფრო საჩოთირო ფურცელია. როგორც მეფის არმიის ოფიცერი, ჩვენი პოეტი მონაწილეობას იღებდა ტურიის 1841 წლის იმ აჯანყების ჩაქრობაში, მოგვიანებით ასე უზადოდ და ბრწყინვალედ რომ ასახა ეგნატე ნინოშვილმა თავის უკვდავ „ჯანყი გურიაში“.

აჯანყების მიზეზები ცნობილია: მებატონეთა და მოხელეთა თავგასულობა, ფულადი ბეგარის შემოღება და სენატორ განის მიერ ბრმად გადმოღებული უგნური წესების ცხოვრებაში დანერგ-

ვის ცდა. გლეხები ორმხრივ შჩაგვრელებს ებრძოდნენ, ერთგვარ წარმატებებსაც მიაღწიეს, 9 აგვისტოს სოფელ გოგორეთში პოლკოვნიკ ბრუსილოვის ჯარი დაამარცხეს და ალყა შემოარტყეს სამაზრო ქალაქ ოზურგეთს. ხელისუფლება შეშფოთდა. მაგრამ აჯანყებულთა რიგებში განხეთქილება ჩამოვარდა. გურიაში გაიგზავნა მოსე არღუთინსკი, იესე ანდრონიკაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, და გურია „დაამშვიდეს“.

პირველი არაა გრიგოლის გალაშქრება მეამბოხე ხალხის დასაწყნარებლად. გურიის ჯანყამდე ერთი წლით ადრე კიშილისა და შაღლადლეთის აჯანყებულ ოსებს ებრძოდა, რისთვისაც თავის დროზე სტანისლავის მედალსაც გაიკრავს. საოცარია, მაგრამ გრიგოლს სრულიად არ ეჩოთირება ეს ამბავი, ყოველივე სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებად მიაჩნია.

1842 წლის 20 მაისს გრიგოლი ქუთაისიდან სწერს ძმას, ზაქარიას:

„ქუთაისში მინისტრის ბრძანებით განათავისუფლეს გურულები, ბუნტისათვის დაჭერილნი, უნდა გენახა ამათი ტირილი და სიხარული, პირჯვრის წერა და დალოცვა. — მხოლოდ ერთი გაგზავნეს ციმბირში, შალიკაშვილი, რომელიც უწინდელს ბუნტშიაც ერია“.

სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა მართლა ბრძანა მეამბოხე გურულთა განთავისუფლება. ის სარევიზიოდ იყო გამოგზავნილი პოზენთან ერთად, განის რეფორმების და მისი შედეგების შესამოწმებლად. ამ შემოწმების შედეგად სენატმა უარჰყო რუსეთის გუბერნიების წესების ბრმად გადმოღების განისეული მეთოდი და შეიმუშავა ახალი წესები: გრიგოლიც დიდ იმედს ამყარებს ჩერნიშოვსა და პოზენზე.

გურული გლეხების შეწყალებაც ახალი წესების შემოღებასთან იყო დაკავშირებული და გრიგოლიც გახარებული ჩანს.

მაგრამ პოეტს უფრო სასიხარულო ამბავიც მოსდის: მისმა ძმამ ზაქარია ორბელიანმა, მაღალაშვილთან და ყორღანაშვილთან ერთად, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ლეკებთან ბრძოლაში ყაზიყუმუხის საზღვარზე, მოიგო რიჩის ბრძოლა, აიღო ეს აული და თავისთვის პოდპოლკოვნიკის ხარისხიც უზრუნველჰყო.

მაგრამ ხარისხებს ვინ დაეძებს! ზაქარია გადარჩა „საშინელის ომისაგან“, არ წაახდინა ღმერთმა ორბელიანთა გვარი და „უწინდელი წმინდა სისხლი აღმოჩნდა“ მის ძარღვებში! გრიგოლი აღტაცებულია და ომახიანად იძახის:

— ახ! რატომ მეც მანდ არა ვარ, რომ ერთი მაგათი სისხლი დავლიო და შეუბრალებლად ვტანჯავდე ცოცხალთა!

ეს მეომრული სურვილი მალე აუსრულდა. გრიგოლი მალე „იქნება მანდ“, და ხუთმეტ-ჩვიდმეტი წლის განმავლობაში იძიებს შურს ქართველთა მაოხრებელ ლეკებზე.

საერთოდ, მომავალ გენერალს სიმამაცე მუდამ აღაფრთოვანებს, სიმხდალე კი აღაშფოთებს. ყორღანოვი და მაღალოვი ჩამიკოცნე, დღეს დაიხურეს მაგათ ქუდებიო, სწერს ზაქარიას, და აფრთხილებს — გაქცეულებს ცალი წვერ-ულვაში მოჰპარსეო.

მაგრამ ბედი სიხარულს კაცს ყოველთვის ჩააშხამებს ხოლმე. თუ ერთი ძმა ლეკებს ამარცხებს, მეორე — ილიკო — ლეკებმა გაიტაცეს იმავე წლის 20 მარტს ყაზი-ყუმუხში და ორ სხვა ოფიცერთან ერთად შამილის ტყვეობაში იტანჯება.

გრიგოლი მწარედ იგონებს ილიკოს ტყვეობას და ზაქარიას ეკითხება, რა ღონისძიება ვიხმაროთ ძმის გამოსახსნელადო. მაგრამ ჯერჯერობით ზაქარიას და გრიგოლის ყოველი ცდა ამაო გამოდგება და მათ საყვარელ ილიკოს დიდხანს მოუხდება ლეკების აჩოთებულ დილეგში ჯდომა.

1842 წლის 9 ივნისს გრიგოლი ქუთაისიდან თბილისს ჩამოდის. მთავარმართებელი გოლოვინი პირადად ეუბნება მადლობას ძმის გამარჯვების გამო, მისი მეუღლე კი ქეთევანს ავსებს კომპლიმენტებით. მთელი ქალაქი ილიას ტყვეობაზე და ზაქარიას გამარჯვებაზე ლაპარაკობს. თვით სარდლებს შურთ მოსე არღუთინსკისა, რომელმაც ახლა უფრო სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა, ვიდრე გურულ გლეხთა „დაწყნარება“ იყო: 1842 წლის 25 მაისს ყუმუხში დაბანაკებულ არღუთინსკის სამ ბატალიონსა და 1160 მილიციელს შამილმა 15000 კაცით ალყა შემოარტყა, ორი მხრიდან შეუტია და განსაცდელში ჩააგდო, მაგრამ დამარცხდა და ყაზი-ყუმუხიდან წასვლა მოუხდა. გენერალი კლუკი კლუგენაუ იქვე ახლოს იყო დაბანაკებული, მაგრამ ვერ მიეშველა. ზაქარიაც მოსეს რაზმში იყო.

თქმულიდანაც ჩანს, რომ სამივე ძმა—გრიგოლი, ზაქარია და ილია ერთიმეორეზე მამაცურად იბრძვიან დაღესტანში და ასახელებენ არა მარტო ორბელიანთა გვარს, არამედ მთელ საქართველოსა და რუსეთის მხედრობას.

არღუთინსკიმ ყაზი-ყუმუხში, მართლაც, საგულისხმო გამარჯვება მოიპოვა. მის გამარჯვებაზე მთავარმართებელმა თქვა, ამ შვიდი წლის განმავლობაში მსგავსი არაფერი გაგვიკეთებიაო. დავით ყორღანაშვილი თავის მინაწერში გრიგოლის თქმულს დასძენს: რა ენაღვლებოდათ, ადრე გამოეგზავნათ ეგ სომეხთა სახელის განძანათლებელი: ვინც კუზიანი სომეხი მოიპოვებოდა, სულ გასწორდნენო.

სარდლობა და ხალხი ერთნაირად გმობს ფრანც კლუკი ფონ კლუგენაუს, ჩრდილოეთ დაღესტნის ჯარების სარდალს, რომელიც თორმეტი ბატალიონით არ მიეშველა ალყაშემორტყმულთ.

არც გენერალ სერგეი ბეზობრაზოვს გაუღიმა ბედმა, კავალერიის სარდალს, არც ბორის ჭილაშვილს... ტანმორჩილმა არღუთინსკიმ ბევრი გენერალი დაჩრდილა, მოსე წინასწარმეტყველის შეუპოვრობით რომ ებრძოდა მაჰმადის ერთგულ მიმდევარს — შამილს.

1842 წლის აგვისტოში გრიგოლი გრენადერთა პოლკის ერთერთი ბატალიონის უფროსად ინიშნება და ქალაქ ალექსანდროპოლშია, სომხეთში.

ილიას ტყვეობის დროს გრიგოლი საქართველოშია და ყოველ წერილში ეკითხება ზაქარიას, რა ღონისძიებებია საჭირო ილიას გამოსახსნელად, თუ შამილის შვილს ხელმწიფე არ დათმობსო.

პოეტი დიდად შეაწუხა ძმის ტყვეობამ. საერთოდ, ნათესავების უაღრესად მოყვარული, ძმებზე გადაგებული, სიმშვიდეს ვერ პოულობდა.

„შენი ჭირიმე, კნიაზო! — სწერს მოსე არღუთინსკის 1842 წლის 11 ივნისს. — ცრემლებით გეხვეწებით ჩემის ძმის გამოხსნისათვის. მე გამყიდეთ, მე დამატყვევეთ, ოღონდ იმ საბრალოს უშველეთ რამე. ის თურმე ხაროში გდია... ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში და ღმერთი თქვენა ხართ“.

იმ ხანებში მოსე არღუთინსკის გამარჯვებით მთელი თბილისი ხაროობდა. გრიგოლი ასე სწერს სარდალს: „ახლა თქვენის სახელით ჩვენც ვდიდგულობთ და აქეთ იქით ამაყურად ვიყურებითო“, თახაც

სთხოვს, ოღონდ ნუ გამაჩერებ ალექსანდროპოლში, ოღონდ წამიყვანე შენთან და თუნდაც უბრალო ჯარისკაცად მამსახურეო.

ამრიგად, 1842 წლის ზაფხულში ორბელიანს გული ისევ დაღესტანში მიუწევს, ბრძოლის ქარცეცხლში, რომ მტრის „სისხლი დალიოს“ და შური იძიოს თავისი პაპის სიმშვიდის შემაშფოთებელ ლეკებზე. იგი ბევრს ოცნებობს, რომ „ორ ლომ ძმას შუა“ იჯდეს „ჭეშმარიტად ბედნიერი და უდარდელი“, მაგრამ შამილის ერთგული ხალხის მიერ გათხრილ ხაროში იტანჯება ილია, თემირ-ხან-შურის მხარეშია ზაქარია, ალექსანდრეპოლში გზავნიან გრიგოლს...

1842 წლის შუა ივნისში გადადის გრიგოლი ალექსანდროპოლში, სადაც ბატალიონს აბარებენ. ასე გაეცალა სანდრიკოს, ზაქარიას ბიჭს, რომელიც ისეთი ცელქია და დიდგულა, რომ „იმის ბატონობისაგან ილაჯი არ არის“.

ალექსანდროპოლს მყოფი პოეტი დაღესტანში გრაბეს დამარცხების ამბავს გებულობს და ზაქარიას გაოცებული სწერს: შენ და არღუთინსკიმ მცირე რაზმით სძლიეთ იმოდენა ჯარს, როცა ყველას დაღუპული ეგონეთ და გრაბეს იმოდენა რაზმი რამ შეაყვანინა ისეთ ვიწროებში, სადაც ერთად ორი კაცი ვერ გაიელისო?

პავლე გრაბე, გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ხაზის ჯარების სარდალი, 1839 წელს რომ წარმატებით ებრძოდა შამილს და პირველი რეზიდენცია, თითქმის მიუდგომელი ახულგო წაართვა, — ახლა სასტიკად დამარცხდა: მან მეორე რეზიდენციის—დარღოს აღებაც ასევე უმტკივნეულო ოპერაციად ჩათვალა და ათი ათასი კაცით დაიძრა ანდიის მხარეს, რათა შამილის ბუნაგზე იერიში მიეტანა. მაგრამ ამჯერად მარცხიანი გამოდგა დაღესტნელი ჰანიბალი. გრაბე, რომელსაც წარმატებით უბრძოლია ფრანგებსა და თურქებთან, იჩქერიის ტყეში ათი ათასი კაცით ხაფანგში გაება. ნაიბმა შუაიბმოლამ გენერალი სასტიკად დაამარცხა და იმავე გზით დაახევინა უკან. ვიწროებში გაიჭედა არმია, ხეობა გვამებით აივსო. ჰაერი კენესამ შეძრა. თბილისში ხმა გავარდა: გრაბე რაზმიანად დაიკარგაო. გრაბე ამ მარცხისაგან მოხსნეს. გვიან იგი დონის კაზაკებს წინამძღოლობდა.

სომხეთში მყოფი მომავალი გენერალი თვალნათლივ ხედავს დაღესტნის ჯარების სარდლის შეცდომას, მის წინდაუხედაობას და

ამაო ვაჟკაცობას. გრაბეს შამილი თავის ერთ მთავარ მტრად თვლიდა, მაგრამ ამ ექსპედიციამ გენერლის სამხედრო კარიერას ჩრდილი მიაყენა.

გრაბეს მარცხს დიდხანს იგონებს გონებამახვილი პოეტი.

— შამილი წყალსა გვთხოვს, ჩვენ კი ღვინოს ვაძლევთო. იმედი მაქვს, ასეთი ხელის შეწყობას არ მოელოდა ჩვენგან უზდენის შვილი. არა, უნდა გავბრუნდე დაღისტანს!

გადის დრო. გრიგოლი ისევ სომხეთშია, ალექსანდროპოლის გადაყრუებულ კომენდანტს უსმენს, ჰიპოხონდრიას შეუპყრია, უსაქმოდ იტანჯება, სულ ილიას გამოხსნაზე ფიქრობს, დაღესტანშ› კი მოსე არღუთინსკი, იასე ანცრონიკაშვილი, დანიელ-სულთანი და სხვა გენერლები შამილს არ ასვენებენ.

დანიელ-სულთანი, ელისუს მმართველი, რუსეთის სამსახურშია 1844 წლამდე, ვიდრე გენერალ შვარცთან უკმაყოფილება არ მოუხდა და კვლავ შამილს არ მიემხრო. შამილი ალერსიანად შეხვდა, ნაიბობა მისცა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მის შვილს ყაზიმოჰამედს ცოლად სულთნის ასული ჰყავდა, ნდობა მაინც არ აღირსა და აკი შემორიგებული არც აღმოჩნდა ნდობის ღირსი: 1859 წელს, როცა რუსებმა ღუნიბს ალყა შემოარტყეს, განწირულ იმამს ისევ უღალატა და ბარიატინსკის ეახლა.

დანიელ-სულთანს ქვემოთაც შევხვდებით. ხუთმეტი წლის განმავლობაში ებრძოდა შამილს და ახლო ურთიერთობა ჰქონდა დაღესტნის სარდლებთან.

გრიგოლი დაწვრილებით კითხულობს დაღესტნის ამბებს და გული ავარიაში მიუწევს.

ამ მოლოდინში ახალი 1843 წელიც დადგა.

მამა-პაპათა სისხლისათვის

შენ ჩემს საქმეს უყურე,
კოდა გამიშვია და აქ შენობას ვაგებ.
ილია ორბელიანს, 1843 წ.

1843 წელს გრიგოლი „ავარიის ხანად" ინიშნება და მთელი ხუთმეტი წელი დანავარდობს კრაზანების ბუდეში. მრისხანე მიურიდების სამეფოში წარგზავნილი, პატრიოტული სულისკვეთებით ანთებული ორბელიანი შამილის ყველაზე დაუძინებელი, ავი და ძლიერი მტერი გამოდგა.

ავარია! რატომ ჰქვია ასეთი სახელი დაღესტნის ამ სახელგანთქმულ მხარეს? თურქულად „ავარ" მოუსვენარს, ჩხუბისთავს ნიშნავს. ასე უწოდეს ავარიელებს ყუმისელმა მეზობლებმა. თვითონ თავიანთ თავს თემობის სახელებს უწოდებენ: ხუნძახელებს, ჰიდატლაელებს, სალათაველებს და ა. შ.

გრიგოლს სწორედ ავარიის ხანების ადგილი შესთავაზეს.

დინჯი პოეტი ჯერ თითქოს ყოყმანობს, წავიდეს თუ არა ავარიაში.

1843 წლის 28 მარტს ზაქარიას სწერს:

„ეს ორი კვირა არის, რაც ვიმყოფები ქალაქში მთავარმართებლის ბრძანებით. მიზეზი ის არის, რომ მე მნიშნავენ ავარიაში, მაგრამ ჯერ კი არ ვიცი, თუ რა ვიქნები მე იქა, ან რა უფლება მექნება? ზოგნი მირჩევენ წასვლას, ზოგნი არა. პირველთა რიცხვში

კნიაზ მოსე ზახარიჩი (არღუთინსკი) დიდი დარიგებით და თითქმის ბრძანებით მირჩევს, და თვით მისი რეკომენდაციით ვარ დანიშნული... მეც განვუცხადე შტაბის უფროსს ჩემი თანხმობა და ახლა ვნახოთ, ღმერთი და ბედი. ეს ისეთი ადგილია, რომ ან ამწევს მაღლა, ან სრულიად ძირს დამცემს“.

ამ გზაზე გრიგოლს, ღმერთიცა და ბედიც, ორივენი მწედ ექმნენ.

„ლეკთა განალაგეს საქართველო“, — სწერდა პოეტის პაპა ერეკლე ეკატერინე მეორეს. გრ. ორბელიანი, ჰაზავათის დაუძინებელი მტერი, წამითაც არ ივიწყებს სახელოვანი მეფის ნაღვლით ნათქვამ სიტყვებს. ებრძვის მოსისხლე ავარიელებს და თან ნიშნისმოგებით ამბობს, რომ ახლა მას ემსახურებიან ომარ-ხანის ცოლიც, პოეტის ბებიის დის მსახურნი. ამ ომარ-ხანმა ხარკი დაადო საქართველოს, ვახანის ციხიდან გაიტაცა პოეტის ბებიის დები აბაშიძეები.

იწყება გრიგოლის მრისხანე ნავარდი ცეცხლმოდებულ მთებში და, ალბათ, ქვეყნად ძალიან ცოტა ადამიანი თუ აღმოჩნდება ისეთი, რომელსაც გრიგოლივით მარჯვნივ და მარცხნივ ექნიოს ხმალი, მტერი ემუსროს, ყოველთვის გაემარჯვოს, არ გაყოყოჩებულიყოს და ზრდილ, დარბაისელ რაინდად დარჩენილიყოს.

ჰაჯი-მურატთან ერთად უნადირნია მთებში, სათითაოდ გამოუწვევია ორთაბრძოლაში შამილის განთქმული ნაიბები, დაუზავებია აღშფოთებული, ფანატიკურად განწყობილი მუსულმანები, დაბოლოს, გვიან, ღამით, როცა ყოველივე მოუთავებია, ისეთი შემთხვევებიც ჰქონია, რომ ლირიკული ლექსები უწერია.

ქუთიშა, სალთი, ჭოხი, გერგებილი, ტაბასარანი, ქური, სალათაუ, ძველი და ახალი ბურთუნაი, ერთი სიტყვით, მთელი დაღესტანი დალაშქრული და ხმლით შეჯერებული ჰყავს ჩვენს პოეტ-სარდალს. ბრძოლის ქარ-ცეცხლში ელავდა მისი ფხიანი ხმალი და მარჯვენა, ჰკვესდა მისი გადარეული ცხენის ფლოქვები და მრისხანე მეომარი და სარდალი მთიდან მთაში, ხეობიდან ხეობაში გადადიოდა, შიშის ზარს სცემდა ფანატიკოსობის ცეცხლით აღგზნებულ მიურიდებს და ირგვლივ სიკვდილს სთესავდა. იგი გამარჯვებულის ზეიმით შესულა „თავის სატახტო ქალაქ ხუნძახში, მაგ-

რამ მაინც დაღესტანში გატარებული წლები უფრო სარდლის ცხოვრების ამბავს განეკუთვნება, ვიდრე პოეტისას.

გრიგოლ ორბელიანის დაღესტნის წლების მატიანე—გამუდმებული ბრძოლის მატიანეა. დიდი და მცირე შეტაკებანი, ბრძოლით დაზვერვა, დადარნვა, გატაცება, დევნა, მოლაპარაკება, ყაჩაღთა თავდასხმა, ცხენზე ამხედრება, ლაშქრობა, სიკვდილის თვალებში ცქერა, — ასეთია დაღესტანში გატარებული წლების სურათები.

გრიგოლ ორბელიანის სახელთანაა დაკავშირებული მეგობრობით, სამსახურითა თუ საბრძოლო ამხანაგობით გასული საუკუნის (თითქმის მთელი საუკუნის!) ყველა გამოჩენილი რუსი სარდალი და მოხელე, ვისაც კი საქმე კავკასიაში ჰქონია: პასკევიჩი, ერმოლოვი, ვორონცოვი, ბარიატინსკი, როზენი, ლაზარევი, ევდოკიმოვი, ვრანგელი, ბებუთოვი, არღუთინსკი და მრავალი სხვანი და სხვანი, თვით ნიკოლოზ პირველის ჩათვლითა და მოხსენიებით.

თავისი მოღვაწეობის პირველ წლებში გრიგოლ ორბელიანი არ ყოფილა სარდალი, ბრძოლის ბედის უშუალო გამგებელი, და უფრო ადმინისტრაციულ სარბიელზე ჰყავდათ, ვიდრე ბრძოლის ველზე. მაგრამ ადრეც და შემდეგაც იგი შეუპოვარ ბრძოლას ეწევა, როგორც ჯარისკაცი, წინამძღოლი, ჰკვიანი და მამაცი მხედარი, რომლის რჩევას მუდამ ანგარიშს უწევს უფროსობა და რომლის მიერ ჩატარებული ოპერაციები სარდლობის მადლობით აღინიშნება.

1843 წლის სექტემბერში ავარიის ხანი ორბელიანი ფხიზლობს. იგი დროზე ატყობინებს გენერალ-მაიორ ფონ კლუგენაუსა და შვარცს, შამილის, ჰაჯი-მურატის, თუ ყიბიტ-მაჰმადის ძმის ჯარების მოახლოებას. დროის ამ მონაკვეთში ლეკები საომარ ოპერაციებში წარმატებებს აღწევდნენ.

როცა საჭიროა, იგი თვითონ მიდის აულებში, მთებში რომ კრაზანების ბუდეებივით შეფენილან; ხოლო, როცა მძევლების გაცვლის საკითხი დგება და აქეთ ჰაჯი-მურატის ან ყიბიტ-მაჰმადის თავს ითხოვენ, თავის მხრივ მძევლობას კისრულობს ავარიის ყოფილი მმართველი ორბელიანი (1844 წ. იანვარი)*.

---

* Акты, т. IX, стр. 803.

პოეტი იმხანად მხოლოდ პოლკის უფროსი გახლდათ, მაგრამ მალე მთელი დაღესტნის ჯარების სარდლის პატივს მიაღწია. წლების მანძილზე უშიშრად უტევდა იგი მრისხანე შამილის ბუნაგს, ზედიზედ შლიდა კრაზანების ბუდეებს — აულებს. 1846 წელს ჭუთიშთან იბრძვის, 1847 წელს — სულთანთან, 1848 წელს — გერგებილთან, 1849 წელს — ჰოხთან, 1854—1855 წლებში — ტაბასარანსა და ყაითაღში, ქურისა და სალათაუს მიდამოებში.

1843 წელს გენერალ-მაიორი კლუკი ფონ-კლუგენაუ, ავარიის ხანს, მაიორ ორბელიანს ავალებს, მოლაპარაკება დაიწყოს ჰაჯი-მურატთან რუსების მხარეზე მისი ხელახლა გადმობირების მიზნით. ესაა პირველი სერიოზული საქმე, რასაც ხელს ჰკიდებს ხუნძახში ჩასული გრიგოლი.

ავარიის ხანის ნათესავი, შამილის ნაიბი, ჰაჯი-მურატი მთელს კავკასიის ტომებში უძლეველი და უშიშარი მეომრის სახელითაა ცნობილი. გონიერი წინამძღოლი და უებრო ვაჟკაცი ხუნძახელი ბეგის შვილი გახლდათ. იგი თოთხმეტი წლით უმცროსი იყო გრიგოლ ორბელიანზე და ჩვიდმეტი წლით — შამილზე. თვრამეტი წლის ჭაბუკმა უკვე გიმრის ბრძოლაში გამოიჩინა თავი საარაკო სიმამაცით. მას შემდეგ, რაც შამილის კარნახით დაღესტნის მეორე იმამმა ჰამზათ-ბეგმა ხუნძახის ურჩი ხანები გაწყვიტა, ჰაჯი-მურატი ავარიის მმართველად დაინიშნა. იგი თავის ძმას, ოსმანს შეუთანხმდა, ჰამზათ-ბეგი მოკლეს და იმამად შამილი აირჩიეს.

1840 წელს ჰაჯი-მურატი რუსეთის არმიაში მსახურობდა და არაერთხელ ასრულებდა ავარიის ხანის მოვალეობას. მას შემდეგ, რაც ახმედ-ხან მეხთულელმა შეურაცხყოფა მიაყენა, ისევ შამილის მხარეს გადავიდა.

დიდი ამაგი მიუძღოდა ჰაჯი-მურატს შამილის წინაშეც, მაგრამ მამაც ვაჟკაცს თავიდანვე რატომღაც ბედი შეეკრა. არც შამილი ენდობოდა და არც რუსები, რომელთა ოფიცრადაც ითვლებოდა. შამილთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის მიუხედავად, დევნა განიცადა. გენერალი კლუგენაუ სწყალობსო, შურით აივსო ავარიის მმართველი ახმედ-ხან მეხთულელი, რუსებთან დაასმინა, შამილთან აქვსო ფარული ურთიერთობა. კლუგენაუს ბრძანებით

ჰაჯი-მურატი შეიპყრეს და ბორკილგაყრილი თემურ-ხან-შურის გზას გაუყენეს.

საარაკო ვაჟკაცობით სახელგანთქმულმა ჰაჯი-მურატმა თავი გამოიდო და მცველებს გზიდან გადაუხტა ხრამში. თავისუფლებას კი ეწია, მაგრამ გადავარდნისას ფეხი იღრძო და სამუდამოდ დაკოჭლდა. შამილმა შეინდო, შეივრდომა და იმწამსვე ნაიბობა უბოძა, ჯარები ჩააბარა. 1841 წლიდან 1851 წლამდე, მთელი ათი წლის განმავლობაში, ჰაჯი-მურატი გმირულად ებრძოდა რუსთა მხედრობას.

მთის ხალხში ჰაჯი-მურატი ისეთი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ უკვე შამილსაც ეშინოდა, იმამობა არ წამართვასო. ყველანი, ვინც ჰაჯი-მურატის წინააღმდეგნი იყვნენ (მეხთულელები, შამხალელები, ჭარელები...), ამავე მიზეზით ეხმარებოდნენ ფარულ თუ აშკარა ბრძოლაში შამილს.

ჰაჯი-მურატი კი ფარ-ხმალს არ ყრიდა და საარაკო ვაჟკაცობით ისე გაითქვა სახელი, რომ შამილს შური თანდათანობით უფრო გაუძლიერდა. მან განზრახ დაავალა ჰაჯი-მურატს ტაბასარანის აღება და, როცა შეუპოვარი ვაჟკაცი დამარცხდა, შამილმა ამ გარემოებით ისარგებლა, საშიშ მეტოქეს ნაიბობა ჩამოართვა და ფარულად მისი მოკვლაც ბრძანა. ამრიგად, 1851 წელს შამილთან ურთიერთობა გამწვავდა და ჰაჯი-მურატი ისევ რუსების მხარეს გადმოვიდა, იგი დიდი პატივით მიიღო ვორონცოვმა. მერე, როგორც ცნობილია, ისევ გაქცევა სცადა და 1852 წელს უთანასწორო ბრძოლაში დაეცა, მდევრების ტყვიით განგმირული. მისი მოკვეთილი თავი თბილისში ჩამოიტანეს...

ასეთია მოკლედ იმ კაცის ცხოვრების გზა, რომელთანაც ბრძოლა და ყონაღობა ბედმა არგუნა ჩვენს სახელოვან პოეტს.

* * *

1843 წლის 20 აპრილს გრიგოლი ყუბაშია, ბაქოს გუბერნიის სამაზრო ქალაქში, იქიდან სწერს ილიკოს და ზაქარიას, ერთს თბილისში, მეორეს დაღესტანში. დაღესტანს მყოფ ზაქარიას ცხენებსა სთხოვს, დაბა ხაზრას მოვდივარ და დამახვედრეო, თბილისს მყოფ

ილიას კი არანაკლებ საძნელო დავალებას აძლევს: დამიკოცნეო ტატო, მელიტონი, ეფემია, ეკატერინე, ყაფლანი...

ყუბაში რენენკამპფსა და სხვა ცნობილ პირებთან ვიზიტის შემდეგ გრიგოლი ხაზრას ჩავიდა. აქ ორი ღამე დარჩა ზაქარიასთან, რომელმაც მეორე დღესვე ჩააკითხა. დიდი ხნის უნახავმა ძმებმა ერთმანეთის ხილვით გაიხარეს, მაგრამ ხანმოკლე იყო ეს შეხვედრაც. გრიგოლი დერბენდს მიეშურებოდა.

ამ დროისათვის ავარიაში საქმეები ძალზე აწეწილ-დაწეწილი და გართულებული იყო. შამილი ას ხარს გზავნის დარღოდან ანდის ზარბაზნების მოსაზიდად. გარეგნულად დამშვიდებულ მხარეს ყოველი მხრიდან გაავებული ძაღლებივით შემოჰყეფდნენ შამილის მამაცი ნაიბები — ყაზ-იოვი, ღალვაც-ღებირი, მეორე დებირი — აბდულ რახმანი და თვით განთქმული სწავლული მეომარი, იმამის ტახტის პრეტენდენტი, ყიბიტ-მაჰმადი, რომელსაც გვიან საიდუმლო მიმოწერა ექნება გრიგოლ ორბელიანთან, უღალატებს შამილს, გააძარცვინებს მის ქარავანს, დაატყვევებს მის მასწავლებელს ჯემალ-ედ-დინ-ყაზი-ყუმუხელს, ეახლება ბარიატინსკის და ბოლოს ოსმალეთში გადასახლდება. ჯერ კი შამილის ერთგული ყმაა.

აი, ეს ნაიბები, ან როგორც პოეტი ეძახის, „კორპუსის კამანდირები“, სამივე მხრიდან ჯარებს უყრიან თავს. ყველა აულში დაუნდობელი ბრძოლაა. ავარიის სოფელ სივუხში ორი ათასი კაცით თვით ჰაჯი-მურატი შეიჭრა. „ძალიან გაძლება კი უნდა წლეულს ამ ავარიაში, რომელშიაც მხოლოდ ექვსი როტა არის“, — სწერს გრიგოლი ილიას (მოგვიანებით — ზაქარიასაც). ჯარს კი მეტს არ აძლევენ: 1841 წელს ამდენიც არ იდგაო! ადვილი წარმოსადგენია, როგორი გაძლება უნდოდა ასეთი მცირერიცხოვანი მხედრობით ყოფნას იმ მხარეში, სადაც ორი ათასი კაცით თავისუფლად დანავარდობდა მხოლოდ ჰაჯი-მურატი.

გრიგოლს დიდი სადავიდარაბო მოვალეობა დააკისრეს. ხუმრობა ხომ არ იყო, ავარიის ხანად დანიშნეს! დაღესტნის ამაყ ხანთა მემკვიდრეებმა ავარიის გამგებლად ქართველის დანიშვნა ისე მიიღეს, როგორც თავიანთი დინასტიის უცილობელი კატასტროფა, მაგრამ გრიგოლი ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი მმართველი აღმოჩნდა, თავიდანვე ისე დაიჭირა თავი, რომ ნდობა და პატივისცემა მოიპოვა.

გრიგოლი უკვე ავარიის გზაზეა, თავის „სატახტო ქალაქ“ ხუნძახს უახლოვდება. ავარიაში ამ დროს სიმშვიდეა. მხოლოდ მმართველობისა და ქონებისათვის დავობენ, სულთანეთა ედავება ტარკის შამხალს (თავადს) აბუ მუსელიმ-ხანს, რუსეთის არმიის გენერალს, და ამ დავის გადასაწყვეტად ჩამოდის გენერალი პავლე რენენკამპფი, დაღესტანის მებრძოლი ჯარების ერთ-ერთი სარდალი.

ხუნძახში, ჰაჯი-მურატის ყოფილ საბრძანებელში, გრიგოლი 1843 წლის 2 მაისს ჩავიდა. რვა ვერსზე შეეგებნენ „ყადიები, ბეგაულები და სხვანი ამათნი ჩინებულნი“, ესე იგი ჩვენი „ყაფლანიანნი, ციციანნი, მეითარი, მელიქი და მიკირტუმა ნაცვალი“, როგორც თვითონ ხუმრობს ილიასადმი მიმართულ წერილში.

დაღესტნის ახალმა ხანმა ცხენიდან წარმოსთქვა საკმაოდ გრძელი სიტყვა, თავის მოურავ აბრამასავით „გააბა და აღარ გაათავა“, რადგან იცოდა, რომ მთიელები პატივსა სცემდნენ მშვერმეტყველთ. განგებ რიხიანად ლაპარაკობდა, რომ ვაჟკაცური შთაბეჭდილება მოეხდინა. „ზოგჯერ იასეს ფარსებიც კარგიაო“, — მოაგონებს არღუთინსკის ძველ მეგობარს.

ვიდრე გრიგოლი ჩავიდოდა ხუნძახს, იქ მმართველობისათვის დიდი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ზოგი ავარიის კანონიერი მემკვიდრის, ცხრა წლის ახმედ-ხან ავარიელის ტახტზე დასმას მოითხოვდა (ეს გახლდათ მოკლული ხუნძახელი ხანის ვაჟიშვილი), ზოგი ალი-სულთანს ასახელებდა, ზოგიც შამხალს.

ორბელიანის მმართველობას დაღესტნის ამ ძლიერი მეომარი ტომის ხსოვნაში უნდა წაეშალა სამივე პრეტენდენტის სახელი.

გენერალმა ფონ კლუკი კლუგენაუმ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ორბელიანი ხუნძახში ღირსეულად მიეღოთ. საქმე ჩინებულად მიდიოდა. მხოლოდ ხანის ერთი ნოქერთაგანი გამოსულა და საკუთარი ნიჭი უცდია მშვერმეტყველებაში:

— ჩვენ არ გვინდა ორბელიანი! არ გვინდა ქართველი ხანი! დაგვინიშნეთ ახმედ-ხანის ძმა ალი-სულთანი! არასოდეს მომხდარა, რომ ხანის ტახტზე გიაური დაგვესვა. განა იმისათვის მოგეცით ავარია, რომ გაგვთელოთ და გაგვსრისოთ? რუსებო, ნუ გვიზამთ ამას, მოგვეცით ალი-სულთანი!

ხალხი აღელდა. არ ეპაშნიკათ ლეკებს ქართველის ხანობა.

მაგრამ აი, გამოჩნდა ორბელიანი, ნოქერი ხალხში გაერია, ვითომ არაფერიც არ ეთქვას, გრიგოლ-ხანთან მივიდა და კრძალვით მოახსენა: ყველანი შენი ერთგული ნოქერები ვართ, როგორც უწინ ხანისა ვიყავითო.

მოკლედ, „სწორედ ჩვენი სულმოკლე ყაფლან გახდაო“, — დასძენს ორბელიანი და ავარიელებს ათას სიკეთეს ჰპირდება. მალე კომენდანტიც გამოჩნდა, საპატიო ყარაულით შემოეგება.

„ასეთი პატივით შეეველი და ახლა ვნახოთ, როგორ გამოვალ აქედანო“, — ხუმრობს ახალი ხანი.

ისტორიკოსი ოკულნიჩი ადასტურებს გრიგოლის თქმულს:

„ლეკებმა პირველად უკმაყოფილო სახით მიიღეს, რადგანაც ქართველი იყო, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ხომ ერთთავად არბევდნენ საქართველოს და თითქმის დამოკიდებულად რაცხდნენ, დამამცირებლად მიაჩნდათ ქართველის მორჩილება; მაგრამ ალერსიანმა მოპყრობამ, ხალხთან ლაპარაკის უნარმა და ადგილობრივი ზნე-ჩვეულებების ცოდნამ თავადს მალე ყველას გული მოუნადირა“*.

ახალი ხანი დიდ პატივშია. გენერალი ფონ კლუკი ყოველდღე სადილად ჰპატიჟობს და მისი ცოლიც არანაკლებ ყურადღებას იჩენს გრიგოლ-ხანისადმი.

ავარიაში ბავშვებიც კი ასე მღეროდნენ: „მეფევ, რისთვის აოხრებ ჩვენს აულებს? ნუთუ არ გაღელვებს ჩვენი ცოლ-შვილის ცრემლი და გოდება?“

გრიგოლს დიდი ტაქტი და ლმობიერება უნდა გამოეჩინა სიმკაცრესთან ერთად, რომ ან ფარულად არ მოეკლათ, ან არ განედევნათ.

გრიგოლმა დანიშვნისთანავე გაუმართა მასპინძლებს მეჯლისი, ესე იგი მიართვა მათ ბევრი არაყი და ბევრი ხორცი. ავარიელებს გულს მოეფონათ.

შემდგომი ნაბიჯი იყო ხანის მემკვიდრის ქება, რითაც მისი ერთგულნი მოიმხრო. ამით შამხალი და ალი-სულთანი მშრალზე და-

---

* Военный сборник, т. II, отд. 11, стр. 11.

ტოვა, ხოლო, როცა სოფელ ობოდიდან ცხრა თუ ცამეტი კომლი გაექცა, მძევლები მოაყვანინა და მკაცრად გამოაცხადა, ამათ ყველას გავგუდავო. მაშინ ყადიები და ბეგაულები ეახლნენ და მუხლმოყრილნი შეეხვეწნენ, აპატიეო. გრიგოლს ესიამოვნა, პატიმრობა აკმარა თავკაცებს. მერე დაიწყო სოფელ-სოფელ ქადაგება, ჰაჯი-მურატთანაც კი გამართა მოლაპარაკება. გადმობირება უნდოდა. ხმა კი გაავრცელებინა, მეტი აღარავინ გაქცეულა და გაქცეულნიც უკან დაბრუნდნენო.

ამრიგად, დაყვავებითა და სასჯელის ტაქტიანი გამოყენებით გრიგოლმა შესძლო ხელში დაეჭირა ის მხარე, რომელიც უწინ არავის დამორჩილებია. მხოლოდ შამილის უხილავი პარტია რჩება მოუხელთებელი და ეს აფიქრებს ავარიის ხანს.

ავარიაში გრიგოლი ოთხ თვეზე ცოტა მეტ ხანს რჩება, 1843 წლის 14 სექტემბრამდე, როცა ჩაჩნეთისა და დაღესტნის დიდმა ამბოხებამ რუსებს შიდა დაღესტანი დაატოვებინა. ამ ხნის განმავლობაში მის გონივრულ მმართველობაზე რუსთა სამხედრო ისტორიკოსები ერთხმად ლაპარაკობენ. მისი დაუძინებელი მტრები — ავარიელი მოხუცებიც ამბობდნენ: „უმა-ხან სამართლიანის შემდეგ ავარიას ასეთი ბრძენი მმართველი არ ჰყოლიაო“.

მაიორი ორბელიანი ხუნძახში მისვლის დღიდანვე შეუპოვრად ავიწროებს ჰაჯი-მურატს, მერე კი, სარდლობის დავალების თანახმად, მასთან მოლაპარაკებას გამართავს. ჯერ დედას დაელაპარაკა, მერე თვითონ ნაიბს მისწერა უსტარი.

ჰაჯი-მურატმა ორი წერილით უპასუხა: პირველში არ ენდობა და კიდევ ერთი წერილის გაგზავნას ითხოვს. მეორეში კი სწერს:

„თქვენი რჩევა ჩემთვის სასიამოვნოა... გამომიგზავნეთ ერთგული კაცი, ჰასან ჰარია არაკნელი. მე თქვენ არ გიცნობთ და არა მაქვს ნათესაობა...“

მიწერ-მოწერა გახშირდა. თანდათან უფრო გულახდილი ხდება ერთიც და მეორეც. ავარიის გამგებელი უკვე პირადად უნდა შეხვდეს შამილის პირველ ნაიბს. თან შუამდგომლობს მთავარსარდალ ფონ კლუგენაუს სახელით. მალე შუამავლის პირით რუსთა მხარეზე გადმოსვლას სთავაზობს და ყველაფრის პატიებას ჰპირდება. ამ მიზნით აახლებს კოლეგიის რეგისტრატორს ჭეშმარი-

ტოვს და ნაიბის ერთგულ ბატირს. წარგზავნილებმა ინახულეს ჰაჯი-მურატის კაცი, აიდერიკი და ყველაფერი გადასცეს.

ჯიგიტი ორბელიანთან ზის და თავს იფასებს. იცის აღმოსავლური სიბრძნე, დუმილი ოქროა, მეტყველება კი ვერცხლი.

სიტყვას ისევ მასპინძელი იწყებს:

— რატომ არაფერს იტყვი, ყონაღო?

— ვიდრე სიტყვა პირში გვაქვს, მონაა ჩვენი. ვიტყვით და — თვითონ ვხდებით მისი მონა.

— ერთმა მოხუცმა ლეკმა თქვა: დუმილი — ეს სულელის ჭკუა არისო.

— ესეც მართალია, ქინიაზო. ენა უფეხოა, მაგრამ შორს მიდის.

დუმილს ისევ ავარიის ხანი არღვევს:

— სივიწროვე ხომ არ არის მთებში?

— გვავიწროვებენ, ქინიაზო.

— ჩვენში იტყვიან: ორი ძაღლი ლომს მოერევაო.

— უფრო ის მიკვირს, ეს როგორ მოხდა, რომ ორი ლომი ერთ ძაღლს ვერ ერევა, მაგრამ ლომებს შორის თანხმობა არაა, ქინიაზო.

— როცა ლომებს შორის თანხმობა არ არის, ერთ-ერთი უნდა გაეცალოს, ყონაღო.

ლეკმა ბროლის კბილები დაკრიჭა და ღიმილით თქვა:

— ჰაჯი-მურატი მზადაა ეახლოს ქინიაზს, თუ...

— ხელმწიფის სიტყვა სიტყვაა. ჰოდა, ასე: გადაეცი შენს მბრძანებელს, მოვიდეს, გვენდოს.

— ნდობის ფასი არაფერია, ქინიაზო. მაგრამ ცეცხლს ვერ ენდობი.

— ჩვენ ცეცხლი ვართ?

— ცეცხლი და წყალი.... მაგრამ ცა მაღლაა, მიწა ღრმაა, ყველას ვერ მისწვდებით. სოლი იქ უნდა ჩაასო, სადაც ჩავა და არა იქ, სადაც გადატყდება.

გრიგოლი მოხიბლა ელჩის სიბრძნემ, ჩაიზე შეიპატიჟა, მეგობრული საუბარი განაგრძეს.

— თქვენ მთებს ანგრევთ, ქინიაზო. ვინც ანგრევს, მანვე უნდა ააშენოს. ხალხს მშვიდობა უნდა.

— მშვიდობა უნდა და, იარაღს კი არ ყრის.

— თუ მშვიდობა გინდა, უფრო კარგად უნდა შეიარაღდე, ქინიაზო!

— თუ ასეა, რისთვის გადმოდის ჰაჯი-მურატი ჩვენს მხარეს?

— შამილს ეშინია ჰაჯი-მურატის. ხომ გითხარით, ორი ლომი ერთ ბუნაგში ვერ მორიგდება.

— სასიამოვნო ამბავს მეუბნები, მთის კაცო. მეც მინდა ჩემსა და ჰაჯი-მურატს შორის გზა ბალახით არ დაიფაროს. მაგრამ ცუდი განზრახვა ხომ არ უდევს შენს ბატონს გულში?

— ხანჯალს ორი პირი აქვს, ჯიგიტს — ერთი.

— მომწონს შენი სიტყვა-პასუხი, ჯიგიტო. ყოველი შენი სიტყვა თითო ჯავაირად ჰღირს. თუ საქმეც ასეთია...

პირველად სარდლობა ეჭვით უყურებდა ჰაჯი-მურატის გადმობირების „საქმეს“, მაგრამ ორბელიანის გონივრულმა დიპლომატიამ ოცნება სინამდვილეს დაამსგავსა, ამიტომ კლუგენაუ თავის მხრივ ეკითხება მეფისნაცვალ ნეიდჰარდტს, როგორ მოვიქცეო, გავუგზავნო თუ არა ორბელიანს ბეჭდიანი ქაღალდი, რასაც ითხოვსო.

მეფისნაცვალმა საქმე მოიწონა, პირობის გაგზავნის დასტური მიეცა ფონ კლუგენაუს და ყველაფერი რიგზე წავიდოდა, რომ სწორედ იმ დროს არ გარდაცვლილიყო ჰაჯი-მურატის მოსისხლე მტერი ახმედ-ხან-მეხთულელი. გრიგოლ ორბელიანი ავარიიდან გადმოიყვანეს და ახმედ-ხანის ადგილზე დანიშნეს, ჰაჯი-მურატი კი სხვას არავის ენდო, ამიტომ მისი შემორიგების საქმე მთელი ათი წლით გადაიდო*.

ასე შემთხვევით გადაადგილდა ჰაჯი-მურატის ბედის წიგნში ფურცლები და ასევე ჩაიშალა ეს საქმე, რასაც შამილთან ბრძოლის ისტორიაში ასე დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ.

მარტო ჰაჯი-მურატი კი არა, თვით ლეგენდარული შამილი მართავს გრიგოლთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას.

---

* „დროება“, 1883, № 77.

შამილმა 1843 წელს სთხოვა გრ. ორბელიანს თავისი ტყვევნილი შვილის გამოხსნაში დახმარება, ახულგოში რომ დაატყვევეს და კადეტთა კორპუსში მისცა სასწავლებლად ნიკოლოზ პირველმა.

ორბელიანი თხოვნას ხალისით შეხვდა და მაშინვე მიმართა სარდალს ფონ კლუგენაუს. ამან კიდევ ნეიდჰარდტს მოახსენა. მეფისნაცვალმა, თავის მხრივ, მეფეს შეატყობინა ორბელიანის მიერ აღძრული საქმის ვითარება. იმპერატორმა შამილის შვილის გათავისუფლებაზე მტკიცე უარი განაცხადა. იგი თავის მფარველობაში აიყვანა და მასწავლებლები მიუჩინა. არც მოლები დააკლო და არც სარწმუნოებრივი აღზრდა. მაგრამ შეუვალად განაცხადა, გიაურად ვერ გავზრდითო. შამილს კი თავისი გენერლების პირით შეატყობინა, თუ გინდა გაიგო, როგორ არის შენი შვილი, სანდო კაცი გამომიგზავნე, ვუჩვენებ და დარწმუნდესო. კაცის გაგზავნა შამილმა არ ისურვა და ასე წარმატებით დაწყებული საქმე შეწყდა.

მარცხმა შამილის დესპანი გაჯავრებული კრაზანის გუნებაზე დააყენა. გრიგოლის თავაზიან სიტყვებზე მოურიდებელი პასუხი გასცა.

— როგორა ხსნით კლუკის გამარჯვებას? — ჰკითხა პოეტმა.

შამილის ელჩი დაფიქრდა, გადააფურთხა და თქვა:

— კევრზე რომ კურდღელი დასვა, ისიც გალეწავს პურს. თქვენ კარგი ჯარი გყავთ.

— გრაბეს დამარცხებას როგორღა აფასებს იმამი?

— როცა თავი ცარიელია, ძალა ფეხებს ადგებათო.

— ხომ არ ჰგონია, რომ ყველა გრაბესავით გაიქცევა?

— ერთი ფასი აქვს, ქინიაზო. კაცის გული არასოდეს არ დამშვიდდება. როცა გვშია, ასე გვგონია, ვერასოდეს ვერ დავნაყრდებით; როცა დავნაყრდებით, გვგონია, არასოდეს არ მოგვშივდება.

— შეხედე ამ რუკას: მალე მთელი დაღესტანი ჩვენს ხელში იქნება.

— ხემ უთხრა ნაჯახს: ჩემი ტარი გაქვს, თორემ ვერ მომერეოდიო.

— რას ნიშნავს ეს იგავი, ყონაღო?

— თვით ჩვენმა ხალხმა გვიღალატა, გადაუდგა იმამს, ჭეშმარიტ

ბელადს. თქვენს სამსახურში არიან ჩვენი ხანები, გენერლობას აძლევთ, პატივს აგებთ და აფასებთ...

— ადამიანი იმასთანაა, ვინც მეტს აძლევს.

— არა, ქინიაზო! ვინც მეტს აძლევს, იმასთან მარტო პირუტყვია. ადამიანი კი იქაა, სადაც მისი აკვანი დარწეულა.

ორბელიანი აღტაცებულია ლეკის სიბრძნით. არ მიკვირს შამილის ძლიერებაო, ფიქრობს. ხმამაღლა კი ეუბნება:

— უთხარი შამილს, ხელი აიღოს უაზრო ომზე, ისედაც ქვეყანამ იცის, რომ კარგი მეომარია. დაგვნებდეს და მაშინ არავის წაჰგვრის შვილებს.

— ბრძოლაში სიკვდილი სჯობს მონობაში ნებივრობას. შენა გგონია, რუსები თქვენ კარგ დღეს დაგაყრიან? კარგია ჭინჭრის გლეჯა სხვისი ხელებით! შამილი დაგნებდეთ? ცხენიდან ჩამოვიდეს და ვირზე შეჯდეს?

— ხომ იცის იმამმა, რომ ვინც მეფეს ებრძვის, უთავოდ დარჩება?

— იცის, მაგრამ ჩაჩნები იტყვიან: დადრეკილ თავს სულ უთავობა სჯობსო.

— ჩაჩნებისაგან ისიც გამიგონია: უცილობელი დამარცხების წინაშე თავის დახრა — სიმხდალე არ არისო.

— ჩვენ არ ვხედავთ უცილობელ დამარცხებას, გენერალო! შამილს იმედი აქვს, რომ ჯარი კლდეს ვერას ავნებს.

— რომ ვერ გაუძლოს?

— გაუძლებს! — ჯიუტად გაიმეორა ლეკმა. — შემწე ალაჰია.

— შენს ხალხს უთქვამს: ძროხა ჯერ დააბი და ალაჰს მერე შეავედრეო, — გაიცინა გრიგოლმა.

ლეკი წამოდგა.

— მშვიდობით! — უთხრა გრიგოლმა. — უთხარი შამილს, მოგვენდოს და მაშინ ფული სათხოვარი არ ექნება, ოქროს ჭიშკარს დაჰკიდებენ მის ჭოხს.

— ოქროს ჭიშკარს რკინის ჭიშკარი ჯობსო, დარღოში იტყვიან, ქინიაზო! — ცბიერი ღიმილით მიუგო შამილის ელჩმა, თავი ოდნავ დაუკრა სარდალს და ამაყად წავიდა.

მოლაპარაკება მარცხით დამთავრდა.

მაგრამ თვითონ ფაქტი, ჰაჯი-მურატისა და თვით შამილის ასეთი ნდობისა და ანგარიშის გაწევისა, მეტყველებს გრიგოლის ჭკუასა და ავტორიტეტზე, რითაც დაღესტანში თავიდანვე სარგებლობდა ჩვენი პოეტი.

* * *

შამილი თავის ღირსეულ მტრებად ეპოლოდ ეედოკიმოვსა და ორბელიანს თვლიდა. „თუ ორბელიანი ხელთ ჩამივარდა, ნაფლეთებად ვაქცევო", — ამბობდა მრისხანე ვეფხვი. მაგრამ დაღესტნის ვეფხვს არ შეეძლო ქართველი ლომის დაფლეთა. როცა გვიან ტყვეჭმნილი შამილი მექას მიმავალ გზაზე აქლემიდან გადმოვარდა და მაჰმადს თავისი ჩამქრალი შარავანდედის წიგნი წაუღო, ორბელიანი კვლავ დიდების კვარცხლბეკზე იდგა.

გრ. ორბელიანი მიურიდიზმის საშიში, მამაცი და ჭკვიანი მტერია. პატრიოტული სულისკვეთებით ანთებული პოეტი შეუბრალებელია მეამბოხე მთიელთა მიმართ. მას აქვს არა მარტო სწრაფი მანევრირებისა და მოულოდნელად თავზე წადგომის უნარი (გერგებილისა და სლათავიისათვის ბრძოლები), არამედ საქმის ვითარებაში ღრმად ჩაწვდომისა და მთის ხალხის გულის მოგების უნარიც, ამის გამო ბევრ საზრუნავს უჩენს შამილს.

დაღესტნის იმამს ქვემეხების ჩამომსხმელიც კი ჰყავდა, მშედელი ჯიბრაილი, რომლის მიერ ჩამოსხმული ზარბაზანი თურმე პირველი გასროლისას გასკდა.

ქვემეხები წარამარა სკდებოდა, მექვემეხეებს ან ხელს აგლეჯდა, ან სულაც გლეჯდა. ზოგი ზარბაზანიც ისე იბერებოდა, კასრს ემსგავსებოდა.

„ალაჰ! ალაჰ! — წამოიძახებს კალუგაში ტყვეჭმნილი შამილის რუსი „ადიუტანტი", — რა უბადრუკი საშუალებებით გვიმკლავდებოდა ეს კაცი ამდენი წლის მანძილზე! — და მის კითხვაზე, — ხომ ვერავინ დაიჭერდაო ახლა კავკასიაში შენს ადგილს, იმამმა ჩვეული გონებამახვილობით უპასუხა:

— არა... კავკასია ახლა კალუგაშია!

• • •

მთავარსარდლები იცვლებიან, ორბელიანი რჩება. ერმოლოვსა და პასკევიჩს მოჰყვნენ ნეიდჰარდტი და ვორონცოვი, შურავიოვი და ბარიატინსკი, არღუთინსკი და ევდოკიმოვი, კლუგენაუ და ვრანგელი. ყველა ნდობითა და პატივისცემით უყურებს ავარიის ხანს.

მეტად პირქუში ქვეყანაა ავარია, „გამხმარი, უშეშო, უტყეო". გრიგოლი ხანის სახლში დგას, ციხესთან, აქედან დადის სოფლებში, მშვიდობას უქადაგებს მოუდრეკელ ტომს, მაგრამ მეტად ადვილად სცოდნიათ კაცის მოკვლა: შვილმა მამა მოკლა და გაიქცა. არც ხანის ეშინია, არც სასამართლოსი. რკინის თავი უნდა ადამიანს, რომ მაგათს გაბრტყელებულ ლაპარაკს გაუძლოს.

ერთ თვეში გრიგოლმა უკვე შეაყვარა თავი ავარიელებს და თვით სულელი ალი-სულთნის პარტიის მომხრეებიც კი მადლიერი არიან მისი. „თუ გინდ შამილი შემოვიდეს, ვგონებ, არ მიემხრობიანო", — იმედოვნებს გრიგოლი.

მშვიდობიან ავარიაშიც ყელამდე აქვს საქმე „ხუნძახის ხანს". უნდა გავიდეს და იქადაგოს, თითქოს იმამი იყოს. შეგირდები ქებას ასხამენ, თვითონაც ფული უნდა აჩუქოს, თითქოს ძლიერ ეჭაშნიკებოდეს იმათი ყურანის კითხვა. ახლა მთელი ავარიის დიდკაცობა უნდა დაჰპატიჟოს. იმათი დროსტარება დანაყრება და არყის სმაა. მერე აუხირდებიან ერთმანეთს, შეიქნება ხანჯლების ტრიალი.

გრიგოლს ძველი ჯავრი სჭირს საქართველოს მაოხრებელთა. ლეკები არ იყვნენ, რომ განთქმული სარდალი დავით ორბელიანი კინაღამ მოკლეს? მაგრამ ახლა ამ ხალხის ბედი ჩააბარეს და უნდა იყოს მოწყალე, სამართლიანი, კეთილი მასპინძელი. მხოლოდ ესაა ხალხის გულის მოგების გზა.

გრიგოლს მოსწონს თავისი მაღალი თანამდებობა: დამპყრობლის ტახტზე ზის და ძალიან მაგრადაც! შამილსაც გაუჭირდება ამ ტახტის წართმევა. ხალხმაც შეიყვარა, ენდობიან. „მეფე ერეკლეს ბადიშია და ამით დიდი პატივი აქვს". ილიასადმი წერილს ბოლოში ნახევრად ხუმრობით აწერს: ზედ უთუოდ წააწერე „ავარიის მშართველს", თორემ არ მივიღებო. ამ პატივს უფრო მოსე

არღუთინსკის უმადლის, მისი წყალობით შეიქნა „ჰაქიმხან ავარ“.

მაგრამ იგი სარდლობის გაჭიანურებული თავდაცვითი ბრძოლის ტაქტიკით კმაყოფილი არაა. 1843 წელს შექმნილი მდგომარეობის ღრმად შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ იგი წინასწარმეტყველებს, რომ შეიძლება შორეულ ყოისუმდე თოფის გაუსროლელად მისვლაო. ყიბიტ-მაჰმადისა და მიურიდებისაგან ხალხს მოსვენება არა აქვს, შამილის ტირანიაც აუტანელ ტვირთად აწევს ყველას, და აქეთ იხვეწებიან — მოგვიახლოვდით, დაგმორჩილდებითო, მერე კი, შეიძლება, იქით შევეხვეწოთ და ვეღარაფერს გავხდეთო.

ორიოდე თვის შემდეგ ისევ იმეორებს: ჩვენი თავდაცვითი სისტემით შამილი უფრო გაძლიერდება და გაიდგამს ფესვსო, რაც სავსებით სწორი გამოდგა.

1843 წლის 1 ივნისს გრიგოლთან მეორედ მოვიდა ჰაჯი-მურატის კაცი: სარდალთან (ნეიდჰარდტთან) მიშუამდგომლე, თქვენს მხარეს უნდა გადმოვიდეო.

თავის მხრივ „ირაკლი ხანის შვილი“, ამჟამად ავარიის ხანი (ჰაქიმხან ემირ ავარ) სიტყვას აძლევს, მეფეს ვაპატიებინებო...

ამ საინტერესო ცნობას ვპოულობთ გრიგოლ ორბელიანის 3 ივნისის წერილში ზაქარიასადმი. 18 ივნისს ილიასაც სწერს:

„ჰაჯიმურადთან ხშირად მაქვს ლაპარაკი და იმედია, რომ გამოვიყვანოო“.

ამრიგად, აქ სერიოზულადაა ლაპარაკი ჰაჯი-მურატთან მოლაპარაკებაზე 1843 წელს. თუ გავიხსენებთ, რომ გრიგოლ ორბელიანის თითქმის ყველა ცნობა სანდოა, ძნელი ასახსნელია ასეთი საქციელი ჰაჯი-მურატისა ამ წელს, როცა ის ჯერ კიდევ ასე ერთგულად ემსახურებოდა იმამს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ნაიბი ავარიის ხანს ატყუებდა, ხანიც გრძნობდა ამას და ნაიბის წერილი კლუგენაუს გაუგზავნა.

მაგრამ ეს ვარაუდიც მთლად სწორი არ უნდა იყოს. მოგვიანებით, 14 ივლისს, ორბელიანი მოსე არღუთინსკის მოახსენებს:

„ამაობაში გავმართე მიწერ-მოწერა ჰაჯიმურადთანაც, რომელიცა მაძლევს გამოსვლის იმედსა, თუ არ მატყუებსო“. აქედან

ჩანს, რომ მოლაპარაკება ნამდვილად წარმოებს და გრიგოლი მთლად სკეპტიკურად არაა განწყობილი, ერთგვარი იმედიც აქვს.

გრიგოლი თავიდანვე კარგ ურთიერთობაშია ფონ კლუკი კლუგენაუსთან. მისი დახასიათებით, ესაა კეთილი, ფიცხი, დამჯერი, მთის ხალხისა და ადგილმდებარეობის კარგი მცოდნე. საკვირველი კია, რომ გრიგოლს ზრუნვას არ აკლებს: ამ ადგილზე მისი დანიშვნა პირველად თურმე ეწყინა: ნიკოლოზ ევდოკიმოვი უნდოდა, მაშინ ჯერ კიდევ პოლკოვნიკი, გვიან ინფანტერიის გენერალი, რომელსაც ნატყვიარი სახის გამო მთიელებმა „სამთვალა“ შეარქვეს.

გრიგოლის ხშირი სტუმარია აგრეთვე გენერალ-მაიორი დიომიდე პასეკი, იმ დროს ჯერ კიდევ პოდპოლკოვნიკი, რომელსაც ხელში ჰყავს კლუგენაუ. გრიგოლი აქებს მის სიმამაცეს (მართლაც, ჰაჯი-მურატი დაამარცხა, 1845 წ. დარღოს ექსპედიციის დროს მოკლეს). მაგრამ სერიოზულობას ვერ ხედავს ამ კაცში: ფანფარონია, ხმაურობს, სულ სროლაზე ფიქრობს, რომ თავი გამოიჩინოს, თბილისში ილაქლაქოს, პოლკოვნიკობა გამოუვიდესო!

13 ივლისს საოცარი ამბავი მოიტანეს: შამილი მოკლესო ანდიელმა ლეკებმა, ჩერბილელებმა! იგივე ეთქვათ კლუკისათვის. გრიგოლი მაშინვე გზავნის შიკრიკებს, თუმცა ეს ამბავი არ სჯერა. მოკლე ხანში შამილისა და ახვერდი მაჰმადის დაკარგვა მძიმე ლახვარი იქნებაო მთიელებისათვის.

შამილის მოკვლა ზღაპარი გამოდგა, ახვერდი მაჰმადი კი ნამდვილად მოკლეს ხევსურებმა, როცა ლეკების დიდი რაზმით შატილს დაესხა თავს. ეს მამაცი ნაიბი, რომელმაც შამილისათვის მოზდოკიდან მოიტაცა ივანე ულახანოვის მცირეწლოვანი ასული ანა (შამილმა თავიანთებურად მონათლა და შუანეთა შეარქვა), ნამდვილი მარჯვენა ხელი იყო იმამისა. 18 ივნისს ხევსურებთან დაჭრილი ნაიბი ღლიღვოში გარდაიცვალა. რა ვაჟკაცები დაიღუპნენ! მხოლოდ შამილი თითქოს მოჯადოებულია, ტყვია არ ეკარება. არანაკლებ საოცარია, რომ მთაში გენერალი რენენკამპფი გაგზავნეს: „სუსტია სულითაც, სხეულითაც და ამან როგორ უნდა იბატონოს დაღისტანში?“ (ამას გრიგოლი არც არღუთინსკის უმალავს).

სამაგიეროდ საკმარისია ჰოხში არღუთინსკის გამოჩენა და ყი-

ბიტ-მაჰმადის სოფლებს პანიკა მოიცავს, ისე გავარდა ამ გენერლის სახელი ერთი წლის წინ ყაზი-ყუმუხში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ.

შამილი დარღოშია და არც ყაზი-ყუმუხზე აპირებს გალაშქრებას, სადაც არღუთინსკიმ ასე ცუდად უმასპინძლა, არც ორბელიანის სახანოში — ავარიაში, სადაც მოსახლეობას სძულს თავისი ტირანი.

გრიგოლი მაინც იუმორნარევი პატივისცემით ახსენებს თავის მოწინააღმდეგეს. სიამოვნებით ებაასება იმამის შუაკაცებს.

— ერთი მესტუმროს შამილი, — ბუმრობს პოეტი, — კახურს დავალევინებ; მას ხომ უყვარს კახეთი!

როგორც ცნობილია, შამილი ღვინოს არ სვამდა. მამამისი კი გადარეული იყო ღვინოზე, რაც მომავალ გმირს მხოლოდ ზიზღს აღუძრავდა. შვიდჯერ დააფიცა შვილმა მამა ყურანზე, რომ აღარ დაელია, და შვიდჯერვე გატეხა მამამ ფიცი. ბოლოს, როცა თვითონ შეჰფიცა, თავს დაეიკლავ შენს წინაშე, თუ მსმელი დაგინახეო, დენგაუ-მაჰომედმა სმაზე ხელი აიღო, რადგან შვილი ძლიერ უყვარდა.

უცხო ხალხით გარემოცული პოეტი ისევ წერილით თუ გაესაუბრება ძმებს. ჰაქიმხან ემირ ავარი, ან როგორც ბეჭედზე უწერია, „ქინიაზ ხან ორბილიან ემირ ავარი“, ძმას ლანძღავს, რატომ არასა მწერო! ავადმყოფობა მიზეზი არაა, თვითონაც რუსეთში ოთხი წელი ავად იყო, მაგრამ წერილი არ დაუკლია. არა, სულ ორბელიანთა ქუჩის ბრალია. ვერც ჭირმა დააქცია, ვერც ხოლერამ ამოწყვიტა; მიწისძვრამ ლისაბონი ჩაყლაპა და ეგ გაუშვა (იგულისხმება 1755 წლის დიდი მიწისძვრა)... მაგ ქუჩის გარეთ სადაც ყოფილა, ყველგან ფულიცა ჰქონია, ჭკუაც და სახელიც, აქ კი სულით და ხორცით მოშვებულა, ბოსტანსა და წისქვილში ყრის ფულს და ვერც დააღწევს ალბათ თავს ამ წყეულ ქუჩას... რა იქნება, რომ მთავარმართებლის კარისკაცი გახდეს? რაზე ფიქრობს, ჭამის გარდა? „ესეც ასე. ახლა მოვიდეთ ავარიაში“, — და უკვე ავარიის ამბებს მოუთხრობს. ავარიაში ყიბიტ-მაჰმადმა ათი ათასი ცხვარი მოიტაცა. ერთხელ თვით გრიგოლსაც შემოეპარა ასი კაცით ჰაჯი-მურატი და სამასი ცხვარი მოჰპარა, რაც მურატისა-

თვის მეტი სირცხვილია, ვიდრე ხანისათვის. მდევარი არახთაუს მთაზე დაეწია. სულ კუდით ქვა ასროლინეს, ცხვარიც დააბრუნეს და ექვსიოდე კაციც მოუკლეს; შამილი ზარბაზნებს აკეთებს და უსკდება. ახვერდი-მაჰმადი ხომ ღალღელებმა მოკლეს, მაგრამ ეს ღალღელები რა ხალხია, თუში თუ ქისტი, ეს კი ვერ გაუგია; ჰაჯი-მურატი „იმედს აძლევს, თუ არ ატყუებს“. აი, ეს არის ჯერჯერობით ავარიის ამბები. ხანის სასახლე ჯერ უკარფანჯრო და უმინოა, ასე იღებს გენერალ რენენკამპფს. მაგრამ სახლი შენდება. უყურეთ, კოდა გაუშვია და დაღისტანში სახლს იშენებს! სახლი კი არა, თოფი არა აქვს ავარიის ხანს, თბილისში მყოფ ძმას სთხოვს, გამოიგზავნე ვეფხისტყაოსანი და თოფიო.

რაც შეეხება ლეკთა, მეტადრე ლეკის ქალთა სიმამაცეს, უმჯობესი იქნება დავიმოწმოთ თვით პოეტის წერილი ილიასადმი.

„აჭაურისა ხალხისა რა გითხრა. შინ ზარმაცნი, ზანტნი, დიდროან ტყაპუჭებში დათვების მსგავსნი ჰყრიან ამ დღით გარეთა. აბა ესენივე ნახე მაშინ, როცა დაიძახებენ ჰარაის! იმ წამს საიდამ ეძლევათ ის სიმარდე, ის სიმკვირცხლე, დაუღალობა სირბილში? აბა გაასწარ ცხენით... აბა იმ დროსვე წადი შენც მდევარზე, რამდენს დედაკაცს ნახავ მოწინაურედ წასულს! — ჰუხში ამ ზაფხულს, ყიბიტ-მაჰმადის ჯარსა პირველად ორმოცმა ყმაწვილთ დედაკაცებმა და გოგოებმა ხანჯლებით შეუტიეს. მასუკან, რა უნდა ექმნათ, კაცებიც გამოვიდნენ სოფლიდამ და მისდიეს უკან თავის ცოლებსა და ქალებსა. აი, სად გამართლდება ისტორია ამაზონკებისა...“

ორბელიანი, როგორც ჰეშმარიტი რაინდი, აქებს დაღესტნელ ქალებს, რომლებმაც ყიბიტ-მაჰმადის ჯარს შეუტიეს, ამორძალებს ადარებს მათ და რენენკამპფის წინაშე ფარულად ეხმარება სულთანეთას — სულთან-ახმედ-ხანის ასულს, ქმართან გაყრილს, რომელსაც არც მამის ქონებიდან აძლევენ რამეს, არც ქმრისა და სამადლოდ არის ერთ უბრალო ქოხში.

გადის დრო, ვერც ხანობამ უშველა ორბელიანებს. ზაქარიას და ილიას წერილებიდან გებულობს, ყმა და მამულის ნაწილიც ვალებში გავყიდეთო. ავარიის ხანს კვლავ უიმედობა მოიცავს:

„სიყრმითგან სიბერემდის ასე უნდა ვიწოდეთ ერთი ლუკმა პურისათვის, რომლისა მოსაპოებლად ძაღლებსავით უნდა ვეყარნეთ გარეთ, შორს ჩვენის სახლკარისაგან... ყმაწვილსავით ვტირი. ახრ, როდემდის უნდა ამგვარ სიგლახაკეში ვიხრუკებოდეთ?“ — და შემდეგ ზაქარიას სთხოვს, გეგმებსაც ნუღარ დააწყობ მომავლისათვის: „რომ ღმერთს არ უნდა, აბა რასა იქ?“*.

* * *

1843 წლის აგვისტოს ბოლოს იშლება კავკასიის ომების მღელვარე ისტორიის ერთი მთავარი ფურცელი. შამილი ათი ათასი კაცით დაიძრა სალათავიისაკენ. თან ახლდნენ თავისი მთავარი სარდლები ანუ „კორპუსის კამანდირები“ — ყიბიტ-მაჰმადი და ჰაჯი-მურატი. ძლევამოსილმა იმამმა მოკლე ხანში გაიარა დილიმი და გუმბეთი, ყოისუბუში გადავიდა და მის მთავარ სოფელს უნცუქულს შემოადგა.

27 აგვისტოს დაიწყო გმირული დაცვა. ყველა გზა ჩაიკეტა. პოდპოლკოვნიკმა ვესელეცკიმ სიცოცხლე არ დაზოგა, თავგანწირული ბატალიონები ორი დღე და ღამე უწევდნენ მრავალრიცხოვან მტერს შეუპოვარ წინააღმდეგობას, მაგრამ სიმრავლემ თავისი გაიტანა. სიმაგრე დაეცა. ლეკებმა გარნიზონი ამოწყვიტეს.

იმამი წამსაც არ შეჩერებულა. ელვის სისწრაფით დაიძრა წინ, ავარიისაკენ, ზედიზედ აიღო ბელაქანი, ხარაჩი, ირგანაი და უშუალოდ გრიგოლის სახანოს — ავარიას დაემუქრა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჰაჯი-მურატმა. ხუნძახი მისი სამშობლო კუთხე იყო და ისედაც გაალმასებული ნაიბი ლომივით დაატყდა თავს მცირერიცხოვან გარნიზონებს.

ხუნძახი ალყაშემორტყმული აღმოჩნდა.

გრიგოლს უნცუქულის ალყის დღეებშიც უჭირდა, უკანასკნელი ჯარები გააგზავნა და თვითონაც მზად იყო დარჩენილი ხუთასი კაცით მიშველებოდა. ახლა, როცა შამილი ხუნძახს მოადგა, ნამდვილად შეშფოთდა.

---

* გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 82.

ხუნძახი საფრთხეშია! შამილი ჭიშკართანაა! უნცუქულის ბედი მეორდებაო! — სასწრაფოდ აცნობეს მთავარსარდალ ნეიდჰარდტს. მეფისნაცვალმა ისევ მოსე არღუთინსკის დაავალა ხუნძახის დახსნა, ხოლო გენერალ შვარცსა და ელისუს სულთან დანიელ-ბეგს — შუა დაღესტანზე დაცემა, რათა შამილისათვის ასე შორს გამოლაშქრება ენანებინათ.

მძიმე პირობებში გაიარა კლუგენაუმ საბრძოლო გზა ხუნძახიდან თემირ-ხან-შურისაკენ. ეს გზა მოსე არღუთინსკის რაზმმა გახსნა.

არღუთინსკი 14 სექტემბერს კლუგენაუს შეუერთდა, ორბელიანიც ამ უკანასკნელს ახლდა. ხუნძახის გარნიზონი აუცილებელ დაღუპვას გადარჩა.

ეს იყო უმძიმესი დღეები დაღესტნის ომების ისტორიაში. დაღესტანი და ჩაჩნეთი აღდგა. შამილი დიდების მწვერვალზე აღმოჩნდა.

მაგრამ წავიდა თუ არა კლუგენაუ, ხუნძახი ისევ საფრთხეში ჩავარდა, შამილმა გერგებილი აიღო, რუსის ჯარები უკან იხევდნენ. აუცილებელი გახდა ავარიის დატოვება. ხუნძახის დაცვა და მერე მისი დატოვება პოდპოლკოვნიკ პასეკს დაევალა. „პასეკის უკანდახევა“ ერთი უმძიმესთაგანი იყო კავკასიის ომების ისტორიაში. შამილმა პასეკს ჰაჯი-მურატი დაადევნა. ზირიანის ვიწრო ხეობებში ნაიბმა ალყა შემოარტყა პასეკის მცირერიცხოვან ჯარს და სრული განადგურებით დაემუქრა. პასეკს ვესელეცკის ბედი ელოდა. ჰყინავდა. არ იყო სურსათი, არ იყო იმედი. მეგობრები ცხენის ხორცს ჭამდნენ, ისიც უმარილოს. ასე გავიდა მთელი თვე. ნაიბმა პოდპოლკოვნიკს ხეობიდან გზის მიცემა შესთავაზა. იმ პირობით, რომ სოფელს დატოვებდა. პასეკი მიხვდა, რომ ცბიერი ნაიბი ხაფანგს უგებდა. მან მოითხოვა მძევლად ყიბიტ-მაჰმადი ან თვით ჰაჯი-მურატი, თავის მხრივ კი შამილს დაჰპირდა... გრიგოლ ორბელიანის თავს.

თემირ-ხან-შურას მყოფი პოეტი პირდაპირ იმამთან უნდა გამგზავრებულიყო.

ასეთი რისკი, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა, მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა. ამასობაში გენერალი ფრაიტაგიც მოახლოვ-

და, შამილი დამარცხდა და ზირიანს მიადგა. პასეკმა გაძლო და გადაურჩა განადგურებას. მთელი მისი რაზმი დაასაჩუქრეს, პასეკმა მიიღო პოლკოვნიკობა, მერე კი გენერლობაც.

გვიან ტყვე შამილმა რუნოვსკის უთხრა: ჩემი მოწინააღმდეგეები უმთავრესად გენერალ-ლეიტენანტები იყვნენ, პასეკს კი ეს წოდება არ ჰქონდა, თუმცა საუცხოო გენერალი იყოო. მართლაც. პასეკმა ვერ მოასწრო ამ წოდების მიღება, 1845 წელს შეწყდა მისი სამხედრო კარიერა და სიცოცხლეც. „დასანანიაო", — თქვა შამილმა.

მართლაც, შამილი დიდად აფასებდა პასეკს, ძალიან. გაძლო, ჩემები ვერ გაძლებდნენო!

ამრიგად, რუსეთის ჯარების მთელი სიმამაცის მიუხედავად, ბრძოლა თავდაცვით ხასიათს იღებდა.

ორბელიანის ვარაუდი ერთხელ კიდევ გამართლდა.

„ასე, ჩემო ხელმწიფევ! — სწერს არღუთინსკის მწარე ირონიით. — ობორონიტელნის სისტემა, დიახ, კარგი ყოფილა. მაგრამ ყოისუბუ როგორ უნდა დაიფაროს ორის როტითა, და ანუ ავარია სამითა? მოდი და დააჯერე მთის ხალხი, რომ რუსეთი ძლიერია. თვალით ვერას ხედავს?"

* * *

„ავარიის მმართველი" ამ ჭარცეცხლში ყოველთვის პოულობს დროს, რომ მოიკითხოს თბილისელები — ყაფლანი, მანანა, მისი ტასიკო და ივანე, მელიტონი, ეფემია, კატო, მისი ძმა ტატო, რომელიც პოეტია და პოეტების ამბავი ხომ იცის: რომ დაიწყებენ, ძლარ გაათავებენ, წიგნს კი მაინც არ მოიწერება, „უნდა ჰსცხვენოდეს"... — მოიკითხავს „ორსავ მარიამს, ელენე ერისთავისას. სულ მტყუანები შეყრილან: არც საფულე გამოუგზავნეს, არც ჭეშები, არც ახალუხი, არც დავით სარდლის ხმალი, რასაც მანანას ვაჟი შეჰპირდა. ილიას კი სთხოვს საჩქაროდ შეაკერინოს კარგი ჩოხა, და ეს უბრალო თხოვნა როდია, დიპლომატიური ნაბიჯია: მთიელებს არ მოსწონთ „ურუს გიაურთა" სერთუკი, ჩოხა უნდა ჩაიცვას.

საერთოდ კი ილიას (და ტატოს) იმედი ნაკლებად აქვს: წერა ეზარება, ნამდვილი ყაფლანისშვილია, უზრუნველი, დაუდევარი. დრო არა აქვს, ბოსტანში კიტრები და ხახვები აჰყვავებია! — და უეცრად: „ეს რა ქვეყანაა, არვისგან ფეშქაშები არ მომდის? — ბრაზობს ავარიის ხანი. — ახრ, სულ ფულით როგორ უნდა ვიყიდო!“

ილია კი ისევ ისე ქართველობს, ორ სიტყვას ძლივს იწერება, თითქოს არც სახლი ჰქონდათ, არც ამბავი უნდა შეატყობინოს! ვერ იქნა, ვერ აქცია გრიგოლმა ილია მწერლად.

მოსამსახურეებსაც არ ივიწყებს, მოიკითხავს ხოლმე. ილიას სთხოვს, აბრამას მოხუცებულობას პატივი ეცი და აღარ მოექცე ისე ცუდად, როგორც ადრე ექცეოდიო. „კარგათა ვარ ჩემის კაკალათი, რომელმაცა ხელზე გაკოცაო“, — სწერს ერთ სხვა წერილში ზაქარიას.

თვითონ კი კვლავ ლეკის ხაზზეა და მამა-პაპათა სისხლისათვის ბრძოლას განაგრძობს.

პასეკის წარმატება,

ვორონცოვის მარცხი და განჯის ტრაგედია

1843 წლის „ავარიის კატასტროფამ“ რუსეთის სარდლობა სერიოზულად ჩააფიქრა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გადასულიყვნენ გადამწყვეტ იერიშზე „ენერგიული და მოხერხებული მოწინააღმდეგის“* დასათრგუნავად, რომ ზიანი მიეყენებინათ გაამაყებული შამილისათვის და აემაღლებინათ რუსეთის იარაღის პრესტიჟი. თვით იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე „ღრმად შეწუხებული“ იყო და კავკასიაში ახალი ჯარები გამოგზავნა.

მართლაც, 1844 წელი რუსთა მხედრობისათვის შედარებით უფრო „იღბლიანი“ გამოდგა, და შურისძიების წლად იქნა გამოცხადებული.

იმპერატორი მტრის დაქანცვასა და სიმაგრეების მიწასთან

---

* „Кавказский сборник“, 1883, VII, 157.

გასწორებასთან ერთად ითვალისწინებდა შამილის ერთგული გავლენიანი თავკაცების — მაგალითად, მისი მასწავლებლის ჯემალედ-დინის, ყიბიტ-მაჰმადისა და სხვათა გადმობირებასაც. მათი გადმობირების მოწყობა დაევალა ნეიდჰარდტს.

1844 წლის სამხედრო ოპერაციების დაწყების წინ, მართლაც, დაიგზავნა არაბულ და თათრულ ენებზე თარგმნილი პროკლამაციები „მატყუარა შამილისა“ და მისი თანამზრახველების წინააღმდეგ, რომელიც მთის ხალხს ატყუებს, უაზროდ აღვრევინებს სისხლს და ომის ხარჯების დასაფარავად უმოწყალოდ ბეგრავს.

ორბელიანი გენერალ ლიდერსის დროშის ქვეშაა.

შვარცის, არღუთინსკისა და სხვა სარდლების ნაწილები დაღესტნის სიღრმეში შეიჭრნენ და შამილის ნაიბებს ებრძოდნენ აყუშაში. მაისში პოდპოლკოვნიკი ევდოკიმოვი სოფელ კადარს მიუახლოვდა, აქედან მაიორმა ორბელიანმა ცხენოსანთა ჯგუფით წარმატებით დადარნა სოფელი და უკან გაბრუნდა. მალე სოფელში განგაში ატეხეს და ევდოკიმოვის შენაერთს მთიელთა მოზღვავებულ ლაშქართან მოუხდა ბრძოლა. ვინაიდან ძალები უთანასწორო გამოდგა, შენაერთმა მწყობრად დაიხია უკან.

1844 წლის ოპერაციების ამ დასაწყის ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა მაიორი ორბელიანი.

1844 წლის 18 აპრილს კი, როცა ტანმორჩილი არღუთინსკი ყაზი-ყუმუხში შემოჭრილი შამილის ოცი ათასიან ურდოს შესახვედრად სალაშქროდ გავიდა, მილიციის პირველ კოლონას წინ პოდპოლკოვნიკი ორბელიანი უძღოდა. მტერს პირველად ეს ნაწილი შეება. პირველმა ისროლა გრიგოლმა, მილიცია ხმალდახმალ მიუხდა მტერს, აუჩეხა მიურიდები, ძირს დასცა მედროშე, წაართვა იარაღი და მოულოდნელობისაგან დაფანტული მთიელები გააქცია. დაფეთებული ხარების ჯოგივით გარბოდა მთელი მთიელთა მხედრობა. გადის მცირე დრო და იგივე არღუთინსკი მეფისნაცვალ ნეიდჰარდტს ახალი ლაშქრობის ამბავს აუწყებს. ლაშქრის თავში კი ისევ ორბელიანი დგას.

ცოტა მოგვიანებით პოდპოლკოვნიკი ორბელიანი ახტის მილიციას უდგას სათავეში და ყველა ღონისძიებას ხმარობს, რომ

დანიელ-ბეგის მიერ ატეხილი მღელვარება სამურის ოლქშიც არ გავრცელდეს, და ასრულებს სარდლობის, კერძოდ, არღუთინსკისა და სხვათა დავალებებს.

1844 წლის გაზაფხულზე გრიგოლ ორბელიანი მეხთულის სახანოს მმართველად დაინიშნა და თავის ახალ რეზიდენციაში — ჯუნგუთაიში გადავიდა. ეს იყო ხალხმრავალი, დიდი სოფელი, მთებს შორის წარმტაცად გადაშლილი. ჯუნგუთაელებს თითქოს უხარიათ მისი დანიშვნა, აღარ იციან, როგორ ასიამოვნონ ახლადდანიშნულ უფროსს, მხოლოდ შამხალი აბუ ახმედ-ხანია მოღუშული. მეხთულის ხანებს ეს მხარე თავისთვის უნდათ.

სამაგიეროდ ახმედ-ხანის ცოლი ნოხ-ბიქე არ უჩივის ბედს. ნოხ-ბიქე მეგობრულადაა განწყობილი რუსებისადმი და, კერძოდ, გრიგოლს ხომ თავის მფარველად და ქომაგად თვლის!

მართლაც, ქართველმა პოეტმა საგრძნობი როლი ითამაშა ავარიის ხანის ქვრივისა და მისი შვილების ბედის გადაწყვეტაში.

ჯუნგუთაიში გრიგოლი მთელი ოთხი წელი რჩება. აქ მისი მბრძანებლობა განამტკიცა პასეკის გამარჯვებამ შამილის ჯარებზე.

1844 წლის 8 ივნისს ორბელიანი სასიხარულო ამბავს ატყობინებს ზაქარიას: ხუთი დღის წინ პასეკმა ახალი საკვირველი ამბავი მოახდინა. რამდენიმე ათასეულით გაარღვია მთიელთა 27-ათასიანი ლაშქრის ალყა, თვითონვე შეუტია მთიელებს, დაამარცხა ისინი, მოუკლა ორას ორმოცდაათამდე კაცი, დაატოვებინა 23 დროშა და გააქცია შამილის ისეთი ნაიბები, როგორიც იყვნენ მაჰმად-ყადი აყუშელი, ასლან-ყადი წუდახარელი და ყიბიტ-მაჰმადი. ნეიდჰარდტიც დაღესტანშია, მაგრამ პასეკმა დაჩრდილა მთავარსარდალი.

1844 წლის ზაფხულს დაღესტანში ნამდვილი თელეთობა გაიმართა. გრიგოლი ხუმრობს. „საქართველოში რაც ოხერი, სასიკვდილო, გასაფუჭებელი, ამოსავარდნელი, იმერელი, თათარი... ასე გასინჯეთ, იორამ თარხნიშვილი და ზარაფოვიც აქ არიან შამილის დასაჭერად“, ხოლო „ჩვენი ილია კი მაგათი უფროსი“. თვით მოურავი გეუა და ბაკლანა მთაში არიან და სხვა ვინღა გნებავთ? მთავარმართებელი წყალობას ჰპირდებათ და ყველა მთაში მიეშურება, მაგრამ ვერავინ ასწორებს ფეზეს შეცდომას, ოდესღაც რომ შამილი ხელიდან გაუშვა.

მართლაც, ვინ არ არის დაღესტანში! პოდპოლკოვნიკი გრიგოლ დადიანი, ქართული მილიციის ოფიცერი გიორგი გურიელი, ამავე მილიციის უფროსი გოლიათი ლევან მელიქიშვილი, ილია ორბელიანი, ზაქარია ერისთავი, ბებუთოვი, კლუგენაუ, რობერტ ფრაიტაგი, გენერალი გურკო, პოლკოვნიკი პასეკი, ერმოლოვის ვაჟი... რა გვარისა და მოდგმის, რა მდგომარეობის ადამიანებს არ ნახავთ ნეიდჰარდტის დროშის ქვეშ!

ყველა წინსვლაზე ოცნებობს და ბევრი მართლა წინ მიდის. ზაქარიამ პოდპოლკოვნიკობა მიიღო. ეს ამბავი „ინვალიდში“ გამოცხადდა. ტატოც ულოცავს და გრიგოლიც. წინ მიდიან ზურაბიანნი. პასეკმაც წმ. გიორგის ჯვარი მიიღო, არღუთინსკიმ კი — ანას ორდენი, ბრილიანტის ხმალი და სამასი თუმანი თეთრი ფული.

1844 წლის აგვისტოსა და სექტემბერში გრიგოლი უმთავრესად თემირ-ხან-შურაშია. ავადაა, ციებ-ცხელება სჭირს და მხოლოდ წერილებით უკავშირდება სამყაროს, რაც მის წინ ცეცხლის კალოსავით გადაშლილა. ყაფლანს სთხოვს ორიოდე თვით ამოსვლას, ხარჯსაც თვითონ კისრულობს — თუ ამოვა, კარგია, არა და... გრიგოლი თავისი ჩვეული ოხუნჯობით უმასპინძლდება... სნეულმა ლომმა კლანჭი დებს — ნინოს და ეკატერინესაც გაჰკრა. ერთი სამეგრელოდან ჩამოსულა, მეორე ოდესიდან, და ასე „დადიან აქეთ-იქით ბედის საძებნელადო!“ — სწერს ზაქარიას ჯუნგუთაიდან 1844 წლის 4 დეკემბერს.

1844 წლის მიწურულს თითქმის მთელი ჩაჩნეთი გადაუდგა შამილს, ახლა თავისუფლად ვაჭრობენ რუსებთან. იმამს დარღოში გაჩერებისაც ეშინია. მთავარმართებლად კი „ვიღაცა ღერშტენცვეიგი დაუნიშნავთო“, ამბობენ. „მოდი და დაიხსომე ეს სახელი“, — შენიშნავს გრიგოლი.

* * *

ახალ წელს თან ახალი დარდები მოაქვს. იანვარში შეიტყო, მელიტონს ისევ დამბლა დასცემია, ტატო კი ნახიჩევანს წასულა ლევანთანო. რა უნდა ქნას ეფემიამ?

„ამდენს ჩვენის თავის ვაივაგლახს ესღა გვაკლდა; რა უყოთ, რითა ან როგორ შევეწივნეთ უსახლკაროსა, უპუროსა,

უტანისამოსოს ჩვენს დასა? ეს ფიქრი მაგიჟებს სრულიად, ნეტავი მოვკვდე და ამდენს სიგლახაკეს მოვრჩეო“,—სწერს შეშფოთებული გრიგოლი ზაქარიას 19 იანვარს.

მარტის პირველ რიცხვებში შამილის ჯარი ჭოხს მიადგა. წინ მიუძღოდათ დანიელ სულთანი. ყიბიტ-მაჰმადი, ჰაჯი-მურატი, ღალვაცდიბირი, ასლან-ყადი „და სხვანი ძაღლები“, „ილიას ნაცნობები“. ორი კვირის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ჭოხი აიღეს. ბრძოლის ველზე დაეცა მრავალი ჭოხელი, მათ შორის 25 ქალი, მიურიდებს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა აყუშელი ყადი-მაჰმადიც, თვით გრიგოლიც წავიდა თავისი ხუთი ბატალიონითა და მილიციით, იქიდან კიდევ ზაქარია მოვარდა თავისი კავალერიით. და ორნი ზურაბიანნი შეიყარნენ დაღესტნის საქმეების დასაწყობად! „ახლა რაღას იტყვის ბაბაჭუა ყაფლანი? ჰააა?“ — თავისებური ნიშნის მოგებით სწერს პოეტი მესამე ძმას. ორი დღე ერთად დაჰყვეს, მშვიდობა დაამყარეს და მერე ისევ დაშორდნენ ერთიმეორეს, რადგან ამა სოფლად ყველაფერს აქვს ბოლო.

ერთ მშვენიერ დღეს გრიგოლს მოახსენეს: ციდან კაცი ჩამოვიდა, ფეხში ბორკილი აქვს გაყრილი, ალაჰს გამოუგზავნია, შამილს ეძებსო.

— მერე, გზა ვერ ასწავლეთ? — ეკითხება მოსამსახურეს ჯუნგუთაის მბრძანებელი.

— რათ უნდა ვასწავლოთ, ბატონო? თუ ღმერთი გამოგზავნიდა, გზასაც ასწავლიდა.

— იქნებ დაავიწყდა, ჰააა?

— ღმერთს არაფერი ავიწყდება, ბატონო, თუ ის ღმერთია.

— შენ ისე გატყობ, ღმერთი არა გწამს და?

— რასა ბრძანებთ, ბატონო, ღმერთიცა მწამს და რჯულიც.

— მაშ რად არა გჯერა, რომ ღმერთმა გამოგზავნა? რა არის აქ დაუჯერებელი? განა ღმერთს ერთი კაცის გამოგზავნა ასე გაუჭირდებოდა?

მსახურს გაეცინა, გაჩუმდა. მერე ისევ იკითხა:

— რა ვუყოთ იმ კაცს, ბატონო?

—შეხსენით ჯაჭვი.

— უნდა მჭონდესო, ალაჰმა გამიკეთაო, შამილამ უნდა შემახსნასო.

— თვითონ რა, ხელი გაეყინა?

— რა მოგახსენოთ, ბატონო.

— ჯუნგუთაელები რას ამბობენ?

— არა სჯერათ. შამილას კაცი იქნებაო.

— ურჯულოები ყოფილან, ღმერთი არა ჰყოლიათ, მოდი და ელაპარაკე ახლა მაგათ! გაუშვით, ეახლოს შამილას, უთხრას, რაც უხდა და ნახოს, რომ იმამს ბორკილის მოხსნა არ ეხერხება, ბორკილის დადება უკეთ იცის.

ასე ოხუნჯობს გრიგოლი, როცა ხუმრობის გუნებაზეა, ან როდის არაა? არ ინდობს არც მტერს, არც მოყვარეს, არც თავს, არც სხვას, არც ქალს, არც ძმას. არღუთინსკი კოტრს მეძახის, ეს ხანები მართლა სულ უფულონი ვართ, რადგან უხვი ვარ და გამცემი, მაგრამ შენ? — ეკითხება ზაქარიას, — შენ ხომ ძუნწი ხარ, ერთი ცხენი გთხოვე, ისიც ვერ გამომიგზავნე, და რატომ არ გაგაჩნია ფულიო? ახლა ილიაზეა ისევ ნაწყენი: შენთან თავი გაუმართლებია, ასეთი ეშმაკია — მე ვუჯავრდები, შენ გეკედლება, შენ უჯავრდები და მე მელაქუცებაო! რაც შეეხება ყაფლანს, ჯარში წამოსულა, მაგრამ დუშეთამდე თუ მოაღწევს — გზიდანვე გაბრუნდებაო!

მეფის უმაღლესი რესკრიპტით 1844 წლის დეკემბერში კავკასიის ჯარების სრულუფლებიან მთავარსარდლად და მეფისნაცვლად დაინიშნა მრავალ ბრძოლაში ნაცადი, საქართველოში ადრეც ნამყოფი სარდალი მიხეილ ვორონცოვი.

1845 წლის 25 მარტს ვორონცოვი თბილისში ჩამოვიდა. მას არნახული ზეიმით შეხვდნენ.

ვორონცოვმა შეუზღუდავი ძალაუფლება მოითხოვა კავკასიაში, მიიღო კიდეც და ამით ბოლო მოეღო მინისტრების დაუსრულებელ ჩარევას მთავარმართებლის საქმიანობაში. ამით გაიზარდა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობა.

მთავარი ამოცანა ვორონცოვისა იყო შამილის ძლევა და კავკასიის ომის დამთავრება. 1845 წლის გაზაფხულზე ვორონცოვი უკვე დაღესტანშია და როგორც გრიგოლი კონსტანტინე თარხნიშვილს სწერს, ძლიერ მოსწონებია ყოისუს ხიდი და სიმაგრე. თვით

გრიგოლი პატივით მიიღო, შეიყვარა, სამჯერ სადილად დაჰპატიჟა. სახანოს მბრძანებლად დატოვა, და, საერთოდ, მოხიბლა თავაზიანობით, რაც ვორონცოვს, მართლაც, ახასიათებდა, შემდეგ კი დარღოსაკენ გაეშურა. თვით მეფემ დაავალა დარღოს აღება.

დარღოს ვორონცოვი ივნისის თვეში მიადგა. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ 6 ივლისს შამილის რეზიდენცია იერიშით აიღეს, მაგრამ ისეთი მსხვერპლის ფასად დაჯდა, რომ შეიძლება ამას პიროსის გამარჯვება ეწოდოს: სამი ათასი რუსი ჯარისკაცი და სამი გენერალი შეეწირა ამ ერთ აულს. ტყე-ღრეში ეყარა ათასობით მეომრის გვამი. თითქმის მთელი ჯარი გაწყდა, თვით ვორონცოვის კარიერაც დასრულდებოდა, რომ მთებში შემწყვდეულ მის მცირე რაზმს გენერალი ფრაიტაგი არ მიშველებოდა.

დარღოს ექსპედიცია რუსეთს 3433 ჯარისკაცის, 186 ოფიცრისა და სამი გენერლის სიცოცხლედ დაუჯდა. მთიელთა ცნობით, ვორონცოვმა 13000 კაცი დაკარგა, რაც უკვე „პატივს დასდებდა“ დიდ სარდლებს. პატივი დაედო ვორონცოვსაც: მან თავადის წოდება მიიღო.

„დარღოს ექსპედიცია“ სისხლით ჩაიწერა ისტორიაში. აული აიღეს, მაგრამ შამილი უვნებელი გაშორდათ. ვორონცოვს არ ეწერა იმამის შებოჭვა. ათი წელი იბატონა კავკასიაში და სულ ერმოლოვის ხერხით მოქმედებდა. ნელ-ნელა იღებდა სიმაგრეებს.

1847 წელს სალტი აიღეს, 1848 წელს — გერგებილი და ა. შ.

დარღოს ლაშქრობაში გრიგოლს მონაწილეობა არ მიუღია. ვორონცოვმა ის ბებუთოვის ადგილზე დატოვა, იმ ჯარის უფროსად, რომელიც თემირ-ხან-შურაში დარჩა. მართალია, არ უნდოდა, „ბევრიც იჩხავლა“, მაგრამ ვორონცოვის ბრძანებას სად გადავიდოდა!

თუმცა კავკასიაში თავმოყრილი იყო უწინ არნახული ძალა — 22 ბატალიონი, მაინც 1844 წელს რუსეთის მებრძოლი არმიისათვის საგულისხმო არაფერი მოუტანია. ავარია აუღებელი დარჩა, ძველი მიწების დაბრუნება არ მოხერხდა, სანუგეშოდ რჩებოდა მხოლოდ ის, რომ არღუთინსკიმ შეინარჩუნა ყაზი-ყუმუხი და დაიკავეს აყუში.

წარუმატებლობას გადაჰყვა მთავარსარდალი ნეიდჰარდტი. მის

ადგილზე დაინიშნა ვორონცოვი, მაგრამ რა გამოვიდა? განმეორდა გრაბეს მარცხი იჩქერიის ტყეში. ამაოდ იქცეოდა ჯარისკაცთა სისხლი. შამილის ძლიერება შიდა დაღესტანში ვერავინ შეარყია.

ამას დაემატა ახალი უსიამოვნება. 1845 წლის დასაწყისში შამილმა დაიკავა ჰოხი, ხელთ იგდო მთელი ანდალალი, ბრძანა მოსახლეობის გაჟლეტა, და საერთოდ, შესძრა მთელი დაღესტანი.

არღუთინსკი ამ დროს თბილისში იმყოფებოდა. შეძრწუნებულმა სარდალმა იგრძნო მომხდარი ამბის მნიშვნელობა და მერე გერგებილის ბრძოლაში საკუთარ ზურგზე გადაიტანა ამ დაუდევრობის სიმწვავე.

* * *

1845 წლის 12 ნოემბერს თემირ-ხან-შურაში მყოფი პოეტი ძლიერ შეშფოთებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედით და ილიას სწერს: ისეთი ვერაფერი მომიგონებია, ხელში რომ კალამი აგაღებინო, ოჯახის ამბავსაც აღარ დავეძებ, „ჩემი საყვარელი ტატოს“ ამბავი მაინც შემატყობინეო: ცოცხალია თუ მკვდარი? მიხეილ ორბელიანს ისე გადაუცია, თითქოს მკვდარი უნდა იყოსო, და გრიგოლი ჯაერით აღარაა:

„უცნობელობა მკლავს. ახრ, ეს დამალვა რა არის? — თუ მიხაკოს ჰსწერ, მე რაღა ვარ? — აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავათ გამხადეს. ეს ექვსი დღეა ვწევარ ცხელებითა მიხაკოსთან. — თუ ხატი გრწამს, მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით“ და მას უკან ნუღარ მოიწერებიო...

გრიგოლს წინათგრძნობამ არ უღალატა. ტატოს დაღუპვის ამბავს გოდებით აუწყებს ძმას გაუბედურებული ეფემია.

„...მე უბედური უბედურად ქმნილი მოვაკლდი ჩემს სიხარულს, შვილს და რა შვილს, რომლისგანაც მოველოდი ყოველ სიხარულს. ვუი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალების დაბნელებას!“*

სასოწარკვეთილი დედის წერილს ემატება ილია ორბელიანის წერილი, დათარიღებული 1845 წლის 29 ნოემბრით:

„...ამ საწყლების მელიტონის და იმის ცოლშვილის ყურებისა-

* იხ. „მნათობი“, 1938, № 12, გვ. 66.

თვის ვეღარ გამიძლია. გულს ცეცხლი მეკიდება, ვგიჟდები და აღარა მესმის რა, ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯას...“*

უფრო მოგვიანებით, 1846 წლის 19 იანვარს მოდის ლევან მელიქიშვილის წერილი; კითხულობს და ცრემლი ახრჩობს:

„საყვარელო გრიგოლ, არ ვიცი, როგორ აგიწერო ის საშინელი გრძნობა, რომლითაც გული სავსე მაქვს საწყალ ბარათაშვილის სიკვდილის გამო... სამძიმოა, ძმაო გრიგოლ, სამძიმო, დაკარგვა კაცისა, რომელიც თავისის თბილის გულითა და თბილის სულით გვარიგებდა ადამიანებთან, ამ არარა, სუსტ, შავ და ბოროტ არსებათ თანა“.

გრიგოლს შესანიშნავად ესმის, რომ საქართველომ დაჰკარგა მისი დისშვილის სახით ძვირფასი კაცი, მაგრამ უმწეოა სიკვდილთან...

სამაგიეროდ არაა უმწეო იმ საქმეში, რაც სიკვდილის შემდეგ აგრერიგად ესაჭიროებოდა ბარათაშვილს — წიგნის გამოცემა, წინასიტყვაობის დაწერა, სურათის პოვნა. ამას სთხოვს ლევანიც — ყველა ქართველ მწერალზე ადრე — მაგრამ გრიგოლმა ამ საქმეში ვერ გამოიჩინა სათანადო ყურადღება. ყოველის მკურნალი დრო კი უწყალოდ გარბის. გრიგოლსაც შეაშრება ჭირთ მანელებელი ცრემლი და დარჩენილი ნათესავ-მეგობრებით იქარვებს სევდას. ხშირად იხსენებს მანანას:

„თქვენი გაბრწყინვალებული სალონი სავსეა ანგლიჩანებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით; ჰეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვამბობ: ნეტავ, მათ რიცხვში მეც ვიყო“.

მაგრამ კარგად უწყის, რომ ლხინითა და დროსტარებით თავი არავის უსახელებია და გრიგოლიც ისევ თავის მძიმე ჯარისკაცული ცხოვრების ჭაპანს სწევს, არ შურს თბილისში დარჩენილ ნაცნობ-მეგობართა ჩათაფლული ბედნიერება, მხოლოდ აფრთხილებს: ორმოცი წელი კარს გირაკუნებთ შენ და ნინოს, დროა სულზეც იფიქროთო. კაცი ყოველ შვიდ წელიწადში იცვლება და აგერ ექვსჯერ არიან შეცვლილი! ასე რომ, დროა დავითნი იკითხონ, მას აქეთ დაუტევონ ეშმაკი, რომელიც წინ უძღვით სულის წასაწყმედლად.

თვითონ ბევრს არაფერს ითხოვს, ოღონდ ნახელავი გამოუგ-

* იხ. „მნათობი“, 1938, № 12, გვ. 168.

ზავნონ, ახალუხი. ქისა, ოქრომკედი, „ყიზილბაშური ყანაოზი“ და მისთანები. ქეთევანი დაჰპირდა, ზაქარიას ცოლი, მაგრამ ქისა არ მიუღია. ალბათ, ქმარმა დაუმალა. ყველაფერს ართმევს, ართმევს. აი, მოვა და თუ ქისა არ მისცა, თეფშებს დაუმტვრევს, ეს რანაირი ძმაა, თეფშების დამტვრევა სწყინს!

1846 წლის გაზაფხულზე თემირ-ხან-შურაში ვორონცოვს ელოდნენ, მაგრამ გრაფმა იქ ჩასვლა არ ინება და შემახიიდან უკან გამობრუნდა. ორბელიანს ძლიერ ეწყინა ასეთი უყურადღებობა. მხარე მიხედვას საჭიროებდა. მთელი წუდახარი, აჰყოშა, ყაზი-ყუმუხი, ყიათალი უჯაროდ იყო, შამილი იმუქრებოდა, და მხარის გამგებლის ვარაუდით მალე კორპუსები დასჭირდებოდათ იმ მხარის დასაწყნარებლად. მართლაც, ამ მხარეს, თერგიდან თითქმის სოფელ კოდამდე და თბილისამდე გადაჭიმულს, შეეძლო შამილისათვის ოცდაათიათასიანი არმია მიეცა, მეფის მოხელეები კი ყურს არ უგდებდნენ გონივრულ ხმას და სისხლით მოპოვებულ გამარჯვებებს ზედიზედ აქარწყლებდნენ.

იმ დროს, როცა დაღესტანში გრიგოლი ასეთი გამჭრიახი გონებით განაგებს მისთვის მინდობილ მხარეს, ელიზავეტოპოლში (განჯაში) მაზრის უფროსად მყოფმა ილიამ „ენერგიული მართებლობისათვის“ ვორონცოვის არაერთი მადლობა დაიმსახურა.

გრიგოლი აღტაცებულია ძმის უნარიანობით. არ ეგონა, თუ განჯის წამხდარ საქმეებს ფეხზე დააყენებდა, და „ასგზის უმეტეს შეუყვარდა“ ძმა.

იმავე წელს ილია მაიორობას იღებს და პოლკოვნიკი გრიგოლი ხუმრობს: „ორი ნაბიჯიღა გიკლია ჩემამდეო“.

დაღესტნის პირველი ტყვე

პირველი ტყვე დაღისტნისა მე
შევიქენ: ვეღარ დავაღწიე თავი.

წერილი ქეთევან ორბელიანისადმი,
1848 წ., 29 ნოემბერი.

— მომილოცავს, ბატონო, პოლკოვნიკობა! — თავის დაქვრით მიულოცა ერთგულმა მსახურმა ნინიკამ პოეტს ახალი ჩინი.

გრიგოლმა ამოიოხრა და უპასუხა:

— ახრ, ჩემო ნინიკა! არ გაგიგონია, რუსები რომ იტყვიან:

«Сегодня полковник,
завтра покойник».

— რა ვიცი, ბატონო, რას იტყვიან რუსები, მე კი ვამბობ: მახლას!

ეს ხდება 1846 წელს.

1846 წლის 13 აპრილს შამილმა ყაბარდოში გაილაშქრა. დაღესტნის იმამს ფანტასტიკური გეგმა ჰქონდა დასახული: უნდა დაეპყრო ეს მხარე და საქართველო მოეწყვიტა სამხედრო გზისათვის. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ეს გეგმა მოწმობდა ამ დიდი სტრატეგისა და სარდლის შორსმჭვრეტელობას. თავისთავად ეს, მართლაც, საგულისხმო გეგმა იყო: საქართველოს სამხედრო გზის ჩაკეტვა, კომუნიკაციების მოშლა და კავკასიაში მყოფი ჯარების გაწყვეტა. სხვა საქმეა, ჰქონდა თუ არა შამილს ამ ღრმად მოფიქრებული გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ძალა. მართალია, შამილმა დიდი არმია შეკრიბა, მაგრამ განზრახვას დროზე მიუხვდნენ და გენერალმა ფრაიტაგმა, გურკოსთან ერთად, ჩანასახშივე ჩაშალა ეს სახიფათო კამპანია.

გრიგოლი შენიშნავს, გაწყობით ვერაფერი გააწყო, მაგრამ მიკვირს, რატომ იქვე არ ჩაიღუპა შამილიო: ფონი ჩვენს ხელთ იყო, გარშემო ჩვენი ჯარები იყო და დროზე რომ მიესწროთ, დადგებოდა შამილის აღსასრულიო.

შამილი ფოცხვერივით უძვრება ხელიდან გენერლებს, დადის ჩაჩანსა და დაღესტანში, სიმაგრეებს სინჯავს, ჯარს ავსებს...

ომი გრძელდება. თუ ავარიის ყოისუ არ დავდეთ საზღვრად, მეორედ მოსვლამდე ბრძოლა არ შეწყდებაო, ამბობს გრიგოლი, და სრულიად გონივრულ მოსაზრებებს აყენებს: პირველ რიგში გზები უნდა გაკეთდეს, რომ კახეთში იოლად ჩავიდეს კაცი, თორემ თუ მტერი წუდახარას შემოძვრა, ხალხის არეულობას საზღვარი არ ექნებაო, ამბობს, ამბობს და არავის ესმის!

„რას ჩააცივდნენ ჩაჩანსა? ჩაჩანი რაც უნდა აირიოს, თერგს ვერ გავა: რუსებს ხომ ვერ გაამურუდებს? მაგრამ თუ ერთი ფეხი

წაგვისხლტა დაღისტანში, მაშინ კი აბანოებამდის დაიძახებენ ლაილაისა“ (27 მაისი, 1846 წ.).

იმავე 1846 წლის 12 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტ ბებუთოვის წინამძღოლობით სოფელ აყუშასთან იერიშზე გადავიდა რუსთა 15000 კაცისაგან შემდგარი ჯარი.

ამ ბრძოლაში მონაწილეობდა პოლკოვნიკ ორბელიანის ცხენოსანთა რაზმი. 24 ოქტომბრის ბრძანებაში მას ვორონცოვი მამაცობისათვის მადლობას უცხადებს.

ორბელიანის სამხედრო დიდების ერთი ფურცელი დაიწერა 1846 წლის 13—15 ოქტომბერს შამხალის სამფლობელოებში, სოფელ აიმიაკისა და ქუთიშისათვის გამართულ ამ ბრძოლების დღეებში, რაზედაც ვორონცოვი ხალისით მოახსენებს თავად ჩერნიშოვს, სამხედრო მინისტრს, 1846 წლის 8 ნოემბერს.

ამ მიდამოებში შამილს უფრო სააგიტაციო წარმატებები ჰქონდა, ვიდრე სამხედრო. მან შესძლო რუსეთის მხარეზე მყოფი ადგილობრივი ხალხის ამხედრება. საჭირო იყო სწრაფი იერიშით მისი გატეხვა და განდევნა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სარდალმა ბებუთოვმა.

ბებუთოვი დაღესტნის ჯარების სარდლად ინიშნება იმ დროს, როცა შამილი დიდების მწვერვალზე დგას — 1844 წლის დასაწყისში.

ინფანტერიის გენერალი ვასილ ბებუთოვი კავკასიური ომების დროის გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე იყო. მან ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა თურქებზე ახალქალაქსა და ახალციხესთან. 1856 წელს დროებით ინიშნება მთავარმართებელ მურავიოვის ადგილზე. გარდაიცვალა 1858 წელს კუჭის კიბოსაგან.

შამილმა ისარგებლა იმით, რომ რუსებს აყუშასა და წუდახარში ჯარი არ ჰყავდათ, მოულოდნელად შეიჭრა და, ვიდრე დამხმარე რაზმები მოვიდოდნენ, წუდახარი აიღო, დასწვა და მიწასთან გაასწორა.

ასრულდა გრიგოლის წინასწარმეტყველება: უჯაროდ ნუ ტოვებთო აღებულ მხარეებს!

წამოუვიდა შამილს ყოველი მხრიდან დეპუტატები — მოგვეშველე, შეგვიერთეო. საშამხალოს სოფლებიც კი დაიმორჩილა იმამმა.

სასწრაფოდ წამოვიდა თემირ-ხან-შურიდან ბებუთოვი, ორბელიანთან ერთად წავიდა აიმიაკში და გადასწვა სოფელი. მაგრამ ეს გამოდიოდა სიზიფეს შრომა.

მიურიდებმა ქუთიშს შეუტიეს. როცა ჩვენი რაზმი იქით წავიდა, შამილიც ქუთიშისაკენ გამოეშურა და ჰაჯი-მურატის ცხენოსნები ისე დააყენა, რომ ორბელიანისა და ბებუთოვის რაზმი ორ ცეცხლს შუა მოქცეულიყო.

აქ შამილი და ორბელიანი ერთიმეორის პირისპირ აღმოჩნდნენ. წინ მიდიოდა ორბელიანი თავისი ცხენოსანი ჯარით, დრაგუნთა ორი დივიზიონით, მერე მიჰყვებოდა კუდაშევის ბატალიონები, მერე კი ქმა, ზაქარია, თავისი აფშერონელთა პოლკით, არიერგარდით. სოფელს რომ მიუახლოვდნენ, ორბელიანმა რაზმი ორად გაყო და ქუთიშის ორ დანისლულ გორაზე განლაგებულ მტერს ელვისებურად შეუტია. გორები რომ აიღო, ნახა ჰაჯი-მურატის არეულ-დარეული ცხენოსნები. „ავარიის ხანმა" ბებუთოვს შეატყობინა, ჩანს, მტერი არ გველოდაო. ბებუთოვმა გენერალ-მაიორ კუდაშევს უბრძანა აულის აღება. კუდაშევმა ბრძოლაში ჩააბა პოლკოვნიკი ორბელიანი, პოდპოლკოვნიკი ობუხოვი, კაპიტანი მაჩაბელი და ჯემარჯიძე თავიანთი ნაწილებით.

პოეტი-წინამძღოლი ხმალშემართული გაუძღვა მამაც დრაგუნებს. .საომარი ძახილით დაუწყეს მტერს ჩეხვა და კაფვა. ორბელიანს კვალდაკვალ მიჰყვებოდა მისი დივიზიონის მეორე ესკადრონის მეთაური, „გიჟი ქართველი მაჩაბელი", შტაბსკაპიტანი ესტატე. ესკადრონებს სახლებიდან დაუწყეს სროლა, მაგრამ წინამძღოლები არ შეჩერებულან. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ვიწრო ქუჩაში სისხლი ღვარად წავიდა. ეს იყო ჩუმი, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, ისმოდა მხოლოდ ხმალ-ხანჯალ-ხიშტის წკრიალი, ცხენთა ჭიხვინი და ადამიანის კვნესა. მტერი გონს მოსვლას ვერ ეღირსა, ისე ეღებოდა ბოლო. ერთმა ლეკმა გრიგოლს ხანჯალი მოუქნია, გულში დაუმიზნა, მაგრამ პოეტმა დაასწრო და ისე დაჰკრა გორდა გოგრაში, რომ დაუყოვნებლივ ალაჰთან გაგზავნა, მაშინვე რამდენიმე მომხდურიც ზედ მიაყოლა და ასე ისისხლა თავისი წინაპარნი ქართველნი.

ამ ბრძოლაში საარაკო სიმამაცე გამოიჩინა ესტატე მაჩაბელმა,

რომელმაც რამდენიმე თვის შემდეგ სასტიკად სცემა პოდპოლკოვნიკ ობუხოვს, საძაგელ კაცს და პატიმრობა დაიმსახურა, რადგან ობუხოვმა უჩივლა. ამ ბრძოლაში ყოველი დრაგუნი ვეფხვად იქცა და თავგანწირვით იბრძოდა.

ბრძოლამ ორ საათს გასტანა. ამასობაში ზურგში გამოჩნდა მტრის აურაცხელი ლაშქარი. ჰაჯი-მურატმა თავისი კავალერიით შემოუტია რუსების არიერგარდს. და თანდათან შეკრა სახიფათო წრე მის გარშემო.

მაგრამ დიაკონოვის მუშკეტერთა და კაზაკთა ასეულმა მტერს უკან დააბრუნა მთელი ფრონტით, იერიშზე გადასულმა ქვეითებმა კი მიურიდები გააქციეს. მალე დამარცხება დევნად იქცა. მტრის განადგურება დაეკისრათ გენერალ კუდაშევსა და აფშერონელთა ფეხოსანი პოლკის უფროსს, პოლკოვნიკ ორბელიანს.

გამარჯვებულ მხედრობას ქვეითნიც წამოეწივნენ და სრულიად დამარცხებულ მტერს ორ ვერსზე სდიეს. პირველი მისდევდა გრიგოლი. ხოჯალ-მაქაში ის პირისპირ შეხვდა ჰაჯი-მურატს, მაგრამ ჰაჯი-მურატი გაეცალა. უკანდახეულს, მეორე მხრიდან ჯერ ფეზე დაედევნა, მერე „ზურაბის მეორე შვილი ზაქარია", შემდეგ კუდაშევი და როგორც შამილს, ასევე ჰაჯი-მურატს სულ ბღვირი ადინეს.

გამარჯვება სრული იყო. მთელი მხარე დაიპყრეს. ქუთაიში დაეცა.

მტერს წაართვეს შამილის ცული, რითაც იმამი თავებს აჭრევინებდა, მისივე ქულაჯა, ცხენი, ასი თუმანი, ყიბიტ-მაჰმადის ბეჭედი და მრავალი თოფ-იარაღი. თვით შამილი მეორედ ჩავარდა ასეთ განსაცდელში და ერთმა სოლრატლელმა ცოცხალი ძლივს გააპარა. ათასამდე კაცი დაკარგა იმამმა, სამასიც ტყვედ ჩავარდა.

15 ოქტომბრამდე შამილი არსად არ გაჩერებულა, ვიდრე ღამით სოფელ გოცატლში არ მივიდა. დარღოს მხარეში ერთი მიურიდიც აღარ დარჩენილა*.

კავკასიის ომების ეს ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ბრძოლა მოხდა ბებუთოვის და გრიგოლ ორბელიანის უშუალო ხელ-

* Акты, т. X, стр. 439.

მძღვანელობითა და მონაწილეობით. პოეტს ვერა დააკლეს რა, მხოლოდ ნინიკა დაუჭრეს ტყვიით ყურში — ნუ უსმენო შენს ბატონს, მაგრამ ნინიკამ ლეკებს არ უსმინა, მორჩა.

ამ გამარჯვებამ დაამშვიდა ეს არეული მხარე. მაგრამ როდემდე უნდა იყოსო ავარია ასე უპატრონოდ? რომელ ნაიბსაც უნდა აჰყოშას აღება, აიღებს, ისე წახდა ეს ხალხიო, ამბობს ნაღვლიანად გრიგოლი.

გამარჯვებაში, რისთვისაც ბებუთოვმა წმ. გიორგის მესამე ხარისხის ორდენი მიიღო, ორბელიანსაც დიდი წვლილი ედო.

ამრიგად, დაღესტნის რაზმმა მოიპოვა გამარჯვება, რასაც თვით გრიგოლი „საკვირველს“ უწოდებს.

ორბელიანის გმირობა შეუმჩნეველი არა რჩება მეფისნაცვალს.

ერთი შემთხვევის გამო (მეხთულის ხანის ასულ ნოხ-ბიქეს გატაცებასთან დაკავშირებით) 1847 წლის 13 თებერვალს ვორონცოვი ჩერნიშოვს სწერს:

„რაც შეეხება პოლკ. თ. ორბელიანს, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია დავარწმუნო თქვენი ბრწყინვალება, რომ არ ვიცი უფრო ჩინებული შტაბ-ოფიცერი, ყოველნაირად, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო საქმეებისათვის“*.

მოგვიანებით, იმავე წლის 7 ივნისს, გერგებილის იერიშის გამო დაღესტნის ჯარებისადმი გაცემულ ბრძანებაში იგივე ვორონცოვი ხაზგასმით აღნიშნავს:

„ოფიცრები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ჯარისკაცებისათვის მაგალითის მიცემაში. მათგან განსაკუთრებით მიიპყრეს ყურადღება ბრძოლის ქარცეცხლში: აფშერონის ფეხოსანი პოლკის პოლკოვნიკმა თ. ორბელიანმა, რომელსაც მიჰყავდა კოლონა იერიშზე; აფშერონის I ბატალიონის უფროსმა მაიორმა ევდოკიმოვმა, რომელიც ბრეშზე მოკლეს...“** (ამ ბრძოლაშიც ორბელიანის უფროსი იყო კუდაშევი).

გერგებილის აღების შესახებ ვრცელ მოხსენებაში ვორონცოვისადმი არღუთინსკი ქებით იხსენიებს ორბელიანს და ითხოვს მისთვისაც საჩუქრებს.

* Акты, т. X, стр. 444.

** Акты, т. X, стр. 450.

1847 წ. 16 იანვარს, აბაქარ-დებირის პარტიის დამარცხებისას მეხთულელებმა და მათმა მეთაურმა ორბელიანმა სიმამაცით ვორონცოვის ახალი აღტაცება გამოიწვიეს.

* * *

ხდება არასასიამოვნო ამბებიც.

ქუთაისის ბრძოლის შემდეგ ორბელიანმა შვებულება ითხოვა 28 დღით, მაგრამ ბებუთოვმა ორ კვირაზე მეტი ხნით ვერ გაუშვა. ძალიან მინდაო წამოსვლა, სწერს ილიას, მაგრამ, როცა ვიანგარიშებ ხარჯსა, მეტად თავი მეფხანებაო. აშკარად ჩანს, როგორ უჭირს მატერიალურად ავარიის ხანს, რომ სამგზავრო ფულიც ენანება. ეს არ უნდა იყოს ტყუილი ჩივილი; თვითონვე კიცხავს კაკალას: გროშად არა ღირს, სულ ფულს ანგარიშობსო. მაგრამ მე, ხანს, არა მაქვს, მაგას რა უნდა ჰქონდესო!

გრიგოლი მაინც გაემზადა თბილისში გასამგზავრებლად, ცხენი უკვე შეკაზმული ჰყავს, და ამ დროს უეცრად ხდება მოულოდნელი უსიამოვნება.

1846 წლის 13 დეკემბერს, ღამის ორ საათზე, სოფელ ჯუნგუთაიში შეუმჩნეველად შეიპარა ჰაჯი-მურატი. თან ხუთასი რჩეული მიურიდი ახლდა. მისასვლელთან მცველები დახოცეს და ხანის სასახლეს მიაშურეს. მას მერე, რაც ჭიშკარი არავინ გაუღოთ, მიურიდები გალავანზე გადაძვრნენ.

ჩუმად, ღამის ლანდებივით მიიპარებოდა მთელი ნახევარი ათასეული, ხმალ-ხანჯლიანი და თოფ-დამბაჩიანი ბანდიტების ბანდა, რომელსაც სათავეში ედგა მთის პირველი ვაჟკაცი, გამოცდილი და ფეხმარდი ჰაჯი-მურატი. საით მიიპარებიან ფოცხვერებივით, უხმაუროდ, სისხლმოწყურებულნი და დაუნდობელნი? სოფელი უნდა აიღონ? არა. მათ ამჟამად ვაჟკაცური საქმისათვის არა სცხელათ. ახმედ-ხანის ქვრივი უნდა გაიტაცონ, ნოხ-ბიქე. თავის დროზე ჰაჯი-მურატი ეტრფოდა მას და გულით ეწადა მისი შერთვა. მაგრამ შამილმა დაუშალა, უბრალო უზდენს ხანის ქალი ადათით არ გეკუთვნისო.

ახლა კი ჰაჯი-მურატმა დრო იხელთა და საწადელს ეწია;

ქვრივის მოსამსახურე ფატმა მიიმხრო, შეუმჩნევლად შეიპარა სასახლეში და ხანის ქალი თავის განძეულთან ერთად ისე გაიტაცა, ერთი ხმაც არავის გაუღია. გუშაგებმა სროლა ვერ გაბედეს, და გრიგოლს მხოლოდ ჯაშინ შეატყობინეს, როცა მიურიდების რაზმი უკვე შორს იყო.

გრიგოლი შალის სერთუკის ამარა გამოვარდა სასახლიდან, ნოქერები გააღვიძა და ჯარით დაედევნა გამტაცებელს, მთები გადაიარა, მაგრამ გვიანღა იყო. ვერც ქვრივი დაიბრუნა და ფეხებიც დააზრებოდა, რომ ერთგულ ნინიკას წინდები არ მიეცა.

ნოხ-ბიქეს გატაცებას მთელი ალიაქოთი მოჰყვა დაღესტანში. გრიგოლს ეს საქმე ძლიერ ეწყინა: გარდა იმისა, რომ ეს მოხდა მის საბრძანებელში, მის სამყოფელ სოფელში, ამ ამბავს პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ნოხ-ბიქემ კი ერთი მთიელის პირით შეუთვალა გრიგოლს, იზრუნე ჩემს გამოსახსნელადო.

ნოხ-ბიქეს ქმარი, ახმედ-ხან მეხთულელი, ავარიას მართავდა 1840—1842 წლებში. მან მაშინ დაასმინა კლუგენაუსთან ჰაჯი-მურატი, რომელიც ფიცხლად შებორკეს, მაგრამ გზიდან გაექცათ და გადახტომისას დაკოჭლდა. როგორც კი ხელსაყრელი დრო მოიხელთა, ჰაჯი-მურატმა ახმედ-ხანის ცოლზე შური იძია.

ორბელიანმა მომხდარი ამბავი უმალვე ბებუთოვს შეატყობინა*. თვითონ კი დაუყოვნებლივ ტყვეთა გაცვლაზე გამართა მოლაპარაკება. დაღესტნის ლომმა ორბელიანს ყველაზე უფრო ძვირფასი ტყვეები სთხოვა. გატაცებულ ნოხ-ბიქეს დარჩა ორი ვაჟი და ქალიშვილი. თავადი ბებუთოვი 1846 წლის 16 დეკემბრის მიწერილობაში სთხოვს პოლკოვნიკ ორბელიანს, იზრუნოს ხანის შვილებისათვის.

ნოხ-ბიქეს გატაცება ძალზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამბებთან იყო დაკავშირებული და მისი დაბრუნებისათვის ზრუნვაც ძირითადად ორბელიანს დაეკისრა.

ჰაჯი-მურატმა შემოუთვალა: ეს საქმე შენს გასაჯავრებლად გავაკეთეო.

გრიგოლმა მიუგო:

— პაპაჩემი ირაკლი-ხანი არც დედაკაცებს ეომებოდა და არც

---

* «Кавказский сборник», XXXI, 1911, стр. 5.

ცხვრებს იპარავდა. არც მე ვიზამ ამას. სამაგიეროდ ხმალამოღებული შეგხვდები, როგორც ვაჟკაცს შეეფერება, გაშლილ ძოედანზე და მაგ თავს დოლბანდიანად წაგაცლი, თუ ისევე არ გამექცევი, როგორც ბატლაიჩში, ზირანაში, ხოჯალმაქისში და ქუთიშშიო.

მართლაც, გრიგოლსა და ჰაჯი-მურატს დიდი ხნის ანგარიშები აქვთ ერთმანეთთან, მაგრამ გრიგოლთან პირისპირ შეხვედრას ჰაჯი-მურატი მუდამ გაურბოდა. გრიგოლს ნოხ-ბიქე რომ მოაგონდება, მაინც შფოთავს, ძრახავს მხდალ მთიელებს.

ათ კაცს რომ ხელი გამოეღო, ჰაჯი-მურატის მთელი რაზმი ხელში ჩაგვივარდებოდაო.

ასე იყო თუ ისე, გრიგოლს ჩაეშალა შინ ჩამოსვლა, ახლა დანიელ-სულთანს ელოდება, ნოხ-ბიქეს სიძეს, გაბა-ბიქეს ქმარს, რომ ქალის დაბრუნებაზე მოეთათბიროს. ტყუილად როდი ეძახის გონებამახვილი პოეტი თავისთავს დაღესტნის პირველ ტყვეს, ვერ დააღწია თავი მოუსვენარ მთიელთა ქედმოუხრელ მხარეს.

ტყვექმნილი ნოხ-ბიქე ჰაჯი-მურატმა ცოლობაზე დაჰპატიჟა, მაგრამ ხანის ქვრივმა უპასუხა, ეს არასოდეს არ მოხდება, თუნდაც მაწამო და მომკლაო. იგივე შეუთვალა შამილს, რომელმაც, ჰაჯი-მურატის თხოვნით, შუაკაცები მიუგზავნა — გაჰყევიო მამაც მიურიდს. ხანის ამაყმა ქვრივმა ეს შუამავლებიც გააწბილა.

1847 წლის იანვარშიც გრძელდება მოლაპარაკება ნოხ-ბიქეს გამოსახსნელად და თებერვალშიც გზავნის გრიგოლი შუაკაცებს. ხმა დაირხა, ხუნძახის ახლოს, ახვერდის სახლში, ტყვე ქალი ჰყავთო. ამბობენ, შამილმა სინამდვილეში არც ახლა დართო ნება ჰაჯი-მურატს, რომ ნოხ-ბიქე შეერთოო. მაშინ ნაიბმა გამოსასყიდი თანხა ითხოვა, სამი ათასი მანეთი. გრიგოლმა შეუთვალა: მთელი დაღესტანი თავისი იმამით, ნაიბებით, შამხლებით, და ზედაც დერბენდი რომ დაურთოთ, ამის ნახევარ ფასად არ ღირხართო. ძუნწი და სასტიკია პოეტი ქალებისა და ნაიბების შეფასებაში! თავის მხრივ სამასი მანეთი შესთავაზა. გნებავთ გამოუშვით, გნებავთ შეჰამეთ ეგ ავადმყოფი ქალიო.

დიპლომატი სარდალი დროულად მოაგონებს ასეთ ფაქტს: ამ ოთხი წლის წინ შამილს ტყვედ ჩაუვარდა რუსი ოფიცრები. სარდლობამ ჩაიდინა დანაშაული, ვერ გამოისყიდა და შამილმა 1845

წელს, დარღოს აღების წინ, ყველანი დააზოცვინა. რაკი ოფიცრები ვერ გამოისყიდეს, ვინღა გამოისყიდის ერთ სნეულ ხანის ქალსო? — უთვლის გრიგოლი თავის მომავალ ყონაღს ჰაჯი-მურატს.

* * *

ახულგოს დაცემიდან (1839 წ. 29 აგვისტო) მთელი ათი წლის განმავლობაში აღმოსავლეთ კავკასიაში ბრძოლებში წარმატება ლეკების მხარეზე იყო. ეს ამბავი გრაბეს დამარცხების შემდეგ უფრო შესამჩნევი შეიქნა (1842).

მხოლოდ 1847 წლის ბრძოლებმა მოუტანა რუსულ იარაღს ახალი წარმატებანი. გერგებილის ალყა და სალთის აღება იყო ამ ეპოპეის მორიგი ეპიზოდი.

1847 წელს შინაურთა შფოთისა და რუსთა მხედრობის მიერ შევიწროებულმა დაღესტნის ლომმა რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მან თავის მემკვიდრედ გამოაცხადა შვილი ყაზი-მოჰამედი, რითაც გაანაწყენა იმამის ტახტის მაძიებელი ნაიბები, და მიწები აჩუქა რჩეულ ნაიბებს, რითაც გლეხობა გაანაწყენა. იმამის სახელმწიფოს წყალი შეუდგა. ამისი ნიშანი იყო ხსენებული გერგებილის ალყა და სალთის დაცემა.

ამ ბრძოლებში თავი ისახელა ორბელიანმაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შეტაკება გუმბეტის ნაიბ აბაქარ-დიბირთან 15 იანვარს. ნაიბი სამასი კაცით გადავიდა მდინარე სულაკზე, ნისლის საფარველით ისარგებლა და სოფელ ტარკისთან გამოჩნდა, რაც ლომის ნახტომს ჰგავდა. ნახტომმა თითქოს მშვიდობიანად ჩაიარა, კატასავით მოეპარნენ ლეკები ებრაელთა მშვიდობიან სოფელს, გაძარცვეს და გაიტაცეს ოცდაათი ქალი. გაბრუნება უფრო სახიფათო გზით მოუხდათ, ისინი ჯუნგუთაისთან შენიშნეს და პოლკოვნიკ ორბელიანს შეატყობინეს. გრიგოლმა სასწრაფოდ შეკრიბა ჯუნგუთაის მილიცია და ავარიელი მხედრები, რომ გზა მოეჭრა, მაგრამ გზის მოჭრა ვერ მოახერხა. დიბირი ხევში დაიმალა. ორბელიანს ბევრი არ უფიქრია, მამაცთა რაზმით დაეწია ხევში, ხმალი იშიშვლა და ნაიბს ხელჩართული ბრძოლა გაუმართა. ეს განსაკუთრებით გაბედული თავდასხმა იყო და ვორონცოვი 1 თებერვლის ბრძანებაში მას აღტაცებით იხსენიებს. „მოწინააღმდეგემ ბრძოლა

მიიღო, მაგრამ ვერ გამაგრდა და უმოკლეს ხანში კუდამოძუებული გაიქცა. ჩვენმა ცხენოსნებმა შავშირაქამდე სდიეს, არქაზის ხეობაში ბავშვები და ქალები დაატოვებინეს, მთელი ნაძარცვი წაართვეს, ოცდაცამეტი კაცი დაუხოცეს და ჩვიდმეტი ტყვედ წამოიყვანეს"*.

ნოხ-ბიქეს გატაცებით შერცხვენილსა და შეწუხებულ ავარიელებს ცოტა გულზე მოეშვათ. ნაიბმა ინანა სამასი ცხენოსნით სულაკის გადმოცურვა, უკუქცეულმა სისხლში გაცურა, არაკნის სიახლოვემდე დაედევნა ორბელიანი, რომელიც „ყარამანისეულად" უყვიროდა: „სადღა წამიხვალო?" დამარცხებულ და გაქცეულ ნაიბს ასე შეუთვალა: „ამიერიდან მძინარე ლომს არ გაეკარო, თორემ უარესი მოგივაო".

ნაიბმა გრიგოლს ესღა უპასუხა: ძლეული ვარ, ღვთის ნება იყო, ტყვეების რიცხვი შემატყობინე, რომ გასაცვლელად ამდენივე ტყვეს მოვუყარო თავიო. არაო, მიუგო გრიგოლმა. ნოხ-ბიქეს გატაცებაც ღვთის ნება იყო და მაგათი ფასიც ნოხ-ბიქეა. ათასი კაციც რომ გამომიგზავნო, სხვას არას ვინდომებ და, თუ არ დამეთანხმები, ყველას ციმბირში უკრავენ თავსო. მაგრამ ეს ტყუილი ვარაუდია. გრიგოლს თავისი მარჯვენით დაჭერილი თვრამეტი ტყვის გაცვლა უხდება.

გრიგოლმა აბაქარ-დიბირის დამარცხებისათვის ვორონცოვის მადლობა მიიღო.

ორბელიანის ამ გამარჯვებას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა შესაძლებელი ხდებოდა ჰაჯი-მურატის მიერ გატაცებული ხანის ქალის ნოხ-ბიქეს — მეხთულის მბრძანებლის გამოსყიდვა.

ხანგრძლივი მოლაპარაკება თავდება შეთანხმებით: 1847 წლის 9 მარტს გრიგოლი ჯარით უნდა ავიდეს აიმაკის მთაზე და იქ მოხდეს გაცვლა იმ ჩვიდმეტი ტყვისა, რომლებიც გრიგოლმა მოიყვანა. ასე სწერს დანიელ-სულთანი, ნოხ-ბიქეს სიძე, რომელიც თავისი სიდედრის გატაცების შემდეგ მოსისხლე მტრად გადაეკიდა ჰაჯი-მურატს.

დაბოლოს, ეს საქმე გადაწყდა. ათ მარტს გრიგოლმა ნოხ-ბიქე ზეიმით ჩაიყვანა ჯუნგუთაიში. ნოხ-ბიქეს გამოსყიდვაში დიდი რო-

---

* „Кавказский сборник", 1882, т. VI, стр. 494.

ლი ითამაშა მისმა სიძემ, რუსთა სამსახურში მყოფმა დანიელ-სულთანმა, რომელმაც ხუთი ათასი მანეთი გაიღო.

1847 წლის აპრილს ნოხ-ბიქე ბებუთოვს სწერს, მოღალატე ჰაჯი-მურატმა რომ გამიტაცა, მთელი ჩემი ქონება დამეკარგა და თქვენი ნაბოძები ოთხასი მანეთი-ღა შემომრჩა, ხოლო ის, რაც თავად ორბელიანს გადაურჩენია და კიდობანში დაუბეჭდავს ჩემს დაბრუნებამდე, სულ მცირე რამ აღმოჩნდაო.

ჩვენი პოეტის მეცადინეობით დახსნილი ნოხ-ბიქე 1847 წლის 16 მარტს ბებუთოვს სწერდა:

„ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენი ბრწყინვალება მუდამ იყო ჩემი და ჩემი შვილების კეთილის მსურველი, ამისათვის ვჩქარობ გამოგიცხადოთ მადლობა ჩემი გამოხსნისათვის მტრის ხელიდან. მე განმათავისუფლა, მადლობა ღმერთსა, 10 მარტს, დანიელ-სულთნისა და თავად ორბელიანის მეცადინეობამ“.

მაგრამ გრიგოლი იმაზე სწუხს, როდემდე უნდა იყოსო ეს მხარე ასეთ ყოფაში? ხალხმა არ იცის, ნიკოლოზ მეფეა მათი ბატონი თუ შამილი. მოსვენება არა აქვს არც ხალხს, არც ჯარს. მალე საძოვრებსაც დაკარგავენ. რა იქნება, რომ ჯარი გააძლიერონ, გერგებილშიც ერთი ბატალიონი დააყენონ? გრიგოლს იმედი აქვს, რომ გერგებილს აიღებს, არაკანიც მის მხარეს გადმოვა, სახლებში ჯარისკაცებს ჩააყენებს და მხარე დაწყნარდება, შამილის პარტიაც გაჭრება. ვერავის შეასმინა დაღესტანში, რომ ეს უბრალო გეგმა ჯობს ტილიტლის აღებას. ამიტომ ილიას სთხოვს თბილისში: იქნებ მანდ შეაჯერო ვინმეს შტაბში, ქრისტიანი არავინ არისო?

საგულისხმოა, რომ ორბელიანი ყველა მხედართმთავარზე უკეთ გრძნობს: ტყუილად იღვრება ამდენი სისხლი, კავკასიის საქმე ჩვენი ხელიდან წასულია, ხუთი ბატალიონით თუმცა შეიძლება მტრის დამარცხება, მაგრამ არ შეიძლება დაღისტნის დაპყრობა (1847 წლის 31 მარტის წერილი ილია ორბელიანისადმი).

* * *

თემირ-ხან-შურაშიც არის „შექცევაები“: კლუბი, თეატრები, სადილები, არშიყობა... ამასთან აქ უფრო საამო ცხოვრებაა, ვიდრე ქალაქში: „ტყუილი თვალების ტრიალით“ თავს ვერავინ ძოაწო-

ნებს, თუ არ ჰეშმარიტი მშვენიერებით და ჭკუით. მართალია, ზემოუბნელებს უკეთესი ოთახები აქვთ, მაგრამ თემირ-ხან-შურაში რომ უფრო ბუნებრივი, მხედრული დროსტარებაა, ესეც უდავოა. მაგრამ რად დაივიწყეს ასე მწარედ ნათესავებმა? ერთი ქილა მურაბა მაინც გამოუგზავნოს ზაქარიამ პირის გასასველებლად. საოცარია, მაგრამ გრიგოლს ვერც პოლკოვნიკობამ და ვერც ხანობამ ვერ უშველა. იმდენი ქონებაც ვერ შეიძინა, რომ ვალები გაესტუმრებინა.

1846 წელსაც ოთარ ქობულაშვილის ქვრივს ბარბარეს უხდის გაღს, ათ თუმანს უგზავნის და თან ამუნათებს — ვიდრე არ გავმდიდრდები, აღარ მომთხოვო მეტიო, ილიას კი სთხოვს — ხუთი თუმნით მაინც შეეწიე ეფემიას, თორემ მე სამაგისო ფული აღარ დამრჩაო.

ჯუნგუთაიში მყოფ გრიგოლს ისევ ოჯახის, მამულის, ვალების საქმე აწუხებს და ილიას სთხოვს, თბილისში დაბრუნდი, მთავარმართებელთან, ოჯახსაც მიხედავო. იგი ისეთ სიმარტოვეს განიცდის, ისე მოსწყინდა და შესძულდა ყოველივე, რომ „ბატონ ძმა ყაფლანს“ ეპატიჟება დაღესტანში, „სოფლობა და ლაშქრობა ორივე ერთი ყოფილაო“, ჩივის. თან სამეურნეო საქმეების მოგვარებასა და მოჯახრაკებას ავალებს. როცა ყაფლანი პასუხს უგვიანებს, თავისებურად უწყრება:

„ჩემო ღვთის წყალობავ ძმაო, ბატონო ყაფლან! რად დამივიწყე ასე უწყალოდ! ხომ იცი, რომ უშენოდ ჩემი სიცოცხლე უგემურად მიდის, ერთხელ შენის წიგნით, შენის ამბით მაამე და!?“

ყაფლანმაც „აამა“ — თავისი ბოურავობით.

ზაქარია პოლკის ჩასაბარებლად ჩამოსულა (1846), გრიგოლიც თავის სახანოდან მიეგება და დროს ერთად ატარებენ.

უცებ აგონდება, რომ ყაფლანი თურმე თათრებს ასახლებს თავის წნორებში. „ეხლავ გიცხადებ, რომ ეგ არ ჰქნა, თორემ ჩამოვალ და ცხვირს გაგიტეხო“, — ემუქრება მეგობარს. ქვეში ჩემია და გაიგეთ, თორემ ცხვირს გაგიტეხო, — მეორედ მოაგონებს „ყაფლანიანთა ბურჯს“.

ყაფლანი კი ზის თავის ბორჩალოში და პატრონობს თათრებს.

ნათესავებზე ზრუნვას მაინც არ ივიწყებს. 1847 წლის 8 მარტს, როცა უკვდავი დისწული უკვე განჯის მიწაში განისვენებს, გრიგო-

ლი ეფემიას, მოკლე წერილთან ერთად, უგზავნის ხუთ თუმანს, ანუგეშებს და არწმუნებს: „თუ რამე მებადება, არას დავიშურებ შენთვისო“.

ჯუნგუთაიში სიწყნარემ დაისადგურა და გრიგოლს რომ სევდისა და მოწყენის ჟამი დაუდგა, ახლა იმაზე ფიქრობს, თბილისში დიდმარხვის დღეებია და ზემოუბნელებს გულში ცემა ექნებათ. „ვაი რომ მე არა ვარ თქვენი მღვდელი, რომ თქვენი შეცოდებანი თქვენი პირით მეთქმევინებინაო“, — ამბობს დაღესტანში დანაღვლიანებული პოეტი. თვითონ აღარ არის სამშობლოს ამბების მონაწილე, მხოლოდ მსმენელია. მისი დიდი თანამოკალმის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს, ეკატერინეს, ვაჟი ეყოლა, ნიკო დაარქვეს; მის ვაჟს — დავითს კიდევ ილია ბატონიშვილის ასული შეურთავს, ფრეილინა ანა, გიორგი მეცამეტის ძის ასული. ასე რომ, დავითი ილია ორბელიანის ქვისლი გამხდარა. ამბობენ, მოსკოვში ნინო გრიბოედოვისა გათხოვდაო, მაგრამ ეს შეიძლება ჭორად ჩაითვალოს.

რა გაეწყობა, თორემ თვითონვე დახედავდა მტერსა და მოყვარეს, ვინ რას აკეთებს.

საერთოდ, გრიგოლს შინ ჩამოსვლა ჩაუშალა „თავისმა ქალბატონმა“ ნოხ-ბიქემ, ამასობაში გაზაფხულდა, მიძინებულმა ნაიბებმა გამოიფხიზლეს და გრიგოლს ნუგეშად ისღა რჩება, რომ ილია დაღესტანს ჩავა და ზაქარიასთან მის ჰიდილს ნახავს გათენებისას. სამივე ძმა ზურაბიანნი სამაგალითოდ ემსახურებიან ტახტსა და მეფეს.

მაგრამ ნათქვამია: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. სამი თვე და სამი კვირა გავიდა იმ დღიდან, რაც გრიგოლი რძალს ეხუმრებოდა: შენს ქმარს თეფშებს დავუმტვრევო. და 1847 წლის 16 ივნისს მასვე სწერს:

„რა მოგწერო, ჩემო საყვარელო, ჩემო უბედურო ძალუაე ქეთევან?.. ღმერთმან დამსაჯა საზარლად; ჩემი ძმა თანაშეზრდილი, ჩემი ბედნიერების გვირგვინი, ზაქარია განმაშორა საუკუნოდ... უკანასკნელი მისი ფიქრი იყო შენთვის და სანდრიკოსათვის“.

ეს მოულოდნელი ტრაგედია მოხდა 11 ივნისს. 153 კაცთან ერთად ხოლერით დაიღუპა შუათანა ძმა, პოლკის უფროსი, ჯან-ღონით სავსე, „მამაცი და გონიერი“ პოლკოვნიკი ზაქარია ორბელიანი. მის

ნაცვლად პოლკის უფროსად ინიშნება მისივე ღვიძლი ძმა გრიგოლი. ახლა სანუგეშებლად დაემატა რძალი, რომელმაც შვილისათვის უნდა იცოცხლოს. ძმის გვამს გრიგოლი თბილისს აგზავნის. აგვისტოში მესამე ძმასაც დაღესტანში ვხედავთ, იგი აფშერონის ბატალიონებს მეთაურობს. ილია ორბელიანი ვორონცოვს ახლავს და გმირულად იბრძვის სალთის პირდაპირ, ანდალალში. სექტემბერში მტერი სალთის მხარეს მოიმწყვდია. გრიგოლის განუყრელი მსახური, დიბირმაჰმადი დაატარებს ძმებს შორის წერილებს. როგორც ერთ წერილში აუწყებს, პოეტს ესიზმრა, ვითომ ილიას წითელი ჩექმები ეცვა, და შეშფოთებულია, ვაი თუ დასჭრესო. მაგრამ ილიას ჯერ კიდევ დიდი საბრძოლო გზა უძევს წინ. რამდენიმე წლის შემდეგ ახდება გრიგოლის ავი სიზმარი... წითელი ჩექმები რომ ეცვა ილიას. სწორედ ფეხს წააგლეჯს ქვემეხი გმირ გენერალს.

1847 წლის შემოდგომაზე მოურავი გეუაც დაღესტანშია, გრიგოლთან. მაგრამ გაქსუებულ მსახურს დაღესტანში გული არ უდგება, სულითა და ხორცით ქალაქშია, ხანსაც შეაცოდა თავი და მომდევნო წლის გაზაფხულზე გრიგოლი უკანვე აგზავნის, თან უკვირს: ვინ დარჩენიათ ამ მსახურთ ქალაქში, რა ხაზინა უპოვნიათო!

ივანეც გრიგოლთანაა, მანანას ვაჟი, უხდება დაღესტნის ჰაერი და გეუასავით არ მიუწევს გული ქალაქისაკენ, აღარავინ ახსოვს. ღიპიანი გახდა, ონიკოვსავით პირში ჩიბუხი აქვს და შავი წვერი მოუშვია.

ზაქარიას გვამი დაღესტნიდან 1847 წლის 24 ნოემბერს გამოასვენეს ჯარისკაცებმა და თბილისში ახალი წლის წინა დღეებში ელიან, ან გვიან, ნაახალწლევს. მძიმე იქნება ეს ახალი წელი ორბელიანთა შეთხელებული გვარისათვის!

გრიგოლი კი ისევ ლაშქრობს, ანაზდეულად მოუხდა წუდახარში შემოჭრილ მტერთან შებმა, მერე არღუთინსკიმ უკანვე გამოგზავნა, ფრაიტაგი კი ჩაჩანში შევიდა.

გრიგოლი უკვე საგვარეულო სამარეზე ფიქრობს. სიონში უნდა დამარხონ, მაგრამ სიონი საერთო ტაძარია, მალე დაიკარგება, როგორც დავით სარდლის სამარე დაიკარგა. გრიგოლი ამჯობინებს კუმისის სამებაში დამარხვას, იქ უნდა იყოსო ჩვენი უკანასკნელი სადგური და ძვალთ შასალაგი.

* * *

1847 წლის 14 სექტემბერს, ალავერდობა დღეს, 52 დღის ალყის შემდეგ რუსებმა იერიშით აიღეს ძლიერ გამაგრებული სალთი, რომელსაც იცავდნენ შამილის რჩეული ნაიბები ანუ „კორპუსის კამანდირები“: ჰაჯი-მურატი, ყიბიტ-მაჰმადი და მისი ძმა მურთუზ-ალი, აგრეთვე ომარ-დებირი. ბრძოლას შორიდან შესცქეროდა თვით შამილი, რომელმაც „ბონაპარტულად“ დატუქსა ყიბიტ-მაჰმადი. ძვირად დაუჯდა ეს ექსპედიცია ორსავე მხარეს. გრაფი გაიდენი დაშრეს, კაპიტანი გლებოვი მოკლეს. რუსებმა ორი ათასი ჯარისკაცი და ასი ოფიცერი დაკარგეს. თვით არღუთინსკის უმასპინძლეს ლეკებმა ტყვია ლოყაში.

ილიას ჯერ არ ჩაუცვამს წითელი ჩექმა! ვის გაუხარდება გრიგოლივით ეს გამარჯვება, ეს გადარჩენა! ძმას აბარებს, სალთი გადაახვნევინე ნიშნად სრული გაოხრებისა, ძველი ქართული ჩვეულებისამებრო.

სალთის დაკარგვამ მტერი დააბნია და გააყუჩა.

1847 წლის ბოლოს გრიგოლ ორბელიანს ჩააბარეს თემირ-ხან-შურაში მდგარი აფშერონის პოლკი, მეხთულის სახანოს გამგებლად კი მის ნაცვლად ლაზარევი დანიშნეს. მაგრამ ეს არ შველის პოეტის გაჭირვებას. პოლკი ჩაიბარა, მაგრამ ხარჯის გარდა, ხეირი არაფერი უნახავს. ილიასაც ვერაფრით მიეშველა, ძმის ცხედარს რომ ელის თბილისში, და სამერმისოდ ჰპირდება დახმარებას. სანდრიკოს იმ ხანებში რაევსკის პანსიონში აბარებენ და სწავლის ფულის გადახდასაც გრიგოლი კისრულობს, თუმცა მაიორი კუტუზოვიც ითხოვს, სანდრიკო მე მომაბარეთო. კუტუზოვი გრიგოლის პოლკიდან თბილისის გიმნაზიის ინსპექტორად გადავიდა. ენები სცოდნია და, საერთოდ, სამაგალითო ადამიანი ყოფილა. გრიგოლიც ითხოვს სანდრიკოს გაგზავნას დაღესტანში, მე მივაბარებო მასწავლებლებს. დრო გადის, ეშინია უსწავლელი დარჩებაო. ამავე დროს გრიგოლი თავის გაჭირვებულ დას ეფემიას ეხმარება. ხშირად უგზავნის ფულს და მზადაა მზითვად „ასი თუმანი სიქა თეთრი მანათი“ მისცეს, ოღონდ ვინმე შესაფერი ქმარი მოუძებნონ მის ასულს, ბაბალეს.

დაღესტანში სარები არ იშოვება, ილიას უგზავნის ფულს, ხარები უნდა უყიდოს თბილისში და თემირ-ხან-შურაში გაუგზავნოს. მაგრამ ფული განჯაში გაგზავნა, ილია კი თბილისში აღმოჩნდა. ხარების ნაცვლად ილიამ ერთი გამხდარი ცხენი გაუგზავნა, მაგრამ თვალთუქმურობა არაფერია, იქნებ გული შიგნით ჰქონდესო.

* * *

1848 წლის 23 ივნისს გრიგოლ ორბელიანი მონაწილეობს გერგებილის ბაღებში გამართულ ბრძოლებში. 5 ივნისს თემირ-ხან-შურიდან გავიდა და 23 ივნისს მიადგნენ ციხეს. მიხაკო სუმბათაშვილს ტყვიამ ლავიწი დაუმსხვრია, თავათ არღუთინსკის ცხენს კი გავაში გაუარა ზარბაზნის ტყვიამ. მტერი დამარცხდა, მაგრამ გამაგრებული გერგებილი აუღებელია. გრიგოლის პოლკიც საიერიშოდ ემზადება. მხოლოდ 7 ივლისს შესძლეს ციხის აღება. მტერმა ვერ გაუძლო ქვემეხთა ცეცხლს და გაიქცა. მუსა ბელაქნელი და სხვა ნაიბები კბილთა ღრჭიალით ტოვებენ გერგებილს, რომელიც პირველად 1842 წელს აიღო ფეზემ, ჭოხთან და გიმრთან ერთად, მომდევნო წელს კი შამილმა ისევ დაიბრუნა.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა გერგებილთან. ბრეშ-ბატარეა დადგეს, დაუშინეს, კედლები და ბურჯები ინგრეოდა, სახლები ირღვეოდა და მტვერი ცაში ადიოდა. „სოფელი ასე დავანგრიეთ, რომ საცა იყო გერგებილი, იქ ახლა დარჩა მხოლოდ სალი კლდე“, — სწერს ამაყი სარდალი ილიას.

ბაღები გრიგოლმა დაიკავა, გაკაფა და ნანგრევები იმპერიას დაუსაკუთრა.

გერგებილის ეპოპეის გმირთა შორის ბარიატინსკის, არღუთინსკის, ევდოკიმოვის გვერდით მუდამ იხსენიება ორბელიანის კოლონაც. მისი სახელი ქუხდა ახტის დაცვის დღეებშიც, როცა თვით შამილი აღაფრთოვანებდა თავგანწირულ მთიელებს თავისი გამოჩენით.

გერგებილის გამარჯვებას მოჰყვა ტრაგედია. 15 ივლისს გერგებილიდან უკან წამოსულ ჯარს ლეკები გამოუდგნენ, ერთ რედუტში შეგროვდნენ, იქ ჩაფლული წამალი „გალვანიზმის შემწეობით“ აფეთქდა, 64 კაცი და სამი დროშა ჰაერში აიტაცა. ნაიბი ჰუსეინი

პირდაპირ აფრინდა მაჰმადის სამოთხეში: ნაფლეთებიც ვერსად იპოვნეს. ერთი სხვა ნაიბიც დაიღუპა. რუსთა მხედრობიდანაც სამა-სამდე მარტო დაჭრილი იყო, მათ შორის ცნობილი ივანე ლაზარევი, მომავალი გენერალი. ალექსანდრე მუხრან-ბატონმა თავი ისახელა, როგორც ჩინებულმა არტილერისტმა. თავადმა მოსე არღუთინსკიმ გერგებილის აღებისათვის გენერალ-ლეიტენანტობა მიიღო.

ასე ინგრევა დაღესტანი. რჩება სალი კლდეები. „მამა ვაცხონე, ეს სულ საქართველოს სისხლის ღაღადისია!“ — სწერს პოეტი-სარდალი ძმას.

როცა კავკასიის ომების ისტორიას ვეცნობით, იმდენად აღარ გვიკვირს ლეკთა თავხედური და ხშირად დაუსჯელი თარეში საქართველოს მიწა-წყალზე. როგორ უნდა გამკლავებოდა დაქუცმაცებული პატარა ქვეყანა, რეგულარულ ჯარს მოკლებული საქართველო, არწივებივით მიუვალ კლდეებს თავშეფარებულ მოუსვენარ ხალხს, რომელიც ათეული წლების განმავლობაში უმკლავდებოდა, უძლებდა და ზედიზედ ამარცხებდა კიდეც უძლიერესი იმპერიის მამაც ჯარებსა და გამოცდილ გენერლებს!

გერგებილის აღებაში მონაწილეობდა მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის ვაჟი, სიმონ მიხეილის ძე ვორონცოვი, რომელიც მალე კაპიტანი გახდება, მაგრამ პოლკოვნიკობაზე შორს კი ვეღარ წავა. თუ ერთი ვორონცოვი გრიგოლის უფროსია, მეორე მაინც მისი ხელქვეითია, თბილისში მიუწევს მუდამ გული და გრიგოლსაც რა ენაღვლება, წერილებს მაინც ჩაუტანს სარდლის მახლობლებს.

* * *

1848 წლის 25 სექტემბერს გრიგოლი მოულოდნელად რუთულიდან სწერს ილიას, სასწრაფოდ მომიხდაო ჩემი ბიჭებით ახტას ციხის გარნიზონის მისაშველებლად თოლიანი მთების გავლა, ისიც უცეცხლოდ, უშეშოდ, შეუსვენებლივ. ჯერ კიდევ 13 სექტემბერს უეცრად მოადგა შამილის ჯარი ახტას და გულდაგულ შეუტია. იგი გამდგარ ახტელებს მოუწვევიათ, ოღონდ ჩამოდი, ციხეს ჩვენ ავიღებთო, და, მართლაც, თავი არ დაზოგეს, კედლები შეუნგრიეს, დენთი ააფეთქეს. გაჭირდა საქმე.

სულ ხუთასი კაცით აკავებდა მოზღვავებულ მტერს გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი როტი. მოალყეებს თვით შამილი გადაჰყურებდა და ამხნევებდა. არღუთინსკიმ და ორბელიანმა ახტის გარნიზონს სულზე მიუსწრეს, ციხე იხსნეს, მტერი უკუაქციეს, შამილს ორასამდე კაცი მოუკლეს, ასზე მეტი ტყვედ ჩაიგდეს. ყუბა, ქურა, ყაზი-ყუმუხი, ტაბასარანი დაიმტკიცეს, ხალხი ზღვამდე დააწყნარეს, ახალი დიდებით შეიმოსა არღუთინსკის სახელი, მაგრამ მის დიდებას საძირკვლად ახლაც ორბელიანის თანადგომა უდევს.

ახტის გადარჩენა, რაც 23 სექტემბერს მოხდა, 1848 წლის საომარ მოქმედებათა გვირგვინი იყო.

კიდეც აფასებს დოლგორუკოვი თანამებრძოლთ.

არღუთინსკის უყვარს ძმები ორბელიანები. დღენიადაგ ეკითხება გრიგოლს, ილია როგორ არის, რასა გწერსო. უაღრესად საიმედო სამხედრო თვალსაზრისები აქვსო, — უთხრა პოეტმა, — ყველაფერი დადასტურდა, რაც 1847 წელს აულ სალთიზე და სოგრატლზე მითხრაო.

წერილებს ელის გამარჯვებული წინამძღოლი, მაგრამ ქეთევანს, ილიასა და მანანას თითქოს პირობა შეუკრავთ: არც ერთი არაფერს არ იწერება!

გრიგოლი გენერლობაზეა წარდგენილი. წინ მიდიან ჯამბაკურიანნი.

საყვარელი მეგობრის, დავით ყორღანოვის სიკვდილს გრიგოლი 1848 წლის 18 ოქტომბერს შეიტყობს და გულს ლახვარი ეცემა. ახლა ვინღა რჩება ნუგეშად? ყაფლანი, სანდრიკო და ილია. მაგრამ სანდრიკოს სწავლის საქმე ვერ მიდის კარგად. თბილისში ერთი რიგიანი სასწავლებელი არ აღმოჩნდა, პეტერბურგს მაინც უნდა გააგზავნონ.

ახლა თბილისში ახალი წელია, ანთებენ ჩირაღდნებს, ძიაქვთ-მოაქვთ საჩუქრები...

აქაური საჩუქრები კი ესაა: ყაჩაღთა მოჭრილი თაეები, მოკვეთილი ხელები, წართმეული დროშები, უსულო გვამები... ერთი ძმა განჯაში ებრძვის ყაჩაღებს, მეორე დაღესტანსა და ზაქათალაში, მაგრამ ყაჩაღებს რა გამოლევს აღმოსავლეთში! კვლავ კარგი ამბების მოგონებებით უნდა იკვებოს და ინუგეშოს თავი.

„ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი...“ აგონებდა ტატო, დისწული და მეგობარი... ადგა, კატინას სურათი გადააბრუნა და კვლავ ფიქრებს მიეცა.

გენერალი გრიგოლ ორბელიანი

„ჩემო სიცოცხლევ, ძმაო ილიკო! იარანალიც შევიქენ; მე და გადლევსკი ერთმანეთს სულ ვაშე პრევოსხოდიტელსტვოს ვეძახით და გვაქვს დიდი ყოფა“, — ასე სწერს ძმას 1849 წლის 3 იანვარს.

1848 წლის ბოლოს გერგებილის გმირებს — პოლკოვნიკ კირილე გოდლევსკის და გრიგოლ ორბელიანს გენერალ-მაიორობა ებოძათ.

იმავე ხანებში მეორე ჯამბაკურიანმა — ილიამაც დიდი წარჩინება მიიღო.

1849 წლის 11 სექტემბერს ოდესაში მყოფი ილია წერილით ატყობინებს ძმას — მეფესთან მივდივარო (ამ დროს ილიასთვის პოლკოვნიკობა უკვე ნათხოვნია). ამას გრიგოლი თავის მეგობარს გედეონ ბუჭყიაშვილს ახარებს.

ეს აუდიენცია ნამდვილად მოხდა. იმპერატორი ილიას გადაეხვია და ძმასავით გადაკოცნა მამაცი მეომარი, რის გამოც ილია აღტაცებას ვერ ფარავს. ნიკოლოზ I მთელი საათი ესაუბრა თურმე ილია ორბელიანს, პოლკოვნიკობაც პირადად მიულოცა, ფულის მიცემა კი ვერ მოისაზრა. ამიტომ ილიას აქვს პოლკოვნიკის ეპოლეტები, მაგრამ არა აქვს ფული და გრიგოლს შესჩივის.

არღუთინსკიც კითხულობს ილიას წერილს, უხარია, გრიგოლს ეუბნება: ესა და ეს მისწერე გასაჯავრებლად, ბევრი ტრაბახი რომ იცის ილიამო!

1849 წლის სექტემბერში გრიგოლი თემირ-ხან-შურაში ელოდა რუსეთს მიმავალ ეკატერინეს, მის ქმარს დავითს და დაქვრივებულ ნინოს. მოულოდნელად იასონ ჭავჭავაძემ აცნობა, ვლადიკავკაზის გზით წავიდნენო, და გული გადაუტრიალდა გენერალს, „წინანდლის ვარდის“ ხილვის სიამოვნება მოაკლდა და, ნახვა რა არის, რომ აქაც მოეცარა ხელი. თითქოს ლექსების წერას გადაეჩვიაო, ამ პერიოდში

მხოლოდ წერილებსა წერს და ნათესავებისგანაც წერილების პასუხს მოითხოვს. მაგრამ არ იფიქროთ, რომ არ აღელვებს ქართული ლიტერატურის, კულტურის, თეატრის ბედი.

1850 წლის 25 იანვრის წერილს ძმისადმი იწყებს მწარე სინანულით, რომ ვერა ნახა პირველი ქართული კომედია — გიორგი ერისთავის „გაყრა“, რომელშიაც ანდუყაფარის როლს ილია თამაშობდა, და სთხოვს, გაუგზავნოს ეს პიესა, რაც არ წაუკითხავს. აფიშა უკვე გაეგზავნა ვორონცოვს და გრიგოლს უკვირს, როგორ აგონდება ყოველი წვრილმანი მეფისნაცვალსო!

ბევრი რამ ეზიდება გრიგოლს თბილისისაკენ, მაგრამ საქმე დიდი ხნით არ უშვებს, ათი დღით კი არ ჩამოდის: იცის, უკან დაბრუნება გაუჭირდება, თბილისი აჯადოებს ადამიანს, თუმცა თავსატეხიც ბევრია. ილიამ მამულები გაყო; ძეგლი უნდა აუგონ ყაფლანისშვილებმა. რკინის თავი ჰქონია ილიას, რომ ნაირნაირი ჰკუის ხალხის ამდენ ჩახჩახს გაუძლო. შთამომავალნი ასე იტყვიან: „ილია რომ მამულებს უყოფდა ყაფლანიანთ, მაშინ ულვაშები არ აშოსვლოდაო“.

არც ჭორიკანა დედაკაცების გაძლებაა ნაკლები საქმე. ჭორიკნობენ კნეინა მაია თუმანიშვილიც, ბარბარე თუმანიშვილისა, ალექსანდრეს დაც, ენატკბილი ქეთევან ერისთავიც... ღმერთმა დაიფაროს ალექსანდრეც და ყველა თბილისელიც ქეთევანის ორლესული ენისაგან!

1850 წლის თებერვალში გრიგოლი აფშერონის პოლკის ჩასაბარებლად ემზადება, რათა 21-ე ფეხოსანი დივიზიის ბრიგადის უფროსობას შეუდგეს. ეს ადგილი არღუთინსკიმ მოუგვარა თბილისში. გრიგოლი მადლიერია, თუმცა დიდი წყალობა არაა მეოცე დივიზიის ბრიგადიდან ოცდამეერთე დივიზიის ბრიგადაში გადანაცვლება.

ჩაჩნეთში კი შამილი დიდი ჯარით დამდგარა და ახალი მკაცრი ბრძოლებია მოსალოდნელი. არღუთინსკი ხვნეშის, მაგრამ რა გაეწყობა, მიდის თოლიან მთებში „სასეირნოდ“.

გენერალ-მაიორის წოდებას სამსახურში დაწინაურება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ეს არ მოხდა.

1850 წელს აფშერონის პოლკი სხვას ჩააბარა და დაინიშნა მეოცე დივიზიის პირველი ბრიგადის უფროსად. რა გამოვიდა? ხანობა, პოლკის უფროსობა თუ ბრიგადის მეთაურობა თითქმის ერთი და იგივეა.

* * *

1850 წლის სექტემბერში, ალაზნის პირას, სადგურ მუღანლოსთან, მოხდა მკვლელობა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ჭარ-ბელაქნის მაზრის უფროსი, სარდლისა და სენატორის, დიდი გიორგი ერისთავის შვილი — ზაქარია ერისთავი, რომელიც თანამდებობიდან გენერალმა ბელგარდმა მოხსნა, თბილისისაკენ მიდიოდა. გზაზე თავს დაესხნენ ყაჩაღები და მოკლეს. საშინლად დასახიჩრებული გვამი არც კი იცნობოდა. ზაქარია ერისთავს ბელგარდის ენტრიგის მსხვერპლად თვლიდნენ, ვორონცოვმა გენერალი გაიწვია, ძიებაც დაიწყო, მაგრამ მკვლელობის ეს მიზეზი არ დადასტურდა.

გრიგოლ ორბელიანს თავზარი დასცა ამ ცნობამ.

— საბრალო მაგისი მამა! — შეიცხადა პოეტმა. — მაგისთვის იცოცხლა ამდენი წელი, რომ შვილი საკუთარი ხელით დაემარხა! საბრალო ელენე! აღმოიფხვრა ეგ ოჯახიცა!

1850 წლის შემოდგომაზე გრიგოლ ორბელიანი დაინიშნა ჭარ-ბელაქნის გამგებლად და „ლეკის ხაზის" — სრულიად დაღესტნის — ჯარების უფროსად. ამავე დროს მიიღო ანას I ხარისხის, იმპერატორის გვირგვინით დამშვენებული ორდენი. გვირგვინი კი მივიღე, ახლა ტახტიღა მაკლიაო, ოხუნჯობდა პოეტი.

ამ ამბავზე ცოტა ხნით ადრე დაღესტანში გამოიარა თბილისს მიმავალმა ტახტის მემკვიდრემ, მომავალმა ალექსანდრე II-მ. გრიგოლს მასთან შეხვედრა და მცირე თხოვნის მირთმევა უნდოდა, მაგრამ ვერ შეხვდა.

1850 წლის ბოლოს გრიგოლი ჩადის თავის ახალ რეზიდენციაში — ზაქათალაში.

ლეკები ძველებურად ავაზაკობენ. პირისპირ ბრძოლაში დამარცხებულნი დავით გარეჯის უდაბნოს ესხმიან თავს, ბერების ნაწილს ხოცავენ, ნაწილი ტყვედ მიჰყავთ. გატანჯულია მთა და ბარი.

გრიგოლი ფხიზლადაა, წარმატებებს აღწევს წვრილ ბრძოლებში

ში, მაგრამ ეს წარმატებები ბევრს ვერაფერს სძენს მის ჭისას. როცა 160 მანეთის მიცემის იმედს აძლევენ, გახარებული სწერს ძმას: „ეს თუ გამართლდა, ძალიან ავშენდებიო“.

მაგრამ აშენება კი არა, სრული გაჩანაგება ელოდა, და მერე ვისგან? საყვარელი ძმის ილიკოს მიზეზით! ვინმე მირზოევისთვის ნივთებში გაუხდა მისაცემი 1630 მანეთი და ლამის გააშმაგოს ამდენი ფულის დაკარგვამ.

1851 წლის 8 ნოემბერს ამაზე ილიას სწერს:

„ახრ, ჩემო ილიკო, ეს რა მიყავ, რაზე დაბღუპე? 1630 სიქა მანათი მე ვინ მომცა?.. ეს ხომ მე აღარც მადა მაქვს და აღარც ძილი დარდისაგან, მწუხარებისაგან, რომ ესოდენი ფული ერთად გამივიდეს? — ახრ, როგორ დავთვალო, რომ ხელები მიკანკალებს?.. ახრ, ღმერთი აიღებს, რომ ჩემი ყუთი კიდევ დაცარიელდეს? — ეს სულ შენ მიყავ. — მე რათ მინდოდა ფაეტონები და სხვადასხვა რაღაებიცა, თუ ფული დამეხარჯებოდა?“ და ა. შ.

1851 და 1852 წლების წერილებში გრიგოლი ხშირად უჩივის ივანე მინას ძე მირზოევს, ცნობილ თბილისელ კომერსანტს; პოეტი ილიას შესჩივის, მირზოევს ფული უნდა მივცე, ამდენი თანხა ერთად ქართველს ვინ მისცაო, და ოხრავს უთავბოლო აყრა-დაყრაზე, ვალებზე, საქმის წახდენაზე და დაღუპვაზე. ამის მიუხედავად ილიას სთხოვს, მირზოევს ფულს ნუ დაუგვიანებო.

რა აყრა-დაყრაზე ლაპარაკობს პოეტი? როგორც ვამბობდით, მას აწინაურებენ. 1851 წლის დასაწყისში დაღესტნის ჯარების სარდალი მოსე არღუთინსკი. სამკურნალოდ კარლსბადს მიემგზავრება. მის ადგილზე ჭარ-ბელაქნის გამგებლად დროებით ორბელიანი ინიშნება. ეს „დროებით“ საკმაოდ დიდი ხანი გამოდგა. დაღესტნის გამგებლად პოეტი მთელი ორი წელი რჩება, 1853 წლის დასაწყისამდე.

ყაჩაღებთან ბრძოლა დიდ დროსა და მოხერხებას ითხოვს. ამ საქმეში გრიგოლის საიმედო თანაშემწეები არიან ეგერთა პოლკის მაიორი და კავალერი, თავადი სვიმონ შალიკაშვილი, მამაცი ხიმშიაშვილი და ბელაქნელი მონადირე ჰაჯი-მურთუზა.

გრიგოლისა და სიმონის თაოსნობით სოფლებმა ნელ-ნელა ხელი გამოიღეს და ყაჩაღებს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ. 1851

წლის მაისში ათი ცხენი, მრავალი თოფ-დამბაჩა დააყრევინეს და ორი კაცი დაუჭრეს. ცოტა მოგვიანებით ყაჩაღებმა ახალი მარცხი განიცადეს. გრიგოლის რაზმებმა 57 ავაზაკს წააჭრეს თავი, თუმცა ლეკებმაც ოფიცერთა 37 ცხენი გაიტაცეს.

ყაჩაღთა დევნაში დაღლილი, გუნებაწამხდარი პოეტი შინ შეჰირვებული დაბრუნდა. დავითი იკითხა, მანანას ვაჟი. სხვაგან არისო, მოახსენა ისევ მსახურმა.

— ისევ სხვაგან! რა უბედურებაა, სულ სხვაგან, სულ სხვაგან! ამისი ფიქრი მხოლოდ ის არის, რომ სხვაგან იყოს, სხვა ბედნიერება არ უნდა. ქუდი სადაა?

— რა მოგახსენოთ, ბატონო, აქ კი არ გახლავთ.

— ჰო, გარეთ დამალავდა, რომ წასვლა არ შევუტყო... ასეა მუდამ. დარდიმანდია დავითის ვაჟი. ცალკე მაგათმა დარდმა დამღუპა, ცალკე მირზოევის ვალმა.

ამ ლაპარაკში დავითიც მოვიდა.

— რა იყო, ბიჭო, სად დაეხეტები, რა დაკარგე ამისთანა ქისტეთში? — შეუწყრა გრიგოლი.

— აქვე ვიყავი, გრიგოლ-ბატონო, ბასტიონებზე...

— ქალი გეყოლებოდა ბასტიონებზე... ჰო, გეყოფა თავის მართლება! ზოგი შამილის ტახტზეც იფიქრე. შამილი დიდი ხანია ოცნებობს იმაზე, რომ იმამის დოლბანდი და ნაჯახი მემკვიდრეობით გადაეცეს მამიდან შვილს.

— აკი ყაზი-მაჰმადს თვლის მემკვიდრედ, უფროს შვილს.

— თვლის და ეგაა საქმეც! ზოგი ჰაჯი-მურატსაც ჰკითხოს: შამილის სიკვდილის შემდეგ ვინ იქნება იმამი, ამას ხმალი გადასწყვეტსო, უთქვამს.

— ეს ხომ მივიდა იმამის ყურამდე!

— მივიდა! შამილი ასეთ ხუმრობას არავის შეუნდობს. ამიტომაც გაგზავნა ტაბასარანში ჰაჯი-მურატი ხუთასი კაცით — აუშხედრეო რუსებს ტაბასარანი! დაავალა ის, რაც თვითონ მეტი ჯარით ვერ გააკეთა. ახლა, როცა ჰაჯი-მურატი ხუთასკაციანი რაზმით დამარცხდა, მხდალი უწოდა, თუმცა გამაშის გორაკებზე გენერალ-მაიორმა გრამოტინმა თვით შამილი და მისი ხუთმეტათასიანი არმია გააქცია.

— ჰაჯი-მურატი და მხდალი! ნაიბი ამას ვის შეუნდობს!

— ღირსეული პასუხიც გასცა ნაიბმა ცბიერ შამილს: „მე რომ მხდალი არა ვარ, ეს მთაში ბავშვმაც კი იცის, მაგრამ შენ რომ მეტი ჯარი გყავდა და გრამოტნმა კუდიც ვერა გასროლინა, ესეც იციან. გამოდის, რომ მხდალი შენ ყოფილხარ და არა მეო“. აი, ასეთ საქმეში არიან ჯიგიტები, შენ კი... მოიტა ერთი, ეგ სახარება მაინც წავიკითხო!

კითხვა ყაჩაღთა შეკრებამ შეაწყვეტინა.

1851 წლის ზაფხულში (ივლის–აგვისტოში) გრიგოლი ისევ ბრძოლის ქარცეცხლიდან სწერს ძმას, ილიას.

თათარხა და შექელ ყაჩაღთა მოზრდილი რაზმი იორზე გასულა, ბერებს სტუმრებია, მონასტერი გაუძარცვავთ, ბერები დაუხოცნიათ, ზოგიც ტყვედ წაუსხამთ. მერე კი გრიგოლს კაცი მოუგზავნეს, თითოში ხუთას თუმანს ითხოვდნენ.

გრიგოლის პასუხი დიპლომატიურია: ეგენი ბერები არიან, სოფელზე ხელაღებულნი, გინდა უდაბნოს კლდეში იყვნენ, გინდა ირიბის კლდეში, მაგათთვის სულერთია, ღმერთს ყველგან მოძებნიანო. ხუთ მანეთსაც არავინ გადაიხდისო.

ამავე დროს ათას ხუთას კაცს გზავნის მთიან მაჰალში ყაჩაღების საძებნელად — ალექსანდრე აფხაზოვის, შტაბსკაპიტან ესტატე მაჩაბლის და სხვათა წინამძღოლობით. ხუთი ავაზაკი დაიჭირეს, ათამდე წყალში დაიხრჩო. ტყვეთა შორის ერთი ცნობილი ჰაჯია, ალი-სულთნისა თუ დანიელის, ელისუს სულთნის მეგობარი.

იმავე წერილში ილიას შესჩივის — დაუდევარი ხალხია ქიზიყელები, თავიანთი მწყემსი ბიჭებისათვის ვერ მიუხედავთ, უთოფიარალოდ დაყოლაბენო.

ეს ის დროა, როცა არღუთინსკი ტაბასარანსა და ყაითაღში შედის, დასწვა სოფელი, სადაც ჰაჯი-მურატი იყო გამაგრებული, შამილის სამივე რაზმი დამარცხდა ყარა-ყუმუხის სახანოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში და ჭოხისაკენ დაიხია. ჰაჯი-მურატი ავარიაშია, ზოგი ჯარი დაშლილა და შამილის საქმე კარგად ვერ არია.

გრიგოლი იმ ხანებში თავისი მილიციით ავიდა მოურავ-დაღზე და ქისტებს კიდევ ერთი დამარცხება აგემა.

პოეტი ისევ სანდრიკოს ამბავს კითხულობს, რას სწავლობსო.

სანდრიკო, ზაქარიას ვაჟი, უკვე 15 წლისაა და ოთხიოდე წლის სიცოცხლე დარჩენია. „ნეტავ კიდევ რამდენ ხანს იქნება დაღისტანში ჩემი იანარალი ბიძაო?“ — ფიქრობს სანდრიკო.

მაგრამ გენერალი ორბელიანი დიდი ხანია აღარ არის თავისი და თავისიანების ბედის გამგებელი.

გრიგოლს მხარს უმშვენებს ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი მელიქიშვილი, „კავკასიის სკოლის ერთი უწარჩინებულესი გენერალი“, როგორც უწოდეს მას სამხედრო ენციკლოპედიაში.

ლევან მელიქიშვილის მეომრებმა გრუზინსკის წინამძღოლობით ლეკებს დროშა წაართვეს.

თუშებმაც თუშურად შეუტიეს. სამ ადგილას დახვდნენ ლეკებს დიდძალი რაზმებით და სამსავე ადგილას კუდით ქვა ასროლინეს, ბრძოლის ველზე დარჩენილებს კი მარჯვენები დააჭრეს, როგორც ითხოვდა ძველი ადათი.

ამ წარმატებებით კმაყოფილი გრიგოლი თავის წერილებში სიმონს აფრთხილებს, დიდი წინდახედულობა გამოიჩინე ყაჩაღების შემორიგებაში, ეგ საქმე ჰაჯი-მურთუზას „დიდსა გონებასა და ჯამაათს“ მიანდე, მაგათ უფრო იციან ერთმანეთის საქმეო. „მაგრამ ერისთავის შვილის მკვლელთაგანი კი არ უნდა იყოსო“, — აფრთხილებს ხელქვეითს.

პოლკოვნიკი ზაქარია გიორგის ძე ერისთავი ლეკებმა მოკლეს ალაზანზე და სარდალი ვერ მოისვენებს, ვიდრე ავაზაკებს სამაგიეროს გადაუხდის. მეტადრე ყუტურ-მოლას თავი ენატრება და ამას უთვლის კიდეც ჰაჯი-მურთუზას.

არც ისეთი პირობის მომხრეა, ყაჩაღები რომ იძლევიან: რაც ქონება წაგვიღია, არ გამოგვერთვასო.

„ამის შემდგომად ვინ არ მოინდომებს ყაჩაღობასა, თუ რამდენსამე წელიწადსა უკან მოვა მშვიდობიანად თავის სახლში ავაზაკობით გამდიდრებული?“ — სწერს სვიმონს.

ეტყობა, ამ საქმეში საგრძნობი ნიჭი და უნარი გამოუჩენია შალიკაშვილს, რომ ჩვენი ბონაპარტე მას ტალეირანს ეძახის:

„ჩემო საყვარელო სვიმონ! ყოველივე შენი განკარგულება, გამგეობა მაგა ხალხისა და დიპლომატიური მიმოწერა მთის ხალხთანა გამოაჩენს ახალსა შენსა ტალეირანობასა, და მეცა გულით მიხარის,

რომ სხვათა შენთა ღირსებათა შორის ვპოვე ახალი ეგე ტალანტი“.

სადაც ასეთი ხალხია, იქ შეიძლება კაცი არხეინად იყოს. აი, ჰაჯი-მურატი არღუთინსკის მხარეს მიდის და გრიგოლი გულმაგრადაა. „ჰაჯიმურადი აყუშისაკენ წასულა, სადაცა ჰსდგას არღუთინსკი... და თუ მოასწრო, რჯულს დააგდებინებსო“, — სწერს სიმონს 1851 წლის 21 ივნისს.

1851 წლის გაზაფხულზე ილიკო მეთოთხმეტე ქართულ გრენადერთა პოლკის უფროსად დაინიშნა, ალექსანდრე დებუს ადგილზე. გრიგოლი ძმას ეკითხება, როგორ შეეთვისეო ახალ თანამდებობას, მაგრამ ილია პასუხს აგვიანებს და ძმა მეორედ ეკითხება.

ზაქათალას მყოფი ორბელიანის საბრძანებელში კი ამ დროს, 1851 წლის ზაფხულში, სიმშვიდეა, იქით დაღესტანში კი ახალ შეტაკებათა ღრუბლები წვებიან. შამილი ჯარით ავიდა გამაშის მთაზე, მის მოწინავე რაზმებს არღუთინსკი დახვდა გრიგოლის აფშერონელებით და „სულ რჯული გააგდებინა“. გენერალ-ადიუტანტი მოსე არღუთინსკი გამოცდილი სარდალია არა მარტო ურჯულო ლეკებთან ბრძოლაში, არამედ ქრისტიან გურულ გლეხთა ჟლეტაშიც. დამარცხებულ ლეკთა ნაწილი ჭოხში გაიქცა, ნაწილიც სოღრატლისაკენ, ანდალალში. აფშერონის პოლკის მაიორი მიხეილ დუპელტი ბრძოლაში დაიჭრა, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია: ცოტა ხანს იკოჭლებს და კარლსბადსაც ნახავს.

არანაკლებ ისახელა თავი მეორე მიხეილმა — პოდპოლკოვნიკმა კულმანმა, სულ წივილ-კივილით გაფანტა ტყეში ლეკები. ლეკებმა ყოდორის ციხესთან და შილდის ხეობაშიც მარცხი განიცადეს.

მაგრამ შამილის სიმაგრის კედელზე ეს დამარცხებანი მხოლოდ ახალ ბზარებს აჩენენ. შეუპოვარი იმამი მთავარი ჯარით ჭოხის ციხესთან დგას არღუთინსკის პირისპირ. ჰაჯი-მურატი ხუთასი ცხენოსნით ყარაიათაღში შევიდა, მახლობელი აულები მიიმხრო, დერბენდის, ყუბისა და საშამხლოს მხარეებში დიდი ამბები მზადდება: უძლეველი ნაიბი ყუბის მიდამოებში სათარეშოდ ემზადება, ლოთი პოლკოვნიკი ჯამოვ-ბეგი კი — დერბენდის ციხეში შესაძვრომად.

არც დანიელ-ბეგ სულთანი ისვენებს; შამილის ეს მამაცი ნაიბი, ელისუს მმართველი, ჯარებს აგროვებს და მახვილს ლესავს.

ნაიბი ყაზი-მაჰმადი რისსა და არჩის სოფლებიდან იმუქრება... შფოთავს იქითა დაღესტანი, ღელავს გრიგოლ-სარდალი.

1851 წლის ზაფხული მაინც მეტად ცხელი გამოდგა შამილისათვის. ივნისში იმამი და მისი ნაიბი ომარი ზედიზედ დამარცხდნენ რუღჯაში, ჭოხთან და ყუყმა-დაღთან. ერთი თვეც არ გასულა, რომ დაღესტნის მბრძანებელმა მეორე მწარე დამარცხება იგემა ყაზიყუმუხთან. 10 ივლისს გენერალ-მაიორმა გრამოტინმა იმამის ხუთმეტათასიანი არმია გაფანტა გამაშის მთაზე*...

დამარცხდა დანიელ-სულთანიც. პოლკოვნიკ აღალარ-ბეგთან ბრძოლაში დამარცხებული და დაჭრილი ნაიბი თემირ-ხანაც „ძლივს მიათრიეს“ შინ. სოფლების აკლებაში გამოცდილმა არღუთინსკიმ ტაბასარანში თერთმეტი სოფელი გადასწვა, ჰაჯი-მურატის მცირე რაზმი მთაზე მიიმწყვდია და ლამის ზედ მიჰსრისა. ნაიბი გაეცალა. შამილი დარღოს წავიდა. სულთანიც შამილის ვაჟის სამყოფელს — კარატას შეეხიზნა.

გრიგოლისა და იმპერიის სხვა სარდალთა ჯარები არწივების ბუდეს თანდათან შლიან.

გრიგოლი მესელდეგერის მთაზე მიდის, სიმაგრის ასაგებ ადგილს სინჯავს, ჰაჯი-მურთუზას ეთათბირება, უაჩაღებს იჭერს და სვიმონ შალიკაშვილს აფრთხილებს — ჯარში სენი არ გაჩნდეს ამ სიცხეებშიო, თან ცდილობს, მაშველი ძალები მოიწვიოს, მაგრამ რუსის ჯარი ისევ აგვიანებს. ასეთ დროს ბევრს აფრთხობს ბაკრაკას და ყარა-ალის მუქარა, ხუთი ათასი კაცით მოვდივართო. მაგრამ გრიგოლს ეს მუქარა სასაცილოდაც არ ჰყოფნის—ტრაბახა ყარა-ალი კი არა, ასეთ ჯარს შამილიც ვერ მოუყრისო თავს.

მართლაც, შამილმა იმ ზაფხულს მძიმე მარცხი განიცადა არა მარტო სამხედრო, არამედ დიპლომატიურ სარბიელზედაც. დიდი იმამის დიდების დროშა დაჩრდილა მისმა პირადულმა მტრობამ ჰაჯი-მურატთან. როცა მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ჰაჯი-მურატი ტაბასარანიდან განდევნა, შამილმა ისარგებლა შემთხვევით. მამაც ნაიბს მხდალი უწოდა და ნაიბობის პატივი აჰყარა. ჰაჯი-მურატი

---

* „Кавказскій сборникъ“, 1897, т. XVIII, стр. 167.

გადაუდგა, შამილს ჯარით დახვდა, აულ ბატლაგიჩში გამაგრდა და შეურაცხყოფისათვის თავის იმამს ასე შეუთვალა:

— მე რომ მხდალი არა ვარ, კავკასიაში ეს ბავშვმაც იცის. მე მცირე რაზმი მყავდა და დამამარცხეს. შენ როგორ იბრძოდი? ხუთმეტი ათასი კაცი გყავდა და ზარბაზნებიც გქონდა, მაგრამ გრამოტინმა კუდით ქვა გასროლინა. გამოდის რომ მხდალი შენ ყოფილხარ და არა მე.

შამილი რა შამილი იქნებოდა, თუ ასეთი სიტყვებისათვის ნაიბ-ყოფილს არ დასჯიდა!

იგი დიდძალი რაზმით დაიძრა ჰაჯი-მურატის წინააღმდეგ, მაგრამ ზარბაზნებით აღჭურვილ ორი ათას მამაცთან ვერაფერს გახდა, დამარცხდა, მრავალი მეომარი და ცხენი დაკარგა და უკან დაიხია.

ცხადია, მეამბოხე ნაიბის ეს გამარჯვება მაინც არ იყო მტკიცე. ეს იცოდა თვით ნაიბმა. მისი მდგომარეობა ერთობ საეჭვო იყო. ერთის მხრივ აღალარ-ბეგის, არღუთინსკი-დოლგორუკოვისა და ლაზარევის საშუალებით მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთთან, მეორე მხრივ კი ადრევე სთხოვა შამილს ჩაჩნეთში დასახლების ნება, თავისი ცოლის ნათესავებში. შამილმა უარი უთხრა. ყოფილი ნაიბი თავისი ნებით წავიდა ჩაჩნეთში, მაგრამ იქიდანაც მოუხდა გაქცევა, მას შემდეგ, რაც შამილმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. მაშინ იყო, რომ ჰაჯი-მურატი მეორედ გადავიდა რუსების მხარეზე. შამილმა მისი სახლ-კარი აიკლო, ერთი ცხენისა და თოფის ძეტი არა დაუტოვა რა.

ეს ცნობილი ამბები გრიგოლის თვალწინ ხდებოდა. შამილმა დაკარგა მარჯვენა ხელი, მისმა უმამაცესმა ნაიბმა — სიცოცხლე. ჰაჯი-მურატის ნაცვლად ნაიბად დაინიშნა „ჭინკა"—ვინმე ჭანკა ფათალი, ხუნძახის ხანის სურხაის შვილი.

გრიგოლს იმედი აქვს, რომ შამილისა და ჰაჯი-მურატის განხეთქილების შემდეგ დაღესტანი დამშვიდდება. მეტადრე, როცა ხედავს, რა უღირსნი ცვლიან ღირსეულ ნაიბებს.

— არ ვიცი, რა ფიქრში მოსვლია შამილას ამ ჭანკას ნაიბობა, — უმეორებდა გრიგოლი სვიმონს იმ სიტყვებს, ადრე რომ ილიას მისწერა. — ეგ ხომ ჩემი ნოქერი იყო! ერთი ფინთი, უჯიშო, უჭკუო და უვაჟკაცო ვინმეა.

— მით უარესი შამილისათვის, ბატონო გრიგოლ, — მიუგო სვიმონმა.

— სარდლები ცდებიან, — განაგრძო ფიქრის შემდეგ გრიგოლმა. — ეს გადატრიალება იმამს სიკეთეს არ უქადის. შამილა ლომია ბრძოლაში, მაგრამ მის დიდ მხედრულ ნიჭს ზოგჯერ იჯაბნის მისივე ეჭვიანი გული. მაშინ ის ცდება.

— ეჭვიანი ხომ ბონაპარტეც იყო!

— ბონაპარტე ეჭვს იმორჩილებდა. თვით ტალეირანი არ მოიცილა, ეგ გამყიდველი და ცბიერი დიპლომატი. არც მარშლები, რომელთაც უმუხთლეს. გახსოვდეს, სვიმონ! ბონაპარტესაც ჰყავდა მიურატი, მაგრამ არ გაუგდია, — გრიგოლმა ულვაშებში ჩაიცინა და „მიურატი“ ისე გამოთქვა, როგორც „მურატი“.

გრიგოლს ალღო არც ამჯერად ჰღალატობს. ჰაჯი-მურატის განდევნით შამილმა გამარჯვება განდევნა თავისი ბანაკიდან. გრიგოლი ვარაუდობს: თუ შამილამ ჰაჯი-მურატს თავი ვერ მოსჭრა, ძალიან შეირყევა მისი უფლება მთაშიო.

1852 წ. 26 ივლისიდან 15 აგვისტომდე გრიგოლ ორბელიანს შეტაკებები ჰქონდა ქისტებთან. როგორც თავის ძმას ილიას სწერს, მან გასინჯა სიმაგრეები მესელდეგერი, ჯორჯოობალი და მოურავდაღი, აგრეთვე მაალ რასისაკენ მიმავალი გზის სანგრები. მისი მიზანი არ ყოფილა ამ სანგრების აღება, არამედ მხოლოდ გარკვევა იმისა, შეიძლებოდა თუ არა მათთვის გვერდის ავლა. კლდოვან ადგილებში საუცხოოდ აგებული კლდეები მისმა გრენადერებმა მეორე დღესვე მიატოვეს.

უფრო სერიოზული შეტაკება ჰქონდათ გრიგოლსა და პოდპოლკოვნიკ ბლიკევიჩს ეშაქ-მეიდანზე ცხვრის გამტაცებელ ლეკებთან. ორივე მხრიდან იყო მსხვერპლი. მან საქმე ისე მოაწყო, რომ ლეკებისათვის გზის წასახდენად ჭარელები გაგზავნა, და კიდევაც იქადნება ხუმრობით: „აი ასეთი კაცი ვარო!“

თუშები იმ ხანებში ახალ გამარჯვებას აღწევენ, ქისტი მწყემსები აიკლეს და ათასი სული ცხვარი გამოიტაცეს.

გრიგოლი თვალყურს ადევნებს შამილს, ახალ ჯარს, ირიბში რომ უყრის თავს სულთანი. სვიმონს აფრთხილებს, ბელაქნელები მაინც აზიელები არიან, გუშაგობა მოსწყინდებათ, მალ-მალე გააღვიძეო, თვითონაც ჭარელთა, თალელთა და ბელაქნელთა ათასხუთა-

სიან რაზმს აგროვებს და ტანაჩის ტყეებში „მოსაჩხრეკად“ გზავნის, თანაც ჯარის ნაწილებს ამზადებს, დათვალიერება უნდა მოხდეს.

უეცრად ამბავი მოსდის: ლეკებმა გრენადერთა პოლკის ცხენები მოიტაცესო. განრისხებული გრიგოლი, რომელსაც ეს ამბავი ილიას ოფიცერმა თარხანოვმა „ახარა“, ღამით წამოიჭრა გაანჩხლებული, ელისუდან ბელაქნამდე და კართუბნამდე გააბა ჯარები, მთა შეძრა...

ლეკები ერთი დღითაც არ ასვენებენ გრიგოლს, მაგრამ არც გრიგოლი ასვენებს ლეკებს. 9 სექტემბრის ერთ „საზარელ ღამეს“ ალექსანდრე აფხაზოვმა ორმოციოდე ბელაქნელით გზა შეუკრა საქონლის გამტაცებელთ, დაატოვებინა სამი ქართველი ტყვე და რამდენიმე მკვდარი, მათ შორის განთქმული ბელაქნელი ყაჩაღი, ზაქარია ერისთავის მკვლელთაგანი ლალა აბდულ-ქერიმ-ოღლი, „დიდი ვაჟკაცი და ბელადი“, რომელსაც ზაქარიას მაზარის საყელო თან აღმოაჩნდა. თანდათან შლის პოეტი ყაჩაღთა ბუდეებს.

ბაირამის დღესასწაული ახლოვდებოდა. გრიგოლმა იცოდა, როძ შამილი დიდ ლაშქრობას ბაირამის შემდეგ დაიწყებდა. 1851 წლის სექტემბერშიც ამბობდნენ, დიდი იერიში იქნებაო.

მთავარსარდალ ვორონცოვსაც ელოდნენ, მაგრამ მოლოდინი იმ შემოდგომაზეც არ გამართლდა.

სამაგიეროდ, ლეკი ყაჩაღები მოულოდნელად გამოჩნდებიან ხოლმე. ილიას ცხენები გაიტაცეს, ბელაქნელთა მცირე რაზმი შეება ორმოცდაათამდე ლეკს, სამი მოუკლეს, თერთმეტი დაუჭრეს და გრიგოლი გააოცეს სიმამაცით. მოკლულთა შორის აღმოჩნდა ზაქარია ერისთავის მეორე მკვლელი ბურჯიკახიო, გამოჩენილი ყაჩაღი. გრიგოლი თვით გენერალ-მაიორ ივანე მუხრან-ბატონს იმოწმებს, „ეს ერთი კაცი ღირს შენს ცხენებადო“, — სწერს ილიას.

ბელაქნელებს იგივე მამაცი ჰაჯი-მურთუზა მიუძღოდა.

მთებში მებრძოლთა და წინამძღოლთა ახალ-ახალი ნაკადები მოდიან. მოდიან და მიდიან. გრიგოლი მთებს არ ტოვებს და ზოგჯერ მწვავე ირონიის მათრახსაც გადაჰკრავს ხოლმე მნგრეველთ, რომელთათვისაც ჯარობა ხელობაა და არა მოწოდება:

„ვინც იყვნენ მოსულნი ქალაქიდამ აქა საჯაროდ და ლეკების სისხლის დასანთხევად, სულ ყველანი წაბრძანდნენ, რადგანაც მთები

დაანგრიეს, მაშ, რაღა უნდა გაეკეთებინათ?“ — სწერს სვიმონ შალიკაშვილს 1851 წლის 27 სექტემბერს.

ამ წასულთა შორის არის პოლკოვნიკი თავადი ანდრონიკოვიც.

გრიგოლი რჩება „დანგრეულ მთებში“, კრაზანების ახალი თავდასხმისათვის მუდამ მზად მყოფი, და სწორედ ისეა, როგორც სწერს ძმას, ილიას:

„აქაური ამბავი რა გითხრა: ჰაი მოდიან, ჰაი ემზადებიან! სულ ამას იძახიან. — მეც მზადა ვარ, და იმედიცა მაქვს ღვთისაგან, რომ ვერა წაახდინონ რა...“

1851 წლის ბოლოს შამილმა ორჯერ ამაოდ სცადა ტაბასარანის აღება. ამავე ხანებში ჰაჯი-მურატმაც უღალატა და იმამის დინასტიის საქმე ვერ იყო კარგად, მაგრამ მაინც ისევ სცადა ტაბასარანში მიურიდიზმის დანერგვა. თანაც ყურადღების გაფანტვის მიზნით ბრძანა მეხთულის სახანოში შეჭრა.

ცვალებადი წარმატებების შემდეგ მაიორმა ლაზარევმა მიაღწია ბრწყინვალე გამარჯვებას, და ჯარების დროებითი სარდალი ორბელიანი მთავარსარდალს სწერდა: „ცხრა ნაიბის დამარცხებამ მთაში უძლიერესი შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს, და სრულ წარმატებას უნდა ვუმადლოდეთ... ლაზარევსა და ტიხანოვს... ლაზარევი ყველაზე წინ იყო და იერიშზე მიჰყავდა მეხთულის ცხენოსანთა ჯარი. მას ცხენი მოუკლეს...“ მართლაც, ორბელიანის მიერ ასე შექებული ლაზარევი პოდპოლკოვნიკის წოდებას იღებს.

გენერალი ორბელიანი თანდათან უფრო საშიშ ნაბიჯებს დგამს თეთრდოლბანდიანი იმამის სამხედრო დიდების მწვერვალისაკენ, სადაც შამილს საბოლოოდ შებოჭავს იმპერიის რკინის მარწუხი.

პოეტი, დიპლომატი და სარდალი

გრიგოლს არაერთხელ დაუმარცხებია პირისპირ ბრძოლაში შამილის ჯარები.

არანაკლებ გამარჯვებებს აღწევს გრიგოლი დიპლომატიურ ფრონტზე.

1852 წლის 27 იანვარს ვორონცოვი ლორის-მელიქოვის ხელით წერილს უგზავნის ბარიატინსკის და ატყობინებს, რომ ჰაჯი-მურატი

გრიგოლს შეხვდა და მოლაპარაკება გრძელდება. მისი ვარაუდით, შამილი აღარასოდეს არ შეურიგდება ჰაჯი-მურატს, რომლის გამოყენებაც საუცხოოდ შეუძლიათ რუსებს, საჭიროა მხოლოდ ნაიბის ცოლ-შვილის გამოსყიდვა შამილისაგან.

თავის ერთ-ერთ პასუხში ვორონცოვისადმი არც ბარიატინსკი უარყოფს, რომ გრიგოლი მონაწილეა ყველა სამხედრო და სამოქალაქო საქმისა, რაც მათ დაღესტანში გაუკეთებიათ.

მალე პოლკოვნიკ კონსტანტინე თარხნიშვილს თბილისიდან ზაქათალაში ჩაჰყავს შამილის ნაიბი ჰაჯი-მურატი, რომელიც 1852 წლის 21 იანვარს რუსების მხარეზე გადავიდა. ის ჯერ გროზნოში ჩაიყვანეს კოზლოვსკის შემცველ ბარიატინსკისთან, იქიდან თბილისს, მერე კი თარხნიშვილს აახლეს ზაქათალაში, და აქ დიდი ნაიბი პირველად შეხვდა გრიგოლ ორბელიანს. ორი მოპირდაპირე ბანაკის ორი შეუპოვარი მებრძოლი მეგობრულად უღიმიან ერთიმეორეს:

— მადლობელი ვარ, მთის არწივო, რომ გამიხსენე, — ამბობს გრიგოლი.

ჰაჯი-მურატმა გულუბრყვილო ბავშვივით გაიღიმა, ქათინაური ესიამოვნა.

— ხალხს უთქვამს: თუ გყავს მეგობარი, ხშირ-ხშირად ინახულე, რომ ბილიკი ბალახმა არ დაფაროსო. ხალხს მშვიდობა სჭირდება, ხმალს — ომი, კაცს — მეგობარი.

— შამილის რა ისმის?

—შამილის საქმე მიკვირს, ყონაღო: ვირს რომ ყურებში ჩაჰკრავენ, ისიც ჭკუაში ჩადგება, შამილი კი არ იქნა, არ დაჭკვიანდა, ებრძვის მას, ვისაც მეგობრობას უნდა სთხოვდეს.

„ნეტა ვის გულისხმობს! რუსებს თუ თავის თავს?“ — ფიქრობდა გრიგოლი.

ნაიბი ლაპარაკობს ბრძოლის სიძნელეებზე, უამინდობაზე, კაცის ბედზე. ლაპარაკობს მოკლედ, თავდაჭერილად, ღირსებით.

გრიგოლი უსმენს და ბოლოს ეუბნება:

— მაინც რას გვირჩევ, ვაუკაცო?

— ჩასვით სოლი იქ, სადაც ხე იპობა, და არა იქ, სადაც ქვასავით მაგარია.

„ეს კაცი ანდაზებით ლაპარაკობს! — ფიქრობს გრიგოლი. — მოდი და ახსენი ეგ ქარაგმები!“

— მეც გამიგონია ერთი თქვენებური ანდაზა, ყონაღო, — მიუგო ბოლოს: ვინც სტუმარს პატივს არა სცემს, მისი ყანა თავთავს არ მოისხამსო.

— სტუმრობა კარგია, როცა მოდიან კვერთხით და არა ქვემეხით. მაგრამ ომი ომია. ჩემთვის უკვე სულერთია, ვინ გაიმარჯვებს. შამილმა ღირსება ამყარა, მე კი სართად მივუგდე ის, რაც დამიტოვა — პატიოსნება...

სევდა და სინანული გამოკრთის სტუმრის სიტყვაში. „ეს კაცი ერთ მშვენიერ დღეს წავა, რათა მთაში იპოვნოს ყველაფერი, რაც დაკარგა, ან ისიც დაკარგოს, რაც შერჩენია“, — ფიქრობს ჭკვიანი პოეტი და სტუმარს არაყს უსხამს.

მერე კი სანადიროდ მიდიან. ასეთი მეგობრები ასეთ ამინდშიც მხიარულად გაატარებენ რამდენიმე დღეს.

გრიგოლის ტაქტი და ლაღი, ხალასი ბუნება ხიბლავს მტერსაც და მოყვარესაც. ამით აიხსნება მისი წარმატებები მოლაპარაკებებში.

1847 წელს მეხთულის ხანის ადგილზე გრიგოლს ცვლის მაიორი ვასილიევი და ერთბაშად ყველაფერი ხელიდან წავიდა. დაიწყო ავაზაკობა, უწესობა, მიურიდების პარპაში. ის, რაც გრიგოლ ორბელიანს მტკიცე ხელით ეჭირა, დაიშალა და გაიხრწნა. მხოლოდ კაპიტანმა (გვიან — გენერალმა) ლაზარევმა შესძლო ამ მხარეში წესრიგის დამყარება და მეხთულის თერთმეტივე სოფელი ცახცახებდა ახალი მრისხანე მბრძანებლის სახელის გაგონებაზე.

* * *

ერთიმეორეს ცვლიან მუზა და ქვემეხები.

ზის პოეტი-სარდალი ზაქათალაში და გული ელევა. ერთი წერილი მაინც მოსწერონ! მაგრამ ვინ მოსწერს? ვის სცალია? გონება სხვა ფიქრებითაა გართული: წუხანდელი ბალით, მითქმა-მოთქმით, საამოდ თუ საწყენად თქმული სიტყვებით, კრივით, ჭეიფით, ჩაცმა-დახურვით: აქაო და თეატრში უკეთ გამოვჩნდეო... მელანი დამშრალა საწერელში, კალამი დაკარგულა — ვინ რას დაწერს! ან

ვინ იცის, რა იქნება ხვალ, ნახავს კი ისევ ნათესავ-მეგობრებს? სოფელი ცვალებადია. კაციც განწირულია და მისი სულისკვეთებაც. ვინ გაიხსენებს, რომ გულს უნუგეშოს?

მაგრამ არც ასეა საქმე! აი, უახლოესმა მეგობარმა, სამარაგდონ ორბელიანის ასულმა, მაიორ ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლემ ბარბარემ გაიხსენა დაღესტნის ემირი, კალამი გამოწახა, წერილით გაახარა, უძვირფასესი წერილით, და პასუხიც ისეთია, როგორიც გრიგოლის კალამს ეკადრება: უხარია, აღორძინდა კაცი, მიხეილ თუმანიშვილის ლექსის შვიდნი მთიებნი ეხვევიან გარს საზეიმო სუფრაზე, მისთვის გამართულ ბალზე და შემდეგ:

„დადგა დიდმარხვა, სავსე შენანებითა; გვირეკს მღვდელი, და მეც გულში ცემით ვიგონებ შეცოდებათა ჩემთა, და ვერა ძრომიგონებია რა, ან ძალიან წმინდა ვარ და ანუ სრულებით მეხსიერება წამერთო, შენ როგორა გგონია, ბაბალე?“

1852 წლის „ცისკრის“ თებერვლის ნომერში ერთდროულად იბეჭდება გრ. ორბელიანის ლექსი „წინანდლის ვარდზე“ (დაწერილი 1829 წელს) და „წინანდლის ვარდის“ მამის — ალექსანდრე ჭავჭავაძის უკვდავი „გოგჩის ტბა“, დაწერილი 1841 წელს.

ერთხელ კიდევ იელვა გრიგოლის სიტყვამ სიყვარულით გამთბარ გულზე „გამოსალმებაში“:

რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშყის ბეჭედსა,
დრო იმას ვეღარ შეჰმუსრავს, თუ არ შეჰმუსრავს თვით კლდესა*.

გრ. ორბელიანის პოეტურ ქმნილებათა მეტი ნაწილი დაწერილია დაღესტანს წასვლამდე და დაბრუნების შემდეგ. არწივეთში მონავარდე სარდალს დრო არა რჩებოდა მუზების სამსახურისათვის, უფრო მარსს ემსახურებოდა, და 1833—1851 წლებში, მთელი თვრამეტი წლის მანძილზე, სულ 14 ლექსი დაუწერია. ეს თითქმის დუმილია, რომ ამ დროს არ იყოს დაწერილი თუნდაც ისეთი ლექსი, როგორიცაა „საღამო გამოსალმებისა“.

„ცისკარზე“ ფიქრში დაათენდა და მსახურმაც ადრე მოახსენა, ბარტოლოვი გესტუმრაო.

---

* „ცისკარი“, 1852, № 2.

1852 წელს დაღესტანში მსახურობს პოლკოვნიკი, გვიან გენერალ-ლეიტენანტი ივანე ბარტოლოვი. ბარტოლოვი მხედარიცაა, შტაბის ოფიცერიც და მეცნიერიც, ოთხიოდე წლის შემდეგ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრადაც აირჩევენ საგულისხმო შრომებისათვის არქეოლოგიასა და ნუმიზმატიკაში. აქვს ეთნოგრაფიული ნაშრომიც სვანეთზე, რომელსაც კარგად იცნობდა. ასე რომ, ბარტოლოვს თავი სწავლულისა აქვს, მაგრამ გული — იაგოსი.

ეს ის ბარტოლოვია, რომელმაც სამარცხვინო როლი გაითამაშა სვანეთის მთავრის კონსტანტინე დადეშქელიანის მიერ გენერალ გაგარინის მოკვლის საქმეში. სასამართლოზე დადეშქელიანმა განაცხადა: გაგარინის ნაწყენი არა ვარ, ვწუხვარ, რომ უსლარი და ბარტოლოვი ცოცხალი მრჩებიანო.

ბარტოლოვი გრიგოლის ხშირი სტუმარია. მისი თხოვნით გრიგოლი გორის გრენადერთა პოლკში მყოფ ილიას ატყობინებს, შენი თხოვნა ბატალიონების აქ გასინჯვაზე შეწყნარებულია ისე, რომ შენს ქორწილს ხელი არ შეეშლებაო. ამ წელს ილია ორბელიანი ირთავს ილია ბატონიშვილის ასულს ბარბარეს, ერეკლეს შთამომავალს.

ბარტოლოვი კი არა, გრიგოლს ანგარიშს უწევს თვით მთავარმართებელი, მეფისნაცვალი ვორონცოვი, ახლად არჩეულს წერილსა და ორას თუმანს უგზავნის, რომ კასპიისპირეთის ჯარების სარდლის მოვალეობას ღირსეულად გაართვას თავი. თან საყვედურობს, რატომ დროზე არ შემატყობინეო მდგომარეობა, და ქებით იხსენიებს ილიას.

გრიგოლი ხალისით ელაპარაკება ძმაზე და მერე უეცრად „ყონაღზე“ გადადის: როგორ არისო ჰაჯი-მურატი, რა ისმისო ნაიბის?

ნაიბის ბედი ამ დროს გადაწყვეტილია.

1852 წლის 1 მაისი საბედისწერო გამოდგა ჰაჯი-მურატისათვის. იგი სეირნობის დროს გაიქცა, მაგრამ მილიციის რამდენიმე ასეული დაედევნა, უთანასწორო ბრძოლაში დაცემულს თავი მოჰკვეთეს და თბილისში ჩამოიტანეს. ჩანს, დამოუკიდებელი მბრძანებლობა მოინდომა ლეკეთში. მთელი თბილისი აწყდება „ყაჩაღის“ თავს.

ვორონცოვი სამხედრო მინისტრს სწერდა, ამ უჩვეულო ადა-

მიანის სიკვდილმა დიდი პასუხისმგებლობისაგან მიხსნა, ეს იყო ორპირი მახვილი, მისი პატივმოყვარეობა მხოლოდ მის სიმამაცეს შეედრებოდა, მის სიმამაცეს კი საზღვარი არა ჰქონდაო.

ჰაჯი-მურატის „ჩაძაღლების“ ამბავი მოსდის თემირ-ხან-შურაში მყოფ სარდალს, უხარია, მთელი მთაც სიხარულით შეხვედრია ამას, „თუმცა ასე არ უნდა მომხდარიყო“. მართლაც, ჰაჯი-მურატი საშიში იყო მისი მოწინააღმდეგეებისათვის. გრიგოლ ბებუთაშვილიც სწერდა კონსტანტინე თარხნიშვილს: „ძაღლი ძაღლურად ჩაკვდაო“.

მაგრამ მოვიშოროთ ამაზრზენი ფიქრი ვაჟკაცის მოკვეთილ თავზე!

თბილისში ისევ ისე აფრქვევს შუქს აღმოსავლეთის თვალი — მანანა ორბელიანი. მის გარშემო ტრიალებენ იაკობ და ნინო ორბელიანების ასული თამარი, მისი დები ბაბალე, კატო, სოფიო—გრიგოლის ბიძაშვილნი — და სხვანი მრავალნი... ერთნი იფურჩქნებიან, სხვანი ადგილს თმობენ, მხოლოდ მანანა, ნინო და ეკატერინე რჩებიან უწინდებურად სხივოსანნი. იქ კი, შორეულ თემირ-ხან-შურაში, თავისთვის ოხრავს გრიგოლი: მაგათ ქუჩაში სულ ქორწილებია და მე კი წერილითაც აღარ გამიკითხეს, შამხალის წვეულებაში კენტად ჯდომა მომისაჯა ბედმაო!

ეს შამხალი, ისევე აბუ-მუსელიმ ხანი, გენერალ-ლეიტენანტია, საშამხლოს მმართველი. ერთ დროს მამაცი მეომარი იყო, ამ ბოლოდროს მოეშვა და სისხლზე მეტს ღვინოსა ღვრის. ჯამოვ-ბეგიც ლოთია, შტაბსკაპიტანი ნურბაანიც სუსტია და სულელი, ასე რომ, მხოლოდ აღალარ-ბეგისა და უსუფ-ბეგის იმედი რჩება, ვაჟკაცობითა და კეთილგონიერებით რომ გამოირჩევიან.

ლ. ტოლსტოიმ „ჰაჯი-მურატში“ პეტიანტური სიზუსტით აღადგინა მთავარმართებელ ვორონცოვთან დაახლოებული წრე*. „ვორონცოვი, — წერს იგი, — შემოვიდა აჩქარებული ნაბიჯით, ბოდიში მოიხადა ქალების წინაშე დაგვიანებისათვის, მიესალმა მამაკაცებს და მიუახლოვდა ქართველ კნეინა მანანა ორბელიანს, აღმოსავლური იერის მჭრიე 45 წლის მსუქან და მაღალ ქალს და გაუწოდა ხელი, რომ სუფრისაკენ წაეყვანა“. ამავე ადგილზე მოგვითხრობს დიდი

* ცნობილია, რომ ლევ ტოლსტოი სარგებლობდა ზისერმანის მოგონებებით „25 лет на Кавказе“ (ლ. მიშკოვსკაიას ცნობა).

მწერალი ერთ პატარა ეპიზოდს, რომელიც ხაზს უსვამს ქართველი მანდილოსნის — მანანა ორბელიანის დიდ ტაქტსა და საზოგადოებაში ღირსეულ თავდაჭერას. ჰაჯი-მურატის საგმირო თავგადასავლის თხრობისას, ერთმა ავყია გენერალმა ლაპარაკი დარღოს ექსპედიციაზე ჩამოაგდო. ცნობილია, რომ ეს ექსპედიცია რუსთა მხედრობისათვის სამარცხვინო კრახით დასრულდა და ამ ლაშქრობას თვითონ მთავარმართებელი ვორონცოვი სარდლობდა. ამ ამბავმა ყველა იქ მყოფნი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. მანანა ორბელიანი კეკლუცად მიუბრუნდა ამბის მთხრობელ გენერალს, საუბარი უცებ სულ სხვა საგანზე გადაიტანა და კრიჭაშეკრული, ავი სცენის მოწმე ოდინე, უცნაურად დადუმებული საზოგადოება თავისი გონიერებით დაიხსნა. ერთმა ცბიერმა ქართველმა თავადმა კი ვორონცოვის საამებლად ასეთი რამ თქვა: „ჰაჯი-მურატი რომ ევროპაში დაბადებულიყო, შეიძლება ახალი ნაპოლეონი გამხდარიყოო“. ამ ცბიერება სულელმა, — წერს ტოლსტოი, — კარგად იცოდა, რომ ნაპოლეონის ყოველი ხსენება ვორონცოვს სიამეს მოჰგვრიდა. თეთრი ჯვარი, რომელსაც მთავარმართებელი მუდამ თან ატარებდა, ხომ ნაპოლეონის დამარცხებისათვის ეკიდა ყელზე.

„Набег“-ში (1852 წ.) ტოლსტოიმ ბარიატინსკი ისე შესანიშნავად დაგვიხატა, რომ „სოვრემენიკში“ მოთხრობის დაბეჭდვის შემდეგ ოდნავ შეშინებულმა მომავალმა დიდმა მწერალმა საკუთარ დღიურში ჩაწერა: „მე ძალიან მაშფოთებს, რომ ბარიატინსკი თავის თავს იცნობს მოთხრობაში („Набег“). ჯერ კიდევ ახალგაზრდობის გამო საკმაოდ გამოუცდელმა, მაგრამ მწერლის უტყუარი ალღოთი და ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულმა ტოლსტოიმ კარგად ამოიცნო ბარიატინსკის საწადელი — სწრაფვა განდიდებისა და ანგარებისაკენ. მეფის სასახლის კულუარებისა და ოფიციალური ამბების დიდმა მცოდნემ პეტრე დოლგორუკოვმა თავის „Петербургские очерки“-ში სრული ნათელი მოჰფინა ბარიატინსკის კავკასიაში გამგზავრების მიზანს. პეტერბურგში სახტად დარჩნენ, როცა ბარიატინსკის კავკასიაში გამგზავრების განზრახვა შეიტყვესო,—წერს ეს უდიდესი მეჭორე. მხოლოდ ზოგიერთი მიხვდა, რაში იყო საქმე: ეშმაკმა მოხუცმა ერმოლოვმა, ერთ კაცს, რომელიც გაკვირვებას გამოთქვამდა ბარიატინსკის დედაქალაქიდან გამგზავრების გამო, უთხრა:

კავკასიაში ხომ დიდი მთებია, პეტერბურგში კი საფლობი ჭაობია, ჭაობში კი იმდენად არ შეიძლება განძრევა, რამდენადაც მთებში ჭვერვალებზე ავლაა მოსახერხებელი“.

დაღესტანში ყოველდღე საავდრო ღრუბლები იგრაგნებიან. დანიელ-ბეგი წახურში გამაგრებულა, ჭარ-ბელაქნის ოლქის ერთ მთიან სოფელში. შამილი კი ახლახან დაბრუნებულა გალა-შაელ ჩეჩენთა მხრიდან, სადაც არ შეუშვეს და დარღოში დგას, ტაბასარანში მისი კაცები ხალხს ამხედრებენ. გრიგოლი ხუთი ბატალიონით ქუთიშის მთაზე დგას, გენერალ სუსლოვის ორი ბატალიონიც გამაშის მთაზეა.

ვლადიკავკაზის ასამხედრებლად და სალაშქროდ გამზადებულა იმამი, მისი შეიწროებული ნაიბი დანიელ-ბეგიც მთიან მაჰალში გამაგრებულა, და არღუთინსკის მაგიერ სარღალად მყოფმა გრიგოლმაც თავისი ჯარი ქუთიშისაკან დაძრა, მაჰალის საზღვარზე დგას გენერალი ვოლკოვიც. ასე რომ, მთელი კასპიის მხარის მთათა რკალი რუსის ჯარებმა გაამაგრეს. გრიგოლი ელის გენერალ ალექსანდრე ვრანგელისა და გენერალ ვოლკოვის წასვლას წახურისაკენ...

შამილი იძულებულია უკან დაიხიოს, ხოლო რუსეთის არმიის ყოფილი გენერალი, აწ ისევ შამილის ნაიბი, სულთანი დანიელ-ბეგი გენერალ ვრანგელთან მართავს მოლაპარაკებას, პატიებას ითხოვს და წახურში დარჩენის უფლებას. ამ მოლაპარაკებას წარმატება არ მოჰყოლია და მოღალატე სულთანი გრიგოლ ორბელიანისა და ვრანგელის ერთობლივი ოპერაციების შედეგად მარცხდება, უკუიქცევა და ჭარ-ბელაქნის მაჰალს ტოვებს.

ელისუს ყოფილი სულთნის დანიელ-ბეგის დიდძალმა ჯარმა მაშინ ჭარ-ბელაქნის ჩრდილოეთ ნაწილში დაიხია და სამურის სანაპირო სოფლებში დაბანაკდა. ორბელიანმა ოთხი ბატალიონი გაგზავნა გენერალ-მაიორ ვოლკოვის წინამძღოლობით. ამავე დროს დაიძრა მისი მომავალი შემცვლელი, გენერალ-მაიორი ბარონი ვრანგელი, რომელმაც კაშალის მთა დაიკავა. დანიელ-ბეგი ისე გაიქცა, რომ ნადავლის წაღებაც ვერ მოასწრო.

ამ წარმატებას მოჰყვა თვით ორბელიანის ქართველთა მეთორმეტე ათასეულის, ქართველთა რაზმის, კახეთის მილიციის ბრწყინვალე გამარჯვება. 12 ივლისს, კოდორის მთის მიდამოებში, ლეკის

ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაურ პოლკოვნიკ ლევან მელიქიშვილის წინამძღოლობით ხიტრახოს ხეობაში შეჭრილმა ქართველებმა გატეხეს ლეკთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, აიღეს და ცეცხლს მისცეს მთელი ხეობა. გამარჯვება დააგვირგვინა ჩოლოყაშვილის ათას ორასმა თუშმა. ამ ბრძოლაში, რამაც დააშინა მხარის ავაზაკთა ურდოები, 350 დიდო დაიღუპა, 13 ტყვედ ჩაეარდა, ქართველებმა გამორეკეს ორი ათასამდე სული საქონელი. ჩვენს მხარეს დაიღუპა სამი კაცი და დაიჭრა 22. „დაღისტნის მთები ქებით იტყოდნენ“ შურისმაძიებელ გმირთა ამბავს. ვორონცოვმა ეს გამარჯვებები საგანგებო ბრძანებით აღნიშნა 1852 წლის 21 ივლისს.

1853 წლის 15 თებერვალს კი ვორონცოვი თავის ვრცელ წერილში დიდ მთავარს კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს, სხვათა შორის, სწერს:

„დაღესტნის მხრიდან კასპიისპირეთის დროებითმა სარდალმა გენერალ-მაიორმა თავადმა ორბელიანმა ჯარებისა და რეზერვების გონივრული განლაგებითა და იმ მხარის მოსახლეობისადმი მოპყრობისა და მისი სრული ნდობის მოპოვების განსაკუთრებული უნარით მრავალჯერ დაუყოვნებლივ, სრულიად უდანაკლისოდ მოიგერია ან გააბრუნა მტაცებელთა პარტიები, უმთავრესად ავარაგები და ყაჩაღები, რომლებიც თავს ესხმოდნენ უმთავრესად ჩვენი ყაზი-ყუმუხის ხაზის საქონელს“*. შემდეგ მოუთხრობს მის მიერვე გაგზავნილ გენერალ ვოლკოვის რაზმის წარმატების ამბავს.

ცოტა ადრე, 1852 წლის 20 დეკემბრის წერილში ვორონცოვი ბარიატინსკის ურჩევს, უშუალო ურთიერთობა იქონიე ორბელიანთან, და ეს თქვენი ერთობლივი მოქმედება წარმატების საწინდარი იქნებაო, და განაგრძობს:

„გუშინ მივიღე თავად გრიგოლის წერილი, რომლის ასლსაც გიგზავნით. ეს წერილი დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ, რადგან საკმაოდ ამართლებს თქვენს შეხედულებას ამ კაცზე, რომელიც ჭეშმარიტად გულითადი და კეთილშობილია, როგორც მეომარი და ადმინისტრატორი“**.

---

* Акты, т. X, стр. 62.

** А. Зиссерман. Барятинский, т. VI, стр. 250.

1852 წლის სამხედრო ოპერაციები ზაფხულსა და შემოდგომას ერთ ქარიშხლიან დღედ უქცევენ პოეტს და ის ღირსეულად უსწორდება ამ მორიგ გრიგალს. როცა მოსე არღუთინსკი ისევ თავის ადგილზე მოდის, გრიგოლ ორბელიანი ზაქათალაში ისე ბრუნდება, როგორც გამარჯვებული სარდალი და სტრატეგი. მეფისნაცვალი თავის წერილებში ქებით იხსენიებს მას და მის საქმეებს, ხოლო „კავკაზში“ ოფიციალურად წერს:

„გენერალ-მაიორმა თავადმა ორბელიანმა არა მარტო წარმატებით დაიცვა მისთვის მინდობილი მხარის სიმშვიდე ცხრა თვის განმავლობაში, არამედ ჯარების კეთილგონივრული განლაგებით მოწინააღმდეგის შემოჭრილ პარტიებს ყველგან არასასიამოვნო შეხვედრებს უწყობდა და არაერთხელ დაუსჯია სასტიკი დამარცხებით. არც ერთ, გამოხდომას არ მოუტანია მთიელებისათვის წარმატება და ყოველი მცდელობა ძვირად დასჯდომიათ. როცა ელისუს ყოფილი სულთანი დანიელ-ბეგი დიდი ბრბოთი შემოიჭრა მთიან მაჰალში იმ განზრახვით, რომ იქ გამაგრებულიყო და ემოქმედნა მისი მიდამოებიდან ნუქის მაზრისა და ბელაქნის ოლქის წინააღმდეგ, გენერალ-მაიორმა თავადმა ორბელიანმა თავისი სამაგალითო მზადყოფნით, რომ მეზობელ ჯართა უფროსებს საერთო საქმეში დახმარებოდა, გამონახა შესაძლებლობა თავი მოეყარა და ამ მაჰალისაკენ დაეძრა ძლიერი რაზმი... რამაც არამცირე დახმარება გაუწია შფოთისთავეობის განდევნის საქმეს... ჯარების ჯანმრთელობა, ადგილობრივი ხელმძღვანელობის ზრუნვის წყალობით, კარგ მდგომარეობაშია“*.

სამი კვირაც არ გასულა, რომ დაკისრებული მოვალეობის ბრწყინვალედ შესრულებისათვის გრ. ორბელიანს თვით ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზი უგზავნის „ყოვლად მოწყალე“ მადლობას და კეთილ განწყობილებას პირადი ხელმოწერით უდასტურებს**.

სისხლით იღებებოდა მწვანე იალაღი, სისხლი რწყავდა ყვავილებს. ცხელი ზაფხული იდგა.

1853 წლის 24 აგვისტოს შამილის აურაცხელა ბრბო გამოჩნდა ზაქათალასთან და მეორე დღეს დაიწყო დაბლა დაშვება, ღრმა ხე-

---

* „Кавказ“, 1853, № 11.

** „Кавказ“, 1853, № 24.

ობაში, სოფელში. მოსახლეობა გაიხიზნა. ორბელიანმა მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა ვორონცოვს, თვითონ კი სამნახევარი ათასეულით, ხუთასი ცხენოსნითა და ექვსი ქვემეხით შეეგება მტერს, რომელმაც ის იყო დაიკავა ზაქათალა.

სარდლის ბრძანებაზე ჩვენი ჯარი სოფელში შეიჭრა, შეუპოვარ ბრძოლაში სძლია მთიელებს და მთებში გარეკა. მაგრამ გრიგოლი თვითდამშვიდებას არ ეძლევა და არც იოლი წარმატების იმედი აქვს. ბარათში ვორონცოვს აუწყებს, რომ შამილი მთაზეა გამაგრებული და იქიდან მისი განდევნა არ შეუძლია ამ მცირე ჯარით, რაც ერთადერთი მცველია ლეკის ხაზის, ნუხის და მთელი მიწა-წყლისა თვით თბილისამდე. ამ ჯარის დაქსაქსვა და რისკის გაწევა არ შეიძლება. შამილს კი შეუძლია ხალხი გაგზავნოს და მოსახლეობა აგვიმხედროსო, აფრთხილებს მთავარსარდალს. მართლაც, შამილს ახლა შეეძლო აეღო სიმაგრეები და დიდი ვნება მიეყენებინა მხარისათვის, დრო რომ არ დაეკარგა და ქედზე ბოლთის ცემა არ დაეწყო.

ორბელიანის ვარაუდი მართლდება: თვით ვორონცოვი აუწყებს გვიან თავად დოლგორუკოვს, თურქეთთან ომის სუნი რომ იგრძნო, შამილი გათამამდა და მხოლოდ ორბელიანისა და მისი ჯარის სიმამაცემ გააბრუნა მთებშიო.

თურქეთთან ომის დღეებში, ყოველ გამარჯვებას მთებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

4 სექტემბერს შამილმა ზაქათალის პოზიციის პირდაპირ მესელდეგერის სიმაგრეზე მიიტანა იერიში. ლეკის ხაზის რუსი ჯარები ფარულად მიჰყვებოდნენ. მესელდეგერის მუჭა მამაცნი, სამეგრელოს ეგერთა პოლკის მეომრები, ყოველი მხრიდან შეეული მთებით გარემოცულნი, ალყაშემორტყმულნი და უწყლოდ გატანჯულნი, შეუპოვრად იბრძოდნენ და 13 დღის განმავლობაში ზედიზედ უკუაგდებდნენ ურიცხვი მტრის ურდოებს, თვითონ კი თითქმის უვნებლად რჩებოდნენ. ორბელიანი ჯარს უფრთხილდებოდა და დაღესტნის რაზმის გამოჩენას უცდიდა. ბოლოს, როცა მოსე არღუთინსკის ჯარიც გამოჩნდა, ორივე მხრიდან შეუტიეს და სასტიკად დამარცხებული მტერი მთებში განდევნეს, ჯურმუთში.

ვორონცოვი აღტაცებულია ორივე სარდლის სიმამაცითა და მოხერხებით.

თვით სიტყვაუხვმა გრიგოლმა ვერ ასახა ეს ბრძოლა თავის წერილებში.

საბედნიეროდ, გრიგოლს არ ეზარება წერილების წერა. არც ერთ ქართველ მწერალს არ დაუტოვებია ეგზომ ბევრი, შინაარსიანი, მახვილგონიერული, საჭირო წერილების მთელი სამი ტომი! მეტადრე დაღესტანს მყოფი პოეტი ზედიზედ სწერს ორსავე ძმას — ილიას და ზაქარიას, მათს მეუღლეებს, სვიმონ შალიკაშვილს, ვასილ ბებუთაშვილს, ელისაბედ, ქეთევან და მანანა ორბელიანებს, ქეთევან და ბაბალე საგინაშვილებს, დიმიტრი ჯორჯაძეს, ყაფლან ორბელიანს, ეკატერინე დადიანისას და ა. შ.

მართლაც, ხომ უნდა გაიგოს, როგორ არიან მისი ძმები და რძლები, როგორ მოურავობს ყაფლანი, რასა იქმს მანანა, მსახურობს თუ არა მისი ივანე, ვინ პირველობს ქალთა მარაქაში, ვინ ეკურკურება ამჟამად იაკობ ორბელიანისა და ძალუა ნინოს ასულს, ლერწამტანა თამარს?.. ხომ უნდა იცოდეს, რისთვის წაბრძანებულან ალავერდობას „ორი ბებერი ქვრივი“ — სოფიო და მისი რძალი ქეთევანი, ზაქარიას ქვრივი — ვითომ სალოცავად — და ვისი გული უნდა გაეხარებინა: ტყუილის ოხვრითა და გულში ცემით? ხომ უნდა ჩავიდეს — ოცნებით მაინც — წინანდალს, ინახულოს „დაბერებული ნინო“ და მოიგონოს დრონი წარსულნი?

ყველას დარდი აწუხებს, ყველას იალერსება, ყველას შესჩივის თავის ტკივილსა და მწუხარებას, ნუგეშს ეძებს და ანუგეშებს. ასე, 1852 წლის ზაფხულში რძალს ქეთევანს, ზაქარიას მეუღლეს, საყვედურობს, სანდრიკოს წასვლის გამო რამდენს წუწუნებო! სანდრიკო ზაქარიას ვაჟია, მთელი ორბელიანთა ოჯახობის იმედი, იმ წელს პეტერბურგს გაამგზავრეს სასწავლებელში, მაგრამ არ ატყობინებენ, ვისთან, როგორ, ვისი ბრძანებით. გრიგოლი ნაწყენია:

„ყველანი ერთგვარად, მანანასავით, იწერებით: „ეხლა ვეშურები, ვერ მოვიცალე და შემდეგ კი მოგწერ ყოველივესავე დაწვრილებით“. შემდეგშიაც ისევ იმას იწერება... ალექსანდრე რომელს პოლკში განწესებულა და ან საით წავიდა? ქალო, ამბავი უნდა დააბოლოვო და?“

ეს თითქოს უმნიშვნელო დეტალი იმისათვის დავიმოწმეთ, რომ მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ გრიგოლის ხასიათის ერთ მხა-

რეზე, სიზუსტეს, სისწორეს და გარკვეულობას ითხოვს ყოველ საქმეში. მეგობარ-ნათესავები კი გაჩუმებული არიან, გასაოცარი სიზარმაცე სჭირს ყველას. იმავე წერილში მანანას ვაჟის—„პატარა ალექსანდრეს“ („ჩაჩნის“) ამბავს კითხულობს, მერე რომ მასთან იმსახურებს დაღესტანში, და მისსავე მეორე ვაჟს ივანეს ტუქსავს: ან წადი, თანამდებობას მოჰკიდე ხელი და წესიერად იმსახურე, ან იყავი მაგ თბილისში, ყველა წინაპარი იქ არის დამარხულიო! მაძუკას მეუღლე ქეთევანსაც. ემდურის: დამივიწყაო.

გადის ორიოდე კვირა და უკვე ძმას — ილიას ემდურის, რატომ არასა მწერ, მანდაურ ამბებს არ შემატყობინებო!

თვით გრიგოლს კი 1852 წლის ივლისში ბევრი არაფერი აქვს, შესატყობინებელი. დაღესტანში ცივა, სითბო ათ გრადუსზე ძლივს ადის. ბაირამიც გავიდა, ჩაჩნის გამოლაშქრების ხმები კი არ გამართლდა. გრიგოლს იმედი აქვს, „თუ ეს ბატალიონებიც მომესწრონ, მაშინ ბევრს გაიტანს, იმის მამას აქვს ცხონება, დიდს დინგაუსო!“

დინგაუ, ავარიელი უზდენი, გიმრის მცხოვრები, შამილის მამაა, 1825—1830 წლებს შორის გარდაცვლილი, ამირ-ხანის შთამომავალი, თუმცა სავინოვი წერს: „არც თვით შამილი, არც ჩვენ არ ვიცნობთ შამილის მამასო“*. ამ შემთხვევაში ძალა ეძლევა მოარულ ხმას: შამილი ერეკლე მეფის ძის ალექსანდრე ბატონიშვილის შვილი იყოო.

როგორიც უნდა იყოს შამილის ჩამომავლობის საკითხი, მას დიდი კრძალვა და რიდი აქვს ორბელიანისა.

„საკმარისია გრიგოლმა დიდ ჩაჩნეთში გაისეირნოს, რომ შამილი ჯარების ახალ მობილიზაციას აღარ დებსო“, — ხუმრობენ ოფიცრები.

ქუთაისის მწვერვალზე დაბანაკებული გრიგოლი არ ივიწყებს არც შამილს, არც თბილისს, არც თბილისელებს, არც ილიას, არც სანდრიკოს, რომლის პეტერბურგს გამგზავრების ამბავი წესიერად ვერ შეატყობინეს, და არც ყაფლანს, რომლის დიამბეგობისა სულ ეშინია: ვაი თუ რამე საქმე აიკიდოსო!

---

* „Сын Отечества“, № 41. стр. 45.

ზოგჯერ ილიასთან მიწერილ ბარათს გენერალ ერმოლოვის ვაჟი კლავდი (ომარი) ხუმრობით წააწერდა ხოლმე ორ სიტყვას, თუნდაც ასეთს:

Милый мой Илико,
Расстояние между нами далеко,
Разделяют нас высокие горы,
Где живут страшные воры...

ეს გონებამახვილი ომარი, ყოფილი მთავარსარდლის უკანონო ვაჟი, რომელიც ლეკის ქალ ტოტაისგან ეყოლა, გრიგოლთან მსახურობს და ეტყობა, კარგი ურთიერთობა ყოფილა მათ შორის, რომ ერმოლოვი კმაყოფილია.

ქუთაისში სიმშვიდე არ არის. ხშირად მოდის შეტაკებათა ამბავი. 28 ივლისს ჯუნგუთაიზე ცხრა ნაიბი მივიდა ორი ათასამდე ცხენოსნით. ჯუნგუთაელებმა მამაცი ლაზარევის მეთაურობით და მაიორ ტიხონოვის ასეულებმა ნაიბები სასტიკად დაამარცხეს. გრიგოლის მიერ ჯარების გონივრული განლაგება უკვე იძლევა ნაყოფს.

ნოემბერში ახალი წარმატებებია. გრიგოლი ხან მაიორ ლაზარევს გზავნის, ხან გენერალ ვოლკოვს და საგრძნობ ზიანს აყენებს ლეკებს.

1852 წლის ბოლოს თემირ-ხან-შურას მყოფი სარდალი სულ ყიზლარის გზას გასცქერის, მოუთმენელად ელის არღუთინსკის დაბრუნებას, რომ ადგილი დაუბრუნოს, თბილისი მოიაროს, ახლობლები ინახულოს, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩება დიდხანს. არღუთინსკი აგვიანებს. ბოლოს, როგორც იქნა, დაბრუნდა, მაგრამ გრიგოლი მომდევნო წლის თებერვლამდე თემირ-ხან-შურაში დარჩა, ვეღარ „გამოსწია კურიერსავით თავისი „იარანალი“ ძმისა და „ძალუა ქეთევანის“ სანახავად. მხოლოდ წერილებით მოიკითხავს ყაფლანსა და დიმიტრი ონიკოვს...

1852 წლის 24 ოქტომბერს გრიგოლი პირველად უწოდებს თავის უმცროს ძმას ილიას „იანარალს“. „აქტები“ გვაუწყებენ, რომ მამაც ილია ორბელიანს გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს. გრიგოლი გახარებულია, ულოცავს ხელმწიფის წყალობას, მოიკითხავს

რძალს, ბარბარე ბატონიშვილს, და ეკითხება: ნეტა, ჩვენი მელიტონი რას იტყვის შენს გენერლობაზეო!

ღმერთი არ ტოვებს უყურადღებოდ ზურაბიანთ! სულ წინ მიდიან. ალექსანდრე ორბელიანიც აღიარებს იმავე წერილის მინაწერში, ზურაბიანთ გაგვასწრესო. ვინ იცის, რას იტყოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომ თავისი საყვარელი ბიძების გენერლობას მოსწრებოდა!

ვორონცოვი ილია ორბელიანს სხვანაირად არ იხსენიებს, თუ არა „ჩვენი მამაცი ილიკო"*.

გრიგოლი კი მოკლედ ამბობს: „ვნახოთ, რა გამოვა მანდედანო!" და, მართლაც, საბედისწერო ამბავი გამოვიდა: გენერალი ილია ორბელიანი მამაცურად დაიღუპება „ურჯულო" თურქებთან ბრძოლაში. ასრულდება გრიგოლის უცნაური სიზმარი.

ლეკის ხაზი და ბაშ-კადიკლარის ტრაგედია

1853 წლის 10 იანვარს, როგორც იქნა, არღუთინსკი თემირხან-შურაში დაბრუნდა. გრიგოლი 15 იანვარს უნდა წასულიყო ზაქათალაში, რათა შეეცვალა ვრანგელი, მერე კი თბილისში ფიქრობდა ჩამოსვლას.

ყველაფერი დამოკიდებული იყო მეფისნაცვალზე.

1853 წლის 2 თებერვალს კავკასიის მთავარმართებელმა ვორონცოვმა „ინება" კავკასიის ცალკე კორპუსის ჯარებისადმი ბრძანების გაცემა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ გენერალ-ადიუტანტ არღუთინსკი-დოლგორუკოვის უცხოეთში სამკურნალოდ გაშვებასთან დაკავშირებით, მისი მოვალეობის შემსრულებლად — კასპიისპირეთის ჯარების სარდლად ინიშნება გენერალ-მაიორი გრიგოლ ორბელიანი, ხოლო ლეკის ხაზის უფროსად მის ნაცვლად დაინიშნა გენერალ-მაიორი ბარონი ვრანგელი**.

„ორივე გენერალმა, — განაგრძობს მთავარსარდალი, — სავსე-

---

* А. Зиссерман. Барятинский, т. I, стр. 229.

** „Кавказ", 1853, № II (I)

ბით გაამართლა ჩემი ნდობა. გენერალ-მაიორმა თავადმა ორბელიანმა არა მარტო წარმატებით დაიცვა მისდამი დაქვემდებარებულ მხარის სიმშვიდე 9 თვის განმავლობაში, არამედ ჯარების კეთილგონივრული განლაგებით, შემოჭრილი მტრის პარტიებს მათთვის არახელსაყრელი შეხვედრებიც მოუწყო და არაერთხელ დასჯა ისინი ძლიერი დამარცხებებით; მთიელთა არც ერთ ცდას არ მოჰყოლია წარმატება და ყოველი გამოხდომა საგრძნობი ზარალის ფასად დაუჯდათ. ადგილობრივი მილიცია გულმოდგინედ ეხმარებოდა და მამაცურად ეგებებოდა მტერს. როცა ელისუს ყოფილი სულთანი დანიელ-ბეგი დიდძალი ბრბოთი შემოიჭრა მთიან მაჰალში და სცადა იქ დამკვიდრება... გენერალ-მაიორი თავადი ორბელიანი სამაგალითო გულმოდგინებით ეხმარებოდა მეზობელ უფროსებს საერთო საქმეში, შესაძლებლად ცნო დაეძრა იმ მხარეში ძლიერი რაზმი, რამაც არამცირე დახმარება გაუწია შფოთისთავების ბრბოს განდევნის საქმეს". ამ ბრძოლების მიუხედავად, ორბელიანმა უზრუნველჰყო ჯარების საღად და ორგანიზებულად შენარჩუნება. მთავარსარდალი გულწრფელ მადლობას უცხადებს ორბელიანსა და ვრანგელს.

ვორონცოვის მიერ სხვა გენერლებიდან გრ. ორბელიანის გამორჩევა და არღუთინსკის ადგილზე ქართველი გენერლის დანიშვნა უკვე მისი ნიჭისა და ძალის აღიარებაც იყო.

1853 წლის ზაფხული მაინც შედარებით წყნარია. აგვისტომდე შამილის ჯარებთან დიდი შეტაკება არ ჰქონიათ და სარდალმა მოიწყინა.

სამშობლოს მოწყვეტილი პოეტი ნუგეშს იმაში პოულობს, რომ ერთთავად ხუმრობს, ხალისიანი იუმორით ებრძვის დარდსა და მარტოობას. აი, ძალუა ქეთევანი ავად გამხდარა და გრიგოლი სწერს: „მეტად გოლიათის აგებულებისა რომ ხართ, ნუ დაიშლით ძალით ავადმყოფობასა. ერთხელ ხომ უნდა მოეკვდეთ და ბარემ ეხლავ წყალში გადავეარდეთო!" აგერ, „გიჟი ნიკო" სტუმრებია, მთელი ორი კვირა დარჩენილა და წასულა (ეს „გიჟი ნიკო" სხვა არავინაა, თუ არა ნიკო ჭავჭავაძე, მომავალი გენერალ-მაიორი და 1883 წლიდან დაპყრობილი დაღესტნის გენერალ-გუბერნატორი).

სამი წლით გვიან კი ილიას სწერს და შესჩივის: მთავარმართებელსა და მის მეუღლეს ელისაბედ ვორონცოვისას ველი სტუმრად, ხვითქი გადამდის და ვერაფერი მიპოვნია, არც მაგათი ჟინები ვიციო. აქ კი სარდლურად ხუმრობს: „ამ წყეულ ზაქათალაში — არცა არა არის რა სრულებით იმისთანა ნუგბარი კნეინის მისართმევად, და თუ ძირჩევ, ორიოდ ყაჩაღის თავებს მოვაჭრევინებ და მივართმევო“. დრო იყო სისხლიანი, დრო ავაზაკთა თარეშისა, და მთავარსარდლის მეუღლისთვის ყაჩაღთა თავებზე უკეთესი რა უნდა მიერთმია ბრძოლის ველზე მცხოვრებ პოეტს.

ყაჩაღთა თავების ნაკლებობა კი დაღესტანში ნამდვილად არ იგრძნობა. სწორედ აპრილში ბოლო მოუღეს თავად ზაქარია ერისთავის კიდევ ერთ მკვლელს, გამოჩენილ ვაჟკაცს სიმინაუს. ალაზანზე გასვლის ცდის დროს დაესხნენ თავს ბელაქნელები, მუსრი გაავლეს მის ოცდაათკაციან რაზმს და ქიზიყისაკენ გასვლის ნაცვლად საიქიოს გაამგზავრეს „კურთხეულ დინგაუსთან“. სამი ავაზაკის მოჭრილი თავი მოართვეს გრიგოლს, ასე რომ, ვორონცოვისათვის კოლორიტული ფეშქაში მზადაა. ბედზე თანა ჰყავს ილიას მზარეული ფილიმონაც, და იმედი აქვს, პირშავად არ გამოიყვანს მთავარმართებელთან.

უეცრად მეფური სიმაღლეებიდან ისევ დაბლა ეშვება და „მის საკუთარ ყაფლანს, ჩინებულ ყაფლანს“ ულოცავს დიამბეგობიდან თავის დაღწევას და თავის სამშობლო ოჯახში დაბრუნებას: „სულ მაგის პოდსუდობისა მეშინოდაო“, დასძენს. მართლაც, ყაფლანი სამსახურში ორივე ფეხით კოჭლობს. მისი საქმეა სუფრა, ქორწილი, ყაბახი. საკვირველია ის ფაქიზი, გულთბილი ირონიით შეზავებული სიყვარული, რასაც გრიგოლი ყაფლანის მიმართ იჩენს: ეს ერთი გვყავს, ყველამ ასიამოვნეთო, იწერება ყოველ მესამე წერილში.

შუა აპრილში მართლა ჩამოდიან მთავარმართებელი და მისი მშვენიერი მეუღლე, რომელსაც ერთ დროს პუშკინი ეტრფოდა. ღირსეულად დახვდა პოეტი-სარდალი მეფისნაცვალს. მეფური სუფრა გაუწყო, მოდიოდა ციდან ფრინველი, ზღვიდან თევზი, ტყიდან ნადირი. მწვადი, ყინული, წვენი, ბატკანი, ფლავი, ნარინჯი, უთვალავი აღმოსავლური და დასავლური კერძი და ტკბილე-

ული გაუშალეს აღმოსავლეთის მბრძანებელს, ილიას თავდიდრ გრენადერები ამაყად ისხდნენ ვეება კაკლის ქვეშ და შეზარხოშებული მუსიკოსები დაუზარებლად გასძახოდნენ დიდების ჰიმნებს. მთავარმართებელს წამლებიც გადაავიწყა ფილიმონას მომზადებულმა ნუგბარმა საქმელებმა. აქ არიან გენერლები თუ გრენადერები, ქართველები, რუსები თუ ჩაჩნები, ტურფა ქალები თუ მამაცი ვაჟკაცები. ქაჩალი მაჩაბელი უფრო გაქაჩლებულა, ქეთევანის ძმა პლატონი დღეს ჩერქეზულად გამოწყობილა. ისე ხან ფრანგივით გამოეწყობა, ხან ვეება ხანჯლით დაბრძანდება და არის ყოველდღე მისი ფერისცვალება. გრიგოლი ყველასათვის იცლის. აქვე ჰყავს ჰორების მოყვარე ალექსანდრე, მანანას ვაჟი, აგრეთვე პოლკოვნიკი დემონტოვიჩი, პოეტი, და მოცალეობის ჟამს საადის ლექსებს ათარგმნინებს სპარსულიდან... გრიგოლს უყვარს გართობა.

* * *

თემირ-ხან-შურაში მყოფი სარდალი არც ქართულ მწერლობასა და ჩვენს პრესას ივიწყებს, 1853 წლის 4 იანვარს წერილში თავის რძალს ქეთევან ორბელიანს სწერს:

„სარდიონს უთხარი, რომ მაგისგან დაწერილი ცისკარში დიდი სიამოვნებით წავიკითხე; მაგრამ მაიმუნის აღწერაში რა საჭიროა სახარების სიტყვები „რამეთუ", „უკეთუ, მიერით" და სხვანი. მკვდარნი სიტყვები, რომელნიცა ჰსცხოვრობენ დაბადებაში და ძველს წიგნებში და ეხლა აღარ ჰხმარობს ხალხი".

იასონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი, ქეთევანის ღვიძლი ძმა, ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ფრანგულიდან თარგმნის და „ცისკარში" ბეჭდავს მოთხრობას „ჟოკო". მისი ენა ერთობ მძიმე და არქაიზმებით გადატვირთულია. გრიგოლ ორბელიანი, გვიან „მამათა ბანაკის" ბურჯი, სავსებით საღად უყურებს დაღესტნის მთებიდან ქართული მწერლობის ასპარეზს და სამართლიანად უარყოფს თანამედროვე სამწერლო ენის გადატვირთვას სახარების „მკვდარი სიტყვებით". იცის, ეწყინება იასონ მესხიშვილს, მაგრამ ლიტერატურული იდეალები არ დაითმობიან.

დაღესტანი ბრძოლის ცეცხლშია გახვეული, სამწერლოდ და სათეატროდ ცუდი ამინდია. გრიგოლი მაინც არ ცხრება, თემირხან-შურაში თეატრი გამართა, მშვენივრად თამაშობენ თავადი ივანე ბაგრატიონი, დიდი სარდლის ახლო ნათესავი, ტრიფონ სემიონოვი, ქალბატონი პაღარჟელსკაია და სხვანი, ორბელიანის „კარის მსახიობნი“.

* * *

სხვა ახალი ამბებიდან გრიგოლს ყურადღების ღირსად მიაჩნია შამილის ოჯახური საქმენი. 1853 წლის დასაწყისში იმამს „ერთი ცოლთაგანი გაუშვია“, „უწინდელი გიმრელი გამოუსტუმრებია ამილთასა, სადაცა თან გამოუტანებია საიდუმლო დასამალავად მითომ, შვიდი ვირის საპალნე ხაზინა“.

მართლაც, შამილი ჩოხაზე უფრო ხშირად იცვლის ცოლებს. ჯერ კიდევ 1812 წელს ხუთმეტი წლისამ შეირთო გიმრელი ხორია, სულ სამი დღე უცხოვრია და გაუგდია.

მეორე ცოლი, ფატიმათი, ოცდასამი თუ ოცდაოთხი წლისამ შეირთო, ეს იყო აქიმ აბდულ-აზიზის ასული, რომელიც 1845 წელს გარდაცვლილა, ვორონცოვის ლაშქრობის დროს, სოფელ ალისტანჯაში.

მესამე ცოლი, ჯავგარათი, შვილთან, საიდთან, ერთად დაუპყრია ახულგოს აღების დროს, 1839 წელს. მეოთხე — ზაინაბი, ჩეჩნელებთან დამოყვრების მიზნით შეურთავს 1840 წელს, გარეგნული წესები დაიცვა, მოწმეთა დასწრებით იცხოვრა მასთან სამი საათი და გაეყარა. მეხუთე ცოლი რუსი იყო, ანა, ივანე ულუხანოვის ასული. 1840 წლის 29 სექტემბერს გაუტაცნია ეს ქალიშვილი მოზდოკიდან ნაიბ ახვერდი-მაჰმადს და დარღოში მიუგვრია იმამისათვის. შამილმა ის მონათლა, შუანეთი უწოდა და რამდენიმე წლის შემდეგ შეირთო. გაჰყვა მექაში 1870 წელს მეექვსე ცოლთან, ყაზი-ყუმუხელ ზაიდეთთან ერთად.

მეშვიდე ცოლი ფატიმათი ბებერი და უმსგავსი ყოფილა, შეურთავს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მეურნეობა გაემართა, ოჯახისათვის მოევლო. აი, ამ ფატიმათთან გაყრაზე ლაპარაკობს თავის

წერილში გრიგოლ ორბელიანი. ეს ქალი, მართლაც, არ უნახავთ შამილის ტყვეებს, 1854 წელს ვედენოში მოხვედრილ ბარბარეს, ილია ორბელიანის ცოლს, და ანა ჭავჭავაძეს.

შამილის ცოლების ისტორია არც ამით თავდება: 1854 წელს მერვე ცოლი შეურთავს, ქისტი ქალი ამინათი, თვრამეტი წლის მომხიბლავი ქალწული. ამ ქალსაც მალე გაეყარა. ვიდრე მეცხრე ცოლის შერთვას მოასწრებდა, შამილი ფარ-ხმალს ყრის და ამიერიდან მისი გზა გაივლის კალუგასა და პეტერბურგში — მექასაკენ.

* * *

1853 წლის 24 აგვისტოს იწყება შამილის ჯარების შეჭრა ჭარ-ბელაქნის ოლქში. ჯერ ჭარის მაღლობზე გამოჩნდა მოულოდნელად შამილის შვილი ყაზი-მაჰმადი, კერსტის ნაიბი, თავისი ათი ათასი გაალმასებული მეომრით. თან ახლდა დანიელ-სულთანი. გრიგოლი ძველ ზაქათალასთან შეხვდა და მცირე შეტაკებაში სძლია. ლეკებმა ბრძოლის ველზე ასამდე კაცი დაკარგეს. მაგრამ ლეკები არ იყვნენ დამარცხებული. მთაზე მდგარი მთელი არმია ემუქრებოდა მესელდეგერის ციხეს. გრიგოლმა საქმის ვითარება სასწრაფოდ აცნობა დაღესტნის ჯარების სარდალს მოსე არღუთინსკის.

კავკასიის ომების ისტორიაში არღუთინსკი ისეთი კოლორიტული ფიგურაა, რომ მისი დამსახურება უფრო ვრცელ დახასიათებას ითხოვს.

არღუთინსკები ქართველ მეფეებს ემსახურებოდნენ.

თავისი დროის გამოჩენილ დიპლომატს, სომხეთის პატრიარქს იოსებ არღუთინსკის პირველად მიუღია პავლე პირველისაგან დოლგორუკოვის წოდება. მისმა შთამომავალმა მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვმა განათლება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიიღო. მამა სამოქალაქო სამსახურისთვის ამზადებდა, მაგრამ მთავარსარდალმა ერმოლოვმა შენიშნა მისი არაჩვეულებრივი ნიჭი სამხედრო საქმეში და მამა დაიყოლია, რომ 19 წლის ჭაბუკი პეტერბურგის ლეიბგვარდიის ცხენოსანთა პოლკში ჩაერიცხა. 1829 წ. ერევნის აღებაში გამოჩენილი სიმამაცისათვის პოლ-

პოლკოვნიკი გახდა, 1844 წ. კი უკვე გენერალ-მაიორია და სამხრეთ დაღესტნის ჯარების სარდალი, სამი წლის შემდეგ, დერბენდის სამხედრო გუბერნატორი, მალე გენერალ-ლეიტენანტის წოდებაც მიიღო. მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილმა არღუთინსკიმ, რომლის სინდისს აჯანყებულ გურულ გლეხთა სისხლიც აწევს, 1848 წელს ლეკებს სოგრატლი და ტილიტლი წაართვა, მიიღო ანას პირველი ხარისხის ორდენი და ალმასით შემკული ხმალი წარწერით „მამაცობისათვის". 1847 წ. სალთის აღების დროს მიიღო მეორე მძიმე ჭრილობა (ტყვიამ ყბაში გაუარა). მთის არწივთა დაშარცხებისათვის თეთრი არწივის ორდენი მიიღო. 1848 წელსვე აიღო გერგებილი, ხოლო მისკინჯის მისადგომებზე ლეკთა დამარცხებისათვის — ალექსანდრე ნეველის ორდენზე წარადგინეს. ასე მიდიოდა წინ სამხედრო დიდების გზაზე ეს ტანდაბალი, ულამაზო, პირჩუში, უანგარო და თავის თავში ჩაკეტილი კაცი, ვიდრე 1855 წლის 20 თებერვალს თბილისში არ გარდაიცვალა.

არღუთინსკის უკანასკნელი და ყველაზე უფრო შესანიშნავი ლაშქრობა, რაც მძიმე პირობებში კავკასიის ქედის გადალახვით, შამილის ზურგში შეჭრით და რუსთა გამარჯვებით დამთავრდა, დაკავშირებულია გრიგოლ ორბელიანის სახელთანაც.

როგორც ვამბობდით, ორბელიანმა ყაზი-მოჰამედისა და დანიელ-ბეგის ჯარების შემოჭრა შეატყობინა არღუთინსკი-დოლგორუკოვს და ისიც იქით გაეშურა. მან მთიანი დაღესტნიდან დასძრა 27 აგვისტოს თავისი ხუთი ბატალიონი, და ხუზრეკისა და ნოსდალის გზით მესელდეგერის ციხეს მიაშურა.

ვიდრე არღუთინსკი მძიმე გზას მიიკვლევდა, გრიგოლმა მუხახის ხეობაში შემოჭრილი დანიელ-ბეგისა და ყაზი-მოჰამედის ჯარები მოიგერია. შამილმა კი მესელდეგერის ციხეს შეუტია, სადაც პოდპოლკოვნიკი კრიტსკი მამაცურად იცავდა თავს. ბოლოს არღუთინსკიც მოახლოვდა. შამილმა ციხეს ალყა მოხსნა და გაიქცა. გრიგოლ ორბელიანი ჯარით დაედევნა, მაგრამ ვერ დაეწია.

არღუთინსკის ამ ლაშქრობას რუსი სამხედრო ისტორიკოსები ადარებენ ნაპოლეონის გადასვლას ალპებზე, რაც, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულად ჟღერს.

ლეკის ხაზზე შამილის შემოჭრის დროს ორბელიანის მიერ გა-

მოჩენილი მამაცობისათვის გენერალმა ვოლფმა დაწერა მადლობის ბრძანება, რაც შტაბის უფროსმა ხელის მოსაწერად ვორონცოვს შეუგზავნა. 72 წლის მთავარმართებელმა (მხოლოდ ასაკით შეიძლებოდა ასეთი უგუნურობის გამართლება) ბრძანება დახია და ადიუტანტის ხელით ვოლფსავე გაუგზავნა. გენერალმა არაფერი თქვა, მაგრამ სახე ნაღვერდალივით გაუხდა.

მოხდა უარესიც. ვორონცოვმა თქვა:

— თურქეთთან ომის მოლოდინში მე ვერ დავუშვებ შტაბის უფროსად კაცს, რომელსაც ცხენზე ჯდომის ეშინიაო.

საქმე ის იყო, რომ შტაბის უფროსობის ორი პრეტენდენტი— ვოლფი და ბარიატინსკი — სულ სხვადასხვა ტიპის ადამიანები იყვნენ და არავინ იცოდა, რომელზე შეჩერდებოდა ვორონცოვი. ვოლფი ჭკვიანი, მცოდნე, კაბინეტის კაცი იყო, ბარიატინსკი — მებრძანებელი და ჰირივით სძულდა ქაღალდები, „წერტილი და მძიმე“.

ვორონცოვმა ბარიატინსკი ამჯობინა. ვოლფმა გადადგომის თხოვნა შეიტანა.

ეს ჩვეულებრივი გენერლური ინცინდენტი აქ იმისათვის გავიხსენეთ, რომ ის სწორედ იმ ბრძანებაზე გადატყდა, რაც ორბელიანის საბრძოლო დიდებას ეხებოდა.

* * *

ამ ხანებში, 1853 წლის გაზაფხულზე, თურქეთის ხაზზე ომის ღრუბლები წვებიან. გრაფ მენშიკოვის მოლაპარაკებას სულთანთან ნაყოფი არ მოაქვს, და მეორე გრაფი, კანცლერი ნესელროდე თურქეთის სამხედრო მინისტრს აუწყებს: თუ მენშიკოვის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებთ, რუსი ჯარები თურქეთის საზღვარს გადალახავენო: დუნაიზე მდგომი რუსთა ოთხმოცათასიანი არმია უშუალოდ ემუქრებოდა თურქეთის ქვეშევრდომ მოლდავიისა და ვალახიის სამთავროებს.

რას ითხოვდა თავადი მენშიკოვი? უნდა შეწყვეტილიყო რუს და ბერძენ ქრისტიანთა შევიწროება იერუსალიმის წმინდა ადგილებში. მაგრამ ეს იყო მხოლოდ საბაბი. ნამდვილად კი ამ სისხ-

ლისმღვრელ ომს მრავალი მიზეზი ჰქონდა. დასავლეთს აღიზიანებდა რუსეთის გაძლიერება და ევროპის საქმეებში მისი ჩარევა. ინგლისი რუსეთის სახით ხედავდა საშიშ მეტოქეს, ნაპოლეონ III-საც ავ მეტოქედ მიაჩნდა ნიკოლოზ პირველი, არც პრუსიას ეჭაშნიკებოდა რუსეთის გაძლიერება. ამრიგად, თურქეთს საშიში ქომაგნი გამოუჩნდნენ ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრია-პრუსიის სახით. შავ ზღვაში ინგლის-საფრანგეთის ფლოტი გამოჩნდა. დასავლეთის ძალუმი კავშირი გაოცებული დარჩა, როცა ნიკოლოზმა გამოწვევა მიიღო, თუმცა ყველამ იცოდა, რომ მისი არმიის საერთო რიცხვი მილიონსაც არ უახლოვდებოდა და საერთოდ რუსეთი ასეთი ომისათვის სრულიად მოუმზადებელი იყო. ბათუმისა და ახალციხის მხარე ხომ ჯარებით სრულიად გაუმაგრებელი აღმოჩნდა და მთელი კავკასიის ხაზი ზღვიდან ზღვამდე სამ ბატალიონსა და კაზაკთა დაქსაქსულ რამდენიმე რაზმს არ აღემატებოდა.

1853 წლის 14 სექტემბერს თურქეთმა გადაწყვიტა ომის გამოცხადება, ხოლო 27 ოქტომბერს ინგლის-საფრანგეთის ფლოტი ბოსფორში ჩავიდა, 4 ნოემბერს კი „კავკაზში“ ცხადდება მეფის „უზენაესი მანიფესტი ომის გამოცხადების თაობაზე“. მთავარსარდლად ინიშნება ბებუთოვი, რომელიც ალექსანდროპოლისაკენ დაიძრა. ამრიგად, იწყება საშინელი ომი, რაც 1853 წლის 4 ნოემბრიდან 1856 წლის 18 მარტის პარიზის ტრაქტატზე ხელის მოწერამდე გაგრძელდება.

ვორონცოვს ხასიათი ეცვალა. სულთანი მძვინვარებდა. შამილი ულვაშებში იღიმებოდა.

გრიგოლი კი ადრევე შუბლს იკრავს. ჯერ კიდევ 1853 წლის 12 ივნისს ალღოთი გრძნობს დენთის სუნს და ილიას სწერს: „ალიოსმალო ხმალსა ჰლესავს ჩვენთვისო“. სარდალი დაწვრილებით ცნობებს ითხოვს: თუ შენ წერა გეზარება, ეგ შენი სეკრეტი მაინც დასვი, „სახელად ბარბარე“ (ცოლი) და მოაწერინეო!

ოსმალო კვლავ გაცხოველებულ საომარ სამზადისშია, აღმოსავლეთში ომის ქარცეცხლი უკვე კარსაა მომდგარი. ორბელიანს უკვირს, რისი იმედი აქვსო სულთანს, და ტრაპიზონის ფაშობაზე ოცნებობს. სიამოვნებით გაცვლის ზაქათალას ტრაპიზონზე.

ილია თურქეთის საზღვარზე მიემგზავრება. მისი მეუღლე ბარბარე ბინას იცვლის. ხალხი ომის მოლოდინშია. თურქები ისევ მოტყუვდებიან, რადგან კვლავინდებურად ინგლისსა და საფრანგეთს არიან აყოლილნი, მაგრამ დიდი ცხენოსანი ჯარი ჰყავთ და დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ.

გრიგოლი მოუთმენლად ელის ქვემეხის გავარდნას მდინარე არფაჩაიზე. ეს ხომ იმ დროის საქართველო-თურქეთის საზღვარია. მაგრამ მას იმედი აქვს, რომ ომი ზამთრამდე არ დაიწყება, ამასობაში რუსეთის ჯარიც ჩამოვა და „მერე ნახონ ოსმალთა სირბილი არზრუმამდე და იქითაც“.

ამ ფიქრებში დგება ზამთარიც. თოვლი მოდის, პოეტმა მეთარე მოაყვანინა, ზის ვეება ოთახში და სულგანაბული უსმენს მოჯადოებელ ჰანგებს.

ეშყში მოსული დიდ ლაზათს ეწევა!

მაგრამ რაღა დროის თარი, თოვლი და ლაზათია! ოსმალო მოდის. რას გააწყობს ილია სამნახევარი ბატალიონითა და მუჭა კაზაკებით? რომ დაამარცხოს, ვერ დაედევნება, შეიტყუებენ. ოცი მხდალი ერთ მამაცს მოერევა. ამიტომ დიდი სიფრთხილე ჰმართებს. ისედაც დარდიანს ახალი სევდა-ნაღველი შემოაწვება.

ამ დროს მოდის კავკასიის ჯარების შტაბის უფროსის ბარიატინსკის წერილი: ჯარსა სთხოვს ილიასათვის. ძმა ძმისთვისაო, და გრიგოლი ილიას უგზავნის კარაბინერთა ბატალიონს, თან სთხოვს: ოსმალოს არ ააკლებინოთ ჩემი ხმლით ძლივს აშენებული სომხეთიო!

აქ გრიგოლი თავისებურად ხუმრობს, მაგრამ ეს სერიოზული ხუმრობაა. გრიგოლი ხომ მონაწილეა ოცდაექვსი წლის წინ, 1827 წლის 1 ოქტომბერს პასკევიჩის მიერ ერევნის აღებისა, და საერთოდ, რუსეთ-თურქეთის მაშინდელი ომისა! ახლა იმავე ფრონტზე მისი უმცროსი ძმა მიდის, და ისევ უტევენ სომხეთის მხრიდან თურქები რუსებს. გრიგოლი უკვე ხედავს დაღესტნიდან ილიას ზარბაზნების ბოლსა და დელიბაშთა სისხლიან თავებს. ლამის მიატოვოს დაღესტანი და ძმას მიეშველოს, მაგრამ ვინ გაუშვებს, მხოლოდ ჯარებსა სთხოვენ თავაზიანად და თან დასძენენ: თუ არ შეგიძლია, ძალას არ დაგატანთო. გრიგოლიც აძლევს ჯარებს, თვი-

თონ კი მხოლოდ მთებში ჩამოწოლილი თოვლის იმედი აქვს. გაზაფხულზე კი, ალბათ, ოსმალოს ლაშქრობით დაიმედებული შამილი თავს ისევ წამოჰყოფს.

ამ ფიქრებშია გრიგოლი და არ იცის, რომ წინა დღეს, 1853 წლის 16 ოქტომბერს თურქეთმა უკვე გადადგა დიდი ომისაკენ პირველი ნაბიჯი: ტყვია დაუშინეს „ნიკოლოზის ხიდს“ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე.

გრიგოლი სალაშქროდ წასულ ძმას სასიამოვნო ამბავსაც ატყობინებს: ზაქათალასთან შამილის ჯარების დამარცხების გამო მიიღო გენერალ-ლეიტენანტობა და ანას I ხარისხის ორდენი. ქეთევანსა და ყაფლანს კი ცალკე ემდურის, რატომ იანარლობას არ მილოცავენო? სწორედ ყაფლანისთვის უნდოდა იანარლობა, თორემ თვითონ მოხუცდა, აგრერიგად აღარ ეამება. ეგ ყიზილბაში ყაფლანა კი არ ეახლა, კარეტაც კი გაუგზავნა, მაგრამ არ მოდის და არც რას იწერება!

განაწყენებული გრიგოლი ბალზე მიეშურება. სიზმარეული ბალი არავის ეგონოს. ხდება ასეთი სასწაულიც. სამხედრო ინჟინერ გოგინცოვის მეუღლე ჩინებულ ბალს მართავს ზაქათალაში. რამდენიმე დღის შემდეგ, 5 ნოემბერს, გრიგოლი უფრო სასიხარულო ამბავსაც შეიტყობს. ილიას მეუღლეს, ბარბარე ბატონიშვილს, ორი ვაჟი შეეძინა! (ერთი იმავე წელს კვდება, მეორე კი, გიორგი, 1853 წ. დავით ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად, ტყვედ უვარდება შამილს. გვიან კი სამხედრო სარბიელზე გამოვა). ამრიგად, ორი ვაჟი! მაგრამ ეს რა არის? გრიგოლს რომ ცოლი ჰყავდეს, „სამს იყოლიებდა“. რომ ჰყავდეს...

მალე ინახულებს ილიას „გოლიათ შვილებს“.

* * *

დაღესტანს მყოფი პოეტი ნუგეშს ისევ ძველ ნაცნობ-მეგობრებთან მიმოწერაში ხედავს. მეტადრე ახარებს ეკატერინეს ამბავი, მაგრამ სასიხარულო ამბები ვერ მოდის სამეგრელოდან. „წინანდლის ვარდს“ ზედიზედ ეხოცება უდღეური შვილები. ველარც

ზუგდიდს სტუმრად მყოფი ნინო ანუგეშებს სასოწარკვეთილს და ყველაფერს გრიგოლს შესჩივის ხოლმე: „...შენი წიგნი მომივიდა ამას წინათ ზუგდიდს. ნეტავი იმ დღეს, ჩემი მშვენიერი ლევანიც ცოცხალი მყავდა. თუ გიყვარდე, ხშირად მოიწერე ხოლმე წიგნი, ჩემი დაჩაგრული გული შენის ლაზათიანი ლაპარაკით გაამხიარულე. მაგრამ ვაი შენს მტერს, ასე მაქვს გული, გრიგოლ, დახშული, რომ მე მგონია, თავის დღეშიც აღარ მაამებს რა.

მშვიდობით, ჩემო გრიგოლ, ემირხანობაშიც ნუ დამივიწყებ, ბევრი უნდა მომეწერა, მაგრამ ეს არის ახლა სიმბორსკის მოველით, იფიქრე, ახლა ფრანტაობის თავი ვისა აქვს?..

შენი ცოლის შერთვაზე რას ფიქრობ? აქაურს საცოლეს, შენ... ჯერაც არა აქვს და ამის მოლოდინში სულ დაბერდები. დრო ახლა გაქვს ქორწინებისა.

შენი მარად ბედნიერების მოსურნე და, ეკატერინა დადიანისა“.

ნინო ჭავჭავაძის მონაწერი:

„რა ბაიყუში ვარ, ჩემო საყვარელო გრიგოლ! ამ ოთხს თვეს რაც ვისიამოვნე, კატინას შვილების სიკვდილმა მწარედ ჩამაშხამა, ამისთანა უბედურებას ჩემს თავს ვაბრალებ. არაფერში ბედი არა მაქვს. რა არის, დალოცვილო, არც ემირხანობაში და არც კურკაობაში შენი ბოროტი ენა ვერ დააყუნე? მაინდამ რაღას მეჩხუბები? მაგრამ საშინელი ეშმაკი ხარ, ვერაფრით თავს ვერ შემაძულებ, რაღაც ჯადო გაქვს გაკეთებული, ახლა კიდევ უფრო ისწავლი მაგ თათრებში... შენი და, ნინა გრიბოედოვისა“.

ზედიზედ ეცემიან გრიგოლის ნაცნობები და მეგობრები.

1853 წლის 30 აგვისტოს გორდში კვდება ეკატერინე ჭავჭავაძის ქმარი, სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი. ქვრივდება ბარათაშვილის შთამაგონებელი კატინა და ობლდება მისი ოთხი შვილი. 17 ოქტომბერს ეკატერინეს მწუხარების ბარათს უგზავნის გრიგოლი, რომელიც თავის დროზე თვითონაც ეტრფიალებოდა წინანდლის ვარდს. შემდეგ კი ჩამოდის საქართველოში.

1853 წლის ნოემბრის ბოლოს გრიგოლი ისევ ტოვებს ზაქათალას, შეჩვეულ ხალხს, ადგილს, ბინას და ემზადება გაეცალოს თავის ძველ რეზიდენციაში, თემირ-ხან-შურაში, არღუთინსკის დაარსებულ-აშენებულ ქალაქში, მისსავე ადგილზე. არღუთინ-

სკის დამბლა დაეცა, კაცს ვეღარა ცნობს, ამჯერად, ალბათ, ვეღარ წამოდგება სომეხთა პატრიარქის მამაცი შთამომავალი. კასპიისპირეთის ჯარების სარდალი გრიგოლი იქნება.

დაიქანცა გრიგოლიც ამდენ აყრა-დაყრაში, ჯანიც გაუწყდა და ფულიც, მაგრამ ხომ ვერ ითხოვს — ჯანიც დამიბრუნეთ და ფულიც მომეცითო!

ახალ საბრძანებელში გადასვლის წინ გრიგოლი თბილისში ჩამოდის.

ზაქათალაში გრიგოლის ადგილზე რჩება ისევ გრიგოლი — მუხრანის პატრონი.

დიდი ხნის ოცნება აუსრულდა. ნახავს ნათესავებს, მეგობრებს, ორთაჭალას მოივლის, ორბელიანთა უბანში იქეიფებს დაღესტნის მბრძანებელი, ონიკოვს ესტუმრება...

მაგრამ ოცნებასა და სინამდვილეს შორის ხომ მუდამ დიდი უფსკრული ძევს. თითქმის ვეღარავინ ნახა თბილისში: ილია თურქეთის ფრონტზეა, უაფლანი ბორჩალოს მოურავად წასულა, კონსტანტინე ორბელიანი — სოფლებში „მილიონების ასაღებად“, და საყვარელ სამშობლო ქალაქშიც თითქმის მარტოსული დაეხეტება

თბილისში მცირე ხნით ჩამოსული გრიგოლი აქ დარჩება 1853 წლის ნოემბრიდან 1854 წლის 11 მარტამდე... აქედან ატყობინებს ილიას თავის გადასვლას არღუთინსკის ადგილზე, თავის სიხარულს ანდრონიკოვის გამარჯვების გამო... სამწუხაროდ, უკვე სულთმობრძავს.

თურქეთის ფრონტიდან სასიამოვნო ცნობები მოდის. 1853 წლის 14 ნოემბერს გენერალ-ლეიტენანტმა ივანე ანდრონიკაშვილმა ახალციხესთან თურქთა რვაათასიანი კორპუსი დაამარცხა, ხელთ იგდო ტყვეები, 12 ზარბაზანი და მთელი არტილერია. ბრძოლის ველზე დარჩა ათასი თურქი*.

გრიგოლი, რომელმაც ჯერ არ იცის ძმის დაჭრის ამბავი, 22 ნოემბერს გახარებული სწერს (უკანასკნელად!) ილიას, მთავარმართებელი გააცოცხლა ამ გამარჯვებამო, სნეულმა მოიკეთაო და თვი-

---

* Акты, т. X, „Кавказ“, 1853.

თონაც ხომ მზადაა ზაქათალა ტრაპიზონში გაცვალოს, მაგრამ ტრაპიზონს არ აძლევენ და ისევ თემირ-ხან-შურაში თუ გაცვლის.

დიახ, ეს უკანასკნელი წერილია საყვარელ ილიასთან, და უკანასკნელი სიხარული. ამიერიდან მხოლოდ მის ქვრივს მისწერს, მის სახელსა და საფლავზე იზრუნებს, ვეღარც ჯარს მიაშველებს, ვეღარც ბარათს გაუგზავნის...

იმ საბედისწერო დღეებში ბაშ-კადიკლარის მაღლობთან მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა გრიგოლის უმცროსი ძმა, მამაცი ილია ორბელიანი.

22 ნოემბერს გრიგოლი თავის იმ უკანასკნელ წერილში ძმას სწერდა: „24 ამ თვისას გავემგზავრები, ავუვლი ძალუა ბარბარესაც და ვნახავ შენს გოლიათსა შვილებსაო“. მეორე დღეს დიმიტრი ჯორჯაძესაც იმასვე სწერს, ხვალ დილით მივემგზავრებიო თემირ-ხან-შურაში.

მაგრამ ნათქვამია: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. სწორედ იმ დღეს ან მეორე დღეს გებულობს საშინელ ამბავს: ბაშ-კადიკლარის ბრძოლაში ილია ორბელიანი სასიკვდილოდ დაიჭრაო.

ბაშ-კადიკლარი ერთი დუხჭირი სოფელია მდინარე მავრიაყჩაისთან, ყარსის ოლქში, შვიდასამდე მცხოვრებით. 1853 წლის 19 ნოემბერს, როცა გრიგოლ ორბელიანი ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებოდა, აქ მოხდა განთქმული ბრძოლა რუსებსა და თურქებს შორის. ბებუთოვის ათ ბატალიონს, დრაგუნთა ათ ესკადრონს და კაზაკთა რამდენიმე ასეულს პირისპირ ედგა თურქთა ოცდათექვსმეტათასიანი კორპუსი.

ბებუთოვმა იცოდა, რომ ახმედ-ფაშას შეუდარებლად რიცხვმრავალი არმია ჰყავდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ბრძოლებში გამობრძმედილი კავკასიის არმია უკან არ დაიხევდა.

ბრძოლა შუადღისას დაიწყო ძლიერი საარტილერიო ცეცხლით, ორ საათზე კი თურქთა ოცქვემეხიან ბატარეას შეუტიეს. პირველი იერიში უშედეგო აღმოჩნდა.

თურქები ცეცხლსა და შხამს ანთხევდნენ, მაგრამ მამაცი ქართული პოლკი იერიშით წავიდა გამაგრებული გორაკისაკენ. ილია ხელში დაიჭრა. მამაცმა წინამძღოლმა ხელი შეიხვია, ასწია და შესძახა: „აი ხელი! ვაშა!“

მეორედ უკვე გამარჯვების წუთებში დაიჭრა. ამჯერად ჭურვმა ფეხი მოაგლიჯა. იმავე წამს აჩეხეს კაპიტანი ბულიგინი, მოკლეს კნორინგი. გაჭირვების წამს ერევნელებმა მიუსწრეს, ქართველებმა გაიმარჯვეს და დღის ორ საათზე თურქეთის არმიამ უკან დაიხია. მეორე იერიში ქართველთა სრული გამარჯვებით დამთავრდა. თურქები უკუიქცნენ. ბატარეა რუსებმა დაისაკუთრეს. დღის სამ საათზე ბრძოლა შეწყდა. მტერმა ექვსი ათასი კაცი დაკარგა, თურქი გარბოდა. რუსებმა სულ 317 კაცი დაკარგეს და მათ შორის იყო ილია ორბელიანი, ხმალშემართული რომ მიუძღოდა თავის მამაც ქართველთა ბატალიონებს.

ამ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი დროშა იყო ორბელიანი*, სასიკვდილოდ დაჭრილი ილია.

სამსახურის ადგილზე გასამგზავრებლად გამზადებული გრიგოლი ძმის ჩამოსასვენებლად წავიდა თეთრწყაროსაკენ, სადაც ილიას მეუღლე იმყოფებოდა, იქიდან კი ალექსანდროპოლს, სადაც სასიკვდილოდ დაჭრილი ილია იწვა. საშინელ ტანჯვაში დალია სული მამაცმა ილიამ 9 დეკემბერს. 15 დეკემბერს თბილისში ჩამოასვენეს. ხუთი დღის შემდეგ ქაშვეთის ეკლესიაში დაკრძალეს. ამ უბედურებას ისიც აძლიერებდა, რომ სამარეში ჩააყოლეს ახლად გარდაცვლილი ერთ-ერთი მცირეწლოვანი ვაჟი.

დაქვრივდა ბაბალე ბატონიშვილი, გამრუდდა გრიგოლის მეორე რძლის ბედიც. ორი წელიწადიც არ გავა და ბაბალე ბატონიშვილს ყარსთან ღვიძლი ძმაც დაეღუპება, ილია ბატონიშვილის ძე, პეტრე გრუზინსკი. მამა და ერთი ვაჟიც ხომ წინა წელს გარდაეცვალა, რა წელსაც თვითონ ჩავარდა ტყვედ! „ეს რაღაც სასჯელია ზეგარდმო მოვლენილიო!“—შესძახებს ყველაფერში დინჯი გრიგოლი.

ახალციხესთან და ბაშ-კადიკლართან მოპოვებული გამარჯვებების მიუხედავად, გენერალი რეადი სულ წუწუნებდა და ნიკოლოზმაც ბრძანა დაღესტნიდან ოთხი ბატალიონის გადასროლა თურქეთის ფრონტზე. ბარიატინსკიმ ეს ბატალიონები გენერალ-ლეიტენანტ ორბელიანს მოსთხოვა.

---

* Боевые подвиги 14-го гренадерского грузинского полка в войнах 1800—1878 гг., сост. подполк. А. Баратов, Тифл., 1910, стр. 89.

თავაზიან ფორმებში, მაგრამ დასაბუთებულად და კატეგორიულად ამბობს უარს გრიგოლი ასეთ დათმობაზე:

„...ეს წელი კავკასიის ომისათვის გადამწყვეტი წელია, წინა წლებს არა ჰგავს. ეს ომი წმინდა ომია ყოველი მაჰმადიანისათვის, მაშასადამე, ჩემი საშუალებანიც უნდა გაძლიერებულ იქნან. შამილი ჯარს კრებს და გაფაციცებული ემზადება. ჩვენი დამორჩილებული ხალხი მხოლოდ მის მცირეოდენ წარმატებას ელის, რათა ერთსულოვნად გადაგვიდგეს და აგვეშალოს. როგორ შემიძლია ასეთ მდგომარეობაში მხარეს მოვწყვიტო ოთხი ბატალიონი? რითიღა დავრჩები, თუ თვრამეტი ბატალიონიდან მხოლოდ ხუთი მოქმედი დამრჩენია?“

შემდეგ ლაპარაკია ზოგიერთი სიმაგრის დატოვების დაუშვებლობაზე. ეს რომ სადმე ქრისტიანულ მიწაზე იყოს, შეიძლებოდა, აქ კი მთელი დაღესტანი აღდგება: „რუსები გარბიანო!“ რა გმირობაც არ უნდა მოახდინონ დარჩენილმა რაზმებმა, როგორ შეინარჩუნებენ თემირ-ხან-შურას, პეტროვსკს, დერბენდს?

„ჩვენ იძულებული გავხდებით გადავიდეთ თერგის გაღმა. აი, სად მიგვიყვანს ოთხი ბატალიონის გაყვანა! ამასობაში შამილი, რომელსაც მთელი მაჰმადიანი მოსახლეობა შეუერთდება, უზარმაზარი ასიათასიანი არმიით მიადგება თბილისს და ცეცხლს მისცემს, ააოხრებს. ახლა სპარსეთი? ნუთუ მშვიდობიანი მაყურებელი იქნება და არ შეეცდება დაკარგული პროვინციების დაბრუნებას?

ვინ დათვლის მთელს ზარალსა და უბედურებას, რაც დატყდება საქართველოს და აქამდე ძლევამოსილ ჩვენს ჯარებს, რომელთა ძვირფასი სისხლითაა ნაყიდი მთელი კავკასია? და რისთვის? საჭიროა მხოლოდ ერთი დივიზია, რათა ეს უბედურება ავიცილოთ და ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეთ... მე მგონია, ინგლისი და საფრანგეთი ვერ გაუწევენ თურქეთს ჩვენზე უფრო არსებით დახმარებას, თუ აქედან ოთხი ბატალიონი გავიყვანეთ. პირიქით, გარწმუნებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მომეცით კიდევ ოთხი ბატალიონი, რათა შამილის მოქმედება მისი მთებით შემოვფარგლო: მარტო მისი ძალა არაა საშიში ჩვენი ჯარებისათვის. საშიშია, თუ მთის ტომები მისი დროშის ქვეშ დადგებიან... თავა-

დო, იხსენით თქვენი ქომაგობით ეს ვრცელი მხარე, და ჩვენი იარაღის პატივი და დიდება! თქვენი ხმა უკეთ ისმის უზენაეს ტახტთან. მომკალით უმალ, ვიდრე ვნახავ ჩემი ჯარის დიდების დაკარგვასა და მტრის გამარჯვებას“.

ეს მჭევრმეტყველი დოკუმენტია ორბელიანის გამბედაობისა, უზენაესი ბრძანება რომ არ შეასრულა, და თანაც მისი ღრმააზროვანი და საღი მსჯელობისა.

ბარიატინსკიმ 4 აპრილს თავაზიანად უპასუხა: მართალია, ბატალიონების წაყვანა არ შეიძლება, მაგრამ თქვენს მოთხოვნას ოთხი დამატებითი ბატალიონის შესახებ ჯერჯერობით ვერ დავაკმაყოფილებთო.

ასე დარჩა გრიგოლს წყალგამოლმა იმის წყალობით, რომ წყალგაღმა შეედავა. ასე დაამტკიცა თავისი გამოცდილებისა და შორსმჭვრეტელი გონების უპირატესობა მეფის იმ გენერლებთან (მაგალითად, რეადთან) შედარებით, რომლებიც მეფეს სთხოვდნენ, დავტოვოთ დაღესტნის სიმაგრეები და ლეკის ხაზზე დავიხიოთო.

აქ საქმე გვაქვს დიდი მნიშვნელობის — არა მარტო სამხედრო მნიშვნელობის — ისტორიულ ფაქტთან, ნამდვილ დიპლომატიურ გამარჯვებასთან, რასაც ჩლუნგი მეფისა და გენერლების წინააღმდეგ გონივრულ ბრძოლაში მიაღწია გენერალ-ლეიტენანტმა ორბელიანმა. რა მოხდებოდა, რომ დაღესტნის სიმაგრეები მართლა მიეტოვებინათ? იგივე, რაც მოხდა დასავლეთ საქართველოში? სადაც უფრო ძნელ პირობებში — ზღვასთან, ჭაობებში, ციებიან მხარეში — ფრონტის შესუსტებასთან დაკავშირებით, იმავე ხანებში ომარ-ფაშას ჯარი გადმოვიდა და სამეგრელო ააოხრა ოციათასიანი არმიით. არა, მოხდებოდა უარესი. მოვუსმინოთ ისტორიკოსს:

„არავიფიქრებდა, რომ მთელი ნახევარმილიონიანი შეიარაღებული ბაჰმადიანი აღდგებოდა, შამილთან ერთად უზარმაზარ ცეცხლის ნიაღვრად წამოვიდოდა უკანდახეული ჯარის კვალდაკვალ, შეუბრალებლად გაჟლეტდა ქრისტიან მოსახლეობას... ვერც კახეთში შემოჭრას შევაჩერებდით... და ორ ცეცხლს შუა აღმოვჩნდებოდით. ასეთ ვითარებაში სპარსეთიც ისარგებლებდა შემთხვევით, ლომის თათს დაჰკრავდა საქართველოს... თბილისი

და მთელი საქართველო გააფთრებული ფანატიკოსებისა და მტაცებლების მსხვერპლი აღმოჩნდებოდა... სისხლი იყინება, ამნაირ რამეს რომ წარმოვიდგენთ"*.

აი, ასეთი საფრთხე მთელი სიგრძე-სიგანით გაითვალისწინა ჩვენმა, ერთი შეხედვით, ლაღმა, მომლხენმა, ლოპიანას თანამესუფრე „კურკამ" — გრიგოლ ორბელიანმა. პეტერბურგში კი უკმაყოფილოდ შეიშმუშნენ და ეს „ოინი" ბარიატინსკის მიაწერეს!

აქ თავს იჩენს, ერთი მხრით, შამილის შორსმჭვრეტელობა, ორბელიანს რომ თვლიდა თავის ერთ ყველაზე უფრო საშიშ მტრად, და, მეორე მხრივ, ერთგვარი სიბეცე ვორონცოვისა, რომელიც, შავი ზღვის სანაპიროს ანალოგიურ დასუსტებასთან დაკავშირებით, საქმეს ღმერთს ანდობდა: იქნებ მტერმა ვერ შენიშნოს ეს სისუსტეო.

ასე იყო თუ ისე, ორბელიანმა თავისი გონივრული და ავტორიტეტული ხმით იხსნა მაშინ საქართველო ისეთი და უარესი აოხრებისაგან, რომლის მსხვერპლიც გახდნენ წინანდალს მყოფი დავით ჭავჭავაძისა და ილია ორბელიანის ოჯახები.

შამილის ტყვე ქალები

თავს დატეხილ უბედურებას გრიგოლი მხედრული სიმტკიცით შეხვდება. ზედიზედ დაკარგა უძვირფასესი ადამიანები—ჯერ ტატო, მერე ზაქარია, ახლა ილია. შეწუხებული პოეტი კიდევ კარგა ხანს რჩება თბილისში, იოანე სავანელს აწირვინებს ილიასათვის, ჟამთა უკუღმართობას წყევლის და ისევ მთებს უბრუნდება. ისევ იწყება ბრძოლა, მარტოობა, ძმის საფლავზე თუ ყაფლანის პენსიისათვის ზრუნვა, სანდრიკოსათვის ფულის გზავნა... და ისევ ისე ხუმრობაში ცდილობს ჩაკლას დარდი და ნაღველი. ბაბალე საგინაშვილისას სწერს: შამილი მარხულობს და ჯარებიც ამიტომ არ გამოჰყავს; ხონთქარმა თბილისი, ერევანი და მთელი კავკასია უწყალობა თურმე და ქალები მადლიერი უნდა იყოთ, რადგან მა-

* А. Зиссерман, Барятинский, т. I, стр. 320—321.

გისი ბალებისათვის დიდი ტუალეტი აღარ დაგჭირდებათო; თურმე იმამს ერთი ქართველი ქალი მოუნდა და რომელი ემზადებით— შენ თუ წელნაზი თამარიო!

აი, ასეთ ოხუნჯობაში ეძებს ნუგეშს, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი დარდი იფარება ამ მხიარულებაში! ზოგჯერ წამოსცდება კიდეც: ღმერთმა დალოცა დიმიტრი ჯორჯაძე, თორემ ეგ რომ არ მყავდეს, გავგიჟდებოდი დარდითაო!

დიმიტრი ჯორჯაძე გრიგოლთან ჰსახურობდა სამოქალაქო საქმეთა მმართველად და წლების მანძილზე დიდი ნუგეში იყო მისთვის.

არღუთინსკის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც 1852 და 1853 წლებში არ გაუმჯობესებულა, ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვდა. ამიტომ ვორონცოვი 1854 წლის 27 იანვარს კავკასიის ჯარებისადმი გამოცემულ ბრძანებაში ხელახლა უბრუნდება ამ საკითხს და მის ნაცვლად კასპიისპირეთის სამხედრო და სამოქალაქო გამგებლობას მტკიცედ აბარებს გენერალ-ლეიტენანტ ორბელიანს, ხოლო ლეკის ხაზზე მისი მოვალეობის შემსრულებლად ნიშნავს გენერალ-მაიორ ბაგრატიონ-მუხრანსკის*.

ახალი ამბოხება! თავზეხელაღებული ფანატიკოსები ყაითაღი მხარეს ამხედრებენ, მიურიდების თავშესაყრელ აულს ურკარახს ცეცხლი მოედო.

არღუთინსკი ავად იყო, თბილისში იწვა უიმედო მდგომარეობაში. დროებითი მთავარსარდლის გრიგოლ ორბელიანის ნაცვლად დაღესტნის ჯარებს სარდლობდა გენერალ-მაიორი ვოლკოვი, მრავალ ბრძოლაში ნაცადი, ენერგიული კაცი.

როცა ორბელიანი ჩამოვიდა, ლაზარევს მოეთათბირა შექმნილი მდგომარეობის შესახებ. შამილი კასპიისპირეთის დასავლეთ რაიონებში დიდძალ ჯარს უყრიდა თავს, ყაითაღში ამბოხების ხანძარი ღვივდებოდა, აყუშა სადაცაა აღდგებოდა. ორბელიანმა სასწრაფოდ გაგზავნა დამსჯელი რაზმი გენერალ მანიუკინის და ლაზარევის წინამძღოლობით, რათა ურკარახში შეჭრილიყვნენ უმალ, ვიდრე შამილი მიეშველებოდა.

---

* „Кавказ", 1854, № 8, стр. 2.

ორბელიანის ვარაუდი გამართლდა. აული გადასწვეს, მეამბოხეები გაიქცნენ. მაგრამ ხალხში მაინც ღალატის სიო დაჰქროდა. მოსახლეობა ჯარისკაცებს მოწამლული საჭმლით უმასპინძლდებოდა. არღუთინსკის შემცვლელმა მთავარსარდალმა აღკვეთა ჯარის ურთიერთობა ადგილობრივ მცხოვრებლებთან და დარღოს ოლქი საიმედო კაცს — ლაზარევს ჩააბარა, იგივე დასტოვა მეხთულის სახანოს მმართველადაც.

1854 წლის 22 მარტს ლაზარევი დაიძრა თავის ახალ საბრძანებელში და ურკარახში სალაშქროდ. 29 მარტს კი, მას შემდეგ, რაც მცხოვრებლებმა ჩვენს ჯარს ტყვია დაუშინეს, ლაზარევმა და მისმა მამაცმა ცხენოსნებმა ურკარატი აიღეს, ქვის სარდაფები გვამებით აავსეს და აული მიწასთან გაასწორეს.

ეს იყო სასტიკი გაფრთხილება: შამილის იმედი ნუ გაქვთ, მოღალატე მიწასთან გასწორდებაო.

ორბელიანმა მაღალი შეფასება მისცა ლაზარევის მოქმედებას და იგი ორდენზე წარადგინა. დაღესტანი ოდნავ დაწყნარდა.

ამდენი ბრძოლით მოპოვებულ სიმშვიდეს 1854 წელს სრული გაქარწყლებით დაემუქრა არა შამილი, არამედ კავკასიის ჯარების მთავარსარდალი და დროებითი მეფისნაცვალი, ვორონცოვის წასვლის შემდეგ, გენერალი რეადი! დაუჯერებელი ჩანს, მაგრამ სწორედ ამ რეადმა მოსთხოვა დაღესტნის ჯარების სარდალს გრ. ორბელიანს მთელი წინა პოზიციების ცამეტი ბატალიონის მოხსნა და თურქეთის ფრონტზე გაგზავნა. ორბელიანმა უპასუხა, ეს შეუძლებელიაო. მაშინ რეადმა უცერემონიოდ უბრძანა — შეასრულე ჩემი განკარგულებაო. ეს ნიშნავდა მთელი დაპყრობილი დაღესტნის დაბრუნებას შამილისათვის, ანა იოანეს ასულის დროის დონეზე — თერგზე დაბრუნებას. „თუ ეს არ მოხდა, ამას ვუმადლით მხოლოდ თავად გრიგოლ ორბელიანს და ივანე დავითის ძე ლაზარევს, რომელნიც ვაჟკაცურად, რაც ყოველგვარი პატივისცემის ღირსია, აღუდგნენ შიშსა და ეჭვებს, უმიზეზოდ რომ დაეუფლა თბილისს"*. ცხადია, ეს ორბელიანის დამსახურებაა და არა მისი ხელ-

* Генерал-адьютант Ив. Лазарев, Составитель В. Потто, Тиф., 1901, стр. 165.

ქვეითი ოფიცრისა, რომელსაც მაშინ პოლკოვნიკობაც კი არა ჰქონდა. ეს დამსახურება დღემდე ჯეროვნად არცაა დაფასებული.

მიიღო თუ არა რეადის ბრძანება, ორბელიანმა დაუყოვნებლივ დაიბარა ურკარახის ექსპედიციაში მყოფი ლაზარევი და რეადის მოწერილობა აჩვენა.

— როგორ, დაღისტნის მიტოვება? — შესძახა შეძრწუნებულმა ლაზარევმა. — ყველაფრის დაბრუნება შამილისათვის, როცა თითქმის არავითარი საფრთხე არ გველის და მზად ვარ, ორი ბატალიონით ვაგო პასუხი დარღოს და მეხთულის სახანოებისათვის!.. ეს იქნებოდა დანაშაული, რასაც რუსი ხალხი არასოდეს არ გვაპატიებს!.. არა, თავადო, მე და თქვენ სიკვდილი არ გვესწავლება, და კიდეც მოვკვდებით ჩვენი დიდების ნანგრევებზე, სახელს კი ჩირქის მოუცხებლად შევინარჩუნებთ!..

— მართალი ხართ, — მიუგო გრიგოლმა. — მეც ასე ვფიქრობ და ასე ვუპასუხებ რეადს.

და უპასუხა. იოლი წარმოსადგენია, რას გააკეთებდა მის ადგილზე მეფის ყურმოჭრილი მონა, რომელსაც მხოლოდ შესრულება შეუძლია იმისა, რასაც უბრძანებენ!

ორბელიანმა თავისი გაიტანა, კიდევ მრავალ გამარჯვებას მიაღწია და რუსული იარაღის ზეიმით დაამთავრა ასე სახიფათო 1854 წელი. ჩვენი პოეტის წარდგენით ლაზარევი პოლკოვნიკი გახდა.

ორბელიანის პოზიცია სავსებით სწორი იყო და ამას სამხედრო ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ. გენერალ რეადისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათშიც და ბარიატინსკისადმი წერილშიც ეს სავსებით დადასტურებულია.

1854 წლის 13 აპრილის მიმართვაში კავკასიის ჯარების კორპუსის უფროსი სამხედრო მინისტრს აუწყებს, რომ გაიგებს ორბელიანისაგან, შეუძლია თუ არა არსებული გარნიზონებით თემირხან-შურისა და სხვა აუცილებელი პუნქტების შენარჩუნება, თუ ჯარები დასჭირდებათ სპარსეთში და რუსეთიდან კი დახმარებას ვერ მიიღებენ. 27 აპრილს ორბელიანი გენერალ რეადს პასუხობს, თუ ჯარები მოხსენით, ამით მთელს დაღესტანს შამილს დაუტოვებთო, და მთელი მთა აღდგებაო სულაკიდან სამურამდე, საბოლოოდ კი ეს ნიშნავს კასპიისპირეთის დატოვებას. შამილი დაუყოვ-

ნებლივ შეკრებს ოთხმოცათასიან ფანატიკოსთა არმიას, მოადგება სამურს, აამხედრებს სამურის ოლქს, ყუბის, ჭარ-ბელაქნის, ნუხის, შემახიის მხარეებს, მაზრებს, გუბერნიებს, და შეეცდებიან განდევნონ ურწმუნოები. შამილის არმიას იქიდან სპარსეთი მოეშველება და მრავალი წლის სისხლისღვრით მოპოვებული წარმატება წყალში გადაიყრებაო*. ასეთია ორბელიანის დასკვნა. არსებითად აქ იმეორებს იმასვე, რაც ბარიატინსკის მისწერა.

ვორონცოვი იმ ხანებში (1854) უცხოეთში იყო სამკურნალოდ წასული, საქართველოში მის მოვალეობას გენერალი რეადი ასრულებდა, მაგრამ რჩევას უფრო ახალგაზრდა ბარიატინსკის ეკითხებოდნენ. რეადი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. მალე უარესი დაემართა: ფრონტზე წავიდა და თედიუხინის სიმაღლეების იერიშის დროს დაიღუპა 1855 წლის 4 აგვისტოს.

საქართველოში „უმეფობის“ ხანა იყო. ვორონცოვის მდგომარეობა უარესდებოდა, განთავისუფლების თხოვნას არ წერდა, მეფესაც ეხათრებოდა თქმა, და კავკასიის მართვა მიწერ-მოწერის გზით ხდებოდა.

1854 წლის ივლისში შამილმა დიდი ჯარები დაძრა ტეხნუცალიდან თუშეთსა და კახეთის მხარეს. კასპიისპირეთის დროებითმა გამგებელმა ორბელიანმა მილიცია და მოქმედი ჯარების გაერთიანებული რაზმი დაუპირისპირა ევგენიევსკოეს. სიმაგრესთან, სალათავიაში შესაჭრელად, ძველ ბურთუნაისთან დაიკავა პოზიცია, დაემუქრა გუმბეტს და მოიერიშე შამილი იძულებული გახადა თავდაცვაზე ეფიქრა.

სალათავიაში შეჭრა რომ მოულოდნელად მომხდარიყო და მტერს გონს მოსვლა ვერ მოესწრო, 7 ივლისს შეღამებისას ორბელიანმა ელვისებურად დაძრა ჯარი ევგენიევსკოეს გზაზე, ისე რომ, მტერმა გუშაგების დაყენებაც ვერ მოასწრო, და განთიადისას უომრად დაიკავა კაირ-ბეგის სანგრები და რედუტი**.

აქედან ძველ ბურთუნაიმდე შვიდი ვერსი-ღა რჩებოდა, რაც ცხენოსნებმა სწრაფად გაიარეს, და მთელი ჯოგი იგდეს ხელთ.

ორ საათზე ბურთუნაი აღებული და დამორჩილებული იყო.

---

* А. Зиссерман, Барятинский, т. I, стр. 347—349.

** „Кавказ“, 1854, № 57.

შემდეგ ჯარი დაასვენა და სოფელ სალათავიაზე საიერიშოდ ემზადებოდა, როცა ცნობა მიიღო, რომ შამილი უზარმაზარი ბრბოებით შეიჭრა ლეკის ხაზის მარცხენა ფლანგზე და დაასუსტა მარჯვენა ფლანგიც. გენერალმა ჯარი მოხსნა და საშამხლოში დაბრუნდა, რათა ყაზი-ყუმუხისაკენ წასულიყო. 10 ივლისს უკვე თემირ-ხან-შურაში იყო.

ამრიგად, 1854 წლის ივლისში ორბელიანმა აიღო სალათავის მნიშვნელოვანი პუნქტი ბურთუნაი და თანაც შეაჩერა შამილის წინსვლა ლეკის ხაზზე.

* * *

წინანდალში სასიამოვნო . საზოგადოებას მოუყრია თავი. აქ არიან დები ანა და ბარბარე ბატონიშვილები — დავით ჭავჭავაძისა და ილია ორბელიანის მეუღლენი, ნიკოლოზ ბარათაშვილის და... ბარბარე ახლახან ჩამოსულა.

სამი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ბარბარე ორბელიანისა დაქვრივდა. ბაშ-კადიკლართან განგმირეს მისი მამაცი ილიკო. ახლა სხვა ქალებთან ერთად ნუგეშსა და თავშესაფარს თვითონაც წინანდალში ეძებს, თანაც შვილი გიორგი გამოარიდა თბილისის სიცხეს, სუსტია და ჰაერი მოუხდებაო.

ჭ-ნი დრანსე სიცილით შეხვდა დავით ჭავჭავაძის ხუმრობას: აი, იმ მთებში შამილი ცხოვრობსო, და რა იცოდა, რომ წინანდლის სამოთხიდან გატაცებული მალე დაღესტნის ჯოჯოხეთში მოხვდებოდა! არც თბილისელთა რჩევა ისმინა: ხანჯალი მოიმარაგე, თუ წინანდალში მიდიხარ, ლეკები გაგიტაცებენო.

ლეკები თითქოს მართლაც არ აპირებენ შემოჭრას. სიწყნარეა.

თვით გრიგოლს უკვირს, დაღესტანში რატომ არისო შამილი ასე წყნარად ბაირამის გასვლის შემდეგ. მაგრამ ეს იყო სიწყნარე ჭექა-ქუხილის წინ. დავითის წინასწარმეტყველება ასრულდა. თურქეთის სულთნის იმედით გაამაყებული შამილი თავს გადის, დაღესტანში ომი მოსწყინდა და მოულოდნელად ყურადღებას აპყრობს ლეკის ხაზს, საქართველოს საზღვრებს, კახეთის მხარეს. მეტადრე მას შემდეგ, რაც გრიგოლ ორბელიანის ბრძანებით გენერალმა მა-

ნუკინმა ურკარახის აული აიღო და დაარბია (ყაითაღში), შამილის ურდოები სამხრეთისაკენ წამოვიდნენ, ყარაღაჯსა და დედოფლის წყაროზე. მათ საარაკო გეგმა დაუსახავთ: თბილისი უნდა აიღონ. იმამმა დიდოეთისა და თუშეთის გზით ჯერ კახეთის დალაშქვრა განიზრახა, და თელავის მიმართულებით წავიდა. არც რუსებს ეძინათ. გენერალი სუსლოვი და გრ. ორბელიანი წარმატებით მოქმედებდნენ, მაგრამ შამილს უშუალოდ არ შეხვედრიან. არც შამილმა იცოდა გრიგოლ ორბელიანის სამხედრო ოპერაციების ამბავი, იგი თავისი ურდოებით არხეინად შეესია კახეთს და 3 ივლისს სოფელი შილდა გადასწვა. განახლდა ლეკობა. ავაზაკებმა ზედიზედ დაარბიეს გრემი, ენისელი, ტურის ციხე. 4 ივლისს გადალახეს ალაზანი, აოხრეს წინანდალი, დასწვეს დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის საგვარეულო სახლი, გაიტაცეს დავითის ცოლშვილი, ფრანგი გუვერნიორი დრანსე, ილია ორბელიანის ქვრივი ბარბარე და მისი ვაჟი... ოდესღაც ილია ჰყავდა ტყვედ შამილს, ახლა მისი ცოლ-შვილი ჩაიგდო ხელში.

ჭ-ნ დრანსეს თავის მშვენიერ წიგნში მწერლის ხელოვნებით აქვს აღწერილი ორი ლეკის ბრძოლა მისი დასაკუთრებისათვის, დაქანცული ქალების ტანჯვა, მდევრის შიშით გამხეცებული ავაზაკები რომ მიერეკებოდნენ დაღესტნის რიყიან ბილიკებზე, შიმშილი, სიტიტვლე, სასოწარკვეთილება, უმწეობა...*.

ქანცგაწყვეტილ ქალს, დავით ჭავჭავაძის მეუღლეს, ცხენიდან გადმოუვარდა პატარა ლიდია. ქალი კივილით გადმოეშვა ცხენიდან, მაგრამ კაციჭამიასავით კბილებდაკრეჭილმა ლეკმა შეაჩერა და გააქროლა. ბავშვი ცხენებმა გადათელეს. მერე ერთმა ლეკმა ხანჯალი დაჰკრა... გოგონას გვამი მეორე დღეს იპოვნეს, და წინანდლის ეკლესიაში წაასვენეს. იმავე ადგილას სამოცზე მეტი გვამი ეგდო, მათ შორის ქალები... გრიგოლი კი შორს იყო და არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ვერც მამაცი შტაბსკაპიტანი დავით ჭავჭავაძე გახდა რამეს. შილდას დასაცავად სიცოცხლე არ დაუზოგავს, მაგრამ ურდომ იმძლავრა, მეუღლე ანა და შვილებიც კი წაჰგვარა პახალისთავის მწვერვალზე მჯდომმა იმამმა. ქალებიც, ბავშვებიც

---

* Дрансе, Пленницы Шамиля, Тифлис, 1859, пер. Дзюбинского.

და ფრანგი გუვერნიორი ქალი დრანსეც შამილს მიუყვანეს ვედენოში. წინანდალი იწვოდა.

შამილმა ტყვეები პატივით მიიღო, მაგრამ მეტად ტლანქი აღმოჩნდა ბარბაროსის პატივი. იმამს თვითონაც არ ენახა ნამდვილი სიფაქიზე და ისიც წყალობა ეგონა, რომ ტყვეებს სიმინდის კვერებსა და ცხვრის ხორცს აჭმევდნენ. შამილი ცუდად არ შეხვედრია კერძოდ ილიკო ორბელიანის ქვრივს. ილიკომ, რომელიც რამდენიმე წლის წინ ტყვედ ჰყავდა შამილს, სამუდამოდ მოხიბლა იმამი თავისი სიმტკიცით და ახლა მთაში ყველა პატივს სცემდა მის ქვრივს.

შამილი ჰგავდა დაწყნარებულ ლომსო, ამბობდა მისი პიროვნებით მოხიბლული დრანსე. დიდმა სარდალმა და კანონმდებელმა ქალებს სთხოვა, მითხარით მათი სახელი, რომლებიც ცუდად გექცეოდნენ, რომ დავსაჯოთო. მაგრამ ქალებმა მწვალებელთა სახელები იმამს არ გაუმხილეს.

დაღესტნის ლომი მიწერ-მოწერის ნებასაც კი აძლევდა ქალებს. იგი გაოცებული დარჩა მხოლოდ ერთი წერილით, რაც არ იყო დაწერილი არც რუსულად, არც თათრულად, არც ქართულად.

— მე არ მინდა გიგზავნონ ისეთი წერილები, რომელთაც ვერ მითარგმნიან, — ამბობდა შამილი. — ალაჰი სიფრთხილეს გვიბრძანებს. რატომ გწერენ ასეთ ენაზე? თუ ჩემს მოტყუებას შეეცდებით, თავებს დაგჭრით.

მას აუხსნეს, რომ დრანსე ფრანგია და ეს წერილი ფრანგულადაა დაწერილი, მაგრამ იმამს ეს სანუგეშოს არაფერს ეუბნებოდა.

განსაკუთრებით უბედური იყო დავითის მეუღლე, რომელსაც ასული მოუკლეს.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს სამი ასული ჰყავდა, სამივეს დიდებული საქმრო შეხვდა. ნინოს — პოეტი გრიბოედოვი, ეკატერინეს — მთავარი დადიანი, სოფიოს — სენატორი, ბარონი ნიკოლაი...

ამ სამი გრაციის გარდა სახელოვან პოეტს დარჩა სანაქებო ვაჟკაცი, 1818 წელს დაბადებული დავითი, რომელიც 1847 წელს უკვე კაპიტანია, 1854 წელს — პოლკოვნიკი, 1861 წელს — გენერალ-მაიორი, შემდეგ კი — გენერალ-ლეიტენანტობასაც მიიღებს.

სვებედნიერი ჭავჭავაძეების ოჯახიც შეაშფოთა ბედმა საზარელი ამბებით: გრიბოედოვის ტრაგიკული დაღუპვით, დადიანის ნაადრევი სიკვდილით, თვით ალექსანდრეს ეტლის გადაბრუნებით, დავითის ცოლ-შვილის გატაცებით და წიწიანდლის სასახლის გადაწვით შამილის ურდოებისაგან.

შამილის სერალში რომ შევიდა, ჭავჭავაძის მეუღლეს თავზარი დაეცა, მაგრამ უსაფუძვლო აღმოჩნდა ეს შიში: სერალი მხოლოდ სახლი იყო შამილისა და არა ჰარამხანა. ხალხით აღმოჩნდა სავსე იქაურობა და ბატონიშვილებს არავითარი საფრთხე არ ელოდათ. თეთრჩოხიანმა შამილმა თავაზიანად მიიღო დრანსე და მისი ქალბატონები, ჯანმრთელობის ამბავი იკითხა, მერე ვრცელი სიტყვით მიმართა, რომლის მთავარი აზრი იყო რუსეთში მყოფი თავისი შვილის გამოხსნის გეგმა, თანაც აფრთხილებდა, რომ თუ ურიგო წერილები გამოგიგზავნეს, უწყალოდ დაგხოცავთ, როგორც დავხოცე რუსი ოფიცრები, რომელთაც პურში გახვეული წერილები გამოუგზავნესო...

ქალებმა ღირსებით სავსე პასუხი გასცეს. აუდიენცია დასრულდა... ე. ვერდერევსკის საინტერესო, სქელტანიან წიგნში დაწვრილებითაა მოთხრობილი შამილის ტყვეების ბედი. აქ ამ თავისებურ კავკასიურ ოდისეას აღარ გავიმეორებთ, მოკლედ შევეხებით მხოლოდ გრიგოლ ორბელიანის როლს ტყვეების გამოხსნის საქმეში.

სწორად შენიშნავს ე. ვერდერევსკი თავისი წიგნის „შამილის ტყვე ქალების“ შესავალ წერილში: ნამდვილი ამბები, რომელთაც ახლა მოგითხრობთ, დღევანდელი ევროპულისთვის წარმოადგენენ საშინელ ანაქრონიზმს, რაღაც გაუგონარს, კუპერის რომანებში რომ ეხვდებით ჩრდილო ამერიკელ ინდიელებზეო*.

მაგრამ გრიგოლი იმითაც კმაყოფილია, რომ ლეკთა ტყვეები „ცოცხალნი მაინც არიან“.

ცხადია, გრიგოლი გულგრილი ვერ დარჩებოდა ქართველ ტყვეთა, და ისიც ნათესავთა ბედის გამო. მომდევნო წერილებში თავის ერთგულ დიმიტრი ჯორჯაძეს ათასჯერ სთხოვს გაუგზავნოს რა-

---

* Кавказские пленницы или плен у Шамиля, М., 1857, 1—2.

მე „საბრალოებს“— საკოხტაოდ კი არა, გამოსადეგი, რომ ჩაიცვან და ჭამონ, თორემ სიცივით და შიმშილით იხოცებიანო.

ამასთან შამილს წერილსა სწერს, ტყვეთა განთავისუფლების პირობების გაგების ცდილობს, ცალკე კიდევ წერილით მიმართავს შამილთან მყოფ ჯემალ-ედ-დინ ყაზი-ყუმუხელს, შამილის ბრძენ მასწავლებელსა და სიმამრს, შეიხს, ცნობილს თავისი ლმობიერებითა და ზეგავლენით. ამაღე დროს გრიგოლი დიმიტრის აფრთხილებს, საწყალ დავით ჭავჭავაძის პოლკოვნიკობა და ფლიგელ-ადიუტანტობა არ გაახმიანო, თორემ შამილი ტყვეთა გაცვლას გააძნელებსო. მერე ისევ ტყვეთა წინდებზე და ჩექმებზე ზრუნავს — თუ თვითონ არ ჩაიცმენ, მოახლეებს მაინც გამოადგებათო. არც ორცხობილას ივიწყებს.

დარდითა და შეშფოთებით არის აღსავსე გრიგოლის წერილები ჯორჯაძის, ვორონცოვის, შჩერბინინის, ბარიატინსკის და სხვათა მიმართ. თვით შამილს მისწერა, იქნებ მოვალბო იმამის გული და ტყვეთა გაცვლას საშველი დაადგესო.

შამილმა თავაზიანი პასუხი გამოუგზავნა: მოიკითხავდა, ტყვეთა კარგად შენახვას ჰპირდებოდა, მოლაპარაკებაზე თანხმობას აცხადებდა.

— ჩემი მდივანი მისწერს თავად ორბელიანს, — მიმართა შამილმა გრამოვს და განაგრძო: — მე ბევრს არ დავწერ თქვენსავით. დანარჩენს ჩემი კაცი ეტყვის. ღმერთია მოწყალე, ჩემი შვილი ჩამოვა და მაშინ თავადის ქალებსაც დაიბრუნებთ... ეცადეთ, ჩემს შვილს ბოროტმა ხალხმა არ ჩააგონოს რუსეთში დარჩენა. ამისათვის ჩემს წყალობას მიიღებთ.

ამას მოჰყვა სომეხი თარჯიმნის კომპლიმენტები, და გრამოვი გზას გაუდგა. 30 დეკემბერს თემირ-ხან-შურაში დაბრუნებულმა გრამოვმა ნახა გრიგოლ ორბელიანი, დავით ჭავჭავაძე და დაამშვიდა...

სამ წერილს ზედიზედ სწერს აგვისტოში სარდალი შამილს, პირველად იმამი დუმს, და გრიგოლი მხოლოდ 13 სექტემბერს გებულობს მის პირობებს, თუმცა 29 სექტემბერს შამილმა წერილი მაინც აღირსა. არაბულად დაწერილი ეს დოკუმენტი, ბევრ სხვასთან ერთად, სამწუხაროდ, დაკარგულია, მაგრამ გრიგოლი დიმიტრი

ჯორჯაძისადმი მიწერილ ერთ ბარათში (1854 წ. 29 აგვ.) მის შინაარსს გადმოგვცემს:

„შამილა მწერს: პირველად სალამსა; მერმე „თქვენი წერილი მომივიდაო, რაც მასში ეწერა, ყველა ეჰსცანო; მასუკან „ღ-თისაგან გამოგზავნილი ვარო და მისი ყოველი ბრძანება უნდა აღვასრულოო; თქვენც თქვენის ხელმწიფის ბრძანებისა ხართ აღმასრულებელიო, ინშაჰლლა, რაც შემიძლიან, კარგად შევინახამ ტყვეებსაო და პატივსაც ვაძლევო. — ამათ გამოხსნისათვის მოსალაპარაკებლად კაცს გამოვაგზავნი თქვენთან, როცა ანუ შურაში მოხვალთ ანუ ხასავიურთშიო“.

გრიგოლის მეორე წერილი „მუსლიმანთა უფროს იმამ შამილასადმი“ (1854 წ. 30 აგვისტოს) შეიცავს აღმოსავლურ შესავალს ღვთის უზენაესობაზე, მსწრაფლ წარმავალ ცხოვრებაზე და იმ კეთილ საქმეებზე, რითაც ადამიანები ამ ცხოვრებაში თავის კვალს ტოვებენ. შემდეგ პოეტი განაგრძობს:

„მოგმართავთ ახლა თქვენ, ღვთის მლოცველ მუსლიმთა უფროსო! ჯერ ისევ წინათ ჩემი ძმა ილია გყავდათ ტყვედ, — რომელიც დიდი ხანი არ არის, გარდაიცვალა, ახლა კი ტყვედ ჩაგიყვარდნენ მეუღლე მისი პატარა ვაჟითა და ძმისწული ნინოთურთ, მათთან ერთად ჩემი ნათესავი ქალი ანნაც თავისის ბავშვებითა და მსახურებით. ნათლადა სჩანს აქედან, რომ სასჯელი ესე ღვთისაგან მომერგო, და მეც არ ვდრტვინავ. მისს წმინდა ნებას ვემორჩილები; მაგრამ თქვენ, თქვენის გულისა და გრძნობათა კეთილშობილებით ჩემს ტყვე ნათესავ ქალებს ასეთის მწუხარებისა და ურვის დროს კაცთმოყვარეობრივს ყურადღებას არ აკლებთ, რისთვისაც ღმერთი მოგაგებთ ჯილდოსა...

თქვენგან მიღებულმა წერილმა გუშინ მასიამოვნა, უწინაცა და ახლაც ერთსა გთხოვთ მხოლოდ: ტყვედ მყოფი ნათესავი ქალები, მათი შვილები და მსახურნი განგვითავისუფლოთ. ნუ მევაჭრებით. რადგან არც მე და არც თქვენ ეს არ შეგვფერის: ვაჭრები ხომ არა ვართ! მერწმუნეთ, რომ ჩემს სიტყვას არ ვუღალატებ და გავიღებ მათდა გამოსახსნელად ყოველისფერს, რაცაც კი შევიძლებ, მაგრამ თუ გგონიათ, რომ მათს გამოსყიდვას მთავრობა იკისრებს, მერწმუნეთ, თქვენის მხრივ ეს ღიდი შეცდომა იქნება და ამით

მხოლოდ დააგვიანებთ მათს განთავისუფლებასა. საბრალო ქალები და ბავშვები კი დიდხანს ვერ აიტანენ თქვენი ჰავის სიმკაცრესა, დაიხოცებიან და ამითი მხოლოდ მე მომაყენებთ ბოროტსა და თქვენც ვერას ისარგებლებთ.

მაგრამ შეიძლება ჩემს სიტყვას, როგორც უცნობისას, არ ენდოთ და უვაჭრობით, მოულაპარაკებლივ არ გაათავისუფლოთ ჩემი ნათესავი ქალები. გთხოვთ მაშინ პატარა ბავშვები და ფეხმძიმედ მყოფი ქალები და ჩემი ძმისწული მაინც გამომიგზავნოთ, რომლებიც ძალიან თურმე არიან ავად... მართალია, მტრები ვართ, მაგრამ თქვენის კეთილშობილ გულისა და სულგრძელობის შთაგონებით ეს უკანასკნელი თხოვნა მაინც არის უნდა უთუოდ ამისრულოთ“*.

შემდეგ ტყვეების გაცვლის პრაქტიკულ ღონისძიებებზეა ლაპარაკი.

წერილში ძნელი შესამჩნევი არაა პოეტური აღმაფრენა, მაღალი ჰუმანურობა, დიპლომატიური ნიჭი, თავაზიანობა და მთიელთა გულის ცოდნა.

შამილმა წერილი მიიღო და ტყვეების სანაცვლოდ ძოითხოვა რუსეთის სამსახურში მყოფი შვილის, ძმისწულისა და ორი ავარიელის დაბრუნება. ამასაც არ დასჯერდა ხარბი იმამი და ტყვეებში საარაკო თანხა — მილიონი მანეთი გამოსასყიდი ითხოვა.

პოეტი 14 სექტემბრის წერილში იმამს უხსნის, რა დიდია ეს თანხა, რაზედაც მთიელს წარმოდგენა არა აქვს:

„თქვენ მილიონს ითხოვთ. ეს ისე დიდი თანხაა, რომ კაცმა სიტყვით თვალო: ერთი, ორი, სამი და სხვ., თვეზე მეტი გავა, ვიდრე დასთვლი, საიდან უნდა ვიშოვოთ ეს ამოდენა ფული, როდესაც ერთ ადგილას დაგროვებული უშველებელ დიდ ვერცხლის მთას ემგვანებოდა?“

მოლაპარაკება გაჭიანურდა, გაძნელდა. 22 სექტემბერს შეწუხებული გრიგოლი ქეთევან ორბელიანსა სწერს: „შამილს ერთი მილიონი ფული, თავისი შვილი და რამდენიმე სხვა ტყვეები

---

* რუსულ ენაზე დაწერილი ეს წერილი მოყვანილია ი. მეუნარგიას მიხედვით („ჭართველი მწერლები“, გვ. 69).

ეთხოვაო“. ფულზე კიდევ იმედი აქვს, დაუკლებს და მოერიგდებითო, მაგრამ შამილის შვილს მისცემს თუ არა ხელმწიფე, ეს უკვე არც გრიგოლმა იცის. სხვა ტყვეებიც ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის გაგზავნილები არიან რუსეთს და ვინ სად იპოვნის მათ, ღმერთმა იცის, ან გაძლებდნენ კი ტყვეები ამდენ ხანსო?

აი, ეს სიძნელეები აფიქრებს გრიგოლსა და დავითსაც, რომელიც დიდი ხანია ფულს აგროვებს ცოლ-შვილის გამოსახსნელად.

შამილის უფროსი შვილი ჯემალ-ედ-დინი (ფატიმათისაგან) ჯერ კიდევ 1839 წელს იგდეს ტყვედ, აულ ახულგოს აღების დროს, და რუსეთს წაიყვანეს. 1854 წელს ის ტყვეებში გაუცვალეს შამილს, მაგრამ ჭლექით სნეული ჯემალ-ედ-დინი ოთხი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

გრიგოლმა ყველაფერი გააკეთა ტყვეებისათვის, რაც კი შეეძლო. ნივთიერ ზრუნვასთან ერთად აწარმოებდა მიწერ-მოწერას თვით შამილთან და კავკასიის ჯარების შტაბის უფროსთან, ბარიატინსკისთან, რომელსაც პირდაპირ „სულის სიღრმიდან შეჰღაღადებს: „ტყვეებს დაეხმარეთო“.

მაგრამ მილიონ მანეთს ვინ გადაიხდის! შამილმა თვითონვე არ იცის, რამდენია მილიონი მანეთი. გრიგოლი მოსწრებულად ხუმრობს: მეტს არ ითხოვსო. გულს კი მაინც არ იტეხს. თავისი რძლისაგან ახალი მოდის ფერად ლეჩაქებს ითხოვს შამილის ცოლებისათვის, რომლებიც ტყვეებს თურმე კარგად ექცევიან (და ეს საჩუქრები მიიღეს კიდეც), ხოლო ბარიატინსკის არწმუნებს, შამილის შვილის მთაში ყოფნა საშიში არ არის, იქნებ ხელსაყრელიც გახდეს — სამემკვიდროსათვის დავაც გამართონო შამილის შვილებმა.

ბარიატინსკიმ მართლა იზრუნა ტყვეებისათვის. სამხედრო მინისტრს ვასილ დოლგორუკოვს მიმართავს წერილით, ჯემალ-ედ-დინის დაბრუნებას სთხოვს.

იმედის სხივი აკიაფდა. უკვე გადის კაეშნით სავსე 1854 წელი. გადის ნახევარი წელი, რაც შამილმა შილდა გადასწვა, წინანდალი ააოხრა და მის ტყვეებს ძლივს ეღირა უღიმით. გრიგოლი უკვე დაიმედებული სწერს საგინაშვილებს:

„ისაია გავგზავნე დარღოს შამილასთან და ახლა დაბრუნდა და მომიტანა ქალების ამბავი და წერილებიცა, სულ ყველანი მშვი-

დობით არიან; დავითის შვილსა და პატარძს გიორგის ფეხი აუდგამთ და დაცუცუნებენ; დავითის ქალებიც ისე შეეჩვივნენ შამილასა, რომ სულ წვერს უგლეჯენ. — შამილასა ძალიან კარგად და პატივით მიეღო ისაია, და ახლა ამის ტრაბახობისაგან აღარა ვართ: ჰაი მე ეს ვუთხარი, ჰაი იმან ეს მითხრა და სხვანი ამ გვარნი. — ახლა მოველით მოუთმენლად შამილას შვილსა, რომ მალე შესრულდეს ეს საუბედურო საქმე".

ამგვარად, ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილმა და გრიგოლ ორბელიანის ძმისწულმა ფეხი შამილთან აიდგეს. ხანდახან ესეც ხდება.

ისაი გრამოვი ტყუილად კი არ ატარებს ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელს. გრიგოლის ელჩმა დიპლომატიურ პაექრობაში ძძლია შამილს და გამოასყიდი თანხა მილიონიდან ორმოცი ათასზე დააყვანინა. მართალია, ამ მოციქულობას მთელი თვე მოანდომა, 1854 წლის 2 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე, მაგრამ შედეგი საესებით ამართლებს დაკარგულ დროს.

წლის ბოლოს მინისტრის ნებართვაც მოდის შამილის შვილის დაბრუნებაზე. ამბობენ, თვით ნიკოლოზ I მოელაპარაკა პორუჩიკ ჯემალ-ედ-დინს და სასწრაფოდ დაღესტანს წასვლა უბრძანაო. ნიკოლოზი, მართლაც, ერეოდა ასეთს საქმეებში.

ასეა თუ ისე, ტყვეების გამოხსნის საქმე უკვე მოგვარებულად ჩაითვლება. შამილის შვილის, „იმ წყეულის" ჩამოსვლას თვით შამილზე ნაკლებად როდი ელის მისი მოსისხლე მტერი.

ორბელიანმა განიზრახა მოულოდნელად შეჭრილიყო სალათავიაში, სწრაფად გაიარა მძიმე გზა ევგენიევსკოეს სიმაგრიდან, ფეხოსნებითა და ცხენოსნებით მიუახლოვდა ძველ ბურთუნაის, მაგრამ უეცრად მიიღო ცნობა, რომ შამილის ურიცხვი ბრბო ლეკის ხაზის მარცხენა ფლანგზე შეიჭრა, ფრონტის ხაზი დასუსტდაო, და უეცრადვე მოუხდა გაბრუნება. სარდალი სალათავიიდან თემირ-ხან-შურაში დაბრუნდა. მაგრამ სალათავიელები სასტიკად დაისაჯნენ კადნიერებისათვის და გენერალი რეადი გულითად მადლობას უხდის ორბელიანს ამ „ფრიად კარგად მოსაზრებულ და შესანიშნავად შესრულებული ლაშქრობისათვის".

სარდლობის ყურადღება ამ დროს თურქეთის ფრონტზეა მიჯაჭვული.

ვორონცოვი 1854 წლის 24 აგვისტოს შლანგენბადიდან სწერს ბარიატინსკის, შამილმა მთებში დაიხია, რომ გრიგოლ ორბელიანს მოუბრუნდესო. მორიგ წერილში აღტაცებულია რუს-ქართველი მხედრობის გამარჯვებით კურუკ-დართან' (თურქეთის ფრონტზე), რასაც ადარებს მაკდონალდის იტალიის არმიის მოძრაობას ავსტრიელთა ცენტრში, ვაგრამის ბრძოლაში, და განაგრძობს:

„დიდება ქართველ მოსახლეობასაც და ყველა ქართველ ტომს ერთგულებისა და ჰეროიზმისათვის, რასაც მარად იჩენენ და რაც დაბოლოს შეაფასა მთელმა რუსეთმა. მე ვფიქრობ, რომ ახლა გერმანელები*, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ დაემცირებინათ ქართველთა დამსახურება, სამხედრო თვალსაზრისითაც კი ხმას დაიმდაბლებენ, ან სულაც გაჩუმდებიან: ღმერთმა ქმნას, ყველგან ისე კარგად წავიდეს საქმეები, როგორც თქვენთან მიდის"**.

ეს დიდება პირველ რიგში გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის.

გრიგოლ ორბელიანი კი ახლა დიდებაზე ნაკლებად ფიქრობს, მას ტყვე ქალების ბედი აწუხებს.

აი, 1854 წლის 22 სექტემბრის წერილი ბარიატინსკისადმი:

„როცა ჩემი ძმა ილია ტყვედ იყო შამილთან, ჯაჭვებსა და ბორკილებში შებოჭილი, არ შემიწუხებია მთავრობა მისი განთავისუფლების თხოვნით, რადგან სამარცხვინოდ მიმაჩნდა მარტო მისთვის თხოვნა, როცა მრავალი სხვა ოფიცერიც მის მძიმე ხვედრს იზიარებდა მთებში, ტყვეობაში. არც ახლა ვითხოვდი დიდხანს, როცა ამ ჩემი ძმის ქვრივი, ძმისწულები და უახლოესი ნათესავი, თავად ჭავჭავაძის მეუღლე შვილებიანად იტანჯებიან ტყვეობაში, იმ ვარაუდით, რომ შამილის მოთხოვნა არ აღემატებოდა ჩემს შესაძლებლობას მათი განთავისუფლებისათვის. ახლა, როცა შამილის მოთხოვნები გაირკვა და ჩემი უბედური ნათესავების განთავისუფლების პირველ პირობად აყენებს თავისი შვილის დაბრუნებას რუსეთიდან, რა უნდა გავაკეთო იმის გარდა, რომ თქვენ მოგმართოთ? დამეხმარეთ! სულის სიღრმიდან შეგღაღადებთ — დამეხმარეთ!

---

* იგულისხმება ვოლფი, კოცებუ და სხვ.

** А Зиссерман, Барятинскій, т. I, стр. 366.

დაე, ნუ დაიღუპება ტყვეობაში საქართველოს რჩეულ გვართა ამდენი ქალი და ბავშვი!“

1854 წლის 23 დეკემბერს უკვე გახარებული პოეტი იმავე ბარიატინსკის სწერს:

„თქვენ გამოაცოცხლეთ ჩემი დაცემული სული 16 დეკემბრის წერილით, რითაც მაცნობეთ, რომ შამილის შვილმა მამასთან დაბრუნების სურვილი განაცხადა. რა უნდა გითხრათ, კეთილშობილო თავადო? ხვალვე ვგზავნი კაცს ამ სასიხარულო ცნობით“.

მადლიერი გრიგოლი იმ ხანებში მთავარმართებლად მურავიოვის დანიშვნის გამო წერდა: „საქართველოს ხვედრი გადაწყვეტილია, და ახალი მთავარსარდალი დანიშნულია. მაგრამ ნუთუ თქვენ ვერ გიხილავთ საქართველოს პროკონსულად? განა ამისათვის აუცილებელია 60 წლის ასაკი?“

* * *

შამილის ელჩი ველური გულზვიადობით ეახლა გრიგოლს, მასპინძლის თავაზიანობა მისი სისუსტის ნიშნად მიიღო და ჰუნების მეფის ელჩივით გამოიჭიმა დივანზე, მერე წამოწვა კიდეც, ფეხები მაღლა აიშვირა და ბანჯგვლიანი თავის ფხანით მოჰყვა თავხედურ ლაპარაკს: თუ შამილის პირობებს შეასრულებენ, ხომ კარგი, არადა მათთვისაც მოინახება მიწა დაღესტანში!

გრიგოლმა ბრაზით ბაგეები მოკუმა, იქვე მყოფ დავით ჭავჭავაძეს გადახედა და წყნარად უთხრა:

— დავით! ერთი დავკრა მაგ ურჯულოსა! მაგრამ ვაი, რომ ამით სულ წავახდენთ საქმეს... ეჰ, წავიდეთ, ერთი ბოლთა ვკრათ, ეგებ როგორმე გულის ჯავრი სიარულით ამოვიყაროთ...

საღამოხანი იყო, დავითმა და გრიგოლმა შეუმჩნეველად ამოჰყვეს თავი შტაბთან.

— Кто идет? — დაიძახა გუშაგმა.

— Солдат! — მიუგო ორბელიანმა და განაგრძო: — დე, დავმცირდეთ ჩვენ, ოღონდ ვიხსნათ ტყვეები. იმ გაძაღლებულ შამილს არ ებრალება ფეხმძიმე ქალები, უსუსური ბავშვები, გაჭირვებას შეუჩვეველი ქალები! ან რა პატივს მიაგებს უმწეო ტყვეებს, როცა არაფრად გვაგდებენ ჩვენ?

— Кто идет? — შესძახა ისევ გუშაგმა.

— Солдат! — მიუგო ისევ გრიგოლმა და გაიცინა.

1855 წლის თებერვალს მთავარმართებლის ნებით გრიგოლი თბილისში ჩამოდის, თან მოჰყვება იგივე დარდი — „ჩასაძაღლებელი“ შამილის შვილი არ იქნა, არ ჩამოვიდა, და ტყვეების საქმე ისევ დავით ჭავჭავაძეს მიანდო. თვითონ კი მოელის მეფისნაცვალს, რომელიც „მოდის ქუხილითა და ჭექითა“.

თებერვალ-მარტში, ვიდრე გრიგოლი თბილისშია, დავითსა და ბარონ ლეონტი ნიკოლაის შორის გრძელდება ამ საქმეზე მიმოწერა.

ჯემალ-ედ-დინი, შამილის შვილი, სტავროპოლში ჩავიდა 1855 წლის იანვარში. ცოტა გვიან დავით ჭავჭავაძეს ჩააბარეს. შამილმა გაიგო შვილის ჩამოსვლა და ახლა თვითონ დაუწყო მოციქულობა ორბელიანსა და ჭავჭავაძეს, ჩქარა მოვათავოთ ეს საქმეო. მართლაც, დრო იყო: მალე წელიწადი შესრულდებოდა მეფის შთამომავალთა და მათი შვილების გატაცების დღიდან.

მოლაპარაკება დასასრულს უახლოვდებოდა, როცა 1855 წლის შუა მარტში გრიგოლმა ისევ თემირ-ხან-შურას მიაშურა, ხოლო 3 აპრილს უკვე იქიდან ატყობინებს ქეთევანს, ზაქარია ორბელიანის ქვრივს: ამ დღეებში ტყვეები გამოემგზავრებიან საქრისტიანოს ქალაქში და ღირსეულად დახვდითო.

ბოლოს შეთანხმება მაინც მოხდა. კეთილი შუანეთა, შამილის ცოლი, სიხარულისაგან ტიროდა, მოლას პირველ ძახილზე მიატოვეს სახელგანთქმულმა ტყვე ქალებმა შამილის ჯოჯოხეთი.

ეს მოხდა 1855 წლის 10 მარტს.

მთელი აულების მცხოვრებნი გარეთ იყვნენ გამოფენილი. შამილს უხაროდა, რომ ტყვე ქალებს თავიანთ კერებს უბრუნებდა და თანაც დიდი ხნის უნახავ ტყვედნამყოფ შვილს ნახავდა.

ტყვე ქალთა გამოსყიდვა შამილის ხანგრძლივი, მძიმე და სახიფათო ტყვეობიდან მოხდა ინფანტერიის გენერალ მურავიოვის მთავარმართებლობის დროს. გამოსყიდვა ერთ დროს გააძნელა ვინმე მელანომ, რომელმაც შამილის ერთ-ერთ ცოლს უთხრა, რომ

ერთ-ერთი ტყვის ქმარი, დავით ჭავჭავაძე სამეგრელოს დედოფლის ეკატერინეს ძმაა და უზარმაზარი ფულის მოცემა შეუძლიაო.

...„რუსკი ინვალიდის“ 1855 წლის აპრილის ნომერში. დაიბეჭდა დაწვრილებითი ოფიციალური ცნობები ტყვეების გაცვლაზე, რამაც მთელს რუსეთში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. შამილმა შვილი დაიბრუნა, საქართველომ — ტანჯული ქალები და ბავშვები.

თათარ მილიციონერთა თანხლებით ტყვეები წავიდნენ ჰასავიურთიდან თემირ-ხან-შურაში, სადაც დარჩნენ დაღესტნის რაზმის უფროს გრიგოლ ორბელიანთან. დრანსე უმადლის გრიგოლს გულთბილი მასპინძლობისათვის. ქალები გრიგოლთან დიდხანს დარჩნენ, დაისვენეს, სული მოითქვეს და მერე განაგრძეს გზა თბილისისაკენ.

ტყვეთა გაცვლით ერთნაირად გაიხარეს შამილმა და გრიგოლმა.

მაგრამ შამილი ნაღვლობს: შვილი სხვანაირია, რუსული სული ჩაუნერგავთო მისთვის გიაურებს.

გრიგოლი კი იმაზე დარდობს, მშვიდობით თუ ჩავიდნენო ტყვე ქალები თბილისში!

სახელგანთქმული ტყვე ქალები თბილისსაც მშვიდობით ჩამოვიდნენ, პეტერბურგსაც მშვიდობით ჩავიდნენ და იმპერატორმაც პატივით მიიღო — ალექსანდრე მეორემ, რადგან ნიკოლოზ პირველი ყირიმის ომში განცდილი მარცხის გამო 1855 წლის 18 თებერვალს გრიპმა მოკლა, თუ სირცხვილმა სძლია და თავი მოიკლა. სასახლეში შამილის ყოფილი ტყვეების მიღება ხდება 1855 წლის აგვისტოში. გრიგოლი გახარებულია, კარგად მიიღესო.

ტყვე ქალთა ეპოპეა ამით დასრულდა. ამ ეპოპეაში, ბუნებრივია, გადამწყვეტი როლი გრ. ორბელიანმა ითამაშა.

* * *

იმ ხანებში თითქოს დასრულდა ბარიატინსკის სამხედრო მისია კავკასიაში.

1855 წელს, როცა ის პეტერბურგს მიემგზავრებოდა და შე-

წეხდა, როგორ გადავგზავნო ჩემი დიდი ბიბლიოთეკაო, მურავიოვმა უთხრა:

— ტყუილად აგზავნით: თქვენ მალე დაბრუნდებით ჩემს ადგილზე.

მართლაც, 1856 წელს მურავიოვი თავისუფლდება. მთავარმართებლად ინიშნება ბარიატინსკი.

ამრიგად, ორბელიანისა და გენერალ-მაიორ ვოლკოვის ენერგიულმა მოქმედებამ ჩეჩნეთში, ჰასავ-იურთასა და ჩირ-იურთას მიდამოებში, ორბელიანის სწრაფმა მანევრებმა დააგვირგვინა შამილის მთავარ განზრახვათა ნაცარ-მტვრად ქცევა და გაავებული იმამი გადავიდა ამაო უწესრიგო ავაზაკურ თავდასხმებზე, კახეთის დალაშქვრაზე, რაც ყველაზე ნაკლებად შედიოდა მის მთავარ გეგმაში, რომლის მიზანი იყო მაჰმადიანთა აჯანყების მოწყობა, თბილისის აღება, ომარ-ფაშასთან შეკავშირება და სხვა ფანტასტიური ზრახვები, რომელთაც ახდენა არასოდეს არ ეწერათ.

ისევ ბრძოლა და ზრუნვა

მიწა მშვიდობას ითხოვს.
დაღესტნური ანდაზა

„წავიდა ბაიყუში წელიწადი ჯანნაბას; ჰაი წავიდეს და აღარ მოვიდეს წყეული და შეჩვენებული! — ახალი წელიწადი მომილოცავს თქვენთვის. მივენდნეთ სასოებითა ღმერთსა; ეგებ ძოწყალებითა ახლა მაინც მოგვხედოს. — მშვიდობით, ჩემო საყვარელნო“.

ასე თავდება გრიგოლ ორბელიანის 1855 წლის პირველი წერილი, ბარბარე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი.

მაგრამ იმედი იმედად რჩება. რა უნდა მისცეს 50 წელს გადაცილებულ კაცს ბედმა, რომელმაც არაფერი გაიმეტა ამ ასაკამდე? ისევ ზრუნვა, ისევ ბრძოლა, მეგობარ-ნათესავთ მოკლებული მარტოხელა კაცის ოხვრა, მეტი არაფერი.

მაგრამ დარდი როდის უშლის ხელს გრიგოლს ხუმრობაში! ისევ ისე ხალისიანად ითხოვს მოიკითხონ იაკობ ორბელიანის ქალე-

ბი — „კრასავიცა ბაბალე, წელნაზი თამარი, ცუგრუმელა კატო, მინაზებული სოფიო“, ძალუა ელისაბედ ორბელიანი და „მისი საკუთარი ყაფლანი“, „ჩვენი ჯიღაყამყამი“ ყაფლანი, რომლის შვილსაც ურჩევს, თათრული და სპარსული ენები ისწავლოს, თორემ „ინგლისური ენითა ეგ პურს ვერ იშოვნის“.

პოეტს ცხოვრების გამოცდილება ალაპარაკებს. უკვე იმდენი რამე ნახა, „ახლა აღარა გამიკვირდება რა და არაფრისაც შემეშინდებაო“, აცხადებს.

ისევ ისე ხუმრობს, წერს, ოხრავს, და არასოდეს არ ივიწყებს „დიდ ბიძია ალექსანდრეს“, „გიქ ნიკოს“, იაკინთე მესხიშვილს, ყაფლან ორბელიანს, მანანას ვაჟებს, ზოგჯერ მელიტონის და ეფემიას ასულს კატოს... ყველას თავისი ცხოვრება აქვს. ლევან მელიქიშვილმა, როგორც იქნა, შეირთო ალექსანდრა, ორბელიანის ასული. მანანას ვაჟი ივანეც მალე დაქორწინდება...

მხოლოდ გრიგოლი რჩება კენტად, მხოლოდ მისთვის არ გამოჩნდა ქალი და ამ მხრივაც ანტიპოდია თავისი მოწინააღმდეგის — შამილასი.

გრიგოლის სახელი უკვე მთელს იმპერიაში ყველასათვის ცნობილი ხდება.

ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი 1855 წლის 6 ოქტომბერს ვასილ ბებუთოვს სწერს გრიგოლ ორბელიანზე და სხვათა შორის იგონებს: „ყოველთვის მიყვარდა ეს ბელადი, პოლკიდან ვიცნობდი, გრიშას ვეძახდით. ახლა გაჭირდა მასთან კავშირის დაჭერა და ამიტომ თქვენ გწერთ“*.

1855 და 1856 წლებში გრიგოლი კვლავ შეუპოვრად ებრძვის შამილის ურდოებს. მის სახელთანაა დაკავშირებული მცირე თუ დიდი ბრძოლები, რომლებიც გაიმართა გერგებილთან, წუდახარში, ქუთიშისა და სალათავიის მთებში, დაღიშის ვიწრო ხევში, ხუდობოშთან, ყაზი-ყუმუხს, ხოჯალ-მაქის ციხესთან გიმრში, ტაბასარანში, ჩირ-იურთას... მამაცი წინამძღოლი ხუმრობის გუნებაზეა, როცა „ინგრევ-იქცევ-იწვის“ მისი პაპის მოსისხლე მტრების ქედმოუხრელი მხარე.

---

* „Русская старина“, СПБ, 1872, стр. 453.

1855 წლის მაისში შამილი ტაბასარანში თავისი შარიათის მქადაგებლებს აგზავნის და ხალხს ამხედრებს. ზაფხულთან ერთად ახლოვდებოდა საომარი მოქმედების საფრთხეც. ორბელიანი პირველი ხვდება, რომ მზადდება აჯანყება და პირველი ღებულობს გადამწყვეტ ზომებს. ხუთ ბატალიონს, ხუთი ათას მილიციელს და 6 ქვემეხს ანდობს გენერალ მინკვიცს და ავალებს, წესრიგი დაამყარე ტაბასარანში ან სიტყვით, ან იარაღით, ჯობს სიტყვითო..

სწრაფმა მოქმედებამ და დიდძალმა ჯარმა მოსახლეობა დააშინა, შამილმა დახმარება ვერ მოასწრო და გუბერნატორს მორჩილება გამოუცხადეს მეამბოხეებმა. „ტაბასარანის და ყაითაღის კრიზისი“ თავშივე ჩაქრობილ იქნა, ისე რომ, ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ.

ასე ჩაშალა გრიგოლმა შამილის კიდევ ერთი განზრახვა*.

ესეც მოწმობს გრიგოლის უპირატესობას, მაგალითად, რეადის ტიპის სამხედრო მოღვაწეებთან შედარებით.

რეადი არ იყო ცნობილი კაცი. სწორედ მის უხერხემლობასა და ზომიერ ჭკუას გულისხმობდა, ალბათ, მეფე, როცა ცხრა წლის სამსახურის შემდეგ ავადმყოფი ვორონცოვი ტოვებდა თბილისს, იმ ვარაუდით, რომ რეადს „არ ეაზროვნა და არ შეეცვალა მართვის ახლანდელი გეზი“. პოლკოვნიკი თევდორე დე-საქე თავის ჩანაწერებში არასახარბიელო შეფასებას აძლევს რეადს, ხოლო გრიგოლ ორბელიანს „უკეთილშობილეს გენერალ-ლეიტენანტს“ ეძახის, რომელსაც მთელი კასპიისპირეთი ემორჩილება.

ივნისის დასაწყისში შამილს ისევ მოსწყურდა ომი, დიდძალი ჯარი შეყარა, მაგრამ არავინ იცის, საით აპირებს წასვლას, და გრიგოლი სვიმონ შალიკაშვილს სწერს: „ამ დღეებში აპირებს საითმე წასვლასა ჯარითა, ესე იგი ან ელადიკავკაზისკენ, ან ჩემკენ, ან თქვენკენ“, მაგრამ ეს ალბათ თვით შამილმა არ იცისო.

ასე რომ, პოეტი თვალით დაღესტანს გასცქერის, ყური კი თურქეთის ფრონტისკენ აქვს: მოუთმენლად მოელის ყარსის აღებას.

1855 წლის ივლისში, მკათათვის ოცდახუთს, გრიგოლი ქუთაისის მთაზე კანკალებს სიცივისაგან, მაშინ როცა თბილისში ამ დროს

---

* Акты, XI, стр. 340.

კაცმა არ იცის, რომელ აუზში გადავარდეს. საბნები ვერ ათბობს, თან უცნაური ცნობები მოსდის: ანდრონიკოვი ატყობინებს, შამილს 14000 ცხენოსანი ჰყავს, აქედან 8000 შუბოსანიო. შამილის შუბოსანი ვინ გაიგონა? უფრო სარწმუნო ისაა, რომ შალის მინდორზე გენერალ იპოლიტ ვრევსკის იმამი დაუმარცხებია. ლეკებს ხშირად ამარცხებენ, მაგრამ იმამატს მთის გულში ფესვები ღრმად აქვს გადგმული.

შამილი კი ავარიაში მოვიდა, ნაიბები შეყარა, ითათბირეს, მაგრამ ჯერ შედეგი არ ჩანს.

გრიგოლი ელოდა შამილს და მის ნაცვლად მოვიდა ყინვა და თოვლი. ქუთიშზე გაჩერება გაჭირდა და დეკემბრის დასაწყისს გრიგოლმა ისევ თეძირ-ხან-შურას მიაშურა.

ასე დადის გრიგოლი მთიდან მთამდე, აულიდან აულში, ძალიან უნდა „იმამ-შამილას მიმტვრევა“, და კიდეც მიამსხვრევს კახში ან სადმე სხვაგან. ასე ფიქრობს და სხვა ღმერთის ხელთ არის, როგორც უცხადებს ყორანი მაჰმადიანებს.

მოკლეა და უზადო ბუნების ის მონუმენტური სურათები, რომელთაც გრიგოლი გვაძლევს მოცალეობის ჟამს:

„ვსდგავარ მაღალს ქუთიშის მთაზედ, სადაცა ნისლი, სიცივე, წვიმა მოუწყვეტელია, ხანდახან მზეც დაგვენახვება, მხოლოდ იმისათვის, რომ ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ სადმე ქვეყანაზედ ანათებს მზე“.

ყირიმის ომი გრძელდება. გრიგოლი მეხთულის მთებში შეიტყობს ნახიმოვის დაღუპვას. „მართლად ღირსეული კაცი დავკარგეთ უმეტესათ ამ დროშიო“, — სწერს ჯორჯაძეს. ცხადია, იგულისხმება გამოჩენილი ადმირალი, სევასტოპოლის გმირი, პავლე ნახიმოვი, სასიკვდილოდ რომ დაჭრეს 1855 წლის 28 ივნისს და ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

გაკვრით, მაგრამ ამომწურავად გადმოგვცემს იქვე გრიგოლ ორბელიანი თავის შეხედულებას ომსა და მშვიდობაზე, მარადიულ ტირანიაზე:

„ანგლიის კარალევას მიელიან პარიზში, თუღა ნაპოლეონს თავიღა აბადია, ძალიან დაგიდევენ თუ სევასტოპოლი ჟლეტს ანგლო-ფრანცუსთა, მეპატრონენი სიამოვნებით ატარებენ დროსა“.

ლაპარაკია უბადრუკ ნაპოლეონ მესამეზე და ინგლისის დედოფალზე, რომლებიც ერთიმეორესთან სტუმრობით არიან გართული იმ დროს, როცა მათი ჯარები რუსეთში წყდებიან.

ყირიმის ომს შეეწირა ნიკოლოზ I და მისი ავტორიტეტი. სირცხვილმა გატეხა მორალურად და ფიზიკურად, უბრალო გრიპს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. ევროპაში ჰორები დაირხა: გული გაუსკდა და თავი მოიკლაო? ნაპოლეონ მესამემ რუსეთის კანცლერ ნესელროდეს სიძის საშუალებით სამძიმარი გამოუგზავნა ტახტის მემკვიდრეს, ალექსანდრე მეორეს... ვისაც მშვიდობა სურდა, გულში იმედის სხივი ჩაუდგა, მაგრამ ყველას როდი სურდა მშვიდობა. „ჩვენ მშვიდობის საფრთხე გვემუქრებაო“, — სწერდა პალმერსტონი ძმას. პალმერსტონი, ზავს კი არა, მოკავშირეებს დაეძებდა, რათა რუსეთი დაეჩოქებინა. ინგლისს სურდა ყირიმის ხელში ჩაგდება, მთელი კავკასიის დაპყრობა, საქართველოში შემოჭრა, შამილისათვის „დიდი ჩერქეზეთის“ შექმნა. მაგრამ შამილს სასტიკ ომში დამარცხება უჯობდა თურქეთისა და ინგლისის ვასალობას.

1855 წლის 27 აგვისტოს — სევასტოპოლი დაეცა, და მასთან რუსეთის ავტორიტეტიც გაქარწყლდა ევროპის საქმეებში. მეფე იძულებული გახდა მიეღო დამამცირებელი ზავი.

1856 წლის 30 მარტს პარიზში ზავი დაიდო. რუსეთ-თურქეთის ომი ამით დამთავრდა. ევროპაში პირველი ადგილი საფრანგეთმა დაიჭირა. შამილის იმედის კოშკი დაინგრა.

შერიგების ამბავს გრიგოლი აპრილში გებულობს. ამაოდ ელის მთავარმართებლის გამოვლას, რომ თავისუფლება გამოსთხოვოს და ორი კვირით მაინც წავიდეს ზღვაზე, რადგან გაუგონია, ადამიანს „ზღვა აყმაწვილებსო“.

ან რა ყურადღებას ითხოვს, როცა დაღესტანში მებრძოლ ბაშვრალ სარდალს საქართველოში მადლობის მაგიერ მამულს უზომავენ და აჭრიან ვინმე ალექსანდრე ორბელიანის ვალის დასაფარავად! ჯერ ჩამოვაჭრით და მერე ძმებმა ორბელიანებმა ხელახლა გაიყონო, ამბობენ მიწისმზომელები. გრიგოლს თავისი სამსახურში ყოფნის გამო ეს საქმე ალექსანდრე საგინაშვილისათვის მიუნდვია.

ამრიგად, საქართველოში პირველ კაცს, გენერალსა და სარდალს ვერ იფარავს თავისი დამსახურება, მთავარმართებელთან

სათხოვრად და საშუამავლოდ გახდომია საქმე თავისი მამულის გამო. ვერც ბიძაშვილებმა გადადგეს ორი ნაბიჯი.

რაც შეეხება თვითონ მას, ორბელიანს, ის სარდალია, იბრძვის, მაგრამ იბრძვის ზავის, თანხმობისა და მშვიდობისთვისაც. აქ საკმარისია ერთი ფაქტი დავიმოწმოთ.

1855 წლის აგვისტოში ყაზი-ყუმუხის მმართველ აღალარ-ხანსა და დარღოს მხარის უფროსს — ლაზარევს შორის საშიში წინააღმდეგობა ჩამოვარდა. ორბელიანი ყოველ ღონეს ხმარობს მხარეთა შესარიგებლად. „ყაზი-ყუმუხში კარგი საქმე მოვახდინეო“, — სწერს ქუთაისიდან დიმიტრი ჯორჯაძეს, და მოუთხრობს, როგორ მოაწერინა კარგი წერილი ლაზარევს, თვითონაც შუაკაცები გაუგზავნა ჰუსუფ-ბეგს. „ამათ უნდა მოახდინონ ძმობა, სიყვარული, მეგობრობა, მეზობლობა ორთა ნათესავთა შორისო“, — უხარია სარდალს.

ყაზი-ყუმუხელებსა და წუდახარელებს შორის მამულზე ატეხილი დავის სასწრაფოდ მოგვარებას მომდევნო წერილშიაც სთხოვს ჯორჯაძეს, თუმცა ყოველთვის შამილის შემოჭრის მოლოდინშია, და არც იმას ტოვებს მხედველობიდან, რომ მთის ხალხი უკვე უკმაყოფილოდ დრტვინავს შამილის უღელქვეშ. იძამი ახალ-ახალ ჯარს ითხოვს ხალხისაგან, გაუთავებელი ომით დატანჯულ ხალხს მძიმე ტვირთად აწვება ახალი ხარჯი.

გრიგოლი ისეთ ქვეყანაშია, სადაც თვით აგვისტოში თოვლია, ომს კი ბოლო არ უჩანს, და „ჯერაც არ ვიცით, რა არის ჩვენი დაღისტანშიო!“ — წამოსცდა მრავალი წლის ომის შემდეგ სარდალს ლევან მელიქიშვილისადმი წერილში. როდემდე უნდა იტყუონ თავი ამ ბრახა-ბრუხით, ლაშქრობით, უკუქცევით, ტაცებითა და იმედებით?

ეს მოხელეთა უხერხემლობის შედეგიცაა. დაპყრობილ ტაბასარანში „თორმეტი კაცი“ შეჰრილა, გუბერნატორს მათი გარეკვა ვერ მოუხერხებია და გრიგოლს სთხოვენ ჯარებს, რომ სხვისი ჩაოხრებული საქმე გამოასწოროს. გრიგოლიც ორ გენერალს გზავნის.

მალე გრიგოლი დერბენდს მიეშურება. გულცივად ხვდებიან ერთმანეთს ჩვენი პოეტი და დერბენდის სამხედრო გუბერნატორი გენერალი მინკვიცი. ფორმალური მოკითხვის შემდეგ გენერალმა

თავისი გადადგომის თხოვნა მიართვა ორბელიანს, ამანაც ცივი თანხმობა მისცა. მიზეზი იყო უთანხმოება მინკვიცსა და მის ხელქვეითს, ყუბის მაზრის უფროსს—გიორგი ერისთავს შორის. ეს პოეტი გიორგი ერისთავი კი არაა, არამედ მეორე, რომანის ძე, ატამანად წოდებული, ერთ დროს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი. მინკვიცმა ჩაიზე გრიგოლს შესჩივლა, გუბერნატორი ხელქვეითმა შეურაცხმყოო. გრიგოლმა შეუპოვრად დაიცვა ერისთავი: მაგრამ ორი დღით პატიმრობა მაინც მიუსაჯა. რამდენიმე დღის შემდეგ კი უკვე ტაბასარანიდან სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს — „თავის ბურიენს“ (ასე ერქვა ნაპოლეონის მდივანს და ჯორჯაძეც ხომ მდივანია ჩვენი ნაპოლეონისა—ორბელიანისა). შეტაკება გვქონდაო მტერთან, ჩვენმა ნინიკამ ერთი მოკლა და ერთი დაჭრაო. ბრძოლა გრიგოლმა მოიგო. ორი სოფელი აიღო და რუსებს დაუმორჩილა.

ტაბასარანელები არ მოელოდნენ, რომ გრიგოლი ამ სოფლებში შემოსვლას გაბედავდა. „ბევრჯერ მოსულან და დაბრუნებულანო“, ამბობდნენ და, მართლაც, ამ ადგილებს თავის დროზე გვერდი აუარეს თვით ნადირშაჰმა, რომელმაც 1743 წლის ივლისში ტაბასარანი ააოხრა, გენერალმა მადათოვმა, რომელმაც 1818 წელს ტაბასარანი აიღო, მოსე არღუთინსკიმ, რომელმაც კრაზანების ამ ბუდეს გვერდი უქცია. გენერალი პანკრატიევი და პოდპოლკოვნიკი მიკლოშევსკიც ყალუხის მთიდან გაბრუნდნენ. გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ ლევანის ძე დადიანი სწორედ აქ დაამარცხეს მთიელებმა და მინკვიცმაც უკან გაბრუნება არჩია. ასეთი სარდლებისათვის მიუდგომელი ტაბასარანის სოფლების ასე იოლად აღება უდავოდ მოწმობს გრიგოლ ორბელიანის სიმამაცესა და სამხედრო ნიჭს. მისივე მოწმობით, დამარცხებულნი „ახლა თავ-პირში იცემენ, რა ჰხედვენ, თუ როგორ ინგრევ-იქცევ-იწვის ჩუქურთმიანი სახლები. — ამ ორს სოფელში უშვებ მხოლოდ ერთს მეჩითსა და დანარჩენს კი ვსთხრი ძირიანადო“, — სწერს ლეკებზე შურისძიებად მზად მყოფი სარდალი თავის მდივანს და იწყებს ტყეების კაფვას. ხუთასი კაცი კაფავს ამ ტყეებს. ლეკები თან კაფავენ ტყეს და თან ლაპარაკს არ იშლიან: დასაბამიდან უზდენები ვართ, თავისუფალნი, „ეს თავის დღეში არ ყოფილაო“.

ასე დადის პოეტი-სარდალი დერბენდსა და თემირ-ხან-შურას,

ტაბახსარანსა და ზაქათალას შორის, იბრძვის, წერს (მხოლოდ წერილებს!), წუხს, ქეიფობს, და უსმენს ყოვლის მომთმენ რუს ჯარისკაცთა საუბარს:

— კარგად ზიხარ?

— კარგად, რა მიჭირს!

— ჩემს ადგილზე ხომ არ დაჯდები?

— რისთვის.

— მზე გაჭერს.

— ეს არაფერია.

— როგორ არაფერი, თვალები ჩაგწითლებია.

— ეს არაფერია.

— მხარშიც დაჭრილი ხარ?

— არაფერია.

— ძალიან გტკივა? შეგიხვევ.

— არაფერია.

— როგორ ყველაფერზე „არაფერს“ იძახი, რა გუნებაზე ხარ? — და მეგობარი მეგობარს ებუტება. პოეტი კი ფიქრობს: „აი, ასეთი ჯარისკაცებით ნაპოლეონი მსოფლიოს დაიპყრობდა“.

* * *

არც თბილისის ამბები რჩება განზე. ქეთევან ორბელიანი სთხოვს რჩევას, გავათხოვოთ თუ არა ბაბალე რუს ოფიცერზეო. ბაბალე გრიგოლის დისწულია, ნიკოლოზ ბარათაშვილის და. გრიგოლი არ ურჩევს — რუსული არ იცის, ვერ შეეჩვევაო, მაგრამ დაჟინებით კი არა — თვით ბაბალეს ჰკითხეთ, ეგ მისი საქმე უფროა, მინდა კი ქართკელს გააყოლოთო. ჩანს, ისმინეს მისი რჩევა: ბაბალე ხომ ვეზირიშვილმა შეირთო!

ისევ მოდის მთიდან წერილების ნიაღვარი. ისევ გვაოცებს გრიგოლის გამორჩეული სიყვარული ყაფლანისადმი. ისაა ზურაბიანთა გვირგვინი, იმედი, ნადირჰაშის ჯიღა, ბარამჯიბილი, ძას უნდა ევლებოდეს თავს და ენაცვლებოდეს ყველა, დიდი ბიძია ალექსანდრეს გარდა. „ჩემის ფიქრით ასეა და თქვენ თქვენი იცით“, — სწერს ქეთევანს. ერთი კვირის შემდეგ: კარგად მომიკით-

ხეთ, თორემ მაგ თქვენს ქუჩას ერთიანად გადავწვავო, ხოლო იმავე დღეს თვით ყაფლანსა სთხოვს: დაგეროტიპით დაეხატვინე და შენი პორტრეტი გამომიგზავნეო. ცოტა გვიან ისევ ქეთევანს აფრთხილებს, ქალების ჰორით არ შემიწუხოთ, აზიზად გაზრდილიაო და ა. შ.

ყაფლანის წერილი წლების განმავლობაში გრიგოლის მთავარი ნუგეშია. 1856 წლის 23 მარტს პოეტი სწერს:

„ისე ღმერთმა შენ გასიამოვნოს შენის ცოლშვილით, როგორც მე დღეს გავიხარე შენის წერილით, ჩემო საყვარელო ყაფლან! ეგრე უნდა! არ უნდა დამივიწყო. ფოშტას უნდა ხშირად მოჰქონდეს ჩემდა შენი წერილი, რომელშიაც თუ გინდა, სულ ნურას დაჰსწერ, ოღონდ კი შენი სახელი ეწეროს. მარტო შენი სახელი კმარა ჩემთვის!“

ყაფლანიც უბრალო ვინმე არ არის. საკმარისია ორი სიტყვა დაწეროს, რომ საკატარღოდ განწირულს თავისუფლება ენიჭება. ასე, 1855 წლის 14 ნოემბერს ყაფლანის ერთმა წერილმა ისე გაახარა გრიგოლი, რომ საციმბიროდ გამზადებულ ტუსაღს „მურახასი უყო“ — გაათავისუფლა. „ავადმყოფობა გავიგე შენი და ამიტომ მოგწერეო“, — აღიარებდა ყაფლანი, „ოღონდ შენ მომწერე, ერთხელ კიდევ კრუსუნით ქვეშაგებში დავწვებიო“, — პასუხობს გრიგოლი, რომელსაც ყაფლანი ილიას და ზაქარიას თანაბარ ძმად მიაჩნია.

განსაკუთრებული სიყვარულითაა გამთბარი გრიგოლის წერილები ეკატერინე ჭავჭავაძისადმი. „უნდა იცოდეთ, ვისაც ჩემზე მეტად უყვარხართ, მისი დაუძინებელი მოსისხლე მტერი ვიქნებიო“,— არწმუნებს დადიანის ქვრივს ჭარმაგი პოეტი 1856 წლის 28 ნოემბრის წერილში. თან ემდურის, მხოლოდ ერთი პატარა ბარათი რად მომწერეო, და სთხოვს, დაწვრილებით შეატყობინოს, როგორ იმგზავრა რუსეთში, როგორ მიიღეს სასახლეში, ვინ გაიცნო და ა. შ. ამას ერთი თაბახი ქაღალდი დასჭირდება, მაგრამ „ერთხელ მაინც უნდა მსხვერპლის შეწირვა“.

მართლაც, ეკატერინეს არავითარი მსხვერპლი არ შეუწირავს ბიძა-დისწულისათვის, რომელთაც მას უკვდავი ლექსები უძღვნეს.

წერილთან ერთად თავის სურათსაც უგზავნის, თან უხსნის: „ჩემი სურათის გამოგზავნა ამას ჰნიშნავს, რომ თქვენი პორტრეტი

მიბოძოთ, თორემ ჩემის ცხვირპირის ხილვა, მგონი, არავისთვის იყოს სასიამო“.

ცოტა მოგვიანებით ბაბალე საგინაშვილსაც სწერს:

„ჩემი დედოფალი, ჩემი იმპერატრიცა, ქვეყნის-თვალი ეკატერინა თუ არ წაბრძანებულიყოს ჯერ მინგრელიასა, დიდის და დიდის სიყვარულით მომიკითხე; აგრეთვე ნინა ალექსანდროვნა“.

ეკატერინეს კიდევ მოიკითხავს, ნინო ჭავჭავაძეს კი აქ უკანასკნელად მოიხსენიებს ცოცხალთა შორის: იმავე 1857 წლის 28 ივლისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, თბილისში გარდაიცვალა საქართველოს ერთ-ერთი მანათობელი ვარსკვლავი ნინო, გრიბოედოვის ქვრივი, და დიდი პატივით დაასვენებენ იმ ადამიანის გვერდით, რომელთანაც სიცოცხლეში ასე მცირე ხანს მოუხდა ყოფნა.

. დიდი ადგილი უჭირავს გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაში თავად დიმიტრი ჯორჯაძეს. გრიგოლი თავიდან არ იცილებს ერთგულ თანამებრძოლს, ხოლო როცა გარემოება აცილებს, ზედიზედ სწერს წერილებს, კითხულობს მის ამბავს, აძლევს დავალებებს... 1857 წელს, როცა დიმიტრი ზუგდიდში აპირებს გადასვლას, ეკატერინე დადიანის მრჩევლად, გრიგოლი წუხს, არ ურჩევს: მრჩევლობა რა დაწინაურებაა, რას მოგცემსო! არც იმას ფარავს, რომ დაშორება გაუჭირდება.

* * *

1855 წლის 25 ოქტომბერს სამეგრელოში ომარ-ფაშას ურდო შემოიჭრა. თურქთა სარდალი ომარ-ფაშა, საქრისტიანოში მიხეილ ლატოშად ცნობილი, თურქეთის არმიის გარდამქმნელის ხოსროვ-ფაშის ყოფილი ადიუტანტი იყო, უბრძოლია ეგვიპტის მბრძანებელთან, ბოსნიაში, ვალახიაში, და დიდი წარმატება არსად არ ჰქონია. ყარსის საშველად დაძრულს უკან გაბრუნება მოუხდა, 1853 წლის 21 სექტემბერს სოხუმ-კალეში გადმოსხდა, სამეგრელოში შეიჭრა და თვით დადიანების სამთავრო ქალაქი ზუგდიდი აიღო. ეკატერინე ჭავჭავაძე, ამ დროს უკვე ქვრივი, ცხენს მჯდომი მიუძღვის მილიციის რაზმებს და თავხედ ფაშას ებრძვის, როგორც შეუძლია.

ფაშის ხუთმეტათასიანი ურდოს პირისპირ დგას გურულთა ასპრე რაზმი ივანე მუხრანსკის წინამძღოლობით. გრიგოლი შორიდან ადევნებს თვალს თურქთა თარეშს „წინანდლის ვარდის" საბრძანებელში. დედოფალი მეტწილად გორდშია.

25 ოქტომბერს ივანე მუხრანსკის შეტაკება ჰქონდა თურქებთან, ექვსი ათასამდე კაცი მოუკლა, მაგრამ ჯარის სიმცირის გამო უკან დაიხია, ციხეზე გამაგრდა. მაშინ დაიკავეს თურქებმა ზუგდიდი. უხერხემლო მუხრან-ბატონი ტყუილად იბღინძებოდა და ითხოვდა დედოფლის წაპვლას სამეგრელოდან. 16 ბატალიონიდან გაჭირვების დროს რვაც ვერ შეკრიბა, დამარცხდა და უკან დაიხია.

• • •

1855 წლის დეკემბერში გრიგოლს თავს ატყდება ახალი უბედურება: მოულოდნელად გაიგო, რომ რუსეთში გარდაიცვალა საყვარელი ძმისწული, ზაქარია ორბელიანისა და ქეთევან მესხიშვილის ერთადერთი ვაჟი — სანდრიკო. სასოწარკვეთილებით არის სავსე გრიგოლის წერილი რძლისადმი. უდროოდ დამიწებული სანდრიკო იყო მისი იმედი მოხუცებულობის ჟამს, მას ხედავდა ძმების მაგიერ, მოიკითხავდა ყოველ წერილში, უგზავნიდა ფულს... ახლა კი დაემხო მისი ოჯახი და აღარ იცის, „სად წავიდეს, სად დაიკარგოს ესოდენის ვაებისაგან".

ამასაც მოესწრო!

მომდევნო წერილებში მაინც მხნეობს, დაღუპულის დედას მოთმინებისაკენ მოუწოდებს და არ ურჩევს დამარხული სანდრიკოს გვამის შეწუხებას, მაგრამ თუ გადმოსვენებას მაინც არ დაიშლის, თანახმაა, უკანასკნელ ნუგეშს არ მოაკლებს. ყაფლანს კი ურჩევს, სოფელში დამკვიდრდი, მხოლოდ სოფელშია მატება, თბილისში ცხოვრება კი ხარჯისა და ვალის მეტს არაფერს მოგვცემსო.

• • •

როგორ გრძნობდა თავს შამილთან დაბრუნებული შვილი?

მთავარსარდალ მურავიოვსა და თავად დოლგორუკოვს ენებათ ცნობები შამილის შვილზე და კასპიისპირეთის ჯარების სარდალი

გრიგოლ ორბელიანიც ატყობინებს. ამ ცნობების თანახმად მურავიოვი დოლგორუკოვს სწერს: ჯემალ-ედ-დინმა მთებში მოიწყინა, ვერც ენა შეითვისა, ვერც ჩვეულებები. ამას დაერთო სნეულება, რაც გამოიწვია წინადაცვეთის გვიან მოხდენილმა ოპერაციამ. შამილს სურს საყვარელ შვილს შერთოს დანიელ-ბეგის უმცროსი ასული. იმამი უკმაყოფილოა, რომ ლეკი არ ლეკობს, უარს ამბობს ავაზაკთა ურდოების წინამძღოლობაზე. შამილი უკმაყოფილოა, მაგრამ შვილი ძლიერ უყვარს.

— რაზე მოგიწყენია, რას ნაღვლობო? — ჰკითხა.

— როგორ არ მოვიწყინო, როცა ჩემი მწყალობელი ხელმწიფე მოკვდაო, — მიუგო შვილმა.

შამილი ჩაფიქრდა და თქვა:

— მართლაც, ორივეს გვმართებს წუხილი ურუსთა დიდი ფადიშაჰის სიკვდილისათვის: მე შვილი დამიბრუნა, შენ კი კაცად გაქციაო!

ამ პასუხიდანაც ჩანს შამილის გონიერება, საკუთარ თავსა და რწმენას რომ აღემატა.

დაღესტნის მთებში ისევ ამოტივტივდა ძველი ხმები: შამილსა და დანიელ-ბეგს შორის განხეთქილებაა და ამ უკანასკნელს რუსების მხარეზე უნდა გადმოსვლაო; შამილმა თითქოს დააპატიმრა, სახლი დაუწვა და მხოლოდ თავისი რძლის, მეორე შვილის ცოლის, დანიელ-ბეგის ასულის თხოვნით გადარჩა დაღუპვასო.

ბებუთოვი ორბელიანს ეკითხება, მას ენდობა და მისივე გონივრული ვარაუდების საფუძველზე სწერს დოლგორუკოვს: ეს ხმები სიმართლეს არ შეეფერება, რადგან დანიელ-ბეგი ცოლშვილიანად ვერ გაიქცევა, შამილის ხელში კი ცოლ-შვილს ვერ დატოვებს, ისე უყვარსო. თანაც დანიელ-ბეგს არა აქვს ისეთი ავტორიტეტი, რომ იმამს გადაუდგეს და რაიმეს იმედი იქონიოსო. ყოველ შემთხვევაში, იმ ხანებში შამილი ენდობოდა, გარეგნულად მაინც.

დანიელ-ბეგი, ყოფილი ელისუს სულთანი, 1844 წლამდე რუსეთის ქვეშევრდომი იყო. ჰარ-ბელაქნის უფროსის მორჩილება არ ინება და შამილს დაუბრუნდა.

მოუსვენარი ბეგი 1859 წელს ხელახლა გადავიდა რუსების მხარეზე გენერლის წოდებით, მაგრამ სასულთნო არ აღუდგინეს და მერე თურქეთს გადასახლება ამჯობინა.

1857 — ორბელიანის წელი

„რამეთუ მტერი ჩუენი, ვითარცა ლომი მყეირალი, მიმოვალს და ეძიებს, რათამცა შთანთქას ვინმე ჩუენგანი“.

ექვთიმე ათონელი.

„აღდგა უძლეველი ძალით, და დასცა ძლევით ძალნი“.

მ ი ნ ჩ ხ ი.

თოვს დაღესტანში. გრიგოლსაც დაათოვა დიდი ხანია.

დაიღალა, მოჰბეზრდა. ცოტა ხომ არ არის 52 წელი!

1856 წლის 16 მარტს ქეთევანს გამოტეხილად სწერს: მთავარმართებელს რომ შევხვდები, კიდევა ვთხოვ აქედან დათხოვნასა: „სწორედ მოგახსენოთ, აღარ შემიძლიან მეტი აქ სამსახური. არღარა მინდარა და არც რასმეს მოველი არცა სამსახურისაგან და არცა სიცოცხლისაგან, ტყუილი თრევა არის...“

ამ დროისათვის გრიგოლ ორბელიანის სულიერ განწყობილებას აშკარად აზის მეომარი ძმების ტრაგიკულად დაღუპვის ბეჭედი. ისინიც ხომ რუსული იარაღის დიდების საქმეს ემსახურებოდნენ. იბრძოლეს, იღვაწეს, იდავიდარაბეს და საფასურად რამდენიმე ბრჭყვიალა ორდენი და ასეთივე სამხრეულები მოიმკეს. ყოველივე ეს კი იმით დამთავრდა, რომ ზაქარიამ საშობლო სოფლის ცივ მიწაში მოიპოვა სამუდამო განსასვენებელი, ხოლო ძაძაცქა ილიკომ ქაშვეთის ეკლესიის თაღებქვეშ დაივანა. გრიგოლ ორბელიანის მწუხარებას ისიც აორკეცებდა, რომ ილია ორბელიანს საფლავში ჩააყოლეს სწორედ იმ დღეებში გარდაცვლილი ვაჟი, ხოლო ზაქარიას ვაჟიშვილმა სანდრიკომ კი უცხო მხარეში, ახლობელთაგან დაუტირებელმა ჰპოვა სამარე. ახლობელი ადამიანების დაღუპვამ და ცოცხლად დარჩენილი ახალგაზრდა რძლების უბედურებამ კიდევ უფრო გააღრმავა საწუთროს ამაოებაზე ფიქრი,

ურვა, დრტვინვა და სამდურავი. თითქოს ულმობელმა და მუხანათმა სიკვდილმა ორბელიანთა საგვარეულო შტოს გაშაგრძელებელთ დარიაო მარტო თავისი მსახვრალი ხელი.

მართლაც, რა აჩერებს დაღესტანში! შარტის ბოლოა და ჯერ კიდევ გაუთავებლად თოვს. ორი თვეა არ შეწყვეტილა თოვა. ჰყინავს. საქონელი სიცივისაგან ითოშება და წყდება. თოვლში კი სისხლი უფრო წითელია და ტკივილსაც უფრო მწვავედ განიცდის ადამიანი. სხვედან სახლებში გამოკეტილი, გაჯავრებული „სევდიან-გასიებულნი“ და დასასრული არა აქვს „ჩასაძაღლებელ“ შამილთან ომს.

მკაცრი ჰავაა დაღესტანში. აგერ, შაისია, სითბო კი არ ჩანს და არა. არც ამ სიცივეში ცხრებიან მთიელი ყაჩაღები. მხლებელთა გარეშე გარეთ გასულ ოფიცერს ლეკები დაედევნენ. გადარჩა კი, მაგრამ ძვირად დაუჯდა ამგვარი თავქარიანობა. ლეკებს გრიგოლმა ბაგრატიონის ავარიელები დაადევნა, გიმრამდე სდიეს. ასამდე ძროხა, ხუთი დედაკაცი და ერთი ლეკი მამაკაცი მორეკა თავადმა... თუმცა მთაში ასეთი ამბები ყოველდღე ხდება!

გრიგოლს ბარგი შეკრული აქვს, შამილს ელის, მაგრამ შაჰილი არ ჩანს, და ისევ თავის საწადელს ისრულებს: პეტროვსკში ბიდის, ახლანდელ მახაჩ-ყალაში, კასპიის ზვირთებში ბანაობს და „ცოტაღა აკლია გაყმაწვილებას“, ხუმრობს თუ მართლა სჯერა, გრიგოლი აღიარებს ზღვის ძალას ადამიანის „გაყმაწვილ-გაჭაბუკებაში“, და მხოლოდ ორი კვირის თავზე, აგვისტოს პირველ დღეებში, ტოვებს მახაჩ-ყალას „დიდის დანანებით“, თავის განუყრელ ნინიკას კი იქვე უშვებს.

იმ დღეებში, 1856 წლის 22 ივლისს, გენერალი მურავიოვი თავისუფლდება კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობისაგან და ინიშნება სახელმწიფო საბჭოს წევრად, მის ნაცვლად მეფისნაცვლის მოვალეობას დროებით ბებუთოვი ასრულებს. 26 აგვისტოს კი ამ ადგილს იკავებს გენერალ-ადიუტანტი ალექსანდრე ბარიატინსკი, რომელიც ადრე მურავიოვთან უსიამოვნების გამო რუსეთს იყო წასული.

ბარიატინსკისაც აქვს მიღებული ჭრილობები და ოქროს ხმალი წარწერით „სიმამაცისათვის“, მონაწილეა დარღოს ექსპედი-

ციისა, პოლონელ მეამბოხეთა სისხლი დაუღვრია პასკევიჩის დროშის ქვეშ და ჩეჩნეთში უბრძოლია წლების მანძილზე. განსაკუთრებით თავი იჩინა გერგებილის ბრძოლაში 1848 წლის 23 ივნისს, მერე იყო მეოცე ფეხოსანი დივიზიის უფროსი, კავკასიის მარცხენა ფლანგის სარდალი, შტაბის უფროსი, კავკასიის არმიის უფროსი... შეუპოვარი, ენერგიული დამპყრობელი მეფისნაცვლის პატივს აღწევს. დაუსრულებელი ომით გაწამებულ მხარეს მტკიცე ხელი დაეტყო. სამ წელიწადში მთელი აღმოსავლეთი კავკასია დაიპყრო, შამილი ტყვედ იგდო და გეგმაზომიერი შეტევით გააკეთა ის, რაც ვერ შესძლო ვერც ერთმა წინამორბედმა სარდალმა. გენერალ-ფელდმარშალი ბარიატინსკი პატივით აავსო თვით გერმანიის იმპერატორმა.

გრიგოლი მოუთმენლად ეკითხება წერილში საგინაშვილს: ბარიატინსკის დანიშვნა მართალიაო? მართალია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას გრიგოლისათვის?

აღსანიშნავია ორბელიანის შეთანხმებული მოქმედება თანამოლაშქრეებთან. ასე, ლაზარევის მიერ ქუთიშის სიმაღლეების დაკავება უშუალოდ იმის წყალობით მოხდა, რომ ორბელიანმა მიაშველა ბატალიონები.

ლაზარევი გრიგოლს უყვარდა და ეს მამაცი მეომარი ღირსიც იყო ამ სიყვარულისა. როცა მოსახლეობა ჯარისკაცებს მოწამლულ მჭადებს აძლევდა, გრიგოლი ჩაფიქრდა. უნდა ავკრძალოთ ყოველგვარი ურთიერთობა მოსახლეობასთანო და დარღოს მხარე ჩააბარა მტკიცე ხელს — ივანე ლაზარევს, რომელიც მეხთულის სახანოს მმართველადაც დატოვა. ასე ენდობოდა ყოველთვის უანგარო თანამოლაშქრეებს.

ლაზარევი მამაცი მეომარი და ჭკვიანი მმართველი იყო. ორბელიანი მასთან თათბირობდა ყოველთვის, ანგარიშს უწევდა მის რჩევას. ამიტომ დიდად სწყინდა მისი უსიამოვნება მეზობელ ყაზი-ყუმუხის სახანოს მმართველთან, ცნობილ აღალარ-ბეგთან.

აღალარ-ბეგი მამაცი, წარმოსადეგი, პატივმოყვარე, მაგრამ შესანიშნავი ადამიანი, რუსეთის ერთგული მსახური იყო. მთელი ათი წლის განმავლობაში. მის შფოთიან სახანოში თითსაც ვერავინ გაანძრევდა, ვიდრე სახანოს აღალარ-ბეგი განაგებდა.

ამიტომ დუმდა მთავრობა მის საქციელზე. ეს საქციელი კი აუტანელი იყო: თავის სახანოში ისე იქცეოდა, როგორც იმპერატორი. არ ცნობდა არავის და არაფერს, არღვევდა კანონებს. სიკვდილით სჯიდა დამნაშავეებს. როცა ლაზარევი ახალგაზრდა ხანს გამოექომაგა, ამაყმა ბეგმა შუბლი შეიკრა. ამ დღიდან ამ ორ გამგებელს შორის შავმა კატამ გაირბინა. ამაოდ ცდილობდა გრიგოლი მათს შერიგებას. სიძულვილი მეტოქეებს შორის უფრო ღვივდებოდა. აღალარი არ თმობდა. მოხდა რამდენიმე ინცინდენტი.

აღალარმა ყაზი-ყუმუხელები წააქეზა, იმათაც წუდახარელთა მიწა დაიკავეს და სადარაჯო კოშკი ააშენეს. აღშფოთებულმა წუდახარელებმა იჩივლეს. ლაზარევმა ორბელიანს შეატყობინა. გრიგოლი ადგილზე მივიდა, დაამშვიდა ორივე მხარე, წუდახარელებს დაჰპირდა, კოშკს დავანგრევინებო, და წავიდა.

მაგრამ მთიელებს არ უყვართ დაპირება. შესრულებას აძჭობინებენ. რაღა მთავარსარდალს ვუცადოთო, აცვივდნენ კოშკზე და მიწასთან გაასწორეს. ყაზი-ყუმუხელმა მხედრებმა სროლა ატეხეს. გაისმა გოდება. დაიქცა სისხლი ძმათა შორის.

გრიგოლი მაშინვე მობრუნდა და მშვიდობა აღადგინა*.

მეორედ ყაზი-ყუმუხიდან გაგზავნილი ერთი საიდუმლო წერილი ხელთ იგდო ლაზარევმა, ას მანეთად იყიდა თურმე ერთი მთიელისაგან, რომელმაც ჯერ შამილს ჰკითხა: მივცე თუ არაო? „მიეცი, — ურჩია ჭკვიანმა იმამმა, — დე, ამ მგლებმა ერთმანეთი დაჭამონ!“

გვიან, 1858 წლის ივლისში, აღალარის ერთი ნოქერი დენთით საესე ტომარას აგდებდა იმ ქოხის სარდაფში, სადაც ღამეს ათევდა ლაზარევი: ქოხი უნდა აეფეთქებინა. ძიება შეწყდა, რადგან ფილტვების ანთებით და წყალმანკით შეპყრობილი აღალარ-ბეგი ამ დროს სიკვდილის სარეცელზე იწვა.

* * *

როგორ აფასებდნენ კასპიისპირეთში ორბელიანს?

იშკარტის სიმაგრე თემირ-ხან-შურის დასავლეთით მდებარე-

---

* Генерал-Адъютант Иван Давидович Лазарев. Составитель В. Потто. 1900. стр. 208—209.

ობდა, თოთხმეტიოდე ვერსზე. აქ მუდმივად იდგა დაღესტნის ფეხოსანთა მეხუთე ბატალიონი. თემირ-ხან-შურასა და იშკარტს შორის მიმოსვლა სახიფათო იყო და შუაგზაზე, ერთ მაღალ მთაზე იდგა ყაზარმა, რასაც ოცი კაცი იცავდა. გუშაგი მტრის გამოჩენისთანავე აუშვებდა ერთ ან ორ ბურთს იმის მიხედვით, რა მხარეს იყო მტერი, და თემირ-ხან-შურიდან მაშველი ჯარი მოეშურებოდა. იშკარტელები მუდმივი საფრთხის მოლოდინში მაინც უვლიდნენ ბოსტანს და კითხულობდნენ ორიოდე წიგნს, რაც ბიბლიოთეკაში გააჩნდათ.

6 დეკემბერს დილიდანვე პირქუში ამინდი დადგა, თოვდა, თუმცა იშკარტელები უკეთესს ისურვებდნენ, რადგან ჯარების სარდალსა და მომავალი დივიზიის უფროსს — ორბელიანს ელოდნენ სტუმრად.

მზის ამოსვლისას თოვა მართლაც შეწყდა, მზემ გამოიხედა, საეკლესიო დღესასწაული იწყებოდა და ორბელიანმა ოფიცრებს იმედი არ გაუცრუა. რამდენიმე ბატალიონი სამხედრო პატივით შეხვდა სარდალს.

„კავკაზში“ დაწვრილებითაა აღწერილი ეს ეპიზოდი:

„თავადი ეტლიდან გამოვიდა, პირდაპირ ჯარებთან მივიდა. სიხარულით გასცეს პასუხი დაღისტნელებმა საყვარელი სარდლის სალამსა და მილოცვას. ეკლესია ვიწრო იყო და ღვთისმსახურება პირდაპირ მოედანზე დაიწყო... მის დასასრულს ჯარებმა ცერეძონიული მარშით ჩაუარეს გრიგოლ დიმიტრის ძეს. პარადის შემდეგ მისმა ბრწყინვალებამ პოლკის ზოგიერთი სამეურნეო საქონელი დაათვალიერა და მერე გაეშურა პოლკის უფროსის სახლისაკენ, სადაც უკვე გაეშალათ სუფრა“*.

პირველი სადღეგრძელო, როგორც ყველგან და ყოველთვის, გრიგოლ ორბელიანმა ხელმწიფის სადიდებლად ასწია, მერე მეფისნაცვლისა, მესამედ კი უკვე პოლკოვნიკმა შესვა ორბელიანის სადღეგრძელო. მეფისა და მეფისნაცვლის სადღეგრძელოს არ შეხვედრიან ასეთი აღფრთოვანებით, რასაც ანელებდა ძხოლოდ თვით იქ მყოფი პოეტის თავმდაბლობა. — დაღესტანი დიდი ხანია იც-

* „Кавказ“, 1857, № 2.

ნობს თავად ორბელიანს და ეს მთები არასოდეს არ დაივიწყებენ ამ მამაც, კეთილშობილ ადამიანს, — ამბობდა პოლკოვნიკი ტაშის ქუხილში.

სიმაგრის მობინადრეებმა დროებით დაივიწყეს საფრთხე-თავს არხეინად გრძნობდნენ, რადგან მათ შორის იყო მათი მებრძოლი მეგობარი და საიმედო უფროსი.

ეს ეპიზოდი იმისათვის გავიხსენეთ, რომ ფრიად დამახასიათებელი გამოვლინებაა ჯარისკაცთა სიყვარულისა გულისხმიერი წინამძღოლისადმი, წლების მანძილზე რომ მათთან ერთად იზიარებდა საფრთხეს, სიცივეს, ჭირსა და ლხინს.

* * *

იყვნენ ადამიანები, რომლებიც ავარიის მბრძანებლის სისასტიკეზე, სოფლების აკლებაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ უფრო გონიერნი, პირიქით, მის კაცთმოყვარულ, ლმობიერ, რბილ ხასიათზე აჩერებდნენ ყურადღებას, რაც უფრო სარწმუნოა ლოგიკურადაც და ფაქტიურადაც. თვით პოეტი თავის ერთ-ერთ წერილში ზაქარიას ასე მიმართავს: „მე მხოლოდ ერთი გზა მაქვს ხალხის შეძინებისა — მოწყალება, მას უკან სიმართლე და სამართალი". აკი უსაყვედურეს კიდეც არღუთინსკის შემცველს: ასეთი კაცთმოყვარეობით ლეკებს ვერ დავიმორჩილებთო. პოეტი არ დაეთანხმა და მიუგო: „ცელური ცხენი ალერსით უფრო მოთვინიერდება, ვიდრე მათრახის ცემითო".

ერთხელ დაღესტანში გრიგოლმა ყაზარმები ინახულა. ქართული მილიციის მებრძოლები აზარტულ თამაშს შეჰყოლოდნენ.

— შვილებო, რატომ არაფერს აკეთებთ? — უსაყვედურა სარდალმა. — ან წერეთ, ან ნარდი სამუშაო აიღეთ... როგორ არა გრცხვენიათ ერთთავად ქაღალდი, ქაღალდი!

— რა ვქნათ, ბატონო, ჩვენ ნარდ სამუშაოს ვინ გვაღირსებს, თორემ მუშაობას ვინ დაიზარებსო! — უპასუხეს ბანქოს მოთამაშეებმა.

— რატომ არ მოგცემთ, შვილო, ოღონდ იმუშავეთ! მომიციათ: შენთვის აგურის მოტანა, შენთვის — ქვიშა, შენთვის — კირი. აბა, ვნახოთ, როგორ შეასრულებთ სიტყვას და არ შემარცხვენთ.

იქვე გაიცა ბრძანება.

გავიდა ხანი.

გრიგოლმა ისევ ინახულა ყაზარმები. ხედავს, ქართველი ოფიცრები იმავე მაგიდას უსხდნენ და ქაღალდს თამაშობდნენ.

— ჩამოვდივარ ერთ ურემ აგურს, — თქვა ერთმა.

— მომაქვს ურემი ქვიშა, — დასძინა მეორემ.

— ესეც ურემი კირი, — შესძახა მესამემ.

პოეტს სიცილი მოერია, გაჯავრდა და გავიდა. გვიან ჭარმაგი პოეტი მეგობრებს მოაგონებდა ამ ამბავს და ოხვრით იტყოდა:

— არა გვაქვს ვაჭრობის ნიჭი, არ არის ჩვენი საქმე და რა გაეწყობაო!

* * *

დიდია კავკასიის ომების ისტორიაში ორბელიანის წვლილი. მაგრამ ომის მატიანეში მის ნიჭსა და სახელმწიფო მოღვაწეობაზე მაინც ძუნწადაა ლაპარაკი, სამაგიეროდ უხვადაა შემონახული ოფიციალური აქტები და წერილები ბებუთოვსა, მურავიოვსა და ორბელიანს შორის იმაზე, თუ როგორ დართონ ნება კასპიისპირეთის ჯარების სარდალს, შეუსრულოს თხოვნა ტარკის შამხალს და მისცეს სესხის სახით 3800 მანეთი, ისევე როგორც ეკატერინე დადიანისაა, რადგან ორივე პეტერბურგს მიემგზავრება იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებად, სამაგიეროდ ამ კორონაციასთან დაკავშირებით გრიგოლიც იღებს ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენს, ინფანტერიის გენერალი ერისთავი კი — პირველი ხარისხისას!

* * *

1856 წლის 22 ივლისს ბარიატინსკი დაინიშნა მეფისნაცვლად და კავკასიის ჯარების მთავარსარდლად. გამართლდა ვორონცოვის ვარაუდი და ასრულდა პატივმოყვარე გენერლის ოცნება.

ახალი მთავარმართებლის მთავარი ამოცანა იყო „მცირე ძალებით“ უზრუნველეყო „მთის ტომების მუდმივ შიშსა და სიმშვიდეში

ყოლა*". ამ მიზნით თავის ჩანაწერებში ჩამოთვლის გენერლებს, რომელთაც უნდა ჰკითხოს ხოლმე. მათ შორის არის ორბელიანი.

ჯერ კიდევ ვორონცოვის დროს, 1852 წლის 3 ივნისს, სწერდა გრიგოლი თავის მეგობარს ბარიატინსკის:

„არ მოვკვდები, ვიდრე კავკასიის პროკონსულად არ გიხილავთო".

გავიდა ხუთი წელი და ეს ვარაუდი მართლდება. ვორონცოვის მაგიერ დროებით მურავიოვის გამგებლობის შემდეგ მეფისნაცვლად დაინიშნა ბარიატინსკი, დარბაისელი, მკაცრი, ჭკვიანი მეომარი.

ალექსანდრე მეორის კორონაციის დღეს მიხეილ ვორონცოვს ებოძა ფელდმარშლის, ხოლო ბარიატინსკის — ინფანტერიის გენერლის წოდება. ორივე სარდალი დიდების მწვერვალზე იდგა, გარემოცული საყოველთაო ინტერესით, პატივით, მლიქვნელთა დასებით, და ყოველგვარი ბრჭყიალების მოყვარულ მანდილოსანთა მომხიბლავი ღიმილით.

გრიგოლს კი მხოლოდ ზედმეტი ზრუნვა და ჯაფა მოელის! ახალი მთავარმართებელი ზღვით მოდის ასტრახანიდან, პეტროვსკი ტრიუმფისათვის ემზადება, თაღი უნდა აღმართონ მორიგი კონსულისათვის, გრიგოლის სახლიც სადილისათვის უნდა მოიკაზმოს, როგორც პატარძალი. უეცრად გებულობენ, რომ ბარიატინსკი აგვიანებს.

27 სექტემბერს ზღვაზე ქარიშხალი აძოვარდა და ტრიუმფატორის შესახვედრად აღმართული თაღი, ვარაყები, დროშები სულ მიჰგლიჯ-მოჰგლიჯა. ჩანს, მარსს არ მიაჩნია ბარიატინსკი ამდენი პატივის ღირსად. გრიგოლს ყველაფერი ხელახლა გასაკეთებელი გაუხდა.

ტყუილად ელოდებიან ხელმწიფე-კაცს. ქარმა შემოჰბერა-შემოჰკივლა, მორეკა შავ-შავი ღრუბლები, დაფხრიწა საზეიმო მორთულობა. მაგრამ რა გაეწყობა, გასატეხი უნდა გატყდეს! უმადლოდ ჩაივლის ესეც. რაში გაუღიმა გრიგოლს ბედმა?

მთავარმართებელი თემირ-ხან-შურაში მხოლოდ 1856 წლის

---

* А. Зиссерман, Барятинский, 1890, т. II, стр. 13.

12 ოქტომბერს ჩამოვიდა (თბილისში კი 3 ნოემბერს). თუმცა გვიანი ღამე იყო, დიდი ზეიმით შეხვდნენ. ამ წუთიდან სამი წლის შემდეგ უნდა დამთავრებულიყო კავკასიის ომი.

მთავარსარდალს შეხვდნენ გენერალ-ლეიტენანტი ორბელიანი და გენერალ-ლეიტენანტი ევდოკიმოვი — კავკასიის ხაზის ძარცხენა ფრთის სარდალი, და გენერალ-მაიორი ინდერნიუმი — კორპუსის შტაბის დროებითი უფროსი. ზედმეტია ლაპარაკი იმ ტრიუმფზე, რითაც მეფისნაცვალს შეხვდნენ თემირ-ხან-შურაში და მთელ გზაზე.

საზეიმო სადილზე გრიგოლმა „გახათლებულ-მზრუნველ მმართველს“ მიმართა სადიდებელი სიტყვით, რაც მერე თვითონვე თავისიანებისათვის ჩაწერა.

სუფრაზე თქმული საზოტბო სიტყვა ოფიციალური თავაზიანობით შეიძლება აიხსნას, მაგრამ იმ ხანებში ყაფლანისადმი მიწერილი ბარათი ცოტა ირონიულად ჟღერს: „მოდის თქვენკენ მთავარმართებელი კნიაზი ბარიატინსკი, კაცი ღვთისაგან დალოცვილი, სრული ყოვლისფრით: გულით, გონებით, კეთილ განზრახველობით. — მოდის დიდი სიყვარულით, დიდის სურვილით, საქართველოს გაბედნიერებისათვის... ხელმწიფესა და თვით ღმერთსა ჰყვარებია საქართველო, რომ ეს კაცი გამოგზავნეს აქა მთავარმართებლად“ და ა. შ. ქვემოთ ყაფლანს არიგებს, ღირსეულად შეხვდითო — ცხენით, ყიჟინით, ზურნით, ნაღარით, ბაირაღებით და ა. შ. სხვათა შორის, ბარიატინსკის თურმე ახსოვდა ყაფლანი, ახლად დანიშნულ მეფისნაცვალს დიმიტრი ჯორჯაძის გაცნობაც უსურვებია, რაც ჩვენს პოეტს ეამაყება.

ცხადია, მეფის გენერალს ვითარება კარნახობდა, ასე უნდა მოქცეულიყო, თუმცა ვალის მოხდა უფრო მოკლედაც შეიძლებოდა. საერთოდ, შეთქმულების შემდეგ გრიგოლი არსად არასოდეს გადაკვრითაც კი არ ამჟღავნებს თავის მეამბოხურ სულისკვეთებას. მაგრამ ისიც ჩანს, რომ ამას აკეთებს აუცილებლობის სრული შეგნებით: „თუ ასე არ გიქნიათ, იცოდეთ, ჩემი მტერი იქნებით და თქვენის თავისაც“. ყველაფერია თქმული! რუსეთის მოწინავე აზრის პატივისმცემელი გრიგოლი ცნობს რუსეთის უზენაეს ძლიერებას, მის კულტურას, მასთან საუკუნო კავშირის აუცილებლობას.

ახალი მთავარსარდლის უახლოეს განკარგულებათა შორის

იყო გენერალ-მაიორ კესლერის დანიშვნა გრიგოლ ორბელიანის ხელქვეითად, ამასთან გენერალ-მაიორი მილიუტინი ევდოკიმოვს ავალებს, ყველა ღონისძიებით შეუწყოს ხელი თავად ორბელიანს ჩეჩნეთში განზრახული ლაშქრობის გამარჯვებით დაგვირგვინებაში*.

გულცივი ბარიატინსკი გრიგოლს ბევრ რუს გენერალზე მაღლა აყენებდა.

დაღესტანს ჩამოსულმა მეფისნაცვალმა ეტლში გრიგოლი ჩაისვა, კასპიის მხარის ჯარების მთავარსარდალი, გვერდით კი ცხენდაცხენ მიჰყვებოდათ ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი, პოლკის უფროსი, გრიგოლის ხელქვეითი და კავკასიის მომავალი მთავარმართებელი.

— თქვენო ბრწყინვალებავ, თავადი დონდუკოვი საშინლად დაიჭანცა, — გადაულაპარაკა პოეტმა ბარიატინსკის, რომელსაც დონდუკოვი რატომღაც თვალში არ მოსდიოდა.

— არაფერია, მოუხდება, — მიუგო მეფისნაცვალმა.

დრო გავიდა, დონდუკოვიც ამაღლდა და ინტრიგებით გაამწარა ბარიატინსკი.

თბილისს მობრძანებული მთავარმართებელი 9 დეკემბერს იმპერატორს ფრანგულად სწერს თავისი მოგზაურობის ამბავს და ატყობინებს, რომ „სხვათა შორის" პეტროვსკში შეხვდნენ გენერლები ორბელიანი, ინდრენიუსი, ევდოკიმოვი, ნიკოლაი, და მათთან ერთად ჩავიდა თემირ-ხან-შურაში. ესეც წყალობაა!

შუა ნოემბერში გრიგოლი გებულობს, როგორ ღირსეულად დახვედრიან „ხელმწიფე კაცს", და მადლიერების წერილსა სწერს უაფლანს:

„შენ გენაცვალოს ჩემი ბებერი თავი, რომ ეგრე დიდკაცურად, დარბაისლურად, ბარამჯიბილ-მშვენიერ ჩინებულად გასულხარ მთავარმართებლის მისაგებებლად... მეტად გამახარე, მეტად დამატკბე ისრეთის შენის კეთილის ქცევითა, — ნუ გგონია, რომ მე შორსა ვარ და არასა ვჰხედავ, არარაი მესმის! — ათასი თვალი, ყური მაქვს მე მანდა, თქვენ შორის თბილისში!"

---

* „Кавказский сборник", 1884, VIII, стр. 391.

ბარიატინსკის ჩამოსელის დროისათვის შამილი უკვე საგრძნობლად შესუსტებულია. ამით აიხსნება ბარიატინსკის წარმატება და არა იმით, რომ ვორონცოვზე უკეთ უპრიდა ჭკუა და ხმალი.

დადგა ზამთარი, განიძარცვა ირგვლივ ყოველი. დაღესტნის უბიწო, უღრანი ტყე ბუნების მსახვრალმა ხელმა სუდარაგადაფარებულ ზეწამომართულ ჩონჩხებს დაამგვანა. ცხოველმა მზემ შაშილის ზოგიერთი პატივაყრილი ნაიბივით დაკარგა ძალა. ღამღამობით მხილველთა საამოდ მოციმციმე ვარსკვლავებმა გამქვირვალე ცაზე კაშკაშს უმატეს. ჭირვეული მაყარივით დილამდე "შეძორჩენილი მთვარე შორეული ნათებით თითქოს სუსხს უფრო აძლიერებდა. ივად მოსისინე ქარი დაუკითხავად დანავარდობდა ფოთლებშემოძარცულ ტყეში. მზისაგან ზურგნაქცევი, უპატრონოდ შთენილი, ცამდე აზიდული მთები ისე მდუმარედ იწვნენ, თითქოს სიცივეს გაეთოშა. ზაფხულობით მთიდან ზათქითა და ღრიალით დაქანებულ მდინარეთა ხმა მიმწყდარიყო და ირგვლივ სიცივესთან ერთად სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა. დაღესტნის მთების მკვიდრნი ავ ზამთარს განრიდებოდნენ, მიწაში გამოთხრილი სოროებისათვის შეეფარებინათ თავი და რელიგიურ ექსტაზში შესულნი ნამაზს ეძალებოდნენ. მხოლოდ მომხდურთა დაუღალავი ბელადი ორბელიანი არ ასვენებდა თავისიანებს. ისინი აცოცხლებდნენ მიძინებულ მთებს და რაკი მოწინააღმდეგენი ლოცვად დამდგარნი გგულებოდათ, ბრძოლის ჟინს ტყეთა კაფვით იკლავდნენ.

1856—1857 წლების ზამთარში რუსებმა გაანადგურეს ცნობილი „ჭიშკრები" ახუხის მისადგომებზე, მერე გაკაფეს ტყე და გახსნეს გზა მთებში. ბარიატინსკი ეთათბირა ორბელიანსა და ევდოკიმოვს და შედგა დიდი ჩეჩნეთის დაპყრობის გეგმა. მთიელებმა ვერ გაუძლეს სასტიკ იერიშებს, მოსახლეობა დაიქანცა, ყველამ დაკარგა ხსნის იმედი და დაიწყო მორჩილთა დენა. ერთ ღამეში 400 ჩეჩნის ოჯახი გამოცხადდა, შალე მათი რიცხვი ორი ათასამდე ავიდა.

„ჩეჩნეთი ირვის! მოდი, შამილ, ჩააქრე ხანძარი!" — ასე სწერდნენ ნაიბები იმამს. მაგრამ იმამი რუს გენერლებზე უკეთ გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა ძალა ბატონობის აღსასრული. შამილს აღარ შეეძლო ჩეჩნეთის ხანძრის ჩაქრობა.

იმამს ავიწროებენ.

ორბელიანი ეორონცოვის და ფრაიტაგის შემდეგ ყველაზე უფრო ენერგიულად კაფავს დაღესტნის ტყეს.

მალე ორბელიანი იწყებს თავის ცნობილ ლაშქრობას, და-დაღესტნის მხრიდან გადადის თერენგულის ხეობაში, უზრუნველ-ჰყოფს კავშირს თემირ-ხან-შურასთან და სალათავიის დაპყრობის წინ ნაცარ-მტვრად აქცევს შამილის ყველა ცდას, რომ ხელი შე-უშალოს მის წინასწარ სამუშაოებს, იმამმა კი ამ მიზეზით დიდოე-თი დაუცველი დატოვა.

* * *

ომი ომია, მაგრამ არც ადგილ-მამულის საქმეები გვარდება. ცალკე მიწისმზომელები და მეეალეები აქუცმაცებენ, ცალკე მო-ურავი ანგრევს და აოხრებს. 1857 წლის 8 მარტს პოეტი თემირ-ხან-შურიდან სწერს რძალს ქეთევანს:

„კუმისის ვენახი სრულებით გაოხრებულია; ეგ საძაგელი, ეგ მყრალი გეუა რას აკეთებს და ან როგორ არა ჰსცხვენიან ესოდე-ნის ჩემის გინებისაგან? — ორმოცი წელიწადია ეგ მოურაობს და გაოხრების მეტი ვერა ვიხილე რა. — გაგონილა ამისთანა უსვინ-დისობა? — დაიბარეთ და ერთი ჰკითხეთ, განგებ ჰშვრება ამ საქ-მეს შესარცხვენელსა. ჩვენ საზიანოდ, თუ მოურაობა არ შეუძლიან“.

1857 წლის 13 აპრილს ბარიატინსკი კობში ჩავიდა, იქიდან ჩეჩნეთი მოიარა, გენერალ ევდოკიმოვსა და გრიგოლ ორბელიანს ეთათბირა ხასავ-იურთში, სადაც გრიგოლი თემირ-ხან-შურიდან ჩავიდა. ხასავ-იურთიდან ბარიატინსკი სტავროპოლს წავიდა, გრი-გოლი კი თემირ-ხან-შურაში დაბრუნდა. „დამამხვრია ამ წყეულმა გორახიანმა გზამო“, — შესჩივის ქეთევანს.

ზის ამ გაუთავებელ ზამთარში, თავის ოთახში შემწყვდეულ-შეკეტილი, მოდის და მოდის თოვლი, და „თვით ავდოტია ივანოვ-ნაც კი არ უნახავს“, მხოლოდ კაკალა თუ გამოივლის და წვრილად უამბობს თემირ-ხან-შურის ამბებს, თორემ სხვა სანუგეშო არაფერი დარჩენია.

მხნეობას კი მაინც არ კარგავს. ჯარებს სინჯავს, შამილის

დასახვედრად მიდის, ტყეებს კაფავს, აულებს ზვერავს, მთა-მთა დაბ/ს და მთელი ცხრა საათი ცხენიდან არ ჩამოდის. „ეს უნდა უთუოდ ძალუას უთხრა, რომ ჰეი, გრიგოლ ყაფლანის შვილო, ბევრი რამ შეგძლებია-თქო!“ — სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს 53 წლის გენერალი.

შუა ზაფხულში ფიცხელი ბრძოლაც ჰქონდა, ოთხასი ლეკი დარჩა ბრძოლის ველზე, „ვეება ხევი აივსო დახოცილებითა“. ეს მოხდა სალათავიაში, 24 ივნისს. ორი დღის წინ თვითონ შამილი ჩავიდა სალათავიის აულ ბურთუნაიში, რათა ორბელიანის ბანაკისათვის ევგენიევსკოედან წასულ დიდ აღალს დახსნოდა თავს. შამილი და ორბელიანი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. შეტაკება სავალალოდ დამთავრდა ლეკებისათვის. ხიშტებზე ააგეს სალათავიის ნაიბი აიტემირი და ტეხნუცალის ნაიბი ისმაილი, აგრეთვე მწიგნობარნი ყადიები, რომელთაც სახოტბო ლექსები შეეთხზათ შამილისათვის. მათი წიგნები, ბეჭდები და ნიშნები ჯარისკაცებმა სარდალს მიართვეს.

შამილი „კატასავით მოიბუზა“ და დიდი ხნით მიყუჩდა.

იმამმა თავი „ქურდსავით ტყეს შეაფარა“, და „რამდენჯერაც გამოვიდა ტყიდამ, იმდენჯერ დამარცხებული, ცხვირ-პირ ჩამტვრეული მირბოდა“. სალათავიაში გამარჯვების შემდეგ ორბელიანმა კიდევ ზედიზედ მრავალჯერ დაამარცხა შამილი. ამასთან ერთ-ერთ ბრძოლაში კიდევ 250 კაცი მოუკლა. „დღეგრძელობა შენა გქონდეს. რომ მე ისინი დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღე!“ — ნიშნის მოგებით სწერს ყაფლანს მოგვიანებით, 1857 წლის 10 სექტემბერს.

„გიჟი ნიკო“ გაკვირვებულია: ამდენ ლეკს ერთად რანაირად ხოცავთო, და კახეთშიაც ასე რატომ არა ჰშვრებიანო? — ასე ლაპარაკობს „გიჟი ნიკო“ და გრიგოლი იცინის, თავს იქცევს მარტოხელა კაცი.

1856 წლიდან რუსეთის ჯარებს დაევალათ გადამწყვეტი იერიშის ჩატარება სამი მხრიდან და მთის საბოლოო დაპყრობა.

იჩქერიის და დარღოს ექსპედიციების მძიმე დანაკლისის შემდეგ დაიწყო არღუნის ხეობაში გამაგრება და შავი მთების დაპყრობა.

1856 წლის ოქტომბერში კასპიისპირეთში მოქმედ არმიაში ჩავიდა ცნობილი სამხედრო მოღვაწე და პუბლიცისტი როსტისლავ ფადეევი, გრიგოლ ვით პატიოსანი, მისებრ მუდამ ღარიბად მყოფი, მასავით ქალების მოტრფიალე და მასავით მთელ სიცოცხლეში კენტად დარჩენილი კეთილშობილი გულის კაცი, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს ორბელიანის მოქმედებას სალა თავიაში. აი, რას წერს ფადეევი:

„ივნისში გენერალმა თავადმა ორბელიანმა გადალახა თერენგულის ხეობა, ისე რომ, წინასწარ უზრუნველჰყო თავისი ურთიერთობა იმ ადგილებში, სადაც მთიელები უწინდელი ლაშქრობების დროს ყოველთვის ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდნენ ხოლმე, და შეუდგა გამაგრებულ შტაბ-ბინის მოწყობას ძველი ბურთუნაის ახლოს. რუსების მიერ სიმაგრის აგებამ მთიელთა მოზღვავება გამოიწვია. შამილმა ყველა ღონისძიება იხმარა, რათა შეეჩერებინა დაწყებული სამუშაოები, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბრბო, რომელიც ცდილობდა რაზმის კავშირის მოშლას გეორგიევსკის სიმაგრესთან, ბრძოლაში დამარცხდა. სიმაგრე, შამილმა რომ ააშენა ბურთუნაიდან რამდენიმე ვერსზე, იერიშით აიღეს. ზამთრის დადგომამდე დაღესტნის პოლკი თავის ახალ შტაბ-ბინაში განლაგდ:...“*

ორბელიანის დამსახურებას 1857 წლის ოპერაციებში ფადეევი სხვაგანაც ეხება. მეტადრე დიდ დამსახურებად უთვლის ჩვენს პოეტ-სარდალს იმ პუნქტის გამაგრებას, რაც დასაყრდენს შეადგენდა დაღესტნის ჯარებისათვის ჩრდილოეთის მხრიდან შეტევის დროს. ამ ადგილის აღება და გამაგრება მეტად მძიმე საქმე იყო, რადგან აქ თავს იყრიდა „ურიცხვი მთიელი თვით შამილის წინამძღოლობით“. თავადმა ორბელიანმა სწრაფად გადალახა პირველი დაბრკოლება — თერენგულის ხეობა, ასე მრავალჯერ ამაოდ მორწყული რუსების სისხლით, და დაიკავა ძველი ბურთუნაის მეორე მხარის პოზიცია, მეტად მოხერხებული შტაბ-ბინის გასამართავად. პირველი პოზიციიდან თითქმის უბრძოლველად განდევნილი მთიელები გაიფანტნენ და ჩაკეტეს ბურთუნაიდან ევგენიევსკოესკენ

---

* Собранне сочиненій Р. А. Фадеева, т. I, 60 лет Кавказской войны, СПБ, 1889. стр. 193—194.

მიმავალი გზა, საიდანაც ჯარი სანოვაგეს იღებდა. ბანაკიდან გამოჟოფილმა კოლონამ რამდენიმე ასეული მიურიდი ადგილზე დააწვინა და კავშირი აღადგინა. მაშინ შამილმა შტაბ-ბინიდან ოთხ ვერსზე გაუვალი ტყიანი ადგილი დაიკავა და თავის მხრივ დაიწყო სიმაგრის აგება, რასაც ჩვენი სიმაგრე მუდმივ ბლოკადაში უნდა ჰყოლოდა. თავადმა ორბელიანმა ამ თავშესაფარში შემოდგომამდე აღარ შეაწუხა, მხოლოდ დაწყებულ სამუშაოთა დამთავრებაზე ზრუნავდა. ხოლო როცა ახალი შტაბ-ბინა საკმაოდ მოწყობილი იყო, რათა დასაზამთრებლად ჯარები მიეღო, ჩვენი რაზმი ელვისებურად გადაისროლა ღამით, შეუმჩნეველად, მტრის სიმაგრეებისაკენ და აღგავა ისინი. სალათავიაში მტკიცედ დამკვიდრდა დაღესტნის ფეხოსანთა პოლკი...“*

1858 წლის იანვრის მეორე ნახევარში გენერალმა ევდოკიმოვმა მოხერხებულად მოატყუა შამილი, ვითომ დიდ ჩაჩნეთში აპირებდა შეჭრას, ნამდვილად კი არღუნის ვიწრო ხეობაში შეიჭრა. შამილმა სხვა მხარეს გაილაშქრა და მნიშვნელოვანი უბანი ჩვენს ხელთ აღმოჩნდა.

სწორედ ევდოკიმოვის ამ მანევრის წინ, 1857 წლის ბოლოს, აიღო ორბელიანმა აული ახალი ბურთუნაი და აუხის სიმაგრე. მაშინაც და მოგვიანებითაც ჯემალ-ედ-დინი ცდილობდა შამილის და გრიგოლის შერიგებას. შამილი არა თუ არ დაეთანხმა შვილს, არამედ აუკრძალა ორბელიანის შუაკაცთან ლაპარაკი, სამივე შვილი იახლა და ვედენოში წავიდა. სალათავიის ბურჯი ბურთუნაი დაეცა და ისტორიკოსთა საერთო აღიარებით, „ბედმა უმუხთლა შამილს: მის ძლიერებას წყალი შეუდგა“**. ამას დაერთო იმავე წელს შვილის სიკვდილი. დარდისაგან ჯემალ-ედ-დინს ჭლექი შეეყარა.

ძთებში მღერიან: „ორი ქარიშხალივით შეიკრა ორი რაზმი, მაგრამ როგორც კი თავადი მოახლოვდა, ისევ გაიშალა და ცხვრის ფარასავით დაიფანტა“.

ასეთი სერიოზული ბრძოლა ლეკებთან ორბელიანს დიდი ხანია

---

* А. Р. Фадеев, Шестьдесят лет Кавказской войны, Тифлис, 1860, стр. 80—81.

** М. Чичагова, Шамиль, 1869, стр. 85.

არა ჰქონია და იმედოვნებს, რომ მომდევნო შეტაკებაში უარესად „მილეწავს“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ განსაცდელში მყოფ სარდალს ჩაიც კი არა აქვს რიგიანი. დიმიტრი ჯორჯაძეს სწერს: „ნინიკას უბრძანე, ეს საძაგელი ჩაი საიდამ უშოვნია ჩემს მოსაკვლელადო?“ — და სთხოვს, თუ იშოვო, გამომიგზავნეო.

ზის პოეტი დაღესტნის თოვლსა და ტალახში, სიცივით პერახგიც კი ვერ გამოუცვლია, უსაქმური გენერლები კი თბილისში ახალ ოპერას უყურებენ.

საზრუნავს კი რა გამოულევს! 1857 წლის 4 ივნისს სოფელ აღაჩ-ყალასთან ჯარის ნაწილს ჩამოცილებული პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ კობიაშვილი ლეკებმა გაიტაცეს. ორბელიანს ახალი საზრუნავი გაუჩნდა.

კობიაშვილის გამოხსნა გაძნელდა, გაჭიანურდა. გრიგოლი ამას ჯორჯაძესა და ტყვის ცოლს აბრალებს: შენ ცალკე სწერდი, ცოლი ცალკე, კაკალა ცალკე, ლაზარევი ცალკე, ლეკებმაც დააფასეს და ხელი მოუჭირესო.

ასეთი დიპლომატიური წინდახედულობით გამოირჩევა ჩვენი პოეტი. მთელს თავის სამხედრო მოღვაწეობაში შესწავლილი აქვს მთის ხალხის ხასიათი და უნარიანად იყენებს ამ ცოდნას. კობიაშვილის გამოსყიდვა მხოლოდ მომდევნო წელს მოხერხდა. სარდალმა დიდად გაიხარა ამ ამბით და მთავარმართებელს გამოსთხოვა მისთვის ორასი თუმანი.

ავდარი და ავდარი, წვიმა და ჯანღი! არ იქნა, არ გამოიდარა. უამინდობამ გრიგოლს თავი მოაბეზრა. სამი დღე ზედიზედ არ უხილავთ ნათელი. სამ თვეში მხოლოდ ცხრაჯერ გამოიხედა მზემ. 1857 წლის აგვისტოში მთებს ხოლერაც ესტუმრა. არავინ იცის, საიდან გაჩნდა ამ სიცივეში ხოლერა, მაგრამ ხალხი კი იხოცება. გრიგოლის მზარეული სტეფანეც მიიცვალა, მრავალი წლის ნამსახური კაცი. თვით შამილს შეეშინდა სნებისა და შინ წავიდა პირგაშავებული, დარღოს გაბრუნდა და გეგმებს აწყობს, იქნებ სადმე მაინც გავიმარჯვო, თორემ სახელი გამიტყდებაო. ჯარიც გაექცა, გაეპარა, დაეშალა. ნაიბები ფარულად ელაპარაკებიან სარდალს. სალათავიის ნაიბი 116 სულით ეახლა. სხვებიც მოდიან.

თითქოს მშვიდობიანი დრო დადგა მთაში, მხოლოდ ხოლერამ ბევრი კაცი იმსხვერპლა. რუსთაგან 150 ჯარისკაცი დაიღუპა, მაგრამ ერთი ოფიცერიც არ გამხდარა ავად. ორი კვირის შემდეგ სნეულება გაჭრა. გრიგოლი დამშვიდებით იტყობინება: „ბარბარე (ილიას ქვრივი) გიორგით, ნინოთი, ელენეთი არის ზღვაზედ და ბანაობენ. გიორგი მთელი დღე გდია ზღვის პირას და ჩანგლით იჭერს თევზებსაო“.

20 აგვისტოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის შვილი, „იმ უსჯულოს შვილი, ვირი, ვირზე უვირესი თამაზ-ხანი“ წავიდა თვითნებურად აულ ჩერქეისკენ, დახვდა მტერი და ტყვედ ჩავარდა.

გრიგოლი აღშფოთებულია: „შენ იფიქრე ამათი დედაკაცობა: 40 ქვეითნი კაცნი ამარცხებენ ვაკეს ადგილზე ორასს კაცსა ცხენოსანსა და ტყვესაც იჭერენო!“ — სწერს ჯორჯაძეს იმავე დღეს.

ერთი კვირის შემდეგ უარეს გუნებაზეა. „თამაზ-ხანში ითხოვენ ოთხი ათას თუმანსა და სამასს ტყვესა. არა ვის და რათ უნდათ იმის გამოხსნა, იმ უვარგოს, უცხვირპიროს, ბაიყუშის კაცისა?“ — და მეორედ მოსვლამდე დილეგში ჯდომას ურჩევს.

ეს მოლაპარაკება დიდხანს გრძელდება. 12 ოქტომბერსაც კი შამხალს აფრთხილებს: სიტყვა არ დასძრა, ვითომ მოკვდა შენი შვილი, თორემ საქმე უფრო გაძნელდებაო.

დრო მიდის. ერთიმეორეს ენაცვლებიან ერთიმეორეზე ჯიუტი და ულმობელი თოვლი, ხოლერა და შამილი. დრო მიდის და სამსავე მტერს მამაცურად უმკლავდება გრიგოლ ორბელიანი — პოეტი და სარდალი, რომელიც ოავისუფალ დროს ისევ შინ — ქართული მწერლობის სავანეში — ბრუნდება.

1857 წ. 30 სექტემბერს გახარებული სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს:

„აბა ახლა წაიკითხე უკანასკნელს ცისკარში ლექსი კნეინა მარიამ ერისთავისა, ნახე როგორ მოგეწონოს“.

მარიამი და ეკატერინე, ივანე ერისთავის ასულნი, განათლებული ქალები იყვნენ, ორივე წერდა ლექსებს. მარიამის ლექსები, რომლებიც გრიგოლს მოსწონებია, „ცისკრის“ 1857 წლის სექტემბრის ნომერშია დაბეჭდილი.

მაგრამ დაღესტანში ისტორიას ლექები სხვანაირად წერენ.

აგერ, ივანე ბაგრატიონს მესამედ გაექცა პირადი მცველი, მისი საყვარელი, საგანგებოდ ამორჩეული ლეკი, და გრიგოლი აფრთხილებს, შეაგონეთ, ძველი გვარდიელებიდან შეარჩიოს მცველი, თორემ მოკლავენო ეს „ყარტა-ყურტები“.

* * *

1857 წლის შემოდგომაა. იწყება სალათავიის ეპოპეა, რაც აგვირგვინებს ორბელიანის სამხედრო კარიერას.

1857 წლის შემოდგომაზე შამილმა დაკარგა ყოველგვარი იმედი იმისა, რომ სალათავიის მხრიდან რუსთა ჯარებს განდევნიდა და დარღოში გაეცალა, სალათავია კი ჩააბარა გუმბეტის ნაიბს აბაკარ-დიბირს.

30 აგვისტოს შამილის მიერ დატოვებული ჯარის ნაწილს გენერალ-მაიორი ვოლკოვი შეახვედრა ორბელიანმა. ვოლკოვმა გაიმარჯვა და სხვათა შორის ტყვედ წამოიყვანა ჩერქეზთა ცნობილი წინამძღოლი ჯამალი, შვილებითურთ და 120 კაცით.

„კავკაზი“ ზედიზედ ბეჭდავს „გენერალ-ლეიტენანტ გრ. ორბელიანის სახელოვან ლაშქრობათა ამბავს“. თანდათან გაიკაფა ტყე, რასაც შამილი ასე იცავდა, სალათავიაში გზა გაიხსნა. შამილის მრავალმა ნაიბმა და მამაცმა მეომარმა ველარ იხილა თავისი ქოხი, ხოლო შინ დაბრუნებულებს ხალხი გოდებით ხვდებოდა, მეტადრე 30 ივლისის ბრძოლების შემდეგ. „აი, თავად ორბელიანის მოღვაწეობის შედეგები! — შესძახა სამხედრო მიმომხილველმა. — გამარჯვებაზე გამარჯვება, დაპყრობა მთელი ქვეყნისა და იქ თავისი დივიზიის ერთი პოლკის დამკვიდრება“*.

სალათავიაში შამილის აღარ არისო, იძახდნენ იმ დღეებში და ყველა ამაყობდა ორბელიანის დროშის ქვეშ ბრძოლას — დონის კაზაკები თუ აფშერონის პოლკის ჯარისკაცები, ქართველები თუ რუსები.

საზეიმო სადილებზე მთელი ოფიცრობა საერთო ვაშას ძახილში სვამს მამაცი წინამძღოლისა და გონიერი მმართველის სადღეგრძელოს.

---

* „Кавказ“, 1857, № 91.

ასე იყო 1857 წლის 20 ოქტომბრის ზეიმშიც. საზეიმო სადილის შემდეგ ვინმე კერის ჯამბაზობის საყურებლად წავიდნენ.

კერი ფიზიკოსი და აღმოსავლეთელი ჯადოქარი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ეძახდა თავს და ასე აცხადებდა აფიშებში. ჯადოქრობისა რა გითხრათ და კარგი მოთამაშე კი იყოო, აცხადებს დამსწრე. პოეტიც კმაყოფილია.

ჯადოქრის ოინებს მოსდევს ისევ სახიფათო ბრძოლა და ჩეხვა სალათავიის ტყისა. მუშაობის შეჩერების მიზნით ყაზი-მოჰამედმა ახალ ბურთუნაის შეუტია. სამი ათასს აღემატებოდა მის მებრძოლთა რიცხვი.

ორბელიანმა მოჰამედს დაღესტნის ფეხოსანთა პოლკის I და IV ბატალიონები შეაგება პოლკოვნიკ რაკუსის წინამძღოლობით. ცხენოსნებს ბაგრატიონი მიუძღოდა. ისედაც შეშფოთებული მტრის კოლონებში ბაგრატიონი თავისი ცხენოსნებით ისე შეიჭრა, როგორც მისი გვარის ღირსებას ეკადრებოდა.

სრულიად დამარცხებული ყაზი-მოჰამედი რაღაც სასწაულით გადარჩა, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა და ბრძოლის ველზე დატოვა შამილის ნაბოძები ნაჯახი — სიმბოლო ძალაუფლებისა. მტერი დაიფანტა და გაიქცა.

ორბელიანი სალათავიის მრისხანე გამგებლის პატივით შეიმოსა.

სალათავია მიწის პატარა ოთხკუთხოვანი ნაჭერი იყო, მაგრამ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით. „სალათავია პატარა ქვეყანაა, მაგრამ დიდი საქმეები დატრიალდა აქ“, წერდა იმ დღეებში „კავკაზი“. შამილმა არ დაიშურა არც ნიჭი და არც ჯარები, რომ ეს მხარე შეენარჩუნებინა.

ომის მონაწილე წერს, რომ 6 ნოემბერს დილით ჯარებს საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს და იმედიანად შესცქეროდნენ გზას, საიდანაც ორბელიანი უნდა გამოჩენილიყო. 9 საათზე, მართლაც, გამოჩნდა ქართველი გენერალი, რომელსაც უკან მუსულმანთა კოლონა მოჰყვებოდა. როგორც კი ეს კოლონა მოახლოვდა, მტერმა ჭურვები სეტყვასავით დააყარა. მაგრამ ბაგრატიონი პირველად არ შეხვედრია გულგრილად შამილის ქვემეხების ცეცხლს, დამშვი-

დებით განაგრძო გზა. ორბელიანმა იერიშზე გადასვლა ბრძანა და გაერთიანებული ჯარები სასაფლაოს მხრიდან დაეცნენ სოფელს. მტერი გონს ვერ მოეგო. რამდენსამე წუთში ბრძოლის ბედი ორბელიანის სასარგებლოდ გადაწყდა. დავლად შემორჩათ ნაჯახი, რითაც შამილი თავს ჰკვეთდა მტერს.

იმ დღეებში სოფელ ჩორტაუს მცხოვრებნი გადაუდგნენ შამილს და ორბელიანს შეეხიზნენ. სარდალმა 116 სული თავის მფარველობაში აიყვანა, ჯარი გაგზავნა მოსაყვანად და თვალსაჩინო მაგალითი მისცა დანარჩენ მთიელებს*.

საჭირო იყო დილიმისაკენ ტყის გაკაფვა და ახალი ბურთუნაის აღება. ამ მიზნით გრიგოლმა 5 ოქტომბერს ღამით ოთხი ბატალიონი დაძრა პირადად გუმბეთის გზაზე ახალი ბურთუნაისაკენ, ხოლო პოლკოვნიკი რაკუსი დაღესტნის ბატალიონებით ბურთუნაის სიმაგრის შემოსავლელად გაგზავნა. უკან კიდევ სხვა ჯარები მიჰყვებოდნენ.

ახალი ბურთუნაი შამილმა თავის დროზე ძლიერ სიმაგრედ აქცია. სამ წყებად შემოავლო მიწაყრილები, მის გასწვრივ ღრმა თხრილი გადიოდა, ტყის მხრიდან კიდევ შვეულკედლიანი ხრამები იცავდა. შამილს ახალი ბურთუნაი საყრდენ სიმაგრედ უნდოდა. მისი დაცვა ნაიბ აბაკარ-დიბირს დაავალა.

ახალი ბურთუნაისათვის ბრძოლა იყო მთავარი სამხედრო მოვლენა, რაც მოჰყვა ბარიატინსკის ჩამოსვლას...

გრიგოლის ჯარი უხმაუროდ უახლოვდებოდა ახალ ბურთუნაის. აი, გამოჩნდა სოფელი-სიმაგრეც. ყველგან ცეცხლი ბჟუტავდა. თენდებოდა, ჯარი ყიჟინით გადავიდა იერიშზე.

მთიელთა მთავარ ძალას გზა მსროლელთა ასეულებმა გადაუღობეს. გაიმართა საშინელი ხელჩართული ბრძოლა. ცივი ხიშტებისა და გრძელი ხანჯლების ტკაცუნში ეცემოდნენ თავდადებულნი. ხანმოკლე იყო და ულმობელი ეს გადამწყვეტი შეტაკება. მთიელებმა თავდაცვა სცადეს, მაგრამ ზურგიდან რაკუსის რაზმმა მოუარა. მტერი შედრკა, რუსებს ზურგი უჩვენა. და ფრიალო ფერ-

---

* „Кавказский сборник", VIII, стр. 375—376.

დობს მიმართა, მაგრამ ლეკები თოვლში ეცემოდნენ და ხიშტებზე ეგებოდნენ. მალე უკან დახევა პანიკად იქცა.

გამარჯვება სრული იყო და უდავო. იქვე, ბრძოლის ველზე, საზეიმო „ვაშას“ ძახილი გაისმა. ორბელიანმა შეაერთა მეწინავე ჯარები, აიღო და ცეცხლს მისცა დილიმი. „ეგეც ქართველთა სისხლის საზღაურად იყოს!“ — ამბობდა სარდალი და ჯარებს აბანაკებდა. აანთეს ცეცხლი, მოიტანეს ქვაბები, ნადავლი სურსათი და გაიმართა მხედრული ვახშმობა.

ორბელიანს დამსახურებული ჰქონდა გენერალ-ადიუტანტობა.

დასრულდა ხუთთვიანი ექსპედიცია, რომელშიაც გადაწყდა სალათავიის ბედი.

მთავარსარდალი ბრძანებაში წერდა:

„სულითა და გულით ვმადლობ კასპიისპირეთის მხარის ჯარების სარდალს, გენერალ-ადიუტანტს თავად ორბელიანს, ოსტატური და წარმატებული მოქმედებისათვის, რაც სალათავიის აღებით დასრულდა. ყველგან იკაფავდა გზას ზვავებითა და მტრის შეუპოვარი თავდაცვითი ზღუდეებით გამაგრებულ პოზიციებზე და ამ მხარეში მოწყობილი მთელი რიგი ბრწყინვალე მოქმედება დააგვირგვინა 13 ნოემბრის სახელოვანი საქმით, რომლის შედეგადაც სასტიკად დამარცხებულმა მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დატოვა 350-ზე მეტი მკვდარი, მათ რიცხვში სამი ნაიბი“.

გრიგოლის მანევრი წარმატებით დაგვირგვინდა.

— უკანიდან რატომ მოუარეო ლეკების სიმაგრეს? — ხუმრობით უსაყვედურა გენერალმა.

— წინიდან არ მიმიშვესო, — ორაზროვნად შიუგო გრიგოლმა.

ამრიგად, 1857 წლის 5 ოქტომბერს განთიადისას, გრიგოლ ორბელიანმა იერიშით აიღო ძველი და ახალი ბურთუნაი, „უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტები შამილისა სალათავიაში“, ამ მთიანი მხარის გული და სიმაგრე, ბრძოლის ველზე დაეცა სამი ნაიბი: გიტინაუ, შამხალი და ისმაილი. „ხალხი ამბობდა, რომ ეს წელი თავად ორბელიანს ეკუთვნის და უსარგებლოა მასთან ბრძოლაო, — წერს თანამედროვე...*

---

* „Сборник сведений“, 1873, т. VII, стр. 51.

დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძეც ულოცავს ბარიატინსკის „ორბელიანის უკანასკნელ მამაცურ საქმეს“.

1857 წლის 13 ნოემბრის წერილში გრაფი დიმიტრი მილიუტინი ბარიატინსკის ულოცავს ორბელიანის გენერალ-ადიუტანტობას და დასძენს, რომ ეს სასიამოვნო ამბავი ბალზე პირადად უთხრა იმპერატორმა.

ვორონცოვი ბარიატინსკისადმი მიწერილ ბარათშიც და პირადად ორბელიანისადმი წერილშიც დიდ მნიშვნელობას აძლევს სალათავიის ექსპედიციას, რომელმაც შამილის ყურადღება მოაცილა მთავარ ფრონტს, და რომლის დროსაც გრიგოლის მიერ გაგზავნილმა გენერალმა ვოლკოვმა შამილის ხუთვერსიანი კედელი ნახა და ნაწილობრივ დაანგრია, აგრეთვე მიაღწია სხვა გამარჯვებებს და დაარწმუნა შამილი, რომ ყოველ წუთს უნდა ელოდეს რუსების თავდასხმას ყოველ მხარეში.

ბურთუნაის აღება იყო ორბელიანის სამხედრო კარიერის ზენიტი. სალათაუ დაეცა. მალე, 1858 წელს, შამილის მზის ჩასვენების წინ, ძლევამოსილი სარდალი თბილისში გადმოჰყავთ, მთავარმართებელ ბარიატინსკის განკარგულებაში. ამით სრულდება თხუთმეტწლიანი ეპოპეა და მასთან პოეტის ცხოვრების მეორე პერიოდი.

1857 — ორბელიანის წელიაო, ამბობდნენ კავკასიაში.

„ყველაფერი ეს კახეთის სისხლის ღაღადისია“, — სწერდა თბილისში მყოფ ნათესავებს გამარჯვებული სარდალი.

გრიგოლის მიერ სალათავიის აღებას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თითქმის ოცი წლის წინ გრაბეს მიერ შამილის რეზიდენციის — ახულგოს აღებას და 1845 წელს ვორონცოვის მიერ იმამის მეორე რეზიდენციის — დარღოს აღებას. ერთსაცა და მეორესაც ათასობით რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი შეეწირა, ორივე გენერალს უკან დახევა მოუხდა. ვორონცოვი თავის რაზმიანად კინაღამ დაიღუპა, ძლივს იხსნა ფრეიტაგმა... ორბელიანის მიერ სალათავიის აღებით კი გვერდი შეუნგრიეს შამილის ძლიერებას და კავკასიური ომის ფინალი ამით უდავოდ მოახლოვდა.

ლეგენდარულ გენერალ ორბელიანის სახელი ათეული წლე-

ბის განმავლობაში ქუხს კავკასიაში. მისი უბრალოება, დარდიმანდული ქეიფი და ლაღი ლექსი საოცრად ეხამება ჭის ზვიად იერსა და ორდენებით დამშვენებულ ვეება მკერდს.

• • •

15 ოქტომბერს ორი კვირის აღებულ ახალ ბურთუნაის ტყვია დაუშინა შამილის შვილმა ყაზი-მოჰამედმა, მაგრამ საპასუხო ცეცხლმა მთიელები მალე გაფანტა და უკუაგდო. 19 ოქტომბერს ხელახლა სცადეს, და ისევ ამაოდ. ტყიდან გამოჩენა და უკან გაქცევა თითქმის ერთი იყო. 20 ოქტომბერს კი ორბელიანის წინსამძღოლობით აღებული და მისივე უშუალო ხელმძღვანელობით ახლად აშენებული სალათაუ ქვემეხთა ბათქით შეხვდა თავისი ისტორიის ახალი ხანის დაწყებას.

ამის შემდეგ ორბელიანი ხელს უწყობს გენერალ ევდოკიმოვის შესვლას აუხში. ისეთი მოხერხებული დრო შეურჩია, რომ „მასპინძლები" ვერ მოვიდნენ, მაშველმა ნაიბებმა კი ვერ მიუსწრეს.

ჯარები განთიადის მუსიკას უკრავდნენ, გრიგოლი მეჩეთის ბანზე სვამდა ჩაის და ლეკებს გაოცებისაგან პირი დაეღოთ. ეს ექსპედიცია რუსებს სულ რაღაც 14 კაცის სიცოცხლედ დაუჯდათ. შამილის აშენებულ სიმაგრეში რუსის სამი ბატალიონი ჩადგა.

რამდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდა შამილის შვილი, კარატის ნაიბი ყაზი-მოჰამედი. რამდენიმე ქვემეხი გაისროლა და მიიმალა.

გრიგოლი განაგრძობს ტყეების კაფვას. თან ბრიყვ ბაშლელთა ელჩებს „წვერებს აგლეჯს". და ამით აიძულებს, ზიდონ სურსათი, თუმცა მთაში ბუქია, ყაფის მთა ირყევა და „მრავალნი მხეცნი, კამბეჩოვანად წოდებულნი, შეიქმნენ უსულოდ".

რუსებს სალათავიის შუაგული ეპირათ. შამილს მაინც იმედი ჰქონდა, განაგრძობდა ბრძოლას, გზავნიდა რჩეულ ნაიბებსა და არ იწვევდა უკან შვილს. საჭირო იყო დაემტკიცებინათ მისთვის, რომ ცდებოდა.

31 ოქტომბერს უკან დახევა იკადრა, მაგრამ ბურთუნაიდან ორ ვერსზე შესანიშნავად გამაგრებული მაღლობები ჰქონდა.

რედუტს შეუტია რუსეთის არმიის სახელოვანმა ნაწილმა — აფშერონის პოლკის მეოთხე ბატალიონმა. ელვისებური იერიშით დაამარცხეს მტერი*.

გრიგოლმა არსებითად დარღოში განდევნა შამილი და ახლად აღებულ ბურთუნაის ბატონად გენერალი ვოლკოვი დანიშნა. სალათავიაში მოპოვებული გამარჯვება დაგვირგვინდა იმპერატორის მორიგი საჩუქრით, ალმასით მოოქვილი ოქროს ხმლით. ვოროხცოვმაც მისცა ორმოცდაათი ოქრო... სიზმარში. მთავარმართებელიც მადლობასა სწერს, მაგრამ ეშხი კი აღარ არის გულში და ისე რა ლაზათი აქვს სიცოცხლეს?

მაგალითად, რა მოჰყვა გამარჯვებასა და ოქროს ხმალს? „მოვიდა ისაია და მოიტანა თოვლი. მოვიდა კამისაროვი და მოიტანა ჭარიშხალი, რომელმანაც გუშინწინ კინაღამ არ მოგვიტაცა აქედამ ყაზარმებითურთ!“ ევგენიევსკოედან ურმები ვერ ამოვიდნენ. ამაოდ ელიან აგურს, ფიცარსა და სხვა საშენ მასალას.

სხვა გასართობიც არის სალათავიაში. 1857 წლის 17 ოქტომბერს ორბელიანის ჯარის ნაწილში ჩასული „ბოსკეს შეგირდი“, ვინმე კერი, „აღმოსავლეთელი ფიზიკოსი და ჯადოქარი“, ადგილობრივ თეატრში გამოდის, სხვადასხვა თვალთმაქცობას უჩვენებს ოფიცრებსა და ჯარისკაცებს და დიდი წარმატებითაც. ეს ის კერია, რომელიც გვიან კალუგაში შამილს ასიამოვნებს თავისი არტისტული ნიჭით. ახლაც ითხოვა შამილთან გაშვება, მაგრამ გრიგოლმა უარი უთხრა. ჯერ დაატყვევონ, მერე მეტი დრო ექნება სეირის საყურებლადო. იმავე დღეს იღებს შამილის კიდევ ერთ ციხეს, ძიამსხვრევ-მოამსხვრევს მათს ცხვირ-პირს, და „ისე გადარეკავს ხეგებში“. ორი დღის შემდეგ კიდევ, როცა შამილის შვილი ყაზი-მოჰამედი ბურთუნაის ქვემეხებს უშენს, ისევ „ამხედრდა ლურჯს ტაიჭზედ და თილიყამყამით შეუტია“, მრავალს დააყრევინა თავი და წამოიღო ყაზი-მოჰამედის ძლიერების სიმბოლო, ნაჯახი, რითაც მისი მიურიდი რუსებს თავებს აყრევინებდა.

ეს მოხდა 7 ნოემბერს. მეორე დღეს კი გრიგოლი გებულობს სამწუხარო ამბავს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა და მისი

---

* „Кавказ“, 1858, № 16, 17, 18, 19 და სხვ.

მოხელეების დახოცვას სვანეთის მთავრის კონსტანტინე დადეშქელიანის მიერ. გუბერნატორს ეკატერინე დადიანისა და კონსტანტინე დადეშქელიანის რუსეთს გაგზავნა მოუნდომებია. დადეშქელიანს უძვრია ხანჯალი და სასიკვდილოდ დაუჭრია გაგარინი, მისი თარჯიმანი ილინი, მზარეული და სხვები. დადეშქელიანი დაუხვრეტიათ...

ორბელიანი უკმაყოფილოა: ასე ერთბაშად, ასე სხარტულად უცხო რჯულის გავრცელება არ იქნება და ეს ყოველივე რას მოასწავებსო? — სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს.

„აბა ერთი ვჰსთქუათ, დადეშქელიანის ოჯახის ამოფხვრა რას სარგებლობას მისცემს ჩვენს მმართველობას?“ — ეკითხება მეგობარს სარდალი.

მაგრამ ბურთუნაის ტრაგედია ჯერ არ იყო დასრულებული. მისი უკანასკნელი მოქმედება დაიწყო 31 ოქტომბერს და თავდება 16 ნოემბერს. გაშმაგებული ჯარისკაცები შამილის რედუტის სიღრმეში შეიჭრნენ, დილიმის გზაზე, და მცველები ხიშტებზე ააგეს. თვით გრიგოლი აღტაცებულია: „ვჰკვიროობ და ვჰკვიროობ ჩვენის სალდათების ესოდენს შრომასა და ესოდენს მოთმინებასა. მართლაც, ამათ ქებას „საწერელი ზღვა უნდა“.

შრომა, მართლაც, უჩვეულო პირობებში უხდებოდათ. გზა გაჰყავდათ ტყვიის წვიმაში. ნაიბ შამხალის ბრძანებით გამოსული მთიელები მოსვენებას არ აძლევდნენ. 6 ნოემბერს ფიცხელი შეტაკებაც ჰქონდათ. 13 ნოემბერს კი ბრძოლის ველზე დარჩა 359 ლეკი. თან იბრძვიან, თან ტყეს კაფავენ. ტყუილად ითხოვს ქეთევანი კვერნებს. ამ ტყეებში ლეკი მეტია, ვიდრე კვერნა. როცა გაკაფავენ, აღარც ერთი იქნება, აღარც მეორე.

იმ დღეებში დაიღუპა შამხალი და ოთხი ნაიბი.

მიდის დრო, გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს გრიგოლი, იღებს საჩუქრებს, ორდენებს, წინაურდება... მაგრამ ახალგაზრდობა კი აღარ მოსდევს და რაღა ლაზათია?

სალათავიის ექსპედიციით გვირგვინდება 1857 წელიც და ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობაც დაღესტანში. სარდლის მოხსენება ასე თავდება:

„მთელი სალათავია ცეცხლში იყო. მთიელები გარბოდნენ ახტაში... თან მიჰყავდათ თავიანთი დაჭრილები. სალათავიის რაზმის მიზანი მიღწეული იყო. მისი შრომა და თავგამოდება სრული წარმატებით დამთავრდა. ბურთუნაის გამაგრება დასრულდა. სალათავია აოხრებული და გადამწვარია!“*

რაღა თქმა უნდა, სოფლების აოხრება და გადაწვა ჰუმანურ საქმეთა რიცხვს ვერ მიეთვლება, მაგრამ პოეტი ომშია. იგი ებრძოდა სასტიკსა და ქედმოუხრელ მტერს, და სხვა გზა მხარის დამორჩილებისა მას არ ჰქონდა. სამხედრო გამარჯვებები კი ისეთ შეუდარებელ და უბადლო ვაჟკაცსა და ცბიერ სარდალთან, როგორიც შამილი იყო, უდავოდ მეტყველებდა გრიგოლ ორბელიანის თვალსაჩინო სამხედრო ნიჭზე.

სალათავიის დაპყრობა კავკასიის ომების ისტორიაში ერთხმადაა აღიარებული ერთ უდიდეს საგმირო საქმედ. ორბელიანს ებოძა გენერალ-ადიუტანტობა, მთავარმართებელმა ბარიატინსკიმ კი გენერალ-ადიუტანტ ორბელიანს, კასპიისპირეთის ჯარების სარდალს, მისწერა მადლობის წერილი, რაც გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა. მეფისნაცვალი ქებით იხსენიებს სარდლის ჰკუასა და გამჭრიახობას, რასაც მძიმე პირობებში ხუთთვიანი ბრძოლის შემდეგ ბრწყინვალე გამარჯვება მოჰყვა:

„გონს მოსვლას აღარ მაცლით, უპატივცემულესო თავადო გრიგოლ დიმიტრის ძევ, თავბრუს მახვევთ თითქმის ყოველდღე თქვენი ბრწყინვალე და ჩინებული გამარჯვებების გრგვინვა-ქუხილით...“

ასე სწერდა ბარიატინსკი მეგობარს. მთავარსარდლის აღტაცება გასაგებია: მისი ვალი და ზრახვაც სალათავიის აღება გახლდათ.

სალათავიის ბედი გადაწყვეტილი იყო.

გრიგოლი სალათავიიდან 16 ნოემბერს დაბრუნდა თემირ-ხან-შურაში. მალე თბილისში გადაჰყავთ, სადაც მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარის სავარძელი ელის, მის ადგილზე კი ძოდის გენერალ-ადიუტანტი ალექსანდრე ვრანგელი.

---

* Акты, XII.

* * *

დაღესტნიდან პოეტის გადმოსელის უშუალო საბაბი ცნობილია: ბარიატინსკის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად უნდოდა ბარონი ალექსანდრე ვრანგელი დაენიშნა, კავკასიის ომების გმირი ოთხმოცდაათიანი წლების მანძილზე, გრიგოლის თანატოლი, ყაზი-მოლასთან და შამილთან ბრძოლებში გამობრძმედილი გენერალი, ახულგოს ბრძოლაში რომ ტყვიამ მკერდში გაუარა. ბარიატინსკის სურვილა მეფემაც იცოდა, ვრანგელი მაშინ პეტერბურგში იყო, ქუთაისის გუბერნატორობაზე უარი შემოთვალა და ბარიატინსკიმ ეს ადგილი მისცა გიორგი რომანოზის ძე ერისთავს, რომელიც ქუთაისს გაეშურა. სწორედ იმ ხანებში მეფემ, რომელმაც ერისთავის დანიშვნა არ იცოდა, ნევის პროსპექტზე შემთხვევით ნახა ვრანგელი და გაოცებულმა უთხრა:

— ბატონო! თქვენ ისევ პეტერბურგში ხართ? რა კარგს იზამდით, რომ ბარიატინსკის ეახლებოდეთ!

მეფის სურვილი იმპერიაში კანონი იყო. ვრანგელიც ბარიატინსკის ეახლა და 1857 წელს, მართლაც, ქუთაისის გუბერნატორად ითვლება. მაგრამ მთავარსარდალი ვერ გაწბილებდა ერისთავს, იმავე დროს ღირსეული ადგილი უნდა მიეცა მეფის რჩეული გენერლისათვის, და აი ღირსეული ადგილიც: გრიგოლ ორბელიანს დიდი ხანია გული საქართველოში მოუწევს, კარგი იქნებოდა მის ადგილზე 21-ე ფეხოსანთა დივიზიის მეთაურად და კასპიისპირეთის მმართველად ვრანგელის დანიშვნა.

მეფისნაცვლის სურვილი საქართველოში კანონი იყო და ვრანგელი დაინიშნა დაღესტნის საქმეთა გამგებლად. ორბელიანმა ბოლო მოუღო დაღესტნის ლომს, დააუძლურა იგი, გასტეხა ლეკთა წინააღმდეგობა, შეანგრია შამილის უკანასკნელი ციხე-სიმაგრის ბჭენი და როცა შამილის დასატყვევებლად უკანასკნელი ნახტომისათვის ემზადებოდა, სწორედ მაშინ მიუსწრო მეფისნაცვლის ბრძანებამ, თბილისში ხარ გადაყვანილიო.

* * *

შცოდნე მიმომხილველები დაღესტანს ეძახიან კავკასიური ომების კლასიკურ ქვეყანას, მიურიდიზმისა და ჰაზავათის ბუდეს, და

მის ახალ ისტორიას სამ პერიოდად ყოფენ: მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვის, გრიგოლ ორბელიანისა და ალექსანდრე ვრანგელის მბრძანებლობის პერიოდებად. პირველ პერიოდში ეს მხარე შეიკრა ერთ ადმინისტრაციულ მხარედ — კასპიისპირეთის მხარედ. მეორე პერიოდში ამ მხარის მშვიდობიანი ნაწილი ბრწყინვალედ ვითარდებოდა, დაუპყრობელი ნაწილი კი თავისუფლდებოდა, საზღვრები მისი განიერდა და დაღესტანს შეუერთდა სალათავია. მესამე პერიოდში შედარებით დამშვიდებულ მხარეს სათავეში უდგება ნაცადი მეომარი ვრანგელი.

დაღესტნის მბრძანებელთა ზედაფენა დიდის ამბით ემშვიდობება ორბელიანს, რომელმაც კრაზანების ბუდეში თითქმის ხუთმეტი წელი დაჰყო და ამდენი ამაგი დასდო კავკასიის დამორჩილების საქმეს.

ორბელიანისათვის უცხოა ცბიერება, გაქნილობა, არტისტული ჟესტი. მთელი არსებით მისცემია სამსახურს და არის იდეალური მსახური ხელმწიფე-იმპერატორისა. ასეთია გამოსათხოვარ საღამოზეც, თემირ-ხან-შურის დიდკაცობამ რომ მოუწყო 1858 წლის 23 თებერვალს გრიგოლსა და მასთან სტუმრად მყოფ მის რძალს, ილიას ქვრივს ბარბარეს.

ეს იყო ნამდვილი ზეიმი, დამძიმებული მხოლოდ იმ გრძნობით, რომ მხედართმთავარს ემშვიდობებიან.

გრიგოლ ორბელიანი თემირ-ხან-შურაში ემშვიდობება ძველ მებრძოლ-მეგობრებს, ემშვიდობება კავკასიის ომების კლასიკურ მხარეს დაღესტანს, მიურიდების ბუდეს, ემშვიდობება კასპიისპირეთს, რასაც თხუთმეტ წელს განაგებდა.

მთავარსამმართველოს საბჭოს ახალი თავმჯდომარე გრიგოლ დიმიტრის ძე სიტყვას ამბობს:

„რაოდენ მიმზიდველი არ უნდა იყოს ეს თანამდებობა, არ შემიძლია არ ვინაღვლო იმის გახსენებაზე, რომ გემშვიდობებით, კასპიისპირეთის მხარის მამაცო ჯარებო! ხუთმეტი წლის შრომამ და საფრთხემ დაგვაკავშირა ამ ხნის მანძილზე, ხან როგორც ჯარისკაცი, ხან როგორც თქვენი წინამძღოლი, ხშირი მოწმე ვიყავი მალაღი საბრძოლო გმირობისა, რასაც თქვენ ახდენდით. გტოვებთ და უაღრესი სიყვარულის ხსოვნა მიმყვება, ჩემო ამხანაგე-

ბო!.. და ჩემს ხსოვნაში მარად აღდგებიან ზირანი, კაკაშური, ქუთი-
ში, გერგებილი, სალთი, მისკენჯი, ჰოხი, ტაბასარანი, სალათავია"*.

მთელი თემირ-ხან-შურა შეიყარა საყვარელი სარდლისა და ამხანაგის გასაცილებლად. საზეიმო ხმაურსა და მხედრული მუსი-ის გრიალში გაისმა გენერალ ვოლკოვის ხმა. ჯერ იმპერატორი აღიგრძელა, მერე თასი ასწია და გრიგოლს მიმართა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, თავადო გრიგოლ დიმიტრის ძევ! რამდენადაც ვიცი ჯარებისა და აქ მყოფი საზოგადოების გრძნობე-ბი, ჩემ სასიამოვნო მოვალეობად ვრაცხ, ყველას სახელით მად-ლობა გიძღვნათ ყველაფრისათვის, რაც გაგიკეთებიათ დაღესტნის ჯარებისათვის, რომელთა რიგებსაც გვაქვს პატივი ვეკუთვნოდეთ ჩვენც...

ამის შემდეგ სახელოვან ტყვე ქალს, ბარბარე ორბელიანს მიუბ-რუნდა, აღიგრძელა, ბოლოს — გენერალ ვრანგელს...

გრიგოლმაც გულწრფელი მადლობა გადაუხადა მთელს საზო-გადოებას და თანამოლაშქრეებს, რომლებთანაც ინაწილებდა მძიმე მხედრული ცხოვრების ჭირსა და ლხინს, როგორც მეომარი და როგორც სარდალი...

ნადიმი დიდებული ფეიერვერკით დააგვირგვინეს. მთელი დაღესტანი აცილებდა გმირს, ადამიანსა და სარდალს, ძაგრამ, ალ-ბათ, არავის მოსვლია აზრად, რომ აცილებდნენ უკვდავ პოეტს.

მართლაც, ამით მხოლოდ ორბელიან.ს სამხედრო კარიერა თავდებოდა.

პოეტის ხასიათი

გრიგოლ ორბელიანის გამჭრიახ გონებაზე, სამხედრო ნიჭსა და მომხიბლავ ხასიათზე ლაპარაკსაც კი ზედმეტად მიიჩნევს ისტორი-კოსი ოკოლნიჩი. მის გონიერებას ყველგან ხაზგასმით აღნიშნავენ ვორონცოვი, კუდაშევი, რეადი, ლორის-მელიქოვი და სხვა გამოჩე-ნილი სამხედრო თუ სამოქალაქო მოღვაწეები. ვორონცოვი მეფეს-

* „Кавказ", 1858, стр. 26.

თან უწევდა რეკომენდაციას, ხოლო ბარიატინსკის არწმუნებდა: ყოველ დავალებულ საქმეს უზადოდ შეასრულებსო.

ფართო განათლება, მაღალი ნიჭი, კეთილშობილი გული, ფხიზელი გონება, დაუშრეტელი ენერგია — ყოველივე ეს გრიგოლს ხდიდა ყველასათვის საყვარელ და სათაყვანებელ ადამიანად.

გრიგოლი სიკეთის კვალს ტოვებდა ყველგან, სადაც ყოფილა, სიყვარულით იგონებს ყველა, ვისთანაც საქმე ჰქონია — თბილისში თუ დაღესტანში, სამოქალაქო სამსახურში თუ პოლკში.

„ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ვუყვარვარ ისეთ ღირსეულ ადამიანს, როგორიც შენ ხარ“, — სწერდა ერთი მეგობარი.

„ძვირფასო, საყვარელო, ღრმად პატივცემულო, სარწმუნო მეგობარო გრიშა!.. — მიმართავს მეორე. — მიყვარხარ! მარტო მე კი არა, ჩემს ცოლსაც უყვარხარ, თუმცა არ უნახიხარ, რადგანაც ჰგონია, რომ შენ ხარ რაღაც ზეგარდმო მოვლენილი იდეალი!“

„შენი სახელი დამავიწყდა, მეგობარო ჩემო ორბელიანო, მაგრამ იმედად შენი ნაწერი მრჩებაო“, — სწერს ერთი თანამებრძოლი.

გულითადი მეგობარი დავით ყორღანოვი ჯერ კიდევ 1835 წელს არწმუნებს:

„შენი წიგნი არის ჩემთვის უძვირფასესი საუნჯე ღვთიურის მეგობრობისა ჩვენისა“.

თუმცა ბრძოლის ველზე გრიგოლი მკაცრი მეომარია, მაგრამ როგორც ნათესავი, ადამიანი და პოეტი, ბავშვივით ფაქიზი და გულმოწყალე ჩანს.

გრ. ორბელიანი ბუნებით კეთილი, ხალასი, შემბრალე ადამიანია. მისი სიტყვებია:

ვჰსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა
უსამართლობას...
ვჰსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცსა
სულის მაღლობას!

ბევრი რამ გააკეთა თავის მხრივ „სადღეგრძელოს“ ავტორმა ქართველთა „სულის მაღლობისათვის“.

მახლობლებისათვის ხომ პირდაპირ თავგამოდებულია!

ვილნოს მყოფი პოეტი ერთ წერილში გულისტკივილით მიმართავს ანტონ ორბელიანს:

„საყვარელო ძმაო ანტონ!.. სად არის სიყვარული ჩვენი? სად დაიკარგა ძმობა და მეგობრობა ჩვენი სიყრმითგან დამტკიცებული ბომბებითა და საყვირითა?“

ეს შემთხვევითი გახსენება როდია. გრიგოლ ორბელიანი ნამდვილი რაინდია არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ ნათესაობასა და მეგობრობაშიც.

როცა დიმიტრი ჯორჯაძე წერილებს უხსნის, მხოლოდ მამაშვილურად ტუქსავს: რათა ხსნი? მაშ ლუქს რისთვის ყიდულობენ, ბეჭედს რათ ასმენ წერილებზეო!

ხელთათმანებს რომ უგზავნიან და ხელი არ ჩასდის, უბრალოდ საყვედურობს: რა გენაღვლებოდათ, ცოტა დიდრონი გექნათო!

რძალი ქეთევანი რომ ყმა ჯოხაძეს გაგდებას უპირებს, გრიგოლი თემირ-ხან-შურიდან სთხოვს: შეიბრალე, აპატიე, ნამსახური კაცია, ძალზე შემეცოდაო.

გრიგოლი ხშირად ეხმარება დას ეფემიას, მის ასულს ბაბალეს, ზაქარიას ვაჟს სანდრიკოს... როცა 1856 წ. ვეზირიშვილზე ბაბალეს გათხოვების ნებას ითხოვენ, გრიგოლი თანხმობას აძლევს და ას თუმანსაც, თან შემდეგისათვის მუდმივ დახმარებას ჰპირდება.

დას კი არა, ყველას ხელს უმართავს, რითაც შეუძლია. 1859 წელს თბილისში მოვიდა ყაზი-ყუმუხის ყოფილი მმართველის აღალარ-ბეგის დისწული ასლან-ხანი, სრულიად უფულო, უენო, გამოუცდელი, მშიერი, შიშველი. ორბელიანი დაეხმარა, ლევანს ჩააბარა, მთავარმართებელს სთხოვა, ფული ძიეციით გაზაფხულამდე, ვიდრე ექსპედიციაში წავაო.

თავგამოდებით ესარჩლება დერბენდელებს, რომელთაც მოუსავლიან წელს ყუბის მაზრაში პურის ყიდვა აუკრძალეს, და აღშფოთებულია გრიგოლ ერისთავის ასეთი ღონისძიებით. ერისთავს აძულებს, დაწეროს გადადგომის თხოვნა.

გლეხთა ბედიც ხშირად აწუხებს. 1856 წლის 8 მაისს ქეთევან ორბელიანს სწერს:

„უბედურნი ჩვენნი გლეხნი როგორ ჰსცხოვრებენ ამ საშინელს სიმშილში, და ან რა ღონისძიება უპოვნეს მისთა ბატონებმა?“

გრიგოლს მუდამ უყვარდა ქე-ფი, ზეიმი, ბალები, დიდმშვენიერება, ტრიუმფალური თაღები და სასახლეები... მაგრამ ასეთი არისტოკრატული ამაოების მიღმა მუდამ იფარება დიდი მოქალაქისა და შემოქმედის ნათელი სახე.

სმა, რამდენადაც ეს სიტყვა თრობასა და უაზრო დროსტარებას გულისხმობს, მთელ სიცოცხლეში უცხო იყო გრიგოლისათვის. ისე ჩაეიდა სამარეში, რომ ვერ ჩასწვდა არყის გადაკვრის სიამოვნებას.

შინაურობაში გრიგოლი იყო უწყინარი, უბოროტო, კეთილი და დიდბუნებოვანი, მოყვარული და უშურველი.

თანამედროვეთა რწმენით, გრიგოლი უფრო ფილოსოფოსი იყო, ვიდრე პოეტი. იგი თურმე ღრმა ფიქრებს მიეცემოდა, ამოიოხრებდა, რაიმე ძარღვიანს იტყოდა და დიდხანს გაირინდებოდა და ვაჰ, თუ რაც წახდეს, ვეღარა აღდგესო, წუხდა.

გრიგოლს უყვარდა ყველა საქმიანი, კეთილი ადამიანი, პატივს სცემდა ყველა ხალხს. მართალია, ცუდი აზრისაა ხარბ სომეხ ვაჭრებზე, რომელთაც ნახევარი კახეთი დაგირავებული ჰქონდათ, მაგრამ სომხები კი არ სძულდა, მრავალი ახლო მეგობარი ჰყავდა სომეხთა შორის: ბებუთოვები, თურმანოვები, ლორის-მელიქოვი, ტეტგუკასოვი, ლაზარევი...

ერთხელ, თბილისის გენერალ-გუბერნატორად რომ იყო, ერთი კუმისელი გლეხი ესტუმრა, მოვალე სომეხმა ვაჭარმა ამიკლოო. ათი თუმანი ფული ასესხა თურმე და სარგებელში ურემ ღვინოს ახდევინებდა. გრიგოლმა სომეხი დაიბარა:

— რა ვქნა, ბატონო, ფულს სარგებელი უნდა, თქვენც მოწმე ხართო, — უთქვამს ვაჭარს.

— როგორ თუ მოწმე! ამისთანა უღმერთო სარგებლის მოწმე მე რად ვიქნები?

— ჟი, შენი ჭირიმე, ნახეთ, თქვენა გაქეთ ხელი მოწერილი.

განცვიფრებულ პოეტს მართლა უნახავს საკუთარი ხელმოწერა: „პორუჩიკი გრ. ორბელიანი“. „პორუჩიკიდან გენერალ-ადიუტანტი გავხდი, მთავარმართებლის მოვალეობის აღმასრულებელი შევიქენ და საწყალი გლეხი კი სულ ყოველწლივ იხდიდა ათ თუმანში

ერთ ურემ ღვინოს, — იგონებს პოეტი. — მე ავენთე, ცეცხლი მოვკიდე და ფხრაწ! ფხრუწ! დავხიე ის თამასუქი, პირში მივაყარე იმ ჰომეხს სიტყვებით: „წადი, მიჩივლე, საცა გინდა, შე უღმერთო!“

ასეთი იყო ორბელიანი. მსგავსი ეპიზოდებით მდიდარია ცხოვრება გენერლისა, რომელიც მუდამ რჩებოდა პოეტად, ადამიანად და მოქალაქედ.

ერთხელ გრიგოლს ვაშლოვანელი და კუმისელი გლეხები ეახლნენ და დახმარება სთხოვეს: საქართველოს სამხედრო გზაზე გაეყვანათო სამუშაოდ.

ეს გზა სახელმწიფო ხარჯზე ინახებოდა, გლეხებს მუქთად რად უნდა ემუშავათ? მოხელემ ვერაფერი გაარკვია, ორბელიანი მთავარმართებელს ეახლა, მეფის ძმას და საქმის ვითარება მოახსენა. მიხეილ ნიკოლოზის ძეს გაუკვირდა, იქვე მყოფ ბარონ ნიკოლაის გადახედა. ბარონი, მუდამ უზრდელი, ხეპრე და უმეცარი მოხელე, უგუნებოდ იყო. შუბლი შეიკრა და მჟავედ ჩაილაპარაკა:

— თქვენო უმაღლესობავ, ამ საკითხებზე კავკასიის მთავარმართებელთან ერთადერთი მომხსენებელი მე ვარ. ყველა დანარჩენი მბაბეზღარია მხოლოდ.

გრიგოლი ავად გახდა და მთელი კვირა ლოგინად იყო ჩავარდნილი.

თითქოს ეჭვს ბადებს პირუთვნელი ბიოგრაფის სიტყვა პოეტის გადამეტებულ, რაინდულ მორიდებულობასა და არტისტულ, დახვეწილ თავაზიანობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. გრიგოლის მოურიდებელი, ხშირად უწმაწური სიტყვები და გამოთქმები, რომელთაც უახლოესი ადამიანებისადმი მიმართულ წერილებში ხმარობს, მეტყველებენ მის პირამთქმელობასა და ვაჟკაცურ ხასიათზე. ინტიმური წრის გარეთ მდგარ ადამიანებთან გრიგოლი უაღრესად თავაზიანი, ფაქიზი და გულისხმიერია.

პოეტის თავაზიანობის სარწმუნო საბუთად მის ბიოგრაფს მოჰყავს 1873 წლის 8 აგვისტოს წერილი, მიმართული ერთი რუსი მოხელისადმი, რომელსაც მისი ვალი ჰქონია:

„ვხივარ და ვფიქრობ, ვფიქრობ დიდხანს, როგორ მოვახერხო ისე, რომ წერილი ასე უწყინრად და რბილად როგორმე შევადგინო ისე ნაზად, რომ მისმა წაკითხვამ თავისი მოულოდნელობით მყუდ-

როება არ დაგირღვიოთ, წარბები არ მოგიღუშოთ და არ წაგიხდინოთ მადა, რომელზედაც კოჯრის ჰაერი ასე კარგად მოქმედებს! მაგრამ ვგრძნობ ამასთანავე ღრმად, რომ შეუძლებელია, ადამიანის ძალას აღემატება, ვინაიდან თვითონ ბუნება ჩემი თხოვნისა იქამდის უწყალო და საზიზღარია მთელი ადამის ტომისათვის, რომ მისი როგორმე თავაზიანად მიღება შეუძლებელია! მოგახსენებთ... ე. ი. განზრახვა მაქვს მხოლოდ მოგახსენოთ, — მაგრამ, როგორა ვსთქვა... დამიბრუნეთ ჩემი ფული! უჰ, ძლივს არ მომეშვა!"

ასევე თავაზიანად სწერს თვით ახლობელ ადამიანს, რძალს, რომლის ჯანმრთელობასაც „აახლებს 3CO მანეთს" და თან ხატოვნად ეკითხება, ჩვენმა ბიჭმა კარგი მხედარივით გაირბინა საგამოცდო წრე თუ ჯანჯალით მიაღწია ოთხ და ხუთ ნიშნამდეო!

გრიგოლი ხელმოჭერილი კაცი იყო, ზოგი მის სიძუნწეზეც ლაპარაკობს, მაგრამ ვინც ღრმად ჩაუკვირდება მის საქციელს, აღიარებს, რომ ეს უსამართლო ბრალდებაა. კაცი, რომელიც მთელს სიცოცხლეში ვალებიდან ვერ ამოვიდა, უშურველად ეხმარება დას ეფემიას, სიძეს — მელიტონს, რძლებს, ძმისშვილებს, უფრო შორეულ ნათესავებსაც კი. ძუნწები ასე არ იქცევიან.

მართალია, ფული ენანება, ამაზე ანეგდოტებიც ითქვა. ერთხელ, მაგალითად, მსახურმა მოახსენა, სტუმრებს ღვინო გაუთავდათო. ჯერ წაუყრუა, მერე გაჯავრებულმა ფული გადააწოდა, თან შეაგინა.

— რას მემართლებით, ბატონო, ფული ხომ ჩემთვის არ მითხოვია?

— ვაა, ფულიც მოგცე და არც შეგაგინო? შენც წადი და იმას შეაგინე, ვისაც ფულს მისცემ!

ეს უბრალო, გარემოებით ნაკარნახევი მწარე ხუმრობაა და არა სიძუნწე. ყალბი კუდაბზიკობა უცხო იყო ამაყი და პირდაპირი პოეტისათვის.

გრიგოლს უყვარდა ხუმრობა თავის მაღალ მდგომარეობაზე. ის ხან ხანია, ხან მთავარმართებელი, ხან თვით ჰარუნ-ალ-რაშიდი.

— ყაფლან, ყაფლან, როგორა გგონია, ვინა ვარ? — მიმართა თურმე თავის საყვარელ ნათესავს.

— ვინ უნდა იყო? ორშაბათის ყეენი ხარ, შენმა მზემ! რა თავი მოგწონს?

— შენ ასე გგონია! აი, ამ თითებს ხომ ხედავ? ერთი მოვაწერო ციმბირში ამოჰყოფ თავს, აი ვინა ვარ!

აი, ეს ყოვლისშემძლე კაცი ერთხელ უამალოდ წასულა ბაზარში, ჰარუნ-ალ-რაშიდი ვარო! პოლიციის მოხელეს შეუნიშნავს, აჰყოლია.

— ჰარუნ-ალ-რაშიდს რომ პოლიციელი აედევნება! მოდი და ამ ქვეყანაში ლაზათი გასწიე! — უთქვამს თავარმართებელს.

გრიგოლი სხვას ეხმარებოდა მაშინ, როცა თვითონაც უჭირდა, და როგორც მის თანამედროვე, მასავით 1883 წელს გარდაცვლილ სამხედრო მოღვაწესა და მწერალს ფადეევს, მასაც ხშირად უთქვამს: „ნამდვილი დახმარება ისაა, როცა უკანასკნელ გროშს აძლევო“.

* * *

გრიგოლ ორბელიანი ქვეყნის ბედზე და ნათესავების ბედზე მეტს ფიქრობდა, ვიდრე თავის სამწერლო დიდებაზე. მისთვის მწერლობა არ იყო ისეთი მოწოდება, ისეთი სამოღვაწეო სფერო, სადაც თავს მოვალედ ჩათვლიდა დღე და ღამ თავაუღებლივ ეწია შემოქმედებითი ჭაპანი, უთუოდ შეექმნა მეტი და რაც შეიძლება მეტი. თუ წერდა, მას აწერინებდა ზეშთაგონება, შინაგანი სულიერი მოთხოვნილება, რასაც წინ ვერავინ აღუდგება. სხვა დროს კი მოქმედებდა ხმლითა და ცირკულარებით. საერთოდ, გულგრილად ეკიდებოდა თავის დიდ პოეტურ შესაძლებლობას, წლობით ერთ ლექსს არ დაწერდა, და თუ წერდა, ეს იგივე გალექსილი გრძნობა იყო, გალექსილი სიბრძნე თუ წრფელი ბაასი ადამიანებთან, რომლებიც გულით უყვარდა. მოუცლელობა ვერ გამოდგება „ცოტას წერის“ მიზეზად, მეტადრე იმ კაცისათვის, რომელმაც ოთხმოც წელს მიაღწია. აშკარაა: თვითონ გრიგოლი სათანადოდ ვერ აფასებდა თავის სწორედ იმ ღირსებას, რამაც უკვდავჰყო მისი სახელი, და უფრო ამაო, ფუჭ, წარმავალ სამხედრო თუ სამოქალაქო საქმეებზე ზრუნავდა, ვიდრე საკუთარი ლიტერატურული შემკვიდრეობის გამდიდრებაზე.

გრიგოლის საყვარელი წიგნები იყო „დავითნი“, „სახარება“, „ვეფხისტყაოსანი“. თან დაჰქონდა, ჩახედავდა, წაიკითხავდა და ხშირად იგონებდა ეგნატე იოსელიანის შესანიშნავ სიტყვებს:

— თქვენმა მზემ, მთავრობის შიში რომ არა მქონდეს, „ვეფხისტყაოსანს“ ეკლესიაში შევიტანდი და ზედ საკურთხეველზე დავასვენებდიო!

„ვეფხისტყაოსანი“ საკურთხეველზე! ესაა ჩვენი ეროვნული ქმნილების პოეტური აპოთეოზი!

გრიგოლს მთელს სიცოცხლეში უყვარდა სპორტი. მისი საუკეთესო ცხენები დოღში პირველობდნენ, მისი რჩეული მწევრები ინგლისელ ლორდს ჰამილტონს აოცებდნენ; ჰიდაობა, მუშტი-კრივი, ლხინი — ეს ხომ გრიგოლის სტიქია იყო!

ლხინი გრიგოლს უფრო პოეტურად უყვარდა, ვიდრე „ლოთფოთურად“. მისი ლოპიანა, ყორღანაშვილი, მირზაჯანა და სხვა დარდიმანდებიც უფრო ლაღი, ხელგაშლილი ვაჟკაცები იყვნენ, ვიდრე ღვინოში ჩამხრჩვალი ლოთიბაშები.

გრიგოლ ორბელიანი მყარი, მონოლითური, აფორისტული მეტყველების ოსტატია. მრავალი მისი თქმა, „ზნეობითი სწავლა“ ანდაზად ქცეულა, ხოლო მისი რჩეული პოეტური სტრიქოხები ნამდვილი შედევრია წყობილი, დინამიური მეტყველებისა. ესაა ძალუმი პოეტური სტიქიონი, არა ისე დახვეწილ-გაფაქიზებული, როგორსაც გვიანდელ პოეტებთან ვხედავთ, მაგრამ ბუნებრივი, ჭყარი და ღრმააზროვანი. ტყუილად როდი უწოდა დიდმა ილიამ „თვითმპყრობელი“ ქართული ენისა. აკაკის თქმით კი, მომავალი მას „გონების თვალით“ შეხედავს.

უწყინარი, აზრიანი, სერიოზული და თანაც მსუბუქია გრიგოლის ხუმრობა. უცხოეთით გატაცებულ თანამემამულეებს ასე მოხერხებულად დასცინის:

— ძალუა, რა დაგემართა, სულ პარიზი, პარიზი. ჩვენი პარიკმახერი ბერლემონი ხომ გინახავს? წარმოიდგინე ერთი მილიონი ბერლემონი და მაღალი, ძალიან მაღალი სახლები და ვითომ პარიზი გინახავს.

მეორე ძალუას კიდევ ხუმრობით უქარწყლებს უცხოეთის შთაბეჭდილებებს: რაც პარიზია, ისაა ვენა, ჟენევა, ბერლინი... არის პატარა განსხვავებებიც, მაგრამ ისეთი არაფერია, რას დარბიხარ ტყუილადო!

1872 წელს, 19 იანვარს პეტერბურგს მყოფ უმცროს მეგობარს, პოლკოვნიკ ერმოლოვს სწერს:

„გკოცნი შენც და შენს შვილებსაც, 18 წლის ქალიშვილსაც კი, არა უშავს რა, შეიძლება სამი ათასი ვერსის მანძილზე მხურვალე კოცნის გაგზავნა, რადგან გაცივდება, გაიყინება, ვიდრე მის თვალებამდე მიაღწევს“.

„რაც შემიძლიან, ვარშიყობ; მთავარმართებლობას თურმე ასე სცოდნიაო“, — სწერს გრიგოლი 1862 წლის 19 ნოემბერს ლევან მელიქიშვილს.

გრაფის ქალს ოლგა ლევაშოვისას სწერს:

„ჩემმა დამ ვარინკამ გადმომცა შარშან, რომ კაბინეტისათვის პატარა ხანჯალი გდომებიათ... ვისწრაფვი მოგართვათ...

მაგრამ უნებურად აღმეძვრის კითხვა: რად გინდათ, ჩემო დედოფალო, ხანჯალი? გასაგმირად ხომ სხვა უფრო საშიში და უფრო მძლავრი იარაღი გაქვთ! ეს გახლავთ თქვენი მბრძანებლური, მეფური იერი და ცხოველმყოფელი ნათელი თვალები... ხანჯალი რაღად გინდათ?“

უფრო ულმობელია ერთი ნათესავი ქალის მიმართ, რომელსაც მოეწერა, ახალგაზრდა პროფესორი მწამლობსო:

„აბა, რა საკვირველია, პროფესორი, ყმაწვილი კაცი, კარგი მოსაწონი ჰაქიმი იქნება, მეტადრე დედაკაცური სნეულებისა. ოჰ! რა სიამოვნებით გადაწექ და უჩვენე ყოველივე სხვათათვის დაფარული“...

როცა გრიგოლის ამნაირ ხუმრობა-გასაუბრებას ვკითხულობთ, გვაგონდება უცხოეთის კლასიკოსი მწერლები, ცნობილნი მოურიდებლობითაც და მაღალი ნიჭითაც. ასეთი შემოქმედნი გამოხატავენ თავიანთი ხალხების ხასიათს, იუმორს, პირდაპირობას, ზნეს, ძალას. გრიგოლ ორბელიანიც თავისი ხალხის ჰეშმარიტი შვილია თავისი ბუნებით, შემოქმედებით, გონებამახვილობითა და ხასიათით.

ყოველივე ამან ახალი ძალით იჩინა თავი მას შემდეგ, რაც ნაომარი პოეტი საქართველოში დაბრუნდა და მშვიდობიანი ცხოვრების ფერხულში ჩაება.

პოეტი სამშობლოში ბრუნდება

სამშობლოში მომავალმა გრიგოლმა დუშეთში პლატონ იოსელიანს გამოუარა, შინ არ დახვდა, და კარზე წაუწერა ლექსი, რაც მერე პლატონმა თურმე ჩარჩოში ჩასვა.

თბილისს დაბრუნებული პოეტი ძალაუნებურად გადაეშვა ნებიერი არისტოკრატიული ცხოვრების პორეში. ბალები, წვეულებები, მოფარდაგებული დარბაზები, სახელმწიფო საბჭოს სხდომები, არზები, ვიზიტები, თეატრი — აი, ეს იყო მოხელის მთელი მრავალფეროვანი ცხოვრება, რაც მხოლოდ მთქნარებას იწვევდა დაღესტნის მღელვარე დღეებთან შედარებით.

იქნებ შამილთან ერთი მცირე შეტაკება უფრო შინაარსიანი და საინტერესო ყოფილიყო, ვიდრე დიდი მთავრების ყარაიაში სანადიროდ წაყვანა, მაგრამ როცა თბილისს ნიკოლოზ და მიხეილ ნიკოლოზის ძენი ესტუმრნენ, მათი მასპინძლობა ორბელიანს დაევალა, რადგან ბარიატინსკი შეუძლოდ იყო. მთელი ქართლ-კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსური, რუსი და თათარი ყარაიაში იყო, გასხივოსნებულ მიდამოს ასეთი ხმაური არასოდეს ენახა. თეატრიც კი გამართეს, ვერდის „რიგოლეტო“ დადგეს. შვიდ ვერსზე მამუკა ორბელიანი მოეგებათ. „სტარიკა ერისთავმა“ არ დაიშალა, სიტყვით შიმართა დიდ მთავრებს და დამტვრეული რუსულით ბევრი აცინა ყველა.

ყარაიიდან გრიგოლმა რომანოვი-ფაშები თელავის, ზაქათალის და შემახიის გავლით ბაქოს მიაცილა, იქიდან დერბენდის გზით რუსეთს წაბრძანდნენ ისე, რომ მადლობაც არ უთქვამთ.

მალე ბარიატინსკიც რუსეთს წავა და მის ადგილზე გრიგოლი დარჩება.

პოეტი უკვე თბილისშია. აღარ ესმის ლეკების ყიჟინა, ზარბაზნების ქუხილი და ზვავების გრუხუნი. მაგრამ განა პოეტი სიმშვიდეს ეძებდა?

„მე, საკუთრივ მე, ჯერ ვერ შევეჩვიე აქაურს ფუჭს ცხოვრებას და მომწყინდაო“, — სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს, რომელიც თემირხან-შურაში დარჩა. ხან მარხვაა, ხან აღდგომა, ხან სხვა რამ დღესასწაული; და ეს „ამაო ცხოვრება“ უფრო უშლის წერას, ვიდრე უშლიდა ომი. გვიანაც იმართლებს თავს: „დავიწუების გამო კი არა, სრულიად უნებლიე, ფუჭი ამაო ცხოვრებისაგან“ ვერ მოგწერეთო.

რა ხდება თბილისში საყურადღებო? სტუმრობა, ლხინი, მისვლა-მოსვლა, მითქმა-მოთქმა... ნიკოლოზ გაგარინის ლამაზი ცოლი პეტერბურგს წავიდა, თავადი გოლიცინიც პარიზს მიემგზავრება; ივანე მუხრან-ბატონის ვაჟმა კონსტანტინემ ჯვარი დაიწერა ლიზა ფალავანდიშვილზე, „და სხვანი ამგვარნი, მაგრამ არ მახსოვს“.

ახლა გრიგოლი, ალექსანდრე მეორის ბრძანებით, მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარედაა დანიშნული, და როცა მეფისნაცვალი თბილისიდან გავა, თვითონ იქნება მეფის მოადგილე. 1858 წლის 13 აპრილს დიმიტრი ჯორჯაძეს შესჩივის:

„ამით ჰსცნობ, რომ ახალი თანამდებობა ჩემი არის მშვიდობიანი, უშფოთველი, უზრუნველი, სავსე ამაოების ცხოვრებითა, რომელსაცა ვერ შევჩვეულვარ აქამომდის და იქნება ვერცა სიკვდილამდე შევეჩვიო“ — აქ ისევ იჩენს თავს პოეტის ძშფოთვარე სული, მარადიული მოუსვენრობა და მიუწვდომელი იდეალის მაძიებელი დიდი გონების ტრაგედია!

პოეტის ვარაუდი მართლდება: ვერ იქნა, ვერ შეეჩვია უშნაარსო სინამდვილეს. ერთი წლის შემდეგ 1859 წლის 14 მარტს ისევ ისე სწერს იმავე ჯორჯაძეს — თავის თითქმის ერთადერთ ადრესატს დაღესტნიდან დაბრუნების შემდეგ:

„განა ქალაქი თბილისი თავისის გადარეულის ყველიერითა, თეატრებითა, ქივიე კარტინებითა, თავის სირბილითა თავგადაგლეჯით, თავის ვიზიტებითა, ბოაცლის ვისმე? ოჰ, რაოდენი დრო იკარგება აქა ფუჭად, უსარგებლოდ თავისა თვისისა, უნაყოფოდ საზოგადოებისათვის! ამა სოფელსა და მისს მაცთუნებელს ამაოებასა აღარ უყურებ მე ყმაწვილურის თვალითა და ამის გამო ესე გაგიჟებით

ზახილი, ხმიანობა შექცევა-მხიარულებისა ვეღარ მიიტაცებს ჩემს გულსა, ვეღარ დამიბნელებს გონებასა, და ვარ ასე!“

გვაგონდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩივილი თბილისის მაღალი საზოგადოების უსარგებლო დროსტარებაზე. ახლა მისი დარბაისელი ბიძაც გრძნობს ამ ფუჭი ცხოვრების უაზრობას, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთს ეყო ნებისყოფა თუ საშუალებანი და არც მეორეს, რომ ზურგი ექციათ ამ ფუქსავატური სმისა და „შექცევაებისათვის“, ჩასჯდომოდნენ ლიტერატურულ შრომას, რაც ჩვენში, როგორც საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების სრულუფლებიანი სფერო, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამიტომ ისევ სამსახური, ვიზიტები, მისვლა-მოსვლა ნთქავდა ძვირფას დროს, რაც შეიძლებოდა მოხმარებოდა ასეთი ბუმბერაზების ხელით უკვდავ ქმნილებათა რეცხვის გაზრდის საქვეყნო საქმეს.

თუ სადმე დაისვენებს, ისევ კოჯორში ან კოდაში.

შორს კი ვერ წავა ვორონცოვისა ან არღუთინსკის მსგავსად. უცხოეთს ვერ ნახავს.

არც ისე დიდი შემოსავალი აქვს ორბელიანს მამულებიდან, როგორც საქართველოს ერთ-ერთ უპირველეს ფეოდალს შეეფერება. 1858 წლის 31 ივლისს ბაბალე საგინაშვილს სწერს:

„ჩემი საკუთარი მოსავალი წლეულს გახლავთ ორმოცდა ორი კოდი პური (ორას ფუთამდე) და ეგოდენიც ქერი. მუხათში წყალი გამომაქვს, ორმოცდაათ თუმნად მიჯდება, და არ ვიცი კი, ამის სარგებელს საიდან ავიღებ?“.

* * *

რუსეთსა და მასთან საქართველოს გაუჩნდა „დიახ მძიმე, დიახ დიდი, დიახ თავში საცემი საქმე ყმების განთავისუფლებისათვის!“ ორბელიანი გარკვევით არაფერს ამბობს, მაგრამ მისი მთავარი ფიქრის საგანი იმ ხანებში სწორედ ეს არის. „ვჰბაასობთ, ვჰყვირით, ვჰჩხავით და ჯერ ისევ იქვე ვართ და ვერ წაგვიდგამს ფეხი წინ“, — სწერს ჯორჯაძეს და სთხოვს, შეატყობინოს თავისი აზრი. თვითონ კი პირადად ეთათბირება სახელმწიფო საბჭოს წევრს დიმიტრი ყიფიანს.

რუსეთის არისტოკრატია ზაფხულის სიცხეს გაერიდა. ჩრდილო-

ეთში წავიდნენ გაგარინები, ტრუბეცკოი, გოლიცინი... „დიდი დიპლომატი“ ისაია დაღესტანშია... ცხელა და ერთი ნუგეში ისაა, რომ მთავარმართებელმა მუშტაიდის ბაღი გააფართოებინა, სასეირნო ადგილი გაზარდა.

მაგრამ სასეირნოდ ვისა სცალია! საბჭოში ათასი საქმეა. ამქრები ისევ შფოთავენ. ახლა ინგლისის კონსული ბაქოზე მიდის მაზანდარანისაკენ და რუსეთის საკეთილოს იქ არას დააწყობს. სოხუმშიც დასკუპდება ინგლისის კონსული და მრავალ ინტრიგას დააწყობს ჩვენდა საზიანოდ. კახეთის ხაზზე მილიცია დააყენეს, მთელი 22 ასეული, ორი ათას თუმანზე მეტი დააწერეს გლეხობას მარტო ამისათვის, და ამდენს რას ავნებს, თუნდაც მტერი შეიჭრას! მერე, რამდენს ვინმეს უნდა დაეხმაროს, გამოექომაგოს, დანიშნოს, გადაიყვანოს! ვინ ფიქრობს საზოგადო საქმეზე ან თავისიანზე? ყველას საკუთარი თავი ადარდებს. სოლომონ და ივანე ანდრონიკაშვილები გადაკიდებულან, ხან ჯოგსა სტაცებენ ერთმანეთს, ხან საქონელს, ნამდვილი ლეკობანაა...

ახლა გლეხთა განთავისუფლების ციებ-ცხელება! სექტემბრისათვის საქართველოში დიდი მთავრების — მიხეილისა და ნიკოლოზის ჩამოსვლასაც მოელიან: ინადიმებენ, ინადირებენ, ისეირნებენ, იმწყერ-იკურდღლებენ, გომბორსა და ალავერდს გადაივლიან, ლეკეთში ჩავლენ... და ყველაფერზე გრიგოლმა უნდა იდარდოს!

არც მეფის სხვა მოხელეები რჩებიან უსაქმოდ: განყოფილებებს დეპარტამენტებად გარდაქმნიან, განყოფილების უფროსებს უწოდებენ დირექტორებს და ა. შ.

ორბელიანი უკმაყოფილოა ასეთი გარდაქმნა-გადაკეთებით, ამაო ფუსფუსით, ზედმეტი ხარჯის გაღებითა და ხალხის მდგომარეობის გაუარესებით, აი, რასა სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს 1858 წლის 28 ივნისს:

„ამა ცვლილებითა არ ვიცი ეს მხარე შეიქმნება თუ არა ბედნიერად; მაგრამ ეს კი ვიცი, რომ კიდევ მომატებული ხარჯი დაედვა ხაზინასა, რომელშიაცა, ეტყობა, ბევრი ფული ჰსძევს. რომ ასე ადვილად აჩენენ ახალს თანამდებობათა თითქოს განგებ ჯამაგირისათვის. ახლა მოვლა? სასამართლო, სადაცა ვერა ჰპოებენ სიმართლესა? ხალხის აკლება? უეზდების გაყვლეფა? გზაზედ ავაზაკობა და

მგზავრების დახოცვა?.. ქრთამობა ჩინოვნიკებისა და აშკარად თანამდებაების ფულით შესყიდვა? ხალხის შეწუხება, წვივილ-კივილი მათი და წყევა? — ვნახოთ, ეგების ღმერთმა მოხედოს ამა მხარესა და აპოვნინოს წამალი უმაღლესსა მმართებლობასა განსაკურნებლად ათასგვართა წყლულთა უსამართლოებით და მოუვლელობით ხალხზედ მოვლენილთა!“

მიუქცევიათ თუ არა ჯეროვანი ყურადღება პოეტის ამ სიტყვებისათვის? განა სადავოა, რომ ეს მეტისმეტად გაბედული, თითქმის მეამბოხური სიტყვებია მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარისათვის? გენერალი ორბელიანი ნებსით თუ უნებლიეთ იმაღლებს ხმაა და გამოსთქვამს თავის გულისწყრომას მონარქიული წყობილების დამპალი ბიუროკრატიული მექანიზმის უვარგისობაზე, თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვაზე, მექრთამეობის ამ თავისებურ სახეობაზე, ხალხის ჩაგვრასა და სასამართლოთა უსამართლობაზე.

მთიდან მოსული სარდალი მაინც აძლევს დაღესტანში დარჩენილ თანამოლაშქრეებს გონივრულ რჩევას და გამოთქვამს საგულისხმო მოსაზრებებს.

ასე, 1858 წლის 16 ივნისს ყაზი-ყუმუხში წყალმანკისაგან გარდაიცვალა ამ მხარის მმართველი, გენერალ-მაიორი აღალარ-ბეგი, ათი წელი რომ ერთგულად ემსახურებოდა მეფის მთავრობას. მის ნაცვლად დაინიშნა პოლკოვნიკი ალექსანდრე კლუგენი. გრიგოლ ორბელიანი ძლიერ შეაწუხა აღალარ-ბეგის გარდაცვალებამ, თუმცა გადარჩენის იმედი არა ჰქონდა, და არ მოსწონს კლუგენის დანიშვნა: მთის ხალხი ვერ შეეწყობაო რუს ოფიცერს, უცხო ზნისა და ჩვეულების კაცს, მეტადრე რომ აღალარს დარჩა ვაჟი ჯაფარი, ჰყავს მომხრეები და არიან ამ საქმისათვის გამოსადეგი ბეგები.

მართლაც, კლუგენი აღალარის ადგილზე სულ რამდენსამე თვეს რჩება. მას ცვლის ლაზარევი, მერე კი — გენერალ-მაიორი თარხან-მოურავი.

1858 წლის ზაფხულში გრიგოლიც გაერიდა თბილისის სიცხეს, ტაბახმელაში ავიდა, „ყოვლის სიკეთით განთქმულ საქართველოში“, და იმ სიგრილეში, სურნელოვან ჰაერზე, პეტრე-პავლობას ისეთი მეჯლისი გადაიხადა, ორთაჭალის ბაღი გაიხსენა. მერე რა სტუმრები ჰყავდა! სოსია იაშაღაშვილი, ძაღლაანთ ზალიკა, ჯანყულაშვილი პე-

პანა, მგალობლიშვილი და სხვა ყარაჩოღელნი. მწვანე მინდორზე გაშლილი სუფრა სავსე იყო სათალით, პურით, არყით... ამას მოჰყვა ხაშლამა, ფლავი, მწვადები, და ჯამით ღვინო. შეიქმნა სმა და ღრეობა. შემოსძახეს სიმღერა. დაუარეს ფერხული... და უეცრად „გაუმარჯოს ქოლგიანსო!“ — ილიას ქვრივი, ვარინკა, იჯდა ქოლგითა და შესცქეროდა თავის სტიქიაში მყოფ უდარდელ პოეტ გენერალს, მზრუნველ მაზლს, ყარაჩოღელთა მესაიდუმლეს. იგივე გაგრძელდა მეორე დღეს, მაგრამ „არშიყობანი არ იყო და უამისოდ, სწორე გითხრა, წასვლა-მოსვლა და სადილი სრულებით არაფერია“.

ბორჯომიც ინახულა. წყალთან მოგროვილ დამსვენებელთა მასლაათში გაერია და „ლაზათიანად“ ატარებდა დროს. „გულით, სულით“ დაისვენა. აქ იყვნენ კატო ერისთავისა — მელიტონის ასული, ისაკ თუმანიშვილი, ალექსანდრე მარშალი, კონსტანტინე დადიანი, კონსტანტინე თარხნიშვილი და თვით მთავარმართებლის ამალა. ბარიატინსკის ადგილი შეუძენია, დაუმშვენებია და ცოლის სახელი უწოდებია—ელისაბედიანი (მთავარმართებელს ცოლად ჰყავდა ელისაბედ ორბელიანი).

20 აგვისტოს გრიგოლს უკვე კოდაში ვხედავთ. ხელგაშლილი თავადი აქ ეპატიჟება ყველას, „ვისაც ჯანის სიმრთელე უნდა“. არც კოდის ამწვანებულ მინდვრებში ივიწყებს მთასა და ბარს. დიდ მთავრებს უახლოეს დღეებში ელიან და გრიგოლი კმაყოფილია ბარონ ვრანგელის გადაწყვეტილებით, რომ ხელი აიღოს „მაღალი სტუმრებისათვის“ ბურთუნაიდან დილიმზე გამავალი სახიფათო გზის გაყვანაზე. „რად უნდათ, რომ უბრალოდ სისხლი დაიქცეს? არ ეყოფათ, რაც მართლად ყოველს წელს იხოცებიან ესოდენნი მხედარნი? — სწერს უკვე თბილისიდან დიმიტრი ჯორჯაძეს. — აი, ახლაც მოკვდა ღენერალი ვრევსკი ორს ადგილს დაჭრილობისაგან და ეგრეთვე მისი ნაჩალნიკი შტაბისა გარდნერი დაჭრილობითვე ექვს ადგილს, და მათთან 200-მდის მკვდარი და დაჭრილია ისე ტყუილად, უსაგნოდ, უმიზეზოდ! აბა რა არის?“

გენერალ-ლეიტენანტი ბარონი ვრევსკი სწორედ დიდოეთში დაჭრეს აგვისტოში და ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალა თელავში. მასთან ერთად სასიკვდილოდ დაიჭრა აულ კიტურზე იერიშის დროს პოლკოვნიკი მიხეილ გარდნერი. გრიგოლს აღაშფოთებს უაზრო სისხლისღვრა. პირველად როდი დრტვინავს ამის გამო.

რისთვის დაიღუპნენ ვრევსკი და გარდნერი? საქონელი წავართვათო დიდოელებს, უაზროდ შეიჭრნენ სოფელში და სასიკვდილო ჭრილობები მიიღეს. ვრევსკიმ სარდლობა გადასცა იოსებ ყორღანოვს. ყორღანოვმა, პოლკოვნიკმა ლევან ჩოლოყაშვილმა და მისმა თანაშემწემ ივანე ქობულაშვილმა შური იძიეს, ლეკეთი დალაშქრეს, მრავალი სოფელი ააოხრეს და გადასწვეს. მაგრამ რა გამოდის ამ წვა-ნგრევა-აოხრებისაგან?

პირადად გრიგოლი უკვე აშენებაზე მეტს ფიქრობს, ვიდრე ნგრევაზე. ვიღაც ყაზი-ყუმუხელს უსრულებს თხოვნას, წერილა ატანს ჯორჯაძესთან, სოფლის აშენება უნდათ და დაეხმარეო.

1858 წლის დასაწყისში ალექსანდრე კრუზენშტერნს, სენატორს, ცნობილი ადმირალის შვილს, შეხვედრა ჰქონდა მეფესთან და, სხვათა შორის, ელაპარაკა ორბელიანზე, რომელსაც ბებუთოვის ავადმყოფობის გამო, მის ადგილს სთავაზობდნენ, თანაც გადაცა ბარიატინსკის აზრი: არავითარ შემთხვევაში არ სურს, რომ ამ ადგილზე დაინიშნოს ისეთი ვინმე, ვისაც მისი (ბარიატინსკის) მეტოქეობის პრეტენზია ექნებაო. მეფემ სინანული გამოთქვა, რომ პირადად არ იცნობს ორბელიანს, სამაგიეროდ ქება-დიდებით აავსო ვრანგელი, რომელსაც ორბელიანის ადგილი ელოდა.

მეფისნაცვალს მეტოქეების ეშინია!

არავითარი სითბო და გონების სიმახვილე არ არის ბარიატინსკის წერილებში — ერთადერთ წერილობით დოკუმენტებში, რომელნიც ამ ტიპიურ მოხელეს დაუტოვებია. ალექსანდრე კრუზენშტერნისადმი მიმართულ ერთ წერილში 1861 წლის 2 თებერვალს ადრესატს აფრთხილებს, წააკითხოს მისი წერილი გრიგოლ ორბელიანს და იქვე სუსხიანი ხელით წერს: „ყიფიანი აღარ უნდა დარჩეს საბჭოს წევრად. ჩემი სახელით აუწყეთ, აირჩიოს თანამდებობა კავკასიის გარეთ“*.

ამრიგად, ბარიატინსკი ცივია და ძუნწი თვით მეფის ისეთ მოხელეთა მიმართ, რომლებიც საჭირო შემთხვევაში მას სცვლიან და რომელთაც მისი სამხედრო დიდების გვირგვინს დაწვნაში ასეთი აქტიური მონაწილეობა მიუღიათ.

---

* А. Зиссерман, Барятинский, т. III, стр. 58.

„შადიშაჰი სამი დღით“

1859 წლის იანვარში გენერალი ევდოკიმოვი იერიშით მიდის შამილის რეზიდენციაზე — ვედენოზე და იღებს ტაუზენის მთას. თბილისში კი მთავარმართებლის ძმა ჩამოდის.

მარტის დასაწყისში ევდოკიმოვმა წინ წაიწია, ვედენოს შემოგარენი დაიკავა და გამაგრებას შეუდგა, რათა დაღესტნის ლომზე უკანასკნელი იერიში მიეტანა.

გრიგოლს თავი ისევ დაღესტანში ჰგონია: ძიეშველეთ, ძიდით, მიალეწეთ ყოველივე, რაც წინააღგიდგეთ, ახლა ჩვენი დროა და ნუ აყოვნებთო! ჩაჩანი შამილს ჩამოეცალა, ხალხი მოთმინებიდან გამოსულა, დაღესტანშიც ყრუ არეულობაა. რაღას უყურებთ, რად გინდათ აუხი, არახტაუზე მიდით, იქ მოწყდება წელი შამილსო! — ურჩევს ნაცადი სარდალი ყოფილ თანამოლაშქრეებს.

ჯარები სწრაფი ტემპით მიიწევენ წინ. ევდოკიმოვისა და ვრანგელის ჯარები ანდიაში შეერთდებიან. გრიგოლის აზრით, ამოდენა ჯარების თავმოყრა ერთ ადგილას არ იყო საჭირო. ორსავე მხრიდან უნდა მისწოლოდნენ სარდლები და ერთი დაკვრით დაეცათ ვეშაპი...

გრიგოლის ვარაუდი მართლდება. 1859 წლის 1 აპრილს ევდოკიმოვი იღებს ვედენოს. შამილის უკანასკნელი ძლიერი რეზიდენცია ეცემა. იმამი დაღესტანში გარბის და ღუნიბის მთას აფარებს თავს.

კავკასიის ხანგრძლივი ეპოპეა დასასრულს უახლოვდება.

იმ დღეს თბილისი ზეიმობდა. ზურნა-ნაღარითა და ბაირაღებით ეახლა ხალხი მთავარმართებელს. მეტეხიდან ქვემეხთა გრიალი გაისმა. გორგასლანის ქალაქი შეირყა. ჩაესვენა მზე იმამისა, რომელიც თბილისის აღებით იქადნებოდა.

აფშერონის სახელოვანი პოლკი, 1700 წლის ივნისში რომ შექმნა პეტრე დიდმა, მრავალი გმირული ბრძოლის შემდეგ, 1819 წელს კავკასიაში ჩამოვიდა და მთიელებთან ომში ჩაება, რაც სრული 45 წელი გაგრძელდა. „მამაცი აფშერონელების“ სახელი ქუხდა დაღესტნის მთებში. იერიშზე პირველნი გადადიოდნენ, უკან დახევის დროს არიერგარდში ინიშნიბოდნენ. მათ ერგოთ მძიმე პატივი ღუნიბში გამაგრებული შამილის დატყვევებისა, ზურგიდან დაცემი-

სა. თოკებით აცოცდნენ კლდეზე და „ჯაშას“ ძახილით გადავიდნენ იერიშზე. ღუნიბი დაეცა. ეს მოხდა 1859 წლის 25 აგვისტოს.

ეს ბარიატინსკის მთავარსარდლობის დროს მოხდა.

კარატიდან გაქცეული შამილი ღუნიბისაკენ გაეშურა, იმედი ჰქონდა, რომ ამ მიუვალ მთაზე რუსები ვერას ავნებდნენ. მაგრამ კარატი მისთვის იგივე გახდა, რაც ვატერლოო ნაპოლეონისათვის. გზაზევე მიატოვა ჯარის დიდმა ნაწილმა, თვით ერთგული ნაიბები ზედიზედ აქცევდნენ ზურგს, და უერთგულესი ყიბიტ-მაჰმადი თავის ხალხით რუსების მხარეზე გადავიდა. ჭოხი დაეცა, ტილიტლი, ირიბი და სხვა აულები ჩამოეცალნენ, და თვითონ შამილს, ღუნიბისაკენ მიმავალ მრისხანე იმამს, გზაზე მისივე ქვეშევრდომი კუიადელები გადაუდგნენ. გაძარცვეს წინამძღოლი. შამილი „მზად იყო პირისაგან მიწისა აღეგავა კუიადი“, მაგრამ აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო*. დაღესტნის ლომის დღეები დათვლილი იყო.

ღუნიბში ჩასულ შამილს ქვემეხთა ქუხილით შეხვდა მხოლოდ 400 ერთგული მოლაშქრე, შვილი შაფი-მოჰამედი და გუძბეტელები.

ღუნიბ-დაღის მწვერვალზე შემწყვდეული ღოძია ძეაყრობაძი აღარ მონაწილეობს ორბელიანი, მაგრამ მთელს გადამწყვეტ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა მისი მეგობარი, ლეკის რაზმის უფროსი, გენერალ-მაიორი მელიქიშვილი, რომელმაც ბარიატინსკის მხურვალე მადლობა დაიმსახურა.

შამილი ჯიუტობას განაგრძობდა. ბარიატინსკის ულტიმატუმს, დაგვნებდიო, იმამმა უპასუხა: „ჩვენ არ ვითხოვთ თქვენგან ზავს და არასოდეს არ შეგირიგდებით... ხმალი გალესილია და ხელი გამზადებული“**.

მაშინ მთავარსარდალმა ჯარები გადააჯგუფა, ღუნიბს ალყა შემოარტყა და ქედუხრელი იმამის მუჭა მამაცებს შეუტია. აფშერონელები, მამაც გენერალ-მაიორ თარხან-მოურავის ჯარები, გრიგოლის გამოწვრთობილი მამაცი ქართველი გრენადერების პოლკი, პოდპო-

---

* Штурм Гуниба и пленение Шамиля, Составитель редактор С. Эсадзе, Тиф., 1909, стр. 193.

** тамже, стр. 196.

რუჩიკ მიქელაძის წინამძღოლობით, კვინიტაძე, გაბაევი და სხვანი ყოველის მხრიდან უტევდნენ დაბნეულ ნაიბებს, რომელთაც შამილთან ერთად აულ ღუნიბს შეაფარეს თავი.

გადამწყვეტ წამს ასი ფანატიკოსი მიურიდი ხანჯლებით ეკვეთა შირვანელ ხიშტოსნებს და ერთიც არ გადარჩენილა. გენერალმა კესლერმა შამილის ცოცხლად შეპყრობა ბრძანა. ბრძოლის ველზე მივიდნენ ბარიატინსკი და ვრანგელიც. მთავარსარდალმა ცეცხლი შეაჩერა და ისევ შესთავაზა შამილს დანებება — უაზრო ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლად ნუ გახდი ქალებსა და ბავშვებსო. საშინელმა, გაუთავებელმა ბრძოლამ შამილის სულში გადაინაცვლა. არ შეეძლო, ფიზიკურად არ შეეძლო მთის ამაყ მბრძანებელს, რომ დაეხარა ზვიადი თავი და ეცნო თავი დამარცხებულად. მთელი დღე აჭიანურებდა მოლაპარაკებას, მთელი დღე იბრძოდა მის გულსა და გონებაში ორი აზრი: დანებება და სირცხვილი თუ სიკვდილი და სამოთხე? პასუხს ითხოვდა შექმნილი ვითარების მთელი სისასტიკე, ხიშტების ელვარება, ქვემეხთა ღია ხახები, მავედრებელი ქალების ცრემლი... ამაოდ ეძებდა მიურიდების სახეზე თანაგრძნობას. ყველა დუმდა. იმამი მარტო იყო.

ამაღელვებლად აღწერს ისტორიკოსი პოდპოლკოვნიკი სიმონ ესაძე გადამწყვეტ წუთებს, როცა „დიდი მოვლენის მოლოდინში აულის გარშემო ყოველივე შიყუჩდა... ბრძოლაში გამოწრთობილი ათასობით გული ელოდა გაუთავებელი დრამის გახსნას... მრავალრიცხოვანი ბრწყინვალე ამალით გარემოცული თავადი ბარიატინსკი დიდ ქვაზე იჯდა არყნალში და მოუთმენლად ელოდა იმამს. შამილი კი სულით დაცემულ მუჭა მიურიდებისა და მოტირალი ქალების თანხლებით თითქოს ეშაფოტზე ასასვლელად ემზადებოდა. სიყვარულით შესცქეროდა თავის მშობლიურ მთებს... და ეშინოდა, რომ ეთქვა მათთვის უკანასკნელი „მაპატიე“, ერთხელ კიდევ ამაყად გასწორდა წელში, გულის ბაგაბუგისაგან სულშეგუბებულმა ხელი ხმალზე დაიდო და თქვა: „არა, ჯობს მოვკვდე, ვიდრე თავი გასამასხრებლად ჩავუგდო რუსებს“. მაგრამ ეს იყო მხოლოდ მომაკვდავის აგონია...“*. სხვა გამოსავალი არ იყო და შამილმა ჯარების უკან

* Штурм Гуниба и пленение Шамиля, Составитель редактор С. Эсадзе, Тиф., 1909, стр. 201—202.

დაწევა ითხოვა. მას ისევ იერიშით დაემუქრნენ. მაშინ ითხოვა: მაჰმადიანები მაინც დასწიეთ, რომ არ დამინახონო.

...დაიწყო კავკასიის ომების ეპილოგი. ათი ათასი ხიშტოსანი ცეცხლის ან მშვიდობის მოლოდინში გამზადებული იდგა. გამოჩნდა ტყიდან მომავალი, ლამაზი ვაჟკაცი, ფერმკრთალი და წვეროსანი. თავზე დადგმული დიდი თეთრი დოლბანდი დიდებულ იერს აძლევდა, თვალები კი, გუშინ რომ ჯერ კიდევ ელვას აფრქვევდნენ, ახლა მხოლოდ უძილო კაცის დაქანცულობას გამოხატავდნენ. „ნუთუ ის არის?“ — უკვირდა ყველას.

ათი ათასმა კაცმა იქუხა ერთად. „ვაშა!“ იმამი შეკრთა, უკან გაბრუნდა. მაგრამ ლაზარევმა დაარწმუნა, შენს პატივსაცემად იძახიანო... შამილი დამშვიდდა და ისევ წამოვიდა.

პირველი შეეგება ვრანგელი — ორბელიანის შემცვლელი. ის იმკიდა ახლა ჩვენი სარდლის დათესილ ნაყოფს.

— აქამდე მტრები ვიყავით, ამიერიდან მეგობრები ვიქნებით!— უთხრა გენერალმა...

ბარიატინსკის საყვედურზე — ადრე არ მოხვედი ჩემს ბანაკში და ახლა მე მოველი შენს ბანაკშიო — შამილი დაიბნა, ერთხელ უკვე მომატყუესო, ვერ გენდეთო, და მერე თქვა გენიალური, დამარცხებული სარდლის საკადრისი სიტყვები:

— ხშირად თუ ვჭამთ, თაფლიც გვებეზრდება. მომწყინდა ეს ოცდაათწლიანი ომი, მოხარული ვარ, რომ ყველაფერი დასრულდა და მშვიდობიანად ვიცხოვრებ.

ბარიატინსკის ისღა დარჩენოდა, რომ დეპეშა გაეგზავნა მეფისათვის და მიელოცა კავკასიის არმიისათვის.

იმპერატორმა ალექსანდრემ მას საკუთარი ხელით მისწერა:

„მადლობა უფალს! პატივი და დიდება შენ, და ყველა ჩვენს მამაც კავკასიელს“.

ამ მამაც კავკასიელთა პირველ რიგებში იყო და მოიხსენიება ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანი.

შამილი პეტერბურგს გაიწვიეს.

აღმოსავლეთი კავკასია დაპყრობილი იყო.

„რუსეთის ძლიერების ჰორიზონტი დამშვენდა ახალი გამარჯვების ბრწყინვალე ვარსკვლავით, — წერდა ისტორიკოსი იმ დღე-

ებში. — ჩვენს მატიანეში შეტანილია ბედნიერი მოვლენა... სახელგანთქმული, ოდესღაც მრისხანე შამილი ახლა მორჩილი ტყვეა, ჩვენი სტუმარი"*.

ღუნიბის აღებიდან 47 დღეც არ იყო გასული, რომ „უზენაესის საბრალო მონა, შამილი" მადლობის წერილებსა სწერს „დიდების შუქურას", „სარდალს", „თავადთა ვარსკვლავს", „დიდ გენერალ-ფელდმარშალს, კავკასიის მხარეთა მბრძანებელს" ბარიატინსკის ზრუნვისათვის, ატყობინებს, რომ თავაზიანად მიიღო მეფემ, ჩინებულად მოეწყო კალუგაში და ღმერთსა სთხოვს ფელდმარშლის გამოჯანსაღებას.

მართლაც, მეფე სწყალობს შამილს, პირველად ამალაში დანიშნა და ოფიცრის წოდება უბოძა იმამის შვილს შაფი-მოჰამედს.

თავის აღმოსავლურ წერილებში შამილი მოხერხებულად შეახსენებს: კავკასია ხომ დაპყრობილია, შემისრულე დაპირება, გამიშვი მექაში სალოცავად.

— ბევრი რამ ვნახე რუსთა დიდი ფადიშაჰის ქვეყანაში. ბევრი ნაყოფი გამოუღია ამ დიდი ხალხის გულმოდგინებას. ყველაფერი ღმერთის ნებაა. ისეთი მაინც ვერაფერი შევნიშნე, რომ არწივთა საბუდარი დაეჩრდილა. მხოლოდ სამხედრო ხომალდებმა გამაოცეს, კრონშტადტში რომ დგანან. ჩემი მთები მომაგონეს. ეს დიდი საქმეა. თქვენი ქვეყანა უძლეველია. მიხარია, რომ ჩემი ხალხი ასეთ ქვეყანას ჩაჰბარდა. ყველაფერი ალაჰის ნებაა!

მომხიბლავია შამილი — დარბაისელი, უაღრესად ჭკვიანი, მტკიცე ხასიათის, გამჭრიახი კაცი.

შამილი ტყვეა. ბიოგრაფი რუნოვსკი მოსწრებულად ხუმრობს: ეს კი ვიცი, შამილთან ტყვედ აღარ მოვხვდები, მაგრამ სხვა რამით მატყვევებსო!

ტყვე შამილი ხვდება სწავლულს, აღმოსავლეთის მცოდნეს, წიგნების ავტორს, აძლევს კითხვებს — ასწავლით თუ არა ყურანს? იციან თუ არა რუსებმა არაბული გრამატიკა? და ა. შ..

რაც შეეხება თვით შამილის ცოდნას, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მას არ სცოდნია არა თუ აპოლონ ისართამტყორცნელის არსე-

---

* Мюридизм и Шамиль, Военный сборник, стр. 182.

გობა, არამედ მისი სახელიც, და როცა რუნოვსკიმ მის პირველ კითხვაზე, რა გქვიაო, უპასუხა „აპოლონი“, შამილმა და მისმა შვილმა დიდი წვალებით გაიმეორეს „აფლონ... აფილიონ“. მოეწონა ეს სახელი: პეტერბურგში ყველას ნიკოლოზი ქვია, კავკასიაში კი — ივანეო!

ბალეტს დარბაისლური თავდაჭერით უყურებდა და როცა ჰკითხეს, მოგეწონა თუ არაო, მიუგო:

— ასეთ რამეს წინასწარმეტყველი მხოლოდ საიქიოში დაგვპირდა. მოხარული ვარ, რომ აქაც ვნახეო.

ყველაფერში იჩენდა თავს შამილის თავისებური რწმენა და ხასიათი.

რუნოვსკიმ სთხოვა ტყვე შამილს, შენი ცოლის სურათის გადაღების ნება მომეციო. იმამ-ყოფილმა შორს დაიჭირა: ამისათვის საჭირო იქნება ჩადრის მოხსნა, ადათს ხომ არ დავარღვევო? მაგრამ როცა ალარ მოეშვნენ, სარდალმა ხერხს მიმართა: „თანახმა ვარ, ოღონდ ქალმა გადაუღოსო“. ხოლო როცა მოუყვანეს ქალი ფოტოგრაფი, ისეთი ელდა ეცა, რომ მსგავსი, ალბათ, ღუნიბის დაკარგვის დღეს არ განუცდია: მას ეგონა, რომ ასეთ საქმეებში ქალი სრულიად უმწეო იქნებოდა. რა გაეწყობოდა, ნება დართო. გვიან, როცა შუანეთას სურათი მიიღო, ჯერ გაუხარდა, მერე კი თქვა: „ჯობდა მოკვეთილი თავი მენახა, ვიდრე ესო“.

* * *

1859 წლის დასაწყისში პლატონ იოსელიანი ინიშნება მთავარმართებლის განსაკუთრებულ მინდობილობათა მეხუთე კლასის მოხელედ. მთავარმართებლობაში დაწინაურებულ ქართველ მოღვაწეებს ემატება არქაული სტილის ბურჯი, არქეოლოგი, ისტორიკოსი, მწიგნობარი.

ორბელიანი მხოლოდ აღნიშნავს ამ ფაქტს და ჩანს, საქმისათვის გამოსადეგად მიაჩნია. სამაგიეროდ გაოცებულია ზისერმანის დანიშვნით ყაზი-ყუმუხის ხანად: მაგისი ხანობა შეურაცხება არის ხალხისაო. ჩანს, ზისერმანი ცუდი მოხელე იყო, მაგრამ შესანიშნავი ისტორიკოსი კი აღმოჩნდა. არნოლდ ზისერმანი თუშეთსა და დაღესტანში მსახურობდა, დაწერა ორტომიანი მემუარები „ოცდა ხუთი

წელი კავკასიაში", ბარიატინსკის ბიოგრაფია და ყაბარდოს პოლკის ისტორია. ყაზი-ყუმუხის მმართველად არც ყოფილა, გრიგოლს ეს ცნობა შეცდომით მიუღია, ან დროზე გაუგიათ წყენა მთავარმართებლისა, რომლის რისხვასაც ის ყველაზე ნაკლებად იმსახურებდა, რადგან სწორედ მან შეადგინა ბარიატინსკის სამტომიანი ბიოგრაფია. საქმე იმით დასრულდა, რომ ზისერმანი თუშეთის მმართველად დანიშნეს.

* * *

კვირაცხოვლობაც ახლოვდება, გრიგოლი ატენსაა მიწვეული მამუკას ქალის ბარბარე ორბელიანისა და იოსებ თარხნიშვილის ქორწილში. დასტით მიდიან, როგორც ხუთმეტიოდე წლის წინ კატოს ქორწილში. ამას კი დარდობს, მისებრ სალთად დარჩენილ დიმიტრი ჯორჯაძეს ვერ დაულოცა გვირგვინი.

სამაგიეროდ თვითონ გრიგოლს ადგამენ მთავარმართებლის გვირგვინს. — საქორწინო გვირგვინი კი ვერ იქნა და ვერ დაიდგა.

1859 წლის 21 მაისს მეფისნაცვალი გენერალ-ადიუტანტი ბარიატინსკი დროებით პეტერბურგს მიდის, იქიდან ჩაჩან-დაღესტნისაკენ გასწევს და თავის ადგილზე ტოვებს გენერალ-ადიუტანტ გრიგოლ ორბელიანს. ამიერიდან ჩვენი პოეტი იქნება საქართველოს კონსული და კავკასიის ჯარების მთავარსარდალი. მაისსა და ივნისში — მთელი ორი თვე „სადღეგრძელოს" ავტორი განაგებს კავკასიას.

ქორწილი ქორწილს მოსდევს. ზედიზედ მოჰყავთ ქალები სიდომონოვს, დავით ერისთავს, ჭავჭავაძეს... „შენ კი თვალი დაგიდგა, შე ბაიყუშო", — ტუქსავს ჩვენი პოეტი ყოფილ პირად მდივანს და, ალბათ, ამ ტუქსვაში თავის თავსაც გულისხმობს.

ზეიმი ზეიმს მოსდევს.

1859 წ. 25 აგვისტო — შამილის დატყვევების დღე — კავკასიაში საზეიმო დღედ გამოცხადდა, იმპერატორის თანხმობა ამ საგანზე ორბელიანს გენერალმა ორლოვმა გადასცა.

1859 წელს, 25 აგვისტოს, როცა შამილის გაგზავნის შემდეგ ბარიატინსკი ისევ რუსეთს იმყოფებოდა, მის მოვალეობას კ ა კვლავ ორბელიანი ასრულებდა, ხელმწიფისაგან მიიღო მოხსენება შამილზე გამარჯვების დღის ყოველწლიურად აღნიშვნისა და თბილისში ტრიუმფალური თაღის აღმართვის შესახებ.

ეს საქმე, ცხადია, წარმატებით ეწყობა.

ჰორი ჰორს მოსდევს.

თბილისში ჰორი დაირხა: ეკატერინე, დადიანის ქვრივი, ბარა-თაშვილის ჰაეროვანი სატრფო, თითქოს ესპანეთის მდიდარსა და დიდგვაროვან ელჩს გაჰყოლოდეს. გრიგოლი განცვიფრებულია, ეკატერინესაგან უკვირს, — თუმცა რა არის ქვეყნად გასაკვირი? — მაგრამ არ კი სჯერა. მართლაც, ჰორი გამოდგა, თუმცა ყოველ ჰორში არის სიმართლის ნაწილი.

ხანდახან ჰორიც მართლდება.

საოცარი ამბავი მოხდა თბილისში 1859 წლის ივლისში: მიწა უნდა იძრასო, ხალხში ხმა გავარდა, სოლოლაკის მხარე „უნდა მიწაში ჩაძვრესო“. შეშინებული მოსახლეობა ბებუთოვის სასაფლაოსაკენ გარბოდა, ზოგიც მთებში. ამაოდ არწმუნებდა პოლიცია, ჰორიაო. პანიკას ბოლო არა ჰქონდა.

მიწისძვრა მართლა მოხდა, ოღონდ ქალაქს არა ავნო რა. გრიგოლს უკვირს, როგორ გამართლდაო ხალხის შიში!

* * *

ბარიატინსკი პეტერბურგშია. ეკატერინე დადიანისა გრიგოლს სწერს, პეტერბურგის ქალები გადარიაო. თვით ეკატერინე ნაწყენია ბარიატინსკისა და საეჭვოა, რომ გადარეულთა შორის იყოს.

მთავარმართებელი კმაყოფილია. მეფე ხელისგულზე ატარებს. ყველა საქმე მოაგვარა. მალე სასახლე იზეიმებს ტახტის მემკვიდრის სრულწლოვანებას და იმპერატორ ალექსანდრე მეორის სურვილია ამ ზეიმზე თავისი თვალით იხილოს კავკასიის ომების გმირი თავადი ორბელიანი.

ბარიატინსკი 16 ივნისს საგანგებო წერილით ატყობინებს ჩვენს პოეტს მეფის ნებას, და მთავარმართებელიც მადლობით იღებს ხელწიფის მიწვევას.

ჯამბაკურიანი ასეთ პატივზე უარს არ იტყოდა, ვერც იტყოდა, რადგან ეს იყო მეფის ნება. სამასი თუმნით გაზარდა ვალი და გაუდგა გრძელ გზას „ფადიშაჰი სამი დღით“...

აი, ეს თავმომწონე „ფადიშაჰი“ პეტერბურგს მიემგზავრება. ასეთი პატივის კომიკური კონტრასტია გრიგოლის შეხვედრა თავის

მოურავთან, ადრეც ხსენებულ გეუასთან. თავისი მბრძანებლის სანახავად ჩამოსულა სოფლიდან.

გრიგოლი ეკითხება:

— ყაფლან როგორა ბრძანდება?

— კარგად არის, მაგრამ მე კი არ მინახავსო, — მიუგო გეუამ.

— გალეწე, ბიჭო?

— ჯერ მარტო ქერი გავლეწე, შენი ჭირიმე!

— დიახ, კარგი! რამდენი გამოვიდა?

— ორმოცი კოდი გამოვიდა, მეტი არ გამოვიდა, თქვენი რისხვა არა მაქვს!

— კარგი, მაგრამ ექვს დღიურში, რომელშიაც დაითესა თორმეტი კოდი, მხოლოდ ორმოცი კოდი უნდა გამოვიდეს? და რაღა სწორედ ორმოცია, რომ არც დააკლდა ერთი ლიტრა ორმოცსა და არც გადაამეტა?

— რა ვქნა, ბატონო, ახლა ეგ გამოვიდა და რა ვუყო?

— როგორ დავიჯერო, ბიჭო, რომ ერთმა კოდმა დათესილმა მხოლოდ სამი კოდის მეტი არ მოიყვანოს?

— რა ვქნა, ბატონო? ღმერთმან იცის და კაცმაც იცის, რომ ძე არა მომიპარავს რა და რა ვუყო, შე დალოცვილო, რომ მაგის მეტი არ გამოვიდა?

„მახლაზ, ბევრი ვიჩხავლე, მაგრამ ჩემს ქერს არა მოემატა რა იმით!“ — შესჩივის გრიგოლი წერილში ყაფლანს და სთხოვს გაუგოს, რამდენი მოსავალი უნდა გამოვიდეს ერთი კოდი ქერიდან.

თვითონ კი პეტერბურგს მიდის. გეუასთან ვერაფერი გააწყო გენერალმა, რომელმაც შამილი დააჩოქა.

არც გამგზავრებას ეშველა. ჩანს, არც ისე ეხალისება. 1859 წელს 27 ივნისს ჯორჯაძეს სწერს:

„სწორედ მოგახსენო, ძალიან მეზარება, მაგრამ რა უყო, უნდა წავიდე პეტერბურღს რვის სექტემბრისათვის. — ამაზე თვით ნამესტნიკიცა მწერს და მეც უნდა შეუდგე მომზადებასა, და აბა, თქვენებრ უნდა ხანჯლებითა და დამბაჩებით შემეწივნეთ...“

თავის განწყობილებას მომდევნო წერილშიც ადასტურებს. მეტად შორსაა პეტერბურგი, ზამთარი მოდის და სამასი თუმანი ვალიც დამედებაო!

ვაშლოვანში მყოფი პოეტი ნახევრად ირონიულად წერს:

„ჩემი ნამესტნიკობაც დასრულდა. ეჰ ორი დღე ხომ ვიყავ, ესეც კმარა თავმოწონებისათვის!“

6 აგვისტოს, როცა გრიგოლ ორბელიანი პეტერბურგს გაემგზავრა, ბარიატინსკი უკვე დაბრუნებული იყო დაღესტანს, სადაც ელოდა დიდი ისტორიული მისია — შამილის დაჭერება. ეს მოხდა აგვისტოს ბოლოს. ასე რომ, მას, პეტერბურგს წასულ სარდალს, მოსისხლე მტერიც თან გააყოლეს.

სარდლის გზა ამჯერად აღარ იყო ისე ეკლიანი. თუმცა დაღესტნის ომი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, მას უკვე დაძთავრებულად ესახება:

„ჩემო ბატონო დემეტრე! — სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს 1859 წლის 6 აგვისტოს. — დაღისტანიც დაეცა და დამშვიდდა დაუცხრომელი მტერი, ასე ანაზდეულად, ასე მოულოდნელად, რომ გროზნოდამ ანდიის კოისუმდის მოველ, თითქმის, უკანვოიოდ“.

დაბოლოს, ღუნიბი აღებულია, ვეშაპი შებოჭილი, ომი დასრულებული, შამილი შეპყრობილი.

პეტერბურგში სხვა სალაპარაკო არაფერი აქვთ. ნევის პროსპექტი აჭრელებულია ბარიატინსკისა და შამილის პორტრეტებით. მეფისნაცვლის მოჭიშპეები შურით ავსებულან, ადგილს ვერ პოულობენ.

ისტორიას უყვარს უცნაურობანი. ხუთმეტი წელი ებრძოდა გრიგოლი შამილს და ერთხელაც ვერ შეხვდა პირისპირ. ეხლა, პეტერბურგში სტუმრად ორიოდე კვირით ჩასული, შემთხვევით ხვდება და ეცნობა თავის მოსისხლე მტერს. აკ. გაწერელია მოხდენილად უწოდებს ამ შეხვედრას ფინალს — მათი ურთიერთობისა და კავკასიის ომის ფინალს. პოეტი წყნარად წერს:

„შამილა გავიცან პეტერბურღში. კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა, მაგრამ ძალიან გაოცებული იყო ყოველითა მით, რასაცა ჰხედავდა. მითხრა, კნიაზო, დიდად ვჰსწუხვარ, რომ ვერ ვნახე თქვენი ნათესავნი ქალები, რო? ბოდიში მომეთხოვაო. ეხლა ვჰხედავ, რასაც ნაკლულოვანებაში იყვნენ ისინი, მაგრამ როგორ მოვიფიქრებდი, რომ კაცები ასე განცხრომით ჰსცხოვრობენ, როგორც აქაო! — დიდის სიმწარით მიამბო, რომ მიღალატეს ყოველთა მათ, ვინცა იყვ-

ნენ დაახლოებულნი ჩემთან და ვინცა ჩემს მფარველობას ქვეშე და ჩემის მოწყალებით ჰსცხოვრობდენო! იმათვე ამიკლეს სრულებით, ასე რომ, ეს თეთრი ჩოხა ბარიატინსკიმ მიწყალობაო. და ამგვარი მრავალი მელაპარაკა".

შამილის ყველაზე უფრო საიმედო ბიოგრაფიის ავტორი, გენერალ ჩიჩაგოვის მეუღლე მარია ჩიჩაგოვა აღშფოთებულია იმ ცალმხრივი დახასიათებით, რასაც „სუსტ მოხუც ტყვეს" შამილს აძლევს პოლკოვნიკი პრუეცლავსკი. თვით ჩიჩაგოვა, ისევე როგორც ბოგუსლავსკი, რუნოვსკი, ბარიატინსკი, გრიგოლ ორბელიანი და სხვა გამოჩენილი თანამედროვენი, პირიქით, მოხიბლული არიან „გენიალური გმირის" სიდინჯით, ჭკუით, თავდაჭერით, რუსეთისადმი კეთილგანწყობილებითაც კი... შამილი მიუხვდა პრუეცლავსკის ორპირობას, რასაც თვით მას სწამებდა, ამიტომ შეიძულა ეს პოლკოვნიკი.

მართლაც, „უფლის მონა შამილი" ბოდიშს უხდიდა ბარიატინსკის იმის გამო, რომ ნაადრევად სთხოვა მეფეს მექაში გაშვება, როცა კავკასია ჯერ არ იყო დამორჩილებული, და აღიარა, სირცხვილით ვწითლდებიო. ეს უკვე მოწმობს შამილის ტაქტსა და თავდაჭერილობას.

სასახლეში ჯამბაკურიანი პატივით მიიღეს. ყველა ისე ექცეოდა, როგორც ნათესავსა და მახლობელს.

გრიგოლი პეტერბურგიდან 1859 წლის ოქტომბრის დამლევს დაბრუნდა.

გზად მლეთის დაღმართზე რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა შეეყარა, მათ შორის ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ხელები ზურგზე შემოეწყო, ბაკენბარდებიანი გენერალი დაფიქრებული ჩანდა, ამაყი, პირმოცინარი, უკან ეტლი მოჰყვებოდა.

პოეტს ხელები ზურგზე შემოეწყო და ჭკვიანი თვალებით გასცქეროდა დიდ კავკასიონს, თავის სტიქიას.

— ალბათ, ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერ ბუნებას! — ფიქრობს ჭაბუკი ილია და მოწიწებით შესცქერის დარბაისელ პოეტს.

აქ პირველად ხვდებიან ერთმანეთს გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე. პირველი პეტერბურგიდან მოდის, იმპერატორის

სასახლიდან, მეორე ნაავადმყოფარია, არდადეგებიდან ბრუნდება პეტერბურგს.

ქუხდა თერგი. დუმდა სტეფანწმინდა.

გრიგოლს კარგად ახსოვდა გამოჩენილი წინაპრის ერეკლეს სიტყვები: საქართველოს უკანასკნელი ძალა და სიმტკიცე სტეფანწმინდის მთა არისო. სპარს-ოსმალებმა რომ მთელი საქართველო აიღონ, სტეფანწმინდას თუ ვერა დააკლეს რა, უნდა იცოდეთ, რომ საქართველოში ვერ გაძლებენ, მაგრამ თუ სტეფანწმინდაც აიღეს, მაშინ კი საქართველო წაიქცევაო, — ასე გაუმეორებია მამის ნათქვამი ვახტანგ ორბელიანის დედას, ერეკლეს ასულს*.

ასე შეეყარა ერთიმეორეს მამათა და შვილთა ბანაკის ორი ბუმბერაზი წინამძღოლი, ერთი რუსეთს მიმავალი, მეორე რუსეთიდან მომავალი, სადღაც იქ, სადაც თერგი რბოდა და ღრიალებდა. სიმბოლურია ეს შეხვედრა, თითქოს ისტორია ღირსეულ მოვლენებს ღირსეული შემთხვევებით აგვირგვინებს.

ოსმალ-სპარსეთის, დაღესტნის ქებული გმირი ახალი დროის გმირს ხვდება. ნიშნად იმისა, რომ ისტორიული ვითარება იცვლება, მაგრამ დიდი ადამიანების დაბადება და ნაკადი არ წყდება მათი ერის სადიდებლად.

გრიგოლი ისევ ლიტერატურული ცხოკრების ფერხულში ებმება. მან ჯერ არ იცის, რა ძალუმი მდინარე იღებს სათავეს იმ ჭაბუკში, რომელიც მლეთის დაღმართზე შეხვდა.

უფრო იმას წუხს, რომ ვრანგელს ვერ გამოეცნაურა.

ღუნიბის აღების შემდეგ ვრანგელი მყისვე ტოვებს კავკასიას. მის ადგილზე ინიშნება გენერალ-ლეიტენანტი ლევან მელიქიშვილი, ტატოს მეგობარი.

პეტერბურგიდან მომავალ გრიგოლს ვრანგელი გზაში ხვდება, მაგრამ ერთმანეთს ვერ იცნობენ.

თბილისში გრიგოლს საწყენი ამბავი დახვდა: ვარინკა, ილიას ქვრივი, ბერლინს წასულიყო თვალების სამკურნალოდ. თითქმის დაეკარგა მხედველობა. მიდის დრო და თან მიაქვს ყველას თვალთა სინათლე.

---

* ვახტანგ ორბელიანი, თბილისი, 1894, გვ. 37.

მალე სნეული ბარიატინსკი იძულებული ხდება თბილისი დატოვოს. მას თან მიჰყვა კავკასიის შტაბის უფროსი მილიუტინი. ისევ ზეიმი, ისევ გაცილება... პლატონ იოსელიანმა დუშეთი ისე განადიდა, რომ პოეტმა შესძახა:

— ეს ჩვენს წიტიან დუშეთზე ლაპარაკობს თუ სხვა დუშეთიც არის სადმეო?

1860 წელია. შამილის დაცემის წლისთავს ზეიმობენ გამარჯვებული ოფიცრები. სუფრაზე პოლკოვნიკი დემანტოვიჩი, გრიგოლის ძველი მებრძოლი მეგობარი, საზეიმოდ ამბობს საკუთარ ლექსს:

Великий подвиг совершился!
Кавказ торжественно смирился!..
Лишь на обрывистом Гунибе
На ужасающей скале
Упорствовал Шамиль безумный!
Но русские, как вихорь шумный
На огнедышащую высь
Победоносно поднялись!

ნაღიმზეა დაღესტნის მებრძანებელი, ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი ლევან მელიქიშვილი.

ფელდმარშალს ადღეგრძელებენ.

ადღეგრძელებენ გენერალ ორბელიანსაც.

1860 წლის ზაფხულში ბარიატინსკიმ ისევ ჩაიცვა წითელი წინდები, ბორჯომში დასახლდა და თავი ავადმყოფად გამოაცხადა, კავკასია კი ორბელიანსა და შტაბის უფროსს მილიუტინს ჩააბარა.

ისევ დაჯდა ხელმწიფის ტახტზე ერეკლეს შთამომავალი, „ფადიშაჰი სამი დღით". „სამი დღე"-ო თვითონ ამბობს, თორემ თითქმის სამი წელი იყო გრიგოლი ამ მაღალ თანამდებობაზე, 1859—1862 წლებში.

ცხელი დღეები და მარშლის არჩევნები

1861 წლის მარტში გრიგოლს უკვდება ყოფილი თანაშემწე — გრიგოლ მუხრან-ბატონი, მეორე მუხრან-ბატონს, კონსტანტინეს კი მოიკითხავს ორბელიანთა უბნიდან, ყაფლანის პირით, რომელსაც შინ

მალე დაბრუნებას უსურვებს: არ სწამს მისი სამსახური და არცა ცდება.

იმავე წლის სექტემბერში იმავე ყაფლანს ახარებს: ტამანს მივდივარო „შვიდი იყლიმის მპყრობელ“ მეფესთან შესაგებებლად: ნოვოროსიისკის, სოხუმის და ფოთის გზით მოდის საქართველოში, მასპინძელი გრიგოლია და დიდ შეხვედრას უმზადებს ქუთაისში.

1861 წლის სექტემბერში, გრიგოლ ორბელიანის მთავარმართებლობის დროს, ყუბანის, ნოვოროსიისკის, სოხუმის, ფოთისა და ქუთაისის გზით საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი.

გრიგოლი ხელმწიფეს ყუბანშივე შეხვდა და აღარ განშორებია. „ვეფხვით“ ჩამოვიდნენ ნოვოროსიისკიდან. „ზღვა შავი, შეუპოვარი, ცათამძის ზვირთების მსროლელი, დამშვიდდა, დაწყნარდა თავმოდრეკით, სახეგაკრიალებით, შედგა რა მის ქედზე შვიდის იყლიმის მპყრობელიო“, — სწერდა პოეტი ლევან მელიქიშვილს.

ჭალადიდში მეფეს ნადირობა მოუწყვეს, მაგრამ ვეფხვებისა და ტახების ნაცვლად მხოლოდ ერთი დაბმული შინაური ირემი გამოეცხადა იმპერატორს.

ქუთაისში მეფე ვრცელი სიტყვით გამოვიდა, მადლობა გადაუხადა ქართველ ერს ერთგულებისათვის, ფული და საჩუქრები დაარიგა, „თავისი ერთგული ქართველი თავადაზნაურობის“ სადღეგრძელო დალია და ეს უდიდეს წყალობად მიაჩნდათ!

კავკასიის ომი კი მაინც არ დამთავრებულა. ამ საქმეში ისევ ერევა ორბელიანი.

1862 წ. 26 მარტს გრაფი დიმიტრი მილიუტინი პეტერბურგიდან სწერს ბარიატინსკის, ორბელიანს აფხაზეთში ნება ეძლევა იმოქმედოს გარემოებების შესაბამისად, დიდი ძალების თავმოყრა კი საგანგებოდ რომ გადასდოს, ის ემჯობინებაო.

მოგვიანებით იგივე მილიუტინი ფელდმარშალს ამშვიდებს: ჯარების ახლებურად ფორმირება ჩინებულად მოუხდენია ორბელიანს და ხელმწიფე იმპერატორი უმოწყალეს მადლობას უგზავნისო საქმის ასეთი ჩინებული გაძღოლისათვის.

მოგვიანებით, 1862 წ. 22 ივლისს, კავკასიის მთავარი შტაბის უფროსი კარცევი სწერს ბარიატინსკის, თავადი ორბელიანი ამჟამად თქვენს ნებართვას ელის, რომ ევდოკიმოვთან შეთანხმებით დასავ-

ლეთ კავკასიის საბოლოოდ დასამორჩილებლად გამოიყოს ჯარის ახალი ნაწილები, თანაც ატყობინებს, რომ თვით ორბელიანი პირადად ვერ გწერთ, ოჯახური უბედურება ეწვია, საყვარელი ბიძაშვილის, უაფლანის ერთადერთი ვაჟი დაეღუპა, ჩვიდმეტი წლის ვაჟკაცი, რომელიც შვილივით უყვარდა, და მთელი ოჯახი დამწუხრებულიაო.

1861 წელს გრიგოლი ინფანტერიის გენერალია. ეს იყო უმაღლესი პატივი, რაც შეიძლებოდა იმპერიაში მიეღო სამხედრო მოღვაწეს.

მაგრამ არც ინფანტერიის გენერალი უკადრისობს ქართულ მწერლობაში თავმდაბლურსა და უანგარო მოღვაწეობას.

მაშინდელი პრესის თვალის ერთი გადავლებითაც იგრძნობთ იმ შარავანდედის სითბოს, რითაც არის გასხივოსნებული ეს დიდი მგოსანი, სარდალი, მოღვაწე, ადამიანი. პოეტები, მასწავლებლები, სომხები თუ ქართველები, წარჩინებულნი თუ მდაბიონი პატივითა და იმედით შესცქერიან, აღტაცებით უძღვნიან ლექსებს: ზაალ ზაალოვი, შალვა რევაზის ძე ერისთავი და სხვანი.

ილია არ ფარავს „ცისკრის“ დამსახურებას — რომ ეს ჟურნალი ალ. ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და გრიგოლ ორბელიანის ლექსებსაც ბეჭდავს დროდადრო, რის მეოხებითაც ხალხი „მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას“ სწავლობს*.

* * *

58 წლის გრიგოლს ზოგჯერ ჯანი ჰღალატობს.

1862 წლის 14 (26) ივნისს ალ. კრუზენშტერნი კოჯრიდან სწერს ბარიატინსკის, — გრიგოლ ორბელიანი რახანია თავს ცუდად გრძნობს და კოჯორში ჩამოვიდა, მაგრამ აქაც უჩივის ჯანმრთელობას, „და ეს გარემოება ყველას ანაღვლებს, რადგან ეს ადამიანი ყველას უყვარს და ყველანი პატივსა სცემენო“.

თბილისში ცხელა, პაპანება სიცხეა, მოიწვა ბალახი და მოსავალი, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ამ საზარელ სიცხეში და მტვერში

---

* „ცისკარი“, 1861, № 4 (იხ. ს. ხუციშვილის ქრესტომათია, ტ. 1, გვ. 170).

„ქალები გულდამშვიდებით და კოხტაობით მიმოსეირნობენ გოლოვინის პროსპექტზედ“ (წერილი გრ. დადიანისადმი, 1862 წ. 21 აგვისტოს თარიღით).

ამავე წერილში პოეტი თავის თანამოკალმეს, უგანათლებულეს თავადს, გენერალ-ადიუტანტს გრიგოლ დადიანს შესჩივის, ახლა, ამ მძიმე ჟამს, ამბავი მოვიდა, პრუსიის პრინცი ალბერტი ჩამოდისო ოდესის გზით საქართველოში, რასაც პოეტი ძლიერ შეუწუხებია: ამ უგზოობაში, სიცხეში, მტვერში დახვედრისა და შექცევის თავი სადღა მაქვსო! სექტემბერში კიდევ მეფისნაცვალი ჩამოდის, ბარიატინსკი... მართლაც, „მოდი და გასწიე ლაზათი!“

სხვათა შორის, ეკატერინეს წერილიც მოდის: ბარიატინსკის ენახა ლონდონში, ბევრი დაპირება მიუცია, და ვნახოთ, რას შეუსრულებსო. ეკატერინე შორს წავიდა!

1862 წელს ავადმყოფობის გამო ბარიატინსკიმ კავკასია მიატოვა, მის ნაცვლად მეფემ მთავარმართებლად დანიშნა თავისი ძია მიხეილ ნიკოლოზის ძე. მეფის ძმის საქართველოში ჩამოსვლამდე, ოთხი თვის განმავლობაში, ამ მაღალ თანამდებობას ისევ გრიგოლი ასრულებდა. იმპერატორი ალექსანდრე საგანგებო რესკრიპტით 1862 წლის 17 ოქტომბერს თავის მადლობასა და სრულ ნდობას უცხადებს ორბელიანს გონივრული მმართველობისათვის.

არაფრით არ ჩანს, რომ გრიგოლი მაინცა და მაინც ძლიერ აღტაცებული იყოს თავისი მაღალი თანამდებობით, სამაგიეროდ წერილებში ბარიატინსკისა და მილიუტინისადმი დიდ გულისტკივილს გამოხატავს კავკასიიდან ქვეყნის ავ-კარგის მცოდნე ბარიატინსკის წასვლის გამო, თუმცა ამ წუხილშიც და მთავარმართებლად მეფის ძმის, მიხეილის, ნიკოლოზის მეოთხე შვილის დანიშვნით გამოწვეულ სიხარულშიც არ შეიძლება არ დავინახოთ თავისი მდგომარეობით ნაკარნახევი ოფიციალური მრავალსიტყვაობა.

გრიგოლს მაინც აწუხებს ბარიატინსკის ჯანმრთელობის მდგომარეობა. 1862 წლის 15 ნოემბერს სამხედრო მინისტრს დეპეშით ეკითხება, როგორაა ფელდმარშალი და მალე ჩამოვა თუ არაო. მინისტრის პასუხი ასეთია: თუმცა აპირებს ვილნოდან თბილისისაკენ გზის გაგრძელებას, მაგრამ საეჭვოა ჯანმრთელობის გაუარესებამ ამის ნება მისცესო.

ახალ მთავარმართებელს, დიდ მთავარს მიხეილს, თავი დინჯად და ტაქტიანად ეჭირა. ყოველ შემთხვევაში ორბელიანს გონივრულად სწერდა 1863 წლის 5 იანვარს:

„სავსებით შეგნებული მაქვს, რაოდენ დიდი და მრავალფეროვანია ჩემი მომავალი შრომა... მაგრამ ვნუგეშობ იმ მტკიცე აზრით, რომ ყოველი კავკასიელი მოღვაწე უდავოდ პატიოსნად შეასრულებს თავის მოვალეობას...“

მიხეილ ნიკოლოზის ძე 1863 წლიდან 1881 წლამდე — მთელი თვრამეტი წლის განმავლობაში დარჩა კავკასიის მთავარმართებლად. რუსეთ-თურქეთის ომში მისმა ჯარებმა ხელთ იგდეს მუხტარ-ფაშის არმიის დიდი ნაწილი და, საერთოდ, დაასრულეს კავკასიის ომები.

გრიგოლი კავკასიის ახალ მბრძანებელს სტავროპოლში შეხვდა, ვლადიკავკაზიდან კი ლევან მელიქიშვილს სწერდა, აღტაცებული ვარ დიდი მთავრის პიროვნებით, მისი „სიკეთით სავსე გულით“, „განათლებული გონებით“, აუჩქარებლობითა და საქართველოს გაბედნიერების სურვილითო.

„მოვიდა სტავროპოლს მარტო სამი ადიუტანტითა, არა როგორც დიდის ხელმწიფის შვილი, დიდის ხელმწიფის ძმა ზვაობით, არა რისხვითა და ძაგებით, როგორც მურავიოვი, არამედ თავ-მდაბლობით, სიწყნარით, მოწყალებით!.. მახლას, აშიკი შევიქენ იმისი!“ (1863 წლის 23 თებერვლის წერილი).

ახალმა მთავარმართებელმა ახალი წესები შემოიღო, ახალი მოხელეები დანიშნა, ახალი გადასახადები შემოიღო. გადასახადი დაწესდა სასმელზე, ცხენებზე, ქუჩაში საშენი მასალის დაწყობაზე, მიწიდან სილის ამოღებაზე... ჯერჯერობით ეს იყო „მოწყალე“ მეფისნაცვლის მთელი ამაგი.

გრიგოლმა შედარებით მოისვენა, მხოლოდ დიდი მთავრის განკარგულებებს ასრულებდა: 1863 წელს ზაქათალელი ლეკების აბოხების ჩასაქრობად გაგზავნეს, 1864 წელს გლეხთა განთავისუფლების კომიტეტში იღებს მონაწილეობას...

ორბელიანის მთავარმართებლობის უკანასკნელ დღეებში წარმოებს გულის ამაჩუყებელი მიმოწერა მის უდიდებულესობა იმპერატორ ალექსანდრესა და მის ერთგულ ქვეშევრდომ ბარიატინსკის შორის. ეს უკანასკნელი 1862 წლის დეკემბერში ვილნოდან სწერს,

ექიმები ჩემი გადარჩენის ერთადერთ იმედს სრულ სიმშვიდეში და განუწყვეტელ მკურნალობაში ხედავენ და თუ ოდესმე ღმერთმა ჯანმრთელობა დამიბრუნა, მადლობას შევწირავ, რომ საშუალება მომცა, კვლავ თქვენს სამსახურს შევწირო თავი ჩემიო. მაგრამ ამჯერად იმედი ნაკლებია და ამიტომ განთავისუფლებას ითხოვს. მეფის კითხვაზე, ვის ისურვებდი, რომ გეხილა შენს ადგილზე მეფის ნაცვლადო, ეს ცივი და ბეცი კარიერისტი მლიქვნელურ პასუხს აძლევს: მისი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილი გაუძღვებოდა ღირსეულად კავკასიას! რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, ბარიატინსკის აზრით, წამოიჭრებოდა ჩამდენიმე საკითხი, რომელთა გადაჭრას ის საკუთარი ძალებით ვერ შესძლებდაო. შეიძლება გრიგოლს მართლა შეხვედროდა ასეთი სიძნელეები, მაგრამ რა ნიჭისა და დამსახურების პატრონად ეგულებოდა მიხეილი, რომელზედაც ასეთ იმედებს ამყარებდა, ეს უკვე არც თვით ფელდმარშალმა იცოდა. მას ესაჩუქროებოდა ანდრია პირველწოდებულის ორდენის ალმასის ნიშნები და უბოძა კიდეც იმპერატორმა ექვსი წლის უანგარო სამსახურისათვის. მთავარმართებლად კი დაინიშნა დიდი მთავარი, რუსი მოხელე.

რა საკითხი იყო, ორბელიანი და კარცევი რომ „ვერ წყვეტდნენ“ ბარიატინსკის „ჰოს“ ან „არას“ გარეშე? ქუთაისის ცხენოსანთა პოლკის შტატების, დასავლეთ კავკასიის დასახლების, სამხედრო სასწავლებლის შტატის და ა. შ.! ნუთუ გაუჭირდებოდა ამ საკითხების გადაწყვეტა თავის სამშობლოში ორბელიანს, რომელმაც არა მარტო შეარყია შამილის ძლიერება, არამედ სამაგალითოდ მოაწესრიგა საქმეები ახლად დაპყრობილ კასპიისპირა მხარეში?

ორბელიანმა საქმით დაამტკიცა, რომ შეეძლო დიდებულად გასძღოლოდა სამხედრო თუ სამოქალაქო საქმეებს (აფხაზეთის საკითხში და სხვ.). როცა მეფემ და სამხედრო მინისტრმა ჯარების დიდი შემცირება მოსთხოვეს, მან ეს დაუშვებლად ჩათვალა და წარუდგინა თავისი პროექტი, რომლის მიხედვითაც შემცირება ხდებოდა მხოლოდ შესაძლებელ ფარგლებში: 16000 ფეხოსნის, 8 ესკადრონი ცხენოსნის და ა. შ... ეს ხარჯებსაც შეამცირებდა და მხარის უშიშროებაც უზრუნველყოფილი იქნებოდა.

1863 წლის ივნისის დამდეგს ჰაჯი-მურთუზამ ზაქათალის ლეკები აუშალა მეფის მთავრობას. მეამბოხეებმა მოკლეს გენერალი

შალიკოვი და მიადგნენ ზაქათალის ციხეს. რუსეთის ჯარებმა ისინი მალე დაამარცხეს. როგორც აღინიშნა, ამ მხარის დამშვიდება და დამნაშავეთა დასჯა დაევალა გრ. ორბელიანს, რომელმაც მხარე დააწყნარა და თავისი აზრი წარადგინა.

ორბელიანის განაჩენი მეტად სასტიკია და პატივს არ სდებს მის ღირსებას: სიკვდილით უნდა დაისაჯონ აჯანყების მოთავეები, სახლები დაიქცეს და ბაღები გაიკაფოს; ციმბირში გაიგზავნოს ყველა ეპვმიტანილი და ყმად მიეცეს მათი ცოლები.

ამ უკანასკნელ თხოვნაზე თვით მთავრობა არ დათანხმდა, ისიც იმიტომ, რომ რუსეთის კანონებში ასეთი რამ არ ეწერა.

ორბელიანმა მეფის ერთგულ სამხედრო მოხელის მთელი სისასტიკით ჩაახშო აჯანყება და დასაჯა დამნაშავეები: ზოგი ჩამოახრჩო, ზოგი დახვრიტა, ზოგი კატორღაში გაგზავნა და ზოგი თავდებობით დატოვა ზაქათალაში.

* * *

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სადაც საქმე ძველი დიდი თავადების ღირსებას ეხებოდა, იქ უანგარო ორბელიანი იქცეოდა ამაყ ჯამბაკურიანად.

1864 წელს წვრილმა თავადაზნაურობამ თბილისის გუბერნიის მარშლად დიმიტრი ყიფიანის გაყვანა მოინდომა. ივანე მუხრან-ბატონი და გრიგოლ ორბელიანი სასტიკად აღუდგნენ წინ ამ განზრახვას*, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა. დიმიტრი, ღირსეული მამულიშვილი, მარშლად აირჩიეს 1864 წლის 16 თებერვალს. ჩვენს პოეტს პატარა არისტოკრატიული მარცხი შეემთხვა: ლოგინად ჩავარდა.

თვით დიმიტრის მოგონებით, „თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ლოგინად ჩავარდა და თვე ნახევარი იწვა. მეფის მოადგილე ნახულობდა მას და ამშვიდებდა, რომ ყიფიანს არ დაამტკიცებენო"**.

მაგრამ არჩევნების ამ დამახასიათებელ ამბავს უფრო ვრცლად უნდა შევეხოთ.

---

* „Закавказье", 1912, № 132 (ანტონ ფურცელაძის მოგონება).

** დ. ყიფიანი, მოგონებანი, გვ. 101.

მარშლის არჩევა ხდებოდა იმ დროს, როცა გლეხთა განთავისუფლება მზადდებოდა.

კრება სწორედ მუხრან-ბატონის სახლში გაიმართა (სადაც მერე კლუბი გაიხსნა). ზოგს გენერალ რევაზ ანდრონიკაშვილის არჩევა უნდოდა, ნამდვილი ჯარისკაცისა. ადრინდელმა მარშალმა ზაალ ბარათაშვილმა თვითონ თქვა: ამჟამად ქვეყანას სწორედ ისეთი კაცი ესაჭიროება, როგორც ყიფიანიაო, და ეს ჭკვიანური აზრი იყო. ხალხმაც მის კითხვაზე, ვინ გინდათ მარშლადო, ერთხმად იქუხა:

— დიმიტრი ყიფიანი!

წინა რიგებში ისხდნენ გრ. ორბელიანი, გიორგი რომანის ძე ერისთავი, ამილახვრები, ანდრონიკაშვილები, თარხნიშვილები, ჩოლოყაშვილები და სხვები.

გრ. ორბელიანი თავიდანვე შფოთავდა: როგორ თუ უბრალო აზნაური თავადაზნაურობის წინამძღოლად დაასახელესო (კანდიდატურა მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ წამოაყენა, ვინც ბარიატინსკი შეცვალა!). გრიგოლ ორბელიანი და ივანე მუხრან-ბატონი წინა რიგებში ბრძანდებოდნენ გამოჭიმული და არაფრით არ განირჩეოდნენ დიდი თავადებისაგან, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში აყენებდნენ წოდებას ნიჭზე მაღლა. უმრავლესობა ყიფიანს ასახელებდა, ეს დიდი თავადები კი მბრძანებლის კილოთი უყვიროდნენ ხალხს, რომ ეს არ მოხდებაო. დარბაზი არ ცხრებოდა.

დარბაზში, სხვათა შორის, ისხდნენ მანანა ორბელიახი, ქეთევან სუმბათაშვილისა, ელენე ბატონიშვილი, ქეთევან ორბელიანი (მამუკას მეუღლე)...

რევაზ ანდრონიკაშვილმა იგრძნო საზოგადოების განწყობილება და თვითონვე ითხოვა განთავისუფლება, რასაც დარბაზი მადლობის შეძახილებით შეხვდა: „აგაშენოს ღმერთმაო!“

მხოლოდ გრიგოლ ორბელიანმა სთხოვა, ამდენმა ნაომარმა კაცმა და დიდმა თავადმა, პატივი დაგვდე, კენჭი იყარეო.

ხალხმა იგრგვინა: ვათავისუფლებთო!

ორბელიანი წამოდგა და დაიწყო:

— თქვენ მოგმართავთ, საქართველოს კეთილშობილს თავადაზნაურობას, სად არიან დღეს სახელოვანი გვარნი სოლოღაშვილებისა, ბარათაშვილებისა და სხვათა? განიფანტნენ, გაქრნენ... დავე-

ცეხით, დავმცირდით, წარვხდით, ვაი ჩვენს თავსა!.. ნუ გვაჭმევთ სირცხვილსა, ვინც დავრჩით, ნუ დაგვასვამთ თავზე ჩვენ, ქართლ-კახეთის გამაბრწყინვებელ გვართა, აზნაურიშვილსა, აბაშიძის ნააზნაურევის შვილსა!..

— გაუმარჯოს დიმიტრი ყიფიანს! — იქუხა პროტესტის ნიშნად ხალხმა. — მარშლად ყიფიანი, ყიფიანი!

ეს იყო ისტორიული წუთები. სახელოვან ორბელიანს — არა გვარით, არამედ ნიჭით სახელოვანს — სიმართლე არ აწყენს. აქ ის ცდებოდა. პროგრესული ძალა პროგრესულ პიროვნებას ითხოვდა.

აქ ორბელიანმა თავის დამამცირებელ ღონისძიებებსაც მიმართა: თავისი უმაღლესი ოფიციალური მდგომარეობის გამოყენება სცადა და როგორც მეფისნაცვალმა, თუ გენერალ-გუბერნატორმა შესძახა:

— ყიფიანი არაკეთილსაიმედობისათვის მოიხსნა თანამდებობიდან და მისი არჩევა მთავრობაში არ დამტკიცდებაო.

ხალხმა უარესად იქუხა. ეს იყო პროგრესის ქუხილი დრომოჭმულის წინააღმდეგ.

აქ ყიფიანი წამოდგა, სიტყვის ნება ითხოვა და მხოლოდ ერთი რამ განმარტა: მთავრობის წინააღმდეგი არა ვარ, თორემ არც დამინიშნავდნენ ამ დღეებში ოთხასის ნაცვლად ათას ოთხას მანეთს პენსიას, ხოლო თუ მარშლად ამირჩევთ, მზად ვარ გემსახუროთ და კენჭსაც ვიყრიო.

აქ ივანე მუხრანსკი წამოიჭრა. ამ უიღბლო გენერალს პირადი ანგარიშიც ჰქონდა ყიფიანთან. 1855—56 წლებში, როცა სამეგრელოს მუხტარ-ფაშა შემოესია, ცხენზე ამხედრებული ქვრივი ეკატერინე დადიანი მტერს ებრძოდა, თვითონ უკან დახევის მეტი არაფერი გაუკეთებია, ამასთან დაწვა სანოვაგე და ამ საქმეზე ძიებაც დაინიშნა. პატიოსანმა დიმიტრი ყიფიანმა მაშინ მისი საწინააღმდეგო ჩვენება მისცა და ეს ახსოვდა გამწარებულ მუხრანსკის.

წინამძღოლად მტრის, და ისიც აზნაურის, არჩევამ გააცოფა მუხრან-ბატონი. და თითქოს ხელქვეით ჯარისკაცებს უყვირისო, მუქარაზე გადავიდა, გენერლებს არ უსმენთო!

ხალხმა პროტესტის ნიშნად ისევ იქუხა: „კენჭი! კენჭიო!“ ამას კი არ მოელოდა მუხრან-ბატონი, რომელსაც ვიცი სამხედრო ნიჭით

არსად არ უჩენია თავი და ახლა შეეცადა ეს დანაკლისი მშვიდობიან დარბაზში რისხვის ცეცხლის დანთებით აენაზღაურებინა:

— რაო? ჯანყსაც აწყობთ? ეს ჯანყია! უხმეთ პროკურორს! მეამბოხეს გვირჩევენ წინამძღოლად! ჩქარა პროკურორი!

პროკურორისა ყველას შეეშინდა, და მათ შორის იმასაც, ვინც ამ ფაქტს იგონებს, მწერალ ანტონ ფურცელაძეს, ჯერაც ახალგაზრდას. ზოგმა წასვლაც სცადა.

მაგრამ აქ გამოვიდა შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე არღუთინსკი-დოლგორუკოვი:

— რა მოხდა? — გაისმა მისი ხმა დარბაზის შუაგულში: — პროკურორს ეძახით თავადაზნაურთა კრებაზე? მეამბოხეებს უწოდებთ უდიდეს უმრავლესობას იმისათვის, რომ არ ემორჩილებიან ერთ მუჭა უმცირესობას? მეამბოხეები არიან უმცირესნი და არა უმრავლესნი. თუ არ მოგწონთ, მიბრძანდით. აი, ჩვენი კანონი!

აქ მუხრანსკიც საგონებელში ჩავარდაო, ამბობს ფურცელაძე. მალე გაისმა ძახილი: „ძირს მუხრანსკი! გააგდეთ მუხრანსკი!“ „ძირს გენერლები!“

მუხრანსკიმ ქუდს ხელი დააავლო და სამარცხვინოდ გაიქცა. იგივე მოუვიდოდა ორბელიანს, რომ თავისი ამპარტავნული გამოსვლების მიღმა არ ჰქონოდა დაფარული სახელოვანი სამხედრო, სამოქალაქო და მეტადრე პოეტური წარსული. დათმო, ნირი კი მაინც არ გაიტეხა და თქვა ცნობილი სიტყვები, რომლებიც სულაც არ სდებენ პატივს მის ძალუმ პოეტურ ბუნებას:

— მაშინ დაიღუპა საქართველო, როცა მე და წვიმიტიძე ერთმანეთს შეგვატოლესო!

ახლა მესამე ღონისძიებას მიმართეს: ყუთებთან არ მიეიდნენ, აქაო და ამით გაშინებთო.

როცა გრიგოლს სთხოვეს, წამოდგა და თქვა, რომ ყიფიანის არჩევას საშიშრად თვლის და კენჭის ჩაგდებაზე უარს აცხადებს. ათიოდე უმაღლესი მდგომარეობის თავადმა, მათ შორის აზნაურმა პლატონ იოსელიანმაც, ხმის მიცემაზე კატეგორიული უარი თქვა.

ხალხი ისევ შეყოყმანდა. მხოლოდ თულაევის თავგამოდებულმა აგიტაციამ გაჭრა.

რიგრიგობით გამოიძახეს გრ. ორბელიანი, ივ. მუხრან-ბატონი,

გიორგი რომანის ძე ერისთავი, სულ ცხრამეტამდე კაცი, და არც ერთი არ წამოდგა. მხოლოდ ზაალ ბარათაშვილი ადგა და საჯაროდ თეთრ უუთში ჩააგდო კენჭი.

— გაუმარჯოს ზაალ ბარათაშვილს! — იქუხა ხალხმა.

ბოლოს გენერალმა თარხან-მოურავმა და ზაქარია ავთანდილოვმაც გადაჭრით მისცეს ხმა ყიფიანს.

მაშინ ყიფიანის მოქიშპეებმა დარბაზი დატოვეს*.

ყიფიანი ერთხმად აირჩიეს.

ორბელიანმა ამ საქმეში ისე იჩინა თავი, როგორც კონსერვატორმა ძველმა თავადმა.

ბრძოლა მოგებული იყო. თვით დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მიულოცა გამარჯვება დიმიტრი ყიფიანს**.

მაგრამ ყიფიანი თავის უპირატესობას იმითაც ამტკიცებს, რომ როგორც კი საერთო საქმეში საჭიროდ დაინახა, დაივიწყა წყენა და თვითონვე სთხოვა ორბელიანს, შეგვეწიეო.

მარცხმა გრიბოლს კიდევ უფრო გაუტეხა გული. იმავე 1864 წელს დიმიტრი ჯორჯაძეს სწერს:

„ახლა მინდა მივეგდო მოსვენებითა და დავიწყო ქალაქის ცხოვრება, სავსე ამაოებითა, რომელსაცა ვერა ეჩვევა ხასიათი ჩემი და მგონია, აღარცა ჟამი იყოს შეცვლისა“. თითქმის ასევე ოცნებობდა მყუდრო ცხოვრებაზე ოცი წლის წინ მისი დისწული ნიკოლოზ ბარათაშვილი, როცა ზაქარია ორბელიანს სწერდა: „მომეცი პატარა შეძლებაო“...

ბებერ მუხასავით დგას მაინც ორბელიანი, თანდათან ეცლებიან ძველი მეგობრები...

1864 წელს გარდაიცვალა ას წელს გადაცილებული ინფანტერიის გენერალი გიორგი ესტატეს ძე ერისთავი, თავრიზის ბრძოლის გმირი, პასკევიჩის თანამოლაშქრე, დიდი ომების მონაწილე... სამხედრო სარბიელზე მან გაუსწრო ცნობილ კავალერიის გენერალს, თავის სეხნიას, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს 1858—1861 წლებში გიორგი რომანის ძე ერისთავს.

---

* „Закавказская речь“, 1912, № 132.

** „მოამბე“, 1894, № 4, ob. ნ. ყიფიანი, „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება“, გვ. 69—110.

გრიგოლ ორბელიანი ოხვრით ემშვიდობება მებრძოლ თანამოძმეებს.

სამაგიეროდ ჯამბაკურიანთა გვარი მაინც წინ მიიწევს.

1865 წელს ვახტანგ ორბელიანმაც გენერალ-მაიორობა მიიღო და ახალციხეში დაინიშნა მმართველად...

თბილისის ამჭართა ჯანყი

1865 წლის 20 აპრილიდან 21 სექტემბრამდე პოეტი ისევ მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებს. სწორედ ამ დროს, 26—28 ივნისს, ხდება თბილისელ მოქალაქეთა დიდი არეულობა. მეფის ძმის ხელით დათესილმა ეკალმა პოეტის მთავარმართებლობის დროს იხარა და ჩირქი მოსცხო მის სახელს.

მიხეილ ნიკოლოზის ძის ხეპრული ღონისძიება მძიმე ტვირთად დააწვა ქალაქის ღარიბ მოსახლეობას. ერთბაშად ოთხ საგანზე დადებულმა მონღოლურმა ხარკმა შეაწუხა ისედაც წელში გატეხილი წვრილი ხელოსნობა, გაძვირდა პური, პროდუქტები. დესპოტის ხელი პირველსავე წელს იგრძნო ქვეყანამ.

ყველა თანამედროვე ერთხმად ადასტურებს, რომ 1865 წლის თბილისის ამჭართა ამბოხების მიზეზი იყო საერთო სიღატაკე, უუფლებობა, სიძვირე, გაღახადები. მასში მონაწილეობდნენ ქართველები, რუსები, სომხები, თათრები და არავითარი რუსების საწინააღმდეგო გამოსვლა ეს არ ყოფილა.

1857 წ. თბილისში ფუთი ფქვილის ფასი 3 მანეთიდან ხუთ მანეთამდე ასულა. ასე გაძვირებულა ღვინოც.

მძიმე დღეში ჩავარდნენ ხელოსნები, ხარაზები, დურგლები, მჭედლები, კალატოზები, მეწაღეები, აგრეთვე ბაყლები, მექათმეები, ფეხზე მოვაჭრენი... გაჭირვებაზე ჩიოდნენ დიდგვაროვანნიც და თვით მეფის მოხელეებიც.

შემონახულია ამბავი თვით მაშინდელი მთავარმართებლის გაჭირვებისა. გრიგოლ ორბელიანი თურმე აივანზე გამოვიდა, დაბლა ილია მიდიოდა (ამბობენ, ილია ჭავჭავაძეო, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ეს იყო ილია აბხაზი).

— ერთი ამოდი, ნახე ჩემი გაჭირვებაო, — უთქვამს გრი-

გოლს. — მეფისნაცვალი ვარ, ვიყინები, შეშა არ მომიტანეს, ყველა ცრუობსო.

რაკი მეფისნაცვალს უჭირდა, რაღა მტკიცება უნდა ხალხის გასაჭირს! ამ დაბეჩავებულ მოქალაქეებს ხარკსა და ბაჟს ახდევინებდნენ. საათის, კატის, ძაღლის მფლობელსაც კი ბეგრავდნენ. წელმოწყვეტილი ხალხი უსამართლობის წინააღმდეგ აღდგა.

ხალხში აგიტატორებმა დაიწყეს სიარული, შექმნეს წრეები, ჯგუფები. იმართებოდა ერთგვარი ყრილობები გაშლილ ადგილებზე: სომხების სასაფლაოზე, კრწანისის ველზე, ორთაჭალაში, ვერც პოლიცია უღებდა ალღოს ქალაქელთა კონსპირაციას.

ბოლოს განიზრახეს ქალაქის თავის რეზიდენციის აკლება და მისი მოკვლა, რადგან ის ეგონათ ყველა უბედურების მიზეზი. მთავრობამ მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა ხალხი უკვე ამ მიზნის ასასრულებლად დაიძრა.

გამოსვლა დაინიშნა 1865 წლის 27 ივნისს. მოღალატეს სიღატაკე და სიკვდილი ელოდა.

მართლაც, ამ დღიდან ქალაქი „დაყრუვდა", როგორც წერს ზაქარია ჭიჭინაძე*, აღარაფერი არ დამზადდა, ყველაფერი მოისპო. ვნახოთ, როგორ იცხოვრებენ მჩაგვრელნი უჩვენოდო, ამბობდა ხალხი. პურსაც ვეღარსად იშოვიდა კაცი.

პოლიციამ უსტაბაშები დააპატიმრა, მაგრამ საქმეს ამან არ უშველა. ახალი გადასახადების სიმძიმე მუშების და უღარიბესი მოქალაქეების გარდა დააწვა ამქრებს, რომლებიც კონკურენციას ვეღარ უძლებდნენ. უკმაყოფილება ქარიშხლად იქცა.

ხალხში ხმა დაირხა: მალე გადასახადი დაწესდება ვერცხლი! ქამარზე, ქათამზე, ჩოხაზე, კვერცხზეო... ასეთი იყო ლოგიკა! ხალხი აირია, აყაყანდა, მოედანზე გამოვიდა, იქით-იქუხა... პოლიციის უფროსი ვერაფერს გახდა, ვერც სამოქალაქო გუბერნატორის ორლოვსკის მოადგილე ნიკო ჭავჭავაძე, ვერც თვით გრიგოლი სამხედათასიანი არმიის სარდალმა, რომელმაც ტყვიის გასროლა არ იკადრა, ტკბილი ენით სცადა ხალხის დაშოშმინება:

---

* იხ. ზ. ჭიჭინაძე, თბილისის ამბოხება ანუ დიდი ბუნტი 1865 წ., თბილისი, 1906, გვ. 20.

— გონს მოდით, შვილებო, კანონი ყველასათვის ერთია. კაცი მეფისნაცვალი ვარ და ცხენის ქირას მეც ვიხდიო, — უთხრა ხალხს.

— ეჰ, დალოცვილო, — მიუგო ერთმა ყარაჩოღელმა, — თქვენი საქმე სხვა არის: თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ კი ცხენი გვინახავს. საიდან მივცეთ, თუ არა გვაქვს?

ამბობენ, ბაშბეუქოვის ასაკლებად მიმავალმა ხალხმა მთავარმართებლის სახლს ჩაუარა, გრიგოლი აივანზე გადმოდგა და ხალხი გააფრთხილა: „ორ ზარბაზანს დავადგმევინებ კვირაცხოველთან და მტვერს აგადენთო“, მაგრამ ხალხი ზღვასავით შეტორტმანდა და გზა განაგრძოო.

მეფისნაცვალი მაინც შეეცადა პირადი მოლაპარაკებით დაემშვიდებინა აღელვებული მოქალაქეები, შეწყალებას შეჰპირდა, გადასახადების აკრეფის შეწყვეტას და ა. შ..

ტკბილი სიტყვით ამბოხება იშვიათად დაუწყნარებია ვინმეს. მთავარმართებელი შინ დაბრუნდა, ხალხი თავისი გზით წავიდა.

ქალაქში ნორმალური ცხოვრება შეწყდა, მშრომელი ხალხი „გაიხიზნა“. ორბელიანს გადასახადის გაუქმება მოსთხოვეს, მაგრამ მეფისნაცვალს ამის უფლება არ ჰქონდა.

რაკი უსტაბაშებსაც არ უშვებდნენ, ორმოცი ათასამდე კაცი ვორონცოვის ძეგლისკენ დაიძრა, გაუარეს კვირაცხოველს და ბოქაულის — ხარჯის ამკრეფ ბაშბეუქოვის სახლს მიაშურეს.

— რას გაჩერებულხართ! — შესძახა უსტაბაშმა იოსებამ. — უნდა ავიდეთ, ვიპოვნოთ და მოვკლათ ის აძაღლებული ხალხის მტანჯველი!

ხალხი შეიჭრა საძულველი მოხელის სახლში, გადმოაგდეს, დაჭრილს ცხენის „დუგა“ დაარტყეს და მოკლეს.

უკან გამობრუნებულ ხალხს ჯარი დახვდა. ატყდა სროლა. დიდი გულმოდგინება გამოუჩენია ყაზახ ეასილას. ორი კაცი მოუკლავს, შვიდი დაუჭრია. იქვე, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, გრიგოლ ორბელიანი გამოვიდა, მთავარმართებლის თანაშემწე, ცხენზე ამხედრებული. აჯანყების მეთაურმა, პოეტის მიერ უკვდავყოფილმა ლოპიანამ გრიგოლის დანახვაზე შესძახა:

— კნიაზო, ერთი ძირს ჩამობრძანდით და თქვენის ხელით უთავაზეთ ამ ბოროტ ვასილას!

გრიგოლმა დიდი ტაქტი გამოიჩინა. კაცი ავარიელებს აწყნარებდა სიტყვით, ქართველების მოთაფლვა ხომ არ გაუჭირდებოდა! მოელაპარაკა, დაამშვიდა, დაჰპირდა დახმარებას, ვაჟილა კი დააპატიმრა და ციხეში ჩასვა: შენ ვინ მოგცა ნება იარაღის ხმარებისაო!

მაგრამ ხალხი მაინც არ იყო დაწყნარებული. ახლა ქალაქის თავს გალუსტ შერმაზან-ვართანოვს მიმართეს. ეს საძულველი მოხელე ირანიდან იყო გადმოსახლებული და ხალხს ის მიაჩნდა ყველა უბედურების მიზეზად. ვართანოვს წვეულება ჰქონდა. როგორც კი გაიგო, ბაშბეუქოვი მოკლეს და მეც ეს დღე ძელისო, ძიატოვა სტუმრებიც და სახლიც.

გაშლილი სუფრა გაიყინა. საქეიფო დარბაზი მეამბოხეებით აივსო. სახლი აიკლეს. ქუჩაში ავეჯის ბარიკადები აღიმართა. ძერე სახლი დააქციეს, მაგრამ არ დაწვეს: ქალაქს ხანძარი არ გაუჩნდესო.

პოხრუამ ვართანოვის ქუდი დაიხურა, ხალხმა ქალაქის თავის ცოლის საცვლები ჯოხზე დაამაგრა და ასე გაგრძელდა ეს თავისებური ყეენობა, თან იძახოდნენ:

— ჩვენს შემავიწროებელს ყველას ამათი ბედი ელისო!

გრიგოლ ორბელიანის ღვაწლად უნდა ჩაითვალოს, რომ საქმეში ჯარი არ ჩაერია და სისხლით არ დაიწერა იმ დღეების თბილისის ისტორია. მართალია, სროლის ბრძანება მაინც გაიცა, მაგრამ ეს იყო უკიდურეს წამს, როცა ხალხი უკვე იერიშზე გადადიოდა. ყოველივე ამას სერიოზული მსხვერპლი არ მოჰყოლია.

არეულობა უფრო ავლაბარში გამწვავდა. მეამბოხეებს სათავეში მოსე მებაკე ჩაუდგა. ჯარი ვერ შევიდა, ავლაბრის ხიდი შეკრული აღმოჩნდა. მთავრობამ ხალხს გიორგი მეცამეტის უახლოესი მემკვიდრე და მასავით უხერხემლო ირაკლი გრუზინსკი მიუგზავნა, მაგრამ როცა მეამბოხეებმა შესძახეს „გაუმარჯოს ირაკლისო!“ — შეშფოთებულმა ბატონიშვილმა თავის „ირაკლის აბანოებს“ მიაშურა, სასახლეს, მთავრობამ რომ უბოძა.

მაშინ ისევ გრიგოლს მიმართეს. იაკობ მანსვეტაშვილის თქმით, გრიგოლმა „ყიზილბაშურ ხერხს მიჰმართა“: ხალხს მოეფერა და, როცა სტვენით შეხვდნენ, ჯარი მიუსია*.

---

* ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, გვ. 14.

თბილისელ ამქართა ამბოხებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა რუსეთსა და უცხოეთში, სადაც გერცენმა „კოლოკოლში“ რამდენიმე წერილი მიუძღვნა ამ საკითხს. კატკოვმა კი თავის შავბნელ ორგანოში „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ ისეთი ხულიგნური სტატიები მოათავსა, როგორიც მის კალამს შეეფერებოდა.

სულ სხვანაირად უყურებს ამქართა გამოსვლას „რიონელი“ ნიკო ნიკოლაძე, აგრეთვე გერცენი და მისი „კოლოკოლი“, სადაც ნიკოლაძის სტატია დაიბეჭდა.

ნ. ნიკოლაძეს „ამქართა გამოსვლა“ მიაჩნია „იმის დამამტკიცებლად, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მთავრობის უშკუობასა და თავისი სამწყსოს გაძღოლის უუნარობას“*.

ივნისის ამბებიც სიცრუით დაიწყო და სისხლით დაგვირგვინდა. ეს სისხლი ჩაირეცხა, გარეგნულად წესრიგი დამყარდა, მაგრამ საალყო წესები დარჩა და მთავრობა-სულთამხუთავიც დარჩა, ამიტომ ივნისის ამბების გარეგნული აღწერა საქმის არსს არ შეელოდა.

თავისი დროის უაღრესად მოწინავე, შეუდრეკელმა მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ თავის სტატიაში „19 ივნისის დღეები თბილისში“ მოურიდებლად მოიხსენია „ქართველი ულტრა სენტიმენტალური პოეტი და ზომიერად მომეშჩანე რუსი ვიცე-მეფისნაცვალი ორბელიანი“, რომელმაც „წაიბურტყუნა, რომ ქალაქის საზოგადოებამ, რომელიც რკინის გზებსა და მიმოსვლის რიგიან საშუალებებს მოითხოვს, გადასახადებზე უარი არ უნდა თქვასო“**.

შტაბის უფროსი კარცევი, გალეშილი ფორმალისტი, გაჰყვიროდა: პოლონეთის აჯანყება მეორდება! დასცხეთ მაგ არამზადებს!

მართლაც, ქალაქისათვის ქვემეხი უნდა დაეშინათ, მაგრამ ორბელიანმა — ამას ნიკო ნიკოლაძეც აღიარებს — თავი შეიკავა, ისიც უფრო იმიტომ, რომ მისი პრესტიჟისათვის ეს სისხლისღვრა საშარცხვინო იქნებოდა. სამაგიეროდ საქალებოში მალავდა ქალაქის თავს ვართანოვს და არ მოერიდა მეამბოხეთა მოთავეების დასჯას.

28 ივნისს დილით, ავლაბარში, ისევ დიდძალი ბრბო შეიყარა, ქალაქში ნორმალური ცხოვრება შეწყვეტილი იყო. საპატიო მოქა-

---

* ნ. ნიკოლაძე, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, 1962, ტ. I, გვ. 298.
** იქვე, გვ. 305.

ლაქემ აბესალომოვმა ხელისუფალთა დავალებით დაიყოლია ხალხი, რომ მთავრობას დამორჩილებოდნენ. „წესრიგის დამრღვევნი დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ, ფეხქვეშ ჩაუვარდნენ. მის ბრწყინვალებას გენერალ-ადიუტანტს თავად ორბელიანს ჰკოცნიდნენ მუხლებზე და ცრემლმორეული სთხოვდნენ შეწყალებას*, — წერს პოლიციმეისტერი პოლკოვნიკი როსლავლევი.

ამბოხებაზე შემონახულ მასალებში ვხვდებით ზოგიერთ აზრთა სხვადასხვაობას, რაც დაკავშირებულია საკითხისადმი ტენდენციურ მიდგომასთან.

უდავოა, რომ ამ სერიოზულ ჯანყში თავი გამოიჩინეს პოხრუა მიკიტანმა, რომელიც ციმბირში გადაასახლეს, მინასა კრუაშვილმა— უსტაბაშმა, აგრეთვე ციმბირს გაგზავნილმა (თბილისში დაბრუნებული აქვე გარდაიცვალა) იოსებამ, გამოჩენილმა მოკრივემ, რომელიც „თურმე გუბერნატორსაც შეება ლაპარაკში“ (ასევე გაციმბირებულმა), ალექსი საბაშვილმა, სიღნაღელმა სირაჯმა, ვაჟკაცმა, ორატორმა, ბელადად წოდებულმა, სოსიკო დონდიაშვილმა, ჯანდახ ყაზარაჲ, მოსე კოლოტაშვილმა და სხვებმა.

ამბოხების ამბავი მთელს საქართველოს მოედო. ბარად ჩამოვიდნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი, ასპარეზობდნენ და საბრძოლოდ ემზადებოდნენ. ორბელიანს საფუძვლიანი შიში ჰქონდა: „ვაი თუ სოფელიც დაეხმაროს ქალაქსო!“ — და ჟანდარმთა გენერალი ძინკვიცი მოიხმო, კოჯრიდან შტაბის უფროსი კარცევი დაიბარა.

მინკვიცი გრიგოლს ეახლა, საქმის ვითარება მოახსენა. გრიგოლმა მიუგო, ჩემთვის ცნობილია ეს ამბები, მაგრამ სროლის მომხრე არა ვარო. ამ დროს დაღესტნიდან ჩამოვიდა გენერალ-გუბერნატორი დავით ჭავჭავაძეც. სამივე გენერალი ხალხთან მოსალაპარაკებლად წავიდა.

ხალხმა შეისმინა მათი სიტყვა, დაუჯერეს ნიკოს — მტკიცე ფასებს დავაწესებთ, საქმეს მოვაგვარებთო, ოღონდ თავიანთი უსტაბაშების განთავისუფლება ითხოვეს. გრიგოლი დაჰპირდა.

ხალხი დაიშალა. ისევ გაიხსნა დუქნები, ქალაქში ცხოვრება ჩვეულებრივი გზით წავიდა.

---

* „საისტ. მოამბე“, 1947, ტ. III, გვ. 13 (ლ. შელიქსეთ-ბეგის პუბლიკაცია).

1865 წლის 10 ივლისს თბილისის მოქალაქეთაგან არჩეულმა გავლენიანმა პირებმა — სვეჩნიკოვმა, შიოევმა, თამამშევმა, კონტაძემ და სხვებმა ორბელიანს მიართვეს არზა, რომლითაც სთხოვდნენ ახალი გადასახადების გაუქმებას, რომ ასეთივე უბედურება არ განმეორებულიყო.

ასე იყო თუ ისე, მღელვარება ჩააქრეს. ქალაქის თავი შერმაზან ვართანოვი, განტევების ვაცი, თანამდებობიდან გადააყენეს. მოქალაქეებს თვით მთავარმართებელი დაჰპირდა, ხალხის მიერ არჩეული პირები მიიღებენო მართვა-გამგეობაში მონაწილეობას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ამჭართა უფლებები, პირიქით, შეკვეცეს.

მეფისნაცვალს საკმაოდ დაწვრილებით გაუგია და ჩაუწერია კიდეც არეულობის მონაწილეების ამბავი, მეტადრე აღუშფოთებია სომეხთა „ნაციონალნობისა“ და „მატერიალიზმის“ მოქადაგეთა საქციელს.

მადლობის რესკრიპტში, რაც გრიგოლმა მიიღო პეტერბურგიდან, ბრალი ედებოდათ წამქეზებელთაც, ამჭრის უფროსებს.

გრ. ორბელიანმა მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან მიიღო რესკრიპტი, რომელშიაც მეფისწული სინანულს გამოსთქვამდა, რომ ასეთი რამ მოხდა, ისიც თბილისში, რომელსაც ხელმწიფე ერთგულ ქვეშევრდომად თვლიდა. რესკრიპტში მადლობა ეცხადება ორბელიანს სასწრაფო ზომების მიღებისათვის, მეფისნაცვალი თან რწმენას გამოთქვამს, რომ ეს აღარ განმეორდება.

რესკრიპტი ხალხში გამოცხადდა, მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელმა პეტერბურგში თავაზიანი პასუხი გაგზავნა, დამნაშავეები დაისაჯნენ — ყველაფერი რიგზეაო.

რუსეთის მმართველობამ ამჭართა ამბოხებას პოლიტიკური სარჩული დაუდო. ეს ამბოხება პრესაშიც რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლად მიიჩნიეს. ეს არ იყო სწორი. თბილისშიც ისევე აღუდგნენ უსამართლობას, როგორც რუსეთის იმპერიის ყოველ მხარეში აღმდგარან არაერთხელ. ორბელიანი მთელი თავისი ავტორიტეტით იცავდა ხალხს ასეთი ცილისწამებისაგან.

ამის მიუხედავად, გრიგოლს ბევრი სდებდა ბრალს, ხალხს ესროლაო. მაგრამ ეს მოხდა გვიან, როცა ყველა მშვიდობიანი ღონისძიება ამაო გამოდგა, როცა თვით მთავარმართებელს ქვები დაუშინეს.

ეჭვი არ არის, ვინმე სხვა მთავარმართებლის დროს რომ მომხდარიყო ასეთი არეულობა, ბევრად მეტი ადამიანის სისხლი დაიღვრებოდა. გრიგოლს გარდუვალი მოვალეობის კარნახი ამოქმედება, მეტი ლმობიერება მხოლოდ გაართულებდა ხალხის და თვით მთავარმართებლის საქმეს. იონა მეუნარგიას საყურადღებო შედარება მოჰყავს: დეკაბრისტების დასაშოშმინებლად ნიკოლოზი თვითონ კი არ გავიდა მოედანზე, აჯანყებულებს ტყვია დაუშინაო.

ათასი ჯარის ბრალდება წაუყენეს გრიგოლ ორბელიანს, მისი მთავარმართებლობის დროს მომხდარი „ბუნტის“ გამო, არა მარტო მტრებმა, არამედ მეგობრებმაც. ეს ცნობილი „ბუნტი“ გამოიწვია იმან, რომ ქალაქის მმართველობამ გადაწყვიტა 1865 წლიდან დაწესებულიყო ახალი გადასახადი: 1) ცხენებზე, 2) საშენი მასალების დაწყობის უფლებაზე ქუჩებში, 3) ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე მიწიდან გაჯის ამოღებაზე და 4) სასმელებით მოვაჭრეებს 25 პროცენტით უნდა გადიდებოდათ გადასახადი. ქალაქის სახლის მოედანზე ივნისის თვეში შეიკრიბა „შავი ხალხი“ და აყაყანდა. პოლიციის უფროსმა როსლავლევმა და სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის აღმასრულებელმა ნიკო ჭავჭავაძემ ყველა ზომა მიიღეს, მაგრამ ხალხი ვერ გაჰფანტეს. მოჯანყეებს კი ხალხი თანდათან ემატებოდა, ზოგი სეირის მაყურებელი და ზოგიც ნამდვილად მოთმინებიდან გამოსული მოქალაქენი. არეულობის ამბავი რომ შეიტყო, გრიგოლ ორბელიანი თვითონ მივიდა აღელვებულ ხალხთან. „პოეტს ეგონა, — წერს ი. მეუნარგია, — რომ მისი დამსახურება, გვაროვნობა, მაღალი თანამდებობა, საზოგადო პატივისცემა და ტკბილი ენით ზართალი სიტყვის თქმა საკმაო იქნებოდა ამბოხების დასაწყნარებლად, მაგრამ დიდად შეცდა... შეცდომა შეიქნა იმის მხრივ ისიც, რომ მაიდანზე მოვიდა და ხალხს დაენახა. მთავარმმართველი კავკასიისა, სამასი ათასი ჯარის სარდალი, რომელსაც საკმაო იყო ერთი სიტყვა ებრძანა, რომ ეს ხალხი გამქრალიყო დედამიწიდან, უფრო მძიმედ უნდა მოქცეულიყო, რომ ხალხს შიში ჰქონოდა. რომ დაინახა ხალხმა მთავარმმართველი, მჭადაგებელი, და მთხოვნელი მშვიდობიანობისა, ის უფრო თავს გავიდა. არავითარმა რჩევამ არ იმოქმედა იმაზე“. ვიდრე ორბელიანი დაბრუნდებოდა და ენერგიულ ზომებს მიიღებდა, ხალხი შეცვივდა ბოქაულ ბაშბეუქოვის სახლში,

მოჰკლა იგი და სახლიც აიკლო. ორბელიანის ბრძანებით ავლაბრის ორივე ხიდზე, კუკის ხიდსა და კუკიის საყდართან ჯარებს მოუყარეს თავი. იმ ღამეს სხვა აღარაფერი მომხდარა. მეორე დღეს მოჯანყეებმა ორბელიანს წარმომადგენლები მიუგზავნეს და ახალი გადასახადის გაუქმება მოითხოვეს. ორბელიანმა მოჯანყეთ განუცხადა, რომ მთავარმართებლის დადგენილ კანონს ის ვერ გააუქმებდა და ხალხის წარმომადგენლებს მხოლოდ მეფისნაცვლის სახელზე თხოვნის მიღება აღუთქვა. როცა პასუხით უკმაყოფილო ხალხი ავლაბრის ხიდზე გავლას ლამობდა, ჯარისკაცებმა გაიფრთხილეს, უკან დაბრუნებულიყო. მართლაც, მოჯანყეებმა ჯარს ქვები დაუშინეს, გაისმა თოფის სროლის ხმა და შვიდი დაჭრილი მოჯანყის კივილმა თბილისის ზეცა გაჰკვეთა. შიშისაგან დამფრთხალი ხალხი უკუიქცა და ავლაბრის ხიდთან ორი მოკლული მოჯანყე დარჩა. ორბელიანმა აჯანყებულთა დასაშოშმინებლად ახლადარჩეული ქალაქის თავი აბესალომოვი და მინკვიცი მიაგზავნა. მეორე დღეს ქალაქის ცხოვრება ისე ჩვეულებრივად წარიმართა, თითქოს სრულიად არაფერი მომხდარიყო, მაგრამ ორბელიანს კი „ბუნტის“ ჩაქრობის მერე უფრო მეტი ძალა დაადგა, ვინაიდან პეტერბურგში გაზეთებმაც და მმართველობამაც აჯანყება პოლიტიკურ ორგულობად მონათლეს. გრიგოლს დიდი ჯაფა დასჭირდა, რომ ქართველობისათვის ორგულობის ეს ლაქა ჩამოერეცხა და ოფიციალურ პირთათვის აჯანყების ნამდვილი მიზეზი აეხსნა. „დააფასა კი ყველამ ღირსეულად პოეტის ამ საქმეში მეცადინეობა?“ კითხულობს პოეტის ბიოგრაფი მეუნარგია და თვითვე პასუხობს: «Впрочем, за ним есть политические счеты», გაიძახოდნენ ისინი. მათ ვერ მოუნელებიათ, და ვერ შეუნდვიათ ორბელიანისათვის ის გარემოება, რომ ორბელიანის ბრძანებით თბილისის ხალხს თოფი ესროლეს. რომ არ იცოდნენ ამ მტერმოყვარეთ „ბუნტის“ ამბავი, იმათი უმართებულო აზრი ორბელიანზე იმდენად არ იქნებოდა საწყენი, მაგრამ იმათ კარგად იციან, რომ ორბელიანმა ყოველი ღონისძიება იხმარა ხალხის შეგონებისა, რომ თვითონ თოფის სროლის ბრძანება მაშინ გასცა იმან, როდესაც ხალხმა ქალაქის თავის სახლი აიკლო და ბაშბუქოვის სიხლი დაღვარა, რომ მეორე დღესაც ჯარმა თოფი მხოლოდ მაშინ ესროლა, როდესაც ხალხი ქვის სროლით მიუხდა იმას და უნდოდა ძალით შემოსულიყო ქალაქში. იციან და მადლობის მაგიერ

ემდურიან გულკეთილს კაცსა, რომელსაც მამასავით უყვარდა ქალაქის ხალხი. ემდურიან ვინ? ვიღაც დაუპატიჟებელნი ქალაქის პატრონნი, ვიღაც სახელის შეძენის მქონე ლიბერალნი, ვიღაც ჟურნალისტები, ვიღაც ფინანსისტები, რომელთათვის არც ძველი სამსახური არის, არც ძველი სახელი, არც ძველი გვაროვნება, რომელნიც არც ქალაქის შვილნი არიან — რადგანაც მოშორებიან ამ ქალაქის ტრადიციებს ვითომ განათლებითა, — არც რამე სამოქალაქო წყობის წარმომადგენელნი, რომელთაც გულით და სულით კი არ უნდათ ქალაქისა და ერის მსახურობა, მარტო ენის ტრიალით, თავის გამოჩენით, საკუთარი საქმეების კეთებით. ემდურიან ვის? ისეთ კაცს, რომელიც ჯვარს ეცმოდა ქალაქის ხალხისათვის, რომელსაც მართლა ცოცხლად უყვარდა ეს ხალხი, რომელიც იყო ხორცი ხორცთა მისთაგანი და ძვალი ძვალთა მისთაგანი. თუ რამ საყვედური ეთქმის ამგვარ კაცს, ეს ის, რომ თვითონ მივიდა ამბოხებულ ხალხთან... ამგვარსავე შემთხვევაში; როდესაც პეტერბურგში არეულობა იყო, ნიკოლოზ ხელმწიფე თვითონ კი არ წავიდა აჯანყებულთა შესაგონებლად, პეტერბურგის მიტროპოლიტი და მილორადოვიჩი გაგზავნა და როდესაც ინსურგენტები არ დამორჩილდნენ, იმათ ახალს უწესობას კი არ უყურა, კარტეჩი დააჭრევინა და წამსვე გაჰფანტა მისი ტახტზე ასვლის მოწინააღმდეგენი“.

გრიგოლის პირადი გამოსვლა მეამბოხეებთან იყო მისი მორიგი გაბედული ნაბიჯი და ნიშანი იმისა, რომ მთელი თავისი ბუნებით პოეტი იყო.

„კავკაზი“ 1865 წ. 31 ივლისს მოკლე ოფიციალური ცნობით იუწყება 27—28 ივნისს მომხდარი არეულობის ამბავს, მთავრობის გაფრთხილებას, ამქართა ხელით გადასახადთა ამკრეფ ბაშბეუქოვის სიკვდილსა და მეფისნაცვლის ორბელიანის წინაშე წინამძღოლთა მიერ დადებულ პირობას, რის შედეგადაც ქალაქში წესრიგი აღდგა. არც იმას მალავს, რომ ჯარს მოუხდა იარაღის ხმარება, ამასთან სასიკვდილოდ დაიჭრა სამი და მსუბუქად — 8 კაცი.

როგორც თავის დროზე აღნიშნეს პროფესორებმა შ. ჩხეტიამ, ალ. ფირცხალაიშვილმა, ლ. მელიქსეთ-ბეგმა და სხვებმა*, თბილისის

* საისტორიო მოამბე, 1947, III, გვ. 1—6; საქ. სახ. მეზეიმის მოამბე, V, გვ. 66; Ш. Чхетия, Тбилиси в XIX столетии (1865-ые годы), 1939 г. და სხვ.

ამჭართა 1865 წლის „ჯანყი“ მაინც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო, ვიდრე მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტებში ჩანს. ოფიციალური წრეები ჩქმალავდნენ მის საერთო სახალხო ხასიათს, საერთოდ მეფის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლო განწყობილებას და სასამართლოზეც ცდილობდნენ მის ისე დახატვას, თითქოს ეს იყო მხოლოდ ამჭართა გამოსვლა გადასახადების გამო, განზრახ ამსუბუქებდნენ მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა და თბილისის მოსახლეობის მონაწილეობას.

ამავე გზას ადგა თვით მეფისნაცვალი ორბელიანი, რომელიც ტაქტიანი მოქმედებით, დამნაშავეთა დასჯითა და საქმის გამოძიებით მეფის მადლობას იმსახურებს.

მამათა ბანაკის ბურჯი — იმპერატორის მასპინძელი

დაღესტნიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების წლები შედარებით „ცარიელია“. თუ შეიძლება რაიმე აღინიშნოს, ესაა ოფიციალური ვიზიტები, გაცილებანი, ამჭართა გამოსვლები, მარშლის არჩევნები, ბანკის საქმე და კულტურული ღონისძიებანი, რომლებშიაც მოხუც პოეტ-გენერალს მონაწილეობა მიუღია. მაგრამ არის წლები, როცა მის ცხოვრებაში საგულისხმოს ვეღარაფერს ვპოულობთ.

1866 წლის აპრილში ორბელიანი მეფის ბრძანებით ფარახაბადს წავიდა, კასპიის ზღვაზე, სპარსეთის შაჰის შესახვედრად, შაჰს კასპიის ფლოტილიის ნახვა აინტერესებდა, თანაც გამოცდას იჭერდა, შეეძლებ თუ ვერა ზღვით ევროპაში მოგზაურობასო. მეფე ნახა, იმამი ნახა, ახლა შაჰსაც ნახავს.

„მომაკვდავისათვის ასეთი ბედნიერება იშვიათია, — ირონიულად წერს პოეტი 1866 წლის 5 აპრილს. — ჩემს ამალას შეადგენენ: ბაქოს გუბერნატორი კოლუბიაკინი, პრინცი, თავადნი დათიკო და ვანო ორბელიანნი, გრაფი, ბარონი ზრიუგენი, ლორის-მელიქოვი და ფლიგელ-ადიუტანტი შლიტტერი. ჰხედავ, რა ბრწყინვალე ტიტულები ამშვენებენ ჩემს საელჩოსა“.

იმავე წლის 26 ოქტომბერს ორბელიანი დაინიშნა კავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრად.

ეს იყო თავაზიანი დაქვეითება.

მალე უნდა მომხდარიყო რეფორმა, გენერალ-გუბერნატორობა გაუქმებულიყო და ორბელიანი სამსახურის გარეშე დარჩენილიყო.

ასეც მოხდა.

თავისებური ირონიით ეთხოვებოდა სამსახურს კავკასიის პირველი კაცი:

„გთხოვთ, პატივცემულო ალექსი პეტროვიჩ, მიიღო ჩემგან საჩუქრად ორი ბუდკა (ხულა) და ერთი მოდარაჯე, რომლებიც ნიშნად წარსულის დიდებისა, ჩემს სახლთანა დგანან და, თუ შეიძლება, მხოლოდ ღამღამობით-ღა უდარაჯონ ხოლმე და დაიცვან ჩემი სიცოცხლე“.

ასე სწერდა პოეტი თბილისის კომენდანტს ალექსი ოპიჩინინს.

ეს იყო ირონია დიდებით განვლილი ცხოვრების გზისა და თვით საკუთარი თავის მიმართ. ბრძენ პოეტს არც პატივი უკვირდა, არც წუთისოფლის ამაოება.

იწყება გრიგოლის მყუდრო ცხოვრება. მთელი თექვსმეტი წელი რჩება კიდევ უსამსახურო, თავისუფალი, უცოლშვილო ცხოვრებისა. რამდენი რამე შეეძლო შეექმნა ახლა მაინც, შედარებით მოცლილს, და საყოველთაო პატივით გარემოცულს! მაგრამ გრიგოლმა თითქმის უკვე შექმნა ის, რაც უნდა შეექმნა: სამხედრო და სამოქალაქო დიდება, ძვირფასი დღიურები, წერილები და კიდევ უფრო ძვირფასი ლექსები... მხოლოდ ორიოდე შედევრი თუღა შეემატება მის პოეტურ მემკვიდრეობას თითქმის მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში.

ჯანმრთელად და ბედნიერად განვლო გრიგოლ ორბელიანმა მიწიერი ცხოვრების გზა. ახალგაზრდობაში თუ ხშირად უჩიოდა სნეულებას, წელთა სიმრავლესთან ერთად თითქოს ბუნებამ ჯანის სიმრთელეც გაუმრავლა, რომ ვერც ასაკი, ვერც ცხოვრების ლახვარი ვერას აკლებს. იშვიათად ვიპოვნით ვიწმეს მსოფლიო კულტურის ისტორიაში გოეთეს, ტიციანის, ლეონარდოს და ორიოდე სხვა გოლიათის გარდა, რომ ღრმა სიბერემდე, ოთხმოცი წლის ზღურბლზედაც კი, ასეთი ჯანსაღი გონებით, ფხიზელი თვალით, უნაკლო სმე-

ნითა და კეთილი ხასიათით დარჩენილიყო. ასე ზეზეულად იდგა ჩასვენების დღემდე ეს ბუმბერაზი, სულით და ხორცით საღი, ახლისა და ძველის გამგები პოეტი, სარდალი, მეფისნაცვალი.

შედარებით შეუმჩნეველია და ნაკლებ ცნობილი გრიგოლ ორბელიანის კერძო ცხოვრება სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ. პრესაში თუ გამოჩნდება ზოგჯერ ან საზოგადო საქმეში, თორემ მთელი მისი დრო მიდის სალონებში, წვეულებებში ან შინ, საკუთარ სასახლეში, გარდასულ დროზე ფიქრში. სამწუხაროა, რომ ძვირფასი დრო არ მოახმარა მემუარების ან ახალ პოეტურ ქმნილებათა წერას, შეძთხვევით ბარათებში და პირად საუბრებში გაფანტა ბრძნული აზრები და დაკვირვებანი.

მიხეილ ნიკოლოზის ძის დაბრუნებამ გრიგოლი ისევ მოასვენა.

თბილისის გენერალ-გუბერნატორობა დიდ ჯაფას არ ითხოვდა და მთავარსამმართველოს საბჭოს თავმჯდომარეობა — მით უმეტეს.

ხანდახან შემოივლიან დიმიტრი ჯორჯაძე და მუხრან-ბატონი გიორგი. წერას წყვეტს და დიდად უხარია: საქართველოში ეგენი მიყვარანო, სწერს სოფიო ორბელიანს და გვალვაზე წუხს:

„გვალვა არის საზარელი, დაიწვა მთლად საქართველო. მთაში, ბარში დაჰშვრნენ წყაროები, ქსანზევით რომ ნახო მტკვარი, შეგბრალდებაო“.

სიცოცხლის ბოლო წლებში შინ, მყუდრო სავანეში დაბრუნებული გრიგოლი ფართოდ უღებდა კარს ქართული კულტურის მოამაგეებს, მოღვაწეებს, მოხელეებს, სამღვდელო პირებს და თვით არქიმანდრიტს, რომელსაც ძველ საქართველოზე, რჯულის სიმტკიცეზე, ამბროსი ნეკრესელის ქადაგებათა და ვეფხისტყაოსნის ახლად დაბეჭდვაზე ებაასებოდა.

არ მოსწონდა ახლანდელი ახალგაზრდობის „გაუმსჭვალავი ცხოვრება“, მათი ზნეობა, ქართული ენის უცოდინარობა, რის მიზეზადაც იმას აცხადებდა, ძველ სასულიერო წიგნებს არ კითხულობენო. ამ ახალგაზრდებში მოაქცევს ჩვენი კულტურის ისეთ ბურჯსაც, როგორიც იყო მესხი:

ვერ ისწავლა მესხიმ წერა, ვერა!.. ვერა!..
და არც ჰსჯერა, რომ მან წერა
ვერ ისწავლა, ვერა, ვერა!

საქმე გამწვავდა და გადაიზარდა ცნობილ მამათა და შვილთა ბრძოლად. გრიგოლი, რომელმაც შამილი მოინელა, თაეს ატყდება „ბურთივით მრგვალ ლიბერალს“ — ილიას, აკაკიებს, მესხებს, მეველეებს.

კოღო-ბუზებო,
ლიბერალებო,
ჰკუით გლახებო,
პატრიოტებო,
გზა დაკარგულნო,
წყალ-წაღებულნო,
კატის კნუტებო,
სიდგანა კნავით?

გრ. ორბელიანი აღაშფოთა ანტონ ფურცელაძის „ბაგრატიონთა დიდებამ“. გაოცებული იყო, ილია ჭავჭავაძემ როგორ დაბეჭდაო, მაგრამ ილიას იქნებ არც წაუკითხავს, იმოდენა საქმეები აქვსო!

მეუნარგია, დავით კეზელი და ზოგნი სხვანი გრ. ორბელიანს რუსთაველის შემდეგ პირველ პოეტადაც კი აცხადებდნენ. ამ გადაჭარბებას თავის დროზე ზაქარია ჭიჭინაძეც გამოედავა: თვით გრიგოლმა აღიარა ბარათაშვილის უნიჭიერესობაო!*.

მაგრამ ორბელიანის ადგილზე ქართულ მწერლობაში, მამათა და შვილთა ბრძოლაზე, ჩვენს მკვლევარებს უკვე აქვთ ნათქვამი სიტყვა.

* * *

საერთო საქმემ პოეტი ისევ შეახვედრა დიმიტრი ყიფიანთან.

დ. ყიფიანი ამ დროს უკვე აღარ არის დადიანების მეურვე, თავადაზნაურთა საქმეებს წინამძღოლობს.

როგორც ცნობილია, დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ მის ქვრივს ეკატერინეს და ობლებს მეურვედ დაუნიშნეს ყიფიანი, რომელიც ამ საქმეზე პეტერბურგს წავიდა.

ეკატერინე დადიანისას მიეცა 1 მილიონი მანეთი და თან დ-

---

* ზ. მთაწმინდელი, „ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი“, გვ. 57.

უტოვეს თითქმის მთელი სამეგრელო, სადადიანო, სვანეთი და ლეჩხუმი. ეს საქმე მოიგო „კოლხეთის დედოფალმა“ — თავისი მეფური იერით და დიმიტრი ყიფიანმა — თავისი ნათელი გონებით, დიდი ჭკუით და მჭევრმეტყველებით, რაშიაც ტოლი არ ჰყავდა.

სამწუხაროდ, იმავე ჭკუამ უღალატა, როცა გულუბრყვილოდ ცოლს მოსწერა, „ბარიატინსკის შამათი გავუკეთეო“, — ბარიატინსკიმ, ალექსანდრე მეორის ყოვლისშემძლე მეგობარმა, ეს გაიგო და სამსახურიდან დაითხოვა ყიფიანი. ამასთან ყიფიანს თავს დაატყდა მძიმე უბედურება, მოუკვდა საყვარელი შვილი არჩილი.

ამ მძიმე განსაცდელის ჟამს ყიფიანმა სამოქალაქო დავა წააგო ნიკოლოზ დადიან-მენგრელსკისთან. საქმე ასი ათას მანეთს ეხებოდა. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად ჰაბუკური ენერგიით შეუდგა ბანკის საქმეს და პირველი დაელაპარაკა გრიგოლ ორბელიანს, რომელთანაც დამდურებული იყო: გუბერნიის წინამძღოლად რომ ირჩევდნენ, აკი გრიგოლმა აგემა ბევრი მწარე სიტყვა.

1867 წლის 4 მაისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებაზე გუბერნიის მარშალმა დ. ყიფიანმა წაიკითხა სათავადაზნაურო ბანკის დაარსების თავისი პროექტი და საპატიო პრეზიდენტად დაასახელა გრ. ორბელიანი. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ამ ღონისძიებას, იქედანაც ჩანს, რომ ორბელიანის გარდა კომიტეტის წევრებად დასახელებული იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ი. ანდრონიკაშვილი, ლ. მელიქიშვილი, გ. ლორის-მელიქოვი, გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, გ. ერისთავი, კ. მამაცაშვილი, ვ. ორბელიანი და სხვ.

* * *

1867 წლის 25 მარტს თბილისში ვორონცოვის ძეგლი აკურთხეს.

მეფისნაცვლის მოვალეობის აღმასრულებელმა ორბელიანმა საზეიმო გახსნაზე თავის სიტყვაში თქვა:

„საკმაოდ მოვნოა აგრეთვე ჩემთვის, გამოვუცხადო ჩემი გულითადი პატივისცემა იმის (ვორონცოვის. — ე. მ.) ნაყოფიერს სამსახურს ჩვენის საყვარლის რუსეთის სასარგებლოთ და მის დიდებულს სამხედრო ღვაწლს, რომლით მეც ვამპარტავნებ, როგორც რუსეთის სამხედრო ოჯახის წევრი, დარწმუნებულიცა ვარ, რომ კნიაზის მი-

ხეილ სვიმონისძისაგან დაწყებულნი საქმენი ჩვენთვის ძვირფას კავკასიას მოსცემენ უხვს ნაყოფს კეთილდღეობისას... აყვავდეს ის მხარე, რომელიც იმას გულმხურვალედ უყვარდა...“*

გრიგოლ ორბელიანს განსვენებული ვორონცოვის სახელით მიმართავს ბარონი ნიკოლაი და ოფიციალურად ადასტურებს, რომ მისი ხელქვეითნი აღტაცებულნი არიან მისი მოღვაწეობით, მის დროს და მისი უშუალო ზრუნვით ასრულდა ბევრი საქმე, დაწყებული ვორონცოვის დროს; დასრულდა მომჭანცველი ომი, ვითარდება ხელოსნობა და ვაჭრობა, გაჰყავთ გზები, იზრდება თბილისი და ა. შ.

ორბელიანისა და ნიკოლაის გარდა სიტყვებით გამოვიდნენ დიმიტრი ყიფიანი და ერეკლე გრუზინსკი.

* * *

1869 წლის 1 ივლისს გრიგოლი ისევ იხსენებს წერილით ეკატერინეს, რომლის პატივისცემა, ერთგულება და სიყვარული არ განელებულა მის გულში. თან ბოდიშს იხდის წერილის დაგვიანებისათვის, რომლის მიზეზია „სიბერე თუ ბაგრატიონები“, რომელთაც დაანათლეს ცოტაოდენი ჰიპოხონდრია...“.

წავიდა ეკატერინე თბილისიდან და ყველამ დატოვა დედაქალაქი, დარჩა ისევ გრიგოლი, მერე ვეღარც იმან გაუძლო სიცხესა თუ ქალების რჩევას, კოდას წავიდა, სადაც ამაოდ ელის ბაბალეს, ილიას მეუღლეს, და სხვებს... აძ ლოდინში ქეთევანს, ზაქარიას ქვრივს, დედა მოუკვდა და გრიგოლიც კოდაში დაწყებულ წერილს თბილისში ამთავრებს. ამ ყოველდღიურ ჭირ-ვარამში მიდის პოეტის სიცოცხლე.

მაგრამ ქვეყნის საქმეს მაინც არ ივიწყებს. იმავე წერილში სთხოვს ეკატერინეს, ქართული წიგნის გამოცემის საქმეში დაგვეხმარეო.

1869 წელს არსდება ქართული წიგნის გამოცემის ამხანაგობა. ამ საქმეში გრიგოლი ეკატერინე დადიანისას და მის შვილებსა სთხოვს შეწევნას:

---

* „დროება“, 1867, № 14.

„დიდს პლანებში ვართ აქა ქართულის ენის მოყვარენი: ვაბეჭდვინებთ ძველს ქართულს წიგნებსა, და ვიმედოვნებთ, რომ ეპრეთა საყოველთაო კეთილს საქმეში შეგვეწევით ფულითა თქვენცა, სალოცეცა, ნიკოცა და ანდრიაცა. ქართული წერილი იყო სამასის წლის უწინარეს ქრისტეს დაბადებისა და... რად უნდა დაეცეს წერილი ჩვენი?“

ეკატერინემ ამ საქმეს ასი მანეთი შესწირა, მისმა ვაჟმა ნიკო დადიანმა კი 1885 წელს თავისი საუცხოო ბიბლიოთეკა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ უანდერძა.

გრიგოლ ორბელიანის კერძო წერილებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებიც მოსდევდა. ასე იყო ბანკის საკითხში, საბინინის „საქართველოს სამოთხისათვის“ თანხის გაღების საკითხში, ქართული წიგნის გამოცემისათვის ზრუნვის საქმეში, ქართული ენის წინააღმდეგ სამტროდ ატეხილი სამღვდელოების უკუგდებაში და ა. შ.

* * *

მსოფლიო ისტორიაში კი დიდი მოვლენები ცვლიან ერთმეორეს.

პრუსია-საფრანგეთის 1870—1871 წლების ომში გრიგოლს პირველის მხარე ეჭირა. თუმცა თავს ხუმრობით ნაპოლეონს ეძახდა, ჯავრი სჭირდა ფრანგთა იმპერატორისა და ურწმუნოების გამავრცელებლის დასჯა სურდა. საფრანგეთი მართლაც დაისაჯა. მას შემდეგ, რაც ბისმარკი და ნაპოლეონ III ვერ შეთანხმდნენ და ფრანგებმა ომი დაიწყეს, პრუსიის ჯარებმა 8 აგვისტოს საფრანგეთის საზღვრები გადალახეს და ჯერ ბაზენის არმია გააცამტვერეს, მერე კი, 2 სექტემბერს, სედანთან, არნახული მარცხი აგემეს მაკ-მაჰონს. ტყვედ ჩავარდა 63000 ფრანგი ჯარისკაცი და მათ შორის თვით იმპერატორი ნაპოლეონ III. იმპერია დაემხო. საფრანგეთში რესპუბლიკა გამოცხადდა. გერმანიის ეროვნული ღირსებისათვის დაწყებული ეს ომი მძარცველურ ომად იქცა. ბოლოს საქმე პარიზის კომუნის გამოცხადებით, გმირული ბრძოლითა და კომუნის დამხობით დასრულდა.

ჯერ კიდევ მეცისა და სედანის კაპიტულაციამდე გრიგოლი და მისი ნაცნობ-მეგობრები კოჯორში ხშირად დავობდნენ ომის თაობა-

ზე: ერთნი პრუსიას „იცავდნენ“, მეორენი — საფრანგეთს და ზოგჯერ გაებუტებოდნენ კიდევაც ერთმანეთს. თვით გრიგოლი დასცინის ნაპოლეონ III-ს, რომელსაც „ქალბატონი კარპეკაც კი სულელს ეძახის“.

მეორე დიდ ომში, რუსეთ-ოსმალეთის ომში, გრიგოლმა ღაჭრილთა მომვლელი კომიტეტის მესვეურობაც იკისრა და საგრძნობი წვლილი შეიტანა ამ საქველმოქმედო საქმეში.

* * *

1872 წელი...

ამ წლის 14 იანვარს, „ბებერი შამილი“ უკვე წმინდა ქალაქ მედინადან სწერს ფელდმარშალს... უკან დარჩა დიდი ომის ეპოპეა. შამილის მზე ჩასვენებაზეა. მკვდრის მზეს არც თუ ისე შორეთიდან ელოლიავებიან ერთ დროს სიჩაუქითა და სიმარდით აღსავსე კავკასიის ომების მონაწილე მტერ-მოყვრები.

14 ივნისს კი შამილი ცოცხალი აღარაა: აქლემიდან გადმოვარდა დიდი იმამი, რომელიც ჯიხვის სიმარდით დანავარდობდა კავკასიის მწვერვალებზე და სასიკვდილოდ დაშავდა.

ამ დროს მის დაუღალავ მოწინააღმდეგეს, ინფანტერიის გენერალს თავად გრიგოლ ორბელიანს სამხედრო და ადმინისტრაციული მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილეს უხდიან. საზაფხულო თეატრის ბაღში დიდი ნადიმია.

1872 წლის 7 ივნისს — სწორედ იმ დროს, როცა შამილის დღეები დათვლილია, ქალაქის საზოგადოებრიობამ და სამხედრო დიდკაცობამ აღნიშნა ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობის 50 წლისთავი. მთელი ქალაქის გენერლობა მოვიდა მისალოცად. ცოტა მოგვიანებით თბილისში ჩაბოსულმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ პირადად მიულოცა გრიგოლ ორბელიანს დღესასწაული, ანდრია პირველწოდებულის ორდენი უბოძა და ცნობილ რესკრიპტით „გააბედნიერა“, რომლითაც მის ხანგრძლივ სამოქალაქო და სამხედრო ღვაწლს მაღალ შეფასებას აძლევდა.

მიხეილ ნიკოლოზის ძე ბორჯომიდან ჩამოვიდა და პირადად მიულოცა:

„თქვენი სასარგებლო საქმიანობა და შეძენილი გამოცდილება დავაფასე იმ დღიდანვე, რაც ქვეყნის მართვა-გამგეობას შევუდექი, ხოლო თქვენმა სულიერმა ღირსებებმა ჩამინერგა ეს გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა. ეს იცით, თავადო, და ეჭვი არ გეპარებათ, მაგრამ მოვედი ამ დროს იმისათვის, რომ საჯაროდ გამოგიცხადოთ: ღრმად მიყვარხართ, გაფასებთ და პატივსა გცემთ“*.

დიდი მთავრის სიტყვებმა დააკმაყოფილა პოეტის თავმოყვარეობა.

რა ეთქმოდა გრიგოლს მადლობის მეტი! წყენის ნასახიც არ ჩანს იმის გამო, რომ იუბილეს უხდიან არა როგორც პოეტს, არამედ როგორც მეფის მოხელეს.

„მაგრამ, ბატონებო, — განაგრძობდა გრიგოლი სამადლობელ სიტყვაში“, — ადამიანის სიცოცხლეს შეადგენენ საქმენი მისნი და არა 50 წელიწადი. გამოგიტყდებით, ეს აზრი მუდამ მაკრთობდა, მაშფოთებდა, საიდუმლოებრივი რამ კითხვა მუდამ მდევნიდა, — გამოიღო რამ სარგებლობა ჩემმა სამსახურმა-მეთქი თუ არა? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ დიდებულ ტახტს კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი...

ვიღაც ბოროტს უთქვამს, ამქვეყნად კაცისათვის სრული სიხარული არ არსებობსო. და მართლაც, აგერ, ჩემთვის ესოდენ სასიხარულო წამს უნებურად გულს ნაღველი გადაჰკერია და მაგონებს ბედითად, რომ საუკეთესო ნაწილი სიცოცხლისა უკვე გავლილი მაქვს, აღარ არსებობს; რომ დროა სიცოცხლეს ანგარიში გავუწიო, თვით ეს იუბილეც კი ნიშანია მხოლოდ იმისა, რომ სულ სხვა ცხოვრება მიახლოვდება... მიიღეთ ერთხელ კიდევ ჩემი მადლობა“.

იმპერატორი თბილისში 20 სექტემბერს ჩამოვიდა. საბურთალოს ბანაკში ნამდვილი აღლუმი გაიმართა. მეფემ „დიდის მოწყალებით“ მოიკითხა გრიგოლი, ხელი უბოძა, მერე ჯარს ცხენით ჩაუქროლა, გენერალ-ადიუტანტობა უბოძა თარხნიშვილს და ქალაქისაკენ გაემართა. თან მიჰყვებოდნენ გრიგოლი, ყაფლანი, გიორგი... ხალხით იყო გაჭედილი გზა. ასე რომ, თვით გრიგოლი და მირსკი სიონს გარეთ დარჩნენ, შიგნით ვერ შეჰყვნენ „მის უდიდებულესობას“. სა-

* „დროება“, 1883, № 61, და სხვ.

მაგიეროდ, მეორე დღეს პირადად დაიბარა, იუბილე მიულოცა და თავისი ხელით გადასცა ორდენი. ამას მოჰყვა დიდი მიღება. მეფე თავის სიტყვაში ხაზგასმით ამბობდა: „ჩემი ერთგული ქართველი თავადაზნაურობა“.

შუადღისას ლისის ტბასთან მანევრები გაიმართა, საღამოს — სადილი, მერე დიდკაცობა თეატრში წავიდა, და მთელი ამ მომქანცველი ცერემონიალის სული და გული გრიგოლი იყო. დაღლილმა პოეტმა დიდ მთავარს ჰკითხა: მეფე არ იღლებაო?

— იღლება და აი, როგორ: ახლა ეს ზღვა ქაღალდები უნდა შეავსენო, ღამის ორ საათამდე ვერ მოვრჩებით. დილის ექვს საათზე კი ფეხზეა.

— Тяжела шапка Мономаха! — გაიხსენა პოეტმა პუშკინის სიტყვები.

იმპერიის უმაღლესი ჯილდო — ანდრია პირველწოდებულის ორდენი — გრიგოლმა აკი პირადად მეფე ალექსანდრესაგან მიიღო!

ამ შეხვედრას გრიგოლი ვრცლად აღუწერს რძალს სოფიოს.

ხელმწიფეს მოსწონებოდა დაღესტნის გზები.

— ვინ იფიქრებდა ამ ათი წლის წინ, რომ მე შეივლიდი დაღესტანს და მცველად მეყოლებოდნენ ის ნაიბები, რომელნიც შამილის ჩვენი დაუძინებელი მტრები იყვნენო! — თქვა იმპერატორმა.

— ეს ქვეყნის გონივრულად მოვლა-პატრონობის შედეგიაო,— ჩაუკრა სიტყვა პოეტმა.

22 სექტემბერს გაიმართა დიდი ღრეობა და სადილად ათი ათასამდე კაცი დაჯდა. ცხადია, ესეც ისტორიული მოვლენაა, მაგრამ ამაზე უფრო საინტერესო მოვლენა ის იყო, რომ სამოცდაათ წელს მიღწეულმა პოეტმა კადრილი იცეკვა. მეფემ რომ ეს დაინახა, „კნეინა ანეტას“ მიუბრუნდა:

— გრიგოლ დიმიტრის ძემ მაგალითი მოგვცა, ჩვენც უნდა მივყვეთო!

ასე „მიჰყვა“ ჩვენს პოეტს რუსეთის იმპერატორი.

23 სექტემბერს მეფე და მისი „ლომი“ ვაჟიშვილები სანადიროდ წაიყვანეს. მეფემ ტახი მოკლა, უფლისწულმა ირემი, მთავარმართებელმაც — ტახი.

ბოლოს, 24 სექტემბერს, მეფემ მუზეუმი და დაწესებულებები

ინახულა, სპარსთა ელჩი მიიღო, და ისევ სადილი გაიმართა. შერე კი ბორჯომის და ქუთაისის გზით ყირიმისაკენ გაეშურა და „ერთგულ ქვეშევრდომი საქართველოს“ საზღვრები დატოვა.

მხოლოდ ახალი თაობის მოუსვენარი პოეტები უშფოთებენ სიმშვიდეს მეფური პატივით გარემოცულ ბერიკაცს. განსაკუთრებით აკაკი.

„დროების“ 1872 წლის 28 ივლისის ნომერში დაბეჭდილია აკაკი წერეთლის ცნობილი ალეგორიული ფელეტონი „ახმედ-ფაშა კახაბერი“. კახაბერად გამოყვანილია გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც ახალგაზრდობა აფასებს, „თითქმის ღმერთად ხდის“, მაგრამ ქვეყნის სასარგებლოდ ვერაფერს აკეთებს, რადგან „მაღალ ხარისხზედ ვდგევარ და ვერა ვბედავო, თითქოს უშლიდეს ვინმე!“ ფელეტონი თავდება ლექსით „ფარშევანგი“. უცხო წალკოტში მშვენიერი ფარშევანგი იყო. კვერცხის დება არ იცოდა, ჰქონდა მხოლოდ კარგი გული. ერთ მშვენიერ დღეს ფარშევანგი გაქრა, მის ნაცვლად იპოვეს დათვი, და პოეტიც გესლიანად ხუმრობს:

„გვასწავლეთ, საით გაფრინდა
ის ჩიტი ღვთით-მადლიანი
და მოგვაშორეთ, არ გვინდა
ეს დათვი ორ ბელიანი!“

„დათვი ორბელიანი“ კი დინჯად ზის და დაღესტნის დათოვლილ ჭაღარა მთებს თავის თავს აგონებს.

მოგონებებით ცოცხლობს ჭარმაგი პოეტი. ახალსაც ამჩნევს და აფასებს, მაგრამ საუკუნის, — ამ ორთვალა ციკლოპის, ის თვალი უკეთ ხედავს, რომელიც წარსულისაკენ არის მიპყრობილი. თანდათან იცლება წარსულის გალერეა. ასპარეზიდან მიდიან, ბერდებიან, კვდებიან მისი მებრძოლი ამხანაგები. წუხს, ოხრავს პოეტი და ძველ ელვა გამოუკრთება თვალებიდან, როცა რომელიმე თანამებრძოლი გაიხსენებს. ასე, 1873 წლის 24 აპრილს, პოლკოვნიკ ივანე სარანდოვს საპასუხო წერილში სწერს:

„მეგობარო ჩემო, ივანე პავლეს ძევ! ცოცხალი ხარ და ისიც მთელი ოჯახით! მადლობა ღმერთს! რა მადლობელი ვარ იმ ნამდვილი სიხარულისათვის, რომელიც შენი წერილის წაკითხვამ მაგრძნობინა.

თითქოს საიქიოდან მიმელო! გაიღვიძეს სწრაფად გამქრალი ჩვენი ლამაზი ახალგაზრდობის დიდი ხნის მოგონებებმა, სულის სიღრმეში დამარხული, ბედნიერების იმედები და უზრუნველი სიხარული რომ ახლდნენ მუდამ. ქვეყანა მაშინ ჩვენ გვეკუთვნოდა. ყოველივე ჩვენს ხელთ იყო. თავისუფლება, მეგობრობა, სიყვარული ცხოველმყოფელ შუქსა გვფენდნენ და ჩვენც, დაბრმავებულთ, გვჯეროდა, რომ ყოველივე უცვლელად დარჩებოდა! მაგრამ იქნება ეს ახალგაზრდული სიბრმავეც არის ის ჰეშმარიტი ბედნიერება, რომელსაც ადამიანი დაეძებს უველგან?.. წარვიდა ჩვენი ახალგაზრდობა... თან გაჰყვა ყოველი მშვენიერება, რომელიც სულს გვინათლებს და გვიმაღლებს და თვალის დახამხამებაზე უეჭველად აყვარებს ყოველსავე კეთილსა, პატიოსანსა, ყოველსავე დიდებულს საქმესა და მსხვერპლსა!..“

ეს ნამდვილი რომანტიკული ღაღადისია და არა კერძო წერილი. აზრის სიღრმით, გარდუვალობის განცდითა და ბედთან ძალაუნებური შერიგების ასეთი დეკლარაცია იშვიათია თვით ევროპის გამოჩენილ რომანტიკოსთა ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში.

დაღესტნის ქედმოუხრელ გმირთა რომანტიკულ სამყაროს ცხოვრება ასევე პოეტურ ფერებშია გახვეული გენერალ-გადლეკისთან მიწერილ წერილში 1871 წლის 12 დეკემბერს:

„... მერე, სად არიან ახლა ის ამხანაგნი, რომლებთანაც მეგობრობა ძნელმა და მძიმე ლაშქრობამ გაგვიმტკიცა? ზოგი მათგანი სამუდამო ძილს მისცემია დაღესტნის მთებსა და ჩაჩანთა ტყეებში, სხვები კიდევ დედამიწას მოჰფენიან ზურგზე. ცოტანი-ღა დავრჩით! . ნუთუ მართლა კავკასიაში იყო ასეთი გამწვავებული ომი და ამ სისხლის ღვარში ჩვენ ვიღებდით თვითონ მონაწილეობას? იქნება უსაქმური ხალხის რამ მონათხრობიც იყოს? უნებურად მებადება ასეთი კითხვები, დღეს რომ დაღესტანსა და მთლად კავკასიაში დაუჯერებელსა და ღრმა მშვიდობიანობას ვხედავ გამეფებულს. მორჩილებით გადაწოლილა ეს ბუმბერაზი ერთი ზღვიდან მეორემდე და არარა იცი, მკვდარია თუ სძინავს. ქარავნები უდარდელად მიმოდიან. უფსკრულებზე რკინის ხიდები გაუდვიათ, ღუნიბს ეტლები მიჰქრიან. არსად ხსენება მტრობისა, არც სიძულვილის! ნუთუ ეს სასწაული არ არის?“

მართლაც, სასწაულს ჰგავდა ერთი თაობის ცხოვრებაში ასეთი

ცვლილებანი. შფოთიანი მხარე მორჩილი გუბერნიის წარმადგენლობაში შევიდა, ლეკებიც შეტ ხარკს იხდიდნენ, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხი იმპერიაში (წერილი დონდუკოვ-კორსაკოვისადმი). საქართველოშიც იცვალა ხალხის ზნეობა: ყიზილბაშები მოხელეებმა შეცვალეს, ყარაჩოღლები — კინტოებმა და მატყუარებმა, რუსთაველის ენა შეირყვნა, ქალისა და კაცის ზნე დაქვეითდა, ფასი დაკარგა სიტყვამ, ხანუსის ქუდმა, ულვაშმა...

აი, ამ დარდებში იწურება ორბელიანის სიცოცხლე.

თავადაზნაურობის დაქვეითებამ, თავისი წოდების მზის ჩასვენებამ ხომ სიცოცხლე მოუწამლა გრიგოლს! ბარიატინსკის სიმამრის, პოეტ დიმიტრი ორბელიანისადმი მიწერილი წერილი ერთიანი გოდებაა ამ განწირულობის გამო:

„მოვიდა ჩვენზე წარღვნა და არსადა სჩანს ახალი ნოეს კიდობანი, სადაცა შეეფაროთ თავი ჩვენი, არსადა სჩანს გამომხსნელი! ვითხოვეთ მილიონი სესხად ხაზინისაგან სამის პროცენტით... ეს იყო ჩვენი იმედი და ღონისძიება და მინისტრმა გვითხრა: უარი. და ან მინისტრი რას დასდევს ჩვენს განწირულ მდგომარეობას და საუკუნოდ დაეცემა ჩვენი თავად-აზნაურობა, რომლის სახელი პატივისცემით იხსენებოდა თვით ინდოეთშიაცა... ჩვენთან ერთად იღუპება მთლად გლეხობაცა: კახეთის ვენახები ერთიანად დაგირავებულია სომხების ხელში, ისე რომ, თავის დღეში ვერ გამოვლენ ვალიდან"...

ასეთი სასოწარკვეთილებითაა ნაკარნახევი პოეტის მაშინდელი წერილები ლორის-მელიქოვის, მირსკის, ვორონცოვ-დაშკოვის, ივანე ამილახვრის და სხვა ოფიციალური პირებისადმი.

გენერალ-ლეიტენანტ ამილახვარს გრიგოლი 1861 წელს საფუძვლიანად უხსნის მაღალი წოდების გაღატაკების მთავარ მიზეზს: ჯერ სამღვდელოება ჩამოაცილეს, მერე აზნაურობა, ბოლოს გლეხებიც გაათავისუფლეს, და რაღა დარჩათ თავადებს? ნაგლეჯი მიწები და ვალები.

მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა გრიგოლი დანიშნა იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც უნდა დაედგინა, ვისთვის რა ეპატიებინათ „პრიკაზის" ვალიდან. ღარიბებს მთლიანად ეპატიოთ, საშუალო შეძლების მოვალეებს — ნახევარად, მდიდრებს კი არაფერი ეპატიოთო, — ასეთი გონივრული იყო გრიგოლის მრჩხოვნა. მაგრამ

ორბელიანი ამ საქმის დასრულებას სიცოცხლეში ვერ მოესწრო, მთავრობამ კი ყველას ერთნაირად აპატია ვალის ნახევარი.

იონა მეუნარგიას მოსწრებული თქმით, ორბელიანთა ქონებრივ სიღარიბეს ზედ დაერთო სისხლის სიღარიბეც: აღარავინ იბადებოდა ჯამბაკურიანთა დიდებული გვარიდან. თვითონ გრიგოლი უშვილოდ გადაეგო, უდროოდ დაიღუპა ზაქარიას ერთადერთი ვაჟი, უშვილოდ მოკვდა დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანიც.

„დავმარხეთ საბრალო დიმიტრი, ვახტანგის შვილი, ორბელიანი, ქაშუეთის ეკლესიაში და ამოწყდა ამის სახლიცა, — სწერდა ამის გამო პოეტი ვანო ორბელიანს. — ოჰ, ღმერთო, რა საშინლად ჰქრება ჩვენი ვეება ოჯახი, რომელზედაც ჰსჩანს ცხადად ზეგარდმო რისხვა! სარდლიანთ ოჯახიდამ არის მხოლოდ უშვილო ივანე; ასლანის ოჯახი გაჰქრა, როგორცა ამოვარდა გიორგის ოჯახი; იოსების სახლიდამ დარჩით გიგო, შენ და სანდრო, სამნივე ჭანები*, უშვილონი; სტისიკოს სახლში ჰსდგას პოღოზოვი, სამარაღდონოის სახლში—საგინოვი; ალექსანდრეს ადგილს — აბოვიანცი, — ძაღლი და მამაძაღლი; ჩვენ სამთა ძმებთაგან დაგვრჩა მხოლოდ ერთი გიორგი!! არის ქაჩალი კოტე, ყალში დაღუპული და მასთან ერთად დაღუპულივე პაიკა საშა**.

ჩვენ, ყაფლანიანნი, ვიღუპებით, მაგრამ არცა სხვანი ბედნიერობენ. მოგვდევენ დიდად გაჩქარებული სოლოღაანნი, ბარათაანნი, ერისთავნი, აბაშიძეანნი, თარხნიანნი, ჭავჭავაძიანნი, ვაჩნაძიანნი, და სხვანიცა და დიდად სცდილობენ, რომელი მათგანი უფრო მალე დაიღუპება!“

1882 წლის 29 იანვრის ეს წერილი ნამდვილი გულახდილი ღაღადისია, ირონიული მსჯავრია, საკუთარი აგონიის შეგნებით ნაკარნახევი და ძლიერი ფეოდალური გვარის უკანასკნელი დიდი მოჰიკანის ბაგიდან დაცდენილი. არავის დაუტირებია უფრო ხატოვნად თავისი შოდგმის დაისი.

ყაფლანის დაკარგვამ ხომ უკანასკნელი წვეთი შხამით აავსო მოხუცი პოეტის ფიალა და სამსალა შეასვა:

---

* უშვილონი.

** იგულისხმება ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანი.

„დიდი ხანია ველარ მოგწერე და ან რა მომეწერა გულით ღრმად შეწუხებულსა, ეხედავ რა ჩვენის ოჯახის ესრეთ გაწყალებასა, ესრეთ გაოხრებასა! ვიყურები აქეთ-იქით და აღარა მყავს ვინმე, რომ გავსცე ხმა. ჩემს ჭუჩაში უცნობი შევიქენ სხვათათვის! იმოდენა ოჯახიდამ მყვანდა ერთი-ღა ბიძაშვილი, სიყრმითგანვე თანშეზრდილი, საყვარელი ყაფლან, და ისიცა დავმარხე! ვაი ჩვენს ოჯახსა, ასე უწყალოდ დაცემულსა! რა შეცოდება ჰქონია წინაშე ღვთისა, რომ ასე საშინლად ისჯება ჩვენი გვარი, გულით მართალი, შემბრალებელი, გონებიანი, ვაჟკაცობიანნი, მოყვარე ნათესავებისა და ერთგული მეგობრებისა, მამულისათვის ყოველს დროს თავდადებული! (1878 წლის 24 აგვისტოს წერილი)“.

იგივე ესმის რევაზ ერისთავს გვიან, 1882 წლის 8 იანვრის წერილში:

„არა, ჩემო რევაზ, სულ ტყუილია ჩვენი მეცადინეობაცა, ჩვენი სურვილიცა, ცხადად სჩანს რისხვა ღვთისა ჩვენზედა მოვლენილი და ვიღუპებით! აღარავინ გვებადება, აღარავინ გვეზრდება; ხმა საიდუმლო მესმის: „აქამდის იცოცხლეთ, კმარა, გეყოფათ, აიყარენით!“

ორბელიანთა საგვარეულოს უკანასკნელი მოჰიკანის სასოწარკვეთილების ეს ნაკადი სათავეს შორიდან იღებს.

სანდრიკოს უდროო სიკვდილით დამწუხრებულ გრიგოლს მთავარ ნუგეშად რჩებოდა მეორე ძმის, ილიას შვილი, გიორგი. პოეტის ბიოგრაფმა ამამდე წერილი შეკრიბა, როგორც უნიკალური ძეგლი ძმისშვილისათვის ზრუნვისა. გიორგის ყოველ ნაბიჯს კითხულობს, მის ჯანმრთელობასა და სწავლის მდგომარეობას ეკითხება რძალს, რჩევას აძლევს, ფულს უგზავნის, დარდობს, სთხოვს, მომწერეო ყველაფერი.

„შენ და გიორგი მთელ ქვეყნად მიმაჩნიხართ“, — სწერს 1865 წლის 1 მარტს.

„იცი შენა, თუ რამ აზრი აქვს ჩემთვის სიცოცხლესა და რამ სიამეს მოველი მისგან, რასაკვირველია, მხოლოდ თქვენ გამო, შენისა და გიორგისა!“ — არწმუნებს ბარბარეს.

„თავადი ორბელიანი უნდა უთუოდ ნასწავლი, ჭკვიანი, კეთილი და მტკიცე ხასიათისა იყოს. ცუდია უამათოდ თავად ორბელიანობა“, — აფრთხილებს 1865 წლის 23 აპრილს.

„პალტოს მაგიერ გიორგის შესამოსად ათასი მანეთი უნდა გამოგიგზავნო“, — სწერს 1871 წელს.

როცა გიორგი საზღვარგარეთ იყო, პოეტს ეშინოდა, რომ პარიზში „ღვთის საწინააღმდეგო“ აზრებს არ შეერყვნა, ხოლო როცა მცირე ასიაში მოხალისეებს წინამძღოლობს, ხელიდან კალამი უვარდება, ისე ედარდება.

„მივდივართ ორბელიანნიც. საშველი არსით არის, მივდივართ!“ — და ხშირად იმეორებდა პუშკინის სიტყვებს:

Так вот судьба твоих сынов,
О, Рим, о громкая держава!

შავი ფერებით ეხატება მოხუც ორბელიანს საქართველო, ზედავს სიღარიბეს, სიმხდალეს, ენის შერყვნას, მწერლობის დაქვეითებას, ეკლესიების დაცარიელებას... ცხადია, აქ არამცირე როლს თამაშობს ხანდაზმული პოეტის პესიმისტური გულგატეხილობა, რაც უშლიდა შეენიშნა ახალი ცხოვრების მაჯისცემა, მწერლობის მძლავრი აღორძინება, ქვეყნის წინსვლის მბეჭუტავი იმედი.

1874 წლის „ცისკრის“ ივლის-აგვისტოს ნომერში „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა გრ. ორბელიანის ცნობილი „პასუხი შვილთა“, რომელშიაც ამაყად აცხადებს:

მამანი თქვენნი,
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები,
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!..

ამრიგად, „მამათა“ ბანაკის ბურჯებს — გრიგოლ ორბელიანს, პლატონ იოსელიანს და სხვებს დაღესტახსა და თურქეთ-სპარსეთის ფრონტებზე ბრძოლა და რუსეთის იმპერიის განდიდება დიდ და სახსახელო საქმედ მიაჩნდათ. ამ წმინდა საქმეს შეალიეს მათ თავიანთი ახალგაზრდობა და მხედრული გონებრივი შემართება. ამიტომ იყო, რომ გრიგოლ ორბელიანს, მიუხედავად ცით მიმადლებული მაღალი პოეტური ნიჭიერებისა, ცოტა დრო დარჩა პოეზიისათვის. როცა

შეეძლო, ვერ მოიცალა და როცა დრო ჰქონდა, მაშინ ერთი-ორი გამობრწყინების გარდა პოეზიისათვისაც დაუზრა ყვავილი და შემოეძარცვა ხე ცხოვრებისა.

გულის სალახვრო ამბავი

„მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააკნო, მშვენიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა“.

იაკობ ცურტაველი.

ვითარს წარმატებაში და ბედნიერებაში შევა საქართველო, როდესაც ჭკუანაზე განკრება სახსენებელი ქართულის ენისა... აქ ხომ ჰაზრი არ არის, თუ არ დაეანგება გონებისა!

1872 წ., წერილი სოფიო ორბელიანისადმი.

ზემოთ ლაპარაკი გვქონდა მოხუცი პოეტის უიმედობაზე, რაც მის წერილებშიც აისახა. მაგრამ ეს უიმედობა პოეტს არ უშლის, რომ მონაწილეობა მიიღოს ქართული მწერლობის ღირსებისათვის ბრძოლაში, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაში, ქართული გიმნაზიის რეაქციონერ მესვეურებთან ბრძოლაში, მოსწავლეებს რომ ცილსა სწამებდნენ და რუსებად და ქართველებად მათი გაყოფა განიზრახეს ვერაგული ზრახვით...

1872 წლის 5 იანვარს ეკატერინე დადიანს ატყობინებს, სოლოგუბის ალავერდი ვთარგმნეო. „სიტყვა-სიტყვით თარგმანი არ ევარგებოდა, ამის გამო გადმოვიღე მხოლოდ ჰაზრი სალაღობისა და განვავრცელე ქართველთა ჩვეულების ჩამატებით, და ახლა არ ვიცი, ეს ჩამატება მოუხდა თუ არა? მსაჯული ამისი თქვენ ბრძანდებით“.

სოლოგუბის ხსენებული ლექსი უთარგმნია მამია გურიელსაც.

გამოხმაურებია დავით ერისთავიც. გრიგოლ ორბელიანის თარგმანი, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა დადიანების არქივში*.

1872 წლის 2 ოქტომბრის წერილით გრიგოლი გზას უღოცავს სიძესთან პარიზში მიმავალ ეკატერინეს და სთხოვს, ჩაუკოცნოს სალომე ქმრითა და ორი შვილით.

ამავე წერილში ატყობინებს, რომ მის მიერ ქართული წიგნების გამოსაცემად შეწირულ ათ თუმანს ჯერაც თვითონ ინახავს, რადგან საქმეს თავი ვერ მოება.

1872 წელს, როცა ბნელეთის მოციქულებმა ქართული ენის სწავლების აკრძალვა სცადეს და ამ ბარბაროსულმა ღონისძიებამ საზოგადოება უკიდურესად აღაშფოთა, ქართველი სამღვდელოება შეიკრიბა და ქომაგობა სთხოვა ქვეყნის ბურჯს — გრიგოლ ორბელიანს.

იმ ხანებში, 1872 წელს, გარდაიცვალა ალექსანდრე ორბელიანი, მანანას ვაჟი. გრიგოლს ეს დიდმა მთავარმა მიხეილმა აუწყა. პოეტს „ყელი შეეკრა“, ხმა ვერ ამოიღო, დაღრეჯილი მივიდა შინ...

„აქ დამხვდა ერთი კარგი სხვა ამბავიო, — განაგრძობს პოეტი ლევან მელიქიშვილისადმი მიმართულ წერილში (1872 წლის 25 ოქტომბერი). ჩვენს სემინარიაში უნდა აღუკრძალონ სწავლა ქართულისა ენისა, რადგან არა აქვს ამ ენას მდიდარი ლიტერატურა, და ამის მაგიერ უნდა შემოიტანონ ბერძნული ენა. საწყალი სულხანოვი, რომელსაცა არ მოსწონებია ეს განკარგულება და უთქვამს, რომ საქართველოში მღვდლებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა, დაუთხოვიათ სემინარიიდამ, ვითარცა წინააღმდეგი მმართველობისა და საშიში კაცი. ამ ამბებმა ერთმანეთზე დაერთებით ამიშფოთეს გული. იმ ღამეს მომცა სიცხე და მხოლოდ დღეს შევძელ ადგომა და გწერ ჩემ დარდებსა. თათრები იტყვიან... რომელი ერთისათვის ვიდარდოო?—შეცდომა შეიძლება ვითარცა კაცისაგან, ეგრეთვე მმართებლობისაგან, მაგრამ აღკრძალვა ქართულთა ლოცვისა ქართველთ ეკლესიაში, სისულელეზე უარესია... ფრანგები** თავისუფლად ილო-

---

* იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომები, 1947, გვ. 297—344, ს. ცაიშვილის შენიშვნა.

** ქართველი კათოლიკები, ს. ცაიშვილის შენიშვნა.

ცვენ ქართულს ენაზე და მხოლოდ ქართველებთა კი უნდა მოუსპონ ქართულად თქვან „წმინდაო ღმერთო?“ განა პოლიტიკა ითხოვს ამასა?.. რაღა ქართველებზე მოიტანეს ძალი ქადაგებისა გასაქრისტიანებლად?.. უსამართლობა და ძალადობა მარადის ჰბადვენ უსიამოვნებასა, ყვედრებასა, წყევასა და თვით ორგულობასაცა. მიკვირს, რად უჩუჩხურებენ ამ საბრალოს, მორჩილს, კეთილს და ერთგულსა ერსა? სამწუხაროა, კნიაზო ლევან, რომელს საუკუნეში ვჰსცხოვრობთ?

ამ დღეებში ვეახლები ველიკი კნიაზსა განგებ ამ საქმისათვის და იმედი მაქვს, რომ არ იამება ესრეთი განკარგულება დაბრმავებულის სამღვდელოსი და მოიხმარებს ყოველსა ღონისძიებას, რათა ჩაშალოს ეს პროექტი, რომელიც არის ცხადად ძალადობა და ჩაგვრა ერისა...“*

ეს უაღრესად საგულისხმო წერილია. სხვათა შორის, აქედან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანსაც უჭირდა ბევრ შემთხვევაში, მიუხედავად მთელი თავისი დამსახურებისა და მაღალი მდგომარეობისა, ერის საკეთილდღეო ბრძოლა, ბნელეთის მოციქულებთან ანგარიშის გასწორება, რომ ამ ცნობის გაგონებაზე ლოგინად ჩავარდნილა, მეფისნაცვალსაც იშველიებს, და მეორე დიდ მამულიშვილს — ლევან მელიქიშვილს შესჩივის, მოუწოდებს ამ შავბნელი, უაზრო ღონისძიების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლის გატარებას არ მოიწადინებდა არც ერთი გონიერი მმართველობა, ერის კეთილდღეობისათვის მზრუნველი არც ერთი მთავრობა.

ლევანი ამ დროს დიდი გავლენიანი მოხელეა და გრიგოლ შემთხვევით არ სწერს მას. აქ საჭირო იყო ერთობლივი ბრძოლა და ამ ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია: უგუნური ღონისძიება შეფერხდა.

გრიგოლმა ეს საქმე მართლაც მოახსენა მიხეილ ნიკოლოზის ძეს. მთავარმართებელმა დახმარება აღუთქვა, თუმცა უხალისოდ და უგუნებოდ.

რამდენიმე დღის შემდეგ პოეტი ხელახლა მივიდა მეფისნაცვალთან, რომელიც ნაწყენი ჩანდა:

---

* წერილი მთლიანად გამოაქვეყნა ს. ცაიშვილმა ზუგდიდის მუზეუმის შრომებში, 1947, გვ. 313—315.

— თავადო ორბელიანო, მე ვნახე ეგზარხოსი და მითხრა: ქართული ენისათვის სემინარიაში ხელი არავის უხლიაო. როგორ მოხდა, რომ თქვენთვის ტყუილი მოუხსენებიათ?

— თქვენო უდიდებულესობავ, მაშ მეც და მთელი თბილისის სამღვდელოება მტერი ვყოფილვართ ქართული ენისა.

— არ ვიცი, რა ხართ, — და მთავარმართებელი ტრუბეცკოის მიუბრუნდა: თავადო, ხვალ დილას ყველაფერი მზად იყოს სანადიროდ.

გრიგოლის თვალსაზრისი კარგად ჩანს რძალ სოფიოსადმი მიწერილ, მწარე ირონიით აღსავსე წერილში:

„ჩემო საყვარელო რძალო სოფიო! იყო კაცი და სახელი მისი — არ ვიცი* — მღვლინებული ამ ზაფხულს სინოდით რევიზორად თბილისის სემინარიასა. რა ნახა და ანუ რა არა ნახა, რა მოგახსენო, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ, როდესაც ღრმასა მაღალ-გონიერების ქვაბში დაადნეს სემინარიის საქმენი, გამოვიდა ბოლოს ესე, რომ მმართველობისა მოუწყვეტელმა მზრუნველობამ აღიყვანა განათლება და კეთილდღეობა საქართველოსი ისეთს მაღალს ხარისხზე, რომ ამას იქით ქართველის მღვდლისათვის საქართველოში აღარ არის საჭირო ცოდნა ქართულის ენისა, ესე იგი, აღარ უნდა ილოცონ ქართველებმა ქართულს ენაზე, რომლისა სწავლა ამას იქით იქნება მხოლოდ უსარგებლო დაკარგვა დროისა, მაშასადამე, სემინარიაში უნდა მოისპოს სწავლა ქართულისა ენისა, რომელსა ამასთანავე არცა ჰქონია მდიდარი ლიტერატურა. ასე არჩიეს ამ ზაფხულსა არქიერმა, რევიზორმა და მეტადრე ერთმა ქართველმა მღვდელმა, რომელმანცა თავგამოდებით, გულს მოდგინებით და დიდის მჭევრ-მეტყველებით რჩევაში დაამტკიცა, თუ ვითარს წარმატებაში და ბედნიერებაში შევა საქართველო, როდესაც ქვეყანაზე განქრება სახსენებელი ქართულის ენისა! ჯერაც ცოცხალია ქვეყანაზე გამცემელი იუდა. ამა გულისალახვრო ამბავმა დაგვაწყებინა ყაყანი; დიდ მთავარსაც დიდად ეწყინა ესრეთი სინოდისა და არქიერისაგან განკარგულება, რომელიცა შეეხება აქაურსა მხარესა, თვითცა აპირებს მომავალს თვეს პეტერბურგში წასვლას — და იმედი გვაქვს, რომ დაბრმავებულის

* იგულისხმება კერსკი.

სამღვდელოს პლანსა ჩააშლევინებს... რათა? აქ ხომ ჰაზრი არ არის, თუ არ დაჩლუნგება, დაჟანგება გონებისა? და ან საქართველოსა ერთგულების მეტი რა დაუშავებია, რომ ესოდენთა სხვა-და-სხვა ხალხთა შორის მარტო ქართველები ამოურჩევიათ დასაჩაგრავად? აი საქართველოს ბედი: მოვა ვინმე, თუ გინდა რევიზორი, თუ გინდა კარპეკო*, გადაავლებს თვალსა აქაურობას და მაშინვე პლანი მზად არის ჩვენი ბედნიერებისა და განათლებისათვის! ამაზე მეტი რაღა გვინდა?“

ეს ის დრო იყო, როცა ქართულ გიმნაზიაში კრძალავდნენ ქართულ ენას და იქ თავისუფლად დაბრძანდებოდნენ მეფისწულები.

ი. მანსვეტაშვილის მოგონებით, თბილისის გიმნაზიაში დიდის ამბით დადიოდნენ დიდი მთავრის მიხეილის ვაჟიშვილები: აქაოდა თავმდაბალი ვართო. მოვიდოდნენ ადიუტანტების თანხლებით. დაბრძანდებოდნენ, დაყიალობდნენ, ხმას არავის სცემდნენ, და თვით დირექტორი გამოჭიმული დაჰყვებოდა მოსამსახურესავით. ეს კომედია გრძელდებოდა მთელი წელიწადი: ცნობილია, რომ ამ ერთი უფლისწულთაგანი — ნიკოლოზ მიხეილის ძე 1918 წელს დახვრიტეს.

* * *

1875 წლის 28 იანვრიდან 3 თებერვლამდე ქართლ-კახეთის ორასამდე თავადი გამუდმებით იკრიბებოდა ბანკის საკითხზე, იყო სჯა-ბაასი, შეხლა-შემოხლა, ჭკვიანური და მკვახე სიტყვა-პასუხი. „დროების“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „ბაასი და მოლაპარაკება სულ ქართულს ენაზე იყო“ და თანაც „პარლამენტალური წესით საქმის გადაწყვეტა ქართველებისათვის ზედგამოჭრილი ყოფილა**.

ბანკი დაარსდა. კრება საერთო მადლობას უცხადებს გრ. ორბელიანს, რომელმაც ბანკისათვის 60000 მანეთის ჩუქებაში ცხოველი მონაწილეობა მიიღო.

---

* კარპეკო თუ კარპეკა — „ტულიდან ჩამოსული ჭალბატონი“ ყოფილა (იხ. 1871 წ. 4 მარტის წერილი ბარბარე ორბელიანისადმი).

** „დროება“, 1875, № 17.

გრ. ორბელიანმა იაკინთე ალექსი-მესხიშვილს გაუგზავნა გრ. სოლოგუბის „ალავერდი“: იქნებ გაერთო ბუხართან მჯდომიო, და თან მისწერა წერილები, რომლებიც გვიან „დროების“ რედაქციას გაუგზავნა ნ. ალექსი-მესხიშვილმა.

პირველ წერილში (1375 წლის 7 აპრილს) ჩივის დროის ნაკლებობაზე. ერთი სტუმარი არ გასულა, რომ მეორე აღებს კარს. ასე გრძელდება სადილობამდე, ნასადილევს ჩვენი ახაკის კაცმა თუ არ წაიძინა, რას გაძლებსო, მერე კი ახალი ვიზიტები, პარადები, დღესასწაულები, და სადღაა დრო წერისათვის?

ამ წერილიდან ჩანს, რომ გრიგოლი უწინდებურად დადის თეატრში, სალიტერატურო და სამუსიკო საღამოებზე.

მეორე წერილი (იმავე წლის 19 აპრილისა) უფრო საყურადღებოა. შეიცავს მსჯელობას ქართული ენის ბუნებაზე, მის სილამაზეზე. „კრიტიკა არ არის არცა მტრობა, არცა შური და არცა განკიცხვა, არის მხოლოდ მაჩვენებელი უწესობისა და უნიჭობისა, არის მცველი ენის თვისებისა და მის სიწმინდისა, და უამისოდ არცა სხვა რაიმე ხელოვნება არცა გაკეთდება, არც გამშვენიერდება... ამისთვის უთუოდ უნდა ჰსუფევდეს კრიტიკა და ჰქონდეს მას ლიტერატურაში ხმა მაღალი“*. ცხადია, პოეტი ნამდვილ პირუთვნელ კრიტიკაზე ლაპარაკობს და არა ძმა-ბიჭობაზე, როცა ღირსეულს ლანძღავენ, უღირსს კი ადიდებენ.

მართალია, გრიგოლი აქაც არქაული პრინციპების ერთგული რჩება, და თუმცა თვითონ „სახლში“-ს წერს, უფრო სწორად მიაჩნია „სახლსში“, მაგრამ მისი ზოგადი მსჯელობა სალიტერატურო ენაში კანონ-წესის დამკვიდრებაზე სწორი და თანადროულია. აქ კი მთავარი ისაა, რომ ღრმად მოხუცი პოეტი-გენერალი ფიქრით ისევ მშობლიურ ენასა და მის სიწმინდეს დასტრიალებს.

მოხუცი ჩივის, ოხრავს და იმეორებს ყაფლანის სიტყვებს: „ეს ქვეყანა არის დედაკაცისაო“.

მაგრამ მოხუცი პოეტი ჩვეული ენერგიით მუშაობს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაზე.

გვიან, პოეტის გარდაცვალების შემდეგ, კომისიის მიერ შეკრე-

---

* „დროება“, 1883, № 176.

ბილი და შეჯერებული 26 ხელნაწერიდან დადგენილი ტექსტის რუსულ თარგმანს, მოზრდილ წერილთან ერთად, გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი, იგივე იოანე გეგეჭკორი) უგზავნის ვორონცოვ-დაშკოვს და შეახსენებს, რომ მისი შეწევნით ამ ტექსტის დადგენაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით იონა მეუნარგიასა და გრ. ორბელიანს*.

1875 წლის 3 აპრილს გრიგოლი უკვე ბებიობას ულოცავს უგანათლებულეს ეკატერინეს, პეტერბურგს მყოფ დედოფალს.

მართალია, „წინანდლის ვარდი“ უკვე დაჭკნა, მაგრამ ის მაინც აფრქვევს განუმეორებელ სურნელს, აღელვებს მოხუც მეგობრებს.

საქართველო მწუხარებას მოუცავსო, თავად-აზნაურობა იყიდება, ღატაკდება, იმედი არ არის და ვართ ასე გულხელდაკრეფილებიო, სწერს იმავე წერილში პოეტი ყოფილ „მთავრინას“.

დიდი გვარის აგონია

„ესე ყოველი ცხოვრება, ვითარცა ყუავილი ველთა, წარმავალ არს“.

იაკობ ცურტაველი.

მახლაზ, რა გაეწყობა, ჩემი სიცოცხლე ამ ვაივაგლახში გავიდა.

ქეთევან ორბელიანისადმი,
27 აგვისტო, 1850.

— რას აპირებ ამ სიბერეში, გრიგოლ? შამილი აღარაა. —

— ახრ, აღარაა ჩემი ძველი ყონაღი! მეც ეგვიპტეში ვაპირებ წასვლას, ჩემს მეგობარ ფადეევსავით.

— ეგვიპტეში რა უნდა გააკეთო?

— მთავარსარდლობა მომელის, ჩემო ქეთევან! ამ ადგილს წელს ფადეევს სთავაზობდნენ ეგვიპტეში, მაგრამ მუნდირზე ვერ შეთანხმდნენ: ეგვიპტურად უნდა შეიმოსოო, ფადეევმა ამაზე შორს დაიჭირა და დაიღუპა ეგვიპტის არმია.

---

* ზუგდიდის მუზეუმის შრომები, 1947, გვ. 386—388.

— მერე, შენ ჩაიცვამ?

— მე ქართული ჩოხა-ახალუხი გამიხდია და სულერთი არ არის, რასაც ჩავიცვამ?

ასეთი მწარე საუბრები ხშირად იმართება მოხუც გენერალ-პოეტსა და მის მეგობრებს შორის.

მაგრამ გულგატეხილი პოეტი მაინც მხნეობს და მონაწილეობს ქვეყნის ცხოვრებაში.

1876 წლის 10 მაისს თბილისის თავადაზნაურთა მარშლების ამორჩევისას კრებაზე სიტყვით გამოდის ორბელიანიც. კრებას სამოცდაათამდე კაცი ესწრებოდა. უმრავლესობას სერთუკები ეცვა, მხოლოდ აქა-იქ თუ ნახავდით ჩოხა-ახალუხსა და ქართულ კაბებს. ლაპარაკიც უმთავრესად რუსული ან არეული რუსულ-ქართული ისმოდა, ორსავე ენაზე ერთნაირად ჩიოდნენ, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ თავადაზნაურობა ვალებში ჩავარდა, მამულებს ყიდის, კოტრდება და ღატაკდება... თავადები ვალის გადახდის ვადების გაგრძელებას ითხოვდნენ მთელი 30 წლით და მაშინაც უპროცენტოდ გადავიხდითო. ვალი ორ მილიონს აღწევდა.

გრ. ორბელიანი გიორგი ანდრონიკაშვილის შემდეგ გამოვიდა. „თავისი „მშვენიერი, გრძნობითა და გონიერებით სავსე სიტყვით“, რომლის აზრი იყო, თავი შეეკავებინათ ისეთი თხოვნისაგან, რასაც მთავრობა მაინც არ შეასრულებდა: რანაირად დაგეთანხმებათ პრიკაზი, რომ ამდენი წელიწადი ვალი არ გადაიხადოთ და მერეც უსარგებლოდ, როცა ამაზე მცირე სათხოვარიც არასოდეს არ შეგვისრულაო! არც კომისიის შედგენა მიაჩნდა სწორად. მთელი რუსეთის თავადაზნაურობა ჩვენსავით გაჭირვებაშია და საზღვარგარეთ გარბის, ხაზინა ყველას სად აუვაო!

ამის შემდეგ ორბელიანი გადადის თავადაზნაურობის გაღარიბების მიზეზებზე და ამბობს:

ბატონ-ყმობის მოსპობამ დაგვღუპაო, ეს მართალი არ არის: ჯერ ბატონ-ყმობა სად იყო მოსპობილი, რომ ჩვენ ვალები გვქონდა და გაჭირვებაში ვიყავით? ბატონ-ყმობის მოსპობა კი არა, თვითონ ჩვენა ვართ, ბატონებო, ამაში დამნაშავე. აი, მოგახსენებთ — რა ენთო მამაჩემს? ქონის სანთელი. ტანთ რას იცვამდა მამაჩემი? უბრალო ლეკურ შალს. სულ ყველაფერი იაფი და უბრალო იცოდნენ

შამაჩვენებმა. ჩვენ კი? თქვენც კარგად იცით, თითოეულ ახლანდელ თავად-აზნაურს რამდენად უჯდება ცხოვრება.

აქ კიდევ ერთხელ სთხოვა, ნუ შევირცხვენთ თავსო*.

ამ საყურადღებო სიტყვის მიუხედავად კრებამ შეადგინა კომისია, რომელშიაც მარშლების გარდა შევიდნენ: დიმ. ჯორჯაძე, კონსტ. მამაცაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვები...

1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო და ბრძოლის ველზე მიმავალ ქართულ მილიციას გზა დაულოცა. შინ დაბრუნებულთ კიდევ ბაღში გაუმართა წვეულება და სიტყვით მიმართა.

საერთოდ, გრიგოლს სძაგს უაზრო ომი, სისხლისღვრა. რუსეთ-თურქეთის ახალი ომის მოლოდინში პოეტი სიმშვიდეს ვერ პოულობს. თურქეთი სერბიას ახრჩობს. რუსეთი ომის შეწყვეტას ითხოვს. პორტა ჯიუტობს.

„გულით, სულით ვსწუხვარ, ღამე არ მაძინებს ეს წყეული ჰაზრი და ახრში გამაცია კიდეც გუშინ-წინ, — სწერს პოეტი 1877 წლის 5 აპრილს ნიკო ჭავჭავაძეს. — რუსეთსა უნდა არა ომიანობა, არამედ შინაგანის საქმის კეთილად დაწყობა; სჯულსა მიეცეს ძალი კეთილად მოვლისათვის ხალხის ურიცხვთა მილიონებთა; განვრცელდეს სწავლა, ვაჭრობა, ხელოსნობა; გზებზე მშვიდობიანობა; საკუთრების შეუხებლობა; ამოკვეთა დაჩაგვრისა, უსამართლობისა; აღმორჩევა ღირსეულთა ხალხის მოვლისათვის და მათის ბედნიერების და კეთილდღეობისათვის; მეტად დაშორებულის სამზღვრების დაახლოება რკინის გზების გახშირებითა და სხვანი და სხვანი მრავალნი, რომელთა რიცხვი მილიარდი საქმეებია საკეთილდღეოდ ვეება იმპერიისა... თორემ ახლა ჯერ მეტად ნაკლულოვანებაშია რუსეთი“.

ნათელი და ბრძნული რჩევაა! იმპერატორს რომ ყურადეღო პოეტის რჩევა, ქვეყანა უფრო სწრაფად წავიდოდა წინ. მაგრამ მბრძანებლები სისხლიან დროშებს აფრიალებენ მაშინ, როცა ჭკვიანი ადამიანები საყოველთაო ბედნიერებაზე ოცნებობენ.

საგულისხმოა, რომ გრიგოლმა ჯერ კიდევ 1877 წელს იწინასწარმეტყველა, სლავიანები თვითონვე მოვლენ მოძმე რუსებს ღალატს.

---

* „დროება“, 1876, № 48.

მაგრამ ომი გარდუვალი იყო. თურქეთმა სისხლში ჩაახრჩო ამბოხებული სერბია. მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია. გრიგოლს რაღაც საზარელი ამბების მოლოდინი სულს უშფოთებს, გაურკვევლობამ გული გადუღია. მაგრამ აი, 1877 წლის 12 აპრილის დეკლარაციით რუსეთმა პორტას ომი გამოუცხადა. ზედიზედ აიღეს რუსებმა სუბოტინი, ბაიაზეთი...

ძველი ჯარისკაცი, სარდალი და გენერალი გამხნევდა. გული გაიწია, ბრძოლის ქარცეცხლმა მიიზიდა. ისევ უწევს მაძობრივ დახმარებას ჩვენს მხედრობას სიტყვით და საქმით.

5 მაისს არდაგანი აიღეს. თბილისი ზეიმობდა. მაგრამ ციხისძირთან რუსებმა მარცხი განიცადეს. დაღესტანი აიშალა. ზივინში 800 მებრძოლი დაიღუპა. წინსვლა შეფერხდა. ყარსის ალყა მოიხსნა. გრიგოლ ორბელიანი ოგლობჟიოს ულოცავს ციხისძირიდან ცოცხლად გამოსვლას, ამ „ქაჯეთის ციხიდან“, სადაც ჰყავდათ თურმე შეპყრობილი ვეფხისტყაოსნის გმირი!

როგორც მოსალოდნელი იყო, თურქეთის ფრონტზე დროებითი მარცხი საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ისევ აშლილიყო დაღესტანი. გრიგოლი, ამ მხარის ყოფილი მმართველი და სარდალი, კარგად იცნობდა ლეკებს და საფუძვლიანად შეშფოთდა: ვაითუ ისევ კახეთში შემოიჭრანო, და ჯარებს ელის, რომ ამ სიბერეში ისევ დაღესტანს მიაშუროს. ისევ ანიდან იწყება და ვინ იცის, როდის ჩავლენ ჰაემდე! ისევ საქართველო დაზარალდება, თორემ სხვას რა უჭირს!

1877 წლის ზაფხულის ბოლოს გრიგოლი განჯის გუბერნატორს ნიკო ჭავჭავაძეს ფრიად გონივრულ დარიგებებს აძლევს, რომ ჭარელებმა ნუხა და მინგიჩაური არ აუოხრონ.

მაგრამ ჩვენმა არმიამ მუხთარ-ფაშის ჯარი გაანადგურა და „მთელს საქრისტიანო საქართველოს“ დიდი სიხარული მოჰგვარა. თბილისი ისევ ზეიმობდა. ამ ზეიმის გული ისევ ორბელიანია. პოეტი ბარბარე ორბელიანს დაწვრილებით აუწერს ამ ზეიმს (1878 წლის 24 აგვისტოს წერილში).

ზედიზედ დაეცნენ მცირე აზიის იმედი ყარსი (6 ნოემბერს) და პლევნა (28 ნოემბერს). ფილიპოპოლთან დამარცხდა სულეიმან ფაშის ჯარიც. რუს-ქართველთა მხედრობა სტამბოლს მიუახლოვდა.

იანვრის დასაწყისში ფილიპოპოლი და ადრიანოპოლი რუსების ხელში იყო. სტამბოლის აღებას ხელი შეუშალა მარმარილოს ზღვაში შემოსულმა ინგლისის ფლოტის მუქარამ. 1878 წლის 19 თებერვალს სან-სტეფანოში დაიდო ზავი, რომლის ძალითაც რუსეთს შემოუერთდა ბათუმი, აჭარა, ყარსი, არდაგანი, ბაიაზეთი, შავი ზღვის მიტაცებული სანაპირო, ამას გარდა თურქეთს დაეკისრა 110 მილიონი მანეთი კონტრიბუცია.

„ასე, ჩემო სოფიო, — სწერდა აღფრთოვანებული პოეტი სოფიო ორბელიანისას 1878 წლის 24 აგვისტოს,—უკეთილ-მსახურესის დიდის იმპერატორის ძლიერებამ დაჰსცა საუკუნოდ მაჰმადიანობა, დაუძინებელი მტერი ქრისტიანობისა და ჩვენნი ძმანი, ძველნი ქართველნი, განათავისუფლა ოთხასის წლის ტყვეობიდამ და შეუერთდა დედა-საქართველოსა, და აღსრულდა იგი სასწაული, რაცა არა გვეგონა! აღსრულდა დიდი საისტორიო საქმე სახსოვრად საუკუნეთათვის...

მილიონნი ქრისტიანენი განთავისუფლდნენ!“

საქართველოს სისხლის ზღვეით ფრთაშესხმული მოხუცი გენერალი 1878 წლის 12 ოქტომბერს სალომე მიურატსაც სწერდა:

„... შეიმუსრა მტერი ქრისტიანობისა და საკუთრივ ჩვენი, ჩვენის საქართველოსი, რომლისა სისხლი ჯერ კიდევ ბევრი აძევს ოსმალსა და მარტო ამ დამარცხებით ვერ გადაიხდის ჩვენს სისხლის ვალსა! ათასი წელიწადი ებრძოდნენ მაჰმადიანნი პატარა საქართველოს. რათა? რას ვართმევდით? მართალია, ჩვენ გაგვაოხრეს, მაგრამ არცა თვითონ გაიხარეს! აი, როგორ ძვირფასია ქართველების წვიხდა სისხლი!“

გრიგოლი მოესწრო ბედნიერ დღეს, როცა ოსმალეთის საქართველოდან მთავარსამმართველოში ჩამოვიდნენ დეპუტატები — ხიმშიაშვილები, აბაშიძეები, ბეჟაშვილები — და თავადაზნაურობამ მათ სადილი გაუმართა. პოეტმა ამ სადილზე თქვა:

„ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზდეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმა-

ნეთი და გადაეხვივნენ გულითადისა სიყვარულითა... ბევრი ვიტახჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ ძაისც-კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები. თვალი, გული გვეჭირა თქვენკენ, ბატონებო, და ვინატრიდით, როდის აღმოვა ჩვენი მზე შეერთებისა!.. შეერთება ჩვენი ესე იყოს უკუნითი უკუნისამდე ჟამურყეველად! და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიაც უნდა ვიყვხეთ ჩვეხ ერთად, ვითარცა შვილნი დედა საქართველოისა!!.“

მქუხარე ტაშით აწყვეტინებდა სიტყვას ხალხი საქართველოს დიდ მესიტყვეს. თვისტომი ყველას უყვარს, მაგრამ გამოჩენილი პოეტისა და დიდი პატრიოტის სიტყვას სხვა ჟღერა და მნიშვნელობა ჰქონდა.

მუდამ შორსმჭვრეტელ გრიგოლს ამ ზეიმზეც გული ეკუმშებოდა: ვაი თუ შემოერთებულ აჭარაშიც ჩვენი წესები შემოიღონ და თავი მოაძულონო! ამ შემთხვევაში მოსახლეობას უფლება ეძლეოდა აყრისა და ოსმალეთში დაბრუნებისა. გრიგოლს მიზანშეწონილად მიაჩნდა მმართველობის იმ ფორმის შემოღება, რაც დაღესტანშ იყო.

ვარაუდი გამართლდა. მალე თითქმის მთელი ყარსის ოლქი — 200000 სულზე მეტი — ისევ ოსმალეთს დაუბრუნდა: ქრისტიანულ ბორკილებს ისევ თურქული ჭაპანი ამჯობინეს. მერე აჭარლებიც მიჰყვნენ. „ვით ჭირიანებს, გაგვირბის ხალხიო“, — სწერდა გრიგოლი თანამოკალმეს, მირსკის.

რძალს კი, ბარბარეს, უმეტესი გულისტკივილით შესჩივის.

„თავადი ლევანი ბათუმის ოლქის დასახედავად წავიდა, საიდანაც თითქმის მთელი ხალხი აპირებს გადასახლებასა. ასე გაურბიან ჩვენს მართვა-გამგეობას ყველანი: ყირიმი დიდიხანია დაცალიერდა, აფხაზეთიც აგრეთვე; დაცალიერდა და გატიელდა ყარსის ოლქი; რიგი ახლა აჭარაზე მიდგა, ამ უძველესს, საქართველოს ნაწილზე, რომელშიაც დღემდი არის წმინდად ქართული ენა შემონახული, სადაც დღემდის არ მოსპობილა ნათესაობრივი, მეზობლური და მეგობრული კავშირი საქართველოს და იმერეთის მცხოვრებლებთანა; ძველი ქართული გვარები ისევ მოიპოვება, ძველს ეკლესიებს, სადაც განისვენებენ ჩვენნი მრავალნი მეფენი, მიუხედავად იმისა, რომ

დიდი ხანია მაჰმადის სარწმუნოება მიიღეს, ხალხი ღრმად პატივსა სცემს".

მეფის რუსეთის მართვა-გამგეობა, რაც პროკრუსტეს სარეცელზე აწვენდა დამორჩილებულ ხალხებს, აფრთხობდა ყველას და გარბოდა ყველა, ვისაც გაქცევა შეეძლო. ამ სამწუხარო ფაქტს არც ერთგული ქვეშევრდომი, ინფანტერიის გენერალი გრიგოლ ორბელიანი ფარავს. ნუგეშად რჩებოდა ის, რომ თამარის სამეფოს საზღვრები აღდგა, ტერიტორია მაინც შემოუერთა მოძმე რუსეთის ჯარისკაცთა მახვილმა საქართველოს.

„რა გაეწყობა, სხვა უკეთესი სისტემა ხალხის მოვლისა რომ ვერ მოგვიგონია, მაშინ რა ვქნათ, თუ არ გავლალოთ!" — სარკასტულად შენიშნავს პოეტი ლევან მელიქიშვილისადმი წერილში ჩაჩანთა ოსმალეთში გაქცევის გამო. ასევე საღი, თანმიმდევრული და გონივრულია გრიგოლის აზრი ოსთა, აფხაზთა, აჭარელთა, სვანთა, ავარიელთა და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა შეურაცხმყოფელ კანონ-წესების დამკვიდრებაზე.

* * *

„მეოთხმოცე წელიც მოახლოვდა, ის დალოცვილი მეოთხმოცე წელი, რომელსაც წინასწარმეტყველი სდებს კაცის სიცოცხლის სამზღვრად, — წერს პოეტის ბიოგრაფი.—მაგრამ ორბელიანი ვაჟკაცურად გასცილდა ამ ფსალმუნისაგან დადგენილს ვადასაც". მაგრამ ორბელიანს სინამდვილეში ოთხმოცი წელი არ უცოცხლია.

წინასწარმეტყველის მიერ დადგენილ ზღვრულ ასაკს პოეტი შეხვდა სრული მეფური აღტურვილობით, როგორც ოლიმპიელი ზევსი — ხორცსავსე, მხნე და ამაყი. ეს სიამაყე განსაკუთრებით გამოჩნდა მაშინ, როცა „დროებამ" მისი ოთხმოცი წლისთავის აღნიშვნა გადაწყვიტა. არაო, თქვა ორბელიანმა, და ყველამ იგრძნო ამ „არას" აზრი: ახალი თაობა დღეობას გადაუხდიდა არა გენერალ-პოეტ ორბელიანს, არამედ მოხუც მგოსანს, ჩვეულებრივს მოღვაწეს — აი, ასეთ გადახდას ის ამჯობინა, რომ სულაც არ აღენიშნათ ოთხმოცი წლისთავი.

მუდამ ენერგიული გრიგოლი სიბერეში თითქოს უფრო გააქტიურდა კიდეც. არა დღეობა, ზეიმი, ყრილობა, სხდომა, თათბირი არ გაიმართებოდა უმისოდ. ყველგან პირველი თავკაცი, ორატორი და მომლხენი იყო. დიდი მთავრის გაცილება იყო, არქეოლოგიური კონგრესის წევრებისათვის გამართული სადილი, თუ საჯარო მანიფესტაციები, ყველგან მისი ღრმააზროვანი სიტყვის იმედი ჰქონდათ და არცა ცდებოდნენ.

ზედიზედ იხოცებოდნენ პოეტის ნათესავები, ნაცნობ-ძეგობრები, თანამოლაშქრეები. გარდაიცვალა „შვიდთა იყლიმთა მპყრობელი“ მეფე, მისი ნაცვალი. „რუმიანცევის მსგავსება“ ბარიატინსკი, „კავკასიის მხედრობის საუკეთესო გენერალი“ ლაზარევი, ოგლობჭიო, დიმიტრი და სოსიკო ორბელიანები, ყაფლანი, დიმიტრი გურიელი, „გულით წმინდა და გონებით ნათელი“ გიორგი მუხრან-ბატონი, „წინანდლის ვარდი“ ეკატერინე დადიანისა, კეთილი მამაცი და „მტერზე გულდაგულ მიმსვლელი“ მირსკი, ერეკლე ბატონიშვილი... ყველა სათითაოდ გულწრფელად დაიგლოვა, როგორც ადამიანი და მოღვაწე.

იგივე არ ითქმის უღირს ადამიანებზე. მაგალითად, ვინმე კლუშინს „ბარონის-ფეხს“ უწოდებს, რომლის გამოცელა და გარდაქმნა უკვე გვიანაა. საერთოდ, იშვიათად ამბობს ადამიანებზე ძვირს, და თუ ამბობს, ნამდვილად იმაზე, ვინც ღირსია.

არ უყვარდა არც მურავიოვი. მის ჩამოსვლასაც დასცინოდა და გაბრუნებასაც. მხოლოდ ივან მიხაიჩ მირზოევი ახლდა, ისიც მხოლოდ ანანურამდის, — „სათქმელადაც კი სირცხვილიაო“.

გრიგოლის ნაწერებში დიდი ადგილი უჭირავს მასთან ურთიერთობაში მყოფ ან ნამყოფ ადამიანთა დახასიათებას. ადამიანში უპირველეს ყოვლისა ის აფასებდა საქმეს, ღვაწლს, მამულიშვილობას, სულიერ სისპეტაკეს, გონების სინათლეს, სიმამაცეს და პირდაპირობას. ამ აზრით საგულისხმოა მისი მოსაზრებები ბარიატინსკიზე, გიორგი მუხრან-ბატონზე, დონდუკოვ-კორსაკოვზე, მირკისზე, ლაზარევზე, ნიკო ჭავჭავაძეზე...

„რა ყოჩაღია ნიკო! — სწერს ბარბარე ორბელიანს 1877 წლის 26 იანვარს. — მიხარიან, მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, ის ხომ ჩემი ქმნილებაა!“ — და შემდეგ ლაპარაკობს „მისი

ქმნილების“ სიმამაცეზე, უცბად რომ შეკრიბა 7 ათასი ლეკი, აჯანყებული მხარე რამდენიმე დღეში დააწყნარა, მათი გამაგრებული სოფელი კი „მიანგრია და მოანგრია“...

„თავის სკოლაზე“ გრიგოლი ეკატერინე დადიანისადმი მიმართულ წერილშიაც ლაპარაკობს, 1879 წლის 24 აგვისტოს:

„გავბედავ და დავიკვეხნი, რომ ვინც გაიარეს ჩემს შკოლაში, უველანი გამოვიდნენ განსხვავებით გამოჩენილნი: რადეცკი, ტერ-ღუკასოვი, ლაზარევი, დიმიტრი ჯორჯაძე. ღენერ. ასატაფიევი, დივიზიის ნაჩალნიკი ალექსანდრე თუმანოვი, უდროოდ მკვდარი ივანე ბაგრატიონი, ეგრეთვე სოსიკო ორბელიანი და ალექსანდრე ორბელიანი, ღენერ. ბრუსილოვი, დამბლად დაცემული ღენერ. ლეიტ. ღოპპე, აკოლნიჩი და თვით ცოტა ოდენად ღრაფი ლორის-მელიქოვიცა, რომელიცა პირველად მე დავნიშნე დერბენდის გრადონაჩალნიკად და სულ ჩემი საკუთარი ნიკო ჭავჭავაძე, ელისავეტპოლის ღუბერნატორი, რომლისა მსგავსი არავინა გვყავს ღუბერნატორებში“.

თვით მთავარსარდალი დონდუკოვიც ხომ მის სკოლაში გაიზარდა!

ეს მართლაც მკაცრი სამხედრო სკოლა იყო და ჭარმაგ გენერალს უფლება ჰქონდა ეამაყნა თავისი აღზრდილებით.

დიდი მთავრის წასვლასაც მოესწრო გრიგოლი. მიხეილ ნიკოლოზის ძეს ეტლში ჩვენი პოეტი ეჯდა, ისე გაემართა სადგურზე. გრიგოლი თითქოს წუხდა „ჭეშმარიტად იმპერატორის შვილის“ წასვლაზე, მაგრამ მეორე დღეს მხიარულად შესძახა: „იგი წაეა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა!“ მართლაც, გრიგოლის ხსოვნაში ეს მეათე თუ მეთერთმეტე მთავარმართებელი იყო, „ტურფა საბაღნარო“ კი იყო და რჩება ერთი, ერთადერთი.

ორბელიანთა უბანში მდგარი ძველებური სასახლე ისევ ისე იდგა, როგორც გრიგოლის ბავშვობაში. ფართო ეზოში ჯარისკაცი შეგხვდებოდათ, მაგრამ არ შეგაჩერებდათ. შეხვიდოდით, პალტოს კედელზე დაჰკიდებდით და ნახავდით დიდ დარბაზს, სადაც სკამების მეტი არაფერი იყო, იქიდან კი — თუ მოსამსახურე ვერ გაიგონებდა ფეხის ხმას — შეაღებდით თვით პოეტის კაბინეტის კარს. ესეც ძველებური, ნამდვილი ქართული დარბაზი იყო, სავსე წიგნებით, სურათებით, რუკებით, ქაღალდებით. კედლებზე ეკიდა ბარიატინსკის,

ვორონცოვის, შამილის, ეკატერინეს პორტრეტები. ეს უკანასკნელი იყო ოჯახში ერთადერთი ქალი. მაგრამ ეს იყო სურათი. ამიტომ ქალის ხელი არაფერს ეტყობოდა.

წიგნის კითხვაში გართული პოეტი გახარებული წამოდგებოდა, შემოგებებოდათ, სელს ჩაგაელებდათ, მიგიყვანდათ და პატარა მრგვალი მაგიდის პირდაპირ დაგსვამდათ, თავის პირისპირ.

— აბა, ბატონო, სადა ხართ? — უსაყვედურებდა სტუმარს. —ასე დავიწყება იქნება? ქუჩაში ვინ არის, მიხეილ ერისთავისა და საგინოვის გარდა?

პოეტის პირადი საუბარი! იონა მეუნარგიას მოწმობით, ეს იყო თურმე უმაგალითო, საამური, ღრმააზროვანი, ტკბილი თანამოსაუბრე. „იმასთან ლაპარაკის დროს, როდესაც ის თავის მოსაუბრეს მადლიანად შეხედავდა და გულიდან გარდმოფენილს ნათელში გაახვევდა, რწმუნდებოდა კაცი, რა გამოულეველი, წმინდა, მოკამკამე წყარო იყო ეს კაცი კეთილგონიერებისა და მაღალი გრძნობისა. არც ერთი საგანი, არც ერთი კითხვა არ იყო კავკასიაში, რომელზედაც მას არ შესძლებოდა ლაპარაკი, არც ერთი კაცობრიობის გონების მაღელვებელი საკითხი არ იყო, რომელზედაც იმას არ შეედგინა თავისი, ქართული, აღმოსავლეთის ქრისტიანის აზრი“.

შუბლგახსნილი ხვდებოდა პოეტი საყვარელ მეგობრებსაც და აბეზარ მოლაყბეებსაც, რაც მის მაღალ შინაგან კულტურაზე მეტყველებს.

* * *

წელთა სიმრავლით დამძიმებული პოეტი დღითიდღე უფრო მწვავედ განიცდის თავისი გვარის მზის ჩასვენებას. რაც უფრო ახლოვდება სიცოცხლის დაისი, მით უფრო მძიმდება მისი განწყობილებაც, ენაც, ორთოგრაფიაც. თითქოს დროს უპირისპირებს თავს და დაღესტნის შფოთიანი დღეების გახსენებაში ეძებს ნუგეშს ხანდაზმული გენერალი. „ღუნიბს ეტლები ბიჰქრიან“ და ბოგოხებათა ავარდნილი მტვერი ფარავს განახლების ეტლების სრბოლას სადღაც ჰორიზონტზე.

უკანასკნელი მოჰიკანის გოდებას მოგვაგონებს 1878 წლის ერთერთი წერილი ივანე ორბელიანისადმი:

„ეხლა მოვიდეთ საზოგადოდ საქართველოსთან და განსაკუთრებით ჩვენს გვართან — არც ერთს საუკუნეში, როდესაც ჩინღისები და ლანგთემურები, არაბები და ოსმალ-სპარსები შემოდიოდნენ და აოხრებდნენ ჩვენს მხარესა, მგონია, ჩვენი საბრალო საქართველო არ იქნებოდა ისეთს განწირულს მდგომარეობაში, როგორც ვართ ერთობ ჩვენ ამ დროს და მეტადრე ჩვენი გვარი! უწინ მტრისაგან დამწვარს სახლსა ვაშენებდით ნელ-ნელა, რადგანაც მიწა გვრჩებოდა გაოხრებისაგან და მოველოდით მომავალში უკეთესობას; ახლა აშენებულის სახლიდამ გვერეკებიან გარეთ და აღარ ვიცით, საით მივეფარნეთ, რადგან ფეხქვეშიდამ გვეცლება მიწა და მომავალიცა აღარ არის ჩვენთვის; ჩვენი საყაფლანიშვილო მამული ერთიანად იყიდება; გაჩარებულნი მოგვდევენ სოლაღაანნი, ჭავჭავაძიანნი, ანდრონიკაანნი, ვაჩნაძიანნი, ციციანნი, თარხანიანნი, ერისთაიანნი და სხვანი... იყიდება მამუკას შვილის კოტეს მამული, იყიდება დავით ჭავჭავაძის სახლ-კარი, ნაფარეული, წინანდალი, მუკუზანი, და ერთის სიტყვით, იყიდება თითქმის მთლიანად საქართველო.. ახლა ვის, ვის შევჰბღავლოთ, ვის შევაგონოთ ეს ერეთი სამწუხარო მდგომარეობა საქართველოს არა თუ თავადაზნაურობისა, თვით გლეხობაც ამაზე ტაფაში იწვიან“.

1878 წელს გრიგოლს გარდაეცვალა „თავისი საკუთარი“ ყაფლანი, სიყრმის მეგობარი, თვალთა სინათლე...

დრო იცვალა. ჩაესვენა ყაფლანიანთა დიდების ვარსკვლავიც! 1878 წლის 24 აგვისტოს რძალს სოფიოს სწერს:

ჩვენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ ჩაძოეთესლენ პოღოზოვები, აბოვიანცები; ფიტარეთი, ჩვენის მამაპაპების სასაფლაო, უფალს თაიროს გაუხდია ცხვრების ფარეხად! ჩემის სიბერის უკანასკნელთა დღეთა მიმწარებს ეს განუშორებელი ფიქრი ჩვენის ოჯახისათვისო.

ჰე, ცრუ სოფელო, დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერუცველ?
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი
ნუთუ ესღა გვაქეს, ვხედავთ რასაცა?..

1880 წელს, სიკვდილამდე სამი წლით ადრე, ტაბახმელიდან ნიკო ჭავჭავაძეს სწერს:

„ჩვენ დავიღუპებით, მაგრამ ვერ შეგვცვლიან ვერც თათართა ბეგები, ვერც სპარს-თურქეთის სომხები, საქართველო რომ აავსეს და აქ რომ გამდიდრებულან, ვერც თვით რუსეთის მოხელეები, ხალხთა სიძულვილის მოხვეჭის შეუდარებელი ოსტატები“.

ესაა ბრძოლის ველიდან რწმენით მიმავალი გულდაისრული მხედრის უკანასკნელი სიტყვები.

ორი წლით ადრე იმავე ტაბახმელიდან ისაკ თუმანიშვილს სწერდა:

„გუშინ და დღეს გამოიდარა, გამობრწყინდა მზე, გათბა ჰაერი, შეიქმნა მშვენიერი გრილი, რბილი, გამაცოცხლებელი, და მეცა დავეხეტები მარტო მინდორში და ფიქრები ჰრბიან ისევ წასულთ წელიწადებისაკენ, როცა გვიხაროდა სიცოცხლე და მოველოდით მუხთალ სოფლისაგან, ვინ იცის, რაებსა“.

ამ მოლოდინით ცოცხლობდა გრიგოლი წლების მანძილზე, ათეული წლების მანძილზე, და რა მიიღო? იმედგაცრუება, სიცარიელე, სიზმარეული მოგონება კავკასიაზე, ამ „ვეება დრაკონზე“, გაუნძრევლად რომ წევს და ვერ გაუგია, სძინავს თუ მართლა მოკვდარა.

1879 წელს ღრმა მოხუცი გენერალი-პოეტი თავის „ფსალმუნს“ უგზავნის ილიას და თან სწერს:

„დავბერდი და შეუდექ სულის გზასა, ვკითხულობ დავითნსა და აი რა დადნა ამ კითხვისაგან. მაგრამ გთხოვ კი, რომ თქვენვე წაუკითხოთ ჩემს ულმობელს კრიტიკოსს ოლღასა*, თუ მოეწონოს, ხომ რა კარგი, და თუ არა, აიღეთ კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით, რომ მაგ ლექსის სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემს შესარცხვენად“.

* * *

ახალი თაობის სახელით დასცინოდა აკაკი ამ „ხარაბუზა ღენერალს“, „ახმედ-ფაშა კახაბერს“. მამათა ბანაკის ბურჯს კი თავი მოჰბეზრებია ახალი პოეტების „კნავილისაგან“.

---

* ოლღა ჭავჭავაძისა, ილიას მეუღლე.

მესხიმ წერა ვერ ისწავლა, ბაზრის ენა მოგვაწყინა, „ხმა ცისკრისა აღარ გვესმის საამო“, „უნიჭო და უკაცო“ დრო დადგა, აღშფოთებული პოეტი უცერემონიოდ წყევლის მესხსა და მის „დროებას“.

მაგრამ იმავე ენისათვის კი იღწვის, რომელიც ახალი თაობის დროშაა.

ქართული ენის სიყვარული ერთხელაც იჩენს თავს „დისწულის“ — სალომე მიურატისადმი მიწერილ წერილში:

„ჩემო გულით საყვარელო დისწულო სალომე! შენი წერილი, ქართულად დაწერილი, წინ მიძევს, შევჰხარი და სიხარულით ვამბობ: ქვეყანაზე მხოლოდ ერთია სალომე, რომლისა წერილსა ... ვჰკითხულობ მეორმოცედ! ეჰკითხულობ და მიძნელდება, როგორ გითხრა: ანუ ჰეშმარიტი მადლობა ჩემის ხსოვნისათვის, ანუ მართალია, წმინდა შენდამი სიყვარული! ღმერთმა გაკურთხოთ შენცა და შენი არჩილიცა...“*

რამ გამოიწვია პოეტის ასეთი სიხარული? იმან, რომ საფრანგეთში გათხოვილ ქალს, პრინც მიურატის მეუღლეს, ასე ჰყვარებია და სცოდნია მშობლიური ქართული ენა, და ეს მაშინ, როცა „საქართველოში ქართველი ქალები უარსჰყოფენ ქართულ ენასა და შეურაცხებით, ტუჩებ-აშვერით ამბობენ: „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა?“

„ეს სიტყვები ცხადად გამოაჩენს აწინდელს საზოგადოებას სამწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებას, გზით დაკარგვასა, — განაგრძობს პოეტი. — ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას, უეჭველია, არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავისი წინაპარნიცა, თავისი მამულიცა! ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფაცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია! თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა, მაშ, როგორ უნდა იცოდეს, ვინ იყვნენ მისი მამაპაპები, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღერიდნენ, რა უხაროდათ, რასა ჰსწუხდნენ? ათასის წლის განმავლობაში როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებსა, რომელთაცა აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსე-

---

* „ლიტერატურული საქართველო“, 1938, № 16 (აკ. გაწერელიას პუბლიკაცია).

თისა და უძნელდება ბრძოლა... სპარსელებმა ქეთევან დედოფლის ჯულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოკლეს, და არ უარყო მან ქრისტიანობა! განა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალებთაგან? და თუ მოვიგონებთ ძველთა მწერალთა, მელექსეთა, ღმრთის მეტყველთა, მქადაგებელთა, მერწმუნე, ჩემო სალომევ, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორცა ჰგონიათ ეხლანდელთა ინსტიტუტკებსა, და ამისათვის დაგიკოცნი შუბლსა, რომ შენ ხარ პირველი მაგალითი ქართულის ჯნისა სურვილით სწავლისა".

ეს არაა მარტოოდენ პირადული ბარათი.

ამ წერილის უკან დგას დიდი მწერალი, პატრიოტი, ფესვებგაბარჯღული ბერმუხა, რომელსაც ანაღვლებს მშობლიური ენისა და კულტურის ბედი, დგას, როგორც ბურჯი, რომელიც ესაჭიროებოდა ჩვენს ქვეყანას, და ესაჭიროება ახლაც, როცა ანალოგიური თავქარიანული დამოკიდებულების მაგალითებს უხვად გვაძლევენ ჩვენი დროის „ინსტიტუტკები".

პოეტი იგონებს ჩვენი წარსულის დიდ ორატორებს, ბატონიშვილებს, ქეთევანს, მარიამს, თეკლეს, ახლანდელებმა კი „აღარ იციან, ვისი მადლით და წყალობით ასე გულმოსვენებით, კეკლუცობით სეირნობენ გოლოვინის პროსპექტზე შლეიფებგაშლილნი... უბადრუკებმა აღარ იციან, რომ იმათი დედები იყვნენ დედოფლები ზრდილობისა, სილამაზისა, მაღალის გონებისა, და ამასთან ხასიათით მამაცნი, თავგანწირულნი მამულისათვის"...

შემდეგ გრიგოლი მადლობას სწირავს სალომესა და დედას — ეკატერინეს, რომ მოსწონებიათ მისი ლექსი „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში". უგზავნის მას მთლიანად, რადგან ცენზურამ შეამცირა, და ჩივის, რომ „სიბერემ წაართვა პოეზიის ძალი". მოუთხრობს, რომ ხშირად ჩადის ანასტასია ორბელიანისას, გენერალ ივანე ოგლობჟიოს მეუღლესთან, მარჩიელობენ იმაზე, გაიმარჯვებენ თუ ვერა ჰუხტარ-ფაშაზე, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ არ დაემარცხებია ჰთავარსარდალს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, ერთხელაც არ გამოსდით გამარჯვება, და ხშირად მოსდის ამაზე ჩხუბი ტასოსთან.

ბევრი რამ აწუხებს ღვაწლმოსილ პოეტსა და პატრიოტს: ბარტოობა, ენის წახდენა, მახლობელთა დაკარგვა, ახალი თაობის კადნიე-

რება... მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ანაღვლებს ჯამბაკურიანთა დიდი გვარის დაქვეითება და საერთოდ არისტოკრატიული დიდკაცობის უსაშველო აგონია.

„ვაჰ თუ რაც წახდეს, ვეჰღარა აღსდგეს...“

უკანასკნელი წლები

განგვშორდნენ გულის ნაცნობნი,
ვინცა გულითა გვიყვარდნენ,
თვალთ მიგვეფარნენ... წაიდნენ...
ძველთაგან დავშთით მე და შენ.

გრ. ორბელიანი.

სიცოცხლის ბოლო წლებში გრიგოლი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს ქართული მწერლობისა თუ მუსიკისადმი, კერძოდ, ქართული გალობისადმი. 1878 წლის 3 სექტემბერს ორბელიანთა ეკლესიაში რამდენიმე დახელოვნებული მგალობელი მოიწვიეს. გრიგოლის გარდა გალობას ესწრებოდნენ გენერალი იოსებ ორბელიანი, არქიმანდრიტი მაკარი, დეკანოზი ზედგენიძე... გალობა საამო მოსასმენი იყო, მეტადრე თავი ისახელა გურულმა ჩხატარაშვილმა. გრიგოლმა მგალობლებს სადილი გაუმართა და დახმარება აღუთქვა*.

1878 წლის 22 ენკენისთვეა. ალექსანდრეს ბაღში ოთხ რიგად ჩამწკრივებულა სავსე სუფრები, მხედართა და სამოქალაქო მოხელეთა სამოსი ერთიმეორეს ავსებს და საზეიმო იერს აძლევს შეხვედრას. ვის ხვდებიან? ქართულ მილიციას, დაღესტნიდან გაბარჯვებით დაბრუნებულ მამაც ქართველ რაზმელებს, პირველსა და მეორეს, აგრეთვე კავკასიის მსროლელთა მეორე ბატალიონს.

ქალაქის მდიდრებს გაუმართავთ ეს საზეიმო სადილი და მოთავენიც თეითონ არიან. საპატიო პირები ბამბის კარავში სხედან. ბაღს ეფინება სამხედრო მუსიკის, ზურნისა და თარის ხმა, აღმოსავლური და დასავლური მელოდიები ერთიმეორეს ცვლიან.

პირველად ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოს სვამენ, მერე მისი ნაცვლისას. დიდი ნადიმი იწყება.

* „დროება“, 1878, № 180.

დარბაისლურად დგება ფეხზე მხცოვანი გენერალი-პოეტი, აზარფეშას იღებს და იწყებს „მსროლელთ ბატალიონის ღირსეული აფიცრებისა და კამანდირების“ სადღეგრძელოს, მერე მილიციას მიმართავს:

— ძმებო! მოგილოცავთ მშვიდობით და გამარჯვებით დაბრუნებას! მოგილოცავთ დაბრუნებას იმ საშინელ ბრძოლიდამა, სადაცა თქვენი ძველი მამა-პაპების მხნეობა და სიმარჯვე გამოჩენილა.

ვინ ებრძოდა ძველად საქართველოს? ოთხივ კუთხივ მტერნი იყვნენ შემოსეულნი. არაბნი, სპარსელები, ლეკები, თათრები არასოდეს მოსვენებას არ გვაძლევდნენ. მუდამ დღე იძულებული ვიყავით იმათგან დაგვეცვა ჩვენი სარწმუნოება და სამშობლო. მუდამ ხელში ამოღებული ხმალი გვქონდა. და ჩვენ ვიგერიებდით ამ მტრებს.

აქ გრიგოლმა შეისვენა, ულვაშები შეისწორა და აზარფეშა უფრო მაღლა ასწია:

— სიხარულით ვხედავ, რომ თქვენ იმ ძველი მამა-პაპის სისხლი გიდგიათ ძარღვებში. ვხედავ, რომ მამა-პაპათ გარდმოუციათ თქვენთვის თავიანთი მხნეობა, თავდადება სამშობლოისა და სარწმუნოებისათვის. ეცადეთ, ძმებო, რომ ეგ მხნეობა, ეგ თავდადება თქვენს შვილებს, ძმებსა და მეზობლებს გადასცეთ.

ხალხში შეძახილები გაისმა:

— ვეცდებით! ვეცდებით!

— ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს!

ამ სიტყვებს ხანგრძლივი „ვაშას“ ძახილი მოჰყვა, ნადიმს მოსდევს ლეკურისა და ფერხულის თამაში.

ხელოსანთა მთავარმა უსტაბაშმა აღიარა ის, რაც მეორე დღეს „დროებაში“ დაიბეჭდა:

— ასეთი სადილი ამ ბაღში ჯერ არ ყოფილაო!*

ეს იმიტომაც მოხდა, რომ ნადიმს ესწრებოდა გრიგოლ ორბელიანი და მანვე მისცა ლხინს ეროვნული სიამაყის, ტრიუმფის ხასიათი.

როგორც ძველი მხედარი და ნამდვილი ორბელიანი, გრიგოლი

---

* „დროება,“ 1878, № 193.

დიდ დაინტერესებას იჩენს ცხენოსნობაში გამართულ ბატალიებშიც.

1878 წლის ღვინობისთვეა. თბილისი დიდი ასპარეზობის მოლოდინშია. ყველანი განაბული გულისფანცქალით მოელიან დღეს. ესეც უჩვეულო შეჯიბრი გახლდათ.

დილიდანვე მიაწყდა ხალხი რკინიგზის სადგურს. მთელი ქალაქი გალაგდა. ასპარეზობაზე დასწრება ყველას გულით სწადდა. ვინ ფეხით მიდიოდა, ვინ ფაეტონით, ცხენით, დროშკით, ვისაც რითი შეეძლო, თაქუდმოგლეჯილი გარბოდა ყველა დიდიან-პატარიანად.

დოღი ორ საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მეფისნაცვალმა დააგვიანა და ოთხზე დაიწყო.

პირველად სამი ცხენი გამოვიდა: ორი ელიზავეტპოლის სახელმწიფო ცხენსაშენისა და ერთიც გენერალ დუხოვსკოისა. პირველი პრიზი 400 მანეთი მიიღო სახელმწიფო ცხენმა „ლელიამ“, რომელმაც ორი ვერსი და ასი საჟენი სამ წუთსა და 53 წამში გაირბინა. მეორე ჯილდო დუხოვსკოის ცხენს ხვდა წილად.

მეორედ შვიდი ცხენი გამოიყვანეს: სამი იმავე ცხენსაშენისა და ოთხიც კერძო პირისა. ამ შესანიშნავ სრბოლაში საყოველთაო ყურადღება და სიმპათია დაიმსახურა გრიგოლის ცხენმა „მერცხალამ“, რომელზედაც მისივე მსახური, ნინიკა ბაქრაძე იჯდა. ნინიკამ აქაც ისეთი მოხერხება გამოიჩინა, როგორც პოეტი-გენერლის მსახურს მოეთხოვებოდა. ჯერ უკან მიდიოდა, შერე თანდათან გაუსწრო პირველს, მეორეს, მეოთხეს, მეექვსეს... ორასი საჟენით ჩამოიტოვა ყველანი და პირველი მიიჭრა ფინიშთან:

— ბრავო, ნინიკა! ბრავო, მერცხალა! — შესძახა ხალხმა.

ამ საყოველთაო ღრიალზე „მერცხალა“ დაფრთხა, განზე გაიწია, თოკს გამოედო, დაეცა და მხედარიც ცხრა არშინზე გადააგდო. საბედნიეროდ, ნინიკა მძიმედ არ დაცემულა, როგორღაც მერცხალივით გადაეველო თავს პოეტის „მერცხალას“, ბურთივით გადაგორდა. ისევ წამოიჭრა, ცხენს ხელახლა მოახტა და წამოაყენა, მაგრამ ერთხელვე დამფრთხალი ცხენი მეორედ გაიხლართა თოკში, ისევ დაეცა და ნინიკაც ხელახლა გადააგდო. ვიდრე მეორედ აიღებდნენ დაკარგულ სტარტს, ცხენსაშენის ცხენმაც მოასწრო წამოწევა და ფინიშიდან ორ საჟენზე მოიტოვა ნინიკა.

გრიგოლს გუნება წაუხდა. ცუდად ენიშნა პრიზის დაკარგვა.

დოღი მეორე დღესაც გაგრძელდა. თერთმეტი ცხენიდან პირველი ჯილდო აიღო გრიგოლის რემიდან ნაყიდმა კვიცმა, რომელიც სულეიმან-ალის ჰყავდა.

მეორედ თოთხმეტი ცხენი გამოვიდა, ყველა ჯურისა და ფერისა. პირველი ჯილდო ერგო პოდპოლკოვნიკ ენიკოლოფოვის „გიშერას". ბევრი ჯახება და განგაში იყო ამ დოღზედაც, მაგრამ მთელმა თბილისმა აღიარა, რომ მარცხის მიუხედავად თავი გამოიჩინა მხოლოდ გრიგოლ ორბელიანის მშვენიერმა „მერცხალამ".

— აბა, რა სახსენებელია ამ მერცხალასთან დრაგუნთა ნასუქი ჯაგლაგები!—ამბობდა ყველა.—ლამაზი ესაა, სწრაფი ესაა. ნამდვილი სადოღე ცხენი ესაა, სხვები კი ჩვეულებრივი ცხენები არიანო.

გრიგოლს ეს ქება ნაკლებად ახარებდა. თავს გადააქნევდა და იტყოდა:

— პრიზი მაინც დავკარგე! ჩემი „მერცხალაც" კი წაიფორხიალებს, სხვისი ჯაგლაგიც კი მიფრინავსო!

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შესწავლილიცაა და ჯეროვნად გაშუქებულიც, მაგრამ მაინც გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმ ურთიერთობაზე, რაც მოხუც გენერალ-პოეტსა და ახალგაზრდა თაობის ბელადს — ილიას შორის არსებობდა. პრინციპულ უთანხმოებათა მიუხედავად, გრიგოლ ორბელიანსა და ილია ჭავჭავაძეს გულთბილი ერთიერთობა ჰქონდათ, რასაც ერთმანეთისადმი ნდობა და ჭეშმარიტი პატივისცემა ედვა საფუძვლად.

სწორად შენიშნავს გამოჩენილი ქართველი მკვლევარი ს. ხუციშვილი: ვინც ილიას და გრიგოლის ურთიერთობას მათი „პასუხებისა" და „გამოცანების" მიხედვით შეაფასებს, იფიქრებს, რომ ეს დიდი პოეტები „უსათუოდ დიდი მტრები იყვნენ"*. სინამდვილეში კი ეს ლიტერატურულ-პრინციპული ბრძოლა არ უშლიდათ პატივი ეცათ ერთიმეორისათვის და ეღიარებინათ ერთმანეთის დიდი პოეტური ძალა. ილიამ გრ. ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ, მის დაკრძალვაზე, გრიგოლს „ჩვენი ქართული ენის თვითმპყრობელი"

* „ლიტერატურული საქართველო", 1941, № 24.

უწოდა, ადრეც მაღალ შეფასებას აძლევდა მის „მაღალი ნიჭით ცხებულ“ ლექსებს.

გრიგოლიც ანგარიშს უწევდა ილიას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან თავის „მტერ-მოყვარეს“ გაუგზავნა „ფსალმუნი“ და მსჯავრის დადებაც მიანდო (1879 წლის 25 ივნისს); თუ არ მოგეწონოს, ფანქარი გადაუსვი, რომ მაგ ლექსის სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემს შესარცხვენადო.

გრიგოლ ორბელიანის პოეტური ნიჭის თაყვანისმცემელმა ილიამ ეს ლექსი უცვლელად დაბეჭდა.

1879 წლის 18 მაისს მხცოვანი გრიგოლი დიდ ილიას მიერ არის მიწვეული ქართული თეატრის აშენების თაობაზე შეკრებილ საზოგადოების კრებაზე, მაგრამ გრიგოლი ვერ მიდის, რადგან „ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების“ საგანგებო სხდომები მოუწვევიათ და წერილობით სთხოვს პატივებას ილია ჭავჭავაძეს.

თეატრის დაარსებაზე კი სანუგეშოს ვერაფერს ამბობს.

„მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსა არა აქვს თავისი შენობა, რომელსა არა ჰყავს გასწავლული აქტიორები, რომელსა არ შეუძლიან შენახვა თავისი თავისა?.. არა მგონია ჩვენი ბანკი ისე იყოს გასუქებული, რომ სამასი თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიაჩნდეს*.

ბანკის მოვალეობად გრიგოლს ისევ სწავლა-აღზრდის საქმეში შეწევნა მიაჩნია და ამაზე სკოლებისა და თეატრის დამატებას ზედმეტ ფუფუნებად თვლის. სულაც არ ამბობს, რომ ეს ზედმეტია, მაგრამ შენახვის იმედი არა აქვს და სწორედ აქ იჩენს თავს მამათა მედროშის დაქანცულობა, ახალ ვითარებაში გაურკვევლობა, ახალი თაობის მგზნებარე, შეუპოვარი მედროშის იმედიან მოწოდებასთან შედარებით.

ამან აშკარად იჩინა თავი იმავე წერილის დასასრულს:

„ქართველები ვართ ბუნებით გულსწრაფნი. გვინდა ხვალვე იყოს მზად ყოველი, რაცა გვსურს. ჰსჯობს ნელნელა წავიდეთ წინა, ვიდრე სიჩქარით დავრჩეთ შუა გზაზე დაღალულნი“.

აი, ეს ნელ-ნელა წასვლა არ ეგუებოდა თერგდალეულთა ბუნე-

---

* „ბახტრიონი“, 1922, № 21, გვ. 2.

ბას და ისტორიულად ისინი იყვნენ მართალნი. ორბელიანი უკვე უთმობს „ბურთივით მრგვალ“ ლიბერალს და მხოლოდ ვარაუდებით კმაყოფილდება: გაგვიჭირდებაო.

* * *

1879 წელს გრიგოლი ისევ მოიგონებს ეკატერინე ჭავჭავაძეს და წერილებსა სწერს.

პირველი, 1879 წლის 16 ივნისის თარიღით:

„უგანათლებულესო კნეინავ, ჩემო მოწყალეო დაო, ეკატერინე! ჰეშმარიტი სიხარულით მოგილოცავ თქვენის საყვარელის ნიკოს მშვიდობით მობრძანებას ცოლ-შვილითა. ღმერთმან ჰყოს ბედნიერად... ახლა კი დროა, რომ მოხედოს თავის ქვეყანას და დაბინავდეს მამა-პაპისეულს მამულსა, ზეგარდმო ნაკურთხსა ნაყოფიერებითა, მშვენივრად შემკობილის მდებარეობითა, საზაფხულოდ გორდითა, საზამთროდ ზუგდიდითა. მთა, ზღვა, ტყე, გარშემო ნათესაობა, ხალხი, რომელთანაცა ხართ დაკავშირებული საუკუნოების განმავლობითა... მაშა ვინ უნდა იყოს მზრუნველი მაგათ კეთილ-დღეობისათვის? ვისა შესტკივა გული მაგათ უბედურებაში, თუ არა თქვენვე? სამეგრელო და თქვენ ეკუთვნით ერთმანეთს და ხართ განუყრელნი. კნიაზმა ნიკომ ახლავ, ვიდრე ყმაწვილი კაცია, უნდა დაჰკრას ბარი და მკვიდრად, შეურყეველად აღაშენოს ოჯახი თვისი... თორემ, როცა ჩემსავით მოხუცდება, მაშინ ვეღარა აშენდება რა. ზუგდიდი ერჩივნოს პეტერბურგსა. მანდ დათესოს ყოველივე კეთილი და მით დროზე აღადგინოს დაცემული თავისი ქვეყანა“.

შემდეგ გრიგოლი თავის ოდინდელ სატრფოს ატყობინებს თბილისის ამბებს, კალიის ღრუბლის გამოჩენას, რაც კახეთისაკენ გაემართათ, მას შემდეგ, რაც მოჭამა ქვეყანა, მაგრამ ქვეყნის მესვეურთ შიმშილი არ აწუხებთ, არიან ღრეობასა და ცეკვა-თამაშში გართულნი. თბილისში ისევ ქორწილებია, ჯენტლმენი ონიკოვი ვენასა და პარიზში წავიდა, დარჩა „გადაყრუებული“ პოეტი მარტო.

ბოლოს ნიკოს ცოლსა და ანდრიას მოიკითხავს, და სხვათა შორის, უგზავნის უმთავრესს: ლექსს „ვინღა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმინდასა...“

როგორც ცნობილია, გრიგოლის რჩევამ არ გაჭრა.

ნიკო დადიანმა სამეგრელოს ტახტი გაყიდა. მილიონი მანეთი მიიღო და პეტერბურგში სეირნობა ამჯობინა ოდიშის ბაღნარში გლეხთა აწიოკებას.

ივანე მუხრანსკიმ სარდლობაზე ხელი აიღო და შამპანურის მზადებას მიჰყო ხელი, ღვინის დაღერა ამჯობინა სისხლის დაღვრას.

გენერალი ლაზარევი რაღაც მუწუკმა მოკლა 1879 წელს... ყველას თავისი ბედი აქვს.

1879 წელს 24 აგვისტოს უკვე კარგა ხნის „ბებიას“ ეკატერინეს ულოცავს საყვარელი ასულის სალომეს მშვიდობით მორჩენას, ქალის შეძენას, მხოლოდ ამას წუხს, რომ წყეულმა სიბერემ ხელი დაჰკრია, ვეღარ მოაჭენებს ცხენს, ვეღარ ეახლება, რომ ძველებურად ძეობა გაემართათ და ქუდი ჭერისათვის ეკრათ.

ახალშობილს ანტუანეტა დაარქვეს.

იმავე წერილში გრიგოლი მწუხარებით აუწყებს ეკატერინეს, რომ გარდაიცვალა გენერალი ლაზარევი, მისი ძველი მებრძოლი მეგობარი, „საკვირველი კაცი, უბრალო მკერვალის შვილი, ყარაბაღელი, უსწავლელი, გაუზრდელი“, რომელიც შეიქმნა ბოლოს გამოჩენილი ღენერალი კავკასიისა“. პირველად გრიგოლმა აიყვანა თავისთან შირვანის პოლკის კაპიტანი და მუდამ ხიბლავდა მისი ვაჟკაცობა, გამჭრიახობა, ახლა კი იმასაც ემშვიდობება... ბოლო ხანებში დიდხანს იყო ბაქოში მივიწყებული და ისევ უხმეს მუხტარ-ფაშასთან ომში... ერთ-ერთი ლაშქრობის წინ ის გარდაიცვალა.

მეორე წერილი 17 იანვარსაა დაწერილი. პოეტი პატიებას ითხოვს დაგვიანებისათვის, წერილზე პასუხის გაუცებლობისათვის, მიზეზად ასახელებს სიბერეს, ძვირფასი ადამიანების — ყაფლანის და სოსიკოს დაკარგვას. ყაფლანი, „ძმა, მეგობარი, ამხანაგი“, მართლაც დიდი დანაკარგი იყო მოხუცი ორბელიანისათვის. გამოყრუვდა ორბელიანთა უბანი და არის გრიგოლი მარტო ქუჩაში, „ვითარცა ვიღაც უცნობი“. ძველთაგან ორნი დარჩნენ — გრიგოლი და ეკატერინე! აქ ერთხელ კიდევ ითხოვს, ნიკო ზუგდიდში დაბრუნდესო, პეტერბურგს რად უნდა დადიანიო!

მოხუცს სანუგეშოდ ის დარჩენია, რომ თბილისი მეტად გადიდდა, გამრავლდა, მიხეილის ხიდი ძლივს იტევს გამვლელ-გამომვლელსო, ერთი თეატრი აღარ გვყოფნისო.

ამას მოსდევს ისევ ვაება: ჩვენი თავადობა დაეცა, გაღატაკდა, გაწყალდაო! თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ ხალხი გამოდიოდა ტყეებიდან, ხეობებიდან, ისევ აშენებდა ქოხებს, ჩვენს თავადობას კი აღარსად ექნება თავშესაფარი, „ჩვენი მომავალი მეტად დაბნელებულია და არსაიდამ ჰსჩანს ნათელი ნუგეშისა".

სხვა ყველაფერი ჩვეულებრივად მიდის. თოვს. ტაპო, გაგარინის ქვრივი, და ელენე კარგად არიან, არც ნიკო ჭავჭავაძეს უჭირს რა, უწინდელი გიჟი ნიკო ახლა განჯის გამოჩენილი გუბერნატორია...

* * *

1879 წელს გრიგოლ ორბელიანის მეგობართა მრავალრიცხოვან წრეს ემატება საფრანგეთიდან ახლად დაბრუნებული ჭკვიანი, მცოდნე და ცნობისმოყვარე ლიტერატორი იონა მეუნარგია, რომელსაც ბედმა პოეტის პირველი ბიოგრაფობა არგუნა ხვედრად. მათი ხშირი შეხვედრები ცოცხალი მასალით ამდიდრებს ერთადერთ ბიოგრაფიულ ნაშრომს, რაც ღვაწლმოსილ პოეტზე შექმნილა თვით პოეტის სიცოცხლეში.

მზესთან ერთად ადგებოდა დილაადრიან, მაზარაწამოსხმული დადიოდა აივანზე დიდხანს, მუდამ გარკვეული დროის განმავლობაში, და გადასცქეროდა კავკასიონს, თავის სულიერ სადგურს.

დილით მძინარე ადამიანებს ვერ ეგუებოდა. თავისი დის ასულის, ეკატერინეს შვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დისშვილს, ნიკოლოზ ერისთავს, რომელიც კლუბიდან შინ ღამის სამ-ოთხ საათზე ბრუნდებოდა, მაინც უთენია აღვიძებდა თურმე:

— დიდო ერისთავო, ადექ, ნუ გძინავს! გამოიხედე, ღმერთი ქადაპურს არიგებსო! — ააყენებდა, თვითონ კი ბოლთის ცემას განაგრძობდა, ჩაიზე ალოდინებდა.

ჩაის და სადილს რომ მორჩებოდა, აიღებდა კალენდარს ან „დროებას", ფერადი ფანქრით აღჭურვილი დაიწყებდა კითხვას, არეებზე წერდა ცნობებს ამინდზე, წინა დღის ამბებზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და გაზეთს ასეთი შენიშვნებით აჭრელებდა: „ეს რა ქართულია?" „თუ ეს ქართულია, მე არა მცოდნია რა" და ა. შ.

მაგრამ ყველაზე მეტს წერილებს წერდა. ჯერ შავად წერდა, მერე გადაათეთრებდა და ყველასათვის შესაფერის კილოს პოულობდა. თავისი „ბურიენიდან“ დაწყებული, მეფისნაცვლებამდე არ დაუტოვებია ნათესავი, გენერალი, თავადი, ქალი თუ კაცი, რომ მოკლე ბარათი მაინც არ მიეწერა. საკმაოდ ვრცლად წერდა და სხვისგანაც ვრცელ წერილს ითხოვდა, ახალი ამბებით მდიდარსა და შინაარსიანს. თუ არავინ არაფერს დაწერს, „მაშ წერას რისთვის ასწავლიანო! — საყვედურობს ძმისწულს გიორგი ილიას ძე ორბელიანს 1878 წელს. ადრე ხომ მამამისი აიკლო ასეთი საყვედურებით.

გრიგოლ ორბელიანის კერძო წერილები — ესაა ნამდვილი გალერეა მეცხრამეტე საუკუნის ყველა რამდენადმე და რითიმე გამოჩენილი ადამიანებისა.

ნასადილევს სოლომონს „რაღაცას“ — შარტრეზს ან ლიქიორს მოატანინებდა, ერთ-ორ ხელს „დიდ პასიანტს“ ეთამაშებოდა და მოსვენების წინ უკვდავი დისწულის სიტყვებს წარმოთქვამდა: „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა“.

ასე სრულდებოდა ორბელიანის დღე. მოხუცი გენერალი ძილს ეძლეოდა.

ოჯახის საქმეებზე კი ზრუნავდნენ ხან ნინიკა, ხან ზაქარა, ხან სოლომონა...

ორმოცდაათ წელზე მეტ ხანს ემსახურებოდა პოეტს ნინიკა, ლამის მეგობარივით შეეზარდა და ბატონიც მუდამ სიყვარულით იხსენიებდა ერთგულ მსახურს: „ჩემს ნინიკას ჯვარი დავსწერე“, „ჩემი ნინიკა დაიჭრა“, „ჩემი ნინიკა ავადა მყავს“ ა. შ.

ზაქარია, „ზახარკა“, ლეკებთან ბრძოლის დროიდან ემსახურება გრიგოლს. მისი სახელი უკვდავყოფილია შამილთან მიწერილ ცნობილ წერილში. მას მოუხდა დარღოში წასვლა და წერილების წაღება. შამილის ტყვეებთანაც მანვე წაიღო წერილი 1854 წ. აგვისტოს მიწურულში. ერთობ კომიკური ტიპია ეს შუაკაცი „ათფუთიანი ზახარკა“, რომლის სიმძიმით წელმოწყვეტილი ცხენი დოღში უკან რჩებოდა, თუმცა გრიგოლის ცხენებს ბადალი არა ჰყავდათ.

სიბერის ნუგეშად და შემწედ გრიგოლს დარჩენია მოსამსახურე სოლომონი. 1882 წლის 23 იელისს რძალს, ქეთევანს (ზაქარიას ქვრივს) ხუმრობით სწერს:

„მე ვარ დავრდომილი, რომელსაცა არ გამოადგა არც და, არცა რძალი, არცა სხვა ვინმე, და დამრჩა ჩემ ნუგეშად ჩემი სოლომონკა. ღმერთმა მიცოცხლოს. ესეცა კმარა ჩემთვის“.

ასე ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს უცოლ-შვილოდ გადაგებული. სხვების დამხმარე და თვითონ ვალებიდან ამოუსვლელი, ბრწყინვალე თავადი, ფეოდალი, პოეტი, გენერალი და გამოჩენილი სარდალი გრიგოლ ორბელიანი.

დაბოლოს, ქალზე სრულიად ჩაიქნია ხელი, თუმცა სიცოცხლის ლაზათს თვითონაც ქალის ალერსში, კურკურში და არშიყობაში ხედავდა. სხვებს მუდამ უქადაგებდა — შეირთეთ და შეირთეთ ცოლიო! რაც დრო გადის, მით უფრო მძიმედ განიცდის პოეტი მარტოობას, მით უფრო შურით შესცქერის ყოველ ბედნიერ ცოლქმარს.

1878 წლის 24 დეკემბერს გენერალ ივანე ოგლობჟიოს ცოლს ტასო ორბელიანს სწერს:

„ბიძინა ჩოლოყაშვილის ცოლი წავიდა... ქმართანა, რომელიც თურმე მძიმე ავად არის, კარგია, ვისაცა ჰყავს ქვეყანაზე ვინმე გულის შემატკივარი და ჩემსავით არა გდია ოთხ კედელს შუა და არ მოელის, როდის ინებებს სოლომონკა სანთლის ანთებას ჩემს ოთახში“.

* * *

1880 წლის 12 თებერვალს ხარკოვის გენერალ-გუბერნატორი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი შფოთის საქმის გამრიგებლად დანიშნეს. 20 თებერვალს მას მლოდეცკიმ რევოლვერი ესროლა. მელიქოვი გადარჩა და იმავე წლის 6 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს.

გრიგოლი კარგად იცნობდა ლორის-მელიქოვს და გადარჩენა დეპეშით მიულოცა. „გოლოსმა“ ამ დეპეშის ქება დაბეჭდა და, სხვათა შორის, გამოითქვა აზრი, რომ რუსეთი კავკასიამ უნდა იხსნასო (ლორის-მელიქოვი თბილისელი სომეხი იყო). გრიგოლ ორბელიანი განცხრომას და კმაყოფილებას კი არ მიეცა ამ წერილის გამო, არამედ საპასუხო წერილში შეედავა ოლღა გრუზინსკისას და „კავკასიიდან ხსნის“ ლოზუნგი შეურაცხყოფად ჩათვალა თვით რუსეთი-

სათვის. ესმოდა რა საქართველოს ისტორიული როლი, რაც ჯეროვან შეფასებას მომავალში ელოდა, ჩვენი პოეტი საღად ხედავდა მოვლენებს და ყველას თავის ადგილს აკუთვნებდა.

„... რა შეუძლია მარტო ერთ გრაფ ლორისს ამ ადამიანთა გულწრფელი დახმარების გარეშე? რუსეთი დიდი კაცია. მის მარაგშია გონების ძლიერების დიდი მარაგი, ნებისყოფის დიდი ძალა, და მწამს, ყოველი ბნელი მხოლოდ უძლურობისა და მანკიერების თავშესაფარია. ძალა სინათლეშია! მახსოვს, რა ძლიერ მღელვარებდა ჩვენი დედაქალაქი გერცენის მომხიბლავი დიალექტიკით, მაგრამ როცა „მოსკ. ვედომოსტი“ ალაპარაკდა, — დადუმდა „კოლოკოლი“ და გაქრა მისი მომხიბლაობა, არა კავკასიამ, არამედ რუსეთმა უნდა იხსნას და შეუძლია იხსნას რუსეთი“ (1880 წ. 27 მარტის წერილი).

1880 წლის თებერვალში გრ. ორბელიანი დახმარებას უწევს დამშეულ სოფლებს. ოთხ სოფელს დაურიგა პური და დანარჩენებისთვისაც შეუდგა მზადებას. „დროება“ მიესალმება ამ ფაქტს და სხვებსაც მოუწოდებს, მიჰბაძონ პატივცემულ ორბელიანს.

1880 წლის 3 ოქტომბერს „დროება“ სიამოვნებით აუწყებს მკითხველთ, რომ გრ. ორბელიანს ახალი პოემა დაუწერია თამარ მეფეზე და „ამბობენ, მშვენიერი რამ არისო“*.

მართლაც, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ პოეტური გამოწვევაა იმ დროისა, რაც პოეტისათვის ასე უიმედოდ წასულა, ჩანაველებულა და დროის მსახვრალ ხელს ისტორიისათვის ჩაუბარებია.

* * *

ღრმად მოხუცი მგოსანი ხალისით იღებს მონაწილეობას იმ კომისიის მუშაობაში, რომელსაც ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შეჯერება-შესწორება დაევალა.

1880 წლის დეკემბერში ვეფხისტყაოსნის ტექსტის შემსწორებელი რედაქციის მოთავემ გრ. ორბელიანმა წერილები დაუგზავნა იმ პირთ, რომელთაც მისი ვარაუდით გააჩნდათ უკვდავი პოემის გამოცემები, და სთხოვს დახმარებას, წიგნების შოვნას და რედაქციაში გამოგზავნას ამ დიდი საქმის აღსასრულებლად**.

---

* „დროება“, 1880, № 43.

** „დროება“, 1880, № 266.

1881 წლის 6 თებერვალს შედგა ვეფხისტყაოსნის ახალი სარედაქციო კრმისიის სხდომა. თავმჯდომარის — გრ. ორბელიანის გარდა სხდომას ესწრებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ დადიანი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ჯორჯაძე, სერგი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, არქიმანდრიტი გრიგოლი, პეტრე უმიკაშვილი, ივანე მაჩაბელი, ილია წინამძღვრიშვილი და სხვანი.

„ნესტან-დარეჯანის სქესიდან“ სხდომას ესწრებოდნენ ჩვენი საპატიო მანდილოსნები — ეკატერინე გაბაშვილი, ოლგა ჭავჭავაძისა, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანსკი, ნინო ორბელიანისა...

კრებას ესწრებოდა აგრეთვე ქართველი მწერლების პლუტარქე იონა მეუნარგია, რომელმაც კრებას შეახსენა, რომ შვიდი-რვა ხელნაწერი ამ საქმისათვის არ კმაროდა, ამიტომ ყრილობამ დაადგინა, რაც შეიძლება მეტი ხელნაწერის თავმოყრა. თავმჯდომარემ აკი წერილებიც მისწერა ოციოდე პირს, მაგრამ გამოხმაურება უმნიშვნელო იყო. კომისიამ მაინც შეაგროვა ოცზე მეტი ხელნაწერი. მათ შორის უძველესი გამოცემა 1646 წელს ეკუთვნოდა.

საგულისხმოა, რომ იმდროინდელი ქართული აზრის ბაყრობელთ საჭიროდ არ ჩათვალეს ვეფხისტყაოსნის ტექსტზე მომუშავე ვინმე შავი მუშების მოწვევა და ეს საქმე, მიუხედავად ასაკის, ავტორიტეტის, განსწავლულობის და მოუცლელობისა, თვითონვე იკისრეს.

გრიგოლ ორბელიანმა კამათის შედეგად თქვა, რომ ძველათ ბევრმა იცოდა ზეპირად ვეფხისტყაოსანი, ვახტანგსაც, როგორც მეფეს, შეეძლო ეშოვა უკეთესი ხელნაწერები და მის გამოცემას ვენდოთო.

ილია ჭავჭავაძე ამ გონივრულ წინადადებას კიდევ უფრო გონივრულ აზრს უმატებს: ხელნაწერები წავიკითხოთ და ვნახოთ, რომელი უფრო სანდოაო. დაიწყეს საჯარო კითხვა-შედარება. კითხულობდა რაფიელ ერისთავი.

ამრიგად, როგორც იონა მეუნარგია შენიშნავდა, ყრილობამ დაიწყო ობოლი მარგალიტის ძებნა უდიდესი თანამედროვე პოეტის ხელმძღვანელობით. კომისია დიდ მოკრძალებას იჩენდა ტექსტის მიმართ, ასწორებდა მხოლოდ იმ ფრაზებს და სტრიქონებს, რომელიც ძნელი გასაგები იყო და აუცილებლად საჭიროებდა რედაქციას.

• • •

1881 წლის 16 ივნისს გრიგოლი მიხეილ ლორის-მელიქოვს ჩვეული გულახდილობით სწერს:

„... კვდება და ჰქრება ის სახელოვანი თავადაზნაურობა, რომელიცა ათასის წლის განმავლობაში მამაცობით ებრძოდა მთელს აზიასა ქრისტეს სარწმუნოებისა და მამულის დასაცველად. საქართველო მრავალჯერ გაოხრებულა მონღოლთაგან, სპარსთა და თურქთაგან, ლანგ-თემურ-შაჰ-აბაზისაგან, მაგრამ დაემორჩილა მხოლოდ რუს ხელმწიფესა იმ იმედით, რომ მის მფარველობის ქვეშე ეღირსებოდა მშვიდობიანად და კეთილდღეობით ცხოვრებასა! ახლა რასა ვჰხედავთ? ასე დაცემული სულითა არა ყოფილა არა ოდეს. გაუძლებელი სიგლახაკე და უიმედობა გვიბნელებს გონებასა, შეგვიპყრა სასოწარკვეთილებამ, მოველით რა დღემდე, რომ გამოგვრეკენ სახლიდამ, მამულიდამ, გულზე გვაწევს სიმძიმე ვაებისა, ძწუხარებისა და ესრეთი უნუგეშო მდგომარეობა რამდენისამე ათასის სულისა, მგონია, არ იყოს კარგი თვით ხელმწიფისთვისაცა“.

1882 წელს გრიგოლს მოახსენეს, ოდესაში გარდაიცვალაო მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის ერთადერთი შვილი — ქალაქისთავი სიმონ მიხეილის ძე ვორონცოვი, და ამით შეწყდა ამ დიდი გვარის პირდაპირი შტო.

ჩემი შტოც შეწყდებაო ჩემი გარდაცვალებით, ოხრავს უშვილო მოხუცი.

დიდი იყო გრიგოლის ძალა და ავტორიტეტი დაღესტანშიც, საქართველოშიც და მთელს იმპერიაშიც. ხშირად სჭერია ხელში ქვეყნის ბედი. თამამად წარადგენდა ხოლმე სამხედრო თუ სამოქალაქო საქმეზე თავის აზრს და მთავრობაც უსრულებდა. ამბობენ, ციციანოვის შემდეგ ასეთი მაღალი მდგომარეობისთვის არც ერთ ქართველს არ მიუღწევიაო.

1881 წლის სექტემბერში თბილისში არქეოლოგების პატივსაცემად გაიმართა დიდი ბანკეტი, რომელზედაც მიიწვიეს მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი ლევან მელიქიშვილი და, რაღა თქმა უნდა, გრ. ორბელიანიც. სულ ორასამდე კაცი იყო.

ბანკეტი თავიდანვე უსიამოვნებით დაიწყო. საზოგადოების

თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა კომაროვმა იუკადრისა მისთვის მიჩენილი ადგილი და ნადიმის დაწყებამდე შინ წავიდა.

დაიწყო ბანკეტიც. ქალაქის თავმა მატინოვმა ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი, მერე მიხეილ ნიკოლოზის ძე, მესამედ ლევან მელიქიშვილი, და მეოთხედ „უხუცესი მოქალაქე“ გრ. ორბელიანი.

სიტყვა თქვა გრაფმა უვაროვმა, რომელმაც ქალაქის ხალხი და მათი მასპინძელი ალექსანდრე მატინოვი ადღეგრძელა. ამ უკანასკნელმაც უსურვა თბილისს, რომ „მალე გამხდარიყო მეცნიერების ტაძრად, გამხდარიყო ღირსი საკუთარი უნივერსიტეტისა, რათა მთელს კავკასიას მოეფინოს შუქი სწავლა-განათლებისა და მეცნიერებისა“.

ამ სიტყვებს, ცხადია, ყველა ტაშით შეხვდა.

ამის შემდეგ ვინმე ხვოლსონმა თავისი სიტყვით ყველა გააოცა და მეტადრე გრიგოლი, ლევანი და სხვა გამოჩენილი მამულიშვილნი. „დროება“ მოსწრებულად აღწერს მის გამოსვლას.

ეს პატარა, მელიის მსგავსი „ნაურიალი“ პროფესორი მიცუნცულდა სუფრის თავში, ჩადგა თ. გრ. დ. ორბელიანსა და თ. ლ. ი. მელიქოვს შუა და თავის ურიულის აქცენტით წარმოსთქვა, ჩემი აბჯანაგების დავალებით გამოვდივარო. „თქვენ დიდებული წარსული გაქვთო“, მიმართა საზოგადოებას ამ გაქუცულმა მელამ, და ამ „თქვენში“ მხოლოდ სომხებს გულისხმობდა.—„თქვენ პირველად მიიღეთ ქრისტიანობა, მდიდრები ხართ, გაქვთ მწიგნობრობა, არ დაივიწყოთო“ და ა. შ. ერთხელაც არ წასცდენია „ქართველი“ მთელს ამ ნახევარსაათიან ჩიფჩიფში.

დაასრულა მელაკუდამ და სათითაოდ ჩამოართვა ყველამ ხელი გარდა გრიგოლ ორბელიანისაო, სიამოვნებით აცხადებს გაზეთი, რომელიც შენიშნავს, რომ ამ სიტყვამ აღაშფოთა არა მარტო ქართველები და რუსები, არამედ კეთილგონიერი სომხებიც. ბევრმა უთხრა კიდეც, პროფესორს ასე ცქაფად ლაპარაკი არ შვენისო, გამოდიხარ და არც ისტორია გცოდნია კავკასიის, არც გეოგრაფიაო. პროფესორმა ვირხოვმა თქვა, იმდენი სხვადასხვა ენა მესმის, ბაბილონის გოდოლი მაგონდებაო და საჭიროდ ჩათვალა ამ ნიჭიერი

ხალხისათვის უნივერსიტეტის გახსნა, რათა აღდგეს ის შუქი, რაც წარსულში აღმოსავლეთიდან ეფინებოდა დასავლეთსო*.

გრიგოლმა კი, სამწუხაროდ, დუმილი ამჯობინა, თუმცა ესეც მეტყველი ფაქტი იყო, რომ ჩვენმა ამაყმა პოეტმა პასუხის ღირსად არ ჩათვალა „ნაურიალი მელა ხვოლსონი“.

გრიგოლი სიბერეს ქედს არ უხრის. სიხარულით ხვდება ცნობას საქართველოში რკინიგზის გაყვანაზე, მონაწილეობას იღებს ძველი წიგნების გამოცემის საქმეში...

* * *

საზოგადოებაში აღიძრა აზრი, რომ „დიდის დარბაზობით“ იდღესასწაულონ სასიქადულო პოეტის გრ. ორბელიანის მოღვაწეობის 50 წლისთავი. „დროება“ მთელი ხალხის სახელით მიესალმება ამ ღონისძიებას**.

იუბილე განზრახული იყო ნოემბრისათვის.

მკითხველები მალე ეხმაურებიან და ვადის შეტყობინებას მოითხოვენ.

ამ განცხადებას გაზეთი „შრომაც“ ეხმაურება და წუხილს გამოთქვამს, რომ „მუშა ბოქულაძის“ ავტორს ამ გაზეთისათვის იუბილის დასწრებაზე უარი უთქვამს: ავად ვარო. გაზეთი ამ უარს არისტოკრატიულ ჟესტად თვლის: იუბილე ჯერ შორსაა, იქნებ გამოკეთებულიყო და ასე გადაჭრილი უარი არ უნდა ეთქვაო***.

1882 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატმა მიხეილ პავლეს ძე საბინინმა (ივერიელმა) გამოსცა 639-გვერდიანი წიგნი „საქართველოს სამოთხე“, ქართველ წმინდანთა დიდებული ილუსტრირებული ცხოვრება, რომლისთვისაც 27 საუცხოო სურათი ლაიპციგში შეუკვეთა. იმ დროისათვის ეს მეტად მძიმე ამოცანა საბინინს დიდ გარჯად დაუჯდა და ამ საქმეს გრიგოლ ორბელიანის გარდა თითქმის არავინ გამოხმაურებია. მხცოვანი მგოსანი ილია ჭავჭავაძეს სწერს წერილს და სთხოვს სათანადო დადგენილების

---

* „დროება“, 1881, № 196.

** „დროება“, 1882, № 189.

*** „შრომა“, 1882, № 36.

მიღებამდე ბანკიდან გასცეს საბინინისათვის ფული — როგორც ენებოს, ოღონდ კი აღსრულდეს*.

მალე იღლება ღრმად მოხუცი გენერალი, დაწერს რამეს, მიიღებს ვინმეს, გაივლის ცოტას, და ოხვრით იტყვის ხოლმე:

— ეჰა! ერთ დროს მეც კაცი ვიყავი, ახლა კი ბერიკაცი ვარ.

გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა

დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ...
საფლავს ჩავდივარ სიმწარით...

გრ. ორბელიანი, 1883 წ.

„ტაბახმელავ! ოჰ, ტაბახმელაე! ლამაზო ტაბახმელავ! ქვეყნად მხოლოდ ერთია ტაბახმელა“, — სწერდა პოეტი რძალს.

ასე უყვარდა კოდაც. ბორჯომშიც გაუწევია ლაზათები, ბორჯომიც მისი იყო, მაგრამ გავიდა დრო და ყოველივე სიკეთე თან წაიღო.

ახლა აღსასრული ახლოვდება.

მოსამსახურე ბიჭს მოაქვს ხოლმე ახალი ამბები ავადმყოფ მოხუცთან.

— ბატონო გრიგოლ, უბედურება მომხდარა.

— რა უბედურება, ბიჭო?

— კონკა დატაკებია ფაეტონს. მიხაილის ქუჩაზე და შუაზე გაუწყვეტია.

— გაუწყვეტია რა, თოკი იყო?

— ჰო, ასე ამბობენ, გაუწყვეტიაო.

— ხელმწიფე იმპერატორი ხომ არ იჯდაო იმ კონკაში?

— არა, ხელმწიფე არა... ერთი საწყალი დედაკაცი მჯდარა, პატარა ბავშვი და ერთიც ვაჟკაცი...

ვაჟკაცი და ბავშვი გადარჩენილან, მოხუცი დედაკაცი კი...

— ჰო, იოლად გადარჩენილა საქართველო, ჩემო ნინიკა. ჩემი ეტლიც სადაცაა მალე დაეჯახება ფორტუნას ფაეტონს და მეც წავალ

---

* „ბახტრიონი“, 1922, № 21.

ალბათ, ჩვენ, მოხუცები, მივდივართ, თქვენ, ახალგაზრდები, რჩებით. ასეთია ბუნების კანონი.

— რასა ბრძანებთ, ბატონო გრიგოლ! — დაიბნა მსახური და უსიამოდ შეიშმუშნა, მოიბუზა.

— არაფერს, ასეთია ბუნების კანონი-მეთქი... წადი ერთი, ცივი წყალი მომიტანე. მერე წადი და ეტლი მომიყვანე. კულა გლდანელი და ღოღაძე ჰიდაობენო, მინდა ერთი ლაზათიანი ჰიდაობაც ვნახო გამგზავრების წინ.

გლდანელის და ღოღაძის ჰიდაობაზე მაშინ მთელი თბილისი ლაპარაკობდა. „იტალიის“ ბაღში იყო დანიშნული და, „დროების“ სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხი ხეებზე ნაყოფივით ესხა, ქუჩა-მოედნები ხომ ისე გაიჭედა, კონკაზე ადგილის დაჭერას ყარსის აღება ჯობსო, ამბობდნენ.

— ეჰ, ყარსი არ აგიღიათ, თორემ... — ხუმრობდა ძველი ჯარისკაცი.

ეტლიც მოჰგვარეს.

გლდანელი ლომივით გამოდის მოედანზე. ღოღაძე უკან სანჩოსავით მოჰყვება და წინასწარ გრძნობს, რომ განწირულია, ამიტომ ფერიც წასვლია და მუხლიც აღარ მოსდევს. ვიდრე მთლად დაიკარგებოდეს, კულა მდევივით ეცემა და ზღართანით სცემს დედამიწაზე.

ულვაშებზე ისვამს ფაფუკ ხელს და გულიანად იცინის ჩვენი ლაზათიანი პოეტი და გენერალი.

ზაფხულს პოეტი ხან კოჯორში იყო, ხან ბორჯომში, ან ტაბახმელას, კოდას, კუმისს, წავკისს... მაგრამ ზამთარში და საერთოდ წლის უმეტეს დროს თბილისში ატარებდა.

— კაცს შეუძლია ყველგან იყოს, თუნდაც იაპონიაში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროსო, — იტყოდა პოეტი და ასრულებდა კიდეც. თუმცა სამოთხისებურ ტაბახმელაშიც ძლიერ უყვარდა ყოფნა: „ამისთანა ტაბახმელა ხომ ქვეყანაზე არსად არისო!“ — სწერდა 1879 წელს ოგლობჟიოს მეუღლეს ტაბოს.

ჩვენს სასიქადულო პოეტს ლხინი და დროსტარება, რასაც იგი ხანდახან „ჩასხდომას“ უწოდებს, თავისებური ლაზათით ესმოდა.

„ამასწინათ შევიყარენით სულ ყმაწვილი კაცები. მე, ჭილაევი,

გიორგი მუხრანსკი, შახავსკოი, მირსკი, ლევან, ისააკ, ჯორჯაძე, სულთან-გირეი, სოსიკო, აღალაროვი, სტაროსელსკი — ამ ყმაწვილ კაცებში ყველაზე უფრო ყმაწვილი 60 წლისა მაინც იყო — და წაევედით საღამოზე ორთაჭალას და მტკვრის პირას ჩავსხედით ზურნით, ჭიანურ-თარით და ლაზათიანის მომღერლითა და იყო ჰაერი მშვენიერი, ღამე მთვარიანი. ამ დროს სად იყო, სად არ იყო, წამოვიდა ერთი ნავი დასტითა და სწორედ ჩვენს პირდაპირ შუა მტკვარზე დადგა... გაშალეთ სუფრა! და გაიშალა სუფრა...“

ასე სწერს 71 წლის „ყმაწვილი“ ტასო ოგლობჟიოს 1875 წლის 13 ივნისს. ასე ლაღად ვიდოდა დიდი გრიგოლი ცხოვრების გზაზე და ელოდა ზეგარდმო მადლით მოვლენილ განაჩენს.

დაბოლოს, ლოდინიც დასრულდა. ოთხმოც წელს მიტანებული პოეტი 1883 წლის 21 მარტს (2 აპრილს) გარდაიცვალა.

დღე იყო ორშაბათი.

ავადმყოფობა არც ისე დიდხანს გაგრძელებულა. შუა თებერვალში შეუძლოდ შეიქნა, ვიღაცისაგან ნაწყენი დიდუბეში გავიდა სასეირნოდ, გაცივდა, ნაწლავების ანთება დაემართა. მკურნალობდა შინაური ექიმი გასპარიანცი. სხვა აღარავინ მოუწვევიათ და „იქნება გასპარიანცის მიუხვდომლობით“ საქმე გაუარესდა. ქალაქში ხმა გავარდა, ორბელიანი სიკვდილის პირას არისო. „მშაკი“, „დროება“, „კავკაზი“ ზედიზედ ბეჭდავენ ცნობებს პოეტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ექიმს ასაკი აფიქრებს, თორემ სხვა მძიმე მდგომარეობა არც ისე საგანგაშოდ მიაჩნია.

მაგრამ პოეტი ექიმზე უკეთ გრძნობდა თავისი აღსასრულის მოახლოებას. თვითონ წაიკითხა ლოცვანი, მიიღო ზიარება, ესაუბრა თავის მოძღვარს ბესარიონ ზედგინიძეს, მნახველებს ჩვეულებრივი თავაზიანობით ხვდებოდა, ხუმრობაც კი არ მოუშლია:

— ეჰ, მახლას, ბაბალე, მივდივარ! — ეუბნებოდა დისწულს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დას, რომელმაც სიკვდილის წინა დღეებში ინახულა.

1883 წლის 22 თებერვალს „დროება“ აცხადებს, რომ გრიგოლ ორბელიანი ავადაა ფილტვების ანთებით, და იქვე ანუგეშებს მკითხველს, რომ სიცოცხლისათვის საშიში არ უნდა იყოსო. 19 მარტს კი გაზეთი ისევ უბრუნდება ამ საგანს, ოღონდ ახლა პოეტი მუცლის

სახადით აღმოჩნდა დაავადებული. ცოტა უცნაურია, როგორ იქცა ფილტვების ანთება მუცლის სახადად, და ისიც როგორ გაგრძელდა ეს სახადი „ოცდათოთხმეტი დღის განმავლობაში“, როგორც გაზეთი იუწყება. ამ ხნის ავადმყოფისათვის 38 გრადუსზე მეტი სიცხე სახიფათო უნდა იყოს, მაგრამ პოეტი ჯერაც ჯანზეა და უმადობას არ უჩივის. მკითხველები პირდაპირ რედაქციაში მიდიან ამბის გასაგებად და „დროებაც“ სთხოვს მკურნალ ექიმს გასპარიანცს აცნობოს პოეტის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

პოეტის დღეები უკვე დათვლილია. საკმაოდ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1883 წლის 22 მარტს „დროება“ შავი არშიით იუწყება „ამ საკვირველი კაცის სიკვდილს“. დადგა ამ რკინაკაცის „რიგიც“.

პოეტის აგონიის მომსწრე იონა მეუნარგია წერს:

„21 მარტს დილის 9 საათზე დაიწყო ავადმყოფის სულთბრძოლა. ამ დროს — მე თვითონ ვნაბე ჩემი თვალით — მისი განსასვენებელი ადგილი წარმოადგენდა შემდეგ სურათს: სულთ-მობრძავი იწვა ქვემო სართულის დიდ დარბაზში, მარცხენა ოთახის კარებთან. მის თავთან ანალოიზე ესვენა მაცხოვრის ხატი, რომლის წინ ენთო წმინდა სანთელი და ცოტა მოშორებით დაბალის ჩაწყვეტილის ხმით დიაკვანი კითხულობდა რაღაც სამღვთო წიგნს. პატარა ოთახში, გვერდით, ირეოდნენ პოეტის ნათესავნი ქალნი, რომელთა პირისახეზე და თვალის გამომეტყველებაზე იხატებოდა ნამდვილი მწუხარება. პოეტის ერთგულნი და მოსამსახურენი, პოეტის მოძღვარი სასოწარკვეთილებით დაჰყურებდნენ მომაკვდავს, გარე ნაცნობნი განუწყვეტლად მოდიოდნენ, ან გზავნიდნენ კაცს ავადმყოფის ამბის შესატყობად. აი, სხვათა შორის, გენერალი ტრუბეცკოი. ვხედავთ, ის მიუახლოვდა სახლს და რა შეიტყო ავადმყოფის სულთაბრძოლის დაწყება, მუხლი მოიყარა ეზოში, პირჯვარი გადაიწერა, თაყვანი სცა სახლს და განშორდა. თვითონ სულთმობრძავი ზეწარგადაფარებული გაწოლილი იყო ფართო ტახტზე და ძალზე ხვნეშოდა. მის ფართო შუბლს ხვითქივით გადმოსდიოდა გაჭირვების ოფლი. ვეებერთელა ტანი დავარდნილ-იყო; პირი დასწშენდოდა; თვალებს დაჰკარგოდა გამომეტყველება, თუმცა კი მომაკვდავი გაშტერებულად იყურებო-

და აქეთ-იქით და ხელის მოძრაობით თითქო გვანიშნებდა, რომ გრძნობა და მოსაზრება ჯერ სრულიად არ დაჰკარგოდა იმას. მუდამ მოპარსულ ნიკაპზე თეთრი წვერი გასწორებოდა ბაკენბარდებს და მისი პირის-სახე ერთის შეხედვით ძნელად საცნობი შეექმნა... მთელი დღე გასტანა სულთაბრძოლამ. მხოლოდ 4 საათზე და 35 წამს გაუტევა მომაკვდავმა სული"*.

მთელი საქართველო შესძრა პოეტის გარდაცვალების ცნობამ. გაიმართა პანაშვიდები. ან რა არის იმაში უჩვეულო, რომ სამშობლო ქვეყანამ დაიტიროს საამაყო შვილი, როცა თვით შორეულ პეტერბურგში ძალაუფლების მპყრობელთაც დიდ საქვეყნო დანაკლისად შეაფასეს ამ ადამიანის დაკარგვა. პანაშვიდები გადაიხადეს პეტერბურგში მყოფმა მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა და ყოფილმა მთავარმართებელმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ. მეფისაგან კი ლევან მელიქიშვილის სახელზე მოვიდა დეპეშა:

„მოგმართავთ თხოვნით, გადასცეთ თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანის ოჯახს ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა ამ საგრძნობი დანაკლისის გამო. ღრმა სინანულით ვხედები ეგზომ კეთილშობილი და პატივცემული პიროვნების გარდაცვალებას. ალექსანდრე"**.

განსვენებულის კუბოსთან ნამდვილი ეროვნული გლოვის წმინდა ალაგი შეიქნა. განუწყვეტლივ მოდიოდა ჭირისუფალთა ნაკადი და სანთლების ციმციმში ისეთი გულსაკლავი გალობა გაისმოდა, თითქოს აქ ესვენა საქართველოს გული.

ახლა კი შეეძლო თავისებურად ეთქვა:

— ეჰ, უცოლშვილო კაცი ვარ, ოხერ-ტიალი, ბედი ვინ მომცა, ვის დავენანებიო!

მაგრამ მთელს საქართველოსაც შეეძლო ეთქვა:

— ჩვენი სიამაყე ხარ, შენის სიკვდილით ყოველ ქართველს ჩაჰსწყვიტე გული, ენანები და ეყვარები შენს მშობელ ხალხს, ვიდრე არსებობს ივერთ ქვეყანა და ქართული ენაო!

ილიას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, გრიგოლის სიკვდილმა „გლოვის ზარით გაიხმაურა მთელს საქართველოში".

---

* ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1954, გვ. 146.

** იქვე, გვ. 147.

ყველგან და ყოველ საქმეში ხედავდა ქართველი ათეული წლების მანძილზე მის ნათლით სავსე და მომღიმარ სახეს — მწერლობისა თუ ერის ისტორიაში, სამხედრო თუ სამოქალაქო არენაზე.

ამიერიდან ეს კაცი ისტორიას ეკუთვნოდა ყველა თავისი ნაკლით და ღირსებით, პოეტური მემკვიდრეობითა და სამხედრო დიდებით.

მაღალ შეფასებას აძლევენ პოეტის ღვაწლს „კავკაზი“, „დროება“, „ივერია“ და მრავალი სხვა ორგანო.

გასვენება შაბათს, 26 მარტს დაინიშნა. დამკრძალავ კომისიაში აირჩიეს ილია ჭავჭავაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ნიკო ამილახვარი, თავადაზნაურობის წინამძღოლი სუმბათაშვილი, კომენდანტის თანაშემწე რეიტერი, ქალაქისთავი მატინოვი, მთავარსამმართველოს კანცელარიის უფროსი იაკიმოვი და იონა მეუნარგია. კომისიამ წირვის ადგილად ანჩისხატის ეკლესია შეარჩია, დაკრძალვის ადგილად კი — ქაშვეთი, სადაც ესვენა ილია, თუმცა განსვენებულმა ჯერ კიდევ 1847 წელს გამოთქვა სურვილი, კუმისის სამებაში დამმარხეთო, ზაქარიას გვერდით.

პოეტის დასაფლავებაზე მთელმა საქართველომ გამოგზავნა წარმომადგენლები.

საგანგებოდ რეცხავდა ქუჩებს სამას-ოთხასი ჯარისკაცი. ათი საათისათვის ქუჩები გაშრა და საყოველთაო მოკრძალებით გარემოსილი, ყვავილებში ჩამალული პოეტის სახე ამ წმინდა გზით გაატარეს სამუდამო სიმშვიდის სავანეში. ყვავილებში იკარგებოდა პოეტის ლექსებიდან აღებული სიტყვები. შვიდ ოფიცერს მიჰქონდა განსვენებულის ორდენები. ბუმბერაზის კუბო სასახლიდან საკუთარი ხელით გამოასვენეს გენერლებმა ნიკო ჭავჭავაძემ, ზაქარია ჭავჭავაძემ, ივანე ამილახვარმა, ალექსანდრე საგინაშვილმა, ვეზირიშვილმა, წერეთელმა, ერისთავმა... ნათესავ-მეგობართა არმიას მოსდევდა ზარბაზნები, ჯარი, ქალაქის მთელი მოსახლეობა... იშვიათად ჰქონია რომელიმე დიდ ადამიანს ასეთი გასვენება და ეს გასაგებიცაა: გრიგოლ ორბელიანი უყვარდა ქართველ ხალხს, უყვარდათ რუსებს, სომხებს, თათრებს, უცხოელებს... გარდა ამისა, უმაღლესი განკარგულებაც იყო პოეტის ღირსეულად, სწორედ ოლიმპიურად დასაფლავების შესახებ.

პირველი გამოსათხოვარი სიტყვა თქვა კორპუსის უფროსმა დეველმა. მან ილაპარაკა მძიმე დანაკლისზე, იმაზე, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს განსვენებული შეუპოვრად იდგა კავკასიის უძლეველი მხედრობის მწყობრში, რომ ის იყო უშიშარი მხედარი და ა. შ.

ასე აფასებდა სამხედრო დიდკაცობა ნამსახურ გენერალს.

მაგრამ საქართველო მასში ხედავდა არა მარტო სამხედრო დიდებით მოსილ მხედარს, არამედ ის პირველ ყოვლისა ერისათვის იყო ქართველი პოეტი.

„იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართული ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული“, — ასე დაახასიათა დიდმა ილიამ ჩვენი სასიქადულო მწერალი.

თვით აკაკი წერეთლის მოწმობით, იშვიათად რომ ვინმეს ჰღირსებოდეს ამგვარი დიდებული გასვენება საქართველოში.

აკაკი, მართალია, გენერლების მწერალს უწოდებდა გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფს იონა მეუნარგიას, მაგრამ ორბელიანის ფასი თვითონაც კარგად იცოდა, „ჩვენი გამოჩენილი მამულიშვილი“, „კავშირი ძველისა და ახლის თაობას შორის“, და თვით სიკვდილი მისი, პოეტის მოხდენილი თქმით, „იყო დიდებული და სანატრელი“.

პოეტის გარდაცვალებას ლექსებით ეხმაურებიან ვახტანგ ორბელიანი, ა. ცაგარელი, ივ. კერესელიძე და სხვანი.

ლეჩხუმიდან ქაიხოსრო გელოვანი „დროების“ საშუალებით იტყობინება, რომ იმ უბედურებამ, რაც 21 მარტს მოხდა, „არა მარტო პატივცემული თავადის ოჯახი და ნათესაობა აატირა და მოიცვა გლოვით, არამედ მთელი ჩვენი ქართველობა“, რადგან მოსტაცა საქართველოს „საკადრისი მემკვიდრე თავისი სახელოვანი წინაპრებისა, შვილი შეუპოვარი, დაუღალავი მოღვაწე შავბედითს დროში თავისი ქვეყნის დაცვისა და შემაგრებისათვის“*.

ქაიხოსრო გელოვანის მოწმობით, „მის სამშობლოში სცემს შემაძრწუნებელი გლოვის ზარი“ და სწამს, რომ მისი დიდება „მანამ დარჩების ჩვენს ქვეყანაში, სანამ საქართველოს მიწაზედ უკანასკნელი ერთი ქართველის ოჯახი იქნება დასადგურებული“.

* „დროება“. 1883, № 75.

საგულისხმოა გვირგვინთა წარწერები, რომელთაც თავის ნარკვევში იმოწმებს სიმონ ხუნდაძე.

ბაყლების გვირგვინს ეწერა:

„შენ ძმას, დაცემულს, ხელს აძლევდი, რომ აღგედგინა“.

სტამბის მუშები წერდნენ:

„შენ იცოდი, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება“.

„შრომის“ რედაქცია:

„ლექსთა მეფეს“

„დროების“ რედაქცია:

„მეფეს სიტყვისას“...

თეთრი დროშით მიჰქონდათ ორბელიანთა საგვარეულო ღერბი — პატივი, რაც სამუდამო ოცნებად დარჩა მრავალ პატივმოყვარე, შეიძლება გენიალურ, მაგრამ მდაბიო წარმოშობის ადამიანს.

სამგლოვიარო მარშისა და ქვემეხთა ქუხილის გამაყრუებელ ზათქში ჩაასვენეს მოხუცი გენერლის კუბო საფლავში. მაგრამ ეს პატივი სხვა გენერლებსაც ღირსებიათ. „ივერიის“ მოხდენილი თქმით, „რაც არ ღირსებია სხვას და რაც მართლა რომ დიდებულ შეხედულობას აძლევდა სამწუხარო პროცესიას, — ეს იყო მრავალი დაფნისა და ყვავილების გვირგვინები, რომელთაც ამშვენებდნენ მისი ლექსებისაგან ამოკრეფილი ზედ-წარწერები, და რომელნიც უძღვნა მას, როგორც პოეტს, თითქმის მთელმა ქართველმა ერმა...“*.

სამოცი ათასზე მეტი სული დაესწრო გრიგოლ ორბელიანის გასვენებას. პოეტმა „მთელს ერს თავის საფლავზე თავი მოუყარა, ხელი ხელს მიაცემინა და თვით ერთმანეთის მოწინააღმდეგეთაც აგრძნობინა: — „რაც დავკარგეთ, — ყველანი ეტირით მას, ყველასათვის საუნჯე იყო იგი და, მაშასადამე, ჩვენ ყველას ერთი გრძნობა უნდა გვქონდეს და ერთი ტკივილი უნდა გვაწუხებდესო“...**

ხალხი გლოვობდა.

---

* „ივერია“, 1883, № 3, გვ. 139.
** იქვე.

აკაკი „იმერულად“ გადაჰკრავდა:

„კაცის ნამსახურის დავიწყება და დაუფასებლობა უმადურობაა ჩვენის მხრით, გაზვიადება და ნამეტობა კი შეცდომაო“*, მისი ბუკი და ნაღარა ისევ ისე მოუხმობდა სხვა „ლექსთა მეფეს“, „ნამდვილ მამულის შვილებს“, და ეს იყო დიდი პოეტის შორსმჭვრეტელობა, რასაც ვერ ჩრდილავდა მთავარმართებლის პატივი, დიდი გვარიშვილობა და საერთო გლოვა, მაგრამ განსვენებულის დამსახურებას არც აკაკი უარყოფდა.

შესანიშნავად წერდა „ივერია“:

„ჯერ არ შემშრალა საფლავი ჩვენის უკვდავის პოეტისა, ჯერ არ შეწყვეტილა აუარებელ თანაგრძნობის ტელეგრამების მოსვლა საქართველოს ყოველის კუთხიდამ და უცხო ქვეყნებში გაბნეულ ქართველებისაგან, ჯერ კიდევ თვალთაგან არ გამქრალა დიდებული სურათი ძვირფასის ცხედრის გამოსვენებისა — და ჩვენც ჯერ ვერას ვახერხებთ — მძიმე მწუხარების გამოთქმის მეტს, მის ღირსეულად დაფასებას... ამის დროც მოვა და როცა უნდა მოვიდეს, მაინც დაგვიანებული არ იქნება, რადგან გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ნიჭს სამკვიდროდ მთელი საუკუნოები აქვს მონიჭებული“**.

მართლაც მისმა გარდაცვალებამ ერთხელ კიდევ შეკრა და შეაკავშირა ქართველი ხალხი, ერთი საერთო ტკივილით ააძგერა ერის გული.

გრ. ორბელიანის აუგებელ ძეგლსაც თავისი ისტორია აქვს.

„დროების“ 1883 წლის 8 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია ცნობა, რომ გაზეთ „კავკაზის“ შუამდგომლობით გუბერნიის მარშალი იწვევს თავადაზნაურობას გრიგოლ ორბელიანის ძეგლის საქმეზე მოსალაპარაკებლად. „დროება“ გაოცებას გამოთქვამს, რატომ მარშალმა იგივე განცხადება ქართულად არ გამოაქვეყნაო, რომ იმ ქართველთაც გაეგოთ, რომელთაც რუსული არ იციანო.

ასე იყო თუ ისე, ამ განცხადებამ გამოხმაურება ჰპოვა. იმავე გაზეთის № 242-ში ი. კახელი მარშალს ედავება: ორბელიანის ძეგლი კარგი საქმეა და ყველას გვიყვარს განსვენებული პოეტი და მამუ-

---

* „დროება“, 1883, № 61.

** „ივერია“, 1883, № 111.

ლიშვილი, მაგრამ ახლა მთავარია ვისარგებლოთ მინისტრის ჩამოსვლით და კახეთში რკინიგზა გავიყვანოთო.

ამ ორი მოვლენის ერთგვარი დაპირისპირება დამახასიათებელი დეტალია თავადაზნაურობის უთავბოლო შეხლა-შემოხლისა. თითქოს ორივე ეს საქმე ერთდროულად არ შეეძლოთ მოეგვარებინათ!

ავარიის ხანსა და მეფისნაცვალს შეეძლო დიდძალი ქონების შეგროვება, მაგრამ აი, გარდაიცვალა და კრებას კრებაზე იწვევენ, რომ როგორმე ძეგლის ასაგებად საჭირო თანხა შეაგროვონ. ხალხი იღებს შემოწირულობას.

1883 წლის 14 დეკემბერს „დროებაში“ ქვეყნდება ალ. ნანეიშვილის ახალი წერილი „რა ძეგლი ავუგოთ გ. ორბელიანს?“ წერილისი ავტორი ეთანხმება კახელს, გრ. ორბელიანის მნიშვნელობის გამორკვევასაც და მისი ძეგლის აგებასაც მომავალს ანდობს, მიუთითებს ხელმოკლეობაზე, ეყრდნობა პოეტისავე სიტყვებს: „რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა საქმე კეთილი“, და ამ კეთილ საქმედ რაცხს პოეტის სახელობის პენსიის ან პრემიის დაარსებას. ჯერ კი მთავარია რკინიგზაო.

დავა ასე თავდება. ძეგლი აუგებელი რჩება.

ცხადია, დრო მოაცლიდა ორბელიანს იმ დიდების შარავანდედს, რაც საქართველოს ერთ უდიდეს ფეოდალს, სარდალსა და მმართველს ხალხის თვალში ორმაგად ამაღლებდა, არც მის მკაცრ გაწოთქმებსა და საქმეებს შეუნდობდა, გურიის, დაღესტნისა და თბილისელ ამქართა ამბოხების ამბებსაც გაიხსენებდა, იმ იარაღსაც გაუსინჯავდა, რითაც მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას უკაფავდა გზას ათეული წლების განმავლობაში... მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ მაშინაც კი ჩვენს წინაშე დარჩებოდა შეურცხვენელი მოქალაქე, პოეტი, მესიტყვე, პატრიოტი, ბუმბერაზი ორბელიანი.

გადაჭარბებულად მიგვაჩნია ს. ხუნდაძის ძოსაზრება, რომ: „სამოც წელზე მეტი მოღვაწეობის მანძილზე მას არ შეუხედია საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ამ პერიოდში ხდებოდა ჩვენი ცხოვრების ევროპეიზაცია და კულტურული აღორძინება; გრ. ორბელიანი ამ დიდი პროცესის გარეშე იდგა, მისთვის არ არსებობდა, არ აინტერესებდა“*.

* ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941, გვ. 16.

არ აინტერესებდა! აქ ჩვენი მკვლევარი მეორე უკიდურესობაში ვარდება. ასეთ რამეს მაინც ვერ დაეწამებთ ჩვენს სასიქადულო პოეტს, რომელიც დროით, სამსახურით და ადგილით მოწყვეტილი იყო უშუალო კულტურული ცხოვრების სფეროს, მაგრამ ათასში ერთხელ მაინც იელვებს მისი ინტერესიც და ზრუნვაც ჩვენი ენის, წწერლობის, თეატრის, ხალხის ბედისათვის. მერე, მისი წარმატება სამხედრო და ადმინისტრატიულ სარბიელზე, რასაც ასე ხშირად უკიჟინებენ ხოლმე ცივი გონების კარნახით, არაერთხელ გამოსდგომია ჩვენს ხალხს, როცა საჭირო ხდებოდა ერისათვის ქომაგი და ავტორიტეტი.

აქ ჩვენი მიზანი არაა კიტა აბაშიძის, სიმონ ხუნდაძის, ხალხოსან ეგნატე იოსელიანის და სხვათა მკაცრი კრიტიკული მსჯავრის არც განხილვა და არც მათგან დაცვა, მაგრამ გრიგოლ ორბელიანის, როგორც მთლიანი პიროვნების დახასიათების დროს არ შეიძლება არ დავიცვათ იგი ზოგიერთი უტაქტო, უკიდურესი და ამდენად უსამართლო თავდასხმისაგან.

ცხადია, ორბელიანი არ იყო მეამბოხე, ვერც მოვთხოვთ რევოლუციის ქადაგებას, ის თავისი კლასის ტიპიური შვილია და აქვს ყველა ის ნაკლი, რაც სნობიზმითა თუ მეფე-მთავართა პატივით გატაცებულ შემოქმედთ ჰქონიათ. ეს მასთან ბუნებრივია.

გონებამახვილურია იონა მეუნარგიას მოთხრობის ფინალი. ქვეყნად ბევრი მივლია, ბევრ ვინმეს ვიცნობ და გრიგოლ ორბელიანივით გონიერი ქართველის მნახველი არა ვარო. ბიოგრაფი ამის საბუთს ვერ ასახელებს და მოგვაგონებს ერთი ფრანგის მაგალითს, თავის მეგობარს რომ პატიოსანი სიტყვით უმტკიცებდა, მიწა ბრუნავსო.

მართლაც, მიწა ბრუნავს! გრიგოლ ორბელიანის დიდი, ნათელი გონებაც ასევე უეჭველი და უდავოა, როგორც მისი კარგი ადამიანობა. ვინც მას უსმენდა, უნებურად განიმსჭვალებოდა ნდობითა და პატივისცემით. მის სიტყვას ბრძნული სიღრმე და პოეტური ფრთიანობა ახასიათებდა.

როგორ ესაჭიროებოდა საქართველოს გონიერი, ჩახედული, ქვეყნის მცოდნე მოხელეები! რეადი ისე წავიდა საქართველოდან, დუშეთს თუშეთისაგან ვერ არჩევდა თურმე.

გრიგოლი ყოველთვის გრძნობდა ასეთი მმართველობის საზიანო შედეგებს და დაღესტნის, აჭარის, აფხაზეთის თუ სხვა მხარეთა ძაგალითზე უმტკიცებდა გავლენიან პირებს, რომ უთვალავი მკვლელობის, უსიამოვნების, არეულობის, ხალხის ოსმალეთს გაქცევის და მისთანების მიზეზი უგუნური მმართველობაა. „რაღა შორს ეძებთ მიზეზს, ჩვენვე ვართ მიზეზი!“ — სწერდა ლევან მელიქიშვილს 1868 წლის 22 თებერვალს.

პრესა და საზოგადოება გულთბილად შეხვდა მეუნარგიას შრომას, აგრეთვე მის ლექციებს, რომელთაც ის პოეტის გარდაცვალების შემდეგ კითხულობდა ქართველთა შორის.

„ივერიამ“ 1888 წლის 23 მარტს ვრცელი წერილი ძოათავსა მეუნარგიას ნაშრომზე. ს. ცაიშვილის და პ. კეშელავას მიერ დადგენილია, რომ ეს მეთაური წერილი თვით ილია ჭავჭავაძის დაწერილია. ამ ვრცელ სტატიაში, სხვათა შორის, წერია:

„...დავალებული ვართ, სიამოვნებით და მადლობით მივეგებნეთ იმ ამბავს, რომ ბ-ნს მეუნარგიას მოუწადინებია ამ დღეებში საჯარო ლექცია წაიკითხოს და თვალწინ გაგვიტაროს ერთი იმისთანა ჩვენი კაცი, რომლის ნახვაც ადამიანის ბუნების წყურვილს შეადგენს. იგი კაცი განსვენებული თ. გრ. ორბელიანია, კაცი მრავალგვარად სახელოვანი, კაცი, რომელზედაც ერთს ევროპულ გაზეთში ნათქვამი იყო, რომ ერთი უდიდესი ლირიკოსია ამ მეცხრამეტე საუკუნისაო. სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი გვგონია, რომ გრ. ორბელიანს, როგორც პოეტს, წინ ვერავინ გადურბენდა ჩვენში ამ მეცხრამეტე საუკუნეში“.

მეუნარგიას, გაზეთის ამ მჭევრმეტყველური წერილის სიტყვით, „საქებური აზრი მოსვლია“, რომ ერს გააცნოს თავისი სასიქადულო შვილის, ხელოვანის, დიდი ადამიანის ცხოვრება და ღვაწლი, „ბრძენი კაცი, თავისი აზრისა და სიტყვის პატივით მპყრობელი“.

* * *

გარდაიცვალა ორბელიანი. გადიოდა წლები. მისი სამხედრო დიდება თანდათან დავიწყებას ეძლეოდა, პოეტური დიდება კი იზრდებოდა.

„დროების“ 1883 წლის № 77-ში გ. ბ. (გ. ბაღსარაშვილი,—ე. მ.) ათავსებს თემირ-ხან-შურიდან გამოგზავნილ „მასალებს“ ახლად გარდაცვლილი პოეტის გრ. ორბელიანის ცხოვრების დასაწერად“.

„ჩვენ ქართველთ გვმართებს გამოვაცხადოთ ყოველივე, რაც კი ვიცით დაუვიწყარ წარმომადგენლებზე ქართველთა და მათს დიდს პოეტზე თ. გრიგოლ ორბელიანზე, რათა თავის დროზე შესდგეს მისი სრული ცხოვრების აღწერა“.

გაზეთები პატივად თვლიდნენ იმას, რომ მათ ორბელიანი კითხულობდა.

„დროებაშ“ კიდევაც გამოაქვეყნა: „ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ჩვენის დაუვიწყარი პოეტის, განსვენებულის თ. გ. ორბელიანის ნაქონი „დროების“ ძველი ნომრები პოეტის შენიშვნებით. აშკარადა ჩანს, რომ განსვენებული საკმაო ყურადღებას აქცევდა ჩვენს მწერლობას. მრავალი ზედწარწერანი ხსენებულს გაზეთის ნომრებზედ გვიჩვენებენ პოეტის ჭკუის მახვილობას და განუსაზღვრელს გრძნობას...“*

„დროება“ 1883 წლის საბოლოო ანგარიშში ყველაზე დიდ ბწუხარებად თვლის „ჩვენი რედაქციების ძვირი, მაგრამ ძვირფასი სტუმრის გრ. ორბელიანის (და ს. მესხის) გარდაცვალებას, მაგრამ თანაგრძნობა რაც ამაზე საქართველომ გამოხატა, „დროების“ აზრით, იყო სანუგეშო ამბავი, იმედი ჩვენი მომავლისა.

„წარსულმა წელმა წაგვართვა ორი შესანიშნავი მოღვაწე. წაგვართვა დიდებული პოეტი, ჩვენი ჟურნალ-გაზეთების თუმცა ძვირი, მაგრამ ძვირფასი სტუმარი, ჩვენი საოცარის ბუნების სულთამბერავის კალმით გამომხატველი, გრიგოლ ორბელიანი, რომლის ნიჭსაც უფრო ფართო ასპარეზი ეკადრებოდა“...**

დასრულდა ჩვენი დიდებული მგოსნის სახელოვანი სამწერლო, სამხედრო და სამოქალაქო ცხოვრების გზა. მიწყდა ხმაური. დარჩა საქმენი. ხალხმა მიიღო და შეიყვარა პოეტი გრიგოლ ორბელიანი. ამიერიდან გრიგოლ ორბელიანი ისტორიას ეკუთვნოდა. მადლიერმა მშობელმა ხალხმა იგი ქართული მწერლობისათვის ტანჯულ რომანტიკოს წმინდანთა შორის შერაცხა და ძეგლი თავის გულში აუგო.

---

* „დროება“, 1885, № 117.

** „დროება“, 1884, № 1 (საახალწლო).

შემოქმედება

ზოგადი შენიშვნები

მოხდენილად და მართებულად წერდა ი. მეუნარგია: „მთელი ჩვენი საუკუნე სავსეა გრ. ორბელიანის სახელით... მის პიროვნებას ვხედავთ ჩვენი სამშობლოს ისტორიის ყოველს ფურცელზე“*.

1871 წელს საქართველომ ზარ-ზეიმით აღნიშნა რუსეთის იმპერიის დიდი ადმინისტრატოისა და სარდლის მოღვაწეობის 50 წლისთავი. ამით „რუსის დიდმა სარდალმა ერთხელ კიდევ სძლია ქართველი მგოსანი“, როგორც შენიშნა ს. ხუნდაძემ. მაგრამ სასტიკმა გამომცდელმა დრომ დაამტკიცა, რომ ეს ძლევა მხოლოდ დროებითი და მოჩვენებითი იყო. ქართველი ხალხისათვის გრ. ორბელიანი იყო და არის შემოქმედი. მისი სარდლობა და მთავარმართებლობა მხოლოდ საისტორიო ანალებისათვის თუ გამოდგება. ის, რაც გრ. ორბელიანს ერისათვის შეუქმნია, ისევე აღემატება მის სამხედრო სამსახურს, როგორც მისი ერთგული სამსახური და თავგანწირვა აღემატებოდა „დიდსულოვანი მონარქის მოწყალებას“.

შემთხვევითი არ იყო, რომ „დიდთა და მცირეთა“ ერთნაირად დაიტირეს ღრმად მოხუცი პოეტი, „ლექსთა მეფე“, „ქართული ენის დიდი მპყრობელი“, „კავკასიის გმირთა პატრიარქი“.

მისი მთავარი გმირობა საძიებელია არა დაღესტნის აულებში, არამედ იმ პატარა წიგნში, რომელსაც „გრ. ორბელიანის ლექსები“ ეწოდება.

გრ. ორბელიანის პოეტურ შემოქმედებას ქართველი მკვლევა-

---

* „დროება“, 1883, № 61.

რები ჩვეულებრივ სამ პერიოდად ყოფენ. დროის მონაკვეთი — პირველი ლექსის დაწერიდან შეთქმულების დამარცხებამდე (1824 — 1832)— პირველ პერიოდად არის ცნობილი; 1833—1858 წლებს შორის გრძელდება მეორე პერიოდი, რაც დაკავშირებულია პოეტის მოღვაწეობასთან კავკასიის ომებში; ბოლოს, მესამე პერიოდი გრძელდება 1860 წლიდან მის სიკვდილამდე (1883 წ.) და მოიცავს პოეტის ღვაწლს სამშობლოში ჩამოსვლის დროიდან გარდაცვალებამდე.

რომანტიზმის რაობასა და ისტორიაზე შეჩერება აქ მეტისმეტად შაბლონურ ლირიკულ წიაღსვლად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ გრ. ორბელიანის შემოქმედება „სპეციფიკური ქართული სინამდვილითაა ნაკვები. ამავე დროს „სადღეგრძელოს“ ავტორის პოეტური მეთოდი ჩინებულად ითავსებს რეალიზმის ელემენტებს“*.

მართალია, რომანტიზმი გარკვეული, თუმცა მრავალრიცხოვანი ლიტერატურული მოვლენის გამომხატველ ცნებად იქცა, მაგრამ, ფართო გაგებით, რომანტიზმი საყოველთაო მოვლენაა, ადამიანის შინაგანი სამყაროს განცდების პოეზიაა, და ამ აზრით ის მოდის დასაბამიდან დღემდე.

რომანტიკოსი თავის პირად სამყაროს ხატავს, შინაგან განცდებს გადაგვიშლის, „ადამიანის გულშია რომანტიზმის საიდუმლო წყარო“, როგორც განსაზღვრა ბელინსკიმ; სენტიმენტალური პოეტის გულს კი აჩუყებს გარე სამყარო თავისი საგნებითა და მოვლენებით. მაგრამ, თუ სენტიმენტალისტი პოეტი საკუთარ მყუდრო სავანეშია ჩაკეტილი, საკუთარ წვენში იდაგვის, იწვის და თავისი სათნო, ცრემლიანი, სევდიანი, პასიური ჩივილით მკითხველს მხოლოდ სიბრალულს, თანაგრძნობას და ძილის განწყობილებას უქმნის, რომანტიკოსი პოეტის გული ვულკანივით ბორგავს, არსებული ყოფიდან გამოსავალს ეძებს და თანამემამულეთ ხან ამბოხებისაკენ მოუწოდებს და ხანაც წარსული დიდების აღდგენისაკენ. რომანტიკოსი პოეტის მუდამ მშფოთვარე სული, ხან სრულიად უც-

---

* აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. II, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965, გვ. 12.

ნობ სამყაროში დაეხეტება, მაჭარივით მეამბოხეა, არსებულით უკმაყოფილოა და დაუცხრომელი სულისკვეთებით გამოირჩევა.

სხვადასხვა ქვეყანაში სოციალურ-ისტორიულ გარემოებათა სხვადასხვაობამ განსაზღვრა რომანტიზმის ნაირსახეობა.

როგორც ლიტერატურულ კრიტიკაში საყოველთაოდ აღიარებულია, ინგლისის გამოჩენილი რომანტიკოსები გამოხატავდნენ ინგლისელი ხალხის ფართო მასების განწყობილებას. მაგრამ არსებულმა წვრილმანობამ, კაცთმოძულეობამ, გაბატონებული წრეების უხამსობამ დიდი ბაირონი მიიყვანა უკიდურეს ინდივიდუალიზმსა და სუბიექტივიზმამდე, რაც მსოფლიო სევდის სახელითაა ცნობილი. ეს ინდივიდუალიზმი საერთო ევროპული მასშტაბით ნიშნავდა ადამიანის განთავისუფლებას შუასაუკუნეების ფეოდალური მონური ბორკილებისაგან. რუსეთში რომანტიზმი იყო ერთგვარი მოწოდება ნაპოლეონის წინააღმდეგ ხალხის ამხედრებისაკენ, ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების პოეტური ცდა XIX ს. დასაწყისში. ნაპოლეონის ურდოების ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლების იდეასთანაა დაკავშირებული ბრძოლა გერმანიის რომანტიკული სკოლის პროგრესული ნაწილისა, რომლის მიზანიც იყო აგრეთვე ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება. ამასთანავე გერმანიაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ხალხურ ეპოსს (ნიბელუნგებს), ზღაპრებს, თქმულებებს და ა. შ. გერმანული რომანტიზმის მეორე, რეაქციული ფრთა კი ქადაგებდა შუასაუკუნეების ქრისტიანული იმპერიის „ჰარმონიის“ აღდგენას და ამაში ხედავდა ქვეყნის დაქუცმაცებისა თუ უცხოელთა ბატონობის აღკვეთის ღონისძიებას.

რუსეთის ლიტერატურას სათავეში ედგა პროგრესული რომანტიკოსების მძლავრი ჯგუფი (რილეევი, პუშკინი, მერე ლერმონტოვი), რომელიც რევოლუციურ გმირობას ადიდებდა და რომლის გზაც რეალიზმზე გადიოდა. მასთან შედარებით დუნე და პასიური იყო კონსერვატიულის სახელით ცნობილი მიმდინარეობა, რაც შორს იდგა სოციალური საკითხის ანალიზისაგან და გამოხატავდა გაბატონებული წოდების იდეებს. ამ ჯგუფის მთავარი წარმომადგენელი ჟუკოვსკია და მისი „მომღერალი რუსეთის მებრძოლთა ბანაკში“ გახდა ნიმუში გრ. ორბელიანის „სადღეგრძე-

ლოსათვის“. ეს ცნობილი ამბავია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ იმაეე ორბელიანმა თარგმნა მებრძოლი რომანტიკოსის რილეევის ყველაზე უფრო ბუნტარული ნაწარმოები „ნალივაიკოს აღსარება“.

ამ ლიტერატურული ფაქტითაც დასტურდება, რომ საქართველოშიც, ისევე როგორც პოლონეთში, უნგრეთში და სხვაგან, „კვნესით უღელქვეშ დამწარებულ“ ქვეყნებში, რომანტიზმი მოძალადეთა წინააღმდეგ ამხედრებულთა მოძრაობაც იყო, ნიშანი პროტესტისა, და ნიშნად ამ პროტესტისა, ჩვენი რომანტიკოსიც, რაკი უკეთეს გამოსავალს ვერ ხედავს, წარსულის იდეალიზაციას ახდენს, მის აღდგენაზე ოცნებობს და მიუხედავად იმისა, რომ ფიცმიღებულია, არც იმაზე დაიხევს უკან, თუკი ბრძოლით მონობის ბორკილების დამსხვრევა მოხერხდება.

საყოველთაოდ აღიარებული ამბავია, რომ ვინც თანამედროვეობას გაურბის, იგი არსებულით უკმაყოფილოა. თანამედროვეობიდან გაქცევა შეიძლება პასიური იყოს და შეიძლება მეამბოხური, ბუნტარული მებრძოლი სულისკვეთებით აღბეჭდილი, მაგრამ ორივე შემთხვევაში შემოქმედის მიზანი ნათელი და გარკვეულია; მას არ მოსწონს ის ყოფა, ის ადათი, ის ცხოვრება, ის ზნე, ის წეს-ჩვეულებები, რომელშიც მოღვაწეობა უხდება და თავის პროტესტს ცხოვრებიდან გაქცევით გამოხატავს.

როგორც აღინიშნა, გრ. ორბელიანის თხზულებებში ჩანასახის სახით მოიპოვება რეალიზმის ელემენტები, თუმცა ავტორი თავის შემოქმედებაში არსად საცნაურყოფს, ფიქრობდა თუ არა იგი ამ იარლიყებზე, იქნებ აზრადაც არ მოსდიოდა იმაზე თავის ტეხვა, რომანტიკოსი ვარ თუ რეალისტიო, მაგრამ თავისდა უნებურად წმინდა რომანტიკულ ლექსებში სრულიად რეალისტური აზრები აქვს გამოთქმული.

თუ რომანტიზმი მართლაც არის „ადამიანის სულის შინაგანი სამყარო, მისი გულის საიდუმლო ცხოვრება“, როგორც ბელინსკიმ განსაზღვრა, ან „რაღაც მშფოთვარე“, „რაღაც უკმაყოფილობა აწმყოთი“, როგორც გრიგორიევმა თქვა, გრ. ორბელიანიც ზედმიწევნით თავსდება ამ შინაგანი სამყაროს პოეტურ ჩარჩოებში.

რომანტიზმის ბუნება, მისი აღმოცენება საერთოდ და კერძოდ ქართულ სინამდვილეში, ქართული რომანტიზმის საწყისები და გან-

ვითარების ძირითადი ხაზები ამომწურავად აქვს დახასიათებული პროფ. დ. გამეზარდაშვილს თავის ცნობილ შრომაში „ალ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი“, და მათ ჩვენ აღარ გავიმეორებთ, მით უმეტეს, რომ გრ. ორბელიანი არ არის ჩვენი ბრწყინვალე რომანტიკული სამეულის პირველი წარმომადგენელი.

ჯერ კიდევ „ბატონიშვილების პოეზია წარმოადგენდა საუკეთესო გამოხატულებას საქართველოს რუსეთთან შეერთებით გამოწვეული მაღალი არისტოკრატიის სევდა-მწუხარებისას“*. მაგრამ ბატონიშვილები არ წარმოადგენენ იმდენად მნიშვნელოვან პოეტურ პიროვნებებს, რომ მათთვის პრინციპული ანგარიშის გაწევა შეიძლებოდეს.

ნამდვილი ლიტერატურული ფორმა და წონა რომანტიზმმა მიიღო ჩვენი სახელოვანი სამეულის შემოქმედებაში.

მისი პირველი წევრი ალ. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ხარკს უხდის აღმოსავლეთს.

გრ. ორბელიანმა ქართული რომანტიზმი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. ეს უფრო მყარი, დამდგარი, აღმოსავლური მოტივებისაგან განთავისუფლებული, დახვეწილი რომანტიზმია.

გრიგოლ ორბელიანის მხატვრული მემკვიდრეობა არაა ისე ვრცელი, როგორც მისი ცხოვრების ქრონიკა, მაგრამ სამაგიეროდ უფრო ღრმაა და უკვდავ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება, მისი ცხოვრების ქრონიკა კი იმიტომ რჩება ისტორიის საკუთრებად, რომ ესაა პოეტ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება.

არის ისეთი წლები, როცა გრიგოლს თითქოს თვითონაც ავიწყდება, რომ პოეტია.

1833 წლიდან 1851 წლამდე, თითქმის მთელი ოცი წლის განმავლობაში, მხოლოდ 14 ლექსი დაუწერია, თუმცა მათ შორის ისეთი მარგალიტები გვხვდება, როგორიცაა „არავისთვის მე დღეს არა მცალიან“, „ჩემს დას ეფემიას“, „საღამო გამოსალმებისა“...

„მუშა ბოქულაძის“ ავტორს ი. ჭავჭავაძის ზეგავლენა დასწამეს. მაგრამ როგორც ჩვენს კრიტიკაში აღინიშნა (ვ. კოტეტიშვი-

---

* დ. გამეზარდაშვილი, „ალ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი“, 1948, გვ. 225.

ლი), ჯერ ერთი, ილიას მიბაძვა საძრახისი საქმე არ იყო, და მერე გრ. ორბელიანს თვითონაც შეეძლო მძიმე ტვირთის ქვეშ მოხრილი მუშა შეენიშნა. „მუშა ბოქულაძე“ 1877 წელსაა დაწერილი, მაგრამ მისი ავტორი ჯერ კიდევ 1861 წელს წერდა:

ჩემ დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის?
ვის რად უნდა, ლოპიანა ვინ არის?

გრ. ორბელიანის ე. წ. „ეპიკურეული“ ლირიკა გვხიბლავს ოვისი ლაღი, დარდიმანდული, კოლორიტული კილოთი, სასიმღერო ხასიათით და სიმსუბუქით. როგორც ბევრს ჰგონია, ეს არაა მარტო ჩვენი პოეტისათვის დამახასიათებელი, ცარიელი შექცევის მქადაგებელი ლირიკული ტონი. მსგავსი ლექსები უწერია მრავალ გენიოსს და ეს არის ერთგვარი ლაღი ლირიკული წიაღსვლა იმ დიდი ცხოვრების გზაზე, რაც აღსავსეა ძიებით, ტანჯვითა და სიამით.

ვ. კოტეტიშვილი გრ. ორბელიანს უფრო ეპიკურეულ პოეტად თვლის, ვიდრე ალ. ჭავჭავაძეს. მართლაც, გრ. ორბელიანი უფრო უდარდელი, ცხოვრების სიამეთა მოყვარული და მაღიარებელია, ოღონდ უკმაყოფილოა იმ სინამდვილით, რომელსაც ხედავს, და მის ოხვრას, მის „ველურ ამოძახილს“ ზოგჯერ ისეთი დანიშნულება ეძლევა, თითქოს უნდა დაფაროს, დააბნიოს ასეთი სინამდვილის ხმა, თრობამ და თუნდაც დროებითმა თავდავიწყებამ უნდა აგვმოხ უზენაესი ნეტარება, რაც ამშვენიერებს ამა სოფელს. ამ დროს მის სულს მოთქმით ნუგეშ-ეცემის.

ძნელია დავეთანხმოთ პატივცემულ მკვლევარს, რომელსაც მიაჩნია, რომ „გრიგოლ ორბელიანი მართლაც ლეკებთან ბრძოლაში „კახეთის სისხლს იღებდა“, მაგრამ ამ პროცესში იგი ეხმარებოდა იმ ძალას, რომლის წინააღმდეგაც თვითვე იყო რამდენიმე წლით ადრე აღმართული. იგი შურს იძიებდა იმაზე, რაც იყო ოდესღაც და მკაცრ სინამდვილეს კი ვეღარა ხედავდა. მთა თავისუფლებას არა სთმობდა. მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა კი ამ თავისუფლებას ვერ ითმენდა. ვის მხარეზე უნდა ყოფილიყო პატრიოტ გრ. ორბელიანის სიმპათიები? რასაკვირველია, მთიელების მხარეზე, მაგრამ არა. გრიგოლ ორბელიანი მხოლოდ პოეტურად ოცნებობდა იმ გმირზე, რომლის ძლიერი ხმაც „ბედს დაძინებულს“ აღადგენდა,

რომელიც „მარჯვენის ერთა დაკვრით უსულოდ დასცემდა ვეშაპს“, პროზაულად კი იმ საზარელ „პრაქტიკაში იყო ჩაბმული, რომელსაც „კავკასიის დაპყრობა ჰქვია სახელად“*.

დიახ, ძნელია დათანხმება, რადგან პოეტი იმ გმირზე, რომლის ძლიერი ხმაც „ბედს დაძინებულს“ აღადგენდა და რომელიც „მარჯვენის ერთი დაკვრით უსულოდ დასცემდა ვეშაპს“ სინამდვილეში ოცნებობდა და არა მარტო ოცნებობდა, არამედ ყოველივეს აკეთებდა იმისათვის, რომ ეს ასე ყოფილიყო, მაგრამ პოეტმა ეს გულწრფელი სტრიქონები დაწერა 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნამდე და ალექსანდრე ჭავჭავაძისა არ იყოს: „მე ერთმან ერთგზის ერთს ვუძღვენ თავი, მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარადო“, გრიგოლ ორბელიანიც მზად იყო საკუთარი სისხლი დაეთხია მამულისათვის. „დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად“... წერდა იგი და დანატროდა მათ, „ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შეჰსწირა მსხვერპლად“. მაგრამ შეთქმულება დამარცხდა, მამულის გამოხსნის იმედი, რომელიც ტყვედ ჰყავდა ვეშაპს, განქარდა, და იმავ ვეშაპმა, ვისაც პოეტის სატრფო ჰყავდა ტყვედ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა მათ, ვისი უშუალო მიზეზითაც გაიწირა პოეტის საძშობლო. ვის მხარეზე უნდა დამდგარიყო პატრიოტი ორბელიანი? რაღა თქმა უნდა, არა იმ ძალის მხარეზე, ვინც მისი სამშობლოს დამონების მიზეზთა-მიზეზი გახლდათ და ვინც მის სამშობლოს პოლიტიკური სიკვდილი დააჩქარა. გრიგოლ ორბელიანმა, როგორც განათლებულმა კაცმა და ოფიცერმა, ამ საქმეში რუსეთს დაუჭირა მხარი, ვინაიდან ეს ძალა დაუპირისპირდა საუკუნეთა მანძილზე საქართველოს დამარბეველ, ამაწიოკებელ, გამაჩანაგებელ და მისი სიკვდილის მოსურნეთ და არა მარტო მათ, არამედ დაუპირისპირდა მთელ მაჰმადიანურ აღმოსავლეთს, საქართველოს დაუძინებელ მტრებს, რომლებიც ყოველ ხელსაყრელ წამს საქართველოს გადასანსვლას ლამობდნენ. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სწორედ გრიგოლ ორბელიანის პაპამ, რომელმაც ლეკებთან, თურქებთან და

---

* ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX საუკ., წიგნი პირველი, 1965, გვ. 83.

სპარსელებთან ბრძოლას შეალია სიცოცხლის დღენი, მეფე ერეკლემ აირჩია საქართველოს ხსნის ასეთი გზა და, რაღა თქმა უნდა, ასეთი მეფის ნაშიერს, ბადიშსა და ჩამომავალს, თუ არჩევანზე მიდგებოდა საქმე, სავალად იგივე გზა უნდა აერჩია და აირჩია კიდეც.

წინააღმდეგობათა ქარტეხილებს უწეწავთ ათეული წლების მანძილზე ამ ფაქიზი ლირიკოსისა და მრისხანე მეომრის ისედაც აფორიაქებული გული. ამ ქარტეხილებსა და დიდ გზაჯვარედინებზე მდგარი პოეტი გვხიბლავს და გვაოცებს თავისი დაუფარავი პირდაპირობით, გულახდილობით, ხალასი ბუნებით. არც იმას ფარავს, რომ კახეთის სისხლი აიღო და ლეკებს ნელ-ნელა აყრევინებს თავებს, და არც ის მიაჩნია უჩვეულოდ, რომ მასაც უყვარდა, თვითონაც ტიროდა, ილხენდა და დაფიქრებით დამზერდა საფლავებს.

კაცი იფიქრებს, ამ კაცში ორი არსება დამკვიდრებულაო. ან ერთი მხარე ლაპარაკობს მოსაჩვენებლად, ან მეორეო, მაგრამ არა, ორბელიანის პოეტურ თუ პიროვნულ სამყაროში ყველაფერი ბუნებრივი და შეულამაზებელია, როგორც მის პირად ცხოვრებაში. ესაა თვით პიროვნების, მისი ბუნების გაორების, შინაგანი წინააღმდეგობის გამოვლინება უფრო რელიეფურად, ვიდრე სხვაგან ხდება, სადაც საკუთარ ბიოგრაფიას თვითონვე ქმნიან ხოლმე ხელოვნურად.

გრიგოლ ორბელიანის მთელი დიდებამოსილი ცხოვრების გზა თითქოს ერთიანი ფერფლია ამაოებისა, მისი ხანობისა და „აღმატებულებობისა“, გენერალ-ადიუტანტობისა და მეფისნაცვლობისა... ამაოების ამ ფერფლში ჩვენ ვეძებთ დაფარულ ნაპერწკლებს, ცეცხლის ღველფებს — მისი პოეტური შემოქმედების მარგალიტებს. ეს გვაინტერესებს, როგორც უფრო არსებითი რამ, და მისი ცხოვრების ფურცლებიც უფრო იმისათვის გადავშალეთ, რომ ამ დიდი ქართველის პოეტური ბუნებისათვის მიგვეკვლია.

გრ. ორბელიანს ღრმად ესმოდა თავისი დიდი წინამორბედის შ. რუსთაველის პოემის უდიდესი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა. გარდა ცხოველი მონაწილეობისა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, იგი ყოველმხრივ პოპულარიზაციას უწევდა ამ უკვდავ ქმნილებას, თაყვანს სცემდა დიდ შემოქმედს,

ვისი თხზულებაც ძველი დროიდანვე „ვით მარგარიტი დაგვშთა საუნჯეთ“.

დრომან, შემუსვრის [მან] მოყვარეჰან
კერა შემუსრა მის თხზულებანი.
ღამესა ბნელთა, ვით მთოვარემან
ბრწყინვით გამოვლო საუკუნენი.

გრ. ორბელიანი მუდამ აღიარებს, რომ რუსთაველი — ერის დიდება და ნუგეშია. „მის მიერ ჩანგი დაკრული ესმა ექვსს საუკუნესა“ და ექვსსავე ნუგეშად ექმნა.

გრ. ორბელიანი ქართველ რომანტიკოსთა შორის შეიძლება ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურა იყოსო, წერდა გერონტი ქიქოძე*.

მართლაც, როგორც გაორებული პიროვნება, როგორც ძველ საქართველოს თავგამოდებული ტრფიალი, მღელვარე, უკომპრომისო პატრიოტი და პოეტი, ის სრულიად გამოკვეთილია რომანტიკულ სამეფოში, როგორც მისი კავკასიონის მწვერვალები ჩამავალ მზეში — ლურჯი ცის ფონზე.

როგორც ცნობილია, ქართველი რომანტიკოსები არასოდეს არ განდგომიან რეალურ სინამდვილეს, არ მოწყვეტილან მშობელი ნიადაგიდან და მისი ავ-კარგი, ჭირ-ვარამი მუდამ გულის ფიცარზე სწერებიათ.

გრ. ორბელიანსაც სამშობლო ქვეყნის დარდი უდაგავდა გულს და უშფოთებდა გონებას.

ყოველმხრივ დახვეწილი არისტოკრატი, ზვიადი, თანაც უაღრესად ჰუმანური, ზრდილი პოეტი მეფური სიდარბაისლით დააბიჯებდა საყვარელ სამშობლოში და ოხრავდა თუ ქეიფობდა, მუდამ ერთნაირად უყვარდა მშობელი ქვეყანა. მან დაკარგა რაღაც დიდი, აუნაზღაურებელი, და ამ დანაკარგს მისტირის შობიდან სიკვდილამდე, მაგრამ წუთსაც არ კარგავს წუწუნში, მოქმედების კაცია და მოქმედებს კიდეც, როგორც მეომარი, პოეტი, პატრიოტი, ქვეყ-

---

* გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, 1963, ტ. I. გვ. 85.

ნის ბურჯთაგანი, სარდალი, „ავარიის ხანი“, მთავარმართებელი თუ ინდოეთის დალაშქვრაზე მეოცნებე გმირი. ესაა მარად უკმაყოფილო, ამაყი, გვაროვნული დაქვეითებით დაღდასმული, ნოეს კიდობნის ამაოდ მაძიებელი დიდი მგოსანი.

ორბელიანს მუდამ შეგნებული ჰქონდა თავისი, როგორც პოეტისა და მამულიშვილის მაღალი ვალი. ამას მოწმობს თუნდაც ის მტკიცე მიჯნა, რაც ბუნებრივად გაევლო მის ოფიციალურ წერილებსა და პოეტურ მემკვიდრეობას შორის. აქ მხედველობაში გვაქვს პატრიოტული პოემა „ტოლუბაში“ („სადღეგრძელო“).

მისი სიტყვაც ისე მოკვეთილი და მონოლითურია, რომ ჩვენს გამოჩენილ პოეტებს ნება-უნებურად გადაუღიათ სხვადასხვა დროს მისი ცალკეული თქმები და ჟღერადობა, სხვა სიმაღლე და თავისთავადობა მიუნიჭებიათ მათთვის. ცნობილია, რამდენი რამით არის დავალებული ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი პოეტი ბიძისაგან. აკაკი წერეთლის ცნობილი სტრიქონიც: „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ“ თითქოს ნაკვებია გრ. ორბელიანის „ტოლუბაშის“ ეპილოგისაგან: „რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ“.

გრ. ორბელიანის ლიტერატურულ თუ იდეურ ზეგავლენას ნ. ბარათაშვილზე მრავალი ფაქტი მოწმობს. ბარათაშვილმა „გიმნაზიის ყვავილში“ შეიტანა პოეტი ბიძის აკრძალული ლექსი „იარალის“, გადმოიღო მისი მებრძოლი, კრიტიკული განწყობლება, რაც ასე მალე ჩაინავლა თვით გრ. ორბელიანში, მაგრამ გაღრმავდა, გაღვივდა და აბრიალდა მისი გენიალური დისწულის გულსა და გონებაში.

თვით „ფსალმუნში“ გრიგოლი ზნეობის სიწმინდესა და სიმართლეს ქადაგებს: ვინ ავა მთასა წმინდასა, სადაც ანგელოზები გალობენ ღვთისა დიდებას? პატიოსანი, წრფელი ადამიანი, „ვის არ შიხ ზაკვის გესლი“, ვინც ამა სოფლის დიდებას მონასავით არ მისდევს, ვინც ძლიერებას გაბედულად ამცნო სიმართლე „და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა“. აქ რელიგიურ საფარველშია გახვეული სიკეთის კრედო, რაც თავისი პოეტურობითა და შინაარსით დიდად სცილდება რელიგიურ ჩარჩოებს, კერძოდ, ძლიერთა წინაშე სიმართლისათვის ხმის ამაღლება ჩათვლილია უზენაეს სიკე-

თედ, და ეს ამ შემთხვევაში მეამბოხურ სულისკვეთებას უფრო ჰგავს, ვიდრე ქრისტიანულ მოძღვრებას.

„ფსალმუნს“ პროფ. აკ. გაწერელია პოეტის ზნეობრივი და ჰუმანური შეხედულებების გამომხატველ ნაწარმოებად მიიჩნევს* და ეს მით უფრო ღუვამს ხაზს პოეტის მისწრაფებას სიკეთის სამსახურისაკენ.

გრ. ორბელიანის შემოქმედება შეიძლება შევადაროთ განთიადის წინ ჩამოწოლილ ბუნდოვან იალ-კიალს.

ოდეს ვარსკვლავი დილის წინ მსრბოლი
მკრთოლვარებს ზეცას ლაჟვარდოვანსა
და მოასწავებს დღესა ნათელსა.

ჩვენი დროის ლიტერატურულმა კრიტიკამ სავსებით სწორად მიიჩნია გრ. ორბელიანის და მისი შემოქმედების ილიასეული დახასიათება, რაც გრ. ორბელიანის ადამიანური ღირსების, ადაძიანის ნიჭისა და უნარის აღიარების პრინციპს ემყარება. ამ პრინციპს ამართლებს გრ. ორბელიანისავე ადრინდელი აფორიზმი, რაც ილიამ „ოთარაანთ ქვრივში“ შეიტანა: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას, ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას“.

ახალი დროის კვირაძალზე გრიგოლ ორბელიანმა ძველი დიდების გახსენებას ისეთი ოხვრა ამოაყოლა, რომ ლამის ძარღვებში სისხლი გაიყინა, მაგრამ ცხოვრება მაინც ულმობელი დაჟინებით მიდიოდა თავისი გზით, და პოეტმაც ძალაუნებურად მიიღო ბევრი რამ კარგი, რაც დროს მოჰქონდა.

გრ. ორბელიანმა რამდენიმე პროზაული და პოეტური ნაწარმოების თარგმანიც დაგვიტოვა. მათგან „ნალივაიკოს აღსარებას“ განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. ლერმონტოვის „მთანი მაღალნი“, გოეთეს ცნობილი მოკლე ლექსის თარგმანი, ჭართულად ძლიერ გაჭიანურებული და სუსტია. შედარებით კარგადაა გადმოქართულებული კრილოვის, ჟუკოვსკისა და პუშკინის ზოგი-

* აკ. გაწერელია, რჩეული, ტ. II, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1960, გვ. 92.

ერთი ლექსი, თუმცა ასეც რომ არ იყოს, ყოველივე ეს ბევრს ვერაფერს შემატებდა გრ. ორბელიანის პოეტურ დიდებას.

გრ. ორბელიანი თავისუფლად ეკიდება პოეტურ თარგმანს, ის ან გადმოაკეთებს ან თავისუფლად თარგმნის იმ ნაწარმოებებს, რომელთა შინაარსი და განწყობილებაც მისთვის ახლობელია. ასე თარგმნა ჟუკოვსკი, ლერმონტოვი, კრილოვი, რილეევი. ის იქცევა, როგორც მეტოქე, მოაზროვნე პოეტი, რომელიც თარგმნილ ნაწარმოებს ორიგინალური თხზულების ელფერს აძლევს.

ჩვენი მაშინდელი პოეზიის სარბიელი — პირველ ხანებში მაინც — ოჯახური და მეგობრული წრეები გახლდათ და იქვე ვრცელდებოდა, ჩვეულებრივ, ხელნაწერებისა და ზეპირი სიმღერების სახით. ამის მიუხედავად ჩვენი რომანტიკოსების შემოქმედება გამსჭვალულია არა საალბომო სულითა და მიმბაძველობითი მოტივებით, არამედ ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი, ეროვნულ-პატრიოტული, სოციალური სულისკვეთებითაც კი, და ეს ანიჭებს მათს მემკვიდრეობას მრავალმხრივ მნიშვნელობას.

გრ. ორბელიანი, ისევე როგორც ჩვენი სხვა რომანტიკოსები, კარგად იცნობდნენ ევროპულსა და რუსულ მწერლობას, მაგრამ არ იყვნენ შებოჭილი ევროპელ რომანტიკოსთა თეორიებით და პრინციპული მოთხოვნებით.

გრ. ორბელიანი, ლაღი და თავისუფალი შემოქმედი, სიამოვნებით გაიმეორებდა ვ. ჰიუგოს ცნობილ საპროგრამო სიტყვას, „კრომველის“ წინასიტყვაობაში რომ თქვა: „არ არსებობს სხვა წესები და ნიმუშები, გარდა ბუნების ზოგადი კანონებისა, რომელნიც მოიცავენ მთელს ხელოვნებას“...

ამიტომ სრული გასაგები ხდება დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ჩაწერილი სიტყვები; „მისი (გრ. ორბელიანის, — ე. ბ.) ნაწარმოებები გამსჭვალულია სამყაროს ნათელი, ოპტიმისტური აღქმით“.

დღეს გრ. ორბელიანის სახელი ცნობილია რუსეთსა და მის საზღვრებს გარეთაც — უკვე როგორც გამოჩენილი პოეტისა და არა როგორც გენერლისა. გრ. ორბელიანის ლექსები შესანიშნავად თარგმნეს რუსულად საბჭოთა პოეტებმა: ვ. ს. როჟდესტვენსკიმ, გ. უსპენსკიმ, ს. შერვინსკიმ, ა. ოსტროვსკიმ, ს. სპასკიმ, ვ. რიმსკი-კორსაკოვმა და სხვებმა. საგულისხმოა, რომ „მუშა ბოქულაძე“ გა-

რითმა მთარგმნელმა ს. სპასკიმ, და ლექსს შეუნარჩუნა ის მომხიბლაობა, რაც ქართულად ურითმოდაც აქვს*.

გრ. ორბელიანის პოეტური სამყარო ფართო და ამაღლებულია. მისი დიდი მასშტაბით აღიარება და პოპულარიზაციაც დროის საკითხია. მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში იღებს სასურველ დასაბამს ჩვენი სახელოვანი მწერლების თარგმნის საკითხი ხალხთა ენებზე. და ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მოვა დრო და, ალბათ, გრ. ორბელიანიც ჯეროვან ადგილს დაიჭერს მსოფლიო კლასიკის პანთეონში.

ბრიგოლ ორბელიანი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

წლების მანძილზე, ათეული წლების მანძილზე ყოფილა ცხარე მსჯელობა და აზრთა სხვადასხვაობა ჩვენს სასიქადულო პოეტზე.

სავსებით გასაგებია პროფ. შ. რადიანის განცხადება: „გრ. ორბელიანი ლიტერატურის ისტორიაში დღემდე რჩება „სადისკუსიო" პოეტად". მკვლევარებს ვერ შეუთანხმებიათ ერთმანეთისათვის მისი ცხოვრება და შემოქმედება, ბიოგრაფია და ლექსები"**.

აქ პირველ რიგში გასახსენებელია კ. აბაშიძის თავისებური შეხედულებანი, აგრეთვე კეზელის, დიზრაელის, ეგ. იოსელიანის, სიმ. ხუნდაძის, კ. მეძველიას და სხვათა ზოგიერთი სადავო თვალსაზრისი.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს აქ გრ. ორბელიანზე არსებული მთელი კრიტიკული ლიტერატურის აღწუსხვა, მით უმეტეს, რომ ამაზე საკმაოდ ბევრი ითქვა პოეტის ბიოგრაფიაში.

შევეცდებით მხოლოდ უმთავრეს ხაზებში იმის აღდგენას, რაც თავიდან უკანასკნელ დრომდე ამ მიმართულებით თქმულა, ავტორიტეტული და მნიშვნელოვანი.

ხშირად ძნელია თანამედროვეებზე ისეთი უტყუარი მსჯავრის გამოტანა, რასაც ისტორია მიიღებს. ბევრი დაუმსახურებლად გან-

---

* Грузинские романтики в переводе русских поэтов, под ред. Н. Тихонова и Ю. Тынянова, Ленинград, «Советский писатель», 1940.

**შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, წ. I, 1952, გვ. 64.

დიდებული ავტორი მიუცია ისტორიას დავიწყებისათვის, ბევრიც სიცოცხლეში არავის გაუნებივრებია, მაგრამ შთამომავლობას დიდების შარავანდედით შეუმოსავს. დაბოლოს, არიან ისეთი მწერლები, რომელნიც სიცოცხლეშივე უღიარებია კრიტიკას და გახსაკუთრებული დანიშნულება მათი შემოქმედებისა სადავოდ არასოდეს გამხდარა.

გრ. ორბელიანის პოეტური დიდებაც მის თანამედროვეთა სიტყვაშივე იღებს დასაბამს. ადრევე იგრძნეს მისი ძლიერება როგორც ქართული სიტყვის ერთ-ერთი მეუფისა. იყო დავა მის ზოგიერთ ნაწარმოებზე, მის ზოგიერთ პიროვნულ მხარეზე, ენაზე, შეხედულებებზე, მაგრამ გრ. ორბელიანის პოეტურ ძლიერებაზე კი არავინ დავობდა — ჩვენი კრიტიკოსებისათვის გრ. ორბელიანი იმთავითვე იყო ზეგარდმო მადლით მირონცხებული პოეტი, რომლის მსგავსნიც იშვიათად, საუკუნეში ერთხელ იბადებიან და იმთავითვე გამოირჩევიან „ცრუ მოლექსეების თაბუნებიდან“*.

პროფ. აპ. მახარაძეს მართებულად აქვს შენიშნული ცნობილი დეტალი: „მეფის ხელისუფლება გრ. ორბელიანს აფასებდა როგორც „შესანიშნავ მმართველს“, სამაგალითო ოფიცერსა და სამხედრო მოღვაწეს, ხოლო ქართველი ინტელიგენცია — როგორც შესანიშნავ პოეტს“. როცა გრ. ორბელიანს ოფიცრად შესვლის დღიდან 50 წლის იუბილე გადაუხადეს და იმპერატორმა ალექსანდრე II პირადად დაჰკიდა ანდრია პირველწოდებულის ორდენი, ქართული პროგრესული პრესა ამ ამბავს თითქმის დუმილით შეხვდა, სამაგიეროდ იმავე პრესამ, ეროვნულ მოვლენად აქცია იმავე გრ. ორბელიანის გარდაცვალება, როგორც ჩვენი სასიქადულო პოეტისა.

ქვეყნად ყველა და ყველაფერი ექცევა რაიმე გვარში, ჯგუფში, მთლიანობაში, და ლიტერატურაშიც ყველა რაიმე ჟანრსა თუ მიმართულებას ეკუთვნის. ქართულ კრიტიკას არ გაუჭირდა გრ. ორბელიანის მიკუთვნება რომანტიკოსებისათვის, რადგან მისი პოეზიისა და პიროვნებისათვის უფრო ბუნებრივი ადგილის პოვნა შეუძლებელი იყო.

---

* „ბიძია დონიკეს“ გამოთქმა გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ მიმოხილვაში, „ცისკარი“, 1871, № 2.

საყურადღებო წერილი უძღვნა ლავრენტი არდაზიანმა (ბიძია დონიკემ) მარტიროზიანის სტამბაში დაბეჭდილ „სადღეგრძელოს“ გამოსვლას*. რეცენზენტი ზოგადად ლაპარაკობს ერის სახელოვან შვილთა შესახებ, რომ ასე იშვიათად იბადებიან რუსთაველისა და შექსპირის, პუშკინისა და ლერმონტოვის მსგავსი პოეტები, სხვა დროს კი არის ცრუ პოეტების ხმაური, „ლექსების ბრახა-ბრუხი, რომლით მხოლოდ ამტკიცებენ ენის უცოდინარობას“. ამ დროს „უცებ ვკითხულობთ სანიმუშო ლექსებს გრ. ორბელიანისას“,— ამბობს კრიტიკოსი კმაყოფილებით.

სტატიის ავტორი, ჩვენი ცნობილი მწერალი, სავსებით კანონიერად ლაპარაკობს, რომ „სადღეგრძელოს“ შემოქმედს ადიდებს არა იმისათვის, რომ ის დიდი კაცია. „არასოდეს! ჩვენ ამ შემთხვევაში გრიგოლ ორბელიანს უყურებთ, როგორც დიდ პოეტს, როგორც საქართველოს პოეზიის გვირგვინს, ჩვენს სასიქადულოს, ჰეშმარიტად რომ უნდა... საკვეხურადა გვქონდეს, რომ ქართველებს ამისთანა პოეტი გვყავს“**.

შემდეგ სტატიის ავტორი ცდილობს დაამტკიცოს თავისი განცხადების სისწორე, სანიმუშოდ იმოწმებს „ლოპიანას დარდებს“ და სხვა წვრილ-წვრილ ლექსებს, რომლებიც ყოველმა ქართველმა იცის, და გადადის „სადღეგრძელოს“ განხილვაზე, ადარებს მას პუშკინის „პოლტავის ბრძოლას“ და იმაზე დაბლა არ აყენებს. აღტაცებით ლაპარაკობს უპირველეს ყოვლისა პოეტურ ღირსებაზე, რითაც გრ. ორბელიანი ადიდებს წარსული დროის გმირებს, სიყვარულს, მეგობრობას და ა. შ. ბუნების აღწერაში კი ადარებს „გამოჩენილს მხატვარს“.

საერთოდ „ბიძია დონიკეს“ ეს პოემა მიაჩნია „ოქროვანის კალმით გამონაღვაწ ნაწარმოებად“, რომლის ავტორსაც რუსთაველი ძმასავით გადაეხვეოდა, რომ ცოცხალი ყოფილიყო.

მიმოხილვას ავტორი ამთავრებს მიმართვით პოეტისადმი, რომელსაც ოხერით წარმოუთქვამს „ან რაღას ველი სოფლისგან,

---

* „ცისკარი“, 1871, № 2 (ს. ხუციშვილი, ქართული სალიტ. კრიტიკის ისტორია, ქრესტომათია, ტ. II, 1956, გვ. 114—120).

** „ცისკარი“, 1871, № 2.

რა მიხარიან, რა მინდა?“ „ჩვენო სასიქადულო პოეტო, როგორ თუ რა მინდაო? ჩვენ გვინდა შენი ძვირფასი სიცოცხლე... შენ ხარ ჩვენი იმედი ჩვენის საწყალის მწიგნობრობისა. შენ ისეთი საუნჯე მოგვეცი ბოლოს დროს, რომ ჩვენი ლიტერატურა დაგვირგვინდა“. ეს მსჯავრი — ქართული კრიტიკული და საზოგადოებრივი აზრის გამოხატულებაა.

საგულისხმოა „ბიძია დონიკეს“ რეცენზიასთან ერთად ნიკო ყიფიანის (დიმიტრის ძის) მომდევნო მიმოხილვაც, მიძღვნილი „კრებულის“ პირველი და მეორე წიგნებისადმი.

ამ წერილშიაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „სადღეგრძელოს“. საყურადღებო აზრია გამოთქმული აქ კერძოდ ამ პოემის მიბაძვის საკითხზე; ნ. ყიფიანი იმ შეხედულებისაა, რომ „სადღეგრძელო“ მხატვრული ღირსებით მაღლა დგას ჟუკოვსკის პოემაზე, რომლის მიბაძვადაც ის თვით გრ. ორბელიანმა გამოაცხადა.

ამ შეხედულებას ასე ასაბუთებს: „ჟუკოვსკის პოემა ითვლება რუსულ ლიტერატურაში ძალიან სუსტ თხზულებად... ამ გაგრძელებულ პოემაში აზრი ნაკლებათ სუფევს. „სადღეგრძელო“ თ. გრიგოლ ორბელიანისა სავსეა აზრით და გრძნობით, ზოგიერთი სურათი ამ თხზულებისა უღვიძებს მკითხველს ერთს უმაღლესთაგანს გრძნობას და მოჰყავს მოძრაობაში ყოველი ჯერ არ გაყინული გულის პატრონი... ზოგნი კი იძახიან, რომ ეს პოემა არის მიბაძვა რუსის პოეტის ჟუკოვსკის პოემისაო! არა, ეს თხზულება მხოლოდ ფორმით ემსგავსება ჟუკოვსკის პოემას, შინაარსი კი არის განსაკუთრებით ქართული“*.

მართლაც, მიბაძვაზე ლაპარაკი შეიძლება აქ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ზერელედ შეხედავს და არ ჩასწვდება სხვაობას ფორმასა და შინაარსს შორის.

თავის ცნობილ სტატიაში**, რაც გრ. ორბელიანს უძღვნა,

---

* „დროება“, 1871, № 8 (იხ. ს. ხუციშვილის შედგენილ ქრესტომათიაში, გვ. 121—126).

** „კრებული“, 1873, № 3 (დაბეჭდილია ს. ხუციშვილის ქრესტომათიის II წიგნში, გვ. 204—221).

ნ. ნიკოლაძე (სკანდელი) პირველი სტრიქონითვე მადლობას უძღვნიս პეტრე უმიკაშვილს გრ. ორბელიანის ლექსების, „ამ ჩინებული წიგნის“ გამოცემისათვის, თავისი ნიჭით და ჯაფით რომ ფასდაუდებელ საქმეს ემსახურება და ერთგვარად შეუმჩნეველ, უმადურ, მაგრამ საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. ამ საქმეთა შორის ყველაზე დიდ ღვაწლად გრ. ორბელიანის ნაწერების გამოცემას უთვლის. თავისი ჩვეული ყოველმხრივობით, ნიჭითა და სიღრმით მსჯელობს ნ. ნიკოლაძე ჩვენი მწერლობის საერთო მდგომარეობაზე, იმაზე, რომ გვყავს სახელოვანი პოეტები, რომლებიც არც ერთი ერის აყვავებულ მწერლობას არ შეარცხვენდნენ, მაგრამ უცნობნი და შეუფასებელნი არიან, რადგან ორი-სამი ლექსი დაბეჭდილა აქა-იქ გაბნეულად და საერთო კრებულები არ გამოსულან, არც ჯეროვანი შეფასება მიუღიათ.

ამ შედარებით უცნობ საგანძურს მიაკუთვნებს ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანის პოეტურ მემკვიდრეობასაც. ყველამ იცის, რომ ნიჭიერი პოეტია, მაგრამ განა ეს კმარა? რა ხასიათისაა მისი ნიჭი, რა მიმართულება, ადგილი და გაქანება აქვს, რა ურღვევ შემოქმედებით ჯაჭვს ქმნის, ეს საკითხი მოითხოვდა დაზუსტება-დადგენას, და ამ საქმეს თავი დაადგა ჩვენმა გამოჩენილმა მოაზროვნემ. დროც იყო. ორმოცი წელი ემსახურა გრ. ორბელიანი ქართულ მწერლობას, და ჯერ კიდევ „ფარდა აფარებული“ რჩებოდა. „მწერლობის სიგლახაკე ამაზე უარესი იქნება?“— კითხულობდა ნ. ნიკოლაძე.

ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისით, საერთოდ პოეტს აქვს ადამიანის გულისა და ტვინის უღრმეს საიდუმლოებათა ჩაწვდომის უნარი, დიდი გრძნობა და მახვილი გონება, რომ ეს გრძნობა ღირსეულად გამოთქვას. პოეტი უბრალო მახვილსიტყვაობის ნაცვლად ჰეშმარიტად ამაღლებულ, სხარტ, მოკლე სიტყვის გამოთქმის ხელოვნებასაა დაუფლებული. მისი აზრით, ამიტომ ასე იშვიათია ნამდვილი პოეტი, კარგი მოსაუბრე კი მრავალზე მრავალია. აი, ამ იშვიათ პოეტთა შორის ათავსებს ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანს.

ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანის პირველ ლექსებში ძველ პოეტთა ზეგავლენის კვალს ხედავს, ამასთანავე არსად არ უარყოფს მის თავისთავადობას და გვიანდელი დროის პოეტურ სიმწიფეს. ეს ასედაც არის. არც გრ. ორბელიანი გამოჩენილა მეტეორივით და მისი

პოეზიის საძირკველი ქართული კლასიკური მწერლობის ნოყიერ ნიადაგშია საძიებელი, ისევე როგორც შემდგომი თაობის ბევრმა პოეტმა გრ. ორბელიანის ძარღვიან პოეზიაში ჰპოვა ახალი სულიერი საზრდო და იგი თავისი შემოქმედების საძირკვლად აქცია.

„იარალის“ ავტორი, ნ. ნიკოლაძის თქმით, მყარი პოეტური ძალაა, მის ლექსს უკვე „უფრო მაღალი გრძნობა, უფრო ხელოვნური გამოხატულება და ტანსაცმელი აქვს“.

სწორედ შენიშნა, დასასრულ, ახალი დროის მესიტყვემ: სიბერის დროს გრ. ორბელიანმა არაფრად ჩათვალა თავისი დიდება, ორდენები, გენერლობა, და ის ხალასი გრძნობა, ამაღლებული მიზნები დაიტირა, რომელთაც ახალგაზრდობის უკეთესი წლები შესწირაო. ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში აქვს მისი ოხვრა: „ან რაღას ველი სოფლისგან... და ვჰწყეველი ფუჭად წარსულსა“.

ა. ქ.-ძის (არისტო ქუთათელაძის) აზრით, წარსულმა საუკუნეძ წაართვა საქართველოს საუკეთესო ძალა, მაგრამ დაუტოვა იმედები, რომელთაც შვეს ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, თუმცა ხალხი მაინც შორს იყო, არ ესმოდა მათი ხმა*.

1877 წელს გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთაგან ჩვენი მკითხველი საზოგადოებისა და კრიტიკის ყურადღების ცენტრში დადგა „მუშა ბოქულაძე“. „ქსნის-ხეველის“ ფსევდონიმით „ივერიის“ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებულ ამ შესანიშნავ ლექსს თავის მიმოხილვაში ვრცლად ეხება გიორგი თუმანიშვილი**.

მიმომხილველი თავის შეხედულებას გამოთქვამს სხვა პოეტების ამავე თემაზე დაწერილი ლექსების გამო, რომელთა ავტორებსაც „რიგიანად არც კი უნახავთ ჩვენებური მუშა და უცხოელთა ნაწერებიდან ამოღებულ სიტყვებს ათქმევინებენ“. მართლაც, როცა ვკითხულობთ ოქრუაშვილის „მუშის სიმღერის“ ამ ადგილს, დამოწმებულს თუმანიშვილის მიერ: „მე არ ვთხოულობ არავისგან მოწყალებასა და ამითი არ დავიმცირებ ჩემს ღირსებასა“, აშკარა ხდება ძალა პოეტური ნიჭისა და ინტუიციისა, რითაც ორბელიანმა ოქრუაშვილზე უკეთ გაიგო მუშის ნამდვილი გულისთქმა. მუშა ბო-

* „დროება“, 1876, № 32—34 (იხ. ს. ხუციშვილის ქრესტომათია, ტ. II, გვ. 266).

** იხ. ს. ხუციშვილის ქრესტომათია, ტ. II, გვ. 302—304.

ქულაძე ამაყად კი არ ითხოვს თავის უფლებას, წელში მოხრილა. დაბეჩავებულა და იმედი აქვს ტვირთის მოხსნისა მხოლოდ საიქიოში, სადაც ისა და ნებიერად გაზრდილები თანასწორნი იქნებიან ეს უფრო სწორი სურათი იყო ჩვენი მაშინდელი სინამდვილისა და ამიტომაც უწოდებს თუმანიშვილი „მუშა ბოქულაძეს“ ისეთსავე სახალხო ლექსს, როგორიცაა „იარალის“, „დიმ. ონიკოვის დარდები“, ალ. ჭავჭავაძის „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“, ოღონდ მათზე მაღლა აყენებს, რადგან მასში იხატება „ჩვენი საზოგადოებრივი წესი“. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მოწინავე კრიტიკა ასე თუ ისე მაშინვე ხედავდა სოციალური შინაარსის საკითხის დასმას, მის შემოჭრას თვით ისეთი რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებაში, როგორიც იყო ხანდაზმული გრ. ორბელიანი.

უთვალავი საბუთი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი კრიტიკაც და მკითხველი საზოგადოებაც საყვარელ მწერალთა სახელებს შორის იმთავითვე მოკრძალებით წარმოთქვამდა გრ. ორბელიანის სახელსაც. ანთიმოზ ჯუღელის ლექსების კრიტიკასთან დაკავშირებით ალ. სარაჯიშვილი „დროებაში“ წერდა: „სხვა არა იყოს რა, დიდი შეურაცხყოფის მიყენებაა მწერლებისგნით ამგვარ ნაჯღაბნის მირთმევა ქართულს საზოგადოებისათვის, რომელიც შ. რუსთაველის, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეზიით არის გაზრდილი“*. ამ დეტალითაც იგრძნობა, რომ გრ. ორბელიანს მაშინდელი საზოგადოება უყოყმანოდ თვლიდა ზეგარდმო ნიჭით მიმადლებულ პოეტად.

ალ. სარაჯიშვილი „ლოპიანას“, „მკერავალ ბეჟანას“ და გრ. ორბელიანის სხვა ლექსებს თვლიდა ისეთ მხატვრულ ნაწარმოებთა ნიმუშად, რომელთა ავტორსაც უნარი აქვს „სხვის გულში ჩაძვრეს“ და მისი განცდები ისე გადმოგვცეს, თითქოს ის სხვა კაცი ლაპარაკობს თავის თავზე და არა მწერალი**.

ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ თავის დროზე შენიშნა, რომ მწერლები ცით მოწყვეტილი ვარსკვლავები კი არ არიან,

---

* „დროება“, 1878, № 255.

** „დროება“, 1879, № 29 (ალ. სარაჯიშვილის რეცენზია გიორგი თუმანიშვილის „ალმანახზე“).

არამედ ერის კულტურული წარსულის კანონიერი მემკვიდრეები და გამგრძელებელნი, რომელთა შემოქმედება საკვებს ისევ ეროვნულ მწერლობასა და ხალხის ჭირ-ვარამში პოულობენ.

ჩვენი სახელოვანი „ივერია“ წერდა იმ მნიშვნელობაზეც, რაც გრ. ორბელიანის შემოქმედებას ჰქონდა ნ. ბარათაშვილისათვის. „ჩვენს ლიტერატურაში ბევრს ნიკ. ბარათაშვილი მარტოდ მარტო ჰგონია. ბევრსა ჰგონია, რომ ეს პოეტი რაღაც უცნაური მოვლენაა და რაც იმის ლექსებში გრძნობა და აზრია გამოთქმული, საქართველოს ნიადაგზედ არ არის აღმოცენებულიო. ვინც ამას ამბობს, წაიკითხოს გრ. ორბელიანის, მიხეილ თუმანიშვილის, ვახტანგ ორბელიანის ლექსები და ამ ყოვლად შემცდარს აზრს აღარ იტყვის. არა, მეცდაათე, და მეორმოცე წლებში რაღაცა აწუხებდა ჩვენს საზოგადოებას, გული რაღასაც ეუბნებოდა...“*.

ცხადია, საზოგადოებას მუდამ „რაღაც აწუხებდა“, მაგრამ საქმე ამ წუხილის, აზრთა დუღილის მომწიფება და სათანადო ძალით ასახვაშია. ამ ასახვას შემოქმედთა ჯგუფის, თაობის ერთიანი ბრძოლა და სრულყოფის ისეთი მაღალი ხარისხი ესაჭიროება, როგორიც ადგილს პოულობს ჩვენი რომანტიკოსების შემოქმედებაში.

პოეტის 50 წლისთავის იუბილეს სილოვან ხუნდაძემ უძღვნა ვრცელი წერილი, რომლის საგანი იყო ისტორიული კილო გრ. ორბელიანის ლექსებისა. ჩვენი ცნობილი მოღვაწე სწორად შენიშნავდა, რომ „ისტორიულ ნაწილს თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსებში უჭერია თვალსაჩინო ადგილი თვით ალაგის სიდიდითაც და მეტადრე თავის შინაგან და გარეგან სიმშვენიერით“**.

სილ. ხუნდაძის თქმით, ისტორიული ხმა პირველად „იარალისში“ მოისმის. იქნებ იკითხოს ვინმემ, რა არის აქ ისტორიული? — ამბობს მკვლევარი და თვითონვე პასუხობს: „აქ ისტორიულია ის, რაც შეეხება წარსულს და გვიხატავს ჩვენს წინაპართა ცხოვრებას“. მართლაც, აწმყო სინამდვილის საწინააღმდეგო პროტესტს აქ პოეტი გამოხატავს წარსული დიდების წარმტაცი სურა-

---

* „ივერია“, 1881, № 7.

** „ივერია“, 1882, № 12 (იხ. ს. ხუციშვილის ქრესტომათია, ტ. II, გვ. 495).

თებით და ამტკიცებს, რომ შვილები უკან წასულან, უნუგეშო მდგომარეობაში ჩაუგდიათ მამული, რომელსაც ასე გმირულად იცავდნენ „ჭაბუკნი გრძნობით აღტაცებულნი“.

კრიტიკული აზრი ადრევე გამორჩეულ ადგილს უთმობდა ჩვენ მიერ მრავალგზის ხსენებულ „სადღეგრძელოს“.

სილ. ხუნდაძის გაგებით, ბარათაშვილის შემდეგ თ. გრ. ორბელიანმა მისგანვე დაწყებული კილო დააგვირგვინა თავის მშვენიერ „სადღეგრძელოში“, შემდეგ კი ისტორიული ჟანრი გაამდიდრეს გრ. რჩეულიშვილმა, აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ, რაფ. ერისთავმა.

სილ. ხუნდაძე „სადღეგრძელოს“ თვლიდა „მშვენიერ ნაწარმოებად“, მისი აზრითაც, პოეტს აქ „საკუთარი ორიგინალური ფორმა გამოუგონებია, უფრო ფართო და დამტევი, ვიდრე ჩვეულებრივი. ეს ფორმა ახალია მწერლობაში, მაგრამ ჩვენის ხალხის ცხოვრებაში კი ძველთაგან ძველია. პოეტი დაჰკვირვებია ამ ცხოვრებას და თავის მოთხრობის ფორმაც მტკიცედ დაუმყარებია ხალხის ხასიათზე“*. მკვლევარი გულისხმობს ერთი ან ორი გმირის ნაცვლად მასიური სურათის ჩვენებას. „ჩვენს პოეტ-იუბილარს არ უყვარს ზოგიერთებსავით უმნიშვნელო ფრაზები და გაჭიანურებული ლაპარაკი: მოკლე და მახვილი, მოსწრებული სიტყვა არის ყოველთვის კარგის პოეტის თვისება... ჩვენი პოეტი არ გადადის სამზღვარს გამოყვანილი გმირების აღწერაში“.

თავის მიმოხილვას სილ. ხუნდაძე ამთავრებს ისტორიულ თემაზე დაწერილი მეორე ცნობილი ნაწარმოების — „თამარ მეფის სახის“ გარჩევით და იმედდაკარგულ პოეტს ამხნევებს: „არა, ძვირფასო პოეტო! დაუკვირდი კარგად შენს საყვარელ სამშობლოს, გარდახედე შენს მშვენიერ წალკოტს და დაინახავ, რომ იმის ვაზი ჯერ კიდევ ნედლია... მაშ გაისწორე შუბლის ღარები და კვლავ გაუღიმე შენს სატრფო მამულს!.. შესძახე შენვე ეგ შენი განმაცოცხლებელი სიტყვები: „იგივ მხნე, იგივ მღერალი...“ ეს ისე ისმის, როგორც შვილთა გამამხნევებელი ძახილი მამებისადმი.

გრ. ორბელიანს უკვდავთა ბედი ერგო. მის შესახებ კრიტიკამ

---

* „ივერია“, 1882, № 12.

და საზოგადოებამ განსაკუთრებით მისი გარდაცვალების შემდეგ ამოიღო ხმა.

ქართული ინტელიგენციის განწყობილებას გამოხატავდა დავით კეზელის წერილი „დროებაში“: „გრიგოლ ორბელიანი იყო ზეშთაგონებით განსწავლული მეფე ქართული სიტყვიერებისა და პოეზიისა. გრიგოლ ორბელიანს რომ თავისი გარეგანი ხარისხით, თანამდებობით ათიათასჯერ უფრო მომეტებული ალაგიცა სჭეროდა, ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებდით, მაგრამ დღეს ვგლოვობთ... როგორც დამკარგველნი დიდებული პოეტისა, რომელიც თავისი ძლიერი ხმით აღვიძებდა და ამხნევებდა დაძინებულს და უიმედობით დამამძრალ ქართველებს“*.

ი. მეუნარგია თავის ნეკროლოგში „საკვირველ კაცს“ ეძახის გრ. ორბელიანს და უდიდეს ეროვნულ დანაკლისად თვლის მის გარდაცვალებას. ოთხმოცი წლის სალმობას რომ ვერ დაეძლია და დროთა მოქმედებას ვერ მოედრიკა, ყოველგვარ მოძრაობას რომ მიაკედლა თავისი გვარი** საქართველოში და ადამიანთა გულში დაიდგა ტაძარი.

იონა მეუნარგიამ, დაკვირვებულმა ბიოგრაფმა, „ქართული ლიტერატურის მეწვრილმანემ“, „ფაქტების მომქუჩებელმა“, როგორც თავის თავს ეძახდა, ფასდაუდებელი ამაგი დაგვდო განსაკუთრებით გრ. ორბელიანის ცხოვრების ქრონიკის შედგენით.

იონა მეუნარგიას ღვაწლი და თვალსაზრისი დღესაც ანგარიშგასაწევია. მის ხელთ იყო ძნელი-ამოცანა — პირველს მოეხდინა ფაქტებისა და ლიტერატურული მოვლენების ანალიზი, დაეკავშირებია ისინი ეპოქის ვითარებასთან, გამოეტანა მსჯავრი, შეეფასებინა, და ყოველივე ეს მაშინ, როცა ამ მხრივ უამრავი ჯერ კიდევ არ იყო გატეხილი. მართალია, თვითონ ბიოგრაფმა გააზვიადა გრ. ორბელიანის ლიტერატურული ფიგურა, მიანიჭა მას ისეთი მნიშვნელობა, როგორიც თვითონ სურდა და არა ისეთი, როგორსაც ობიექტურობა მოითხოვდა: თვით ილიამ და აკაკიმ ჯეროვნად ვერ შეაფასეს მისი ღვაწლიო, ამბობდა იგი და პოეტის დაკრძალვის

---

* „დროება“, 1883, № 65.

** „დროება“, 1883, № 61.

დღეს წარმოთქმული არც ერთის სიტყვა, მისი აზრით, „არ იყო შესაფერი სამწუხარო შემთხვევისა“*. რა თქმა უნდა, ეს რაც მიუწვდომელთან ჰიდილის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ რასაც გრ. ორბელიანის თავგამოდებული ბიოგრაფი მისწვდა, ისიც ფასდაუდებელი ამაგია ქართული კულტურის წინაშე.

ი. მეუნარგიას სიტყვა არ ჰყოფნიდა ციური ნიჭით მომადლებული გრ. ორბელიანის, შესანიშნავი პოეტის, პატრიოტის, ადამიანის, ბრძენი ქართველის დასახასიათებლად როგორც თავის წიგნში, ასევე მის ცნობილ ლექციებში, და ლამარტინის სიტყვებს იმოწმებდა: „ყოველივე, რაც კარგი რამ არის გულში, გულიდამ არ ამოდის და გულშივე რჩებაო“**.

ეგნ. იოსელიანი თავის მიმოხილვას — „ქართული ლიტერატურის“ პირველ წერილს ახლად გარდაცვლილ გრ. ორბელიანს მიუძღვნის. შემთხვევითი არაა, რომ ის სწორედ მამულის სიყვარულით იწყებს: „ძველს ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული იყო აზრი: ვისაც არ შეუგნია, რა არის მამულისათვის თავის განწირვა, მას არ გაუგია, რა არის კაცის ცხოვრებაო! ამ მარტივმა აზრმა ბევრჯერ გამოიყვანა საქართველო გამარჯვებული ფიცხელის ომებიდან...“***

შემდეგ კრიტიკოსი სამართლიანად ლაპარაკობს ჩვენს ერთ საძრახ ჩვეულებაზე — „კერძო პირთა შუა შფოთზე“, არეულობაზე, ხშირად სამშობლოს ღალატზე, ფლიდობაზე, გაუტანლობაზე, რაც ცალკეულ პირებს ახასიათებდათ, და რასაც ყოველი ღირსეული ქართველი ებრძოდა, როგორც სნეულებას. ამ მებრძოლთა შორის ასახელებს გრ. ორბელიანსაც.

მაგრამ ეგნ. იოსელიანი სულაც არ ანიჭებს დიდ ქართველ პოეტს გადამეტებულ მნიშვნელობას, მიაჩნია ის ერთ-ერთ გამოჩენილ ადამიანად, მაგრამ არა ისეთად, რომ მისმა დაკარგვამ „ერს უკან სიბნელე მოჰფინოს“ და წელში ვეღარ გავიმართოთ. „ორია-

---

* „მოამბე“, 1905, № 3.

** „ივერია“, 1888, № 75.

*** „ივერია“, 1883, № 4 (იხ. ს. ხუციშვილის ქრესტომათია, ტ. II, გვ. 511).

თას წლოვან ერის ისტორიის წამოკიდება ცოტა მძიმე ტვირთი უნდა იყოს, თუ დამეთანხმებიან უდროოდ გამოჩენილი რიტორიკები". ცხადია, პოლემიკური ხასიათის ასეთი მსჯელობა გულისხმობს არა პოეტის დამცირებას, არამედ სამშობლოს განდიდებას, და ეს გასაგებიცაა: რუსთაველის და გურამიშვილის მშობელი ერი უნუგეშოდ არ დარჩებოდა თავისი თუნდაც ათასგზის სახელოვანი შვილის გარდაცვალების გამო, რადგან ერთ ადამიანს, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მისი ღვაწლი, შეუძლია შეჰქმნას ეროვნული სიმდიდრის მხოლოდ ნაწილი. საერთოდ, ეს ერთი შეხედვით უცნაური პოლემიკური გადახვევა გამოუწვევია „ზოგიერთების" გადამეტებულ ბაასს განსვენებულის ღვაწლისა და ადამიანობის შესახებ, რაც დაკრძალვის დროს მოუსმენია. კრიტიკოსი სარგებლობს შემთხვევით და ამბობს, რომ „ვინც ხალხს მხარში არ უდგია, არა შველის, არ უქარვებს მწუხარებას, მას ძნელად შეუძლიან დაბეჭდოს ხალხის გონებაში თავის სახელი". ეს თავისთავად საყურადღებო, თუმცა ამ შემთხვევაში ტენდენციური აზრი დაუპირისპირა მან ზოგიერთი ორატორის განცხადებას. „ჩვენი მზე, ჩვენი დიდება საფლავში ჩავასვენეთო". ამავე დროს კრიტიკოსი ვერ ხედავს საჭირო მასალებს გრ. ორბელიანის ღირსების დასაფასებლად და ამ საქმეს მომავალს ანდობს, თუმცა მასზე ადრე სხვებმა უკვე გამოთქვეს მსჯავრი, რაც მომავალმა დაადასტურა კიდეც.

ეგნ. იოსელიანი გრ. ორბელიანს დამსახურებად უთვლის იმას, რომ თავისი მაღალი მდგომარეობის მიუხედავად, ზოგიერთივით მიწაში არ ჩაიტანა თავისი ნიჭი და „თამამად ჩასდგა ლიტერატურის წრეში". მაგრამ ციური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, მეფეც რომ იყოს, ვერ უარყოფს თავის მოწოდებას, ვერ ჩაიტანს მიწაში იმას, რაც ყოველგვარ მიწიერ დიდებას და სიმდიდრეს აღემატება. ამისი მაგალითები არიან ჩვენი მეფე-პოეტები.

საერთოდ კი ეგნატე იოსელიანი საქმეს დინჯად, დაკვირვებულად უდგება, გონივრული შეფასების მსურველია და სამართლიანად გადაჰკრავს „დროების" შორსმხედველ თვალს", რომელმაც თითქოს შენიშნა გრ. ორბელიანის „უპირატესობა" რუსთაველთან შედარებით, და იმეორებს საყოველთაო ჭეშმარიტებას, რომ რუსთაველის ლექსის სიდიადე, სიღრმე, რითმა საფუძვლად დაედო

ყველა პოეტის და კერძოდ გრ. ორბელიანის შემოქმედებასაც—უფრო მეტად, ვიდრე სხვას.

„გრ. ორბელიანი მთლად გაება წარსულში", — ყველრებით ამბობს კრიტიკოსი. იმასვე საყვედურობს „სადღეგრძელოს ავტორს" მოგვიანებით ევსტათი მჭედლიძე: „ზოგი სულ წარსულში ჩხრეკს მასალასო"*. სავსებით სწორია ეგნატე იოსელიანი, როცა წერს, რომ „ნამდვილი პოეტი არას დროს უდაბნოში არ ღაღადებს, იგი დასცქერის ხალხის გულსა და იქიდამ იღებს ძალას, მასალას თავის ქმნილებისათვისო. რაც უფრო ღრმად ჩაიხედავს კაცის მღელვარე გულში, მით უფრო ძალა და მნიშვნელობა ემატება პოეტის ხმას". მაგრამ მეტისმეტ სიმკაცრესა და უსამართლობას იჩენს, როცა აცხადებს: „გრიგოლ ორბელიანის ლექსებში ჩვენ ვერა ვპოვებთ კაცის გამამხნევებელ პოეზიასაო". მართალია, გრ. ორბელიანი, შემოქმედების მეორე პერიოდში, უკვე აღარ არის ისეთი მებრძოლი, არ არის ხალხის ისეთი გულის მესაიდუმლე, მისი ნამდვილი ტკივილების გამგები, მაგრამ მგზნებარე პოეტური ხმა, მრავალი გულწრფელი სტრიქონი სიყვარულზე, სიკეთეზე, სამშობლოსა თვის თავდადებაზე, კეთილი საქმის მნიშვნელობაზე და ა. შ., დაბოლოს მისი ჰიმნი, პატიოსან მუშა ბოქულაძეს რომ უძღვნა, არ შეიძლება ხალხისათვის სასარგებლო სამსახურის სფეროს გარეთ დავაყენოთ. ამას თვითონ ეგნ. იოსელიანიც აღიარებს ახალი თაობის პოზიციებიდან: „გაუგებლობად ჩაეთვლება კაცსა, რომ პოეტის ამ წმინდა სიყვარულს სამშობლოსადმი პატივი არა სცესო".

ეგნატე იოსელიანი ეხება მამათა და შვილთა ბრძოლისა და აგ ბრძოლაში გრ. ორბელიანის როლის საკითხს. მამათა და შვილთა შეტაკების მიზეზად პოეტის არისტოკრატიული აღზრდა და „ის გარემოება მიაჩნია, რაც წინათ სუფევდა". მამებმა ბრძოლაში ვერაფერი გააწყვეს და ისევ შვილების სწავლა-აღზრდით სცადეს ქვეყნის გაბედნიერება. მაგრამ მამებმა ვერ გაიგეს ახალი სწავლის მნიშვნელობა, ვერ გაიგეს, რომ ახალი მიმდინარეობის საფუძველი იყო ძველი წესების, მათ შორის ბატონყმური სიმახინჯის გადაგდების ქადაგება, ცხოვრების სხვაგვარად მოწყობა. არ შეიძლებოდა ეს ვერ

* „შრომა", 1883, № 18.

გაეგო გრ. ორბელიანს, მაგრამ „პოეტი პოლემიკის ძალამ გაიტაცა“, შეუბრალებლად დაესხა თავს ახალ თაობას, რომელსაც „არა დაუშავებია რა არც სამშობლოს და არც პოეტის წინაშე“. მართლაც, გრ. ორბელიანის პოლემიკაში უფრო პირადი წყენით გამოწვეული აღელვება იგრძნობა.

ეგნ. იოსელიანი თავს არიდებს გრ. ორბელიანის შემოქმედების გარჩევას ესთეტიკური თვალსაზრისით და ახირებულ განცხადებას აკეთებს: „ესთეტიკური თეორია ჩვენს მწერლებს არ უდგებათო“. ამისათვის დავით კეზელმა (სოსლანმა) მწარე პასუხი გასცა ეგნ. იოსელიანს „დროებაში“*. „უკაცრავად თქვენთან, ბ. კრიტიკოსო, და ჩვენ სულ წინააღმდეგი გვგონია“, ეგნ. იოსელიანმა მეტად ძნელი როლი იკისრა და თუმცა ცოდნა არ აკლია, მაგრამ როგორც მოჩანს, ამისათვის ღონე არ კმარა, სხვა ძარღვიც არის საჭირო, ასევე ლიტერატორობას ცოდნა არ ჰყოფნის, საჭირო ძარღვი კი იოსელიანის წერილში ვერ ვნახეთო, აცხადებს პირუთვნელი კრიტიკოსი. ეს ერთი ნიმუშია იმ პოლემიკისა, რაც ჩვენი გამოჩენილი მწერლების გარშემო ადრიდანვე წარმოებს და რაც ჭეშმარიტების დადგენაში დიდ როლს თამაშობს მუდამ.

ახალი, პროგრესული ქართული კრიტიკა მწერლის უპირველეს მოვალეობად რაცხდა ცხოვრების გულში ჩახედვას, რეალური ცხოვრებიდან ტიპების გამოყვანას და მათს დამაჯერებლად დახატვას. ვინც ამას არ ცდილობდა ან ვერ ახერხებდა, მის შემოქმედებას ერთგვარი ეპვის ქვეშ აყენებდა.

ამ მხრივ სანიმუშოდ ვასახელებთ ევსტათი მჭედლიძის (ბოს. ლეველის) „კრიტიკულ მიმოხილვას“, რაც „განდეგილს“ ეძღვნა**.

ე. მჭედლიძე გრ. ორბელიანსაც და ილიასაც თვლის ბუნების შესანიშნავ მხატვრებად, ოღონდ იქ, სადაც ორბელიანი კალმის ერთი გაქნევით „ჩამოასხამს დიადს სურათს“, ილია ორჯერ და სამჯერ გაჰკრავს იმავე კალამს. რაც შეეხება ტიპების გამოკვეთას, აქ

---

* „დროება“, 1883, № 119.

** „შრომა“, 1883, № 18 (იხ. ს. ხუციშვილის ქრესტომათია, ტ. II, გვ. 519—528).

ილია უფრო შეუდარებელი ოსტატია. და მისი გმირებიც უფრო რეალისტურნი, სინამდვილიდან აღებულნი არიან. მაგრამ თუ ერთგვარ საყვედურს ვერ ასცდა თვით ილია ჭავჭავაძე, მით უფრო გასაგებია საყვედური გრ. ორბელიანისადმი, რომელსაც „ხვალე აღარ სწამს, ვით ღამეში მაცდური სხივი“, და „სწყეველიდა ფუჭად წარსულსა“.

გრ. ორბელიანზე არსებული მთელი აზრთა სხვადასხვაობა მაინც შეიძლება ორ მთავარ ხაზზე დავიყვანოთ; ერთი უკიდურესობის წარმომადგენელია კ. აბაშიძე, მეორისა — სიმ. ხუნდაძე. პირველის აზრით, ხშირად „მწერლის შინაგან არსებასა და მის გარეგან ცხოვრებას შორის ხიდია ჩატეხილი და გარდუვალი უფსკრულია დამკვიდრებული“. სიმ. ხუნდაძე კი პოეზიას თითქმის განზე ტოვებს და მთავარ მნიშვნელობას აძლევს პოეტის ბიოგრაფიას, ხედავს მასში „ყაფლანიანთა დიდი გვარის უკანასკნელ მოჰიკანს“, რომელმაც თავისი ნიჭი ჯერ სამხედრო სარბიელზე სცადა. მისი დახასიათებით, ზოგს „სიტყვის მეუფე“ მოსწონდა გრ. ორბელიანში, ნაწილს — დიდი მეომარი და სარდალი, დანარჩენებს კი — ჩინოვნიკი და ყაფლანიანთა გვარიშვილობა. საერთოდ კი, მაშინდელს ჯერ განუვითარებელს სოციალურ ურთიერთობაში, მთელი საზოგადოება ეპოქის გმირს ხედავდა, „ჩვენს დიდებას“, „ჩვენს მზეს სხივთა მფრქვეველს“ აღმერთებდა... მაგრამ დრომ თავისი ჰქმნა: შემდგომმა ეპოქამ გრ. ორბელიანს ეს დიდებისა და „მეუფეობის“ გვირგვინი“ ჩამოაცალა... ნათელი გახდა, რომ ამ დიდად ნიჭიერი პიროვნების სამოღვაწეო სარბიელი „ორბელიანთა სისხლის სიღარიბისა“ და ამ „საშინლად დასჯილ გვარის აღდგენისაკენ იყო მიმართული კრიტიკულად მოაზროვნე თაობამ ნათლად დაინახა, რომ გრ. ორბელიანისათვის „პოეზიის სამეფო“ და ლიტერატურული ტახტი სხვათაშორისი საქმე იყო, რომ მას თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი არ დაუმჩნევია ჩვენს მწერლობაში... ნათელი შეიქმნა აგრეთვე, რომ „მხნე მეომარი“ და „დიდი სარდალი“ რუსეთის თვითმპყრობელობის ხიშტებითა და ზარბაზნებით გზას უკაფავდა ამავე თვითმპყრობელობის იმპერიალისტურ-კოლონიალურ პოლიტიკას კავკასიაში, ხოლო „გამოჩენილი მმართ-

ველი“ სისხლით, სახრჩობელათი და ციხეებით ამტკიცებდა ბიუროკრატიულ-პოლიციურ წყობილებას ჩვენში“*.

ჩვენ ვრცლად გავიხსენეთ ს. ხუნდაძის ეს ცნობილი აზრი, ერთგვარი ცივი, „გაშიშვლებული სიმართლე“, რაც გამორიცხავს გრ. ორბელიანის თანადროული ეპოქისა და თვით პოეტის მაღალნიჭიერი შემოქმედების სწორ გაგებას.

კ. აბაშიძე გრ. ორბელიანს ბედნიერი მწერალი უწოდა: პირადადაც უფრო დაკმაყოფილებული იყო და ერის სიყვარულიც მოიპოვაო. მისი გარდაცვალებით გამოწვეულ საყოველთაო გამოფხიზლებასა და პატივისცემას იმით ხსნიდა, რომ ხანგრძლივი ტანჯვისა და მძიმე ძილის შემდეგ ხალხმა გამოიღვიძა და „დაანახვა ყველას თავისი გაერთიანება... ამით ქართველს ერს უნდოდა ერთი აზრი გამოეთქვა, ის, რომ თავის მოღვაწეს ერი პატივსა სცემს, ერის ძალის მაჩვენებელს ღირსეულად აფასებს, თავისი თავის პატრონობისა და თავისი შინაური საქმეების მოწესრიგების უნარი აქვს“**. ამ გონივრულ დასკვნებს მოსდევს კ. აბაშიძის ცნობილი ტენდენციური, გააზრებული მსჯელობა გრ. ორბელიანის ადგილზე ქართული ლიტერატურის ისტორიაში: ბედი ჰქონდა, რომ ასეთ დროს მოკვდა, როცა პრესამ და კრიტიკამ მას გადამეტებული მნიშვნელობა მისცეს და რუსთაველს ამოუყენეს გვერდით, თორემ ნ. ბარათაშვილის თანამედროვე ასეთ ადგილს ვერ დაიჭერდაო.

კ. აბაშიძე უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს საერთოდ გრ. ორბელიანის ლირიკას, აღიარებს მის პოეტურ ძალას, რაც უმთავრესად სიყვარულის, მეგობრობის, ბუნების აღწერის ოსტატობაში გამოიხატა, მაგრამ ვერ ამჩნევს მის შემოქმედებაში საზოგადოებრივ პათოსს, ერის ტკივილების ჭეშმარიტ გამოხატვას, ფილოსოფიური ლირიკის მნიშვნელოვან მოტივებს და ამას საერთოდ ქართველთა ბუნებრივი უდარდელობით ხსნის.

„მუშა ბოქულაძე“, რაც 14 წლით გვიან დაიწერა ილიას „მუშაზე“, კ. აბაშიძეს მიაჩნია სუსტ მიბაძვად, გრძელ ტირადად***.

---

* ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941, გვ. 8.

** „მოამბე“, 1898, № 5, II განყ., გვ. 42 (იხ. აგრეთვე კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962, გვ. 43).

*** „დროება“, 1898, № 5, გვ. 67 (იხ. მისივე ეტიუდები, გვ. 59).

კ. აბაშიძემ „მუშა ბოქულაძე“ გრ. ორბელიანის შემოქმედები. სათვის უცხო, შეუსაბამო, განზე მდგომ, შემთხვევით ნაწარმოებად მიიჩნია, ზეგავლენებით დაწერილად. ილია ჭავჭავაძემ, პირიქით, სწორად გაიგო ეს ლექსი: „ახალ მიმართულების ტალღებისაგან გატაცებულმა გრ. ორბელიანმაც მიაგნო ამ ღრმად გულში დამალულს სიმწარით ოხვრას მუშა-კაცისას, ამ მალვით მოწმენდილს თვალში მორეულ ცრემლსა“*.

კ. აბაშიძე ყარაჩოღლური ციკლის ლექსებსაც უკრიტიკებს გრ. ორბელიანს: თითქოს უბრალო ადამიანებს არ ჰქონდეთ უნარი ამაღლებული სიყვარულისაო! მეორე მხრივ, ხორციელი სიყვარულის ამ ძეგლებში კრიტიკოსი ხედავს ახალი, რეალისტური მიმართულების დამკვიდრების ცდას.

საერთოდ, კ. აბაშიძე ქართული მწერლობის ევოლუციაში გრ. ორბელიანის დიდ დამსახურებად იმას თვლის, რომ „პირველად მან შემოიტანა ჩვენს სალირიკო პოეზიაში ბუნების აღწერილობა, ბუნების სურათთა განცხოველება, ამ სურათისათვის სულის ჩადგმა... მან შეიტანა ახალი აზრი სიყვარულზე, მიაქცია ყურადღება ამ გრძნობის იდეალურ მხარეს... ალ. ჭავჭავაძეზე უფრო დიდი ყურადღება მიაქცია ქართველი ერის დარდსა და მწუხარებას... და ბოლოს მან მისცა სათავე ჩვენს რეალურ ლირიკას...“**

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ვხედავთ, მუქ ფერებში გვიხატავს გრ. ორბელიანის პიროვნებას მისი ნიჭის საერთოდ დიდი შემფასებელი კ. აბაშიძე. „მისი ბიოგრაფია არავითარ ნათელს არ ჰფენს მის მწერლობას... რა უნდა იყოს საერთო იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელმაც, რაც არ უნდა ვთქვათ, ძალიან მძლავრად ააღეღრა პატრიოტული თავისი ჩანგი, და იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელსაც დედამიწაზედ... ერთადერთ წერტილად თავისი ოჯახობრივი ინტერესი მიაჩნდა და ზურაბიანთ გვარეულობის დაცემას და საქართველოს დალუპვას ერთმანეთს უკავშირებდა... რომელმაც სხვადასხვა მხარის მმართველობის დროს დრაკონის კანონები შემოიღო?“***

* ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941, გვ. 94.

** კ. აბაშიძე, ეტიუდები, გვ. 61.

*** იქვე, გვ. 40.

ერთგვარად სხვა კუთხით, მაგრამ პრინციპულად იმავე პოზიციებიდან ესხმის თავს პოეტს დიზრაელი. დიზრაელის სტატია „ჩვენი მწერლები და მწერლობა“ გამოქვეყნდა „მოგზაურში“. ქვეყნის დაცემული მდგომარეობის აღდგენას ითხოვდა მწერლობისაგან დიზრაელი და ამ საქმეში ვერ ხედავდა ვერც გრ. ორბელიანის, ვერც თვით ნ. ბარათაშვილისა და ა. პუშკინის ნამდვილ ღვაწლს. პუშკინსა და მისი ლექსის მთარგმნელს გრ. ორბელიანს იმას საყვედურობდა, რომ ვერ გაეგოთ თავიანთი დანიშნულება, როცა ამბობდნენ: „სიცოცხლევ ფუჭო, უბრალოვ ნიჭო, რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა?“ „მოდი და უწოდე ამგვარს პოეტებს ხალხის წინამძღოლი!“ — ამბობს კრიტიკოსი. იგი გმობს ჩვენს პოეტს აგრეთვე „ხალხთა ამომჭყლეტელების“ ქებისა და „შთამომავლობის წაქეზებისათვის ბარბაროსულ მოქმედებაზე“, ამასთან იხსენიებს მის სიტყვებს:

განწყლეს არეზი, თავრიზი, ყაფლანჭუ გადაიარეს,
და მტევრი გაოხრებისა, ღვთის რისხვად ყაზმინს თავს დასცეს!

პოეტი, რომელიც ხალხზე მაღლა უნდა იდგეს, ასეთი ხოცვა-ჟლეტისთვის ადიდებს გმირებსო! — წყრება დიზრაელი.

არც ის მშვენიერი სიტყვები მიაჩნია საქმით გამართლებულად, რომელთაც გრ. ორბელიანი იმავე „სადღეგრძელოში“ ამბობს:. „ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული“...

გამძვინვარებული კრიტიკოსი თავს ესხმის პოეტს, დიდის სისასტიკით ეპყრობა მის შემოქმედებას, მის ყოველ ფრაზას ცხრილავს, ეძებს წინააღმდეგობებს მის „ლიტონ სიტყვაში“ და საერთოდ უაზრობად თვლის მის გამოცხადებას ხალხის წინამძღოლად, ხოლო მისი ურვა-გოდება წარსულზე საზიანოდაც მიაჩნია და არ ფარავს, რომ „დიდი და დიდი ვნება მოაქვს“ მისი ხალხისათვის, რომელიც „თაყვანს სცემს მის ნაწერსა და ნაბეჭდსა, როგორც წმიდათა-წმიდასა“, ამგვარი სისასტიკე პოეტის მიმართ ნაკარნახევია იმდროინდელი ვითარებითა და საზოგადოებრივი განწყობილებით. კრიტიკოსის აზრი საინტერესოა უფრო იმის აღიარებით, რომ ხალხი გრ. ორბელიანის ნაწერებს ისე კითხულობდა, როგორც წმინდათა-წმინდას. ხალხი კი არასოდეს არ ცდება!

საყურადღებო აზრი გამოთქვა „მუშა ბოქულაძეზე“ დიზრაელმა: „მეტათ შემკობილს ლექსით აღწერს პოეტი მუშის ყოფა-ცხოვრებასა, მაგრამ ისევ ძველი უბედურებაა: პოეტი ერთს სიტყვასაც არ ეუბნება მკითხველსა იმ დასაბამითს მიზეზებზე, რომლებისგანაც შთავარდნილა მუშა უბედურს ყოფაში და არც იმ საშუალებებზე, რომლებსაც სწრაფათ შეეძლო გამოეყვანა იგი ამ უბედურ მდგომარეობიდან“*.

მთელი თავისი მოკრძალების მიუხედავად თვით ი. მეუნარგია ხმას იმაღლებს და მრავალი საჭირბოროტო თემის უყურადღებოდ მიტოვებას საყვედურობს საყვარელ პოეტს: „მაგრამ, ღმერთო, შეგცოდე, და, ნუთუ ამ საყოველყამო თემას გარდა, ჩვენმა დიდებულმა პოეტმა სხვა ვერა ჰპოვა რა ჩვენს ცხოვრებაში?.. სხვა უბრალო მწერალზე რომ ყოფილიყო სჯა, ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებოდით იმითაც, რაც მოგვცა იმან, მაგრამ როდესაც სჯა ისეთ კაცზეა, რომელიც, ჩემის ფიქრით, განხორციელებაა ჩვენი ნაციონალური გენიისა, ჩვენი ერის სიყვარული ნებას არ მაძლევს, გულნაკლულად და ნაღვლიანად არ ვიკითხო: ნუთუ ყველაფერი, რასაც ქართული სახელი ჰქვიან, ასე ნაკლული უნდა იყოს, ნუთუ არ შეიძლება აგ საუკუნო თემის გარდა სხვა თემაზედაც ეწერა ქართველთა პოეტს? სად არის მისს ლექსში სხვა გრძნობა, სხვა სულიერი ზრუნვა, გარდა სიყვარულისა — ქალის სიყვარულისა და მამულის სიყვარულისა? სად არის ჭმუნვა, კაეშანი, ოხვრა გულისა, ოცნება, იმედი, სასოება, სასოწარკვეთილება, სათნოება და სხვა ფართოდ-ფართოდ მოზღვავებული საკაცობრიო კითხვები, სულ ყველაფერი, რაც შეიქმს დიდ პოეტსა, რაც ჩვენ გვინახავს გიოტეს, ბაირონის, შილერის, პუშკინის და სხვათა თხზულებებში? შორს ჩვენგან აზრი, გავკიცხოთ პოეტი, რატომ არ შეეხო იგი პრაქტიკულ კითხვებს!“**

საერთოდ უდავოდ სწორსა და საჭირბოროტო ამ კითხვაში მხოლოდ ის საგნები არაა დასახელებული სწორად, რომელთა ფართოდ ასახვაც ნამდვილად მოეთხოვებოდა ეგზომ დიდ პოეტურ ფიგურას. სახელდობრ: ჭმუნვა, დარდი, კაეშანი და მისთანები ზედმი-

---

* „მოგზაური“, 1904, № 7—8.

** ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, 1954, გვ. 184—185.

წევნით უხვადაა მოცემული იმაში, რაც გრ. ორბელიანმა დაწერა. დააკლდა უფრო ფართო სოციალური პრობლემების დასმა და გადაწყვეტა, უფრო მეტი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობის დატოვება, რასაც უთუოდ გააკეთებდნენ კიდეც ჩვენი მწერლები, რომ ევროპის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შუაგულში ეტრიალათ აქ ჩამოთვლილი მწერლების მსგავსად,— იქ, სადაც მწერლობა პროფესიაც იყო და მოწოდებაც და არა მხოლოდ ტვირთი და თავისუფალი დროის საქმე, როგორც ჩვენს სინამდვილეში გახლდათ. ამ პირობებში ისიც უნდა გვხიბლავდეს, რაც მოგვცეს ადამიანებმა, რომელთაც სძლიეს დროისა და ადგილის ასეთ შეზღუდულობათ და მაინც საკაცობრიო იდეალებამღე ამაღლდნენ.

პოეტისაგან მოითხოვდნენ მეტ ცხოვრებისეულობას, მეტ კონკრეტულობას, ეს გასაგებია. მაგრამ დაუშვებელი მეთოდით აქუცმაცებდნენ მის ყოველ სიტყვას. პოეზია მათემატიკა როდია, რომ ყველგან და ყოველთვის პრაქტიკულ, კონკრეტულ ვითარებას ასაბავდეს. ბუნების სიდიადე, სიყვარული თუ პატრიოტიზმი, პოეზიის მარადიული თემები, ზოგადად ისმებოდა და წყდებოდა ხოლმე ყველა დროისა და ხალხის დიდ პოეზიაში, და თუ საქმე პოლიტიკურ სატირასთან არა გვაქვს, პოეტს ვერ ვაიძულებთ მეტისმეტად „დაკონკრეტებას“ ლირიკული სიტყვაცეებისას.

გრ. ორბელიანის — პოეტისა და მეომრის — გაორება ადრევე ეცეულა ჩვენი კრიტიკის მსჯელობის საგნად.

კიტა აბაშიძე ულმობელია:

„აბა მიბრძანეთ ერთი, რა აქვთ საერთო იმ პოეტს, რომლის ქნარიც ნაზი და მომხიბლავი მელოდიებით აღსავსე ჰანგებს გვასმენს, და იმ სასტიკ, გამხეცებულ მეომარს შორის, რომელმაც სხვადასხვა მხარის მმართველობის დროს „დრაკონის კანონები“ შემოიღო?“ არც ქვემოთ არბილებს ტონს ჩვენი კრიტიკოსი, რისხვას ატეხს „მაღალ გრძნობიერ მგოსანსა და „სისხლისმსმელ მეომარს, რომელსაც თავისი სიმხეცით თავი მოსწონს“*.

სწორად შენიშნავენ პროფ. აპ. მახარაძე და სხვა მკვლევარები,

* კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, გვ. 40.

რომ კ. აბაშიძე დიდი პოეტის მიმართ მთლად სწორი არ არის, რომ მთელი უსწორმასწორო ცხოვრების ხაზის მიუხედავად, ის, საერთოდ, გრძნობიერი პოეტი უფროა, ვიდრე „გაშმაგებული სისხლისმსმელი“.

სწორედ ტენდენციური ან დიდი ახირება უნდა იყოს, რომ მდარე, უსუსტესი, მანკიერი ნაწარმოები უწოდონ ერთეულებმა ისეთ თხზულებას, რომლის ყოველი სტრიქონი გონებამახვილობის, სიყვარულის, აზრისა და გრძნობის სხივითაა გამთბარი, რაც ხალხმა მიიღო და შეიყვარა. ასეთი თავდასხმა მრავალ ქმნილებას განუცდია ისტორიაში და მას ვერც „სადღეგრძელო“ ასცდა.

კიტა აბაშიძე „სადღეგრძელოს“ ღირსებას მხოლოდ მის ცალკეულ ადგილებში ხედავს. „საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს „სადღეგრძელო“, დღემდის ჩვენის ლიტერატურის საუკეთესო ლექსად აღსარებული, უნდა მივიჩნიოთ უსუსტესად... ორი-სამი ადგილი კარგია, მაგრამ ეს ვერ გამოისყიდის ამ ოხზულების ნაკლულოვანებას. უხერხულია ფორმით, უხერხულია მხატვრულის მხრითაც. არ არის პოემა, რადგან არაკი არა აქვს; არ არის სალირიკო ლექსი, რადგან ამ გვარის თვისება არის სიმარტივე, მოკლე თქმულება და მკვეთრად გამოხატული აზრი, ეს კი მეტად გაჭიანურებულია“.

ეს დახასიათება დამწყები კრიტიკოსის ამაო გულმოდგინების ნაყოფს ჰგავს, ზოგადი, პრეტენციოზული, მენტორული ტონით რომ „ახარისხებს“, განაჩენს უწერს და ჯვარს უსვამს უკვდავ ქმნილებას, რაც ხალხმა სიყვარულით მიიღო.

ორბელიანის „სადღეგრძელოს“ გაბიაბრუება რომ კიტა აბაშიძის მორიგი კურიოზული გამოსვლა იყო, ამაზე დღეს აღარავინ დავობს. რიტორიკა თუ პათეტიკა მხატვრული სიტყვის სრულიად ორგანული თვისებაა და მას მეტ-ნაკლებად მიმართავდნენ ისეთი გიგანტები, როგორიც იყვნენ: ოვიდიუსი, ჰორაციუსი, რუსთაველი, დანტე, შექსპირი, სერვანტესი... მთავარი „სადღეგრძელოში“ ნაწარმოების იდეა და მხატვრული ღირსებაა. „სადღეგრძელოს“ რიტორიკულ სტრიქონებში კი ჩაქსოვილია ისეთი აზრები, რომლებიც მხოლოდ დიდ შემოქმედს თუ დასცდება. „თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდებეს ლაშქარი...“ სად არის აქ მშრალი რიტორიკა? სავსებით სწორად შენიშნავდა გვიან ვ. კოტეტიშვილი, რომ ამ სტრი-

ქონების წაკითხვისას თითქოს თვალწინ ჰომეროსის გმირები წარმოგვიდგებიან, ოლიმპოს მთაზე თავმოყრილნიო.

ჩვენ განვიხილეთ ორი ძირითადი საპირისპირო აზრი გრ. ორბელიანის როგორც პოეტისა და მოქალაქის შესახებ.

ეს ორი შეხედულება ორი უკიდურესობაა. არც ბიოგრაფიის უარყოფის უფლება გვაქვს და არც იმ პოეტური შემოქმედების ღირებულებისა, რაც ამ ბიოგრაფიის შედეგია, იმ პოეტური შემოქმედებისა, რამაც „პოეზიის მეუფის“ სახელი მოუხვეჭა ხალხის საყვარელ მგოსანს, დაბოლოს, მათი შინაგანი კავშირის გაუთვალისწინებლად ვერც პოეტის შემოქმედებასა და ბიოგრაფიას შევიცნობთ სწორად.

გრ. ორბელიანს ნამდვილი, ღირსეული და დამსახურებული ადგილი მიუჩინეს ჩვენს მწერლობაში „შვილთა“ ბანაკის მეთაურებმა, რომელთაც ერთ დროს „ხარაბუზა ღენერალი“ ასე დაუნდობლად ბომბავდა.

ილიამ გრ. ორბელიანს ქართული სიტყვიერების მეუფე უწოდა და ეს მაღალი შეფასება დაედო საბოლოოდ საფუძვლად მისი ადგილის განსაზღვრას ჩვენს მწერლობაში. თავისი ღრმააზროვანი და მშვენიერი ლექსებით ის, მართლაც, ჩვენი პოეზიის ერთ-ერთი სხივოსანი მწვერვალი, მეუფეთაგანია.

დიდმა ილიამ მაღალი შეფასება მისცა „მუშა ბოქულაძეს“, ჩათვალა ის „ფხიზელ პოეტურ ალღოს“ ნაყოფად. „ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ ძდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულისთქმა, რომ ამ მდაბიოთა გული იგივ ზღვაა, სადა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა“*.

ნიკ. ბარათაშვილთან ერთად „აღმობრწყინებულად“ და „ჩვენი თანამედროვე ქართული სიტყვიერების მედროშედ“ რაცხდა გრ. ორბელიანს ნიკ. ყიფიანიც**.

ქართველი ხალხის მეგობრებს, ლაისტსა და ბოდენშტედტსაც თავისი საუკუნის ერთ გამოჩენილ პოეტად მიაჩნდათ იგი.

---

* ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 256.

** „დროება“, 1883, № 87.

აკაკი, დაუნდობელი მეხთამტეხი, თავის დროზე შეუბრალებლად ესხმოდა თავს „საშინლად დასჯილი გვარის მედროშეს“, რომელსაც „იმდენად სწამდა საქართველო, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის“. მართლაც, დიდი გადაჭარბების მიუხედავად, აქ არის სიმართლის მცირე ნაწილი: საქართველო და ჯამბაკურიანები ასე თუ ისე ჩვენი პოეტი-სარდლისათვის სინონიმები იყო და მათი დაცემა ერთნაირად სამწუხარო, გულსაკლავი და საგოდებელი შეიქმნა მისთვის.

აკ. წერეთელმა თავის ცნობილ სიტყვაში ჯეროვანი შეფასება მისცა განსვენებულ პოეტს, და გადამეტებული ქებაც შეცდომად მიიჩნია. მისი თქმით, „გრ. ორბელიანის ბრწყინვალე სახელს თვით სიკვდილიც გაუდიდებია, გაუმრავალკეცებია და გადაუქცევია რაღაც უჩვეულო მოვლინებად“. მისი ნიჭისა და ფართო საქმიანობის გამოხატულებად ჩათვალა ის ამბავი, რომ ცხედარს მთელი საქართველო დასტიროდა. თანაც მისა და გრ. ორბელიანის ცხარე ლიტერატურულ პაექრობას მისთვის დამახასიათებელი მოსწრებულობით მოუძებნა გამართლება, რუსთაველის აფორიზმის დამოწმებით: „მცირე რამე სამდურავი მოყვარეთა წესიაო“. საერთოდ კი იმავე საერთო საქმის მსახურად თვლიდა, რასაც თვითონ ემსახურებოდა. „გრ. ორბელიანი იყო კავშირი ძველისა და ახალი თაობის შორის, სხვადასხვა დგმის შემაერთებელი ხიდი“, რომელსაც ყოველი ქართველის გულში ეძლევა სამარე.

1910 წელს საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მეათე ნომერში ალ. ხახანაშვილი ათავსებს სტატიას „ცხოვრება და მოღვაწეობა გრ. ორბელიანისა“. მოკლედ და ნათლად დაწერილ ამ წერილში ხახანაშვილი ხაზს უსვამს გრ. ორბელიანის დიდ მამულიშვილობას, მის მაღალ ნიჭს და ადამიანური განცდების, პატრიოტული სულისკვეთებისა და ბუნების სურათების გადმოცემისას განსაკუთრებით აღნიშნავს პოეტის მაღალ მხატვრულ გემოვნებასა და ოსტატობას.

ა. ხახანაშვილის დახასიათებით, „გრ. ორბელიანის ლექსებში ჩაწნულია როგორც დამწერის კერძო ცხოვრების ჩარხის ტრიალი, აგრეთვე საზოგადოებრივის ცხოვრების მიმდინარეობა. ახალგაზრდობაში პოეტი დამღერის უფრო თავისს გულისცემას, რომანტიულის ფერებით შეზავებულს. შემდეგ ნაწერებში კი სჭარბობს სა-

ერთო პატრიოტული მიდრეკილება"*. დიდ მნიშვნელობას აძლევს პროფესორი გრ. ორბელიანის ოსტატობას ბუნების სურათების დახატვისას, „მის შეუდარებელ ტალანტს" ამ ხელოვნებაში.

„უფრო მეტი სამსახური გაუწია გრ. ორბელიანმა ჩვენს მწერლობას მით, რომ ბუნების მხრივ აღძრული შთაბეჭდილება შემოსა სულის მოძრაობის ბეჭედით, დააახლოვა იგინი და დაამკვიდრა მხატვრობითი დასურათება ჩვენის კეკლუცის ქვეყნისა"**.

ალ. ხახანაშვილის აზრით, „მუშა ბოქულაძე" გრ. ორბელიანმა ილიას „მუშის" უშუალო ზეგავლენით დაწერა.

ალ. ხახანაშვილი „სადღეგრძელოს" თვლიდა პოეტის საუკეთესო ნაწარმოებად***.

ჩვენს დროში გრ. ორბელიანის შემოქმედებას ახალი შუქი მოჰფინა საბჭოთა ლიტერატურულმა კრიტიკამ. ილიას და აკაკის კარდინალურ შეხედულებათა საფუძველზე შემუშავდა საბოლოო სწორი და საღი მსჯავრი პოეტის შემოქმედებასა და პიროვნებაზე. ვ. კოტეტიშვილი, მიხ. ზანდუკელი, პ. ინგოროყვა, აკ. გაწერელია, სოლ. ხუციშვილი, სოლ. ცაიშვილი, აპ. მახარაძე, დ. გამეზარდაშვილი, ჯ. ჭუმბურიძე და სხვა ცნობილი მკვლევარები გვაძლევენ დიდი რომანტიკოსის შემოქმედების ყოველმხრივ ანალიზს.

ვახტანგ კოტეტიშვილი გრ. ორბელიანს ჩრდილოეთისა და დასავლეთის გამოჩენილ პოეტებს ადარებს და წერს:

„გრ. ორბელიახი ისეთი პესიმისტიც კი არ არის, როგორც ბაირონი თუ გოეთე, ჰეინე თუ შელლი, ლამარტინი თუ ლეოპარდი, იბსენი თუ ტოლსტოი, რომელთ „ინტუიტიური პესიმიზმიც" მოკლებულია ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის ხასიათს და წარმოადგენს მხოლოდ სუბიექტური უკმაყოფილების გრძნობას"****.

გრ. ორბელიანის მუხამბაზების კოლორიტულობაზე ვ. კოტეტიშვილი ამომწურავად შენიშნავდა: „აქ აზიის ფერების ზეიმით, მთელი აღმოსავლეთის ჰიპერბოლიურობა, ყოველი შედარება სპარ-

---

* „ნაკადული", 1910, № 10, გვ. 45—46.

** იქვე. გვ. 47.

*** იქვე, გვ. 48.

**** ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია XIX საუკ., წიგნი პირველი, 1965, გვ. 89.

სული მინიატურის მსგავსია და ქართული სიხარული — გაშლილი და ხელაღებითი"*.

ალ. ხახანაშვილი, აკ. გაწერელია და ზოგი სხვა მკვლევარი ემყარებიან რა ავტორის განცხადებას, „სადღეგრძელოს" ჟუკოვსკის მიბაძვად თვლიან. ვ. კოტეტიშვილის აზრით კი, აქ „მიბაძვაზე ლაპარაკი შეუძლებელია", რადგან ადგილი აქვს მხოლოდ ფორმალურ მსგავსებას. ასეთი წყობა ლექსისა მრავალგზის გამოუყენებიათ ინგლისურ, ფრანგულ თუ ესპანურ ლიტერატურაში. მართლაც, მიბაძვა აქ მხოლოდ ფორმის მსგავსებით განისაზღვრება, რაც არ გვაძლევს უფლებას რაიმე ზეგავლენაზე ვილაპარაკოთ.

ვ. კოტეტიშვილის აზრით, „ეპიკურეულ პოეზიის წარმომადგენლის სახელი გრ. ორბელიანის შემოქმედებას უფრო შეეფერება, ვიდრე ალექსანდრე ჭავჭავაძისას, მართალია, გრ. ორბელიანიც ერთგვარად სევდის წარმომადგენელია, მაგრამ ალ. ჭავჭავაძესთან შედარებით, მას მეტი აქვს უდარდელი სიამოვნების ოაზისები"**.

გრ. ორბელიანის ნაწარმოებთა აღმოჩენასა და პოეტის ღვაწლის შეფასების საქმეში დიდი ამაგი მიუძღვის ცნობილ მკვლევარს პ. ინგოროყვას.

გრ. ორბელიანის მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები აღმოჩენილია კარგა მოგვიანებით, 1928 წელს, გ. გოზალიშვილისა და პ. ინგოროყვას მიერ, 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებულ იმ საარქივო მასალებში, რომლებიც შეადგენენ 29 ტომს და გადმოგზავნილი იყო ლენინგრადიდან თბილისში***. ეს მასალები, ვინმე სუმბათოვის მიერ საეჭვოდ მიჩნეული, გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის ჰქონია ხელთ, როცა პოეტი დაჰკითხა.

1928 წელს აღმოჩენილ ხელნაწერებში გამომზეურებულ იქნა პოეტის ლექსები: „იარალის", „მისი სახელი კიცხვითა", „ზამთრისა ქარი გრიალებს", „ან-მდი,", „ჰე, იერიავ", „გულნი იერთა" და სხვ. მრ., აგრეთვე „მგზავრობა ჩემი", ნაწყვეტები დღიურიდან,

---

* ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია XIX საუკ., წიგნი პირველი, 1965, გვ. 106.

** იქვე, გვ. 90.

*** იხ. პ. ინგოროყვას სტატია „გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები", „ჭართ. მწერლობა", 1928, № 6—7, გვ. 228—267.

ფრაგმენტები, თარგმანები, სულ ოცდაათამდე ნაწარმოები. ამ აღმოჩენის მთავარი მნიშვნელობა ის იყო, რომ, პ. ინგოროყვას თქმით, „ამ ახალი მასალების ფონზე გრ. ორბელიანის მთელი შემოქმედება სრულიად ახალ გაშუქებას ღებულობს"*.

გრ. ორბელიანის შემოქმედების შესწავლის, მეტადრე მისი ნაწერების კატალოგიზაციის, პუბლიკაციის, ი. მეუნარგიას ბიოგრაფიულ-კრიტიკული შრომების გამოცემის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა მკვლევარმა სოლ. ცაიშვილმა (ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერების შესწავლა-გამოცემა და სხვ.).

ს. ცაიშვილის აზრით, გრ. ორბელიანის დაყენება ენის საკითხში პლ. იოსელიანის გვერდით „ყოვლად შეუძლებელია"**. ამ საკითხში ის ეკამათება აკ. გაწერელიას, რომელიც თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში მიუთითებდა პლ. იოსელიანისა და გრ. ორბელიანის თეორიულ დებულებათა კავშირზე 60—70-იან წლებში და სამართლიანად თვლიდა გრ. ორბელიანს არქაული პოზიციის დამცველად.

მართლაც, გრ. ორბელიანს არასოდეს არ დაუთმია თავისი პოზიცია ენის საკითხში და ეშყარებოდა პლ. იოსელიანის „გრამატიკას". მართალია, ერთგან ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!" ენასაც აქებს, ისევე როგორც პლ. იოსელიანიც აქებს გ. ერისთავის კომედიების უბრალო ენას, მაგრამ რა აზრისაც არ უნდა ყოფილიყვნენ თეორიულად, პრაქტიკული მოღვაწეობით და ძირითადი თეორიულ-პრინციპული ხაზითაც არც ერთს და არც მეორეს არ უღალატნიათ არქაული პოზიციებისათვის. პირიქით, სიცოცხლის ბოლო წლებში გრ. ორბელიანი კიდევ უფრო ართულებს ენას, მეტადრე კერძო წერილებში. თავის ცნობილ კრიტიკულ სტატიაშიც, გ. წერეთლის „კიკოლიკს" რომ უძღვნა, აკი გადაჭრით ეუბნება მკითხველს: „პლატონს რომ არ დაეწერა ღრამატიკა, არც ეს ჩემი სტატია დაიბეჭდებოდა თქვენს შესაწუხებლადო".

დ. გამეზარდაშვილი გრ. ორბელიანის ამ რეცენზიას „მამათა"

---

* პ. ინგოროყვას სტატია „გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები", „ქართ. მწერლობა", 1928, № 6—7, გვ. 243.

** ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები", 1954, იხ. შენიშვნები.

და „შვილთა“ ბრძოლის ბუნებრივ გაგრძელებად თვლის. და ენის საკითხი არ მიაჩნია აქ მთავარ საკითხად*.

აკ. გაწერელიამ პირველად აღნიშნა გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის პოეტიკის საერთო ნიშნები, მათი საზომების, ლექსიკის, სახეთა სისტემის მსგავსება, აგრეთვე მათი ბიოგრაფიის მრავალი საგულისხმო დეტალი და პოეტის შემოქმედების ამომწურავი დახასიათება მოგვცა.

გ. ქიქოძემ პოეტური საღებავებით შექმნა გრ. ორბელიანის თავისებური პორტრეტი — არისტოკრატი პოეტისა, რომელიც უბრალო ადამიანების განცდაზე ლაპარაკობს არა გულდახშული არისტოკრატისა და ბიუროკრატის ქედმაღლობით, არამედ იმ მხატვრის ენით, რომლისთვისაც ყველა ამქვეყნიურ სამეფოებზე მაღლა მაინც პოეტების რესპუბლიკა დგას, სადაც ღვინით ან უღვინოდ მთვრალ ლოპიანას, ბეჟანას და მირზაჯანას მეტი სამოქალაქო უფლებები აქვთ, ვიდრე ყველა გვირგვინოსან მეფეს და მათ ნიკრისის ქარებიან კარისკაცებს**. გრ. ორბელიანს ის თვლის უაღრესად კოლორიტულ რომანტიკოსად, რომელიც სიკვდილამდე დიდ ბავშვად დარჩა, ბრძენ ბარათაშვილთან შედარებით. ცხადია, ეს განსაზღვრა პირობითია და გარკვეულ გარემოებებს გულისხმობს, თორემ გრ. ორბელიანის სიდარბაისლე და სიბრძნეც ისე ღრმაა, რომ ბავშვის ცნებას სრულიად გამორიცხავს.

თავის მოზრდილ სტატიაში, რაც მოხსენებად წაიკითხა***, პროფ. კ. მეძველია აცხადებს, რომ „დღემდე გრ. ორბელიანის შესახებ ჩვენს კრიტიკაში მაინც ზოგიერთი მცდარი მოსაზრებაა გაბატონებული“ და პოეტის ნამდვილი სახე სრული სიცხადით კიდევ არაა წარმოდგენილი.

პირველ საკითხად აქ მიაჩნია გრ. ორბელიანის მონაწილეობა „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაში, და გაუმართლებელ დაბნეულობად თვლის იმ ამბავს, რომ მას „მამათა“ ბანაკის მეთაურადაც

---

* დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, 1965, გვ. 150.

** გ. ქიქოძე, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 89.

*** აკ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, 1946, VI, გვ. 19—48.

კი აცხადებდნენ". სათანადო ადგილზე ცხადვყოფთ, რომ ეს შეხედულება არ შეეფერება სიმართლეს.

პროფ. კ. მეძველია ენერგიულად ცდილობს გრ. ორბელიანის სახელის განთავისუფლებას ყოველგვარი ჩრდილისაგან, რაც, მისი აზრით, აკაკი წერეთლის თაოსნობითა და ზეგავლენით მიადგა წლების მანძილზე, ისე რომ, დაღესტნელთა სისხლის დაღვრასაც კი უპოვნა ერთგვარი მორალური თუ ისტორიული გამართლება: რომ ლეკების დაუსრულებელი თარეში არ შეწყვეტილა პოეტის დროსაც, XIX ს-ში, და აქ სოფრომ მგალობლიშვილის ცნობას იმოწმებს. ცხადია, ეს სოფრომ მგალობლიშვილის დაუმოწმებლადაც ცნობილია თუნდაც წინანდლის აოხრებით, და ერთ ლექსში ნ. ბარათაშვილიც აღტაცებული მიესალმება „დასამხობელი ჩეჩენის" მძლეველ გმირებს, მაგრამ პოეტის წერილების ცნობილი ადგილების გამართლება ამით ნაკლებად დამაჯერებელია, და ნაკლებ სარწმუნოა ისიც. რომ „ეს მაშინდელ საქართველოში სააუგო საქმედ არ იყო მიჩნეული", რომ „მაშინ სხვანაირად ფიქრობდნენ ქართველი მამულიშვილები". შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ, რომ ეს იყო ისტორიული სიტუაციითა და პოეტ-სარდლის სამსახურებრივი მოვალეობით გაპირობებული ამბავი, რასაც თან პირადული და ძველი გვაროვნული და პატრიოტული გაბოროტებაც ერთვოდა.

დღეს საერთოდ მართებულად ვერ მივიჩნევთ პროფ. კ. მეძველიას განხილული სტატიის დასკვნებს, რომ გრ. ორბელიანი არ იყო „მამათა" ბანაკის მეთაური, არ ებრძოდა ახალ თაობას ენის საკითხში, რომ, საერთოდ, ექომაგებოდა გლეხობას, „გამოდის მშრომელი ხალხის დამცველად, „სასტიკად ილაშქრებს ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ"* და ა. შ.. გრ. ორბელიანს ეყოფა ის, რაც აქვს. დაუმსახურებელი პატივი არც პოეტს ესაჭიროება და არც მის პიროვნებას.

ცხადია, საქმის ნამდვილ ვითარებას წარმოგვიდგენს პროფ. დ. გამეზარდაშვილი, როდესაც წერს: „ი. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს შორის გაშლილმა პოლემიკამ ფართო ხასიათი მიიღო. ილიამ დაინახა, რომ გრ. ორბელიანი მას ეკამათებოდა ყველა იმ პირთა სა-

* ქუთაისის ინსტ. შრომები, 1946, VI, გვ. 30.

ხელით, რომლებიც თავიანთი აზროვნებითა და მოქმედებით „თერგდალეულებს“ ებრძოდნენ, ამიტომ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, როგორც მეთაური — მეთაურს“*. ცხადია ისიც, რომ გრ. ორბელიანი მამათა ბანაკის მეთაური ვერ გახდებოდა ერთბაშად 1871 წელს, როცა ილიას „გამოცანები“ წაიკითხა. არა, ის უკვე თავიდანვე იყო იმ შეხედულებათა მატარებელი და მოთავე, რომლითაც დაუპირისპირდა მამათა ბანაკი ახალი თაობის ენასა და თვალსაზრისს.

ცხადია, გრ. ორბელიანი, როგორც პოეტურ სამყაროს ერთერთი ბუმბერაზი, ჩხირკედელა კალმოსნებივით ვერ დაწვრილმანდებოდა და ხელაღებით ვერ უარყოფდა „შვილთა“ ყველა საქმეს.

საქმე ის არის, რომ „გრ. ორბელიანი იმავე მანძილით დაუახლოვდა ახალ თაობას, რა მანძილითაც დაშორდა ძველი თაობის აშკარად კონსერვატორულ ბანაკს“**. ამიტომაც უწოდა ილიამ ძველისა და ახლის შემაერთებელი ხიდი.

ეს გაგება დაედო ქვაკუთხედად გრ. ორბელიანის შეფასებას. რაც არ უნდა თქმულიყო და რაც არ უნდა ითქვას, გრ. ორბელიანი იყო და რჩება ქართული პოეზიის ერთ-ერთ ბუმბერაზად.

გრიგოლ ორბელიანის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი

გრ. ორბელიანის პოლიტიკური კრედო, მისი სოციალური მსოფლმხედველობა თითქოს სადავო არ უნდა ყოფილიყო. ძველი დიდგვაროვანი არისტოკრატიის უკანასკნელი მხცოვანი მოჰიკანი არასოდეს არ შერიგებია უაზნოთა და გლეხთა ამაღლებას, ეტრფოდა ძველ საქართველოს რომანტიკულ აჩრდილს, „თამარის დღეთა, დიდების დღეთა“ აღდგენაზე ოცნებობდა და პირად ცხოვრებაში ქედმაღლურად დაჰყურებდა იმას, რაც პოეზიაში კიდეც აღიარა, როგორც ჰუმანურად მოაზროვნე პოეტმა. ახალგაზრდობის დროის

---

* დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, 1965, გვ. 148.

** იქვე, გვ. 153.

მეამბოხური სულიც დაცხრა და შავ ბედს შერიგებული მოხელე მხოლოდ დროგამოშვებით დრტვინავდა იმ უსამართლობაზე, რისი აღმოფხვრის იმედიც დიდი ხანია დაკარგა. ხედავს პატიოსან მშრომელთა სიბეჩავესაც, მაგრამ მხოლოდ ლოცვას ურჩევს და ბუნდოვნად ანიშნებს იმ სამეფოზე, სადაც ყველა თანასწორი იქნება — საიქიოზე.

ასეთია ზოგადად საქმის ვითარება გრ. ორბელიანის სოციალ-პოლიტიკურ აზრთა სამყაროში. მაგრამ ყველა ადამიანი ერთი გარკვეული საზომით ვერ გაიზომება. დიდი ადამიანების შემოქმედებით მემკვიდრეობაში მაინც აღმოჩნდება ხოლმე ბევრი სადავო და ძნელად გადასაჭრელი წვრილმანი, რაც გარე სამყაროდან მათს ცნობიერებაში, საგნების და მოვლენების ობიექტურ ასახვას სდევს ხოლმე თან. არც გრიგოლ ორბელიანის პოლიტიკური მრწამსი დარჩენილა დავისა და აზრთა სხვადასხვაობის გარეშე.

გრ. ორბელიანი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი იდეური მამოძრავებელია, მისი სული და გული, ასე მკვეთრად მხატვრული სიტყვის არც ერთი ოსტატის ნაწერებში არ ასახულა მაშინდელი მებრძოლი სულისკვეთება. მეამბოხური სული, რაც მის მაშინდელ საკუთარ ნაწერებსა და თარგმანებში ტრიალებს, სცილდება თვით ამ შედარებით ვიწრო შეთქმულების ფარგლებს და დიდი ეროვნული ტკივილების გამომხატველ მოვლენად იქცევა. ეს მებრძოლი სულისკვეთება ასახულა პოეტის ცნობილ ნაწერებში: „მისი სახელი კიცხვითა“, „იარალის“, „ჰე, ივერიავ“, „მგზავრობა ჩემი“, „სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტის ზოგი ადგილი.

იყო დრო, როცა „იარალის“ ავტორი რესპუბლიკაზე ოცნებობდა.

ნოვგოროდში პოეტი ფიქრებმა არ დააძინეს. „გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი ამათი მმართველობაო“, — აცხადებს გულახდილად და სულს უფორიაქებს ოცნება რესპუბლიკაზე. ძნელია „დღიურის“ ავტორის ცნობა გვიანდელი ინფანტერიის გენერალსა და მეფისნაცვალში.

ცნობილია, რომ შეთქმულების დღეებში წამოჭრილი მებრძოლ-კრიტიკული იდეები არც შეთქმულების დამარცხების შემდეგ მისცემიან დავიწყებას, და ამას მოწმობს ისეთი უკვდავი ქმნილება,

როგორიცაა ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, სადაც პოეტი სოლომონ მსაჯულის პირით მეფეს აყვედრის: ვინ მოგცა უფლება ერთ კაცს, რომ განაგო სხვათა მრავალთა ბედი და შენი სურვილით ატრიალო, დაუთრგუნო თავისუფლებაო! ასეთი მებრძოლი კილო ორბელიანთან 1832 წლის შემდეგ აღარ გვხვდება.

ჩვენ უმართებულოდ მიგვაჩნია პროფ. კ. მეძველიას რადიკალური განცხადება იმის თაობაზე, რომ გრ. ორბელიანი „მშრომელი გლეხობის თანამგრძნობი და 1861 წლის ისტორიული რეფორმის თანამოაზრე იყო“*. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ფაქტები და გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება სხვა რამეს ამტკიცებს. ჩვენი აზრით, უფრო სწორია პროფ. ს. ხუნდაძის დასკვნა, რომ პოეტისათვის „ბატონყმობის ინსტიტუტი წოდებათა ურთიერთობის ნორმალური ფორმა იყო“ და „გლეხი მემამულის საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენდა“**.

უნდა გავიზიაროთ პროფ. კ. მეძველიას აზრი, „რომ გრ. ორბელიანი ახალი ცხოვრების მიმდინარეობის შორეულ მაყურებლად არ დარჩენილა“ და „ცხოვრების ტალღათა ქროლვამ მისი პოეტური ჰანგიც შეარხია“, მაგრამ საეჭვოა, რომ დემოკრატიზმის პრინციპების კარნახით“ და „გვარიშვილობაზე მაღლა ადამიანის ინტერესების დაყენების“ უდავო შეგნებით დაეწერა „მუშა ბოქულაძე“. „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“ დიდებული ნათქვამია, მაგრამ ცალკეული გამოთქმებისა და თუნდაც დიდი პოეტური ბუნების, შინაგანი მოწოდების კარნახით თქმული აფორიზმებით ხშირად არ ხერხდება შემოქმედის ნამდვილი მრწამსის დადგენა. ასევე ვერ გამოდგება გრ. ორბელიანის „დემოკრატიზმის“ საბუთად მისი ერთი კერძო წერილის სიტყვები: „უბედურნი ჩვენნი გლეხები როგორ ჰსცხოვრებენ ამ საშინელს სიმშილში და რა ღონისძიება უპოვნეს მისთა ბატონებმა?“***, პურის ნატეხზე ღარიბ-ღატაკთა უფლება ასევე აღიარეს გენიალურმა შექსპირმა და სხვებმაც. ვერც გრ. ორბელიანის სიტყვები სხვა წერილიდან: „ამ დღით საქართველო მიიღებს ახალსა

---

* ქუთაისის ინსტ. შრომები, VI, 1946, გვ. 44.

** „მნათობი“, 1934, № 3, გვ. 128.

*** გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 164.

სახესა... ასი ათასი სული გამოდის საშინელის მდგომარეობიდან", ცხადია, ჩვენი სასიქადულო პოეტი არ ყოფილა არც კაცთმოძულე და არც ბნელეთის მოციქული. გლეხებიც ქართველი ხალხის ნაწილად მიაჩნდა და მათი ყოველი სიკეთე ერთგვარად გულს უხარებდა, მაგრამ არა იმდენად, რომ თავისი კლასის აგონია, თუნდაც თავისი ვალები დაევიწყებინა და უმსხვერპლოდ დათანხმებულიყო იმაზე, რასაც დრო ითხოვდა. კეთილშობილური მისწრაფებებისა და მამაშვილური სიტყვების უკან მუდამ იფარებოდა მაინც დიდი მოხელე და ფეოდალი, რომელიც ქვეყნის დემოკრატიზაციაზე ნაკლებად ფიქრობდა და სულაც არ აპირებდა, რომ თავზე დაესვა არა თუ ყმა გლეხები, არამედ წერეთლის ყოფილი ქვეშევრდომი „უჯიშო აზნაური" დიმიტრი ყიფიანი.

პოეტის ცხოვრების ქრონიკიდან ცნობილია, როგორ ეჭირა თავი გრ. ორბელიანს დიმ. ყიფიანის მარშლად არჩევის დროს. თვითონ ყიფიანის მოწმობით, ის „უზადოდ და პატიოსანი სულის პატრონად ითვლებოდა", მაგრამ მასავით გავლენიან ლევან მელქიშვილს უთხრა, პირდაპირ მივცეთ წინადადება, არ გაბედოს კენჭისყრაო. ამან ყიფიანი ისე გააღიზიანა, რომ თავისი პრინციპის გატანა გადაწყვიტა, თუმცა სულაც არ უფიქრია მარშლობაზე.

ქართველი პლუტარქის ი. მეუნარგიას მოწმობით, ის „ურჩთა და ორგულთა სჯიდა სასტიკად", იკლებდა მეამბოხეებს, თრგუნავდა ლეკებს, „ნელ-ნელა თავებს აჭრევინებდა" უაჩაღებს, ამშვიდებდა ხელოსნებს — ყოველივე ამისი უარყოფა არც სწორი იქნებოდა და არც საჭიროება მოითხოვს.

ცხადია, გრ. ორბელიანი ვერ იქნებოდა გლეხთა განთავისუფლების მომხრე და რაკი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ამაზე, 1863 წელს დაწერა და წარმოთქვა თავისი „ჰაზრი ბატონყმობის საქმეზე"*.

გრ. ორბელიანი ამ დოკუმენტშიაც ერთგვარი სიმპათიით ლაპარაკობს გლეხებზე, თითქოს გული შესტკივა კიდეც მათს ბედზე, მაგ-

---

* სიტყვა, წარმოთქმული 1863 წელს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე, გრ. ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული, „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1959, გვ. 304—308.

რამ ეს უფრო დიპლომატიური. მანევრია, ვიდრე ნამდვილი ქომაგობა, და საერთოდ გლეხობა ამ დიდ მებატონეს ებრალება ისევე, როგორც გლეხს ებრალება თავისი ხარი, მაგრამ უღელს კი არ ხსნის. ორბელიანის დამსახურება ხალხის წინაშე სხვაგან არის საძიებელი და არა გლეხების „შებრალებაში“.

„თავისი ჰაზრის“ ყველა თერთმეტი მუხლით პოეტი იმასვე ამტკიცებს და მოითხოვს, რასაც ქართველი ფეოდალები: რომ გლეხები უმიწოდ უნდა იქნან განთავისუფლებული და ძველებურად დარჩნენ ხიზნებად მებატონესთან, ბედის ამარა, ისე რომ მთავრობა არც კი ჩაერიოს საქმეში, „ვიდრემდის საჩივარი არ გამოჩნდეს ერთის მხრიდან“. ამ ღონისძიებას კიდევაც ასაბუთებს: გლეხებს რომ ნახევარი მიწა მოვუჭრათ მჭიდროდ დასახლებულ ქართულ სოფლებში, ეს მიწა არც გლეხს ეყოფა, არც ბატონი ჩავარდება კარგ დღეშიო.

ამრიგად, პოეზიაში და ხშირად პირად ცხოვრებაშიც საერთოდ ჰუმანური, დიდსულოვანი პოეტი, მეგობრობის, სიყვარულისა და ნიჭის თავისუფლების მქადაგებელი შემოქმედი თავისი პოლიტიკურ-სოციალური მრწამსით ბოლომდე რჩება ამაყ ფეოდალად, ბატონყმობის მომხრედ და მეფის მოსელედ, რასაც შელამაზება არ სჭირდება.

პროფ. კ. მეძველია თავის სტატიაში ამტკიცებს, რომ გრ. ორბელიანი, თუმცა „თერგდალეულებივით“ აქტიური მებრძოლი არ ყოფილა ბატონყმობის წინააღმდეგ, მაგრამ „მშრომელი გლეხების თანამგრძნობი და 1861 წლის ისტორიული რეფორმის გატარების თანამოზიარე იყო... ხშირად გამოდის მშრომელი ხალხის დამცველის როლში და სასტიკად ილაშქრებს ცარიზმის ბიუროკრატიული, უხეში აპარატის წინააღმდეგ და... გლეხობას ექომაგება*. პატივცემული პროფესორი მეტისმეტ გულმოდგინებას იჩენს და მიაწერს გრ. ორბელიანს იმას, რაც დიდ პოეტს არც უფიქრია და არც ესაჭიროება. პირიქით, გრ. ორბელიანი 1858 წლის 28 ივნისს, ბ. ჯორჯაძეს სწერდა, რომ ბატონყმობის გაუქმება რუსეთსა და საქართველოში, „დიახ, მძიმე, დიახ, დიდ, დიახ, თავში საცემ საქმედ“ მიაჩნდა, და უმჯობე-

* ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტ. შრომები, 1946, № VI, გვ. 19—48.

სად თვლიდა დავრჩენილიყავით რაც შეიძლება დიდხანს ასე „ჩვენთვის ჩვენის ძველებურის წესდებულებით“*. ასევე ხვდება ყმების განთავისუფლებას პოეტი-გენერალი, მონაწილე გურიის გლეხთა და თბილისელ ხელოსანთა „ბუნტის ჩაქრობისა, ჰარელთა დამშვიდების და სხვა ღონისძიებათა, ხოლო როცა ისტორიამ თავისი გაიტანა, სამაზრო კომიტეტების ნაცვლად თავადაზნაურთა სამაზრო კომიტეტების მოწვევა მოითხოვა. მან, როგორც მეფისნაცვალმა, განაცხადა: „თვით სიტყვა კომიტეტი ყველას აღიზიანებს, რადგან თავადაზნაურობის დაღუპვას ნიშნავსო“.

გრ. ორბელიანის როლზე თბილისის ამჭართა ამბოხების ჩაქრობაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. ი. მეუნარგია ამართლებდა მის საქციელს, რომ მისი ბრძანებით „ხალხს თოფი ესროლეს, და უფრო ის არ მოუწონა, რომ „სიტყვით მივიდა ამბოხებულ ხალხთან“. მისი „მეორე მეხოტბე“ კი (იგულისხმება ვახტანგ კოტეტიშვილი, — ე. მ.) როგორც სიმ. ხუნდაძე მიუთითებს, არ ცნობს გრ. ორბელიანის გარდაქმნას, და ამტკიცებს, რომ პოეტს აწუხებდა ამჭართა სისხლის დაღვრა, სინდისის ქენჯნას გრძნობდა, „დაძინებული ბედის გამღვიძებელს კვლავ ელოდა“, ამბოხებაზე ოცნებობდა ისევ**.

სიმ. ხუნდაძე სულ სხვა აზრისაა: „ეს ძირითადი ისტორიული შეცდომა არის. შეიძლება პოეტი მართლა სწუხდა ტფილისში დაღვრილი სისხლის გამო, — ამის არც ერთი დამამტკიცებელი დოკუმენტი არ არსებობს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი ამ აჯანყებას თანაუგრძნობდა. მეორე: გრ. ორბელიანი რომ „გარდაიქმნა“, ეს დაამტკიცა მისმა 50 წლის მოღვაწეობამ მეფის სამსახურში. განა მარტო მაშინ (1856 წ.) ჩაღრმო სისხლში მეამბოხენი? განა მისი ბრძანებითა და მეთაურობით არ ავსებდნენ ხევებსა და მინდვრებს აჯანყებულთა დაგლეჯილი სხეულებით, მოჭრილი თავებით, სისხლით — ავარიასა, ლეკეთსა, ზაქათალასა და გურიაში? ეს ხომ ისტორიული ფაქტებია?.. მესამე: რა საერთო ჰქონდა 1865 წ. აჯანყებას 1830—32 წლების შეთქმულებასთან? პირველში ქალაქის წვრილი ბურჟუაზია იბრძოდა მძიმე საგადასახადო კანონის წინააღმდეგ,

---

* გრ. ორბელიანის წერილები, 1937, ტ. II, გვ. 244.

** გრ. ორბელიანი, ლექსები, 1928, გვ. XVIII—XIX.

რომლის თანაავტორიც და დამცველიც გრ. ორბელიანი იყო; მეორეში საქართველოს მსხვილი ფეოდალური არისტოკრატია რუსეთის ბატონობის მოსასპობად... ერთს აჯანყებას მეორესთან არავითარი იდეურ-პოლიტიკური სოციალური ნათესაობა არა აქვს"*.

მართლაც, ზოგადად აჯანყებაზე ლაპარაკი, მისი არსის გაუთვალისწინებლად და მის მომხრედ გამოყვანა პიროვნებისა ყოველგვარ პირობებში — ისტორიული სინამდვილის დამახინჯება იქნებოდა.

ნ. ნიკოლაძე (რიონელი) „კოლოკოლში" წერდა, რომ ამბოხების დღეებში „ქართველმა ულტრასენტიმენტალისტმა პოეტმა და ზომიერად „მომეშჩანო" რუსმა მეფისნაცვალმა ორბელიანმა წაიბურტყუნა: ქალაქის საზოგადოებამ... გადასახადებზე უარი არ უნდა თქვასო"**.

უდავოა, თავიდან თავისუფლების ცისკარს ეძებდა პოეტი, ვერ შეგუებოდა იმ წყობილებას, სადაც ტლანქი „ძალა მსაჯულოვნობდა", ხანჯლით ჭრიდნენ სამართალს... მაგრამ თავისუფლების ცისკარი ვერ იხილა, ამის ნაცვლად გამეფდა „ლოთობა და ცემა-ტყეპა ჩინოვნიკებისა"; კომისიონერები, აფიცრებისა და სალდათებისაგან შეურაცხყოფა ცოლშვილებისა სოფლებში, ერმოლოვი და მისგან დაჩაგვრა თავადებისა...***.

ამ ტლანქ სინამდვილესთან ბრძოლით აღარაფერი გაეწყობოდა და ისევ დუმილი ამჯობინა, მაგრამ პოეტის ბიოგრაფიაში საკმაოდ ბევრი მასალა დავიმოწმეთ იმის საილუსტრაციოდ, რომ გულის სიღრმეში პოეტი გრძნობდა იმ ძალადობის ნაყოფის სიმწარეს, რასაც ახალგაზრდობის წლებში ასე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა თავია მეგობრებთან, თანამებრძოლებთან და თანამოკალმეებთან ერთად.

არა, პოეტი არ შერიგებია უსამართლობას, რაც ახალი უბედურების სახით დაატყდა მის ხალხს, მაგრამ მხოლოდ იდუმალი დრტვინვით თუ გამოამჟღავნებს უკმაყოფილებას მისდამი, ვისაც ასე ერთგულად ემსახურება. შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მისი უკმაყოფილება უფრო რელიეფურად ჩანს შეთქმულების ჩავარდ-

---

* ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941, გვ. 15.

** ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1, გვ. 200.

*** გრ. ორბელიანი, „საქართველო ჩემის დროისა", თხზ. სრული კრებული, 1959, გვ. 299.

ნამდე დაწერილ თხზულებებში, პროზასა და პოეზიაში, თარგმნილსა და საკუთარში, ლექსებსა და პოემაში.

მართალია, გრ. ორბელიანი ზოგჯერ სიბერეშიაც ილაშქრებს მეფის მოხელეების უკიდურესობათა წინააღმდეგ — უფრო პირად წერილებში ან საუბარში — და თითქოს დაჩაგრულ ხალხს ექომაგება კიდეც, ამხელს მექრთამეებს, გმობს ბიუროკრატიულ წესებს, მაგრამ ესაა ცალკეული ამოძახილები აშკარა უკუღმართობაზე, დიდი პოეტური ბუნების ყრუ პროტესტი ცარიზმის ბრმა თვითნებობის შედეგების წინააღმდეგ, და გულუბრყვილობა იქნებოდა ამის მიღება პოეტის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა ამოსავალ წერტილად.

ჰუმანიზმი თითქმის ყველა დროისა და ყველა კლასის წარმომადგენლის დიდი შემოქმედისთვისაა დამახასიათებელი, ასევე იგრძნობა ეს გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ოღონდ თავისი ჰუმანიზმის ქადაგებისას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი, არასოდეს არ სცილდება თავის კლასობრივ ჩარჩოებს.

გრ. ორბელიანი არც თავადებისა და გლეხების ერთუფლებიანობის მსურველია და არც თავადებისა და აზნაურების წოდებრივი გათანაბრებისა. სოციალ-პოლიტიკურ სფეროში ის რჩება დიდ ფეოდალად და მოხელედ. ქალაქის „ამაოებით სავსე" ცხოვრების ფერხულში ჩაბმული არისტოკრატი პოეტი ძმობას, სიყვარულსა და სიკეთეს ქადაგებს პოეზიაში, მაგრამ რაღაც ამის საპირისპიროს ემსახურება ადმინისტრაციულ სარბიელზე. ეს წინააღმდეგობაც არაერთხელ გამხდარა ალბათ პოეტის ამაო ოხვრის საგნად.

* * *

მესამე პერიოდში გრ. ორბელიანის პოეტურ შემოქმედებაში მძლავრად იჭრება ჰუმანიზმისა და მასთან სოციალური მოტივები, ადრე შედარებით მკრთალად გამოხატული მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე.

მისი მუშა ბოქულაძე შორს დგას პროტესტის გამოხატვის ცდისაგან, რაც ისტორიულად არაა სწორი XIX საუკ. მეორე ნახევ-

რის მშრომელი ხალხის საერთო განწყობილების წარმოსახვის თვალსაზრისით, მაგრამ მისი ადამიანური ბუნება და ტანჯვა კი რეალისტურ ფერებშია წარმოდგენილი.

ვინც გრ. ორბელიანის წმინდა რომანტიკულ ლირიკას გაეცნობა, მის ზოგად-განყენებულ ესკიზებსა და ბუნებისა თუ სიყვარულის აპოთეოზს, მას ერთი შეხედვით უჩვეულოდ მოეჩვენება ისეთ თემებზე შექმნილი ნაწარმოებები, როგორიცაა ბოქულაძე და ყარაჩოღელებზე დაწერილი ლექსები.

რას მიყურებ აგრე გაკვირვებითა,
ნუთუ სახე არ გინახავს მუშისა?
მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერჩაჟანგებული...

დიდი ფეოდალისაგან ვერც მოვითხოვდით, რომ ამაზე გულთბილად დაეხატა უბრალო მუშა, „ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა“. მისი შუბლი უდროოდ დაღარულა, წვერ-ულვაში კი, ნიშნად გულიდან მომდინარე ღრმა ტკივილებისა, უდროოდ გასთეთრებია.

კრიტიკამ ამ ლექსში ადრევე შენიშნა ზოგიერთი ხელოვნურობა. მუშა ბოქულაძე აცხადებს: „სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა დამავიწყდა, რაც ვიყავ ოდესმე!“ ცხადია, მუშის ეს განცხადება არ არის დამაჯერებელი: ასე იტყოდა რომელიმე ავანტურისტი ან ოდესღაც დიდ პატივში მყოფი ადამიანი, რომელსაც ბედი გაწყრომია. მუშა კი მუდამ იყო მუშა ტანჯული, ერთთავად შრომის უღელში გაბმული და სიმწრით ცხოვრებაში დაღდასმული. აკი თვითონვე ამბობს: რა მაქვს მოსაგონებელი, „თუ არ ჩემი ვაებითა ცხოვრებაო!“ არც ისაა მუშისთვის ახალი ამბავი, რომ „სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა“, არც საიათნოვას სიტყვებით აგრე გატაცება, თუმცა აშუღთა სიმღერებს, ცხადია, მუშაც სიამოვნებით მოისმენდა ხოლმე სანუგეშოდ და ნაღვლის გასაქარვებლად.

უდროოდ გათეთრება „ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა, დიდთა შრომათ, ღრმად ფიქრებთა მწარეთა, უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა“.

„ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკვნესის!“ — ამ მწარე წამოძახილით ხატავს პოეტი უფსკრულს მჩაგვრელთა და ჩაგრულთა შორის. „კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული“ მუშა ვერ ხედავს ნუგეშს აწმყოში და იმედს — მომავალში.

„მუშა ბოქულაძე“ 1877 წელს დაიწერა. ამის შემდეგ ორი-სამი მცირე ლირიკული ლექსის გარდა პოეტს საგულისხმო აღარაფერი დაუწერია. თითქოს ეს იყო უკანასკნელი ხარკი დროის წინაშე.

კ. აბაშიძე „მუშა ბოქულაძეს“ თვლის გამონაკლისად, თანაკ ყალბ ნაწარმოებად, რომელშიაც არ ჩანს ნამდვილი მუშის განცდები. მისი აზრით, „აქ ვერ არის სინამდვილე დაცული: მთელი ეს ტირადა გრ. ორბელიანის ნაწერია და არა მუშის, მუშას იშვიათად წარმოსცდება ეგრეთი აზრი...“

გამოდის, რომ „მუშა ბოქულაძე“ შემთხვევით დაწერილა, ისტორიული მიზეზების გარეშე და „შეუცნობლად“. ასეთი რამ კი არასოდეს ხდება გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. ეს ლექსი ნამდვილად არის გარკვეული ზეგავლენის შედეგი, ოღონდ არა მწიგნობრული, არამედ თვით ისტორიული სინამდვილის, ცხოვრების მაჯისცემისა. ჩვენი თვალსაზრისის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ძნელია დავადგინოთ უშუალო გენეტიკური კავშირი „მუშა ბოქულაძისა“ რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებთან. მისი მუშა სულიერად უფრო იტანჯება, თუმცა მძიმე ტვირთის ქვეშ მოდრეკა, ოფლით გასვრილ-მტვრიანი და კისერჩაჟანგებული მუშის ფიზიკური ტანჯვაც აშკარაა, და ზოგიერთი მწიგნობრული მომენტი ვერ შლის მაშვრალი, დაღდასმული მუშის მდგომარეობის ძირითადად რეალისტური, მართალი სურათის ქსოვილს. „მუშა ბოქულაძეს“ ილია ჭავჭავაძემ მოუძებნა ის ისტორიული გამართლება, რაიცა სწორად ხსნის „ახალი მიმართულებისაგან ატაცებული“ პოეტის მიერ ამ ხასიათის ნაწარმოების შექმნას.

მუშა დაბეჩავებული ადამიანია, მაგრამ ის არ იბრძვის, ვერ ხედავს პერსპექტივას. გრ. ორბელიანის კლასობრივი ტენდენცია ამით აშკარად იჩენს თავს „მუშა ბოქულაძეშიც“ და სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი.

მუშა ბოქულაძე თავს ესხმის განცხრომის ძეს, ნებიერად გაზრდილ მჩაგვრელს, ვისთვისაც არის შექმნილი ეს ქვეყანა. სწორედ

დიდი საკაცობრიო იდეალებით ამოძრავებული პოეტური ბუნება იყო საჭირო იმისათვის, რომ ასეთი რამ დაეწერა არისტოკრატ გენერალს, ზვიად ფეოდალს, რომელსაც არაერთხელ დაუშმინებია ამხედრებული ჩაგრულები. მოხუცმა პოეტმა ცხოველმყოფელი სხივი შეჰმატა თავის სახელს ამ ლექსის დაწერით და მოიპოვა სრული სიმპათია ხალხის უმრავლესი ნაწილისა.

საერთოდ, გრ. ორბელიანი უნუგეშო მუშის შავი ბედის მართლაც ამაღელვებელ სურათს ხატავს. საქმე ისე წარმოგვიდგება, თითქოს მუშა კაცადაც კი არ მიაჩნდეთ, ადამიანად, მისი გრძნობა-გონებაც საეჭვოდ ეჩვენებოდეთ.

რათ მიყურებ აგრე გაოცებული?
ნუთუ მართლა კაციც არა გგონივარ,
რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით,
არა მჭონდეს კეთილისა გრძნობაცა!..

ამის შემდეგ მუშა გულუბრყვილო საბუთებით ამტკიცებს, რომ ისიც ადამიანია, იგონებს ბავშვობას, თავის წარმავალ სიხარულს, რაც მხოლოდ სიზმარში ევლინება.

ბოლოს მუშა თავს ესხმის დიდკაცს, რომელიც ასეთი ეჭვითა თუ სიბრალულით დასცქერის წელში მოკეცილს:

განცხრომის ძევ, ნებიერად გაზრდილო,
ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!

დიახაც, მჩაგვრელს უღიმის გაზაფხული, მისთვის რონინებენ ლამაზი ქალები, მისთვის მიმოჰქრიან ზღვაში ხომალდები, მისთვისაა ხელოვნება, განძი, ისაა მეფე, და თვით მუშაც მისთვისაა შექმნილი, რომ ემსახუროს...

ეს არის და ეს! მთელი ეს დიდებული, ვრცელი ლექსი შეიცავს ბედშავი, დაღდასმული მუშის სევდიან მონოლოგს, მერე ისევ იკიდებს მძიმე ტვირთს, რათა იქ მოიხსნას, „სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი!“ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუშის გზა საიქიოში მიდის,

მიღმაქვეყნიური ნუგეშის ამარა რჩება. არავითარი აღშფოთებული დრტვინვა, არავითარი ბრძოლის სტიმული და საბრძოლო განწყობილება! არც იყო ეს მოსალოდნელი, რადგან, ვიმეორებთ, პოეტის ჰუმანიზმს არ შეუძლია გადალახოს კლასობრივი ჩარჩოები. გრ. ორბელიანისაგან ისიც საკმარისია, რომ ასე გულწრფელად შენიშნა და დაახასიათა მუშა ბოქულაძე, თანაც ისეთი თავისებური თბილი საღებავებით, რომ ჩაგრული ხალხის სიმპათია დაიმსახურა და გარდაცვალების შემდეგ მათგან აკი გვირგვინიც მიიღო ასეთი წარწერით: „შენ იცოდი, რომ არიან ღარიბნიც, არის სადმე სიმწარითა ცხოვრება“.

სოლ. ცაიშვილი უდავოდ სწორი იყო, როცა წერდა:

„მუშა ბოქულაძის“ ავტორმა უეჭველად განიცადა ჩვენი მესაჰოციანელების გავლენა. „მამათა“ ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმართულების მეთაურმა „შვილთა“ შემოტევის შემდეგ ბევრი რამ დათმო... შენიშნა, რომ სიმართლე „შვილებისაკენ“ იყო“*, და მათივე ზეგავლენით დაწერაო „მუშა ბოქულაძე“, დასძენს მკვლევარი.

ჩვენ კი ყოველივე ამას დავსძენთ, რომ გრ. ორბელიანმა ბოლოს ბევრი რამ დათმო, მაგრამ უმთავრესი მაინც არ დაუთმია, აქედან გამომდინარე, „მუშა ბოქულაძეც“ საბოლოოდ მაინც მოთმინებისაკენ, მონობისაკენ მომწოდებლად რჩება. გრ. ორბელიანი, რომელმაც შებრძოლი ლექსებით დაიწყო, ოხვრით ამთავრებს და საფლავში გოდებით ჩადის, რადგან ვერ იპოვნა გზა ნამდვილი თავისუფლებისა და ხსნისა, რაც მისთვის მეტად ზოგად და მეტად ბუნდოვან ცნებებად დარჩა ბოლომდე.

მაგრამ ასეა თუ ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ „ილია ჭავჭავაძის. აკაკი წერეთლის და რაფიელ ერისთავის ლექსებთან ერთად „მუშა ბოქულაძე“ მკითხველში აღვივებდა ზიზღსა და სიძულვილს უკუღმართი ცხოვრებისადმი. ამ ლექსის სახით გრ. ორბელიანის პოეტურ სახელს ახალი სხივი შეემატა“**.

---

* „ლიტერატურის მატიანე“, 1940, გვ. 296 (იხ. აგრეთვე ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1954, გვ. 4).

** ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1956, გვ. 160.

გრიგოლ ორბელიანი—პატრიოტი და თავისუფლების ტრფიალი

სიყრმით ჩემითგან გულს ცეცხლი
თავისუფლებას აღმენთო,
რა მესმა ძველთ დროთ ღიღინი,
ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო!
„ნალივაიკოს აღსარება“.

სამშობლო და თავისუფლება იმდენად ორგანულადაა შერწყმულ-შედუღაბებული პოეტის შემოქმედებაში, რომ მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელი ხდება. ეს გასაგებიცაა. რიცხვმცირე, მაგრამ საქმით ქებული ხალხი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე გარეშე მტერთაგან ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრებოდა, ჰამლეტის სიყვარულს მუდამ უკავშირებდა თავისუფლების ცნებას, და როგორც ერთ დროს ქრისტიანობა იყო მისი დროშა, ისე ახლა დამოუკიდებლობას დაუკავშირა ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ცეცხლიდან რჩება ფერფლი, ადამიანს რჩება სახელი, და ვისაც კეთილი სახელი არა რჩება, მისი ხსენება აღიგვება ამ სოფლით, როგორც ქარში ატაცებული ფერფლი გაშლილ ველზე. კეთილ სახელში კი ორბელიანი გულისხმობს უპირველეს ყოვლისა მამულისათვის თავდადებას, მისი დიდებისათვის თავის განწირვას, ქვეყნის სამსახურს. მისთვის ადამიანობის იდეალია „გმირი, მამულის მადიდი“.

„მამულისშვილობას გრ. ორბელიანმაც შთაჰბერა იგი ღონიერი სული, რომელმაც ჩვენს პოეზიას განსაკუთრებული მიმართულება დაუნიშნა“, — წერდა ილია*.

პატრიოტიზმს ჩვენში ეროვნულ სიქადულს ეძახდნენ და მას კაცობრიობის წარმატების საფუძვლად თვლიდნენ. პატრიოტიზმის, თავისი ერის, მშობლიური ენის, მწერლობის, ხელოვნების, ისტორიულად გამომუშავებული ზნე-ჩვეულებათა, წარსულისა და აწმყოს სიყვარულის გარეშე არც საერთო-საკაცობრიო იდეალების სამსახური და წარმატებაა შესაძლებელი. ამიტომაც ამ ნათელი გრძნო-

* ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 254.

ბის აპოთეოზი გრ. ორბელიანის შემოქმედებაში, მართლაც, ეროვნული სიქადულის ხასიათს ატარებს.

პოეტის პირველსავე ლექსში ჩანს, რომ ავტორი დიდ იმედს ამყარებდა ცხოვრებაზე, მერე მშობლის ხვევნა-ალერსის წილ ვაებას შეხვდა, გაუცრუვდა ყველა იმედი, უბედობის გრიგალმა დაჰქროლა, უმწეოდ დარჩა, „ხვალე არღა სწამს“, სამარეს ნატრობს... მოკლედ, ხდება იგივე დრამატული ამბავი, რაც ნ. ბარათაშვილმა ასე გენიალურად გამოხატა ლექსში „სულო ბოროტო“.

გრ. ორბელიანის შემოქმედებითი გაზაფხულის თავისებური მღელვარე, შეამბოხური სულისკვეთება აისახა პოემაში „ტოლუბაში“ („სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტი), ლექსებში „აღსარება“ (მიბაძვა რილეევისა) „ჰეი, ივერიავ“, „მისი სახელი კიცხვითა“ და „იარალის“, სამგზავრო ჩანაწერებში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“.

ამ თხზულებების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ჩვენს წინაშე დგას მგზნებარე პატრიოტი პოეტი, რომელიც მზადაა თავი დასდოს მამულისა და მისი თავისუფლებისათვის. რომანტიკულ ოხვრასა და წარსულის მწარე მოგონებებს შორის დაჰქრის რაღაც ბუნტარული სული, რომელიც გამოსავალს ეძებს — ეს გამოსავალი იყო 1832 წლის შეთქმულება. მისი მომზადების დღეთა განწყობილებაა ასახული ხსენებულ ნაწერებში.

შემთხვევითი არაა ახალგაზრდა გრ. ორბელიანის მიერ სათარგმნელად ისეთი ნაწარმოებების არჩევაც, როგორიცაა კონდრატი რილეევის ლექსი „ნალივაიკოს აღსარება“. ისიც 1831 წელს, შეთქმულების მზადების დროს. „ჯოჯოხეთი მტანჯს მაშინ მე—ვჰხედავ რა ტყვედ ქმნილს მამულსა!“ — ამ წამოძახილშია მთელი ლექსის გასაღები. ამითაა ნაკარნახევი ლექსიც და თარგმანიც. გესლიანმა მტრებმა შუღლი დათესეს, გააუბედურეს ქვეყანა, შეწყდა ძმური კავშირი საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილთა და მასთან ივერთა კეთილდღეობა, ქედმოდრეკილი უღელს ქვეშ გმინავს ხალხი, ლეკი, ოსმალო და სპარსი ჯიჯგნიან მას და ასეთ დროს ნუგეშად წარსული-ღა დარჩენია პოეტს: „რა მესმა ძველთ დროთ ღიღინი, ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო“. იმ დღიდან პოეტს თავისუფლებისათვის

სული მარადის უკვნესის, თავისუფლებისათვის თავგამოდებული თავის სიკვდილს „ადრევ სიამით აკურთხებს“.

ლექსი აღსავსეა გაბედული გამოთქმებით. „ერი ღაღადებს ვაებას და ვერვინ აღდგა მფარველად“, ავტორმა იცის, რომ „შიში, სიმდაბლე სულისა, შური, მფლობელნი აწ ჩვენი არიან მარად მონობის ნაყოფნი ესე საძაგნი!“. იცის, რომ ამ ბოროტებათა წინააღმდეგ საჭიროა აჯანყება, და ისიც აჯანყებისაკენ მოუწოდებს მამულიშვილთ.

ასეთი ლექსის თარგმნა იმ დროს, როცა დამონებულთა სულიერი დუღილი შეთქმულებაში ეძებდა გამოსავალს, ორიგინალური მსგავსი ლექსის დაწერის თანაბარი მოვლენა იყო, და მას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ეძლევა, როგორც რუსული საზოგადოებრივი აზრის, ისე უკმაყოფილო ქართველი თავადაზნაურობის, კერძოდ კი გრ. ორბელიანის იმდროინდელი განწყობილების შესასწავლად.

„ნალივაიკოს აღსარება“ ამბოხების სულისკვეთებას ნერგავდა რუს ხალხში. ლექსის სამოქმედო არის განვრცობა იყო ქართული თარგმანი, რაც გრ. ორბელიანმა შეასრულა. რაღა თქმა უნდა, ეს საშიში პოლიტიკური თამაში გახლდათ, პოეტურ საფარველში გახვეული. ნალივაიკოს აღსარება იყო იგი თუ გივი ამილახვრისა, როგორც შეთქმულ გიორგი ერისთავს უწოდებია ამ ლექსის თარგმანისათვის, აღსარება რუსის, უკრაინელის, თუ ქართველისა, ეს არსებითად სულერთია. ქართველი პოეტიც, ისევე როგორც რუსი მეამბოხე პოეტი, ებრძოდა ტირანიას და ეს მებრძოლი სული გამოვლინდა არც თუ ძნელად გასახსნელ ალეგორიებში.

პოეტი საკმაოდ თავისუფლად მოეპყრო დედანს. ვარშავის ნაცვლად მცხეთა ჩაუწერია. „ურიის, უნიატის, ლიტველისა და პოლონელის“ ნაცვლად ქართველთა მტრებად გამოუყვანია „ლეკი, ოსმალი და სპარსი“, თანაც არ ფარავს თავის ჯოჯოხეთურ ტანჯვას, როცა ხედავს, რომ მისი ხალხი თავის დღეებს წყევლის „ქედმოდრეკილი უღელს ქვეშ“, და ოცნებობს იმ დღეზე, როს ნახოს თავისუფლება“...

„ნალივაიკოს აღსარების“ ქართული ვარიანტი მოგვაგონებს ახალგაზრდა ჯაკომო ლეოპარდის უკვდავ ჰიმნს „იტალიისადმი“

(პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ „აღსარება“ თარგმანია). მაგრამ თუ ლეოპარდი გლოვისაკენ მოუწოდებს უიმედოდ დაცემულ სამშობლოს:

შენ ბორკილში ხარ! გიჟური სევდით,
დაშლილ ნაწნავით, შეუმოსავი,
შენ თავდახრილი ზიხარ მიწაზე,
შუხლებში მალავ თავს და ქვითინებ...
იტირე, ჩემო იტალიავ!

უნდა ითქვას, რომ ასეთ ფატალურ სასოწარკვეთილებამდე ქართველი რომანტიკოსები არასოდეს არ მისულან. კერძოდ, გრ. ორბელიანი სულ ივერიის აღორძინებაზე, მტრის სისხლის დათხევაზე, „სარცხვინო შიშის“ დაძლევაზე, უსულოდ ვეშაპის დაცემაზე ლაპარაკობს და თუნდაც პირადად იმედი გარდაეწყვიტოს, მაშულს მაინც აღორძინებას უწინასწარმეტყველებს, თუმცა ეს სულაც არ ხდება მსუბუქად, უმსხვერპლოდ, ფუჭი პოეტური დეკლამაციის სახით.

„აღსარება“ არც ფუჭი პოეტური ნავარჯიშევია, არც შემთხვევითი ამბავი. ცხოვრების ორომტრიალში ჩარევის მებრძოლი განწყობილება დაუფარავად გამოუთქვამს ორიგინალურ ლექსებშიც. „ჰე, ივერიავ“ — იგივე პოეტური მღელვარება და მოქალაქეობრივი დრტვინვაა ქედმოდრეკილი მამულის ბედზე:

ჰე, ივერიავ! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,
ვიდრემდის სხვათა ყველრებითა გფარვიდეს ძალი,
რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი,
ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი!
წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!
შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,
მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას...

„ცუდი მონების“ მძიმე განცდით ნაკარნახევი ეს ლექსი ძოგვა გონებს შილერის უკვდავ სიტყვებს, დაბონებული ბეეცხის ხალხს რომ ათქმევინებს, „ჩვენსავე სახლში მონები ვართო!“

ამ ლექსის ავტორი იმედს მაინც არ კარგავს: „ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!“

რა განსხვავებაა? „აღსარებაში“ მთარგმნელი პოეტი ამბობდა: „კავშირი შეჰსწყდა და მასთან ივერთა კეთილდღეობაო“, აქ კი საკუთარ ლექსში ერთი წლის შემდეგ (1832) იმასვე ქადაგებს: „ძორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას... ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებასო!“

იმავე წელს დაწერილ მეორე შესანიშნავ ლექსში „მისი სახელი კიცხვითა“ კიდევ უფრო რელიეფურად ჩანს მებრძოლი სულისკვეთება, რაც პოეტისათვის ჩაუნერგავს „კვნესით უღელქვეშ დამწარებული“ ქვეყნის გასაჭირს.

პოეტი არ ინდობს ცრუ პატრიოტებს, რომელთაც სამშობლოს სიყვარული ცარიელ ფრაზად უქცევიათ, მრისხანე მოწოდებაცაა და გაბედული გამოწვევაც ასეთი ლექსი იმ დროისათვის, როცა ოსმალებისა და სპარსების ბატონობის საკითხი უკვე დიდი ხნის ძოხსნილი იყო სამშობლოს ისტორიიდან:

მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს,
ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ ჰგრძნობდეს,
და ვინცა მისსა ტყვეობას გულსიგრილითა ჰხედავდეს...
მტერსა ხანჯალზედ აგებულს ვინცა სიამით არ ჰსჭვრეტდეს...

„აღსარება“ მგზნებარე ჰიმნია თავისუფლებისათვის მებრძოლი პოეტისა. მეფის თვითმპყრობელობის ჟამს ასე აშკარად ჩვენს სინამდვილეში გრ. ორბელიანზე ადრე არც ერთ პოეტს არ ამოუღია ხმა დესპოტიზმის წინააღმდეგ, და ამ მოწოდების მნიშვნელობას სულაც არ ამცირებს ის ამბავი, რომ „აღსარება“ თარგმანია. მეტიც, ამით თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას უფრო ზოგადი, მთელი იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ხალხებისათვის მისაღები მნიშვნელობა ეძლეოდა.

„აღსარების“ დასასრულს ლაპარაკია იმაზე, რომ თავისუფლება უმსხვერპლოდ არავის მოუპოვებია, და პოეტი თავისი ლირიკული გმირის პირით აცხადებს: მზადა ვარ, ვიცი, ვგრძნობ, ვაღიარებ, მამულისათვის დავიღუპებიო.

ეს არც სასოწარკვეთილებაა, არც რეალური სინამდვილიდან

გაქცევა. თვით ქართველი ხალხის გაუტეხელი სული შეტყველებს ამ სტრიქონებში.

შემთხვევითი არაა, რომ 1832 წლის მღელვარე დღეებში დაწერილი „იარალის“ ის გახმაურებული ნაწარმოებია, რომლის დაწერიდანაც გამოითვალეს გრ. ორბელიანის პოეტური მოღვაწეობის დასაწყისი, ამის მიხედვით გადაუხადეს პოეტს 50 წლისთავის ზეიმი 1882 წელს. მართლაც, ეს მებრძოლი ხასიათის ლექსია გრ. ორბელიანის პირველი პერიოდის შემოქმედებისა.

კ. აბაშიძეს ეჩვენებოდა, რომ „იარალის“ კარგი ლექსია, მაგრამ მეტად გადატვირთულია მოთალით, თევზით, მწვანილით... ცხენთა თქრიალით, შუბთა ტრიალით და ა. შ.. მაგრამ ეს იგივე იქნება, რომ რომელიმე დიდოსტატის მხატვრულ ნამუშევარზე შევნიშნოთ: კარგი კომპოზიციაა, რომ პეიჟაზით არ იყოს გადატვირთული. დიახ, ამ ლექსში ლხინი და ბრძოლის სურათი სწორედ იმაეე როლს ასრულებს, რასაც პეიზაჟი — ფუნჯით შესრულებულ მხატვრულ ტილოზე.

„იარალის“ პოეტური სინატიფისა და ოსტატური წყობის ნიმუშია. მისი მიმართვა, ოცნება, მოგონება, ნატვრა, რისხვა, გატაცება და ბოლოს სასოწარკვეთილი — „მაგრამ ამაო, ჩემო იარალი...“ გვხიბლავს ნამდვილი კლასიკური, სრულყოფილი, დახვეწილი არქიტექტონიკით.

შეთქმულების ერთ-ერთ სულისჩამდგმელთაგანს, ფარნაოზ ბატონიშვილის მხლებელს, პეტერბურგს გადასახლებულ იარალი შანშიაშვილს უძღვნა „ჩრდილოს წყვდიადს გარდახვეწილმა“ პოეტმა ეს ლექსი და თვითონ ამ გარემოებასაც ლექსის შინაარსზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს. რაზე ისაუბრებდნენ პოეტი და იარალი? რისთვის გაუგზავნა ავტორმა ლექსის პირველივე ცალები იარალის და ფარნაოზის ასულს სალომე ბატონიშვილს? რამ აღუძრა ჟანდარმებს ეჭვი? ცხადია, სუფრა და კოჯრის ნიავი აქ მხოლოდ პოეტური ფონია, და ლექსის შინაარსი უფრო მნიშვნელოვან მოვლენებს შეეხება. მოხუცი იარალი ახალგაზრდა პოეტს მოუთხრობდა, „თუ ვინ ივერნი, ლომგულნი გმირნი, ბრძოდნენ, ცხოვრობდნენ დროსა წარსულსა“.

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა
შესწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი
გულს აღბეჭდილად, —

ამბობს პოეტი. მაგრამ მას მხოლოდ წარსული არ აინტერესებს. ჯერ ერთი, აწუხებს აწმყო, უცხო ცის ქვეშ ყოფნა და ოხვრით ჰვრეტა წმინდა სამარეთა, შემდეგ კი ის, რაც მთავარია, რისთვისაც ლექსი დაიწერა — მომავლის თავსატეხი პრობლემა, ძლიერი გმირის ძიება, ერის თავისუფლების საკითხი:

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით,
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?

ესაა ლექსის აპოგეა. ისევ ის ძიება, ისევ ბედის გაღვიძების, გმირთა პოვნის, უღლის გადაგდების ცდა! ამ გზით რომ ევლო, ჩვენ გვეყოლებოდა დიდი ბუნტარი-პოეტი! მაგრამ გრ. ორბელიანი დიდი ფეოდალი იყო, რომელსაც საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშით შესანიშნავი პატრიოტულ-რომანტიკული ლირიკის ნიმუშები მოგვცა, ხოლო ამ დევიზის მიღმა იგი შემდეგში ერთხანს იდეურად თითქმის განიარაღებული აღმოჩნდა. და თუ მასში კვლავ ცოცხლობდა პატრიოტულ-ჰუმანური იდეები, ეს იმიტომ, რომ იგი თავის შემოქმედებაში სტიქიური პოეტური ინტუიციით მუდამ მიდიოდა იმ გზით, რა გზითაც უვლიათ ხალხის რჩეულებს, პროტესტანტული სულისკვეთებით გულანთებულ ადამიანებს, ან რა გზითაც მიდიან, თვით პოეტის გაძოთქმა რომ ვიხმაროთ, „ჰეშმარიტნი ძენი მამულისანი“.

ამ ლექსების ავტორი რომ საიმედო ალიბის მიუხედავად შეთქმულების აღმოჩენისთანავე დააპატიმრეს, ეს სულაც არაა გასაოცარი, როგორც ის გარემოება, რომ ასეთი თავგამოდებით ნალოლიავები იმედის სრული გაქარწყლების შემდეგ პოეტი შუბლით კედელს არ შეასკდა, რუსეთთან შერიგების გზა მრჩია, ისტორიულ გარ-

დუელობას შეურიგდა, სიშაბუკის შეაშბოხური ნაღვერდალიით მოვიზგაზე ცეცხლი გულში ძალით ჩაისვლა, გაანელა, თვითონაც დაცხრა, დადგა, დადინჯდა.

გრ. ორბელიანის და გენერალ ივანე აფხაზის საუბარში ერთხელ კიდევ იჩენს თავს საქართველოს ბედის საკითხში არსებული ორი კარდინალური შეხედულება. საქართველო გასაჭირშია, დაშდაბლებულ-დამონებულია, მუდმივმა ბრძოლებმა დაქანცა, დაასუსტა, და საჭიროებს დასვენებას, აღორძინებას, საამისოდ კი ესაჭიროება სიმშვიდე, ეროვნული ჯარი, სწავლა-განათლების საქმის მოგვარება. ყოველივე ამაში გენერალი და ახალგაზრდა ოფიცერი იოლად შეთანხმდნენ, მაგრამ მამულის აღორძინების გზები კი სხვადასხვანაირად ესახებათ. თავადი აფხაზი გამოსავალს რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებაში ხედავს და ნატრობს: „ღმერთო, ნუ ძიიყვახ რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნეა დატევებად საქართველოისა“, გრიგოლი კი, პირიქით, ფიქრობს, რომ „საქართველო, შემდგომად რუსთაგან დატევებისა, ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერი, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა“.

აფხაზის აზრით, საქართველოს „არ ძალუძს“ თავის დაცვა საკუთარი ძალებით და ამაზე იმლება მათი შემდგომი საუბარი. გრიგოლს იმედი აქვს, რომ ყიზილბაშები უწინდებურად აღარ გადმოლახავენ საქართველოს საზღვრებს, რადგან რუსეთის ეშინიათ და დღემდე „სწყევენ აღა-მაჰმად ხანს ტფილისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზად რუსების გადმოსვლისა“. ცხადია, ეს მხოლოდ ვარაუდია. რუსეთის შიში ადრეც ჰქონდათ შაჰებსა და სულთნებს, მაგრამ ამას ვერ შეუკავებია მათი ურდოები, რომ ჩვენი ქვეყანა აეოხრებინათ. ამ და მსგავსი ვარაუდებით ახალგაზრდა პოეტი აძლევნებს მებრძოლ სულისკვეთებას ქართველი თავადაზნაურობისას, შეთქმულებას რომ ამზადებდა.

აფხაზი სწორად მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის სიმცირეზე, მის დაქუცმაცებაზე, შინაურ შუღლზე, მტერთა გარემოცვაზე, ანგარებაზე, ყოველივე იმაზე, რაც ხელს უშლიდა საქართველოს აღორძინებას და რაც, მისი აზრით, არ მოისპობოდა, თუ საქართველო ერთმორწმუნე რუსეთის კალთას არ ამოეფარებოდა.

ჩვენი მზეა დრო. დრომ უნდა გაგვანათლოს და აგვაძაღლოსო, ასეთია გენერალ აფხაზის დასკვნა. ბრძნულია და ანგარიშგასაწევი აფხაზის მსჯელობა. პოეტიც ანგარიშს უწევს მას, მაგრამ საკუთარ აზრს არ იცვლის.

გრ. ორბელიანი მებრძოლი რომანტიკოსია 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამდე. ამ პირველი პერიოდის შემოქმედებაში საძიებლოს ბედზე მის ჩივილსა და კაეშანში მეამბოხური სულიც იგრძნობა, ხოლო „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმანში, რისთვისაც ვახტანგ ორბელიანმა, ზურაბ ჭავჭავაძემ, გიორგი ერისთავმა და სხვა შეთქმულებმა სათითაოდ გადაკოცნეს*, ნამდვილი მეამბოხე პატრიოტი დგას ჩვენს წინაშე. მისი ამ დროის გახარებულებებს მკაფიოდ გამოხატავს „მგზავრობა“, აგრეთვე „მისი სახელი კიცხვითა“, „ჰე, ივერიავ!“ „სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტი, „იარალის“ და სხვ.

გრ. ორბელიანს საიმედო ალიბი ჰქონდა შეთქმულების გაძღვანების დღეებისათვის, და საერთოდ შეთქმულებაში მისი პრაქტიკული მონაწილეობა არ მტკიცდება, მაგრამ ლექსები თუ პროზაული ხელნაწერებიც საკმარისი გახდა იძისათვის, რომ მკაცრად დაესაჯათ.

რეპრესიებმა სრული გარდატეხა მოახდინა პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

1832 წლის შემდეგ ათეული წლების განმავლობაში გრიგოლ ორბელიანს ერთხელაც არ დასცდენია ის, რაც მანამდე თქვა: „შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებასო“. ჩაქოა და ჩაინავლა დიდაშვილის პროკლამაციის ცეცხლი, დაცხრა ფეოდალთა შფოთვა, დადუმდა თავისუფლების ჩახგი და ბედს შეურიგდა ძველი გვაროვნული არისტოკრატია, რომელიც ამიერიდან წაოსულის გამო ოხვრით, ვიშით, მოთქმით და კაეშნით კმაყოფილდება.

* * *

გრ. ორბელიანის პატრიოტული ლირიკის ღერძია მისი ერთადერთი პოემა „სადღეგრძელო“ („ტოლუბაში“).

„სადღეგრძელო“ უცხო და უჩვეულო თემა არ არის გრ. ორბე-

---

* 1832 წლის შეთქმულება, 1935, გვ. 459.

ლიანის, როგორც პოეტისა და ადამიანისათვის. ლხინს მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. პირად ცხოვრებაში ხომ ცნობილი მოქეიფე იყო, რომელსაც თბილისის ბაღებსა და სასახლეებში წლების მანძილზე „გაუწევია ლაზათები“, აზარფეშა აზარფეშაზე დაუცლია ანტონ ორბელიანთან, დავით ყორღანაშვილთან, მირზაჯანა მადათაშვილთან, ლოპიანასთან და სხვა განთქმულ ძოქეიფეებთან! პოეზიაში კიდევ მთელი ნაკადი შეძოიტანა დარდიმანდული, სალხინო პოეზიისა. ამიტომ გასაგებია, რატომ თარგმნა პუშკინის „ლხინი“ და აიტაცა ჟუკოვსკის „მომღერლის“ მოტივები.

როგორც ცნობილია, „ტოლუბაში“ მიბაძვაა ვ. ჟუკოვსკის პოემისა „Певец во стане русскiх воинов“, რაც თავის მხრივ ცნობილი ინგლისელი ლირიკოსის თომას გრეის პატრიოტული ოდის „ბარდის“ მიბაძვაა. გრეი ცნობილია, როგორც ხალასი, უბრალო, კრუკლასიკური მაღალფარდოვნობისაგან თავისუფალი ნიჭიერი პოეტი, რომლის „სოფლის სასაფლაოს“ ჟუკოვსკისეული თარგმანი თავის დროზე მთელი მოვლენა იყო რუსულ ლიტერატურაში.

მაგრამ ჩვენი პოეტის „ტოლუბაში“ არც გრეის მოძღერლის გადამღერებაა და არც ჟუკოვსკისა. ჟუკოვსკი ადიდებს 1812 წლის სამამულო ომის გმირებს, არ იშრება ისტორიის სიღრმეში და ერთი ძირითადი პლეადის ხოტბით კმაყოფილდება*.

გრ. ორბელიანის „ტოლუბაში“ ლაღი პატრიოტული პოემაა, მგზნებარე ჰიმნი მამულის სიყვარულისა და სიყვარულისა საერთოდ. თემატური მსგავსებისა და პოეტური ვარიაციების მიღმა იფარება დამოუკიდებელი მამულიშვილური სულისკვეთება, რასაც საერთო არაფერი აქვს პასკევიჩისა და მეფის სხვა მოხელეების განდიდებასთან, თუმცა „მიბაძვა ჟუკოვსკისა“ თავიდანვე გულისხმობდა პასკევიჩის ბრძოლას სპარსეთის ჯარებთან და რუსეთის არმიის ბანაკს ირაკლის თაფაზე (ეჩევანთან). მისი ლეიტმოტივი მოცემულია ორივე ვარიანტის ამ სტროფში.

---

* ამ ნაწარმოებთა ურთიერთობა ნათლადაა გაშუქებული ჯ. ჭუმბურიძის ნაშრომში „გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ და ვ. ჟუკოვსკის „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“ (უნივერსიტეტის შრომები, ტ. 53, 1954).

ჰე, მამულო სასურველო! ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ აღთრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თვისი სისხლი,
არა დაკლას თავი თვისი, შენდა დახსნად, ვითა მსხვერპლი!

ჟუკოვსკი მოხალისედ იყო 1812 წლის სამამულო ომში. ნახუ-ლითა და განცდილით აღფრთოვანებულმა პოეტმა მთელი პოემა უძღვნა რუსი გმირების მამულისათვის ბრძოლას. ეს მოხდა მოსკო-ვის დატოვების შემდეგ, შურისძიების, სამშობლოს სიყვარულისა და ბრძოლისაკენ მოწოდებით ამ პოემამ ერთბაშად უფრო დიდი სა-ხელი მოუხვეჭა პოეტს, ვიდრე მთელმა მისმა წარსულმა ლიტერატუ-რულმა მემკვიდრეობამ. „მოძღერალი“ სწრაფად გაფრინდა რუსე-თის ყველა კუთხე-კუნჭულში“, აღნიშნა პ. პოლევოიმ „რუსული სიტყვიერების ისტორიაში“.

პირველად ბელინსკიმ გაფანტა ჟუკოვსკის პოემის შარავანდე-დი, გამოაცხადა რა ის ჩვეულებრივ რომანტიკულ ნაწარმოებად, რომელშიაც ტყვიის წივილისა და ქვემეხთა ქუხილის ნაცვლად ის-მის ისართა ზუზუნი და ხმალ-აბჯრის ჟღარუნი. ყველაფერი ეს იყო, მართლაც, რიტორიკა და მაშინ ეს მქუხარე რიტორიკა, ხოტბა და მაღალფარდოვანი ლექსი მიაჩნდათ პოეზიად.

ცხადია, რომანტიკული გაიდეალება და ძველის დიდება პირვე-ლობს გრ. ორბელიანის პოემაშიც, მაგრამ ახალი პოეტური ჟღერა-დობა და ხალასი პატრიოტიზმი მაინც გამოარჩევენ „ტოლუბაშს“ აპოლოგიურ ნაწარმოებთა შაბლონისაგან.

გრ. ორბელიანი უფრო ორიგინალურია იმითაც, რომ ერთსაც არ ასახელებს თანამედროვე გმირებიდან იმ ბრძოლისა, რომელიც ესაა დასრულდა, ლხინის წინ. ხოლო ჟუკოვსკი წლების მანძილზე ასწორებდა პოემის იმ ადგილებს, ნაპოლეონის წინააღმდეგ მე-ბრძოლ გენერლებს რომ ეხებოდა.

„სადღეგრძელო“ ლირიკული პოემაა, ნაძდვილი ეროვნული ქმნილება, რომელსაც ამშვენებს შინაგანი სიმეტრია, მარტივი არქი-ტექტონიკა, ხალასი გრძნობა, გმირული სულისკვეთება და ბრძნული აზრი.

„სადღეგრძელო“ ტრადიციული ქართული ლხინის სურათია როგორც გარეგნულად, ასევე შინაარსით. ვინც ბრძოლას გადურჩა,

ნადიმობს. ვინც ნადიმობს, ძვირფას ადამიანებს ახსენებს. ძვირფასი ადამიანები—ჭეშმარიტი მამულიშვილებისათვის არიან არა მარტო მახლობლები, არამედ ქვეყნისათვის თავდადებულნი, გარდასულ დროთა გმირები, რომელთაც ასახელეს მამული. ამ სადღეგრძელოებს თან ახლავს ტრადიციული სიყვარულის, მეგობრობის, გმირობის სადღეგრძელოები. ეს ჩვეულებრივი ლხინის ფარგლებს სცილდება. ვინც საკუთარ სისხლს ღვრის ქვეყნისათვის, მისი სიტყვა ცარიელ ლაყბობად არ ჩაითვლება. ეს ამაღლებული სულისკვეთება ხდის აბ პოემას და საერთოდ პოეტის შემოქმედებას საყოველთაო ღირებულების შემცველ ნაწარმოებად. წარსულის იდეალიზაცია აქ სტიმულია მომავალი გმირობისათვის. მეომრებს სჯერათ, რომ „ძხნეობით აღტაცებული ჯაბუკი ხმალსა მისწვდება“. ამრიგად, ფორმითაც, არსითაც და საერთო მნიშვნელობის აზრითაც ეს პოემა ქართულ ეროვნულ ნიადაგზე მდგარი პოეტური ქმნილებაა.

„სადღეგრძელოს“ ვარიანტებისა და პირველწყაროების რაობაზე ჩვენს მკვლევარებს ამომწურავი პასუხი აქვთ გაცემული.

პლ. იოსელიანმა „სადღეგრძელოს“ აშკარად უწოდა ჟუკოვსკის პოემის მიბაძვა*. იგივე აზრი იყო ჩვენში ადრიდანვე დამკვიდრებული და იმასვე აცხადებს თვით ავტორი („ძიბაძვა ჟუკოვსკისა“.)

ეს მიბაძვა საკმაოდ საგრძნობია ფორმალურადაც და შინაარსითაც.

„ტოლუბაში“ კომპოზიციურად ძარტივია და არსებითად ჟუკოვსკის პოემის არქიტექტურულ ჭარგას მისდევს, ჩანაფიქრიც და მისი განვითარების გზაც თითქოს ერთნაირია. მაგრამ ქართველი პოეტის ამ ერთადერთ პოემას მაინც დამოუკიდებელი ეროვნული ძნიშვნელობა აქვს.

ჯ. ჯუმბურიძემ დაწვრილებით შეადარა „სადღეგრძელო“ ჟუკოვსკის პოემას და მოახდინა მეცნიერულად სრული აძმძწურავი ანალიზი**. მის ხელახლა კვლევას აქ აღარ შევუდგებით, რადგან

---

* „Кавказ“, 1871, № 22 (რეცენზია ცალკე წიგნად გამოცემულ „სადღეგრძელოზე“).

** ჯ. ჯუმბურიძე, ნარკვევები ქართ. ლიტ. და კრიტიკის ისტორიიდან, „საბჭსაქ.“, 1958, გვ. 317—344.

ჩვენი დაკვირვებებითაც ის აზრი გამოვიტანეთ, რითაც მკვლევარი ამთავრებს: „ეს თხზულება მხოლოდ ფორმით ემსგავსება ჟუკოვსკის პოემას, შინაარსი კი არის განსაკუთრებით ქართული“.

ჟუკოვსკის „მომღერალი“ დაახლოებით 300 სტრიქონით შეტია ორბელიანის „სადღეგრძელოზე“.

ისტორიულ ექსკურსს ორივე პოეტი მიმართავს, ორივე აცოცხლებს გარდასული დროის გმირებს, რომლებიც აჩრდილებივით გამოჩნდებიან და თავს გადაუქროლებენ მეომრებს (ჟუკოვსკი) ან დაჰბზერენ ჩაფიქრებით (გრ. ორბელიახი).

ზოგი სტრიქონი თითქმის თარგმანია ჰგავს, თუნდაც დასაწყისი.

ჟ უ კ ო ვ ს კ ი:

:На поле брани тишина;
Огни между шатрами;
Друзья, здесь светит нам луна,
Здесь кров небес над нами.

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი:

შესწყდა ბინდისას ომი საზარი,
დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა;
გამარჯვებითა მოილხენს ჯარი;
ურდო ცეცხლებით განათებულა!

პოემის მოტივი, ტონი და ელერადობაც ზოგად ხაზებში აშკარად მოგვაგონებს ჟუკოვსკის „მომღერალს“, ბევრი მისი ადგილი — რუსი პოეტის ცნობილ თქმებს.

მაგრამ ეს მაინც მხოლოდ მოტივების გამეორებაა. ძთავარი ისაა, რომ გრ. ორბელიანი არ არის მთარგმნელ-მიმბაძველი, არამედ დამოუკიდებლად მოაზროვნე პოეტი, რომელიც თვითონ ქმნის ჟუკოვსკის პოემის რჩეულ ადგილებზე წარმტაც სურათებს.

პოემა იწყება ერევნის სიახლოვეს განლაგებული ჩვენი მხედრიონის ბანაკის აღწერით:

შესწყდა ბინდისას ომი საზარი,
დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა;
გამარჯვებითა მოილხენს ჯარი;
ურდო ცეცხლებით განათებულა!

რაღაც ფანტასტიკური, უცხო და მღელვარე სურათი გვეშლება თვალწინ, თუნდაც ამ ერთი ფრაზით: „ურდო ცეცხლებით განათებულა“.

მთვარიანი ღამეა და ცეცხლს მისხდომიან მეომრები, რომლებიც სასტიკ ბრძოლაში გადარჩენილან. შენდობას უთვლიან დაღუპულებს და მერე წინაპართა ხსენებაზე გადადიან. ტოლუბაშს გული უკვდება, რომ მეომართა შორის არ ხედავს ბევრ თანამოძმეს, და იწყებს იმათ ხსენებას, ვინც თვალში აკლიათ, „გმირთა, მამულის განმადიდებელთა“.

ძმანო, აღვავსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად,
ჩვენთა დაჰსდვეს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად,
რომელთა სახე დიდების სხივს მოგვფენს გასამხნევებლად,
რომელთა სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდებს ცად მაღლად!

ადამიანის სიმდიდრეთა შორის მთავარია სახელი, და როგორც მინდორში მბჟუტავ ცეცხლს ქარი ჩააქრობს, „ეგრეთ იქმნების აღხოცილ ამ სოფლით მისი სახელი, გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი!“

ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის საქმის, ღვაწლის, მოქმედების აღიარებაა, ადამიანის მაღალი ვალის შეგნებაა.

მაგრამ საქმის, ღვაწლის მთავარ მიზნად პოეტს მამულის დიდება მიაჩნია.

პოეტის აზრით, მთავარია ადამიანმა შეიგნოს თავისი ვალი მამულის წინაშე, ასახელოს ქვეყანა, მოიქცეს იმ გმირთა მსგავსად, რომელთა მსგავსნიც მრავლად შვეს „წარსულთა ძველთა საუკუნეთა“, გორგასლანი აღარაა, მაგრამ გორგასლანები არ გამოლეულან ქართულ მიწაზე, და ეს რწმენით აღსავსე, შინაგანი იმედით ნაკარნახევი სიტყვები გამამხნევებელ მოწოდებასავით ისმის ამ ისტორიულ ექსკურსში, რაც პოემის მთავარ ღერძს წარმოადგენს.

შორიდან იწყებს პოეტი. პირველად სადიდებელი ჰყავს ფარნავაზი, პირველი მეფე, ვინც „მისცა ქართველს წიგნი პირველი“. მერე ადიდებს მეფე მირიანს, მეფეს გორგასლანს, ბრძოლის ღმერთივით რომ მოუძღვის ჯარს, დავით აღმაშენებელს, ვინც ააშენა ტაძარნი, ტურფად ნაგებნი, ფენიქსივით განაახლა ივერი, ყველაზე მეტად კი

„სხივ-ცისკროვანი“ თამარი, მისი გვირგვინი, სათნოება, სარო-ტანი. ქველმოქმედი, მსგავსი ქალღმერთისა, ვისი დროშის ქვეშაც დარაზმულან დიდი ორბელი, „შოთა უკვდავი“, ბრძენი ჭყონდიდი, „ლომებრ გულადი“ გამრეკელი, დიდი მხარგრძელი.

გრ. ორბელიანი საკმაოდ ვრცლად მოგვაგონებს თამარის საქმეებს, მთლად საქართველოს ყოველი კუთხის შვილთა სიძაბაცეს, თავრიზის ლაშქრობის ამბავს... შემდეგ მხედრობა იხსენიებს ქეთევან დედოფალს, კახეთის მხსნელ გმირებს — ელიზბარს, შალვას, ბიძინას, ცხრა ძმას ხერხეულიძეს, „წმინდა მსხვერპლს“, ოთხ ზაალს, თითო ოთხ ჯარად დაფასებულთ... მხედრები ახსენებენ ვახტანგ ძეფეს, განათლებულ მეფეს, და სწუხან:

უცხოსა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დავიწყებული!

ბოლოს მხედრები ადიდებენ პატარა კახს ერეკლე-ძეფეს, და აღიარებენ: „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“. არ გამორჩენიათ დავით ბარათაშვილი, დავით სარდალი (ორბელიანი), ზაქარია ანდრონიკაშვილი — ქიზიყის მოურავი, მიწის მგლად წოდებული, „გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა“, აზატ-ხანის დამამხობელნი. თემურთან მებრძოლნი, ასპინძის გმირები, სამასი არაგველი, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებას, მაგრამ თავგანწირულმა გმირობამ ვერ იხსნა მამული, „წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერია“.

ამ ვრცელი ისტორიული ექსკურსის შემდეგ მხედრები შესძახებენ:

ჭირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოჰსთქვამს შთამომავლობა!..

„ტოლუბაში“ თავისებური პატრიოტული ოდაა, მიმართული მამულისადმი, მთელი მისი წყობა, იდეა, გააზრება „ქართლის ძეთა“ საგმირო საქმეს ეძღვნება, მამულისათვის თავდადების პირდაპირ ქადაგებაა. არავითარ ეჭვს არ იწვევს ცნობილი გვიანდელი ჩამატების „იმპერატორსა ემსხვერპლეთ“ ხელოვნური და ნაძალადევი ხასიათი. სწორედ ამიტომ ადრევე დავის საგნად ქცეულა „სადღეგრძე-

ლოს“ ის ადგილი, რაც მეფე ნიკოლოზისადმი მიმართვას შეადგენს („ხელმწიფევ ჩვენო, ძლიერო ბრძენო, ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა...“).

როგორც ცნობილია, ეს ადგილი არ ყოფილა პოემის პირველ ვარიანტში. იგი ძალზე მოგვიანებითაა ჩამატებული, რაც შეიძლება ოფიციალური აუცილებლობით იყო ნაკარნახევი*.

ამ ჩამატებული სტრიქონების ხელოვნურობა ჩანს არა მარტო იქიდან, რომ სხვაგან მეფისა და მოხელეების ხსენება არ გვხვდება და ამ პოემაშიც ყურით მოთრეულსა ჰგავს, არ ეთანხმება მის ძირითად არსს, არამედ იქიდანაც, რომ ყველაფერი ის, რაც თითქოს იმპერატორ ნიკოლოზის მისამართითაა ნათქვამი, უფრო რომელიმე ქართველ მეფეს შეეფერება:

ძველი ივერი,
შენი ივერი
შენდა მოჰმართავს თვალსა და გულსა...
... თამარის დღენი,
დიდების დღენი
შენ მოუვლინე შენსა ივერსა!..

ეს სტრიქონები მხოლოდ იმას მოწმობენ, რომ იმპერატორის სადღეგრძელოშიც პოეტი სამშობლოს ბედზე ფიქრობს.

მართალია, იმპერატორიც შპყრობელია ივერიისა, მაგრამ ასე გულთბილად, მახლობლად და ინტიმურად ეს სიტყვები მხოლოდ ქართველთა მეფეზე შეიძლებოდა თქმულიყო. მერე, ვიმეორებთ, ეს ხოტბა-ვედრება პოემაში პოეტმა შეიტანა უკვე საკმაოდ ხანდაზმულმა, და თავის სიცოცხლეში არც გამოუქვეყნებია და ბეჭდილ ტექსტში, იგი მხოლოდ პოეტის გარდაცვალების შემდეგ, 1884 წლის გამოცემაში შევიდა.

„სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტი დაიწერა 1827 წელს საბოლოო რედაქცია კი 1870 წელს დასრულდა, 43 წლის შემდეგ, და 1871 წელს „კრებულის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა.

---

* პოეტს ნიკოლოზი არ დაუსახელებია მისივე სიცოცხლეში გამოქვეყნებულ ბეჭდურ გამოცემებში. „ნიკოლოზ დიდო“... გვხვდება მხოლოდ 1854 წლის ხელნაწერ ვარიანტში (აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, 1965, გვ. 86).

ეს არის და ეს. სხვაგან გრ. ორბელიანს არ ულალატნია თავისი პოეტური ღირსებისათვის და როგორც შემოქმედს, არ მოუხრია ქედი ხელმწიფეების წინაშე, რომელთაც ასე ერთგულად ემსახურებოდა, როგორც გენერალი.

მრავალი თავდადრეკილი ქედმოხრილი და დამცირებული პოეტი ახსოვს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. დიდ პუშკინსაც კი დასცდენია იმპერატორის სახოტბოდ სიტყვა, და ჩვენ უნდა გვიკვირდეს არა ეს მხოლოდ ხელნაწერში არსებული ნიკოლოზისადმი მიძღვნილი რამდენიმე სტრიქონი, არამედ ის, რომ მსგავსი მიმართვები მსოფლიოში უდიდესი იმპერიის დიდ-ჩინოსანმა მხედარმა პოეტმა, ბეჭდურ გამოცემაში არ შეიტანა და ადრესატი თვითონ არ დაასახელა.

სავსებით სწორად მიგვაჩნია პროფ. აკ. გაწერელიას აზრი, რომ „გულნი ივერთა“ არ შეიძლება განსაკუთრებულ დისონანსად მივიჩნიოთ გრ. ორბელიანის ლირიკაში 1832 წლის მეთქმულებასთან მისი იდეური კავშირის თვალსაზრისით“*.

ეს არაა იმაზე დიდი დისონანსი, რაც მრავალი გამოჩენილი პოეტის ხოტბითი სიტყვა, თავისი დროის ხელმწიფეებისადმი მიძართული გარემოებათა კარნახით, და ამაზე მეტი მნიშვნელობის მიცემა მისთვის — გულუბრყვილობა იქნებოდა. განა აღტაცების ღირსი არ არის ადრევე აღნიშნული ის გარემოება, რომ ასეთმა დიდმა მოხელემ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არ დაანაგვიანა თავისი პოეტური მემკვიდრეობა „სამი ათასი ვერსტიდან მოსული ჩინოვნიკებისა“ და მათი მეფის ქება-დიდებით. არსად არ უდიდებია ის ხანგრძლივი კავკასიური ომი, რომლის მონაწილე გმირიც თვითონ იყო? პასკევიჩს, ვორონცოვს, ბარიატინსკის, მეფისნაცვლებს და მეომარ გენერლებს, რომელთაც ხშირად აქებს და ახსენებს კერძო წერილებში, დოკუმენტებში, სადღეგრძელოებში, — ვერსად ვერ უპოვიათ ადგილი მის ლექსებში, და ეს თავისთავად ახასიათებს დიდ პოეტურ პიროვნებას, რომელსაც შეუსისხლხორცებია თავისი მაღალი მოწოდება, როგორც მგოსანს, პატრიოტს, ჰუმანისტს.

---

* გრ. ორბელიანი, თხზ. სრ. კრებულის წინასიტყვაობა, 1959, გვ. 029.

ვისაც მამულის აწმყო და მომავალი არ აღელვებს, ის „თავისუფლების ცისკრის“ მოლოდინში არ იქნება, არც ესვრის ასეთ მრისხანე მახვილს ქვეყნის ტირანებს:

ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს...
სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს!

„დავნატრი დღეთა, როს აქვნდათ ტფრობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად“, — პოემის ამ სიტყვებში რომანტიკული წარსულის ტრფიალთან ერთად ისმის მოწოდება პოეტის თანამედროვეთა მიმართ და ზოგიერთ ჩვენს თანამედროვეთა მისამართითაც, რომელთაც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა, დარდიმანდული დროსტარება და ყოველივე ის აწუხებთ, რაც არსებითად შლის საზღვარს ადამიანსა და პირუტყვს შორის.

„სადღეგრძელოს“ კარდინალური თემაა არა პიროვნებათა დღეკეთილობა, არამედ მამულისა და მის ღირსეულ შვილთა დიდება. მხედართა გუნდი აღტაცებით ისმენს სადღეგრძელოს „ჰე, მამულო სასურველო...“

პატრიოტული აღფრთოვანების კლასიკური ნიმუშია „ტოლუბაშის“ მთელი პოეტური ქსოვილი, კერძოდ მისი „ჰე, მამულო სასურველო“ და სადღეგრძელოს ეს სტროფი:

მამულისათვის ფიალა სავსე ეჰსვათ სიამოვნებით,
და იქმნეს აღყვავებული კეთილ-დღეობით, დიდებით;
იქმნეს მის ქედი აღყვანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,
და სიყვარულის მისდამი ვჰხარობდეთ გულსა აღგზნებით!..

სათანადო ადგილას ჩვენ ვეხებით სიკეთისა და სიბრძნის ქადაგებას, „მოძღვრებას“, რაც ამ პოემაში გვხვდება. მაგრამ, თუ დავაკვირდებით, „სადღეგრძელოს“ ავტორი ზომიერებას იცავს აგ „მოძღვრებაშიც“. მისი მხედრობა იტყვის ფრთიან სიტყვას, სენტენციას, რაიმე სიბრძნეს და ისევ სადღეგრძელოზე გადადის:

კმარა მოძღვრობა... დავლიოთ... ვინ იცის ხვალ ვინ მოგვაკლდეს?
ნაცვლად ლხინისა, იქნება ვისმე გვითხრიდნენ სამარეს?

ამიტომ მეომრებმა „ჟამი ლხინისა“ უნდა მოსწყვიტონ, „ვითა ყვავილი“, ცოცხლებმა ცოცხალთა საქმეს მიხედონ, ე. ი. მოიხადონ ვალი ქვეყნის წინაშე.

ამას მოსდევს სიყვარულის დიდება, რასაც თავის ადგილზე ძი-მოვიხილავთ.

სიყვარულის უკვდავების საგალობლითა და სატრფოს დღეგრძელობით თავდება პოემის ძირითადი ხაზი, ამის შემდეგ უკვე თენდება, სიზმარივით ქრება ლხინი ღამისა და მხედრობა იქით ძიე-შურება, სადაც მოუწოდებს „ხმა საიდუმლო მხვედრისა“. ეს „საიდუმლო მხვედრი“ ანტიკური ბედისწერის ტრაგედიებს მოგვაგონებს.

„სადღეგრძელოს“ ანუ „ტოლუბაშის“ ეპილოგში, რომელიც მიმართვაა ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანისადმი, რომანტიკოსი პოეტი სიზმარივით იგონებს ყოველივე იმას, რასაც ამ პოემაში ხორცი შეასხა—ძველ დიდებასა და ძველ გმირებს:

ან სად არიან იგინი, მას ჟამსა ლხინში ვინც იყვნენ?
ძმანი და ტოლნი, ვაჟკაცნი, რომელნი ხილვით გვალხენდნენ?..
თვალთ მოგვეფარნენ... წავიდნენ... ძველთაგან დავშთით მე და შენ.

ამ წარმავლობით უკმაყოფილო პოეტი რომ თავის პოეტურ შემოქმედებას დიდ მნიშვნელობას არ აძლევს, ეს ჩანს მისივე სიტყვებიდან: „ან ეს, რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა, ვერა ვჰსთქვი?“ უთქმელი დარდი ჩარჩა გულში და იტანჯება პოეტი, სანუგეშოდ ისღა დარჩენია, რომ იქნება გულს ნაცნობი აზრი მოხვდეს ვინმეს.

დასასრულს უკვე ჭარმაგი პოეტი თითქოს მთელ თავის შემოქმედებას უწერს ეპიტაფიას:

ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიან, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა?
დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა,
ვჰმზერ მწუხარებით მომავალს და ვჰსწყევლი ფუჭად წარსულსა.

გრ. ორბელიანის რომანტიკოსობა რომ დასადგენი ყოფილიყო, მარტო ეს ერთი სტროფიც იკმარებდა ამის დასამტკიცებლად. მაგ-

რამ ის რომანტიკოსია მთელი თავისი შემოქმედებით, არსებით, წარსულით და აწმყოთი.

ცხადია, „სადღეგრძელო“ არაა „ღვთაებრივი კომედია“, არც „ფაუსტი“ და არც „დაკარგული სამოთხე“, მაგრამ ღვთაებრივი კომედიის ავტორივით კი იწვევს საჭვრეტად გარდასულ საუკუნეთა გმირებს, ფაუსტის სიბრძნით მსჯელობს ცხოვრებაზე და დაკარგულ სამოთხედ თვლის ძველ საქართველოს დიდებას. საერთოდ, პოემაში არის დიდი პოეზიისათვის დამახასიათებელი ყველა მოტივი — პატრიოტიზმი, სიყვარული, მეგობრობა, ცხოვრების რაობის პრობლემა.

„სადღეგრძელო“ გრ. ორბელიანის ყველაზე ვრცელი და თანაც ყველაზე სრული პოეტური ნაწარმოებია. ის იხვეწებოდა დაახლოებით ოთხი ათეული წლის განმავლობაში, 1830 წლიდან 1870 წლამდე. 1871 წელს „კრებულში“ დაბეჭდილ პოემას მაღალი შეფასება მისცა „დროებამ“. ამ ჩვენი უკვდავი, დაუღალავი, მიუკერძოებელი გაზეთის დახასიათებით, „სადღეგრძელო“ გრიგოლ ორბელიანისა სავსეა აზრითა და გრძნობით, ზოგიერთი სურათი ამ თხზულებისა უღვიძებს მკითხველს ერთს უმაღლესთაგანს გრძნობას“*. ასე შეხედა მთელმა ჩვენმა მწერლობამ „სადღეგრძელოს“, და თვით დიდი ილია იყო მთავარი თაყვანისმცემელი და პოპულარიზატორი ამ ქმნილებისა. მხოლოდ კიტა აბაშიძემ მიიჩნია ის მდარე ნაწარმოებად.

* * *

ცხადია, არ არის სწორი ვ. კოტეტიშვილის განცხადება, რომ „სადღეგრძელო“ არის გრ. ორბელიანის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი პატრიოტული ლექსი“**. პირიქით, თითქმის მთელი ლირიკა გრ. ორბელიანისა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, პატრიოტულია, იმდენად ღრმად აქვს გამჯდარი მამულის სიყვარული, მისი ძნელბედობა, აწმყო და წარსული.

გმირებს მოუხმობს ორბელიანი ლექსებში, პოემაში, დღიურებ-

---

* „დროება“, 1871, № 8.

** ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, 1965, გვ. 92.

ში თუ ორტაეპიან ფრაგმენტებში. გმირებს, რომლებმაც დიდებით განვლეს გზა ცხოვრებისა და მოგვეფარნენ მამულის მადიდნი.

„საღამო გამოსალმებისაში“ პოეტი სატრფოს ემშვიდობება. სატრფო სამშობლოს ალეგორიული სახე უნდა იყოს და ამას პირველად პროფ. დ. გამეზარდაშვილმა მიაქცია ყურადღება*:

ლექსში „ჰე, ივერიაე!“ პოეტი იგონებს იმ დროს, როცა ივერია „დიდებით იყო მოსილი“, ახლა კი „ცხოვარს ემსგავსა, რომელსაცა მწყემსი არ უვის...“

წარსული დიდების გახსენება ხომ რომანტიკოსთა ჩვეულებრივი ხერხია, ლტოლვა იმ სინამდვილისაგან, რაც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს. ხოლო აწმყოს კიცხვითა და „შორით მოსულ“ მოძალადეთა გმობით პოეტი ითხოვს პოლიტიკური ვითარების შეცვლას, წამხდარ საქმეთა აღდგენას. ეს ის გზაჯვარედინია, სადაც ჩვენი რომანტიკოსი პოეტი სცილდება ევროპელ თანამოკალმეთა მისტიკური ნისლით დაბურულ, გატკეპნილ რომანტიკულ გზა-ბილიკს.

მიხარის — გიმზერ,
ვჰსწუხვარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!

წახდა მამულის დღეკეთილობა, „შავ დროთა ძალით“ დაეცა ივერია და ქართველი იგონებს თამარის „მზეს დიდებულად ჩასვენებულსა“, რომ სრულად არ წაწყდეს ცის შემრისხავი. ქვეყნის სახელით შეჰღაღადებს პოეტი თამარს:

ხნით დამაშვრალი,
დაღონებული,
შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედკრულს
შენს სატრფოს — მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად.
შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი

* დ. გამეზარდაშვილი, „ალ. ჭავჭავაძე“, 1948, გვ. 52.

და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!

აქ აშკარადაა ლაპარაკი ივერიის აღდგენაზე, მაგრამ იქვეა დასმული სხვა ერთა შორის გვერდით ღირსეულად დადგომის, სწავლა-განათლების საკითხი, ენის ამაღლებისა და გამდიდრების საკითხი. ეს კი პროგრესის ხმაა. მისთვის დევიზია „უმეცრების გაქრობა“, ძლევის დიდება, რომ კვლავ მოგვესმას „სიტყვა ქართული რეხთაველისა“.

თამარს, ქართველი ხალხის სათაყვანებელ წმინდა დედოფალს, კრძალვით უმზერს ცრემლმორეული პოეტი სიხარულისა თუ მწუხარების ჟამს. მოხუცი პოეტი-გენერალი მოგვაგონებს დაბრმავებულ რომაელ კონსულს, რომელმაც ღმერთებს მადლობა შესწირა, რომ დააბრმავეს, რათა არ ეხილა რომაელთა გადაგვარება. ასე ჟღერენ გრ. ორბელიანის ცნობილი სიტყვებიც:

მიხარის — გიმზერ,
ვჰსწუხვარ — და გიმზერ...
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე,
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!

თამარის ფერმიმკრთალი ფრესკა — ეს პოეტის თანამედროვე საქართველოა, მიტოვებული, დაჩაგრული, დაცემული, ფერდაკარგული. პოეტის რჩედი შერყეულა: „ვაჰ თუ რაც წახდეს, ვეღარა აღსდგესო!“ — შიშობს პოეტი და შეწუხებულია, რომ კედელზე დახატული დიდი თამარი ვეღარა ცნობს „გულშემუსვრილსა, დამცირებულსა, ხმა-მიღებულსა, ბედდაკარგულის ივერიის ძეს“, და საბოლოოდ მისი ნაღველი სოფლის კლასიკურ გმობაში გადადის:

ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?

დიდება ჩვენი
ცად სხივ-მიმფენი,
ნუთუ ეს-ღა გვაქვს ვაჰხედავთ რასაცა?

ჩვენ არა გვგონია, თითქოს სიმართლის რაღაცა ნაწილი მაინც იყოს ზოგიერთი მკვლევარის აწ მოძველებულ შეხედულებაში, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში საერთოდ ნაკლები ადგილი ჰპოვა პატრიოტულმა მოტივმა, სამშობლოს ბედის საკითხმაო. ცხადია, საერთოდ ეს საქმის ზერელე გაგების შედეგი იყო, მაგრამ გრ. ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში იგივე მოტივი სადავოდ არავის გაუხდია. გრ. ორბელიანი თავად სამშობლო ქვეყნის ოხვრაა, მისი წარსულისა და აწმყოს დარდი თუ იმედი, სიდიადე თუ განსაცდელი — ყოველივე ეს ისე მძლავრად აისახა ჩვენი დიდი რომანტიკოსის შემოქმედებაში, რომ უამისოდ გრ. ორბელიანის პირადული თუ ლიტერატურული ცხოვრება წარმოუდგენელია.

რწმენა და იმედი გრ. ორბელიანის შემოქმედებაში

ერთი შეხედვით, გრიგოლ ორბელიანი იმედდაკარგული პესიმისტია, მისთვის სამშობლოს ოდინდელ, დაკარგულ დიდებაზე მოთქმა რჩება ოხვრისა და ვაების მიზეზად, რადგან „წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოელი კეთილი თანა წარიღეს“, პოეტის გული მომავლის მკრთალ იმედის სხივს ვერ გაუთბია, მის გარშემო გამეფებული კაეშნის ყინულის გალხობას, ალბათ, მრავალთა ცხელი გული და დიდი დრო დასჭირდება. მართლაც, მომავლის ნათელ იმედზე პოეტს გარკვევით არაფერი უთქვამს, თუმცა აქვს ლექსი იმედზე:

იმედო, ნუთუ ღმერთი ხარ, რომ ფიქრი ყოველს შენკენ ჰრბის!
რომ ჩვენი სოფლად სიცოცხლე უშენოდ არა ნათლდების?
შენ გულს უმშვიდებ ნუგეშით ამა სოფლისგან დევნილსა,
შენ ცრემლსა უშრობ მტირალსა, შენ ატკბობ გამწარებულსა.
თვით საპყრობილეს, დავრდომილს, სასიკვდოდ განმზადებულსა
შენ შვების შუქით უნათებ ბნელ ჯურღმულს და მის ბნელ გულსა.

მართალია, ეს იმედი ადამიანს სამარემდე ძიჰყვება და სიკვდილის შემდეგაც უჩვენებს „სხვა სოფელს, სხვა დღესა დაუღამოსა, ზეცად ღვთაებრივ ცხოვრებას, ნეტარსა, საუკუნოსა“, და მეტი არაფერი... მაგრამ თუ საქმის არსს ჩავხედავთ და პოეტის ბუნების თავისებურებას ჩავწვდებით, შეუძლებელი აღმოჩნდება მისი დაყენება ევროპის პესიმისტი რომანტიკოსების გვერდით.

ლიტერატურის თეორეტიკოსებს ბევრი უწერიათ რომანტიზმზე, ისეთი გიგანტიც კი, როგორიც ჰიუგოა, აცხადებდა: მე არ ვიცი „რა არის ლიტერატურის კლასიკური სახე და რა არის რომანტიკული“. ერთი რამ მაინც ცხადია: კაცობრიობის უკეთესნი შვილნი ეძებდნენ რაღაც რწმენის მსგავსს, რომ თუნდაც იმედის სხივით ენუგეშებინათ სინამდვილის უარმყოფელი ადამიანები.

იმედის ამ სხივს ზოგი ქრისტიანობასა და მისტიციზმში ხედავდა (შატობრიანი, ნოვალისი), ზოგი წარსულის აღდგენაში საერთოდ (ლეოპარდი), ზოგიც სწირავს მსხვერპლს და გასცქერის მომავალს. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნიან ქართველ რომანტიკოსთა საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთაც არ გაუმეტებიათ ასე დიდხანს ნალოლიავები იმედის ლამპარი. არც გრ. ორბელიანს გადაუწყვეტია იმედი.

რომანტიზმი რთული ფილოსოფიურ-ლიტერატურული მოვლენაა ევროპის ცხოვრებაში, გამოხატულება მღელვარე პროტესტისა ახლად ჩასახული კაპიტალისტური სინამდვილისა და მისი კულტურის წინააღმდეგ. მთელი მისი ნაირსახეობების მიუხედავად, ეს დიდი მიმდინარეობა ერთი ზოგადი ნიშნით ხასიათდება: ხელოვნების გამოყოფით რეალური სინამდვილიდან და მისი დაყენებით ამ სინამდვილეზე მაღლა. აქედან მოდის ფანტაზიის უსაზღვრო თავისუფლება დროსა და სივრცეში, წარსულისა და შორეულის იდეალიზაცია, ინდივიდუალიზმი, უკიდურესი სუბიექტივიზმი და საბოლოოდ მომავლის იმედების უარყოფა. მაგრამ დე სტალის განსაზღვრით, კლასიციზმი და რომანტიზმი შეესაბამებოდა ორ დიდ ეპოქას მსოფლიოს ცხოვრებაში, რომელთაგანაც ერთი უსწრებდა ქრისტიანობის დღე ზეიმს, მეორე—მოსდევდა. მაგრამ ქრისტიანობაც, ლიტერატურაც და ყოველი სხვა იდეოლოგიური ზედნაშენი შედეგი იყო იმ სოციალური ძვრებისა, მატერიალური ბაზისის შეცვლის ნიადაგზე რომ მოხდა.

რომანტიზმი, ახალი კლასის დამკვიდრებისა და ძველი ფეოდალური წყობილების რღვევის ქარიშხალში შობილი მოძრაობა, მებრძოლი მოძრაობა იყო, თითქოს თან დაჰყვა კიდეც ამ ეპოქის — XVIII და XIX საუკუნეთა მიჯნის — მღელვარე სული. ეს იყო ბრძოლა პიროვნების თავისუფლებისათვის, ავტორიტეტების წინააღმდეგ, ერთგვარი ბრძოლა ყველაფრის წინააღმდეგ არაფრისათვის. ეს ბრძოლა შეიცავდა ქედმაღლური დაცინვის, სინამდვილის გაბიაბრუების ელემენტს. „ადამიანი ბუნებით სერიოზული პირუტყუიაო“, — ამბობდა გერმანელ რომანტიკოსთა ადრეული სკოლის ერთ-ერთი მედროშე ფრიდრიხ შლეგელი და ქადაგებდა სინამდვილეზე გადაბიჯებას, უმოქმედობას, ყოველგვარ მიზანსწრაფვაზე ხელის აღებას...

ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ გრ. ორბელიანი შორსაა ამგვარი ცინიზმისა და მისტიკური განწყობილებისაგან. იგი არ ეძებს იდუმალ თავშესაფარს მისისიპის ტყეებსა, ინდოეთის აკლდამებსა და ოკეანის ტალღებში. აქვე რჩება, მშობელ ნიადაგზე, ძველის ნანგრევებზე, და ძალიან ხშირად ახლის, უკეთესის აშენებაზე ოცნებობს.

წარსულზე ყველა რომანტიკოსი ლაპარაკობს, მაგრამ ზოგისთვის ეს‍აა მომავლის აკლდამა, ზოგისთვის კი ღელფი, რომელშიაც ღვივის მომავლის იმედის ნაპერწკალი.

გრ. ორბელიანი არ კარგავდა თავისუფალი და დამოუკიდებელი, აღორძინებული და ბედნიერი საქართველოს მომავლის რწმენას. „ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვალად აღდგინებულს არარაისგან. ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისაო“, — ამბობდა „საშინელი მეზობლის“ გულქვა მოხელეთა საქმეანობით უკმაყოფილო პოეტი და იმედს არ კარგავდა, რომ მისი მრავალწამებული ქვეყანა კიდევ აღდგებოდა, დასძლევდა ახალი „ოცდაათის წლის მორჩილების“ შედეგებს, დალეწავდა „ცუდი მონების“ ბორკილებს. თანაც არა მარტო სიტყვით ქადაგებს, პრაქტიკულ გზებსაც ეძებს, წუხს ქართველთ წახდენას, ერთიმეორის მტრობას და გაუტანლობას.

ამ ძლიერი პოეტური პიროვნების შემოქმედებაში მთელი მისი

ოხერა-გოდების მიუხედავად, აშკარად შეიმჩნევა ერთგვარი ხალისიანი ოპტიმისტური ნაკადი, მეტადრე ახალგაზრდობისდროინდელ ლექსებში. იგრძნობა დაუშრეტელი ხალისი, ჰედონიზმი, ოცნება მომავალზე, „ნამდვილობა და ჰეშმარიტობა“ აწმყოს სურათების ასახვაში, როგორც შენიშნა ილია ჭავჭავაძემ. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ მის დამსახურებაზე მომავლის წინაშე, მის გაუტეხელობაზე და მოქალაქეობრივ-პატრიოტულ პათოსზე, რაც თავისთავად მომავლის სამსახურში დგება.

მომავლის იმედითა და ხალისით სუხთქავს პირველი ცნობილი და საგულისხმო ლექსი „ანტონს“, თუმცა ამ ლექსის ავტორისათვის ბედს უკვე გაუკრავს თავისი მსახვრალი კლანჭები.

პროფ. აკ. გაწერელიამ დაადგინა ამ ლექსის ადრესატი და მიუთითა, რომ ანტონ ორბელიანი ქართველ გრენადერთა პოლკში მსახურობდა, ვინმე ხამუტსკის ნაწილში.

ჰე, ჰაბუკო, სიხარულით დღენი შენნი განატარე,
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე,
ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქვნდეს სახე მოცინარე,
სიცოცხლითა აწვე დაჰსტკბი, მხიარულობს გული ვიდრე.

სიხარული საუკუნოდ არ გრძელდება, მალე ეწვევა ადამიანს სიბერე და ათასი ძნელბედობა, ამიტომ პოეტი ჰაბუკს აფრთხილებს, შისცეს მეგობრობას სიცოცხლე, სიყვარულს კი გული, რადგან „ამათგან ჩვენი ცხოვრება არს ტურფად აღყვავებული“, მეგობრობა და სიყვარული აძლევენ ადამიანს იმედს, სიამესა და ღიმილს, მათ უნდა მივენდოთ, რომ განქარდეს წუხილი ჩვენი. ამავე იდეას ავითარებს პოეტი ტოლუბაშში, ხოლო სიყვარულისა და მეგობრობის აღიარება, როგორც არა ერთხელ თქმულა, უკვე თავისთავად არის უნივერსალური პოზიტიური მოვლენა, რაც გრ. ორბელიანს მოწინავე ადამიანთა შორის აყენებს. პოეტმა ბევრი სიმწარე იგემა და ამიტომაც მოუწოდებს ხსვას, დატკბეს და მტკიცედ შეხვდეს ჟამთა სიავეს.

მომავლის იმედიანად მიღებაზეა ლაპარაკი „ანტონზე“ ექვსი წლით გვიან დაწერილ ლექსშიც „ჩემს დას ეფემიას“. პოეტი სიხა-

რულით შესცქეროდა მომავალს, სიყვარული ლამპრად ენთო მის გულში, ჰმუნვის ცრემლი უცხო იყო მისთვის:

მეგობართ შორის უზრუნველი დავმღერდი მარად
და სიამითა უმზერდიცა დღეთ მომავალთა!

პოეტის გულს „რაღაცა გაელვებით განახარებდა“, „თითქოს სცდილობდა განბნევასა გულის სიბნელის“, „და მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისაო“,—გვარწმუნებს რომანტიკოსი, რომელიც ამით გამოხატავს თავის გიგანტურ მისწრაფებას ცხოვრების აღიარებისაკენ, სიცოცხლით დატკბობისაკენ, მისი ჩაწვდომისა და მიღებისაკენ.

შემთხვევით არ ვუსვამთ ხაზს ამ მომენტს. ცხოვრების მიღება, მისი სამხიარულო განცდა აწმყოს აღიარებასთანაა დაკავშირებული, ხოლო აწმყოზე გადის მომავლის გზა, და ამას ბუნდოვნად გრძნობდა ჯრბელიანიც.

როცა ი. ჭავჭავაძე ეხება წარსულს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, იმასაც შენიშნავს: „ალ. ჭავჭავაძის გზას დაადგა გრ. ორბელიანიცო“, „თითქოს იგრძნო, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია“ და „აწყმო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ამრიგად, ილიამ გრ. ორბელიანი მიიჩნია ალექსანდრე ჭავჭავაძის გზის განმგრძობად, და ეს იყო „განუწყვეტელი ჯაჭვი აზრთა ზრდისა“, რომლის ბოლო რგოლი ნიკოლოზ ბარათაშვილია.

გრ. ორბელიანის პესიმიზმს პირადი ძნელბედობაც უძევს საფუძვლად.

ორბელიანიც ოცნებობდა ნათელ ცისკარზე, მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს!

პოეტი-არისტოკრატი ყაზარმაშია, ბეჟანა მკერვალს დარჩა ბურთი და მოედანი! მაგრამ ქვეყნის ბრუნვას რა გაეწყობა! მსგავსი კონტრასტები სტიქიურად იჭრებიან პოეტის შემოქმედებაში და ოსტატურად წყდებიან.

პოეტს უყვარს ცხოვრება თავისთავად, მაგრამ უნდა აწმყო გარდაქმნას, ვინაიდან ამ სახით მისი მიღება არ შეუძლია. იტანჯება,

---

• ი. ჭავჭავაძე, თხზ. კრებ., ტ. IV, „ქართ. წიგნი“, 1927, გვ. 230.

მაგრამ ისიც იცის, რომ

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა,
დამბერველ ეშხის ცეცხლისა.

მისი გული ადრევე ტრფობით ანთებულა და იგიზგიზებს სიკვდილამდე. ამ სიყვარულმა მიიყვანა მამულისათვის თავდადების იდეამდე. „ფუჭია მისი სიცოცხლე, ვინც ვერას არგებს მამულსაო“, — პოეტის ცნობილი სიტყვებია, და ეს წარსულის იდეალიზაციაზე მეტია, — დასკვნა, მისაღები ყველა დროისათვის.

პოეტი დაჰნატრის მათ, „ვის აქვნდათ ტრფობა მამულისათვის გულს აღბეჭდილად“, და ამით სურს მაგალითი მისცეს მომავალ თაობებს სამშობლოსათვის თავდადებისა.

პოეტი სულაც არ შესცქერის შურით ნას,

ვისაც ნუგეში ცხოვრების იმედიც არა ჰშთომოდეს,
რომელ ოდესმე ცისკარი თავისუფლების აღმოჩნდეს!

პოეტს „თავისუფლებისათვის სული მარადის უკვნესის“, მოსვენება დაუკარგავს. საკუთარი სათქმელივით იმეორებს ნალივაიკოს სიტყვებს:

სიყრმით ჩემითგან გულს ცეცხლი თავისუფლების აღმენთო,
რა მესმა ძველთ დროთ ღიღინი, ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო.

თვითონ პოეტი ეძებს გმირს, ნალივაიკოს და ძველ ქართველ გმირებს რომ დაემსგავსება:

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს,
რომელ მარჯვენით
ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?

წარმოუდგენელი შეუსაბამობა იქნებოდა ფიქრი იმაზე, რომ ამ სიტყვების ავტორს „ტოლუბაშის“ ერთ-ერთ ვარიანტში გულწრფელად დაელოცა ეს ვეშაპი — იმპერატორი ნიკოლოზი.

გმირის მაძიებელი პოეტი მეტად სკეპტიკოსი იყო იმისათვის, რომ რეალობად მიეღო თავისივე ოცნება, მაგრამ ამ თავგამოდებული

პატრიოტის მგზნებარე სულში მთლიანად არასოდეს ჩამქრალა რწმენა. მისი „დავნატრი დღეთა“ და „ვინ აღჩნდეს გძირი“ ამ დროისათვის გარკვეული რეზონანსის მოვლენა იყო და ეს სიტყვები დევიზად ჰქონდათ ცარიზმის წინააღმდეგ ამხედრებულ პატრიოტებს, რილეევის „ნალივაიკოსთან“ ერთად.

შეთქმულების დამარცხებას მოჰყვა მებრძოლთა ტლანქ სინამდვილესთან შერიგება, მათ პოეზიაში შენელდა საბრძოლო ძახილი და სევდა-ჭმუნვამ დაისადგურა.

მაგრამ თვით „დიდების დღეთა“ ყველაზე უფრო დაუღალავი ჰირისუფალი არ გადაშვებულა იმ რეაქციული იდეების სამეფოში, სადაც მისტიკურ ბურუსში გახვეული დიდი ევროპელი რომანტიკოსები, თავისუფალ ერთა შვილები გამოსავალს ან სიკვდილის ქადაგებაში ხედავდნენ, ან ბნელი პაპიზმის კალთაში, ან შლეგელისეულ „ტრანსცენდენტურ დაცინვაში“, რითაც კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასული მისტიკოსი რომანტიკოსი ქადაგებდა ამა სოფლის ამაოებას და კათოლიკურ წიაღში დაბრუნებას. ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის რომანტიზმის ბურჯები შორეულ ზღვებსა და უღრან ტყეებში მიაქროლებენ თავიანთ საყვარელ გმირებს. გრ. ორბელიანი კი თუ რამეს ნაღვლობს, სამშობლოდან დაშორებას ნაღვლობს, მისი ცისფერი ყვავილი კოჯორში, ბორჯომში და თბილისში ხარობს. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ისეა საქართველოსთან შეზრდილი, როგორც ფეხვმაგარი მუხა — მშობელ მიწასთან. მისთვის უცხოა ავადმყოფური ჰალუცინაციები, გაქცევა, ნაძალადევი სიყვარული და ფატალისტური დაპირისპირება წარსულისა და აწმყოსი.

თვით უიმედობის ნამდვილ დეკლარაციაში — „თამარ მეფის სახე“ —პოეტი წინასწარმეტყველურად ქადაგებს ერის განახლებაზე, იმედი აქვს, რომ

შენი ივერი
აღდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის...

. .

და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა.

პოეტი ოცნებობს თავისუფალ, აყვავებულ, რუსთაველის დროინდელ ღირსებამდე ამაღლებულ საქართველოზე.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ პოეტს მამულის სიყვარული თან სდევდა და დაცემულის სამშობლოს მკვდრეთით აღდგენის იმედი არასოდეს არ დაუკარგავს. წარსულის გახსენება, გარდასულ დროზე ოხვრა და ვაში, სახელგანთქმულ გმირთა აჩრდილების გამოწვევა მისთვის მხოლოდ გულის გასამაგრებელი ღონისძიებაა და იმ მიზნით ხდება, რომ „ხნით დამაშვრალი, დაღონებული, ცის შემრისხავნი სრულად არ წასწყდნენ“, თორემ წარსულ ტკბილ დროს იგი ისე იხსენებს, ვით „მზეს დიდებულად ჩასვენებულს, ვით განვლილსა სიზმარსა ტკბილსა“ და ყოველივე ეს იმისათვის სჭირდება, რომ უძლიერესი საქართველოს მონარქს შესთხოვოს ბედკრული ივერიის მისი სატრფო მამულის და კეთილი სამწყსოს მოვლა, მიხედვა, პატრონობა, რათა მისი ივერი აღსდგეს ძლიერი, და დადგეს ერად სხვა ერთა შორის, რათა სამშობლო მიწის სიყვარულმა კვლავ მოახდინოს სასწაული, აღდგენილ იქნას წმინდა საყდრები. სწავლის შუქი მოეფინოს კვლავ ქვეყანას, ამაღლდეს ზნეობრივად ხალხი, რისხვა დაეცეთ უბედურ მეზობლებს, განქრეს ბნელი უმეცრებისა და კვლავ მოესმას სიტყვა ქართული რუსთაველისა. სამშობლოს აწ‌ყოთი გულშემუსვრილ ორბელიანს უიმედობისა და სასოწარკვეთის დროსაც არ სტოვებს იმედის სხივი და ეჭვით აღვსილი და უსასოდ ქმნილი პოეტი კითხულობს: „ვაჰ თუ რაც წახდეს, ვეღარა აღსდგეს, ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებით?“ დიახ, კითხულობს და არა სჯერა, ეს არაა რწმენა იმისა, რომ „რაც დაეცა, ის წარიტაცა შავმან ყორანმან ვით უმწე მსხვერპლი?“ ეს რომ არაა პოეტის რწმენა, იმითაც დასტურდება, რომ ასეთი სინამდვილის მიღება პოეტს არას გზით არა სურს და იგი გაურბის მუხთალ, ცრუ სოფელს, დაუნდობელსა და უღვთოს, არ სურს გამოფხიზლება ბურანიდან, რომ არ იგრძნოს სამშობლოს სულით დაცემა და არ იხილოს დაყრუებული, გზა შეუვალი, უდაბურს ტყეში განმარტოებით შთენილი დარღვეული კედლები, „სად სახე მეფის, დიდის თამარის სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..“ სხვა საქმეა, რომ „შავი უმეცრებიდან“ გამოსავალი ვერ იპოვა, მისთვის მომავალი მაინც ბუნდოვანია და ვერც უპოვნია

„ეროვნული და სოციალური უფლებებისათვის ბრძოლის გზა“*. ამიტომაც მერყეობს.

ეს მერყეობა, სასოწარკვეთილებისა და აღორძინების მძაფრი შინაგანი ჭიდილი, რაც გამოსავალს პოულობს ხან ოხვრაში, ხან საოცარი ტემპერამენტით ნათქვამ იმედიან სიტყვებში ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას გადაჭრით ვთქვათ, რომ ორბელიანის პოეზია, თუნდაც ბოლო წლებისა, ერთიანი გოდება იყოს წარსულ საქართველოზე.

მწერალი რთული ფენომენია. მისი ბუნების გარკვევა, არც მისი დამსახურების შეფასება არ შეიძლება მარტოოდენ ცალკეული გამოთქმების, ოხვრისა თუ აღტაცების მიხედვით. ირ. ევდოშვილისა არ იყოს, პოეტი „ხან ატირდება, ხან გაიცინებს“, მაგრამ მსჯავრის გამოტანისას მხედველობაში უნდა მივიღოთ უპირველეს ყოვლისა მისი ობიექტური დამსახურება, ოპტიმისტური ხმა, ნათლისა და კეთილის სიყვარული, რასაც ორბელიანს ვერავინ წაართმევს.

თუ მარტო პესიმისტურ მხარეს განვიხილავთ, გრ. ორბელიანი შეიძლება ნოვალისივით უიმედო რომანტიკოსად გამოვიყვანოთ, მაგრამ მის შემოქმედებაში ბევრ ისეთ ლექსს შევხვდებით, რომლებშიაც გამოთქმული აზრი ნოვალისს ამბოხებად მოეჩვენებოდა.

ქართველმა ხალხმა მიიღო და შეიყვარა გრიგოლ ორბელიანი. ამას ადასტურებს მის გასვენებაზე საპატივცემოდ თავმოყრილი ზღვა ხალხი. ვინც ქართველმა ხალხმა მიიღო, შეიტკბო და შეიყვარა, მიიღო სამუდამოდ, ხალხი კი მხოლოდ ღირსეულთ იღებს და აფასებს.

იმ დროის მოწინავე გაზეთი „დროებაც“ ხალხის გულისთქმას გამოხატავდა, როცა დასტიროდა პოეტს, „რომელიც თავისი ძლიერი ხმით აღვიძებდა და ამხნევებდა ჩაძინებულს და უიმედობით დამაშვრალს ქართველებს**. ეს დიდი სიყვარულის გამოხატულება იყო. ორბელიანმა სწორედ ასეთი დაფასება დაიმსახურა. ის არ იყო გზის გამკაფავად და ხსნის გზის მაძიებლად დაბადებული, მაგრამ დამამკვიდრებელთაგანი კი იყო იმ დიადი ძალისა, ეროვნული პოტენციისა,

---

* ლ. ასათიანი, გრ. ორბელიანი, თბ., 1946, გვ. 103.

** „დროება“, 1883, № 65.

რომელსაც ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა ეპოვნა ახალი გზა ხსნისა".

XIX საუკუნის ქართველთა ეროვნული მედროშისა და სულიერი მამის ილია ჭავჭავაძისათვისაც გრ. ორბელიანი იყო ის, „ვინც ძლიერებას მძლეის სიტყვით ამცნო სიმართლე და ძმებს დაცემულს მისცა ხელი აღსადგენადა"*, „კაცი, რომელსაც სწყუროდა, რომ ჩვენ განვახლდეთ, სულით ავმაღლდეთ, და განქრეს ბნელი უმეცრებისა..."

შეიძლება თქვან, წყურვილი სხვაა, იმედი კი სხვაო, მაგრამ სადავო არაა ამ ცნებათა სიახლოვე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ: „სურვილი ღვიძლი მამაა იმედისა". იმ რომანტიკოსებთან შედარებით, რომელთაც არც წყურვილი ჰქონიათ, არც სურვილი და არც იმედი, გრ. ორბელიანი მოწინავე შემოქმედი იყო. მის პოეტურ შემოქმედებაში „არის მთელი რიგი მონაცემები, რომლებშიაც მებრძოლი განწყობილებანი და მომავლის დიადი რწმენაც მკვეთრად იგრძნობა"**.

იდეალის, სიყვარულის, ადამიანობის პოეტად ესახებათ გრ. ორბელიანი ძველსა თუ ახალ მკვლევარებს. მაგრამ ყოველგვარ თეორიულ მტკიცებაზე დამაჯერებელია ანგარიშიან და პრაქტიკულად მოაზროვნე ხალხის, ბაყლების წარწერა, რომელიც მათ მიერ მიტანილ გვირგვინს ამშვენებდა: „შენ ძმას დაცემულს ხელს აძლევდი, რომ აღგედგინა".

ზემოთ მოვიხსენიეთ ლექსი „იმედო". მაგრამ როცა გრ. ორბელიანის ნათელ ოცნებასა და იმედზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში არა გვაქვს ეს ლექსი, რომლის მიხედვითაც „იმედის ცნების მნიშვნელობა იმ ქვეყანაში წყდება" (ს. ჭილაია)***. ამქვეყნად კი იმედი მისთვის ღმერთია, ის ნათელი ლამპარია, რაც პოეტს შთააგონებდა სამშობლოს სიყვარულს, მეგობრობას, სიწმინდესა და ადამიანობას.

მართალია, პოეტმა სიცოცხლეში ვერ ნახა ხორცშესხმული

---

* ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1927, ტ. IV, გვ. 278.

** აპ. მახარაძე, ქართ. რომანტიზმი, 1945, გვ. 36.

*** ს. ჭილაია, ვახტ. ორბელიანი, საბლიტგამი, 1941, გვ. 49.

იმედი, მისი იდეალი, საფლავს ჩაიღდა გოდებით, მაგრამ უდავოდ ახსოვდა თავისივე სიტყვები:

და ვერ ვთქვი რაცა ის წყლულად
გულს დამშთა და მით ვიტანჯვი.

ამ უთქმელ სიტყვად ჩვენ მიგვაჩნია ნათელი იმედი მომავლისა, რასაც მთელ სიცოცხლეში ეძიებდა. ამ მომავლის კარიბჭეზე რუსთაველის სახელი უნდა ეწეროს. ეს ნიშნავს, რომ გრ. ორბელიანის რომანტიზმის წყაროა არა ბუნდოვანი მისტიკური ჰაობი, არამედ ჩვენი დიდი ლიტერატურის ანკარა წყარო და ეთიკური ტრადიცია.

გულმოკლულია პოეტი, შეცდა აფხაზი, ვეღარ აღადგენს დროირაკლის დიდებას, „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს". მაგრამ პოეტი მაინც მხნეობს, მაინც შეფარვით იმედოვნებს, რომ აღდგება საქართველო და იზეიმებს ენა ქართული რუსთაველისა.

მთელს სიცოცხლეში გასდევს გრ. ორბელიანის შემოქმედებას უკმაყოფილების, ჰმუნვის დაღი, ოღონდ მოღვაწეობის პირველ პერიოდში ეს უკმაყოფილება მეამბოხური სულისკვეთების შემცველია, მეორე პერიოდში კი უფრო მძიმე და კაეშნიანი სევდისა, რამაც თავისი ცხოვრების ცნობილ ეპილოგში ათქმევინა: საფლავს ჩავდივარ სიმწარითო!

დიდი ადამიანის, დიდი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპილოგად ისმის გარდაცვალების წინ, 1883 წელს დაწერილი ორტაეპიანი ცნობილი ლექსი:

დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით.

ეს ფრაგმენტია, დიდი ფიქრისა და ვნებათაღელვის პოეტური ფრაგმენტი, დიდი წარსულის ნამუსრევი, დიდი რომანტიკოსის უკანასკნელი ამონაკვნესი, რაც შეიძლებოდა ეპიტაფიად ან საგვარეულო გერბის წარწერად აერჩიათ.

მაგრამ ამ ფრაგმენტის უკან, საერთოდ გრ. ორბელიანის მწუხარების ნიღბის უკან, იმალება დიდი პატრიოტი, თავისი ქვეყნის აღორძინებისა და მომავლის მოიმედე, ცხოვრების სიამეთა მო-

ტრფიალე, გაუტეხელი პოეტური ბუმბერაზი, რომლის შემოქმედება მაინც მხნეობასა და სიმტკიცეს უნერგავს მკითხველს, რუსთაველის ენაზე მეტყველ ძამაც ხალხს.

„დრომ უნდა აღადგინოს საქართველო“ — აფხაზის ამ მოკვეთილ თქმაში გამოჩნდა დიდი რწმენაც და დიდი სევდაც დაცემულ საქართველოს ბედზე. მართალია, ეს აფხაზის სიტყვებია, მაგრამ პოეტი, რომელმაც ისინი შემოგვინახა, თვითონაც იზიარებდა ამ სიტყვების მაღალ აზრს, თვითონაც ელოლიავებოდა ამ იმედს და იდუმალ ატარებდა გულში საქართველოს აღორძინების დაუცხრომელ რწმენას.

სიყვარული და მეგობრობა

სიცოცხლე შვენის სიყვარულითა.

გრ. ორბელიანი

სიყვარული, მეგობრობა, მღელვარე გრძნობათა ჭიდილი, გული — დედააზრი და ღერძია კაზმული ლიტერატურისა ყველა დროისა და ხალხისათვის. ამიტომ მათი კულტი არც გრ. ორბელიანის შემოქმედებაში იწვევს გაოცებას. არც ის გვიკვირს, რომ ჩვენი რომანტიკოსიც გულს აძლევს უპირატესობას გონების წინაშე, მასვე თვლის ღირსების საზომად და სწამს, რომ თუ ერთხელვე ძლიერი ადამიანის მტკიცე გულში მოხვდება გრძნობა, მას უკვდავებას აზიარებს.

სიყვარული ადამიანის უზენაესი მადლია, ცით მოვლენილი ბედნიერება, რომელსაც არა აქვს დასასრული, არა აქვს მიჯნა და ზღვარი.

სიყვარულისა და გრძნობის მთავარ ობიექტს უხსოვარი დროიდან პოეტების მუზის თაყვანისცემისა და გაღმერთების საგანს, თემას, ათასჯერ გადამღერებულს, ხან მოსაწყენს, ხან ამაღლებულს, ხან გაცვეთილს, ხანაც ისევ მომხიბლავს გრ. ორბელიანმა თავისებური სული შთაბერა ამაღლებულად, საინტერესოდ და ორიგინალურად უმღერა. დამაჯერებლად გადაგვიშალა სულის დამატკბობი,

ენების ამშლელი და ჟრუანტელის მომგვრელი გრძნობით, რაც მის პოეტურ ძლიერებაზე ლაპარაკობს.

ბედნიერება სიყვარულის ყვავილია, მისი მოწყვეტა ძნელია, მაგრამ სიძნელე სუსტს ერევა, თორემ ძლიერ ნებისყოფას აწრთობს და აკაჟებს. უსიყვარულოდ არ არის სიხარული, არ არის ბედნიერება, არ არის აზრი ცხოვრებისა. მით ეზიარება ადამიანი უკვდავებას. სიყვარულით ანთებული გული სძლევს ყოველ დაბრკოლებას. ადამიანი სიყვარულში ივიწყებს მტერს, ომსა და დიდებას, მას სწირავს გულს და სიცოცხლეს. არ დაინანებს მისთვის არავითარ მსხვერპლს ადამიანი, რადგან ძველთაგანვე ღაღადებს ქართული სიბრძნე, სიყვარული ამაღლებს ადამიანსო. სიყვარული ნუგეშის წყაროა დაუშრეტელი, თან წაჰყვება ადამიანს იმიერ სოფელს, არ განშორდება სატრფოს სახე, სამარეს ჩამავალისათვისაც კი ნუგეშია სატრფოს ცრემლი; საპყრობილეა სასუფეველი უსიყვარულოდ, და თუ კაცი სიყვარულს დაკარგავს, უკვდავებამ მის წილ რა უნდა მისცეს?

„ტოლუბაშის“ პირველსავე ვარიანტში პოეტი მთელი გრძნობით უმღერის მეგობრობას, ესაა სიყვარულის ნამდვილი ჰიმნი.

ჰე მეგობრობავ წმინდაო! ფიალად აღქაფებული,
შენდა არს ერთგულთ ხმათაგან, ვით მსხვერპლი შემოწირული:
ხელი ხელსა, ბაგე ბაგეთ! განვაახლოთ სიხარული!
შევსვათ, ძმანო! დავამტკიცოთ ურთიერთთა სიყვარული.

მეგობრობა შვების ვარსკვლავია, ცხოვრების გზას რომ უნათებს ადამიანს, სიხარულის დაუშრეტელი წყაროა, და ბედნიერია, ვისაც კარგი მეგობარი შეხვდება, ის გაუქარვებს ჭმუნვას და ისვე გაუორკეცებს სიხარულს.

მეგობრობა და სიყვარული განუყრელი ცნებებია პოეტის შემოქმედებაში. ეს წმინდა კავშირი დეენის სულმოკლეობას და იგივე მუსრავს მტერთა მრავლობას.

„ტოლუბაში“, კერძოდ, მისი პირველი ვარიანტი, სიყვარულის ერთიანი ჰიმნია.

რაა გინდ მოვკვდე? მაინც შენდამო
სულს სიყვარული თანა წარჰყვებაო!

უკვდავება არს სულის დატკბობა, რომელს
დასასრულ არა ექმნებისა!
მაშ სახე, სულის დამატკბობელი, იმიერ სოფელს
არ განგვშორდებისა!
და სიყვარული ჩვენთ დღეთ მაშვენი
სიცოცხლესთანა არა დაშტრდების.

ვინ იცის, როგორი შთაგონებით კითხულობდა სიყვარულის ამ ჰიმნს მოხუცი პოეტი, ხან რომ ადგებოდა, სავარძელთან მივიდოდა, ხანაც ლოგინს დაუბრუნდებოდა, მარტო, უნუგეშო, უცოლშვილო, ბრძენი და ყოვლისმცოდნე მოხუცი.

სიყვარული — ესაა უზენაესი ნუგეში, რაც ადამიანს ავიწყებს ყოველგვარ დარდსა და უსიამოვნებას, რომელიც გვამაღლებს და გვაკეთილშობილებს. დაღლილი, გადარჩენილი მხედრები დუმილით ისმენენ სუფრის უფროსის ახალ სიტყვას:

ძმანო! ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება,
მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება,
რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება!

სიყვარული ან მოგონებაა ან იმედი, ან მოგონებაც და იმედიც. თუ ის წარსულს ჩაბარდა, ადამიანის სიხარული დასამარებულია:

გულისა მნათი, ლამპარი ნუთუ ჩემთვისა განჰქარდა
და ჩემი ბედნიერებაც წასულთა დღეთთან წარვიდა?..

ადამიანი ბედნიერია, თუ ის შეყვარებულია, თუნდაც სატრფო ტანჯავდეს, „ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს, ხან ლმობითა ნუგეშ გვცემდეს!“ ვინც ჩაუკვირდება, ამ მსჯელობაში დიდი ცხოვრებისეული სიბრძნეა ჩაქსოვილი, იგივე აზრი, რაც პოეტს სხვაგან ასე სხარტად აქვს გამოთქმული: „ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა“.

პოეტი იტანჯება, მოლოდინი ცეცხლზე ცეცხლს უმატებს, სიშორის სიმწარემ გული გადაულია, მაგრამ ისიც იცის, რომ

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშყის ცეცხლისა,
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა.

აქ ისევ ტანჯვის ერთგვარ მნიშვნელობაზეა ჩამოვარდნილი სიტყვა და ამას ღრმა ფილოსოფიური გააზრება აქვს.

სიყვარული ტანჯვისა და იმედის მთლიანობაა, ტანჯვა ვალია და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა, და ორივე ერთად ამაღლებს, ადიდებს კაცის ბუნებას. ამ მაგალითზე ერთხელ კიდევ იჭრება ცნობიერებაში რწმენა პოეზიის ჯადოსნური ძალისა, თვით პირადი ცხოვრების კაპრიზებს რომ ძალას უკარგავს და ადამიანებს აღამაღლებს, ათანასწორებს, აკეთილშობილებს.

იოლი მონაპოვარი ადამიანს აგრერიგად არ ახარებს. ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია. ვინც გვტანჯავს, ამით უფრო გვიზიდავს და ანთებს, აღვიძებს მიმალულ ენერგიას, — თუ, ცხადია, ეს „მტანჯველი“ გვიყვარს და გვიღირს ამ ტანჯვად. ამას გულისხმობს მიჯნურთა ჭირის დიდი მცოდნე, როცა სატრფოს მიერ მიყენებულ ტანჯვასა და სიხარულზე ალაპარაკებს თავის მხედრებს.

სიყვარული ხდება იდუმალ სულთა რაღაც ამოუხსნელი კავშირი, სიტკბოების ზღვა, მოლოდინის უზენაესი გამართლება:

... გული რად ესრე მიკვდება?
ვიდრე თვალთ ნახეს, სულმან სცნა საყვარლის მოახლოება;
ჯერ თვალთ ძლივ ნახეს და მე კი მასა დავუწყე ბაგება...
ჩვენ ორთა აზრნი, თვით სულნი, ერთად შეერთდნენ, შედუღდნენ...

სიყვარული, სულთა ეგზომ ძლიერი კავშირი ტანჯვის მომცემია — და ეს ტანჯვაც აუცილებელია — მაგრამ იგივეა ღიმილის, ბედნიერების, შვების და ლხენის წყარო დაუშრეტელი. ეს სიყვარულის ორბელიანისეული, ამაღლებული, მშვენიერი, თანაც ორიგინალური ახსნაა.

„თუ სიყვარული დასრულდა, ის არ ყოფილა ნამდვილი“,

უთქვამთ მანამდეც. სწორედ ასეთი უნაპირო, უსასრულოა, გრ. ორბელიანის გაგებით, ეს ციური გრძნობა. მის ლექსებში მჟღავნდება ამ ხალასი გრძნობის თაყვანცემა, რაინდული გამბედაობა, გაწბილებული მიჯნურის სევდა და „ლამაზი პირველყოფილობა“, როგორც მოხდენილად შენიშნა ვ. კოტეტიშვილმა.

პოეტის შემოქმედების მეორე პერიოდის ინტიმური ლირიკის

მიმოხილვა შეიძლება დავიწყოთ მისი ერთ-ერთი შედევრით „ჩექს დას ეფემიას“. ესაა პირადი უბედურების უაღრესად ძლიერი პოეტური საღებავებით გამოსახვის ნიმუში, ელეგია პოეტის გაცრუებული იმედებისა და მცირეოდენი ნუგეშის სხივი, რასაც წმინდა მეგობრობა იძლევა.

გრიგოლ ორბელიანის ხანგრძლივი ცხოვრება ისე ჩაინავლა, რომ მას არ უგემნია ჭეშმარიტი ადამიანური სიამენი ამა სოფლისანი, მისი გული არ დამტკბარა ამა ქვეყნის ყვავილთა ნექტრით, მან ვერ მოასწრო სასიხარულოდ გაშლილი სიცოცხლისაგან მოემკა ის ნაყოფი, რასაც იმსახურებდა და დილას მისას, რომელიც პოეტს, მხოლოდ ამა სოფლის ყვავილთ უჩვენებდა, გულს სასიყვარულო ლამპარს აღუნთებდა, თვით ეკალთ ვარდად გარდაუქმნიდა, ჰმუნვასა ცრემლთ ავიწყებდა, მეგობართ შორის უზრუნველად ამღერებდა და მომავალ დღეთ სიამით ამზერინებდა. უეცრად დაჰბერა უბედობის ქარმა ძლიერმა, თან წაიტაცა ნეტარების ძვირფასნი წამნი, სიხარული და სიამენი ისე განქარდა, „რომ აჩრდილიც არა დაშთა“ მისდა ნუგეშად, ჰმუნვათა დასნი ქარიშხალივით შეიჭრნენ მის გულში და უღონოდ ქცეულ მსხვერპლს პელიკანივით შეუბრალებლად დაუწყეს ფლეთა, ნათლის მომფენი ცაც მოიქუფრა მის თავზე და საავდრო ღრუბელთ ქვეშ მომწყვდეული პოეტი ვაების უფსკრულს ისე დაეცა, ვით „უმწე მსხვერპლი“. მისი გულის სიღრმიდან მომდინარე ოხვრის სასმენად ყველას სმენა დაეხშო და მარტოსულს ვაება, დრტვინვა და ურვა დარჩა შეუსმენელ ღაღადისად უდაბნოსა შინა, ცრემლთა დენით დაედაღა ღაწვნი, მაგრამ მშველელი არსაიდან ჩანდა, არავისი ნუგეში არ ესმოდა და განწირული სულისკვეთება უკვალოდ ჰქრებოდა ზღუდეთა შორის. გარს შემოჯარულ ზღუდეთ სიმაღლემ კი ისე დაჰფარა ზეცა, რომ პოეტი ვეღარ სცნობდა ცისკრის ვარდისფრად ბრწყინვას, შეუმჩნეველი შეიქმნა მისთვის დაისიც, დღე იყო უნათლო, ღამე უმთვარო, უვარსკვლავო და აღსასრულიც, ვითა ნუგეში, ამქვეყნიურ უბედობიდან თავდაღწევისა სანატრელი შეიქმნა მისთვის. იგი თითქოს ცოცხალი ჩაასვენესო სამარეს. მსწრაფლად მიმქროლავი დრო კი, თითქოს განგებ ზანტად და ნელიად მიიზლაზნება მწუხარების ჟამს. მისთვის უჩინოდ მდინარებდნენ დღენი და თვენი. იგი არ სდევდა ჟამთასვლას,

შეაშრა შვების მომგვრელნი ცრემლნი, მაგრამ ჰმუნვა არ განქარვებია. მის გულს არსაიდან ესმა ნუგეშის ხმა, ნათელი სხივი არსაიდან გამოკრთა მისთვის და მის უბედურ გულში წყვდიადმა დაისადგურა. ეს იყო იქ, უცხოეთის ცის ქვეშ. მაგრამ რა ელოდა საშობლოში დაბრუნებულ პოეტს? იგი იმედოვნებდა, რომ აქ მაინც გადაიყრიდა გულიდან სევდას და წარსულთ ტანჯვას დაივიწყებდა, მაგრამ ბედის ეტლმა აქაც უმუხთლა, მშობლის ალერსის ნაცვლად მისი სამარე იხილა და თითქოს განგებ „გლახ გულისა სანუგეშოდ ვერ ჰპოვა ცრემლნი! გარს მოჯარულ უბედობათაგან ტანჯული პოეტი სასოწარკვეთილებამდე მიდის და დაუდევრად აცხადებს: „ხვალე არღა მწამს, ვით ღამეში მაცდური სხივიო“. ამის შემდეგ მისთვის ყველაფერმა თითქოს აზრი დაკარგა და ყოველ მშვიდობით განვლილ დღის გამო, ლოცვად დამდგარი პირჯვარსღა იწერს. განაწამებსა და დასევდიანებულს ისღა შთენია, რომ იხატროს, მისთვის შთომილ შავ დღეთა დენა არ შესწყდეს, მანამ, ვიდრე საკუთარ დედმამიშვილს, ერთადერთ დას, არ იხილავს და მისი ხელით მშობლიური მიწა არ დაეყრება.

შემთხვევით არ ვიხილავთ ამ ლექსს მეგობრობის საკაცობრიო მოტივთან ერთად. ნუგეშისმცემელი, ჰკვიანი, გულის საიდუმლოებათა გამგები დის შთამაგონებელი სახე სიმბოლოა ამაღლებული მეგობრობისა, რაც ცხოვრების წყვდიად გზაზე სანთელდაშრეტილ ადამიანებს დღის სინათლისაკენ მიუძღვება, რათა „ბოროტ მხვედრის კვეთებათ“ განარიდოს, იხსნას, ისევ ადამიანთა საზოგადოებას დაუბრუნოს.

მსოფლიო ლიტერატურაში ბევრს ვერ ვიპოვნით მიძღვნილ ლექსთა შორის ისეთ გულწრფელ, ღრმა, ამაღელვებელ, ადამიანურ ლექსს, როგორიცაა „ჩემს დას ეფემიას“.

ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,
ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამკნარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,
და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისაI..

ლექსი დაწერილია 1835 წელს რიგაში და გამოხატავს გადასახლებული პოეტის მძიმე სულიერ განწყობილებას, რაც დაახლოებით

ამავე სახით, ამის კვალდაკვალ, ოღონდ უფრო მოკლედ, ღრმად და კლასიკური სრულყოფით გამოთქვა მისმა გენიალურმა დისწულმა ლექსში „სულო ბოროტო“. პირველ სტროფში პოეტი მიმართავს საყვარელ დას, თავის ერთადერთ ნუგეშსა და შვების ვარსკვლავს, მშვიდი ალერსითა და წყნარი ღიმილით რომ აძლევს შორიდან ნუგეშს „ბოროტი მხვედრის“ კვეთებათგან დაჩაგრულ ძმას. მერე მოდის ხანგრძლივი მონოლოგი მგოსნის დიდ ტანჯვაზე, იმედსა და სასოწარკვეთილებაზე, რაც სიყვარულითა და რწმენით გულანთებულ პოეტს სპეტაკმა ბედმა დაატეხა თავს, და ბოლოს ისევ უბრუნდება თავის დას, ვინც თავის ნუგეშად შემორჩენია, ვინც განასვენა კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა, და ვინც მიწა უნდა დააყაროს „ოდეს საუკუნოდ მილულოს თვალნი“. ამგვარად, ლექსი თითქოს გამოცდილი ხუროთმოძღვრის ხელითაა შეკრული და მეტყველებს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ავტორის მაღალ პოეტურ კულტურაზე.

„ჩემს დას ეფემიას“ თითქოს მიძღვნილი, დისადმი მიმართული ჩვეულებრივი ინტიმური საალბომო ლექსია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. სინამდვილეში ის შორს სცილდება ვიწრო ოჯახურ ფარგლებს როგორც წყობით, ხასიათით, ასევე შინაარსით, და ეხება ზოგადკაცობრიულ პრობლემას, ადამიანის ბედის მარადიულ თავსატეხს.

პოეტი მზეს შეჰხაროდა, ჰმუნვის ცრემლი უცხო იყო მისთვის, იმედით შესცქეროდა მომავალს. მაგრამ ვითარება სწრაფად იცვლება:

> აჴ სად წარვიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი,
> რომე აჩრდილიც არა დაჰშთა ჩემდა ნუგეშად,
> ოთმ გლახ ჩემს გულსა მოსეულნი ჰმუნვათა დასნი
> ესრედა ჰგლეჯენ უღონო მსხვერპლს შეუბრალებლად?

იგივე განწყობილება ხომ შვიდი-რვა წლის შემდეგ იმავე ეფემიას ვაჟმა თავის უკვდავ ლექსში ასე გამოხატა: „მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა“ და ა. შ. მაგრამ ეს თემა სწორედ ასეთ ოსტატებს საჭიროებდა, რომ სხვადასხვა პოეტური ფერადებით აესახათ ბედნიერების წარმავლობის ფილოსოფიური პრობლემა. ესაა, რომ გრიგოლს უფრო ადრე დაჰკროლა უბედობის

გრიგალმა, უფრო ადრე გაუცრუა იმედები უმწეოდ, უნუგეშოდ დასცა უფსკრულში. სამარეს შეედრებოდა ის ადგილი, სადაც პოეტი მოხვდა. მწუხარებაში ხომ დროც ნელა მიდის! არღა აყვავდეს გული მისი ორგზის ამ სოფლად! მხოლოდ „წარსულთა დღეთა ნეტარებას“ იგონებდა ისევ, ნაღვლიანად ითელიდა დღეებსა და წლებს, არსაიდან არ ჩანდა ცრემლთა შემაშრობელი, ნუგეშისმცემელი. თვითონაც მიეჩვია მწუხარებას, ჰმუნვის ცეცხლით დამწვარ გულს ცრემლით იგრილებდა, მერე ცრემლიც შეაშრა და ეს შვებაც მოაკლდა. „ძაშიხ შეექნა გონება ჩლუნგ და ქვადა გული“.

მხოლოდ ერთხელ ესმა ბრავალტანჯულ პოეტს მერცხლის ჭიკჭიკი, მეგობრის ხმად იწამა და აი, ისევ გულის შემძვრელი და ზაფრის დამცემი იმედგაცრუება! სინამდვილეში ეს აღმოჩნდა საზარელი ხრიალი, უცნობი, ველური და ზარდამცემი... გაგონებათ, დანტეს ჯოჯოხეთს ეკითხულობო, ისე აღწერს პოეტი თავის მაშინდელ განცდებს. ვერ გაუძლო ჩვენებას, სამშობლოში გაქოლშირა, მაგრამ რა გამოვიდა? „მშობლის ხევნის წილ შევხვდი ახალს მუნ ვაებასა“, — გვაუწყებს პოეტი და ამიერიდან წყეელის ბედის მუხანათობას: „მარამან იყოს წყეულიცა ესრეთი ბედი!“ განა ასეთივე ჯოჯოხეთი არ აღწერა ბრძენმა ბარათაშვილმა ზემოთ ხსენებულ ლექსში? განა ასევე არ დაწუეულა ქვესკნელის ეს მარადიული სული — ლუციფერი? მაგრამ მივყვეთ გრიგოლის ლექსს. ვისგანაც ნუგეშს ელოდა, მისი სამარე იხილა. დასცქერის საფლავს უდროოდ მოხუცებული და სანუგეშოდ ცრემლსაც ვერ პოულობს. აღარ ენდობა ამიერიდან მუხთალ სოფელს, გაცუდდა პოეტის იმედი, გაუტყდა რწმენა:

> მისი სიცოცხლე ვერა დასტკბეს მართლ სიხარულით,
> ვინც სოფელს მუხთალს, საამურის ოცნებით აღვსილს,
> უმზერს, ვით აწ მე, მიუნდობელ, გამოცდილ თვალით,
> ხვალე არღა მრწამს, ვით ღამეში მაცდური სხივი.

ამ თავისთავად გასაგებ, შესანიშნავ, მაგრამ მაინც ერცელ, განყენებულ ტირადას ბარათაშვილმა მოუძებნა „მოქმედი პირი“ — სული ბოროტი, და თითქოს ისევე რწმენადაკარგული იმავე ამბავს გადმოგვცემს, მაგრამ ამ ერთ კონკრეტულ პირს მიმართავს:

გარვედი ჩემგან, ჰოი, მაცთურო სულო ბოროტო,
...ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

გრ. ორბელიანი სიყვარულის უბადლო მეხოტბეა. მისთვის სიყვარული უკვდავი, ამაღლებული, გამაკეთილშობილებელი გრძნობაა, ფაქიზი და ყოველისმომცველი. ვისაც არ უყვარს, მისი ცხოვრება სიხარიზით გაქრება, ის ვერ დატკბება ამქვეყნიური სიამითა და ბედნიერებით.

წელთა სიმრავლეს აზრი ეკარგება, თუ სიყვარულით არაა გაჯერებული ადამიანის გული;

უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა?

სიყვარული კი საჭიროებს მუდამ სიახლოვეს:

ვინცა გნახოს, კვლავცა გნახოს,
არ იკმაროს, კიდევ გნახოს, —

მიმართავს ლამაზ ქალს ერთ-ერთ ლექსში. სიყვარული ტანჯვაა და ღირს კიდეც ამ ტანჯვად. თუ ადამიანი მოშორდა სატრფოს, ცრემლიანი თვალით დაეძებს, და რა ჰპოვებს, მას აღმერთებს.

თავის ეპიტაფიაში პოეტი ამოსავალ წერტილად ირჩევს სულის უკვდავებას.

ყოველი ცოცხალი მოკვდება, დამიწდება, მხოლოდ „წრფელი სული, წმინდა, ცხოველი“ „მღვთადა აღვიდეს“, როგორც „ნაწილაკი მღვთაებრივი“.

ამ საქმეში პოეტი, ცხადია, ცდება. მისი უკვდავება მის მიწიერ ქმნილებებში, მის საქმესა და პოეზიაშია, და არა მისი სულია „მღვთად აღსვლაში“.

ჩვენი პოეტიც მზადაა ზვარაკად შეეწიროს სიყვარულის უზენაეს ძალას, დგას მის ციურ მწვერვალზე და გვიქადაგებს მის ციურ ძალას.

გრ. ორბელიანი უზენაეს სულიერ სამყაროში ხედავს სრულყოფილ სიყვარულს, რაც ხორციელ სიახლოვესაც კი თმობს და მშვიდ ლოცვაში გადადის. საკმარისია დავიმოწმოთ ცნობილი სიტყვები: „შენ განსვენებით ოღონდ იცოცხლე და მე თუ გინა საფლავმა მფაროს“, ან „საღამო გამოსალმებისა“:

ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდი სული მელევა...
... აწ დავშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს
მშვიდობა!

იმავე ამაღლებული გრძნობის ერთგვარი ფილოსოფიური დასაბუთებაა ცნობილი სტროფი: „არს უკვდავება, სულის დატკბობა, რომელს დასასრულ არა ექმნების“.

ადრევე აღინიშნა, რომ გრ. ორბელიანმა აღიარა სიყვარულის ორივე მხარის — სულიერისა და ხორციელის — ძალა და დაუსაბამო ზეგავლენა ადამიანზე.

აძაღლებულ-საზეიმო პათოსით მიმართავს პოეტი სატრფოს:

ჰე, ჩემო ღმერთავ! აწ შენ მოგმართავ,
კვალად ისმინო შორით სიტყვანი!
ყოველ ჩემთ ფიქრთა, ჩემთ უბნობათა
იდუმალ ოხვრათ შენ ხარ საგანი!
. . . . . .
რაა, გინდ მოვჰკვდე? მაინც შენდამო
სულს სიყვარული თანა წარჰყვება!
უკვდავება არს სულის დატკბობა, რომელს
დასასრულ არა ექმნების;

ეს სიყვარულის პოეტური დეკლარაცია, გრძნობის აპოთეოზი, თავისი სატრფიალო საპროგრამო მოწოდება გრ. ორბელიანმა ჯერ კიდევ 1827 წელს გამოაცხადა „ტოლუბაშში“, ხუთი წლის შემდეგ კი იგივე გაიმეორა ცნობილ აფორიზმში:

რა უნდა აქვნდეს სულსა უკვდავი,
თუ მასში განჰკრეს კვლავ სიყვარული?

სულისა და სიყვარულის ურთიერთობაზე პოეტი უფრო თავისუფლად მსჯელობს, ვიდრე მორწმუნე ქრისტიანს შეეფერებოდა.

„უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს“, — ეს პირდაპირ ერეტიკული სიტყვებია, რომელთა ავტორსაც გარკვეულ დროსა და ადგილზე უდიდესი სასჯელი ელოდა.

აქ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ „სიყვარულის“ ცნებისათვის. როგორ ესმის ჩვენს პოეტს ეს სიტყვა?

გრ. ორბელიანი მეტისმეტად მიწიერი ადამიანია, რომ სიყვარულის ცნებაში რაღაც განყენებული, უსაგნო და უხორცო არსება იგულისხმოს. მისი სიყვარული ძალზე ადამიანური, გრძნობიერი, ტკბობითი და იმავე დროს ღვთაებრივამდე ამაღლებული ფენომენია. მისი სიყვარულის საგანი არ არის რაიმე ღვთაებრივი საგანი — იესო, ანგელოზი და მისთანები — მაგრამ ღვთაებრივ ძალას კი გულისხმობს. მას ვერ შეედრება ვერც გონება, ვერც რწმენა, ვერც შეგნება. მართალია, თავიდანვე ამაღლებული, კეთილშობილური, გამშვენიერებული სიყვარულის მქადაგებელია, მაგრამ როგორც მიწიერი მადლი, ეს სიყვარული თრობის მომენტსაც შეიცავს:

> სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ...
> თორემ გონებით გინდ ცა განვლო, ჩემებრ იქმნა მტვერ!

როგორც პოეტის ცხოვრების ქრონიკიდან ვნახეთ, გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკას ხორცშესხმული გმირებიც ჰყავდა: ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეები, სოფიო ორბელიანი, ვინმე „მ“ „ს“, ღრაფინია ოპერმანი და სხვ..

ძლიერი, ანაზდეული, ხორცშესხმული და თან უცნაური, უჩვეულოდ ციური და განპიროვნებულია გრ. ორბელიანის სიყვარული. სიყვარულის ხატება პოეტის ლირიკულ გმირს ზედ წამწამზე აზის, შიგ გულში უზის; მოსვენებას არ აძლევს, ქუჩაში ათენ-აღამებინებს თავის მსხვერპლს და ზეციურ ნეტარებას აზიარებს ზეცით მოსული გრძნობა.

ეს ლექსებში. დღიურებში კი მარცხიანი პოეტი არ მალავს, როგორ ესმოდა სადღაც ლიტვის ერთ დაბაში შუაღამისას მეტოქის ნაბიჯის ხმა.

თავის ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ ლექსში 1829 წელს ნინოს მიმართავდა:

> როს გხედავ, მნათო! ღიმილით ჩემ კერძოდ წარმოველენილსა,
> ვივიწყებ ყოველთ სიმწარეთ, ბედისგან მოვლინებულსა,
> სულისა ღელვა მშვიდდების, გული კვალად ჰგრძნობს სურვილსა...

პოეტს სული მისთვის შეუწირავს. უიმედოდ შეყვარებულ ახალგაზრდა კაცს აღსასრულის დროისათვის ერთი სურვილი დარჩენია:

ჩემსა სულსა, რომელიც აწ შენდამო მაქვს შეწირული,
საფოთხის წილ შენს ზილფებში აღუნიშნე მას ადგილი.

მოგვიანებით პოეტი თანაუგრძნობს „მტირალ ნინოს", გრიბოედოვის ქვრივს, მზადაა მიიღოს მისი ჰმუნვა, მის ნაცვლად თვითონ იკვნესოს. მაგრამ ნინოს ცრემლიც შვენის, მგოსანი ჩუაად შეპცქერის და შეინანებს, რომ შეასწყვიტოს ტირილი.

ასევე ფრთიანი სიტყვით უიღეროდა ახალგაზრდა პოეტი წინანდლის ვარდს, ნინოს დას, მის წყაროსავით წმინდა გულს.

პოეტი გარკვეულ ტაქტს იცავს იმის ძიხედვით, თუ ვის უმღერის. როცა მისი ლირიკული გმირები არიან ნინო, სოფიო, ეკატერინე, — იგი უფრო თავშეკავებული, დარბაისელი და ღრმააზროვანია, ხოლო მუხამბაზებსა და სალაღობო ლექსებში საქმე გვაქვს ეშხის ცეცხლით დამწვარ ყარაჩოღელთან: ნუ მაპმევ ღვინოს, „უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშყით", — მიმართავს სატრფოს და მზადაა ბაგე შეახოს მის ღაწვზე გაშლილ ვარდს, დაეკონოს მას მკერდზე გაშლილ ნუშის ყვავილს, ცნობას კარგავს, გიჟდება.

ნინო კი... ნინო უფრო შორეული, მიუწვდომელი ოცნების მნათობია, შიშსა და კრძალვას აღძრავს პოეტის გულში:

მხათობო! თვით შენ აღმიხსენ, რა შემართების, რასა ვჰგრძნობ,
როს გხედავ, რადა ეკსწითლდები, რად ეკრთები, ვშიშობ და
ვჰხარობ?
მაშინ რად ენა სდუმდების, როს შენთან უბნობას ვპცდილობ?
და რისთვის ნაცვლად სიტყვათა, მხოლოდ ოხვრათა ვმეტყველობ?
მრავალგზის ვფუცავ, არ გნახო, მაგრამ ყოველ ჟამს გეძებ,
როს გხედავ, გულსა სახმილსა მდუმარედ მყოფსა აღშიგზნებ...

მოსვენებადაკარგული პოეტი ხან სწყვლის თავის მტანჯველს, ხან აღმერთებს, სურს დაივიწყოს, მაგრამ გონების რჩევა გულს არ ესმის, და გონებაც თან მიჰყვება... აქაც ისევ გრძნობის პრიორიტეტია, ოღონდ დახვეწილ, „არისტოკრატიულ" ფორმებში, და არა ისე შმაგურად, როგორც მუხამბაზების გმირებს უყვართ.

ბევრს დღემდე ვერ შეუნიშნავს, რა ფართო პოეტური დიაპაზონი იშლება გრ. ორბელიანის სატრფიალო ლექსებში.

მითიურ ნისლებში ჰხვევს პოეტი ჩვენი აფროდიტეს — ნინოს დაბადებას:

დღესა ამას სიყვარულმან სოფელსა აღმოგაცენა,
რათა იპყრა კაცთა გულნი, შენით ბრწყინვიდეს ქვეყანა,
მშვენიერების ყვავილნი სრულიად შენზედ მოჰფინა,
და პრქვა: იყავ მშვენიერ, ნინა!

მერე ამ სრულყოფილ მშვენიერებას კუპიდონმა ისარი ჰკრა, სიტკბო და სიმწარე ერთმეორეს შეურია, და მის ბადეში მოხვედრილი ადამიანი თავის ტყვეობას შეჰხარის.

სიყვარული მუნჯს აამეტყველებს, მეტყველს დაამუნჯებს, ბრმის ძალა სასწაულებრივია.

კაცი იფიქრებს, პოეტიც რომ არ ყოფილიყო, მაინც იმღერებდაო ამ ძლიერი გრძნობის კარნახით:

Სიყვარულმა მათქმევინა,
თვარა მე ვინ — ლექსი ვინა?

სიყვარული არის თავდავიწყება. ვისაც გული ტრფობით არ უძგერს, მისი დღე სიზმარივით გაქრება, უსიხარულოდ. ტრფობით მთვრალი ჯობს არ გამოაფხიზლოთ. სიყვარულში ბედნიერს ვერ შეედრება, ვერც მეფე ტახტზე, ვერც ღმერთი ცაში.

პოეტის რწმენით, ნამდვილი სიყვარული მტკიცეა და მარადიული.

დრო და სიშორე ვერ გაჰყრის ორთა გულთ ერთად შეტკბობილს,
ურთიერთათვის, რომელნიც შობილ იქნების ამ სოფელს.

სატრფოს ჟინიანობით მწარედ დაკოდილი გული ისევ სატრფოს მიმართავს, ტყვეა და ხარობს ამ ტყვეობით. სატრფოს ერთი შემოხედვა მრავალ სიმწარეს გვავიწყებს, და თვით მისი მრისხანება არ არის საზიანო, რადგან „არა ძალუძს ჰყოფს გულსა ტანჯვანი“.

სიყვარული — წყაროა ყოველი სიკეთისა, მათ შორის — მამულის სიყვარულისა.

სიყვარულის გრძნობის ამაე ამაღლება, ახალი, სურნელოვანი გრძნობით მისი გათბობა პოეზიაში და დამაჯერებლად წარმოსახვა არ გამოიხატება მარტო თვით ამ გრძნობის აღწერით, რაც, ბაგალითად, „სადღეგრძელოშია“ მოცემული და რაც თავისთავად უზადოა.

ეს ჩანს ერთი სხვა ნიუანსითაც. სიყვარულის ხოტბით აღფრთოვანებული მეომრები მხნევდებიან და მათს ბაგეს მოწყდება ისეთი სიტყვები, რომელთაც მხოლოდ ჰეშმარიტად მაღალი გრძნობა შობს ხოლმე: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“ — ნამდვილი ჰიმნი სამშობლო ქვეყნის სიყვარულისა.

ტრფობა ერთადერთი ნუგეშია მამულისა თუ ბედით დაჩაგრული კაცისათვის.

ოდეს ოხვრით მაგონდების
სანატრელი დღე წარსული,
გონება ვერ მიპოვნია
სანუგეშად, ვერცა ცრემლი,
ბედის ვარსკვლავს შორს ძლივს ვხედავ, —

ჩივის პოეტი, და ნუგეშს ტრფობაში ეძებს.

„შენცა მიმუხთლე, გონებაო, და მას ემონე“, — მიმართავს რომანტიკოსი საკუთარ გონებას. გრძნობის, გულის, ტრფობის პრიორიტეტი, მისი უკვდავება გარკვევით აქვს გამოთქმული კრედოსავით თქმულ ორტაეპედში:

რა უნდა აქვნდეს სულსა უკვდავი,
თუ მასში განაქრეს კვლავ სიყვარული?

ცხადია, საქმე ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პოეტი გონების წინააღმდეგი იყოს. მთელი მისი შემოქმედება გონიერებისა და პატიოსნების, სიყვარულისა და პატრიოტული გრძნობების ამაღლებას ემსახურება. ლექსში „პასუხი შვილთა“ ერთგან ასეთი მსჯელობაა:

გონების ბრწყინვას,
ჰაზრების ელვას,
წმინდისა გულით კეთილის თესვას
ნეტავი მიხვდეთ,
ნეტავი მისწვდეთ, —

ასე მიმართავს შვილებს.

სიყვარული გრ. ორბელიანისათვის არ არის მარტოოდენ პირადი ტკბობისა და უშინაარსო გართობის საგანი, ესაა ერთგვარი დრო-

შა, წყარო მხნეობისა, რაც ამაღლებული მიზნისათვის მებრძოლთ მიუძღვით და მოუწოდებთ საგმირო საქმეებისაკენ. დავიმოწმოთ პოეტი:

სიყვარულისა ალითა ვის ჩვენში გული ეწოდეს,
ღ. სატრფოს სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან ჰსდევდეს,
ამა სოფელსა, მას რაი წინა საბრძოლად აღუდგეს?
გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს?

პოეტი, რომელიც მხედრის პირით ლაპარაკობს, სიკვდილის მიღმა ეძიებს სიყვარულის გამართლებას, მის სიდიადეს, და აქ სიყვარულის ჰიმნი მხატვრული სიტყვის მწვერვალებს აღწევს:

რაა გინდ მოჰკვდე? მაინც შენდამო
სულს სიყვარული თანა წარჰყვებაl
არს უკვდავება სულის დატკბობა,
რომელს დასასრულ არა ექმნების.

მხედარს არ ეშინია ამ აღსასრულისა, რადგან სწამს, რომ სიყვარული უკვდავია და სულის დამატკბობელი სახე არც იმ სოფელში განშორდება. სიყვარული თვით სიცოცხლეზე აღმატებულია, მისი ცეცხლი სიცოცხლის დასასრულთან ერთად არ დაიშრიტება... აი, ეს რჩება ადამიანს ნუგეშად, თორემ სიყვარულის დამკარგავს მისი ფასი უკვდავებამ რა უნდა მისცეს? უსიყვარულოდ ხომ სასუფეველი საპყრობილედ გვექცეოდა!

ეს არაა სიყვარულის გადაყვანა რელიგიურ სამყაროში, არამედ სავსებით საღი, ხორციელი, ამქვეყნიური გრძნობის პოეტური გაუკვდავება, ერთგვარი ჰიპერბოლა, რაც პოეტს დასჭირდა სიყვარულის სიდიადის გამოსახატავად. ამიტომ გრ. ორბელიანის შემოქმედეობას ამ მხრივაც მეტი ფასი ედება.

პოეტს ტკივილს აყენებს სატრფოსთან გატარებული ბედნიერი დღეების გახსენებაც. „მოგონება“ კიდევ ერთი ნიმუშია პოეტის ყოვლნაირი სინანულისა იმის გამო, რაც დაკარგულა, „რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა“.

აჰა ადგილი. აჰა ის არე,
სად ხელმწიფობდი მშვენიერებით;
ჭალაკი იგი, იგივ მდინარე
და გაზაფხული მის ფეროვნებით!

თვით ბუნება შეჰხაროდა სატრფოს, და პოეტიც გულის ძგერით ელოდა მის შემოხედვას, უბმენდა მის სირინოზის ხმას, აწ კი იმავე ადგილას მარტო ზის, ჰმუნვით, და მოგონებებში ჩანთქმულა.

პოეტ-რომანტიკოსს გულს უკლავს წარსულის გახსენება, ჯობს ამაზე აღარ იფიქროს, როგორც დაკარგულ მახლობელზე. ამ აზრით შესთხოვს საკუთარ გონებას.

პეი, გონებავ, დაივიწყე ჩემს სანუგეშოდ,
რაც იყო — იყო, ნუ იგონებ დღესა წარსულსა,
მის მოგონებით მხოლოდ გულსა მიკლავ უწყალოდ,
და ფუჭ სიცოცხლეს მაწყეველინებ გამწარებულსა!

იმ დროს, როცა საყვარელი არ‌ება გულს უნათებდა მშვენების სხივით, სურდა ცხოვრება მასთან და მის‌თვის. შემდეგ კი...

დრონი წავიდნენ... თანა წარიღეს
გულისა გრძნობა, ძალი ტრფობისა:
მარამა მე კი მარად მახსოვდეს
იგივე დრონი ნეტარებისა...

ასე წავიდნენ ნეტარების დრონი საერთოდ და პირად ცხოვრებაშიც. მოგონებებით-ღა ცოცხლობს ხანში შესული პოეტი.

„მოგონება“ დაწერილია წინანდალს 1851 წელს, და რა გასაკვირია ჭაღარა მგოსნის გულგატეხილობა, როცა მის‌თვის დიდი ხანია დაჭკნა წინანდლის ვარდი, დაიკარგა ძველი დიდება და დაინაცრა ყოველი იმედი.

საგულისხმოა, რომ 1843 წლიდან პოეტს მთელი ჩვიდმეტი წლის მანძილზე არა თუ სიყვარულზე, არამედ საერთოდ აღარ დაუწერია შთაგონებით აღსავსე სტრიქონები. ეტყობა, მარონინებელ ლერწამივით მონანავე წელთა ცქერას, მოციალე თვალთა დამატყვევებელ ეშხსა და ლაზათს, მომხიბვლელ და სულის ალმტაც კეკლუც სახეთა, გულის წამღებ გი‘შრისფერ ზილფთა, იადონთა და სირინოზთა ხმას მოკლებულმა პოეტმა, რომელიც მხედრული ცხოვრების უკიდეგანო მორევში იყო ჩაფლული, ვეღარ შესძლო მარტო მოგონებებით აღენთო სიყვარულის‌ათვის კვლავ ლამპარი და სახმილივით დამწვარიყო სუდარა‌ვით თეთრად და მოელვარე, სიცივით გათან-

გული მყინვარებითა და მარადიული თოვლით დაფარული კავკასიონის ცივსა და უკარება მთებში. რომანტიკოსი პოეტისა და გულწრფელად შენაპყრობილები მიჯნურისათვის წინანდალი და მისი შემოგარენი იყო არა მარტო პოეტური მუზის, განუზომელი აღმაფრენის, უაღრესად ნაზი სულიერი აღგზნების და კოკონივით აბრიალებული სიყვარულის ადგილი, არამედ ეს გახლდათ უსასოო გრძნობის, უიმედო სევდის, უტყვი, უჩუმარი კაეშნის, დამშხვრეული იმედის და სამუდამოდ მარტოსულად და უცოლშვილოდ გადაგების მიზეზთა მიზეზი. წინანდლის შემოგარენში ხომ მისი პოეტური სიტყვის შთამაგონებელი, ღვთაებრივი სილამაზისა და სიმწყაზარით აღსავსე ნინო ცხოვრობდა. წარსულში ერთად გატარებულ დღეთა, დიდთა იმედთა და გაცრუებულ ოცნებათა მოსაგონებლად პოეტმა კვლავ მოინახულა წინანდალი, ის ადგილნი, სადაც ნინოსთან ერთად გაუწვევია ლაზათები და მისი ეშხით მთვრალს აუხდენელ ოცნებათა და იდუმალი ნეტარებით აღსავსე იმედების ზღვაში უცურავნია. იქ ხომ თითოეული ხე და ბუჩქი მოწამენი იყვნენ, თუ როგორ შეეტრფოდა ნინოს მშვენებით მოხიბლული და მიწიერი ცთუნებისაგან ოცნებებში ზეატყორცნილი პოეტი სატრფოს ზილფებს. მდიდარ სახახლეში მოხვედრილი უცხო ყარიბივით ელოდა იგი სატრფოს ერთ ლმობიერ შეხედვას. პოეტი ვაჟკაცური გულახდილობით აღიარებს, რომ სათაყვანებელსა და საღმერთებელს იგი კრძალვითა და რიდით შეჰხაროდა სურვილებით აღსავსე, გულისფანცქალით მოელოდა სატრფოს სირინოზის ხმის გაგონებას, მზად იყო მისთვის საკუთარი სიცოცხლე ფიანდაზად გაეშალა და უდრტვინველად შეეწირა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი გულახდილობა გრიგოლ ორბელიანს, ახალგაზრდობაში, როცა თურმე მართლაც სწვავდა „სიყვარულის ცეცხლის ალები“, არ გამოუჩენია. შეიცნო რა, რომ მისმა სათაყვანებელმა გულისსწორად სხვა ირჩია, გრიგოლი განზე გადგა და ზაქარიასადმი გაგზავნილ ბარათში უარჰყო ნინოსადმი მის გულში მოგიზგიზე სიყვარულის არსებობა. წინანდალში ჩასულ პოეტს კი, როცა მისი გულწრფელი, მაგრამ უიღბლო მიჯნურობის აღმნთები და მუზის წყარო — ნინოს სიყვარული, თითქმის გამოგლოვილი ჰქონდა, მწარე და ნაღველით აღსავსე მოგონებების მეტი რაღა დარ-

ჩენოდა. მჭმუნვარე პოეტი მარტო ჩამომჯდარა, წარსულთა დღეთა გონებაში მოცრიატე ფიქრთ ესიტყვება და ნაღვლიანად კვნესის:

აწ მასვე ადგილს ვჯზი მარტო ჰმუნვით
და დრო წარსული თვალწინ მეხატვის,
როს გულს მინათდი მშვენების სხივით,
მსურდა ცხოვრება შენთან და შენთვისს
დრონი წავიდნენ... თანა წარიღეს
გულისა გრძნობა, ძალი ტრფობისა;
მარამა მე კი მარად მახსოვდეს
იგივე დრონი ნეტარებისა.
აწ არც კი მიცნობ,—გულით იცვალე...
ამ მოგონებამ არ შეგაწუხოს;
შენ განსვენებით მხოლოდ იცოცხლე
და მე, თუ გინა, საფლავმა მფაროს.

ასეთი კაეშნიანი და გულისმომწყვლელი სტრიქონები უძღვნა პოეტმა თავის ღრმად დაფარულ და მთელი სიცოცხლის მანძილზე ვაჟკაცური კდემითა და რიდით ნალოლიავებ გრძნობას ნინოსადმი. ეს იყო პოეტისათვის სიყვარულზე დაწერილი გედის სიმღერა.

„საღამო გამოსალმებისაც“ თავისი ღრმა გააზრებით სიყვარულის ამაღლებული ჰიმნია. კავკასიონის მთების დიდებულ სურათს, რაც ერთგვარ ფონს შეადგენს, მოსდევს ადამიანის ბედის, სატრფოსთან განშორების ამაღელვებელი ამბავი, ჰომეროსის შესაშვენი სიდინჯითა და უშუალობით რომ გადმოგვცემს პოეტი:

შეწუხებული ვუმზერ გზას და მასზე ეტლსა მიმსრბოლსა,
მიმტაცსა ყოლის კეთილის, რაცა გვაქვს ამა სოფელსა...
... მიდიხარ, სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა
ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდის სული მელევა.
არღა აამონ აწ თვალთა გული შენისა ხილვითა,
წარვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა.

ეს წინასწარმეტყველური სიტყვებია. მართლაც, სატრფოს ალერსს მოკლებულმა გალია ცხოვრების გზა შრომასა და ზრუნვაში. თითქოს წინასწარ გრძნობს ამას პოეტი, ოხვრით აყოლებს თვალს მიმავალ ეტლს, სხვა არავინ ჰყოლია ნუგეშისმცემელი, ახლა ისიც შორდება. წავიდა, წარიტაცა ყოველი საამებელი სულისა... ვინღა

გაუღოს მას კარი ბედისა დაკარგულისა? ან მას რად სწამდა ბედის სიკეთე? ახლა ყოველი სიხარული წარსულს ჩაბარდა. საშინელი მარტოობით გულდამძიმებული ზის პოეტი და დაისის მზეს გადასცქერის, სამშობლო ქვეყნის მზეს, რომელიც ჩადის.

ლექსის გვირგვინია ბოლო სტროფი. ბუნების სიდიადე და ადამიანის უმწეობა, დროის შემმუსვრელი ძალა და ქვეყნის მშვენიერების სურათები, ვარსკვლავთა ციმციმი და თერგის ღრიალი — ყოველივე ეს ერთად შეკრული საბედისწერო სინამდვილის სახით აძრწუნებს პოეტს და გვხიბლავს თავის მხატვრული სრულყოფით:

აწ დავჰშთი მარტოდ... მშვიდობითი შენს გულს ნუ ჰშორდეს
მშვიდობაი
არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა,
ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს
გულ-წყლულსა?
შეღამდა... მარტო ვზი ჰმუნვით; ჩემი ჩივილი ვის ესმის?
დაყრუებდა არე... მხოლოდ ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის.
მხოლოდ ჰსჩანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის,
და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათისი..

ბოლოს კი — ისევ ის მაგიური ძალით აჟღერებული პოეტური სტრიქონები მეორდებიან:

წყალნი, მთით დაქანებულნი, უფსკრულსა იკარგებიან,
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიანი

პოეტური გრადაციის უფრო შთამბეჭდავი მაგალითის დასახელება ძნელია. ადამიანის მღელვარე გული თან მიჰყვება პოეტური სტრიქონების დენას, ხან რომ აღმა ადიან და ხან დაბლა დალივლივებენ, გრძნობის ჩოჩქოლს აყოლილნი.

საერთოდ, „საღამო გამოსალმებისა“ ჭეშმარიტად გენიალური ლექსია, კლასიკურად დახვეწილი, ღრმააზროვანი, შეკრული, წყობითა და სამკაულებით გამორჩეული. ფილოსოფიური სიღრმით, სიდიადით, ცხოვრების ცოდნითა და გამომსახველობის ძალით ამ ქმნილებას ძნელად თუ მოეპოვება ბადალი.

ლექსი სიუჟეტურია, მაგრამ ეს სიუჟეტი მთლიანად ისეთ ლა-

კონიურ განცდილ სიტუაციებშია მოცემული, რომ ოდნავადაც არ ირღვევა ლირიკული ლექსის ქსოვილი.

„საღამო გამოსალმებისა“ მით უფრო დიდი რანგის პოეტური მოვლენაა, რომ აქ ისე ხორციელ-იდეალურ არსებად გამოყვანილი სატრფო სინამდვილეში სამშობლოს ასოციაციასაც იწვევს. მიტიკ, სატრფოში აქ სწორედ სამშობლო უნდა იყოს ნაგულისხმევი, თუმცა ეს მაინც ისეთ ზოგად ხაზებშია წარმოდგენილი და ისე რთულ სიტუაციებში, რომ შეიძლება ისევე სადაოდ მივიჩნიოთ, როგორც შექსპირის სონეტებისა თუ დავით გურამიშვილის ზოგიერთი სამიჯნურო ლექსის ადრესატების საკითხი.

სიყვარულის პოეტური ამღერება გრ. ორბელიანთან კოსმოსურ სიმაღლეებს ითხოვს. ამ სფეროშიც აამაღლა და განავითარა გრ. ორბელიანმა ამ ადამიანური გრძნობის ასახვა.

მაგრამ მუდამ ერთნაირად დიდებული, ამაღლებული და დამაჯერებელი ვერ არის მისი პოეტური საგალობელი სიყვარულისა.

სოფიო ორბელიანისადმი მიძღვნილი ცნობილ ლექსი („სო...ორ...“) ცოტა რიტორიკული და ზოგადია, თუმცა არც პოეტური ფერადოვნება აკლია:

ვარდი ხარ? — არა!
ზამბახი? — არა!
მარამ, შენ ღაწვთზე აღყვავებულნი,
არიან ორნივ შეზავებულნი!
ნეტარ მას ბულბულს, ვინც შენს ვარდს, ზამბახს
ზედ დამღერს მარად, ვით ეშყის ბანაკს...
. . . . . .
ეგ ორნი თვალნი,
ორნი ვარსკვლავნი,
ეშყის სადგურნი ბრწყინვენ გონებით...

შორეული ცის ქვეშ ოხრავს პოეტი და არაფერს დაეძებს, ოღონდ ზოგჯერ ახსოვდეს „მისდამი ერთგულს“.

ცხადია, განდევნილობის გასაჭირმა გააძლიერა სიყვარული, რომანტიკულ საფარველში გაახვია სატრფოს სახე, მაგრამ პოეტმა საქართველოში დაწერილი ლექსებითაც ცხადჰყო გრძნობის სიცხოველე და პოეტური ექსპრესიის ძალა.

უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ორბელიანი ყველგან ერთნაირად გულწრფელი არაა, ზოგჯერ ის ხელოვნურად „ქმნის“ ძლიერ გრძნობას.

გრ. ორბელიანს არ დაუშურებია პოეტური საღებავები არც გრაფინია ოპერმანისათვის. ალბომში ჩაწერილი ლექსი გვაოცებს ისეთივე გულწრფელობითა და ჰიპერბოლური სამკაულებით, რომელთაც ასე უხვად ვხვდებით თვით სოფიოს, ნინოსა და ეკატერინესადმი მიძღვნილ ლექსებში.

გრაფის ქალი შესცქერის „ცა ვარსკვლოვანსა,“, „ლაჟვარდოვანსა“, დიდებულ კავკაზს, და „მის მოლექსეს“ ასეთი ფიქრები აეშლებიან:

მე მდუმარებით
ვჰმზერ გაოცებით
შენზე მთოვარის შუქსა მოდგმულად,
და ღამე ესე,
სიტურფით სავსე,
მრწამს, რომ შენგან არს დამშვენებულად.
მრწამს, ჩვენის ცისა
მშვენიერისა
შენ ხარ ვარსკვლავი, მოსული ქვეყნად!

პოეტს სიტყვა არ ჰყოფნის ოპერმანის ქალის შესამკობად. ეს ქალი სიკეთით სრულია, წმინდა გულითა და უმანკოებით ხიბლავს მნახველს, და მგოსნის მკვლელნი „ზილფებნი-გველნი“ იცავენ მის ვარდღაწვებს... პოეტი ოცნებობს იმაზე, რომ ამ „ზილფებგველებს“ ზედ დააკვდეს, მის კვიპაროზ-წელს შეეხოს, ჰმუნვის ცრემლი მოეხოცოს... ცხადია, პოეტი აზვიადებს, ზედმეტ გულმოდგინებას იჩენს, მაგრამ თვით ხელოვნურობა რაღაც ხალასი, ბავშვური გულუბრყვილობის იერს ატარებს მასთან. თვით იდეალურ ტირადებში იფეთქებს ხოლმე ხორციელი სიყვარულის ნაკადი.

* * *

გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკაში მძლავრი ნაკადივით იჭრება ე. წ. ყარაჩოღლური პოეზია. ყარაჩოღელთა ვაჟკაცური, უბრალო, ხალასი სიყვარული იშვიათად სადმე პოულობს ისეთ და-

მაჯერებელ პოეტურ ასახვას, როგორც ორბელიანის შემოქმედებაში.

მომწვანო სამხედრო მუნდირითა და ათასგვარი ბრჭყვიალა ორდენებით დამშვენებულ მკერდქვეშ ორბელიშვილთა ღირსეულ მემკვიდრეს დარდიმანდული ლხინით გაუმაძღარი გული უცემდა, გული, რომელმაც კარგად იცოდა ქართული დარბაისლური ნადიმებისა და ყარაჩოღლური სახელდახელო ქეიფის ეშხი და ლაზათი. ჩრდილოეთის წყვდიადს გარდახვეწილ და სამშობლოს მუქ-ლურჯად მოლივლივე ცას დანატრებულ ორბელიანს ისევ ნაკვერჩხლებზე ნელად მოშიშინე ჯეირნის ცვრიანი მწვადები უღიზიანებს ყნოსვას, მოთალით, თევზითა და მწვანილით პირის ჩატკბარუნება ახსენდება და კვლავ ოცნებობს კახურის ღვინით ავსებულ აზარფეშასა და კოჯრის ნიავზე, რათა ამ მოთქმით თავს ნუგეში სცეს და ჰმუნვა განიქარვოს.

ამ ლხინის აპოთეოზი ისმის იმ სტრიქონებიდან, რომელიც პოეტმა ანტონს უძღვნა:

ჰე ჰაბუკო, სიხარულით დღენი შენნი განატარე,
ინიაარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე;
ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქნდეს სახე მოცინარე...

ამ ლექსში გამოთქმული მრწამსი გრიგოლ ორბელიანისათვის საფლავს ჩასვლამდე დარჩა საპროგრამო სიტყვად, რომელსაც ავტორი დიდის გულმოდგინებითა და ლოცვად დამდგარი მორწმუნე ქრისტიანის რუდუნებითა და მოწადინებით ასრულებდა.

დროსტარება და მხიარულება გრ. ორბელიანს მარტო მამაკაცთა კუთვნილ საქმედ არ მიაჩნდა. ახალგაზრდა ეკატერინე ჭავჭავაძის მშვენებით მოხიბლული პოეტი ასე მიმართავს „წინანდლის ვარდს“:

იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე
შენი მშვენივრებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი;
ვიდრემდის შენ ზე
დაგნათის, ვით მზე,
სიჭაბუკისა ნათელ ვარსკვლავი!
ჰმუნვის ღრუბელი,
გულ დამაბნელი,
ვიდრე მხიარულს არ შეგხებია...

ქართული მამა-პაპური ლხინის დამახასიათებელი ვაჟკაცური ნადიმი, მხიარული შეკრება, რაინდული დროსტარება, დარბაისლური ქეიფი, ზმათა ურთიერთ ტყორცნა, დინჯი, გონივრული მუსაიფი, სჯა-ბაასი და ძველებური „იარი-არალი“ დარდიმანდი პოეტის აღტაცების, ხოტბის, შესხმის და თაყვანცემის საგანი გახლდათ.

მისთვის ღვინო, ჭირთ მანელებელი ციური ნიჭია, მაგრამ სჯობს ისევ პოეტი ვალაპარაკოთ:

და შენ, ჰე ღვინოვ, ყოველად ძლიერო,
ლხინით, შეკრებით გულნი აღგვიგზნე;
გულის ჭირთ მდევნო, ნიჭო ციერო,
ვინ არს, რომელ გსვა და არ ალხინე!

გრიგოლ ორბელიანისათვის, მიუხედავად მისი პოეტური დახვეწილი ბუნებისა და არისტოკრატიული ამაყი ზვიადობისა, უცხო არაა ყარაჩოღლური „ჩასხდომა“ და დროის ღვინოსა და ეშყში ჩაკვლაც.

ზემოთ უკვე მოხსენიებულ მირზაჯანას „ეპიტაფიაში“ პოეტი თავისი გმირის პირით ამბობს:

მუხთალს ამ სოფელს გსურს ვისაცა იყო ბედნიერ,
სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!
დაღუპე ეშყში და ღვინოში ყოველი სიმწარე,
რომ გზა ცხოვრების განვლო ლხინით, ვით მე ვიარე...

გრიგოლ ორბელიანმა, როგორც დარდიმანდმა და უბრალო ქალაქელ მოქეიფეთა თანამეინახემ კარგად უწყის, რომ:

უსიხარულოდ,
უსიყვარულოდ
რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა?

ამიტომ, რაც სათქმელი აქვს, თვითონ არისტოკრატული ზვიადობით მდუმარეაა და თავის თანამეინახეთა პირით საცნაურყოფს;

ვითა ბაღი უყვავილოდ, უვარდოდ,
არა მიყვარს ლხინი უეშხ-უსატრფოდ!
მოდი, მნათო, საესე თასი სალხინოდ
ჩაგვირიგე, თუ გინდ ისე, უპროშტოდ...

ღვინო, დუდუკი, ქალები—აი, რას უმღერიან, რითი სულდგმულებენ და რას შესტრფიან გრიგოლ ორბელიანის ყარაჩოღლები და მათ ხმასა, სიმღერასა და გმინვაში ჟონავს ის თავშეკავებული, ღრმად დაფარული სურვილები და განცდები, რაჟაც თვითონ პოეტი, თავისი მაღალი წარმოშობისა და არისტოკრატული ზვავობის გამო ასე შიშველად და აშკარად ვერ იტყოდა:

ქალებზე ვარ ასე ფიქრით მოცული,
ხელში ქობა დამრჩების მოუველი!
მებლანდების თვალებში ზოგის წელი,
ზოგის ხვევნა-ალერსი ტკბილი!

ზვიადი ფეოდალი არ უკადრისობს აშუღ ჩამჩი-მელქოს სიტყვების მოტანას თავისი მუხამბაზის ეპიგრაფად: „მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო!“

ასეთი ხასიათის ლექსებში ყველაზე ძლიერია დღემდე სასიმღეროდ შემორჩენილი, საქვეყნოდ გახმაურებული მუხამბაზი „გინდ მეძინოს“. ამ ლექსის გმირი ის მეთევზე ლოპიანაა, რომელსაც ყოველ დილით პოეტთან ცოცხალი შიჰქონდა. საყვარელი არსებისადმი ხოტბა, შესხმა და გალმერთება, ალბათ, ამაზე შორს ვეღარ წავა და უიმედოდ შეყვარებული კაცის გონებაც, ალბათ, იმაზე კარგ გამომხატველს, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი იყო, ვეღარ იპოვის. „მუხამბაზის“ სასომიხდილი და სატრფოსგან ჩაწიხლული ლირიკული გმირი გულში ჩამწვდომი და ჟრუანტელის მომგვრელი ხმით მოთქვამს და ამ ტკბილ ხმაზე გაისმის ამიერიდან უკვდავ სიმღერად ქცეული სიტყვები:

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავაბნელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ხალასი, უშუალო, დარდიმანდული და უაღრესად ადამიანური ეს ლექსი ადრევე იქცა სიმღერად, ხოლო მისი ლირიკული გმირი დღესაც ცოცხალია და აზარფეშით ხელში მოგვმართავს დარბაისლურად:

ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას გეტყვი—შენი ვარ.
სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნახო, იცოდე, რომ იქა ვარ.
რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ!
ჩემთვის ჩუმად ვამბობ: „რა ლამაზი ხარ!"

ეს ყოველი ქართველისათვის ცნობილი სიტყვები სხვა მუხამბაზებთან ერთად თითქოს ერთგვარ დისჰარმონიას ქმნიან მამულის ჰირისუფლის რომანტიკულ ლექსებთან. მაგრამ ეს დროებითი თავდავიწყებაა, უბრალო, სოფლის წარმავლობით გულგათანგული მგოსნის თავაწყვეტილი გადაშვებაა იმავე სოფლის სიამეთა მორევში, ეს ცნობილია. მაგრამ ამასთან ერთად და ეს უფრო მნიშვნელოვანია — ესაა საბუთი იმისა, რომ ჩვენი რომანტიკოსები არ ყოფილან მგლოვიარე მუმიები, არამედ იყვნენ სიცოცხლით სავსე ადამიანები, რომელთაც ჯანსაღი ცხოვრების ყოველი მხარე იზიდავდათ, ხიბლავდათ და აღელვებდათ.

სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით
თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით!
ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით;
ალავერდა დასვით თარით ნაქებით,
ყოჯა ბულბულ ტკბილის ხმით აღუღუნეთ,
დიპლიპიტო დაჰკარ-დააროკუნეთ!

მამა ღმერთივით ზის ამ გაშლილ ყარაჩოღლურ სუფრაზე ლხინის პაპად წოდებულ მირზაჯანა მადათოვის სკოლაში ნასწავლი პოეტი, შეჰხარის სატრფოს და მთელი ხმით აძლევს ბანს დიპლიპიტოს დამკვრელ დარდიმანდებს.

ამ დარდიმანდებისათვის სატრფოს ხალი ტახტია სიყვარულისა, უსიყვარულოდ ადამიანმა რა უნდა ნახოს კეთილი ამა სოფელს? ბოლომდე არავის გაუხარია, მზეს ღრუბელი ეფარება, ერთხელ მაინც მრუდედ გაუგორდება კოჭი. ამიტომაც ურჩევს ხალხს:

არ მიენდოთ დამღუპავს, წყეულს ხვალეს,
დღეს მოხარულთ, დღესვე ისიამოვნეთ!
დიპლიპიტო დაჰკარ-დააროკუნეთ!

ასეთ გუნებაზეა თბილისის სუფრას მონატრებული პოეტი რიგაში 1835 წელს.

გრ. ორბელიანი, ეს ზვიადი ფეოდალი, დიმიტრი ყიფიანის არჩევას რომ ჰქონა-ქუხილითა და მეხთა ტყორცნით შეხვდა, სულაც არ არის ამაყი და უკადრისი, როგორც პოეტი, როგორც დარდიმანდი, მოქეიფე და მოქალაქე. სიამოვნებით წერს ბეჟანა მკერვალზე, რომელსაც სალომესთან სადილზე ეძახიან, როცა თვითონ ავლაბრის უაზარმაში იტანჯება, არ უკადრისობს მდაბიო პოეტის საიათნოვას მიბაძვას, ესაუბრება მუშა ბოქულაძეს, ქეიფსა სწევს ლოპიანასთან და ა. შ.

სიყვარულის ამაღლებული, რომანტიკული საგალობლის გვერდით გრ. ორბელიანი იძლევა ამავე გრძნობის აბახვას სულ სხვა სფეროში, სხვა ლექსთა რკალში, სხვაგვარ სიტუაციებში. ვგულისხმობთ იმავე მუხამბაზებს. ამ ციკლის ლექსებშიაც იგივე მოტივია წინ წამოწეული, ოღონდ მისი ფონი ძველი თბილისი, ყარაჩოღელთა სამყარო ღრმად ადამიანური, ბუნებრივი და მაინც მსუბუქი, სალაღობო, მიამიტური ხასიათისაა.

დარდიმანდული სულისკვეთებაა ჩაქსოვილი აზარფეშის წარწერად ნავარაუდევ აფორიზმშიც: „ბედსა რად ჰსწყევლი? რად ჰსწუხარ? რას გარგებს სულმოკლეობა? შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება?“.

„დიმიტრი ონიკაშვილის დარდებშიც“ გულზე ცეცხლმოდებული, სიყვარულისაგან გონებაწართმეული, სასიკვდილოდ განწირული ყარაჩოღელის გულისტკივილი, ოხვრა და კაეშანია ჩაქსოვილი:

ეს რა ცეცხლში ჩავვარდნილვარ, სადა ვარ?
გული მეწვის, სასიკვდილოდ მზადა ვარ!
ძაღლსავითა ეჰგდივარ ა იმ ჭუჩაში,
ეჰყარაულობ ერთის ვისმეს კარებსა,
ერთს მოაჯირს, ორ პატარა ფანჯარას;
ეგებ ჩემი მზე იქიდან აღმოჩნდეს!

ერთ მოაჯირსა და ორ ფანჯარას დარაჯობს ეს თავმომწონე დარდიმანდი, რომ ეგებ მისი მზე იქიდან გამოჩნდეს, მაგრამ ეშხისაგან გონებაგამოცლილს არ ეღირსა ეს ბედნიერება. დაიტანჯა. მზე

ბრწყინავს თუ თოვლი მოდის, არ ესმის, აღარც ძილი აქვს, აღარც მოსვენება. ეკითხებიან, აქ რას აკეთებო? ძაგრამ ვინ რას ნაღვლობს? „მოდი, ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!“ — იძახის შეურაცხყოფილი ვაჟკაცი. აქაა მისი დარდი, მისი თვალისჩინი, ხალხს კი უკვირს, აქ რას აკეთებო! ერთი გამოჩნდებოდეს, შემოჰხედავდეს ლამაზ თვალებით, ნახავდა, როგორ გამეფდებოდა, ქუდჩაკეცვით გასწევდა ქვევით-ქვევით, ორთაჭალისკენ, ეშხისაგან ძალამიცემული ისეთ ლაზათებს გასწევდა, ქვეყანას გააოცებდა.

„იქა მნახონ, რა შევქმნილვარ, ვინა ვარ, რა მადანი მიპოვნია ბედისა!“ — ამაყად გაიძახის ლექსის ლირიკული გმირი.

ასე ამეტყველებს გრიგოლი ყარაჩოღელებს, თბილისელ დარდიმანდებს, ორთაჭალის ბაღის გმირებს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს თვითონ — ავლაბრის ყაზარმებში, ვილნოში თუ კოჯორში. პოეტი მოგონებებით ცოცხლობს, ამით ერთობა. როგორც პროფ. აკ. გაწერელია შენიშნავს, ამ ხასიათის ლექსებში იგრძნობა მოგონების ისეთი რელიეფურობა, სიცხოველე და ბუნებრივობა, რომ ძნელია მათი ჩათვლა მოგონებად. ამდენად ეს ჰედონიზმი, ევდემონიზმი, თრობა, ტრფობა, ნაღველი და სიხარული — ბუნებრივი, გასაგები ფაქტორებია, იგივე შემოქმედებითი თემებია, ადამიანური გრძნობის, სიყვარულის აღიარებაა. ამით ამ ციკლის ლექსებს კიდევ მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ.

მუხამბაზებსა და ამნაირი ყაიდის სხვა პოეტურ ქმნილებებში, გრიგოლ ორბელიანმა, ყარაჩოხელთა ქეიფისა და ყოფის ასახვასთან ერთად, თავის შემოქმედებაში შემოიტანა მსუბუქი გრძნობებით გატაცებისა და ამქვეყნიური სიამით ტკბობის ისეთი მოტივები, რომელთაც მის სატრფიალო ლექსებში ასახულ ამაღელვებელ, ჭეშმარიტ გრძნობებსა და ღრმა სასიყვარულო განცდებთან საერთო არა აქვთ რა.

ნაირფეროვანია მუხამბაზების გმირთა და ხასიათთა გალერეაც. თუ ბეჟანა მკერვალი, „ქალების ლხენა და თაიგული“, რომელსაც გარეთუბნელ ქალთა ალერსი მოსწყინდა და ახლა სალომესთან მიიჩქარის, ერთ ღამეს ერთთან ატარებს, მეორეს მეორესთან, — სხვა მუხამბაზების გმირები უღვინოდაც მთვრალნი არიან ჭეშმარიტი სიყვარულით, ათი გზა აქვთ და ათივე ერთი მიჯნურისაკენ მი-

დის. ამრიგად, აქაც ცხოვრების გულია, აქაც არიან ცვალებადი და მტკიცე შეყვარებულნი, და ამ ცხოვრებასაც ზედმიწევნით იცნობს არისტოკრატი გრ. ორბელიანი.

დიმიტრი ონიკოვიც ყარაჩოღლური გმირების გალერეას თავისებური კუთხით ავსებს. ეს უაბჯრო რაინდი თავისი მზის სახლთან ათევს ღამეს, დარაჯობს, როდის გამოჩნდება სატრფო, რომელიც მას ვერც ამჩნევს, რომ იქნებ შეიბრალოს, ტანჯვას მოარჩინოს, გული გაუხაროს, გადიდკაცდეს, გამეფდეს, საკინძჩამოხსნილი ხელში ჯამით სვამდეს სატრფოს სადღეგრძელოს... ეს სიყვარულის მაღალი გრძნობის თავისებური, „მდაბიური“, ჰიპერბოლური და მაინც ხალასი ასახვაა.

მარტივია ყარაჩოღელის სიყვარულის ისტორიაც. აი, შეიყვარებს, გულში უზის, წამწამზე უზის სანატრელი სატრფო, თავისი მზე და მთვარე, ჭკუას კარგავს, ღამეებს ქუჩაში ათევს, ოცნებობს, მერე, თუ გამოჩნდა მიჯნური, პირქვე ემხობა, თაყვანსა სცემს და ამითაც ბედნიერია. თუ ბედმა გაუღიმა და ქალის გული მოინადირა, მაშინ ძმა-ბიჭებს შემოკრებს, ორთაჭალის ბაღში გასწევს და იქ გამართავს ნადიმს, იქ აჩვენებს ყველას თავის ვაჟკაცობას და იქ დამტკიცებს, რომ მასაც ხურავს ნამუსის ქუდი.

მარტივია ძველი თბილისის უაბჯრო რაინდთა სიყვარული.

ერთი მაინც ცხადია, მტკიცედ შეყვარებული ყარაჩოღელიც მიამიტი და ხალასი გულისაა, უბოროტო და პირდაპირი, გულუბრყვილო და ძალდაუტანებელი. მისი სახეები და შედარებებიც მასავით უბრალოა, მისი სულივით ლამაზი და მიმზიდველი:

რტო ალვისა შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები — ცაში ელვა მგონია,
ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია.

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ — ზედ წამწამზე მიზიხარ.

ამ მსუბუქმა პოეტურმა სტრიქონებმა საქართველოში ისეთივე მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვეს, როგორიც მათი ავტორის

მჩქეფარე, მაღალპოეტურმა სიტყვამ „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“.

ამრიგად, სხვადასხვა სფეროში, ყველგან, სადაც კი გრ. ორბელიანმა კალამი სცადა, შექმნა პოეტური სიტყვის მარგალიტები.

გრ. ორბელიანი „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაში

ქართველ რომანტიკოსებს არ დასჭირებიათ ბრძოლა კლასიცისტურ თუ სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებთან, როგორც ევროპული რომანტიზმის ისტორიაში მოხდა. ჩვენი რომანტიკოსების შემოქმედებაში უფრო რელიეფურად გამოჩნდა ეროვნული ტკივილი, ერის ბედის საკითხი. ამასთან მათ შეტაკება მოუხდათ ისევ თავიანთ, მომდევნო თაობის თანამედროვე მწერლებთან — შვილებთან, „თერგდალეულებთან“.

მესხი სრულიად ბუნებრივად თვლის აზრთა სხვადასხვაობას, თაობათა შეჯახებას, რადგან „ჰეშმარიტება მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება, როდესაც ორი ან მეტი ერთმანეთის მოპირდაპირე აზრი შეებმიან და დაეტაკებიან ერთმანეთს“*.

ყველაზე მეტად ეს აზრთა სხვადასხვაობა მოხუცებისა და ახალგაზრდების შეტაკებაში იჩენს ხოლმე თავს. ასეა შინ და გარეთ, პოლიტიკურ საქმეებში თუ პირად ცხოვრებაში. მოხუცი „ერთ წერტილზეა გაჩერებული და თავის რწმუნებები და აზრები იმას სჯულათ მიაჩნია“, ახალგაზრდა კი ეძებს და იხედება წინ, ისევე, როგორც წინ მიდის დრო.

ასე მოხდა ჩვენშიც. აზრთა სხვადასხვაობა იქამდე მივიდა, რომ „ეს ორი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ხშირათ ერთმანეთს სხვადასხვა ლაშაზი სიტყვებით ამკობს“, მაგალითად კი ასახელებს გრ. ორბელიანის საყვედურს, ენა წაგვიბილწეთო, უსაქმურნი და ლიბერალები ხართო. ს. მესხი იმ აზრისაა, რომ ჯერ არც ერთ თაობას არ გაუბედნიერებია საზოგადოება და უმჯობესია საერთო ძალით არგონ სამშობლოს: ცხადია, უფრო გონივრული გამოდის ს. მესხის დასკვნა: „მომავალი ყოველთვის ახალგაზრდებს ეკუთვნით“.

---

* „დროება“, 1872, № 7.

ვის შეშლილის თარგმანზე“ პირველი ცეცხლწამკიდი ყუმბარა იყო, მამათა ბანაკში გადასროლილი*. გრ. ორბელიანს მაშინ ნაკლები დრო და ხალისი ჰქონდა ამ ბრძოლაში ჩაბმისა და ვიდრე მას არ უკბინეს, ხმის ამოღებას ერიდებოდა. ეს კი ათიოდე წლით გვიან მოხდა.

გრ. ორბელიანი დიდხანს, მთელი ათეული წელი დუმდა და ვიდრე ილიამ არ გამოიყვანა მოთმინებიდან თავისი „გამოცანებით“. მანამდე მართლაც გამოცანას შეადგენდა მისი დუმილი, თუმცა გულში კი სწუხდა ახალი თაობის ზოგ უკიდურესობაზე:

თქვენში ვტრიალებ,
თქვენში ვღრიალებ,
გულით კი ვსწუხვარ თქვენს უნიჭობას.

ილია ლაპარაკობდა თერგდალეულთა, გრიგოლი კი — მათს მოწინააღმდეგეთა სახელით. „ამას გრძნობდნენ მათი თანამოაზრენიც და თავიანთ მხრივ ზურგს უმაგრებდნენ მეთაურებს“**.

როგორც ჩვენს კრიტიკაში აღინიშნა, ილიას „გამოცანების“ პასუხი გრიგოლმა 1871 წელს დაწერა და მანამდე, როგორც ითქვა, მთელი ათი წელი დუმდა. ესეც არ იყოს, აკი თვითონ ილია აცხადებდა, დღემდე არავინ იცის, „რა არის და ვინ არის ახალი ან ძველი თაობა. ამ სახელებს ქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმოთო“***. მაგრამ როგორც ეს განცხადება ვერ აბათილებს თაობათა არსებობის ისტორიულ ფაქტს, ასევე გრ. ორბელიანის ოფიციალური დუმილი ვერ უარყოფს, რომ იგი „მამათა“ ფაქტიური წინამძღოლი იყო, რადგან აქ საქმე გვაქვს ორ მკვეთრად გამიჯნულ ბანაკთან და მათს ორ უდიდეს წარმომადგენელთან — ილიას და გრიგოლის სახით. თუ გარკვეულ დრომდე ეს უკანასკნელი სტატიებსა და ლექსებს არ წერდა, მაინც იგრძნობოდა მისი როლი, აზრი და ავტორიტეტი.

---

* „ცისკარი“ 1861, № 4.

** დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, 1965, გვ. 148.

*** ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, გვ. 215.

ხოლო მაშინ, როცა ბრძოლაში ჩაება — თუმცა ეს ძვირად დაუჯდა და აკაკის შხამიანი სატირის ისარზე აეგო, აშკარა გახდა, რომ გრ. ორბელიანი ყოფილა „მამათა“ ბანაკის ბურჯი, მესვეური და შეურიგებელი მოპირდაპირე ახალი თაობის იდეური მრწამსისა. ამიტომაც დაესხა თავს აკაკი „ნოვღოროდის ლიბერალს“, „ლოპიანას მომღერალს“. ახალი თაობის სახელოვანმა მგოსანმა არ დაინდო „ორ ბელიანი დათვი“, რომელსაც დაეკავებინა წალკოტიდან წასული ფარშავანგის ადგილი.

ცნობილია, რომ მამათა და შვილთა ბრძოლის დასაწყისში, უველაზე უფრო ცხარე შეტაკების დღეებში, გრ. ორბელიანი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ პრესაში აშკარად არ გამოსულა და ახალი თაობისათვის არ დაუშენია ისეთი მწარე ისრები, როგორსაც სხვები უშენდნენ. ლომი თავის ბუნაგში იწვა და დუმდა. ვიდრე ის ძლიერ არ გააბრაზეს, თავი არ აუწევია. ეს არ იყო შემთხვევითი. გამჭრიახ პოეტს და შეურიგებელ ამაყ ფეოდალს არ შეეძლო არ შეენიშნა შვილების სიმართლე, იგი გულში გრძნობდა ილიას სიბრძნის ძალას: დღეს ის აღარ არის, რაც გუშინ იყო, ცხოვრება იცვლება და მიდის წინო.

ამ წინსვლას ასე თუ ისე ხელს უწყობდა „მამათა ბანაკის“ წინამძღოლი გრ. ორბელიანიც, რომელმაც, სხვათა შორის, სანქცია მისცა „შვილთა ბანაკის“ მებრძოლი ორგანოს დაარსებას — ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეს“.

ეს მოხდა 1862 წლის თებერვალში. ჟურნალის გამოცემას ნებართვა ესაჭიროებოდა კავკასიის კომიტეტში, და ამ ნებართვას ხელს აწერს მაშინდელი მთავარმართებელი — გრ. ორბელიანი, რომელსაც, ცხადია, შეეძლო ეს საქმე ჩაეშალა.

ამრიგად, ილიას იქნება არა ჰქონდა მორალური საფუძველი, რომ 1871 წელს დაწერილ „გამოცანებში“, ამ გალექსილ პამფლეტში, გრ. ორბელიანიც მოექცია, სხვა დიდ მოხელეებთან ერთად (მარშალი რევაზ ანდრონიკაშვილი, სენატორი გიორგი მუხრან-ბატონი, გენერალი ივანე მუხრანსკი, პლატონ იოსელიანი, იასე ჯავჭავაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, მიხეილ ლორის-მელიქოვი და სხვ.). ეს პამფლეტი „საქართველოს მამამ“ უძღვნა იმ შლიქვნელ დიდკაცობას, რომელმაც საქართველოში ჩამოსულ იმპერატორს უნივერსიტეტის

ნაცვლად სთხოვა კადეტთა კორპუსის დაარსება. ლაქიებმა აძით აამეს დესპოტს, მაგრამ ვერ აამეს ქვეყნის პირველ შვილს, რომელმაც მათი ერთგულ ქვეშევრდომული სული უკვდავჰყო ამ „გამოცანებში“, რომელთა შორისაც გრ. ორბელიანს ეძღვნა ეს სტრიქონები:

მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჰკვამაღალი,
ძველთაგანა ეგღა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხიდია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია.

ამ გამოცანამ ააცსო გრიგოლის მოთმინების ფიალა, და იქუხა მისმა ძველმა არტილერიამ, რომ „შვილთა“ სიმაგრის კედელი დაენგრია და მიწასთან გაესწორებინა.

გრ. ორბელიანი რომ ძველი და ახალი თაობების შემაერთებელი ხიდიც იყო, ამას მოწმობს აკაკის საგულისხმო აღიარება, რომ იგი „ბევრს მოხუცებულებში ჰხედავდა მოწინააღმდეგე ახალთაობის კაცს და აფასებდა. ზოგჯერ ახალგაზრდებშიაც ჰპოულობდა მოუკუღმართე ძველი თაობის კაცს და ეზიზღებოდა. ამას ყოველთვის გვიმტკიცებდა სიტყვითა, გრძნობითა და სურვილით“*.

გრ. ორბელიანის დუმილი 60-იან წლებში სულაც არ ნიშნავდა თანხმობას. რაც შეეხება მეგობრული ურთიერთობის განახლებას შვილთა ბანაკთან და კერძოდ ილიასთან — სიცოცხლის ბოლო წლებში — ეს იყო საქმის რეალური ვითარების ბუნებრივი შედეგი: ისევ ეს ახალი თაობა იყო მისი დამფასებელიც და მემკვიდრეც, მის ხელში იყო ძალა, სიმართლე, მომავალი, და მოხუცი პოეტი მოლბა, როგორც ჭაღარა მამა, რომელიც შვილის სიმართლეში დარწმუნდა და გულაჩუყებული გაჩუმდა.

* „დროება“, 1883, № 65.

ილიამ თავისი „გამოცანების“ ყველაზე უფრო პატიოსან გმირად დიმ. ყიფიანის შემდეგ მაინც გრ. ორბელიანი გამოიყვანა, უწოდა მას „ჭკვამახვილი“, „საქმით წმინდა“, „გრძნობით სავსე“, თავისი ერის მოყვარული, რომელსაც იმავე ერის საქმე ზოგჯერ მაინც ფეხებზე ჰკიდია.

აკაკიმ სიცილის ობიექტად აქცია „ორ ბელიანი დათვის“ პატრიოტობაც:

> როდესაც ჩემ წინ სუფრაზე
> ცხელი, შუშხუნა მწვადია,
> მაშინ მე სამშობლოსათვის
> ყოველი კარგი მწადია.

მართლაც, მახვილი სატირა იყო „იარალის“ ავტორზე, რომელიც ნატრობდა, „ჯეირნის მწვადი შიშინით ცეცხლზედა დატრიალებდესო“! უარესი დღე დააყარა ცნობილი „პატრიოტის აღსარებაში“: „...ჩემი ნაციონალური მადა კუჭში იდგამს ფესვსა“, და გაშლილ სუფრასთან „მეც თავი მომწონს ქართველობითო“. მაგრამ ეს იყო მაინც სატირა, ტენდენციური სატირა, რაც ამცირებს, აქუცმაცებს, გროტესკულად წარმოგვიდგენს ხოლმე ლიტერატურაში თუნდაც ჭეშმარიტად ამაღლებულ განცდას. უაღრესად მუქი ფერებით დაგვიხატა გრ. ორბელიანი აკაკიმ გვიანაც, „ჩემს თავგადასავალში“, როგორც ნიჭიერი კაცი, რომელსაც ლექსები მხოლოდ სალაღობოდ უწერია და საქართველოს ჭირ-ვარამზე არ უფიქრია“ და ა. შ.

ცნობილია, რომ ანტონ ფურცელაძე აკაკის უკიჟინებდა, პიროვნებათა გაკილვა-გამასხრება გჩვევიაო, და მაგალითებად უსახელებდა „ყველა რიგიანი ქართველისათვის თავმოსაწონი მწერლის“ გრ. ორბელიანის გალანძღვას, „ორ ბელიანი დათვი“ და „ხარაბუზა ღენერალი“ რომ უწოდა, თითქოს ეს მხოლოდ იმისათვის მომხდარიყო, რომ გრ. ორბელიანმა „ერთს ხელნაწერ ლექსში“ იხმარა გამოთქმა „აკაკიებო, ბაკაკიებო!“*.

აკაკის ტენდენციური შეხედულებები დაედო საფუძვლად ბევრი

---

* „დროება“, 1879, № 248.

კრიტიკოსის აზრს, და გრ. ორბელიანი ახალ დროშიაც კი მიაჩნდა ზოგ ლიტერატორს „კუჭის პატრიოტიზმის“ წარმომადგენლად.

„პასუხი შვილთა“...

ეს ისარი გრ. ორბელიანმა ახალციხიდან გამოლა.

„პასუხი შვილთა“, კერძოდ მისი პირველი სუსხიანი ვარიანტი მეტისმეტად გაშიშვლებული პამფლეტია და უფრო მოფიქრებული ლანძღვის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე ორაზროვანი, დამდგარი სატირისა, მაგრამ პოეტის გონებამახვილობა მაინც აქცევს მას საგულისხმო პოეტურ ნაწარმოებთა შორის.

„პასუხი“ ასე იწყება:

კოღო-ბუზებო,
ლიბერალებო,
ჰკუით გლახებო, პატრიოტებო,
გზა დაკარგულნო,
წყალ-წაღებულნო,
კატის კნეტებო, სიდგანა კნავით?
მოვლეთ რუსეთში,
აფრიკაშია,
მობრძანდით ისევ უანბანონი,
ვირი წავიდა,
ვირი მოვიდა,
კაცად ვერ იქცა თვით ქაბის მადლით...

და ასე თავდება:

ბევრნი მოვიდნენ თქვენისთანები!
კოღო-ბუზები,
ლიბერალები,
ცრუ პოეტები, პატრიოტები
აკაკიები,
ბაკაკიები,
რიონელები, გოგიტელები.

ამ პროლოგსა და ეპილოგს შორის მთელი ტირადაა მაგარ-მაგარი სიტყვებისა: ჰაღლა მყვირალნი, შინ დიდგულები, გარეთ მხდალნი, უღონოები, უსაქმოები, ჩხირ-პაიკები, ჯაგლაგანები, უსწა-

ვლელნი-ცრურუსთაველნი, სულით სუსტნი, ჭაჩუები, ჭიანჭველები — აი, ვინ არიან ის მწერალ-ჟურნალისტები, რომელთაც ბურთივით მრგვალი ლიბერალი ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობს, რომელთაც წაბილწეს ენა მაღალი, მის სიღრმე, ძალი...

ილიას ასე არ გაუმეტებია გრ. ორბელიანი, რითაც დაამტკიცა, რომ უფრო დინჯი და უფრო მაღალი მისიის აღმასრულებელი იყო.

დრო მამებისა,
მამაცობისა,
წარვიდა მათთა სახელთა ჭებით, —

სინანულით ამბობს პოეტი და იქვე სქოლიოში ჩამოთვლის მამაც მამათა მთელს თაობას: „ღენერალი ივანე აფხაზი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ვასილი ბებუთოვი, მოსე არღუთინსკი, ივანე ანდრონიკაშვილი, ზაქარია, ილია და სოსიკო ორბელიანები, იასონ და ნიკო ჭავჭავაძეები, ნიკო ერისთავი, ნიკო ამილახვარი, დავით ვახვახოვი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, ივანე ბაგრატიონი, იოსებ თარხნიშვილი, ქობულოვი, სვიმონ შალიკოვი, ბაქრაძე! და ას სამოცნი, სხვანი დახოცილნი და დაჭრილნი უკანასკნელს ბრძოლაში ესენი უნდა იყვნენ თქვენგან გასალანძღავნი?“ — ყველრებით ავსებს ლექსის სიტყვებს განაწყენებული „ჯმუხი ღენერალი“. ჩამოთვლილ სახელთაგან ბევრს შევხვდით გრ. ორბელიანის ცხოვრების ფურცლებზე, ბევრი მათგანი მართლაც მამაცი მებრძოლი და ღირსეული მოქალაქე იყო, მაგრამ პოეტი ცდება, როცა მეფის არმიის ამ ჩვეულებრივ გენერლებსა და მათს საქმეებს ჩვენი კულტურისა და მწერლობის მედროშეებს უპირისპირებს და მამათა ბანაკს ერთგვარ უპირატესობასაც კი ანიჭებს. სახელოვან პოეტს არც ერთ პოეტურ ნაწარმოებში არ გამოუჩენია ასეთი ტენდენციურობა, როგორც ამ საპოლემიკო ლექსში. ილიას მამა სახელოვანთა პლეადაშია ნაგულისხმევი, თვითონ ილია კი „განუსჯელი, უმადლო შვილია“, „საუბედუროდ ცუდ დროს შობილი“, ლიბერალი, რომელიც „სადღაც მიმალვით“ როტავს და კნავის, საქმით კი არაფრის მკეთებელია. ცხადია, ეს პოლემიკური სიფიცხე არ გამოხატავს გრ. ორბელიანის ნამდვილ შეხედულებას შვილთა ბანაკის მედროშეებზე, მაგრამ მისი შეურიგებელი ტენდენცია და თვალსაზრისის სხვაობა კი აშკარაა, ისევე როგორც

მისი ღიმილის მომგვრელი გულუბრყვილობა, როცა ამტკიცებს: „უკადრისობით და უმეცრებით ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელსო“, თითქოს შვილთა მიზანი დაღესტანში მებრძოლ გუნერალთა სახსენებლის დაბნელება ყოფილიყო და მეტი არაფერი, თითქოს მათი დროშა კი არ ყოფილიყო „ერი, ენა, საყდარი, სარწმუნოება“.

დრო შეიცვალა, გამეფდა სწავლა, მათთვის მოცლილი პროფესორები უქადაგებენ შვილებს საუკუნეობით დაგროვილ ცოდნას, და მამებიც იმედოვნებდნენ, რომ ღირსეული შვილები დაუბრუნდებოდნენ მამულს, „სწავლისა ლამპრით, დავრდომილს მხარეს“ გაანათებდნენ. მაგრამ რა გამოვიდა? სულ ჩაამწარეს. მაგრამ რითი? „პირველად იწყეს, შკოლა გამართეს“, და ამით ახალი იმედი დანერგეს: მხარე გაგვინათლდებაო, მაგრამ ნამდვილად თურმე ზნეობა წაახდინეს, ურწმუნოება ჩაუნერგეს ყმაწვილებს.

ლოცვა რად გვინდა?
ღმერთი რად გვინდა?
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი...

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი რომანტიკოსი არც აქ ღალატობს თავის თავს: თუ ერთგან გრძნობას აძლევს უპირატესობას გონების წინაშე, ახლა სარწმუნოებას აყენებს იმავე გონებაზე მაღლა, და თვითონ უაღრესად გონიერი პოეტი-მოაზროვნე თითქოს რაციონალურ საწყისებზე ამხედრებულა. ზნეობის შერყვნასაც სწორედ გონების ახალ სამეფოს შენება იწვევს თურმე: ეს სწორედ მამების ფილოსოფიაა.

მხოლოდ პოლემიკური სუსხითა და თვალსაზრისთა სხვაობით შეიძლება აიხსნას ასეთი უცნაური განცხადება ჩვენი პოეტისა: „აღჩნდნენ მწერლები, ჟურნალისტები... „ვაი ჩვენს ენას!“ იმავე სუსხითაა ნაკარნახევი ტყუილი წუწუნი: „მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი, ენა მაღალი, მის ძალი მადლი, უწყალოდ წახდა...“ პოეტი მართალია, როცა აცხადებს: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“ მაგრამ ის ცდება, როცა ენის წახდენას ეძახის მის გახალხურებას, სამეტყველო ენით წერას. ხდებოდა რაღაც ეპოქალური მოვლენა. ხდებოდა სალიტერატურო ენის რეფორმა, საფუძველი ეყრე-

ბოდა ახალ ქართულ მწერლობას, და ამ მოვლენას გრ. ორბელიანი ისე შეხვდა, როგორც ხვდებოდნენ შუა საუკუნეებში იმ მოწინავე ფრანგ. გერმანელ თუ იტალიელ მწერლებს, რომლებიც უარს ამბობდნენ ლათინურ თუ არქაულ ენებზე და თავიანთ ეროვნულ, ხალხურ, ყველასათვის გასაგებ ენებზე წერდნენ თავიანთ ქმნილებებს.

გრ. ორბელიანი ბევრ რამეს აყვედრის შვილთა ბანაკის მესვეურებს: მამებს სწყევლით, ენას გვიფუჭებთ, მამათა საქმეს ჰღალატობთო. „დიდებას ეძებთ?“ — ეკითხება მათ და დასძენს: დიდება თქვენი ჩვენც გვეამებაო. მაგრამ დიდების ცნების გაგებაში გრ. ორბელიანი საოცარ გულუბრყვილობას იჩენს: მისი აზრით, ნამდვილი დიდება მოიპოვება მხოლოდ ბრძოლის ველზე, ფიცხელ ბრძოლაში, „ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით“. ამ გზით მოუწოდებს კიდეც:

იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ხელს ბაირაღით ძირს დასცეს ყარსი!

და რაკი ამნაირ მჭუხარე გმირობას მათგან არ მოელის, მოხუცი გენერალი ისევ ოხვრით იმეორებს: „ვაი საბრალოს ჩვენს საქართველოს თქვენ დაებადეთ მის სადიდებლადო!“

შეურიგებელია „პასუხი შვილთას“ ავტორი, თავშეუკავებლად აძლევს გამოსავალს თავის ბრაზსა და რისხვას, შვილთა უმადურობით განაწყენებული.

„ჰე, სასურველო, გმირთა მამულო!“ — სინანულით ოხრავს პოეტი პასუხის მეორე ვარიანტში, — ნუთუ ასე დამცირდი, რომ მათ ნება-სურვილზე ტრიალებო?

მაგრამ ჩვენი სამოციანელები იყვნენ ის ადამიანები, რომელთა ხელშიაც ტრიალებდა ახალი საქართველოს კულტურის ბედი და ამ წინსვლაში თვით შვილთა მგმობელი ორბელიანიც იღებდა მონაწილეობას თავისი ძალუმი პოეტური ხმითა და ავტორიტეტით.

„პასუხი შვილთა“ ძველი, მაღალი არისტოკრატიული პოზიციებიდან გახსნილი ცეცხლია. დიდი ფეოდალი, პოეტი-გენერალი ისეა გატაცებული ახალი ბასტიონების ნგრევით, რომ გეგონებათ ისევ დაღესტნის მთებში ტრიალებდეს, არ ინდობს შვილთა სწავლას,

იდეალებს, ენას, რწმენას, ცრუ პროფესორობას, ყალბ პატრიოტობას — არაფერს. უბრალოდ დასცინის, ვერ შეუგუებია „აკაკიები, ბაკაკიები, ცრუ პოეტები, პატრიოტები“, „მესხი, მეველე, მელიქ-აღები“. არა სწამს მათი მაღალი ფრაზები „მოყვასს—შეწევნა, ბოროტსა — დევნა“. არც „საზოგადოების სულით აღდგენა, ერთობა, ძმობა, ზნე ამაღლება“, მათი „უქმნობა, არარაობა, უმეცრების ამაყობა“. რისხვის ცეცხლისმფრქვეველი პოეტი თავშეუკავებლად გაიძახის:

„ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებასო!“

ცხადია, ასეთ მსჯელობას საერთო არაფერი აქვს ახალი დროის სიოს ქროლასთან. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ესაა პოლემიკა, და პოლემიკაში მუდამ ვხვდებით გადაჭარბებას.

სხვანაირად ძნელი წარმოსადგენია ეგზომ ძალუმი ახალი თაობის ასე ხელაღებით გაცამტვერება:

პე, სასურველო
გმირთა მამულო,
ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები?

ცხადია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრიდან, თითქოს „შვილთა“ ბანაკსა და მის მესვეურებს გრ. ორბელიანი მეგობრული თვალით უყურებდეს, მაგრამ მათი დამსახურებაც რომ ესმოდა, ესეც არაა საეჭვო და ამისი უარყოფა შეუძლებელია. ამ ლექსში კი მხოლოდ პოლემიკური სუსხი იგრძნობა.

„პასუხი შვილთა“ ახალციხიდან დაშენილი ქვემეხთა ცეცხლია, რასაც ახალი თაობის წინამძღოლები ორმაგი ცეცხლით შეხვდნენ.

„მამების“ წინამძღოლს, „ხარაბუზა ღენერალს“ მკაცრი პასუხი გასცეს აკაკიმ, ილიამ, სერგი მესხმა, რომლის წერილი „ჩვენი მამები და შვილები“ „დროების“ 1872 წლის მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა.

მართალია, ილიას „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“, გრ. ორ-

ბელიანის „პასუხის პასუხი“ იმ ხანებში არ გამოქვეყნებულა*, მაგრამ თავის ლიტერატურულ-ისტორიულ დანიშნულებას ხელნაწერის სახითაც ასრულებდა, ისევე როგორც ნ. ბარათაშვილის ლექსები და მრავალი სხვა უკვდავი ძეგლი ჩვენი ლიტერატურული წარსულისა.

არ შეიძლება „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის ისტორიას მთლიანად მოვწყვიტოთ გრ. ორბელიანის მკაცრი წერილი, გიორგი წერეთლის „მგზავრის წიგნის“ წინააღმდეგ მიმართული, რაც 1874 წელს გამოქვეყნდა და რომელშიაც ავტორი ეხება „მხოლოდ ქართულის ენის სიწმინდესა“.

ამ წერილში გრ. ორბელიანი კრიტიკოსის როლში გამოდის და მიზნად ისახავს მწერლის ენის გამოსწორებას, „ჩვენისა დავრდომილისა ენისა გულმხურვალედ აღდგენასა“, მაგრამ ენაც ხომ დიდი მოვლენაა, და ენაც ხომ შედიოდა თავიდანვე „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის უპირველეს პრობლემებში.

„მგზავრის წიგნის“ მიმოხილვა უდავოდ ყველაზე ვრცელი და საგულისხმო ძეგლია, რაც გრ. ორბელიანის ენობრივ თვალსაზრისს ნათლად წარმოგვიდგენს. ის საერთოდ სამართლიანად ებრძვის გ. წერეთელს, რომელიც აკი თვითონვე აცხადებდა, „ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულაო“, მაგრამ მისი მოთხოვნა არქაული ასოების შენარჩუნებაზე და მიდრეკილება სახარების ენისაკენ არ გვაძლევს საფუძველს ახალი სალიტერატურო ენის დამცველად გამოვაცხადოთ, თუნდაც აღიაროს ილიას ენის ღირსება.

არ მიგვაჩნია სწორად პროფ. კ. მეძველიას აზრი იმის თაობაზე, რომ „გრ. ორბელიანი, როგორც პოეზიაში, ისე კერძო წერილებში ახალი ენით შეტყუველებს და ძველი ენის დამცველთა მოწინააღმდეგეა“, მაშასადამე, უმართებულოდ მიიჩნევს „ენის საკითხ“შიც გრ. ორბელიანის მოთავსებას „მამათა“ ბანაკ“ში, თანაც იმოწმებს გრ. ორბელიანის ერთ კერძო წერილს, რომელშიაც პოეტი კიცხავს „ცისკრის“ ერთ-ერთ ავტორთაგანს, „მაიმუნის ხასიათის აღწერაში“

---

*„პასუხი შვილთა“ პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა, 1874 წ. ივლის-აგვისტოს ნომერში „ძველი სემინარისტის“ ფსევდონიმით; ილიას „გამოცანები“ კი — 1914 წ. (მიხ. გედევანიშვილის გამოც., ტ. I).

რომ სახარების მკვდარი სიტყვები უხ/რია — „რამეთუ", „უკეთუ", და სხვ.

ჯერ ერთი, ამ სახარების სიტყვებმა მორწმუნე პოეტი უფრო ალბათ იმიტომ გააღიზიანა, რომ „მაიმუნის სახის აღწერაში" უხმარიათ, და მერე, ეს განცხადება, ორიოდე სხვა ფაქტთან ერთად, რაც გრ. ორბელიანს ახალ სალიტერატურო ენის მომხრედ წარმოგვიდგენს, უფრო შემთხვევითი ამბავია, თუნდაც, ახალი დროის უთუო ზეგავლენის ნიშანი, მაგრამ არა იმისი საბუთი, რომ გრ. ორბელიანი ენის საკითხში არქაისტი არ იყო და იმავე პრინციპებს არ იცავდა, რომელთაც უკომპრომისო არქაისტი პლ. იოსელიანი ქადაგებდა*.

გრ. ორბელიანს „მამათა" ბანაკში ჩვენ კი არ ვათავსებთ, თვითონ დგება და აღარავის შეუძლია იქიდან მისი დაძერა-გამოყვანა.

მართალია, „პასუხშიც" ჩივის გრ. ორბელიანი, ცრუ რუსთაველებმა რუსთაველის ენა წაგვიბილწესო; მართალია, გმობდა და კიცხავდა ყველას, ვინც გაუმართავი — გინდ ძველი, გინდ ახალი — ქართულით დაწერდა რასმე, და ეს მახვილი არ ასცდა არც გ. წერეთელს, არც ს. მესხს, არც ყაზბეგს, არც თვით აკაკის, რომლის ერთ პროზაულ ნაწერზე წაეწერა: „უი, შე ღვიტიკელა იმერელო, როდის ისწავლი ქართულს", და ა. შ., მაგრამ გრ. ორბელიანი იცავდა საერთოდ ლიტერატურულ ქართულს, გამართულ ენას, და თავისი მრწამსით ძველი ამაღლებული ენის მომხრედ რჩებოდა. მართალია, თვით დიდი ილია აღიარებს, რომ გრიგოლ ორბელიანმა თავისი ძლიერი მხარი მისცა ახალს მიმართულებას", რომ „მამულის სიყვარულის გასაღვიძებლად და დასანერგავად ახლებთან ერთად არა-ერთი და ორი უთქვამს თავისი მშვენიერის ლექსითა", რომ „მამულის-შვილობას გრ. ორბელიანმაც შთაჰბერა იგი ღონიერი სული", მაგრამ ეს იყო დიდი მსაჯულის მიერ საერთოდ გრ. ორბელიანის შემოქმედების, როგორც ეროვნული ღირებულების აღიარება, შეფასება, რაც ერთგვარ დიდსულოვნებით ნაკარნახევ შერბილებასაც შეიცავს. სინამდვილეში ფაქტი რჩება ფაქტად და ისტორიული სინამდვილის დამახინჯებულად წარმოდგენა იქნებოდა იმის დაჯერება, რომ

* გრ. ორბელიანის და პლ. იოსელიანის ლიტ. ურთიერთობათა შესახებ იხ. ჟ. გაწერელიას „ლიტერატ. ნარკვევები", 1947.

„გრ. ორბელიანი კი არ შეებრძოლა ახალ თაობას, პირიქით, ბანი მისცა, მასთან ერთად შემოსძახა ახალი ჰანგის სიმღერა“, როგორც ილიას ცნობილი დახასიათების საფუძველზე აცხადებს მკვლევარი, პროფ. კ. მეძველია. ისტორიაში მრავალი მაგალითია იმისა, რომ ესა თუ ის მწერალი, თუნდაც გენიოსი, გადაშენებულ ან შეძცდარ დახასიათებასაც კი აძლევს რომელიმე სხვა მწერალს, მაგრამ ისტორია ასწორებს ხოლმე ამნაირ თვალსაზრისს, თუ სინამდვილე ამის საფუძველს აძლევს. გრ. ორბელიანის განხილული კრიტიკული წერილი არაა უშუალოდ „მამათა“ პოზიციებიდან „შვილთა“ ბანაკში ნასროლი საპოლემიკო ისარი, ესაა სრულიად ბუნებრივი, დროული რეცენზია მწერლისა მწერლის წიგნზე, მაგრამ პრინციპულად ერთგვარი ნიშნის მიგება მაინცაა ახალი თაობის წარმომადგენლის მიმართ — აი, ასეთია თქვენი ენაო. მართალია, ილიას ენა აქ სანიმუშოდაა აღიარებული, მაგრამ რეცენზენტი აქ სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა, მით უმეტეს, რომ ასეთი პრინციპულობა ესაჭიროებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ მიუდგომელია და „შვილთა“ განჭიქება კი არ აინტერესებს, არამედ ენის სიწმინდის დაცვა. მეტიც, ის აღიარებს ახალი ქართული რეალისტური მწერლობის ღირსებას. ილიას „კაცია-ადამიანის“ აღიარებით ის აღიარებდა ახალი თაობის კანონიერ უფლებებს.

გრ. ორბელიანი ხედავს რუსთაველის საშვილიშვილო ამაგს უკეთ, ვიდრე ვინმე სხვა, სწამს, რომ რუსთაველმა თავისი ბუმბერაზული პოეტური ძალით შეპოგვინახა, საუკუნეების ქარ-ცეცხლში გამოატარა ქართული ენა, ამიტომ მისი ენის შერყვნას გულდაწყლულებული პოეტი ისე განიცდიდა, როგორც ეროვნულ უბედურებას. ენა ჭართლაც ირყვნებოდა და ნაგვიანდებოდა, ოღონდ ამაში შვილებს არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ. პირიქით, შვილთა მესვეურებიც ისევე იბრძოდნენ ენის სიწმინდისა და გაკეთილშობილებისათვის, როგორც თვით გრ. ორბელიანი, და ეს ვერ გაიგეს, არ სურდათ გაეგოთ მამათა ბანაკში.

„მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის უშუალო გაგრძელებად არ თელიან არც სატირულ ლექსს „დროების ათი წლის იუბილე“, რითაც გრ. ორბელიანი დაუნდობლად ესხმის თავს ახალი თაობის ორგანოს, მთელი მოწინავე საქართველოს საყვარელ გაზეთს „დრო-

ებას“ და მის მესვეურს სერგი მესხს. მაგრამ აქაც საქმე ეხება ენას, ეხება ძველი და ახალი თაობის პოზიციების სხვადასხვაობას, და ამდენად ესეც სავსებით ბუნებრივი გაგრძელებაა იმ ბრძოლისა, რაც სამოციან წლებში დაიწყო.

ცხადია, ხსენებული ლიტერატურული დოკუმენტები აღარ შეიცავენ ძველებურად ღრმად გააზრებულ სოციალურ სუსხს, ესაა გ. წერეთლისა და ს. მესხის ლიტერატურული ენის კრიტიკა, მაგრამ პოზიციები არსებითად მაინც უცვლელი რჩება, კომპრომისი არც ერთ მხარეს არ მოუხდენია მეორის სასარგებლოდ, თუ არ ჩავთვლით ილიას ნაწარმოებთა ენობრივი ღირსების აღიარებას, რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი პრინციპების სრულ აღიარებას, და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ წამიერი სიფიცხე ჩაქრა, უწინდებური გაშმაგებით არ ლეწავენ შუბებს და ბრძოლის სიმწვავემ ჩაიარა. სხვაგვარად რომ წარმოვიდგინოთ, მაშინ ეს დიდი სოციალურ-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა — „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა — შეიძლებოდა აგვეხსნა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა უეცარი შეტაკებით, მსუსხავი მიწერ-მოწერის შემთხვევითი ხასიათით.

სულ სხვა ამბავია, რომ გრ. ორბელიანი ილიას ავტორიტეტს აღიარებს პირად ურთიერთობაში თუ ოფიციალურად, ანგარიშს უწევს ახალი თაობის საქმიანობის ზოგიერთ მხარეს და ქართველთა ჰომეროსს უწოდებს ალექსანდრე ყაზბეგს. ამით პოეტი თავის კანონიერ ადგილს განამტკიცებს ქართული კულტურის ისტორიაში და ნებით თუ უნებლიეთ აღიარებს იმას, რაც საერთოდ ჩვენი წინსვლის საქმეს ეკუთვნის, აღიარებს როგორც მწერალი და მოქალაქე.

პოეტ გრ. ორბელიანის ბინაზე გაიმართა 1878 წლის 30 იანვარს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაშფუძნებელი კრება, რომელმაც მოიწონა დიმიტრი უიფიანის პროექტი, იმავე დიმიტრი უიფიანისა, რომლის მარშლად არჩევასაც ასე სასტიკად აღუდგა წინ ფეოდალი გრ. ორბელიანი. მისი ცხოვრების ქრონიკაში ჩვენ ვნახეთ, რა ხალისით იღებს მონაწილეობას იგი ჩვენი ქვეყნის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „შვილთა“ ბანაკის ნაღებთან ერთად ესწრება სხდომებს, მათთან თათბირობს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შედარება-დადგენის საკითხებზე.

პოეტი თანღათანობით დაადგა სიბერეში ამ ნათელ გზას. სამოცსამოცდაათიანი წლების შეურიგებელი მებრძოლი ოთხმოციახი წლებისათვის უკვე დაყუჩებული ლომის შთაბეჭდილებას ტოვებს, განსასჯელად უგზავნის თავის ნაწერებს იმათ, რომელთაც ებრძოდა, და მათთან ერთად სინჯავს ქვეყნის მაჯისცემას.

ყოველივე ამის გამოც აფასებს ილია გრიგოლს, „თვითმპყრობელს ქართულის ენისას“, ძველი და ახალი თაობის შემაერთებელ ხიღს უწოდებს თავის „გამოცანებში“ და ღირსეულ, გონიერ ბურჯს ჩვენი კულტურისას, ხოლო თუ მასაც ზოგჯერ ქვეყნის საქმე „ფეხებზე ჰკიდია“, ესეც დამსახურებული საყვედურია.

მოგვიანებით, როცა გრ. ორბელიანი ცოცხალი აღარ იყო, ახალი თაობის მოღვაწეები სინანულს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ „უკვდავი და მაღალნიჭიერი გრ. ორბელიანი გულწრფელი მამულიშვილი იყო, მაგრამ „ახალ თაობას“ ვერ ურიგდებოდა, თუმცა არც ახალ თაობას დაუშავებია რამე მამულის წინაშეო“*.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ გრ. ორბელიანის როლი „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაში მაინც უფრო თეორიულ-პრინციპულ ხასიათს ატარებს, და თუმცა „მამათა“ ბანაკის მეთაურია, მაინც ის, როგორც დიდი პოეტი და პატრიოტი, მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ემსახურება იმავე ეროვნული კულტურის დიდების საქმეს, რასაც თავისი სიცოცხლე შეალია „შვილთა“ დიდმა თაობამ. მისი პოეტური მეტყველება არაა ზედმეტად დამძიმებული არქაული პერიოდებით, მისი აზრები ჰუმანური და ამაღლებულია, მისი სურვილი — ქვეყნის და მწერლობის აღორძინებაა. მისი დროშის ფრთას შეფარებული ბევრი მწერალი მიეცა დავიწყებას და ფართო მკითხველისათვის დღესაც უცნობია, გრ. ორბელიანმა კი არაჩვეულებრივი ნიჭის ძალით სძლია თვით საკუთარი პრინციპები და ქვეყნის სახელოვან შვილთა უკვდავ გუნდში ჩადგა. ეს გარემოება უნდა გვახსოვდეს მუდამ, როცა გრ. ორბელიანზე, როგორც „მამათა“ ბანაკის წინამძღოლზე ვლაპარაკობთ.

---

* ნ. ურბნელის (ნიკო ხიზანიშვილის) სტატია, „ძველი და ახალი თაობა“, „დროება“, 1883, № 94 (დაბეჭდილია ს. ხუციშვილის ქრესტომათიის II ნაკვეთში).

გრ. ორბელიანი და პოეტური ხელოვნება

გრ. ორბელიანი ქართული ლექსის შესანიშნავი ოსტატია. მისი პოეტური სიტყვა ის ფრთიანი იარაღია, რითაც პოეზიის მოყვარულის გრძნობათა და ფიქრთა სამყაროს ეუფლება. მისი ლექსების ენა ძალუმი და აზრით უხვია, მისი მეტაფორა — მოხდენილი და დროული, მისი სტრიქონი—ლაღი და ბუნებრივი. მართალია, ზოგან რიტორიკა, ერთფეროვნება და მძიმე სტრიქონებიც გამოერევა ხოლმე, მაგრამ საერთოდ მთელი მისი პოეზია მჩქეფარე მდინარეა აზრისა და გრძნობისა, ჩვენი პოეზიის მღელვარე ზღვისაკენ რომ მიისწრაფვის და არსად არ ფერხდება. ქალაქური პოეზიის ზეგავლენაა, კლასიკური ქართულისა თუ ალ. ჭავჭავაძის მუხამბაზური კილოსი, გრ. ორბელიანი ყველგან რჩება ორიგინალური, რელიეფური, თავისთავადი, ხალასი, ამაღლებული პოეტური სიტყვის მეუფედ.

გრ. ორბელიანი რთული პოეტური პიროვნებაა და ამაშია მისი ძალაც. თუ შემოქმედი მალე კარგავს ინტერესის აღძვრის უნარს, იოლად „განმაგნიტდება“ ხოლმე და ამოხსნილ ამოცანასავით მოხედება არქივში, გრ. ორბელიანი არც ცხოვრებითა და არც პოეზიით ასეთ შემოქმედთა რიცხვს არ განეკუთვნება. მისი პიროვნულ-მოქალაქეობრივი საქმიანობაც და პოეზიაც თავიდანვე კონტრასტების, ფიქრთა სხვადასხვაობის საგნად ქცეულა და დღემდე ვერ შეუთანხმებიათ ბევრი რამ მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ეს მისი ღირსების ნიშანია.

გრ. ორბელიანი კონკრეტული, საქმიანი და კოლორიტულია, მან იცის ზომიერება, იცის პოეზიის ფასი და საგანი.

პოეტი მუდამ პოულობს სათანადო კილოს და სიტყვას ამა თუ იმ გმირისა თუ მოვლენის დასახასიათებლად. თუ თერგზე ლაპარაკობს, მისებრ სწრაფი და მჭუხარეა მისი სიტყვაც; თუ გაზაფხულის დილას აღწერს, სიოსავით მონანავე ენით გვესაუბრება; თუ ბრძოლის სურათს გადმოგვცემს, მისი ლექსებიდან ცხენთა გრიალის, შუბთა კვეთების, ზათქისა და ჰახანის ხმა მოგვესმის, ხოლო თუ ქალის სიტურფეს ხატავს, ნაკადულივით ნარნარად მორაკრაკებს მისი მშვენიერი ქართული.

მთელი „სადღეგრძელო“ ერთიანი მშვენიერი მხატვრული ქსოვილია. იგი წარმტაცი და მრავალფეროვანი სურათების მოზაიკაა,

რაც განწყობილებათა ცვლითა და ამაღლებული პოეტური სუნთქვით კი არ გვქანცავს, არამედ გვასვენებს, გვხიბლავს, გვეალბუნება, გვაღელვებს და სიამაყის გრძნობით გვავსებს.

გრ. ორბელიანმა მარტო ხმლით როდი მოიხვეჭა სახელი და დიდება. ხმალივით ჭრის მისი თავისებური, განუმეორებელი პოეტური ხმაც. მისი თერგი რბის და ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან; მისი გორგასლანი ლომივით მოუღლელი და შემმართებელია; მისი ცა მშვენიერობს, ნათლდება, მის სატრფოს ღაწვებზე ერთდროულად ჰყვავის ვარდი და ზამბახი; მისი ბრძოლის ველი ჰომეროსის ბრძოლის ველს მოგვაგონებს, მისი სიმშვიდეც ჭაღარა კავკასიონის სიდინჯეს ეხმაურება და ენათესავება და უეცრად:

> რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა მხარს, რა გრგვინვა მოდის ბრძოლისა!
> მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა!

„მთლად დაღისტანი მოაწვა“ თითქოს ჩვეულებრივი უბრალო გამოთქმაა, მაგრამ ვინც დააკვირდება, აღიარებს, რომ ასეთ ხატოვან ფრაზას მხოლოდ არაჩვეულებრივი პოეტური ბუნების ადამიანები გრძნობენ და განაგებენ. მეტად მეტყველია პოეტური სხივის ძალა და სითბო, ცოცხლად რომ წარმოგვიდგენს ბრძოლის დიდებულ სურათს.

გრ. ორბელიანის არც თუ ისე დიდი პოეტური მემკვიდრეობა გვაოცებს თავისი რიტმულ-ვარიაციული ნაირფეროვნებით. მას არა აქვს ერთი ან ორი ძირითადი საზომი, არამედ მრავალნაირი, და ჭიმართავს იმას, რაც მოცემულ განწყობილებას, თემას ან კილოს შეეფერება.

პოეტს თითქმის ყველა საზომი აქვს გამოყენებული, ხუთმარცვლიანიდან დაწყებული ოცმარცვლოვან ლექსამდე, უპირატესად კი ათ და თექვსმეტმარცვლოვან ზომებს მიმართავს.

ასევე მრავალფეროვანია მისი სტროფებიც: აქვს ორტაეპედიდან დაწყებული ხუთმეტ და მეტსტრიქონიანი სტროფებიც. ყველა ზომას ერთნაირი ხელოვნებით ფლობს და იმარჯვებს სათანადო აზრისა თუ განცდის გადმოსაცემად.

გრ. ორბელიანის რითმა ხშირად სუსტია, ლექსს ხშირად აკლია დახვეწა. საერთოდ ხელნაწერებზე ბევრი მუშაობა არ უყვარდა,

პოეტს თითქოს არ სცალია, ლხინით თუ ბრძოლით გატაცებულს, რითმის საძიებლად, ჩქარობს, ლაღობს და ნავარდობს, რომ ყველაფერი მოასწროს, „მხიარულობს გული ვიდრე". მაგრამ მისი სუსტი რითმაც არ არის დაბრკოლება, მისი ურითმო ლექსიც მშვენიერი პოეზიის ნიმუშია, იმდენად ძლიერია მისი სიტყვა და ღრმა — აზრი.

გრ. ორბელიანი მაღალ დანიშნულებას ხედავს პოეზიაში და საერთოდ მწერლობაში.

პოეტური ხელოვნების ნამდვილი მარგალიტია გრ. ორბელიანის მსჯელობა სამწერლო ენაზე — გ. წერეთლის მოთხრობაზე დაწერილ კრიტიკულ რეცენზიაში.

„ვითარცა ლამაზსა ტანსა უფრო გაალამაზებს შემკობილი სამოსელი და ჩვენცა მოგვწონს და შევხარით მას, ეგრეცა გამოჩენილნიცა მწერალნი გვიხატავენ პაზრსა, არა თუ მხოლოდ ნათლად, არამედ ლამაზის ფორმითაცა, და სიტყვაცა მათი მომდინარეობს, ვითარცა წყალი, ხან მძიმედ. დიდებულების სიამაყითა, ხან დამშვიდებული, ვითარცა შემაძრწუნებელი რისხვა. მაშინ მსმენელიცა უნებლიეთ მიჰსდევს სიტყვისა მის მდინარების ძალსა, გულით გახარებული, გონებით მოზიდული, ღონე-მიტაცებული, დამონებული".

მართალია, არქაისტი აქაც არქაისტად რჩება, მასაც აქვს მოძველებული სიტყვები და რუსიციზმები („საზარელი კარტინა" და სხვ.), მაგრამ ძირითადი იდეა, პრინციპი, მოთხოვნები წერილისა სწორია და ჩვენ ვგრძნობთ, როგორ მაღლდება ხოლმე თავის თავზე დიდი პოეტი, საესებით საღად და შორსმჭვრეტელურად რომ უსწორებს თვალს დროის საჭიროებას.

საერთოდ, გრ. ორბელიანის კრიტიკული რეცენზია, არქაული პრინციპების. კერძოდ, მოძველებული ასოების დაცვის მიუხედავად, ბევრ საღ, საგულისხმო დებულებას შეიცავს და გვაოცებს კიდეც „შვილთა" რეალისტურ ლიტერატურულ პრინციპებთან სიახლოვით, რომელთა წინააღმდეგაც ასე თავგამოდებით იბრძვის. პოეტი აღიარებს, რომ „კაცია-ადამიანი?!" სიამოვნებით წაიკითხა, გიორგი წერეთლის „მგზავრობა" კი საძაგლობად მიაჩნია და ისიც ვერ გაუგია, თუ „რედაქციას რა პაზრი ჰქონდა, რა უხაროდა, რომ ჰბეჭდავდა ამას და არ შეიბრალა არცა მკითხველი და არცა თვით ავტორი".

გიორგი წერეთლის მიმართ გრ. ორბელიანი ძირითადად მართა-

ლია. ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდა კარგ ქართულად „მე თავი გავაჭნიე“, „იმის შემპარავი“, „სტუდენტები დაგვიხვდა“, „ბევრი არის იქ ასეთი ყმაწვილები“, „ჟენიხობის ფონდი“, „საიდგან დაიმახსოვრებდა“, „ავატანეთ მე და ჩემმა ამხანაგმა“, „უნდოდა კიდევ უფრო გაეჯავრებინა იმის გულის დარდები“ და სხვა მრავალი, ათობით მაგალითი, რაც გულმოდგინედ ამოუწერია პოეტ-კრიტიკოსს თავისი თანამოკალმის ცნობილი ნაწარმოებიდან.

გრ. ორბელიანმა მშვენივრად იცის, რომ „ჰაზრი გამოითქმის ნათლად მხოლოდ სიტყვებისა კანონიერად გაწყობითა, აბისათვის საჭირო არის, რომ კანონები ესე იცოდეს მწერალმა და შეურყევლად იგი ჰხმარობდეს მათ“; იცის, რომ „დროთა განმავლობაში ზოგიერთი სიტყვა უვარგისობის გამო ძველდება და აღარ იხმარება, მაგრამ ენის თვისება მყოფობს მარადის შეურყეველად“. ეს ნათელი აზრები ერთხელ კიდევ ითქვა ამ დიდი მოღვაწისა და მწერლის პირით, და აბას ჰქონდა მნიშვნელობა, რასაც შეუმჩნეველად არ ჩაუვლია.

გრ. ორბელიანის ენობრივ-ლიტერატურული შეხედულებისა და მისი ესთეტიკური მრწამსის გასაცნობად ეს წერილი მეტისმეტად მნიშვნელოვანია და ნათელჰყოფს იმ დიდ შესაძლებლობას, რაც გრ. ორბელიანს ჰქონია, როგორც მრავალმხრივ მწერალ-თეორეტიკოსს, აგრეთვე იმ აზრთა სიუხვეს, რასაც დამატებით დაგვიტოვებდა, რომ მოეცალა და უფრო ხშირად ეწერა წერილები და სტატიები.

რეცენზიაში საყურადღებო აზრია გამოთქმული სამწერლო ენის ხალხურობაზე: „ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი, „ხალხის ენაზედ ვჰსწეროთო?“ მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ?“ მაგრამ იქვე პოეტი თავის აზრს განმარტავს. ხალხურ ენას მწერლის ბრძმედში გატარება, დახვეწა, ლიტერატურულ დონეზე აყვანა უნდა: „მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი; ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალას მას არ გადაარჩევს, კარგსა და უვარგისისაგან არ გაჰსწმენდს, არ გაამშვენიერებს და დიდებულებითა არ აღიყვანს სალიტერატუროს სამფლობელოსში; მერე, იმ გალამაზებულსა ენასა გამშვენიერებულის ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევ იმასვე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა, და რომელიცა შეითვისებს იმას ვითარ-

ცა საკუთრებასა; და ამ სახით უმეტეს და უმეტეს მშვენიერდება ხალხის ენა და მით უმეტეს ნათლდებაცა მისი გონება!"

ასეთი მსჯელობა იმ დროისათვის უკვე მეტყველებს ჩვენი პოეტის დიდ ალღოსა, გემოვნებასა და გულისხმიერებაზე, რითაც მწერლის ენასა და მის შემფასებლებს ეკიდებოდა.

გრ. ორბელიანი მუდამ გრძნობს პოეტური სიტყვის ძალასა და მნიშვნელობას, ხედავს მასში მკითხველის დაინტერესების საშუალებას და აღმაფრენის წყაროს. კრიტიკულ წერილში, რაც გიორგი წერეთლის „კიკოლიკის, ჩიკოლიკის და კუდაბზიკას" ენის წინააღმდეგ არის მიმართული, მწერალი წუხს იმის გამო, რომ ენის კანონებზე მოუხდება მოსაწყენი ლაპარაკი „და ამის გამო ამ სტატიასა, რასაკვირველია წაერთმევა ის პოეტიკური გულმიმტაცი მოძღინარეობა სიტყვისა, რომელიცა უნდა მარადის ახალისებდეს და აღვიძებდეს მკითხველის სურვილსა"*. პოეტს მეტადრე აწუხებს ის აზრი, რომ მისი სტატია არ მოეწონებათ ქალებს, „რომელნიცა ყოველსა დროსა ყოფილან და აწცა არიან უკეთესნი ენის დამფასებელნი".

პოეტი თავისი ენის სიმშრალის მიზეზად პლატონ ფილოსოფოსის (იოსელიანის) გრამატიკას თვლის და ბოდიშს უხდის მანდილოსნებს „მარადის მათი ერთგული, მათგან და მათთვის დამწვარი".

ქართული მწერლობა გულთბილად შეხვდა ამ სტატიას. ამ ფაქტის დადასტურებას ვპოულობთ მიხ. თუმანიშვილის წერილში. რაც მიმართულია შვილის, გიორგი თუმანიშვილისადმი, 1875 წლის 21 იანვრის თარიღით: „ინტერესით წაკითხვა შეიძლება ძხოლოდ ძ ვ ე ლ ი ს ე მ ი ნ ა რ ი ს ტ ი ს სტატიისა, რომელიც აძეღავნებს არა მარტო მის დიდ კრიტიკულ ტაქტს და ესთეტიკურ გემოვნებას, არამედ აგრეთვე საუცხოო ფილოლოგიურ ცოდნას, რაც არ ჩამოუვარდება პროფ. ცაგარლის ცოდნას სისწორისა და სიზუსტის მხრით".

ჩვენ გვჯერა, რომ მკითხველთან ერთად ჩვენს პოეტსაც გული დიდად შესტკივა „ესრეთისა დაცემისათვის ქართულისა ენისა", იმ ენისა, რომელზედაც დაიწერა ვეფხისტყაოსანი, ძველი და ახალი ლექსები, ხალხური სიმღერები... „არა, ეს მგზავრობა არის რაღაც

---

* გრ. ორბელიანი, თხზ. სრ. კრებ., აკ. გაწერელიას და ჯ. ჯუმბურიძის რედ., „საბჭოთა მწერალი", თბ., 1959, გვ. 315.

მახინჯი, — ასკვნის პოეტი და აღშფოთებულია: — ესოდენი შეცთომილება, ესოდენი უცოდინარობა ენისა, ესოდენი უპასუხრობა, როგორ უნდა იპოებოდეს ერთს პატარა თხზულებაში?"

ცხადია, გრ. ორბელიანი მეორე უკიდურესობაში ვარდება, უსაზღვრო თავმოყვარეობას სწამებს გიორგი წერეთელს, გულდაჯერებით დაბეჭდვინაო „უნიჭობა თვისი" — და ყველამ იცის, რომ გიორგი წერეთელი უნიჭოთა გვარიდან არაა. მაგრამ პოეტის თავდასხმა საერთოდ საფუძვლიანი და პრინციპულია. თუ ძველი ეკლესია-მონასტრები თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ და იცავდნენ ქართულ ენას, რატომ უნდა შერყვნან ის დღეს რედაქციებმა და მწერლებმა? — ასეთია მისი დასკვნითი სიტყვა.

გრ. ორბელიანის პროზაული ნაწერები

როგორც ცნობილია, ქართული რომანტიზმი მთელი სიძლიერით პოეზიაში მოგვევლინა. თავისთავად ეს ბუნებრივია, მეტადრე საქართველოში, დასაბამიდან პოეზიის ქვეყნად რომ არის ცნობილი.

მაგრამ არ იქნება სწორი ძველი შეხედულების გამეორება, რომ ჩვენი რომანტიზმი მხოლოდ პოეზიით შემოიფარგლა.

გრ. რჩეულიშვილის რომანებზე, ვახტანგ ორბელიანის ეპოსზე, ალ. ორბელიანის დრამებსა და ნარკვევებზე, გიორგი ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგზე" რომ არაფერი ვთქვათ, გრ. ორბელიანის პროზაც ნაწილობრივ მაინც აბათილებს ამ შეხედულებას.

ქართული რომანტიზმის ძირითადი ჟანრი ლირიკული პოეზიაა, მაგრამ საკითხის ცალმხრივი შესწავლის შედეგი იქნებოდა იმ აზრის გაზიარება, რაც ა. ოსტროვსკის და ა. ფედოროვის წერილში გამოითქვა* და რასაც სპეციალური ნარკვევით გასცა პასუხი სოლ. ხუციშვილმა: თითქოს ჩვენი რომანტიზმისათვის უცხო იყოს ჟანრობრივი სხვადასხვაობა და არ გაგვაჩნდეს არც მოთხრობა, არც დრამა, არც რომანი...

რომანტიკული ოხვრა და წუთისოფლის ამაოებაზე ჩივილი სრუ-

* Грузинские романтики, Библиотека поэта, Ленинград, 1940.

ლიად კანონზომიერად პოულობს ადგილს გრ. ორბელიანის წერილებშიც და სხვა პროზაულ ნაწერებში: „ეშხი აღარ არის გულში და უიმისოდ რაღა ლაზათი აქვს სიცოცხლესა!“

„ამა სოფლისა და მისს მაცთუნებელს ამაოებასა აღარ უყურებ მე ყმაწვილურის თვალითა“, „ეჰ, ტყუილია სულ ყოველისფერი“ და სხვა მსგავსი გამოთქმები უხვად გვხვდება პოეტის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში.

პოეტის პროზაულ ნაწერებშიც ხშირად იელვებს ის განწყობილება, რაც „სადღეგრძელოში“ ლექსად იქნა უკვდავყოფილი:

მამული ვეღარ იხილავს
ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა
მასთან მარხია სამარეს...

გრ. ორბელიანის პირველი პროზაული ესკიზების გამოქვეყნება-კომენტირება ი. ბალახაშვილის, ს. ხუციშვილის და ჯ. ჭუმბურიძის ღვაწლია.

ოცდაოთხი წლის ჭაბუკი უკვე იგონებს „ყვავილოვანსა დროსა სიჭაბუკისასა“, როცა აწმყო დაატკბობდა და მომავალიც აღუთქვამდა ბედნიერებასა! მაგრამ ადრე იწყება პოეტის ოხვრა. გამქრალა მისთვის ბედნიერება „ვითარცა საამურისა სიზმრისა ოცნებანი“. ბაგეს ღიმილი დავიწყებია, გული დამჭკნარა, ლხინში შება ვეღარ უპოვნია მარტოდ დარჩენილს.

პოეტი წალკოტში დასეირნობს და „მშვენიერნი ყვავილნი ჰსჭკნებიან მჭმუნვარეთა ფიქრთაგან“ მისთა. ეს სტრიქონები ვისრამიანის საუკეთესო გვერდებს დაამშვენებდნენ. რვა წელიწადი ებრძოდა თურმე პოეტის გონება გულსა და ბოლოს იძლია გული. მეგობარი რომ გვერდით ჰყავდეს, რჩევას მისცემდა, მაგრამ ისიც შორსაა, და არის „ესრეთ დაშთენილი შესაჭმელად მწუხარებისათვის“. გულმოკლული ემშვიდობება შორს მყოფ მეგობარს და ნატრობს, მისმა წერილმა მაინც ანუგეშოს დარდისაგან დაღდასმული.

არაფერი იდუმალი და იხტიმური ამ ესკიზში არაა.

ესკიზის ადრესატად სრულიად ბუნებრივად შეიძლება მივიჩნიოთ მამაკაცი, რომლის მეგობრული რჩევა და ზრუნვა მისთვის ასე ძვირფასი ყოფილა. ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი ახალგაზრდა

პოეტისათვის, თუ არ ანტონი, რომელსაც თავისი პირველი ლექსთა-განიც უძღვნა. ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას. წერილია, დღიური თუ დამოუკიდებელი ესკიზი აქ განხილული ფრაგმენტი. მთავარია ის პოეტური აზროვნება, ფიქრთა სინატიფე და სულიერი მღელვარება, რაც ამ, ცოტა არ იყოს, აღმოსავლურად ჩატკბილებუ-ლი ესკიზით ავტორმა განგვაცდევინა.

თუმცა დიდი შუალედით — მთელი ხუთი წლით გვიან, მაგრამ თითქმის იმავე სტილში და ხასიათშია გადაწყვეტილი მეორე, იმავე მოცულობის პოეტური ფრაგმენტი „ზამთრისა ქარი გრიალებს“.

მინიატურა „ნ. ე. მ.“ (ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, მანა ორბელიანი) — მოგონებაა იმ დაუვიწყარი დღისა, რუსეთს მი-მავალმა ახალგაზრდა პოეტმა რომ შეუარა სახელოვან ქართველ ქალებს გამოსამშვიდობებლად და იხილა მოულოდნელად „სამნივე ერთად, ვითარცა მშვენიერნი გრაციანი“, მოაჯირზე მსხდარნი, „სა-შინლად აღრეულ ღრუბელთ“ შესცქეროდნენ და იცოდნენ, რომ ამ ღრუბლებზე უსაშინელესნი არიან „ღრუბელნი ვნებათანი, ცხოვრე-ბისა ჩვენისა დამამწარებელ და დამაბნელებელნი“. ეს ღრუბლები ჯერ არ შეხებოდნენ გრაციების უმანკო გულებს. პოეტს ნუგეშის ცემა დაუწყეს. პოეტი დუმდა, მაგრამ როცა მოესმათ სიტყვა „მშვიდობით“, მათაც ცრემლით აევსოთ თვალები. „არა გიხილავს-თა მშვენიერსა გაზაფხულისა დილასა ვარდი ახლად გაშლილი, რო-მელსა ზედაცა ბრწყინვალებს ზეცისა ნამი, ანუ არა გახსოვთა მზისა-ნა დღესა მოწმენდილი ცა, გადმომცვრეველი წვიმისა... მარგარი-ტებრ ცვივიან და აპიამოვნებენ თვალთა? ესრეთ იყვნენ თვალნი თქვენნი...“ ასე ხატოვნად აღწერს 1832 წელს პეტერბურგს ჩასული პოეტი „გრაციებთან“ განშორების წუთებს, და სანუგეშოდ ეს მო-გონება დარჩენია უცხო მხარეში.

ესკიზი სრულად და ცოცხლად წარმოგვიდგენს იმ დაუვიწყარი შეხვედრის წუთებს და თუმცა ფრაგმენტია, მაინც დამოუკიდებელი მნიშვნელობა ეძლევა, როგორც მხატვრულ ნამუსრევს დიდი ცხოვ-რების ამბისას.

არსებითად ისევ სიჭაბუკის წარმავლობაზე და ბედის მუხთლო-ბაზეა დაწერილი მეორე ცნობილი მინიატურა.

„ზამთრისა ქარი გრიალებს“ — ამ ფრთოვანი თქმით იწყება

ზამთრის პეიზაჟის უზადო სურათი, რომელიც ყოველ კლასიკურ პოთხრობას დაამშვენებდა: „ზამთრისა ქარი გრიალებს საშინლად და ფრთენი მისნი ჰბერვენ სიცივესა და ყინვას. ღრუბელთა დაჰფარეს შავად მშვენიერი ცა და არღა ისმის უკვე საამური, დამატყვევებელი სტვენა ბულბულთა და სხვა ფრინველთა. ფოთელნი, დამჭკნარნი, ჰსცვივიან ყვითლად, რომელნიცა ოდესმე შემოსვიდნენ ხეთა ესრეთ მშვენივრად და აგრილებდნენ თვის ქვეშა მგზავრსა, განსასვენებლად მწოლარესა. ყოველნი გაზაფხულისა სიტურფენი მოსპო ზამთრის ხელმან და დაასო მათ ზედა ბეჭედი სიკვდილისა...“

გარეთ თოვს, ქარი ფანჯრებს სცემს და წივის. ნაღვლიანი პოეტი ბუხართან დამჯდარა, ფიქრებს მისცემია: „ახ! სიჭაბუკისა დღენი ჩვენნი, ესრეთ მშვენიერნი და ესრეთ ტკბილნი, არა ემზგავსებიან გაზაფხულისა ყვავილთა, ბუნების შემამკობელთა...“ ტიპიურ რომან-. ტიკულ სიტუაციას ქმნის მშვენიერი გაზაფხულის შედარება სწრაფწარმავალ სიჭაბუკესთან და ზამთრისა — სიბერესთან, „რომელ, ვითარცა ზამთარმან, დათოვა თავი ჩვენი და... განგვიგრილა გული ყოვლისა მშვენიერებისა ტრფიალებისაგან!“ თვით ცხოველმყოფელი სიყვარულის სიტკბოება ქრება, სიბერის სიახლოვეს რომ იგრძნობს. სიბერის ჟამს „სიცოცხლე ჩვენი არს მხოლოდ თვლემა“, მომავალი ბნელია, წარსული დავიწყებული, სიამოვნების დღის გახსენებაც ბუნდოვან სიზმარს ემსგავსება, ან ელვას ბნელ ღამეში, და ახალგაზრდობაც ისე ქრება, როგორც მშვენიერი განთიადი გაზაფხულისა.

ასე თავდება ესკიზი. ის დაწერილია ჭაბუკობის წლებში. მეტისმეტად ნაადრევია ასეთი მსჯელობა ახალგაზრდულ ასაკში. უფრო ოთხმოცი წლის ბრძენი მწერლის დღიურის ფრაგმენტს მოგვაგონებს. ეს იშვიათი, თითქოს არაბუნებრივი შემთხვევაა, და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩანაწერი ავტორს რომელიმე მოთხრობაში უნდოდა გამოეყენებინა.

„ან...დმი“ დაწერილია ჭაბუკის ხელით და მით უფრო გვხიბლავს მისი პოეტური სუნთქვა, აზრთა და გრძნობათა სიღრმე და სინატიფე. ერთი შეხედვით ეს ესკიზი დღიურის ნაწილია და მიმართულია სატრფოსადმი. აკი მის ადრესატად ამ ესკიზის პირველმა გამომცემელმა იაკობ ბალახაშვილმა ნინო ჭავჭავაძე მიიჩნია კიდეც. შეცდომა

გაასწორა ს. ხუციშვილმა, რომელმაც დაადგინა, რომ ადრესატია ანტონ ორბელიანი, ვისაც ეძღვნა გრ. ორბელიანის პირველი ცნობილი ლექსი*. უკვე ეს გაურკვევლობა იმისა, ქალს ეძღვნა ესკიზი თუ კაცს, მეტყველებს მის ზოგად ხასიათზე, რაც ისტორიაში მრავალ გამოჩენილ პოეტს დამართნია. ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე საპატიო საბუთს იმისას, რომ უარვყოთ ს. ხუციშვილის მოსაზრება, ესკიზი ანტონ ორბელიანს ეძღვნებაო, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ჩვენთვის მაინც არის არა ადრესატი, არამედ ნაწარმოების მხატვრული ღირებულება. ამ მხრივ კი „ან...დმი" ნამდვილად მშვენიერი პოეტური ფრაგმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გრ. ორბელიანის პროზაული თხზულებებიდან, თარგმანების გარდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი უკვდავი „მგზავრობა ჩემი"..., დღიური, წერილები, საქართველოს ისტორიის კონსპექტი**, რაც, სამწუხაროდ, ხორცშეუსხმელი დარჩა; ესკიზები „ზაძთრისა ქარი გრიალებს" და „ან...დმი" (ანტონისადმი) — პოეტური პროზის ნშვენიერი ნიმუშები, აგრეთვე სხვადასხვა შენიშვნები და ჩანაწერები, რომელთაც იგივე იდეები, იგივე პოეტური სუნთქვა, ცხოვრების ცოდნა, აზრის სიღრმე და რომანტიკული განწყობილებანი ახასიათებთ, ლექსებში რომ უკვდავჰყო განსაკუთრებული ძალით.

პროზაულ ნაწერებში გამორჩეული ადგილი უჭირავს პოეტის კრიტიკულ წერილს „მგზავრობა სვანეთისაკენ" — გ. წერეთლის „კიკოლიკის, ჩიკოლიკის და კუდაბზიკას" კრიტიკულ განხილვას.

როგორც თავის დროზე ცნობილმა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ აღნიშნა, „გრ. ორბელიანის „მგზავრობა" მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ ნწერლობაში. გარდა წმინდა ლიტერატურული ღირსებებისა, ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს როგორც პირველხარისხოვანი დოკუმენტი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან"***.

---

* ს. ხუციშვილი, გრ. ორბელიანის პროზაული თხზულებები (გორის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, 1947, II, გვ. 91—92).

** გამოაქვეყნეს ს. ხუციშვილმა და ნ. ტატიშვილმა საქ. მუზეუმის მოამბეში (XI).

*** „ქართული მწერლობა", 1928, № 6—7, გვ. 245.

რუსეთს მიმავალი პოეტი ხან მღელვარე, მებრძოლი სულისკვეთებით ანთებულა, ხანაც სენტიმენტალურად მოთქვამს დაკარგულ დიდებაზე, დასტირის ერეკლეს საფლავს. „ესე არს ნაშთი და მოწამე ივერიისა დიდებისა... უნებლიეთ გარდმომცვივდნენ თვალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა საფლავი მეფისა ირაკლისა, რომელსა თანა არს დამარხული დიდება და ყოველი კეთილი ივერიისა“ („მგზავრობა ჩემი...“). ეს პროზაული პირველსახეა იმავე განწყობილებისა, რაც ცნობილ ფრაგმენტშია გამოხატული ლექსად „საფლავს ჩავდივარ სიმწარითო“.

„მგზავრობა“ უპირველეს ყოვლისა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებია ცნობილი ჟანრისა. მისი დინჯი კილო, ხატოვანი ენა, აღწერილობანი, მეტადრე ბუნების დიდებული სურათებისა, და ბოლოს დიალოგში გაშლილი სურათი საქართველოს ბედ-იღბლისა, განსჯა მისი აწმყო-მომავლისა, ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაა უკვე იმითაც, რომ რამდენიმე ათეული წლით ადრე დაიწერა ილიას უკვდავ „მგზავრის წერილებზე“, დაახლოებით რვა წლით ადრე ნ. ბარათაშვილის პოემაზე „ბედი ქართლისა“—ამ ორ დიდ ლიტერატურულ ძეგლზე, რომელთაც თვლიდნენ გასული საუკუნის ჩვენი ლიტერატურული აზროვნების პირველ მერცხლებად. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ისევე როგორც ახალგაზრდა ილია, ახალგაზრდა გრ. ორბელიანიც თერგის მიდამოებში საქართველოს ბედზე ფიქრობდა და თვითონაც მებრძოლი, რადიკალურად განწყობილი პატრიოტია, როგორც მოგვიანებით მისი მოპირდაპირე, „შვილთა“ ბანაკის მედროშე, სულ სხვა ბუნებისა და მისწრაფებათა მქონე ილია ჭავჭავაძე.

რაც შეეხება „ბედი ქართლისას“, ისიც შექმნილია დამოუკიდებლად, იმ რომ ავტორს თავისი ბიძის „მგზავრობა“ თვალითაც არ უნახავს, და ისიც აგებულია ორი პირის — აგრეთვე ორი პატრიოტის — დავაზე. „მგზავრობაში“ დავობენ ჭაბუკი გრიგოლ ორბელიანი და გენერალი ივანე აფხაზი, „ბედი ქართლისაში“ — ბრძენი სოლომონ მსაჯული და ერეკლე მეფე, „მგზავრის წერილებში“ — პოხვევე და ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე. პირველნი ყოველგვარ გარიმოებაში დამოუკიდებლობას ქადაგებენ, მეორენი გონების სას-

წორზე წონიან ვითარებას და აუცილებლობით ნაკარნახევი გამოსავლისაკენ იხრებიან.

დღიურში ვხედავთ სავულისხმო, ღრმააზროვან ადგილებს, რომლებიც ყოველი დიდი პოეტის ლექსის თემად გამოდგებოდა. ასეთია თუნდაც ჩვენი კრიტიკის მიერ უკვე შენიშნული მსჯელობა ადამიანის ბედნიერებაზე, რაც ნ. ბარათაშვილის მსჯელობას მოგვაგონებს ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“: „რაი არს ბედნიერება?— ეკითხება თავის თავს პოეტი და პასუხობს: — მე აწ მგონია, რომ ბედნიერება მყოფობს სიმრთელეში, მარამა, როცა ვიყავ მრთელ, მაშინ ვგონებდი შტაბსკაპიტნობაში; მომივიდა იგი, გამეხარდა და კუალად ახალი სურვილი ბედნიერებისა აღჩნდა გულსა შინა ჩემსა. ესრეთ ერთი კიბე აღიყუანს მეორისადმი, ერთი სურვილი ჰშობს მეორესა და სიკუდილამდის დასასრული არ აქუს სურვილსა ბედნიერებისათვის“.

„დღიურების“ ავტორი დაკვირვებული მწერალი და ღრმა ფსიქოლოგია. „სად არს სიმშვენიერე ქალისა, რომელმანცა დააბრმავა გონება ძმისა? სადა არს გრძნობა და ძალი სიყუარულისა, რომელთაცა დაავიწყეს და ძმასა? აწ მხოლოდ რაოდენნიმე ძვლები და ...ნაგლეჯი ტანისამოსისა მოუთხრობენ ამაოებასა ამა სოფლისასა...“ ამრიგად, შემცოდე და-ძმის მტვრად ქცეულ ძვლებთან დგას ბრძენი პოეტი და მსჯელობს წუთისოფლის წარმავლობასა და მარადიულ ამბებზე.

„დღიურების“ ენა შედარებით მარტივია და ნაკლებად არქაული. ჯ. ჯუმბურიძეს ეს საფუძვლიანად მიაჩნია მართლწერის გამარტივების ტენდენციის უნებურ გამოვლინებად 30-იანი წლების ქართულ მწერლობაში, რამაც თავი იჩინა პოეტის დღიურებში, როგორც ისეთ ხელნაწერში, რომლის გამოქვეყნებასაც ის არ ფიქრობდა*.

„ანბავი რიგის ღოშპიტალში ნათქვამი“ მოკლე მოთხრობაა, სინამდვილიდან აღებული. რომელიღაც ვილნოელმა მემამულემ უმუხთლა გარდაცვლილ მეგობარს, თავად ბოთვინკოს, მოახლედ დაიყენა მისი ქალიშვილი და მიითვისა მისი ქონება, მერე კი ვერაგულად ჩაყარა შხამი ყავაში, რომელიც მოახლეს მისი მეუღლისა-

* ჯ. ჯუმბურიძე, „ნარკვ. ქართ. ლიტ. და კრიტ. ისტორიიდან“, 1958, გვ. 362.

თვის უნდა მიერთმია. ქალბატონი მოკვდა, გოგო გააციმბირეს და შემთხვევით გზაში შეხვედრილმა იმპერატორის მეუღლემ იხსნა, დაუბრუნა ქონება და გვარი. მოთხრობა თავდება იმპერატორის ქებით, რომ ასეთი ქველი საქმე მოახდინა.

რაიმე განსაკუთრებული მხატვრული ღირებულება ამ მოთხრობას არა აქვს, თხრობა მოკლე და მშრალია, იდეა — იმპერატრიცის დიდსულოვნება. მაგრამ მოთხრობა მაინც საგულისხმოა, როგორც პოეტის პროზაული სიუჟეტით დაინტერესების და მისი ლაკონური სტილის ნიმუში.

ბუნება გრ. ორბელიანის შემოქმედებაში

ბუნების ქება-დიდება ნამდვილ გაღმერთებამდე აღწევს გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. მისთვის ბუნება არა მარტო ფონია, არამედ თემაც, საშუალებაც, პიროვნებაც, საზომიც სიდიადისა.

ბუნების აღწერაში, ეპიზოდურობის მიუხედავად, კ. აბაშიძე გრ. ორბელიანს რუსთაველზეც კი მაღლა აყენებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ბუნების სურათები ლირიკოსს უფრო ესაჭიროება და პოემაში ის არც ისე აუცილებელიაო.

გრ. ორბელიანი ბუნებას მიმართავს ისე, როგორც აღორძინების ეპოქის დიდი მხატვრები მიმართავდნენ ბიბლიურ სიუჟეტებს: როგორც დიდებულ, ამაღლებულ ფონს, სამკაულსა და მშვენებას, მის მეფურ იერს, ხოლო თუ ყვავილებს შეეხო — ზამბახსა და ვარდს არ სცილდება.

გრ. ორბელიანი თვითონ ბუმბერაზული პოეტური ბუნებაა და ბუნებასაც ბუმბერაზული ძალით ასახავს.

მისთვის ჩვეული ხერხით გადმოგვცემს პოეტი ბუნების გამოღვიძების, სიბნელის სინათლით ჩაქრობის, ჯარის შეძვრის, საომრად გამზადების, ცხენთა ჯირითის ერთობლივ სურათს.

გრ. ორბელიანის ბუნება პროზასა თუ პოეზიაში გოლიათური ძალაა, პირველყოფილი, დიადი, ყოვლისმომცველი და ადამიანზე აღმატებული, მაგრამ ადამიანივით მგრძნობიარე და გაპიროვნებული. ბუნების ხილვა აოცებს, ჩააფიქრებს ადამიანს, მიუწვდომელის და

იდუმალის განცდას უღვიძებს. „კაცი იხილავს რა დიდმშვენიერებასა ბუნებისასა, უნებლიეთ მდუმარებს დაფიქრებული". აქ პოეტს თითქოს სიტყვა არ ჰყოფნის იმ განცდის გადმოსაცემად, რასაც ბუნების ხილვა იწვევს, ამიტომ დუმს. „თვალნი მიმართა ცად მიმართ" და ინტუიციით უკავშირდება უზენაესს. მართლაც, აკი თვითონვე აცხადებს: „კაცისა ხელი ფრიად სუსტ არს აღსაწერად დიდებულებითის ბუნების მშვენიერებისა" („მგზავრობა"), იგივე თქვა ლექსად ათი წლის შემდეგ: „სჯობს ენა სდუმდეს, ხმა შესწყდეს" („საღამო გამოსალმებისა"). პოეტის საღებავების ასეთ ერთიანობას პროზასა და პოეზიაში სხვაგანაც ხშირად ვხვდებით. მისი „თერგი რბის, თერგი ღრიალებს" ადრე მგზავრობაში ასეთი სახით ითქვა: „თერგი დუღდების, ჰრისხდების და ვითარცა გაცოფებული ჰყრის ქაფსა, ჰრბის გრიალითა... შეხვდებიან მას დიდროანი, საზარელნი ლოდნი — ხლტების მაღლა და მათზედა გარდაევლების".

ბუნების კლასიკურ აღწერებს ხშირად ვპოულობთ პოეტის იმ ნაწერებშიც, რომელთაც პოეტური ქმნილების პრეტენზია არა აქვთ.

„არაგვი შორის უფსკრულისა შინა მიმოიკლაკნებოდა თეთრად ძაფსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. საშინელნი მთანი ერთმანეთზე აღყვანილნი ცათამდის, დიდებულებით მდუმარებდნენ". — ასეთია რუსეთს გამგზავრებული პოეტის შთაბეჭდილება, რაც თავის სამგზავრო ჩანაწერებში შეუტანია. ის არავის არ ჰბაძავდა და თვითონვე ქმნიდა ორიგინალურ მხატვრულ ღირებულებას.

ბუნება გარდამავალი კიბეა, რომლითაც რომანტიკოსი პოეტი რაღაც ციურ სამყაროს უახლოვდება, რაც დავიწყებას აძლევს ტანჯვით დაღდასმულს, ასვენებს და აკეთილშობილებს.

გრ. ორბელიანის ბუნებას ვერ ვუწოდებთ უტყვს, დიდი მხატვრის ფუნჯივით აცოცხლებს კალმით პოეტი მეტყველ ბუნებას, სწვდება მის იდუმალებას, და ხსნის მის შინაგან ძლიერებას. ამ მხრივ ქართველ მწერალთა შორის მას ტოლი ძნელად მოეძებნება.

გრ. ორბელიანის ბუნება მეტყველი, თანამგრძნობელი, გამგები, გაცოცხლებული, მანუგეშებელი ან რისხვის გამომხატველია. პოეტი ემშვიდობება სატრფოს, მამულს, და ბუმბერაზი მთები დუმილით დაყუდებულან, მათი ყინულის ბაგეები მოკუმულია, ჩქამი არ ისმის.

ხოლო თუ სატრფო ახლოა, „მთოვარე, აშიკთ მოწამე, სიამით ნათელს მოჰფენს“ მათ.

ბუნების სიდიადით, მისი ჰარმონიითა და სიღრმით მოხიბლული, აღტაცებული პოეტი სიტყვას ვერ პოულობს, ისევ შემოქმედს მიმართავს, და ამ ხერხით განაახლებს ჩვენს შთაბეჭდილებას:

> ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს მის ფერ უთვალავ მშვენებას,
> სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!

გრ. ორბელიანის ბუნება მაინც თვალშეუღწეველი პოეტური ნისლითაა დაბურული, შეიცავს რაღაც დაფარულსა და საიდუმლოს, რასაც ადამიანი შორიდან შესცქერის გაოცებით, მოწიწებითა და ერთგვარი შიშითაც კი. თუ ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის წყნარი საღამო მეგობარია, მისებრ „მწუხარ და სევდიანი“, მთაწმინდა კიდევ — გულდახურულთა მეგობარი, და უასაკოთა ენა ესმის ადამიანს, გრ. ორბელიანის კავკასიონი უფრო პირქუში, დიდებული და შორეულია, მისი გაზაფხულის ბუნებაც — საოცარი, მაგრამ მხოლოდ თვალწარმტაცი, არა ადამიანის მეგობარი და მესაიდუმლე, არამედ განზე გამდგარი, დაუნდობელი და მიუკარებელი.

გრ. ორბელიანმა რომანტიკულ სამოსელში გაახვია გაზაფხული, „დრო საამო, როს ბულბული ვარდსა შესტრფის ეშყით ბმული, როს უმეტეს ტრფობის ალი გულსა შინა აღეგზნების“.

მაგრამ ასე ცოცხლად დახატული გაზაფხული კონტრასტია იმისა, რასაც პოეტი განიცდის:

> გაზაფხულის ჟამს სასურველს
> ყოველი იშვებს, ყოველ ჰხარობს!
> მხოლოდ ჩემს გულს დამწარებულს
> ხმა ბულბულის აღარ ატკბობს.
> ჩემთვის აღარ ტურფად ვარდი
> ჰშლილობს, ჰფშვინავს სუნნელებით!
> ჩემთვის აღარ განთიადი
> აღმობრწყინდეს ნეტარებით!

ტიპიური რომანტიკული სიტუაციაა! ბუნების მშვენიერი სურათი და ადამიანის აფორიაქებული სული არ ქმნიან ჰარმონიას. ბუ-

ნების სრულყოფილი სილამაზე მხოლოდ უფრო რელიეფურად აჩენს ადამიანის ცხოვრების არასრულყოფილობას, ტანჯვასა და მოუწყობლობას.

გულიც შეთვისებია თავის კაეშანს და ბუნების მრისხანებას:

ჩემს უყვარს გულსა, დაღრეჯილს,
ცა მოღრუბლული რისხვითა;
როს გრიგალს, ჰეჰას და ჭუხილს
ისმენს ქვეყანა კრძალვითა!
მაშინ სიკვდილსა მდუმარედ
სიამოვნებით მოველი,
რომ მას შევერთდე სამარედ,
ვისთვისაც ვიყავ სულდგმული!..

ძვირფასი ადამიანის დაკარგვამ დაუკარგა ფასი ბუნების მშვენიერებას, პოეტს აღარ ახარებს გაზაფხული მოსვლით და აღარ აწუხებს წასვლითა.

მაგრამ გრ. ორბელიანი მოვლენებს არ უყურებს სტატიკურად, მეტაფიზიკურად, ან მხოლოდ ერთ ან მხოლოდ მეორე მდგომარეობაში. მისთვის ცნობილია ადამიანის ცხოვრებისა და ბუნების მოვლენების უთვალავი ვარიაცია, ასევე მათი ურთიერთობის, ჰარმონიისა და დისჰარმონიის მომენტები. ლექსში „ღამე“ იგონებს ბედნიერ დროს, როცა სატრფოსთან იყო და ბუნებაც თანაუგრძნობდა:

მოოვარე, აშიკთ მოწამე, სიამოვნებით დაგემზერდა!
ნიავი სუნელთ ყვავილთგან ჰკრებდა და ჭროლით მოჰბერდა!
მაშინ ვპსცან, ჟამნი სამოთხის რომ ამა სოფელს არიან...

ეს საგულისხმო, „ერეტიკული“ აზრი — რომ სამოთხე მიღმა ქვეყანაში კი არ ყოფილა, არამედ აქვე, დედამიწაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში — პოეტს ბუნების მშვენიერებამ და სატრფოს სიახლოვემ ჩაუნერგა, იმან, რაც ადამიანის არსებობას აზრსა და სტიმულს აძლევს.

არც ისეთი ხასიათის ნაწარმოებშია ბუნება მივიწყებული, როგორიცაა „ტოლუბაში“. აქ მხედრები ცეცხლის გარშემო ლხინის დროს იხსენიებენ „ვარსკვლოვან ფირუზს“, „სიცოცხლის მომფენს ჰაერსა“.

სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცადმდე ასულნი
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი;

უფსკრულნი—ჩაბნელებულნი, კლდენი — თვალგადუწვდენელნი,
სად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნი.

ბუნების აღწერის ამ იშვიათ ნიმუშს მოსდევს სახელგანთქმული სტროფი „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?“

გრ. ორბელიანი შეუდარებელი ოსტატია დრამატული პეიზაჟისა, რაც მოქმედი პირების გარეშე დაძაბულ სიტუაციას ქმნის.

სადაც ბუნების მშვენიერებაზე და დიდებაზე ლაპარაკობს, იქ პოეტის სიტყვაც თითქოს უფრო ლაღად და დიდებულად მოედინება, რითმაც უფრო ბუნებრივი და მდიდრულია, განწყობილებაც უფრო ამაღლებული და ძალდაუტანებელი.

გავიხსენოთ ცნობილი „თერგი რბის, თერგი ღრიალებს“, „საღამო გამოსალმებიდან“, ან „ტოლუბაშის“ ეს ადგილი, რასაც ყოველი მოსწავლე იზეპირებს საქართველოში:

ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შვენება!
აენთნენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი,
ცა მშვენიერობს, ნათლდება... მასა შევნატრით მხილველნი!
...ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მძინებული!
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, ჰგალობს ბულბული?

პოეტური გრადაციის ამ ნიმუშს, ბუნების იდილიურ სურათს მოსდევს ისევ ქვეყნიერების მოუწყობლობის, ბრძოლისა და უაზრო სისხლისღვრის მკაცრი სინამდვილე.

„სადღეგრძელოს“ მკითხველი იზიარებს ავტორის გაოცებას, რა საჭიროა ამ მშვენიერი ბუნების წიაღში უაზრო ხოცვა-ჟლეტა? ბუნების სურათი ავტორს თავისი კაცთმოყვარული იდეების საქადაგებლად ესაჭიროება.

გრ. ორბელიანის ბუნება მუზეუმის მინის მიღმა კი არ არის ფერგადასული თარგმანივით, არამედ მისივე ბუნების სისხლხორცეული ნაწილია გასულდგმულებული, ცოცხალი და მახლობელი, ავი და კეთილი, სამშობლოს მკერდის დამამშვენებელი. გრ. ორბელიანი ქართველი პოეტია, ქართული ბუნების ღვიძლი შვილი, და გალიიდან გაქცეული ნადირივით კი არ გარბის ტყე-ღრესა თუ მთებ.

ში, არამედ თვითონაა ორგანულად შერწყმული ბუნებასთან და ბუნების წიაღში თავშეფარებული წასვლას არსაით არ აპირებს.

მას ყოველ დანახვაზე აოცებს ცათამდე აყუდებულ ბუმბერაზ მთათა მშვენიერება, თერგის ღრიალი, ჩამავალი მზის სხივებისა და თეთრი მწვერვალების ალერსი.

და მაინც ბუნების აღწერაში უმაღლესი ოსტატობა გრ. ორბელიანმა ცნობილ ლექსში, „საღამო გამოსალმებისა“ გვიჩვენა. ეს ელეგია ერთ-ერთი ნიმუშია იმისა, თუ რა შეუძლია მონუმენტურ პოეტურ სიტყვას. როგორც ტაძრის ფრესკაზე, ისე ჩანს კავკასიონის მთების დიდებული, ფერადოვანი პანორამა მის ლექსში. საკვირველი სიმშვიდით დაყუდებულან მდუმარე მთები ცათამდის, „ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ-გვირგვინით შემკულნი“. ჩამავალი მზე ემშვიდობება ჰაღარა კავკასიონს, „თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა“.

ერთ სტროფში დახატულია ბუნების სიმშვიდის გრანდიოზული სურათი, ღირსი დიდოსტატების ყალმისა. მაგრამ პოეტი არ აპირებს მკითხველის ჩაძინებას. ფილოსოფოსის გონებით სწვდება მრისხანე ძალას, რაც ამ მშვიდი ბუნების წიაღში იფარება და აფორიაქებს ადამიანს რაღაც დიადით, რომლის ღირსეულად დახატვა მისაწვდომია მხოლოდ დიდი პოეტური ბუნებისათვის:

მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დასწოლიან,
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან...
წყალნი მთით დაქანებულნი ალმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან,
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

პოეტს ღრმა სიბერემდე შერჩა ბუნების მშვენიერების ამაღლებული პოეტური განცდა. მას გულს უგრილებს კოჯრის ნიავი, პირდაპირ ყაზბეგიდან მოსული ჰაერი ჩასდის მკერდში ტაბახმელას მყოფ მოხუც გრიგოლს, ბორჯომიც მისია, იქაც გაუწევია ლაზათები... მთელი საქართველო მისია და მისი არა მარტო როგორც მუზეუმი სიძველეებისა, ნანგრევთა კრება, არამედ ცოცხალი, დატანჯული და საყვარელი სამშობლო, სადაც ყანწ-აზარფეშების ტრიალი არ შეწყვეტილა. როგორი იქნება ამ ქვეყნის მომავალი? აქ უკვე ჩვენი რომანტიკოსები ოხრავენ და სხვადასხვა გამოსავალს ეძებენ.

ბრძნად მოუბარი ორბელიანი

გრ. ორბელიანი თამამად შეიძლება მივათვალოთ მსოფლიოს გამოჩენილ სიბრძნისმეტყველთა რიცხვს. მის აფორისტულ თქმებში, მის წერილებში, ლექსებში იფარება მრავალი საგულისხმო აზრი. ბევრი მათგანი დიდი ხანია მტკიცედ შევიდა ჩვენი ხალხის ნიადაგსახმარი აფორიზმების რიცხვში...

გრ. ორბელიანის დიდი თაყვანისმცემელი იონა მეუნარგია სწორედ პოეტის სიბრძნეს და გონიერებას უსვამდა ხაზს:

„დიდი ხანია დავეხეტები ქვეყნად, ბევრი შესანიშნავი ქართველი კაცი გამიცვნია, ბევრისა კი არა, თითქმის ყველა ჩვენი საჩინო მწერლების თუ არ მეგობარი, ახლო ნაცნობი მაინც ვარ და გულზე ხელ-დადებით შემიძლია ვთქვა: გრიგოლ ორბელიანისებრ გონიერი ქართველის მნახველი არა ვარ... თუ მკითხველი ვერ დარწმუნდა ამაში, ბრალი ჩემი იქნება და არა ორბელიანისა“*.

გავიხსენოთ თუნდაც „ტოლუბაშის“ ეს ადგილი. „მარა სიძნელე სუსტს გულს ჰკლავს და მტკიცე მით არს აღმზრდილი“, ეს გამოთქმა ცოტა მძიმე და ძნელად გასაგებია, მაგრამ დააკვირდით ცხოვრების გამოცდილების ამ ნაყოფს: სუსტი ნებისყოფის ადამიანი ვერ უძლებს დიდ განსაცდელს, ვერც დიდ უბედურებას, სამაგიეროდ სიძნელე აწრთობს და აძლიერებს ნებისყოფას, გამოცდაზე აყენებს ადამიანს და გამოავლენს ღირსეულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრება ნებისყოფის სამჭედლოა და იმარჯვებენ სულით ძლიერნი. აქ მეორე პრინციპული საკითხიც იჭრება ცნობიერებაში: სიძნელე ზრდის ადამიანს, რომლის ვალია გაბედულად შეებას ყოველ დაბრკოლებას და თავისი გაიტანოს.

ამ გზაზე ადამიანის ლამპარი და გზისმკვლევი — სიყვარულია. ადამიანი დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდეს: „გულს სიყვარულით, ხელს ხმალით რას არა აღასრულებდეს?“ ვინ არ უნდა ეძსხვერპლოს დიად მიზანს და ვინ დაიხევს უკან, ვისაც გზას სიყვარული უნათებს? თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ სიყვარული ამ სიტყვის მაღალ, სიმბოლურ გაგებასაც გულისხმობს, „ტოლუბაშის“ ავტორი უაღრესად დიდი, გონებანათელი მოაზროვნის სახით გვევლინება.

---

* იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1954, გვ. 151.

მინიატურაშიც „ზამთრისა ქარი გრიალებს“ იმავე აზრს ატარებს: „სიყვარულიცა, ესე მშვენიერი სიცოცხლისა ჩვენისა ყვავილი, რომელიცა გვატკბობს, გვახარებს თვით ტანჯვასა შინა თვისსა და აღგვამაღლებს ყოველთა მდაბალთა და უღირსთა სხვათა ენებათაგან...“

უფრო მოკლედ ეს აზრი ასეა ფორმულირებული: „ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა“.

ეს მოსაზრებანი ღრმა ფილოსოფიურ შინაარსს შეიცავს: წინააღმდეგობათა ქარცეცხლში იწრთობა ადამიანი და ვითარდება ბუნებაში ყოველივე. ამდენად ტანჯვა არა მარტო გარდუვალი, არამედ საჭირო რამეც არის.

ადამიანის სიცოცხლის აზრად და არსად „სადღეგრძელოში“ მამულის სიყვარულია გამოცხადებული; თუ მამულს ვეღარას არგებს, „ფუჭია მისი სიცოცხლე“.

პოეტი არ ივიწყებს ნუგეშის მეორე წყაროს — მეგობრობას.

ვაი ვინცა ეშხის ცეცხლით ჩემებრ გულსა მკვდრადა ჰხედვენ...
მაგრამ, ჰე შენ, მეგობრობავ, შვების ვარსკვლავად აღგვეგზენ!

ამ გრძნობით თითქოს გულაჩუყებული პოეტი მორიგ სადღეგრძელოში საყოველთაო სიკეთის, ძმობის, მოყვასთა სიყვარულის დითირამბს ამბობს:

რა არის ჩვენი სიცოცხლე თუ არა საქმე კეთილი,
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნათ ნუგეშ-მცემელი.
თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?

პოეტი ბრძოლას ქადაგებს ყოველივე იმის წინააღმდეგ, „რაც ეშლის კაცისა სულის მაღლობას“, ადამიანი უნდა ებრძოდეს, სდევნიდეს „ძალას დამჩაგვრელს“, და ამ ბრძოლაში უზენაესი მადლია არა ტლანქი ძალა, არამედ ნიჭი. ნიჭისა და ადამიანის ხალასი ღირსების პრიორიტეტის ნამდვილი ჰიმნია „სადღეგრძელოს“ ეს ადგილი.

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას:
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს, და არა გვარის-შვილობას!..

„ვსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის მაღლობას“, — ეს აფორისტული მოწოდება ლახვრად უნდა მოხვდეს ყოველ უღირს ადამიანს, მდაბალსა და ვულგარულს, პირადსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პარაზიტულად მოკალათებულსა თუ ჰირივით შეჰრილს, და იმ გონებაშეზღუდულთ, რომელთაც ზოგად დარიგებად ეჩვენებათ პოეტური სიბრძნე.

საერთოდ, გრ. ორბელიანი აფორისტული მეტყველების ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატია. დავიმოწმოთ კიდევ რამდენიმე ნიმუში:

—·—

ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა ჰშთომილი,
რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მჭრალი,
ეგრეთ იქმნების აღხოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი.

—·—

მწუხარების დროს ქამნი მსწრაფლნი ვლიან ნელიად.

—·—

ეს არს საწუხარ, რომ ბოლო თვით სიხარულსაც ჰქონია.

—·—

როს ბულბული ვარდს შეჰსტრფოდეს, უგალობდეს, შეჰხაროდეს,
მაშინ ყვავსა რად არ ჰსცხვენის, რომ მათ შუა სამძღვრად დაჰჯდეს?

—·—

სიყვარულსა ჯერ არს, რათა მარად სურვა დაჰბერვიდეს,
თვარა ვითა ცეცხლს უნივთოდ, არ უძს დიდხანს ენთებოდეს.

—·—

ზღვის კიდეს დგომით მარგარიტი ვით იპოვების,
ტრფობისგან წყლულნი მხოლოდ ოხვრით ვითა განჰკრებას!

—·—

შე იგი მზე მძულს, რომლიცა მნათობს და ჩვენ კი არ გვათბობს.

—·—

აწ ვჰხარობ, მარამა მტანჯავს ეს ფიქრი,
რომ სიხარულსაც აქვს დასასრული.

—·—

გულს სიყვარულით, ხელს ხმალით
რას არა აღასრულებდეს?
და სხვ. მრ.

დამოწმებული მაგალითებიდანაც ცხადია, რომ გრ. ორბელიანი იყო დიდი გონებრივი წამართების, გაჭანებისა და კეთილშობილი გულის პოეტი, რომლის აფორიზმები ისევე გადავიდნენ ხალხში, როგორც რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, გურამიშვილის, ვაჟას და სხვა ბრძნადმოუბარ პოეტთა უჭკნობი ანდაზური თქმები.

სიბრძნისმეტყველება ცალკე, იზოლირებულად არ არსებობს. ეს ადამიანის ნიჭისა და ბუნების უმაღლესი გამოხატულებაა, ხალხის სიბრძნის ზღვიდან გამომდინარე ნაკადია, და ვისაც თავის შემოქმედებაში მახვილი, ღრმააზროვანი, ანდაზური გამოთქმები მიმოუბნევია, ამით თავისი მშობელი ერის პოტენციის ნიშანდობლივი თავისებურებები, გონებრივი სალაროს საგანძური და მახვილგონიერება გამოუტანია სახალხოდ, გამოუმზეურებია და შთამომავლობისა და სხვა ხალხებისათვის ხელმისაწვდომი გაუხდია.

გრ. ორბელიანი თავისი აფორიზმებითაც ადასტურებს იმას, რაც მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვის დროს არაერთხელ გვითქვამს: რომ ის ქართველი ხალხის სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანია, მისი ნიჭისა და სიდიადის ხორცშესხმული სახე.

სურათები



გრიგოლ ორბელიანი



გრიგოლ ორბელიანი



გრიგოლ ორბელიანი



დავით ჭავჭავაძე



ნინო ჭავჭავაძე — გრიბოედოვისა



ილია ორბელიანი



ვახტანგ ორბელიანი



მანანა ორბელიანი



ლევან მელიქიშვილი



ალექსანდრე გრიბოედოვი



მაიკო ორბელიანი



კავკასიის მთავარმართებელი, ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი



კავკასიის მთავარმართებელი ივანე თედორეს ძე პასკევიჩი — ერევანსკი



კავკასიის მთავარმართებელი ალექსანდრე პეტრეს ძე ერმოლოვი



კავკასიის მთავარმართებელი ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი



კავკასიის მთავარმართებელი მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი



კავკასიის მთავარმართებელი ალექსანდრე ივანეს ძე ნეიდჰარტი



გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი ივანეს ძე ევდოკიმოვი



სპარსეთის შაჰი აბას მირზა



დაღესტნის იმამი შამილი



შამილის შვილი შაფი-მოჰამედი



შამილის შვილი ყაზი-მოჰამედი



ჰაჯი-მურატი

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

წ ი ნ ა თ ქ მ ა , გვ. 5

მონანიებული შეთქმული

ბავშვობა, ყრმობა, ახალგაზრდობა . . 22
მგზავრობა პოეტისა თბილისიდან პეტერბურგამდე 35
ყაზარმობა . 53
უცხო ცის ქვეშ 68
ჩაშლილი რომანი 84
შამილი 92

დაღესტნის მთები

შამა-პაპათა სისხლისათვის 109
პასეკის წარმატება, ვორონცოვის მარცხი და განჯის ტრაგედია 131
დაღესტნის პირველი ტყვე 140
გენერალი გრიგოლ ორბელიანი 159
პოეტი, დიპლომატი და სარდალი 171
ლეკის ხაზი და ბაშ-კადიკლარის ტრაგედია 185
შამილის ტყვე ქალები 202
ისევ ბრძოლა და ზრუნვა 220
1857 — ორბელიანის წელი 232
პოეტის ხასიათი 260

ინფანტერიის გენერალი

პოეტი სამშობლოში ბრუნდება 269
„ფადიშაჰი სამი დღით" . 276
ცხელი დღეები და მარშლის არჩევნები 288
თბილისის ამჭართა ჯანყი . . 293
შამათა ბანაკის ბურჯი — იმპერატორის მასპინძელი 309
გულის სალახერო ამბავი 325
დიდი გვარის აგონია 631
უკანასკნელი წლები 345
გარდაცვალება 360

შემოქმედება

ზოგადი შენიშვნები 373

გრიგოლ ორბელიანი ქართულ კრიტიკაში . . 385
გრიგოლ ორბელიანის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი . . 413
გრიგოლ ორბელიანი — პატრიოტი და თავისუფლების ტრფიალი . 425
რწმენა და იმედი გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში 447
სიყვარული და მეგობრობა 458
გრიგოლ ორბელიანი „მამათა და შვილთა“ ბრძოლაში 486
გრიგოლ ორბელიანის პროზაული ნაწერები 506
პუნება გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში 513
ბრძნადმოუბარი ორბელიანი 519

პორტრეტი შესრულებულია ლ. გრიგოლიას მიერ

რედაქტორი ნ. დარჩია
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი ო. ჯიშკარიანი
ტექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი ლ. საბაშვილი

ხელმონერილია დასაბეჭდად 24/VIII-67 წ.
ქაღალდის ზომა 60×84
ნაბეჭდი თაბახი 3
სააღრ. საგამომცემლო თაბახი 2,44
უე 00209 ტირაჟი 30.000. შეკვ. № 411
ფასი 1 მან. 17 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული". თბილისი, მარჯანიშვილის ქ № 5
Издательство „Накадули". Тбилиси, Марджанишвили № 5
მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი
Типография № 4, Тбилиси, Медгородок